

ବିଜ୍ଞାନ ପ୍ରକଳ୍ପରେ

ବିଜ୍ଞାନ ପ୍ରକଳ୍ପରେ  
ବିଜ୍ଞାନ ପ୍ରକଳ୍ପରେ

K258 122  
3

ବିଜ୍ଞାନ

F 89.302

3

აიშე კულინი



# ვურაია

ეძღვნება თურქეთის რესპუბლიკას  
ყველა ხელოვან ქალს,  
ვინც რეალობად აქცია  
ჩვენი ოცნება ცივილიზაციაზე

ს  
არამტე  
2007



ეროვნული ბიблиოთეკა

საქართველო

# გოცელებები

აიშე კულინი  
ფურეია  
ტექნიკური მომსახურება: თამაზ ჩხაიძე

K.2558.122  
3

აიშე კულინი  
ფურეია

ტექნიკური მომსახურება: თამაზ ჩხაიძე

Ayse Kulin  
FUREYA

პირველი გამოცემა: 2007

© აიშე კულინი, 2000  
© "არეტე", 2007

© Ayse Kulin, 2000  
© "Arete" 2007  
ISBN 978-99940-54-65-1

ს ი ს ა ნ ი 3 0 3  
3 0 3 0 3 0 6 0 6  
3 0 3 0 3 6 0 3 0 6  
3 0 3 0 3 0 0 3 0



ნიგნი დაბეჭდილია თურქეთის თანამშრომლობისა და  
აღორძინების საგენტოს (TİKA) ფინანსური ხელშეწყობით

Bu Kitap T.C. Başbakanlık Türk İşbirliği ve Kalkınma İdaresi  
Başkanlığı'nın (TİKA) Maddi Desteği ile Bastırılmıştır.

თურქულიდან თარგმნეს:  
ნინო შენგელიაშ და  
მაკა კიკნაველიძემ

რედაქტორი:  
მაია ლარიკიაშვილი

**აიშე კულინი** - ბოსნიური წარმოშობის თანამედროვე თურქი მწერალი. პოპულარობა ბიოგრაფიული რომანებით მოიპოვა. მისი პირველი წარმატება უკავშირდება რომანს "აილინი". აიშე კულინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა სხვადასხვა უურნალ-გაზეთებთან როგორც რედაქტორი და კორესპონდენტი. ასევე იყო სატელევიზიო, სარეკლამო და კინო-ფილმების პროდიუსერი, სცენარისტი და სამხატვრო ხელმძღვანელი. მისი მოთხოვიბების პირველი კრებული 1984 წელს გამოქვეყნდა. აიშე კულინის სცენარით გადაღებული ფილმი "დამტვრეული თოჯინი" 1986 წელს თურქეთის კულტურის სამინისტროს პრემიით დაჯილდოვდა. მწერლის ნანარმოებებს მინიჭებული აქვს პალმური თანერისა და საიდ ფაიქის პრემიები. აიშე კულინი რამდენჯერმე დასახელდა წლის საუკეთესო მწერლად (1997, 1998). მისი რომანებიც არაერთხელ აღიარეს წლის საუკეთესო ნანარმოებად. მწერალს ჭეშმარიტი აღიარება მოუტანა რომანმა "ფურეია", რომელიც საინტერესოა როგორც თემატიკით, ასევე მხატვრული ლირებულებითაც.

**რომანის გმირი** - ფურეია კერალი - რესპუბლიკის პერიოდის პირველი თურქი კერამიკოსი ქალია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თურქეთში კერამიკულ ხელოვნებას და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 1955 წელს კანში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე მისი ნამუშევრები ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, 1962 წელს კი პრალაში კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიერიქა.

**რომანში აღნერილია** შაქირ ფაშას ოჯახის ისტორია, რომელმაც, მიუხედავად არისტოკრატული წარმომავლობისა, დიდი წვლილი შეიტანა თურქეთის რესპუბლიკის შექმნაში. ეს არის ოჯახი, სადაც აღმოსავლურ ფუფუნებასა და ტრადიციებს ერწყმის ევროპული განათლება და ფასეულობები.

**რომანი** მოიცავს თითქმის მთელი XX საუკუნის თურქეთის ისტორიას - ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელ დღეებს, რესპუბლიკის შექმნის პირველ ნაბიჯებს და თანამედროვე თურქეთს, რესპუბლიკის დამარსებლის ათათურქის მოღვაწეობას.

## მუსტაფა ასიმი

სარი  
1849-1916

ჯევათ ფამი  
1851-1900  
ც. წიმიეთ ხანუმი

შაქრი ფამი  
1855-1914  
(1) სახელი უცინიშვილი  
(2) სარე ისმიერი

ჯევათ შაქრი(2)  
1890-1973  
(1) ანისა  
პამდა  
(3) პათოგვე

აირე ურნერი(2)  
1895-1978  
ქ. აპომი ერნერი

სუათ შაქრი(2)  
1899-1972  
(1) სახელი  
(2) რეზჩევი  
(3) ივეტი  
(4) რეზჩევი

ალი ბერებური(2)  
1903-1974  
ქ. ჩარლზ ბერებური (2)

მუსტაფა(1)  
სინა(2)  
ისმიერ(3)  
სუათ(3)  
ალი(3)

პაკი კორალი (2)  
ქ. ემინ კორალი

ნერმილი

ჯემ(2)  
თარიქ(2)

ფარებურისა ზეიდი (2)  
1901-1991  
(1) იზეტ მელიქ დევრიშვილი  
(2) ემირ ზეიდ ალ-ჰუსეინი

ფურულა  
1910-1997  
ქ.(1) საბაშათინ  
(?) ქარალოლანი  
(2) ქილინ ალი

შაქრი  
1918-1989  
ც. ალისუ კორალი

სარა კორალი  
ქ. (2) ემირ არეარი

ფარებური(1)  
1921-1924  
ნიდათი(1)  
1923-1995  
(1) მარია  
ტარლოვესკი  
(2) ჯანნინა  
პალუში

რაადი(2)  
დაბ. 1936  
ც. მარგა  
რიტა  
(მიღდა)  
ლინდ

მეპერე შემოლი  
დაბ. 1976

სერა შემოლი  
დაბ. 1981

შირიმი(1)  
დაბ. 1926  
ქ.(1) უცილი ლაუ  
(2) შეპსუევან მენაშენჯოლდე  
(3) მუკაფ რულულდე  
(4) რობერტ ტრემერი

შენიშვნა: ც-ცოლი, ქ-ქშარი; ფრჩხილებში მოცემული რიცხვები გვიჩვენებს  
შერამდენი ქარწინება და რომელი ქორწინებიდან არიან შეიღები

## I ၆၁၆၀၉

# კუნძულზე და გურსაში გატარებული ცლაპი

კუნძულის სასახლის ბინადარი მშვენიერი ქალბატონები  
დღეებს ქარგვაში ან როიალის დაკვრაში ატარებდნენ



## პენტივენტო

(ოსმანოლლუს კლინიკა - 26 აგვისტო, 1992 წელი)

რა ხანია ფანჯარაზე თეთრი ჩიტი ზის. უზარმაზარი თეთრი ფრთები ალაგ-ალაგ ვერცხლისფრად უბზინავს, ეშმაკური მზერა აქვს ჩიტუნას. ვფიქრობ, ესეც ჩემი გამოძერნილი უნდა იყოს... მაგრამ მე ხომ ასეთი დიდფრთხებიანი ჩიტი არასდროს გამომიძერნავს! ჩემები პატარები, ტანმორჩილები, მორცხვები და უძრავნი არიან. გასაფრენად კი არ ემზადებიან - თითქოს დალლილები ხანგრძლივი მოგზაურობიდან ახლახან დაბრუნებულანო. მართლაც, რატომ არის ყველა ჩემი ჩიტი მუდამ დაქანცული და მონყენილი? ნუთუ იმიტომ, რომ მათი შექმნა ჩემი ცხოვრების შემოდგომას დაემთხვა? არა მგონია, რადგან, სანამ ლოგინად ჩავარდებოდი, დაღლა არც კი მიგრძვნია. ვერც კი შევნიშნე, ისე დავბერებულვარ და ცხოვრების გზის ნახევარზე მეტი კარგახანია გადამილახავს. ადრიანად ხალისით ვიღვიძებდი, თავდაუზოგავად ვძრომობდი, საღამოებს კი სასმელისა და ახლო მეგობრების გარემოცვაში სასიამოვნო საუბრებში ვატარებდი. ასე გადიოდა დღეები. ეს იყო სიცოცხლე და მასთან სიბერეს, ავადმყოფობასა და სიკვდილს არაფერი ესაქმებოდა. მაგრამ ჩემი დროც დადგა - ავადმყოფობამ ხელი დამრია. ახლა ვცდილობ, ვებრძოლო სიბერეს, უძლურებასა და კაემანს.

ნეტავ, ვინ არის ეს ჩიტი? რამდენი დღეა ფანჯრის კიდეზე შემომჯდარი მიმზერს. თითქოს რაღაცის თქმას ლამობს, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მითხრას.

"სალამი, ჩიტო! თუ რამ სათქმელი გაქვს, თქვი და გაფრინდი. სულაც არ მომწონს, ასე რომ მითვალთვალებ."

ის კი თავისი წითელი, პანანინა და ეშმაკუნა თვალებით მომჩერებია.

"ვერ გაიგე? შენ გეუბნები - დამელაპარაკე ან ნადი, გაფრინდი. ასე ნუ მიყურებ. ნუ მაფორიაქებ." საბურთოების გუნდს საკონ-დიტროს კედელზე სამუდამო ფრთხიალი მივუსაჯე?

ბევრი რამ არ იცის ჩიტუნამ: პატარაობისას დედაჩემი ხელს ჩამიტებდა და ჩიტების გადაფრენის სანახავად აია იორგიზე მივ-ყავდი. იქ კი მოჯადოებული ვუმზერდი შოშიების მნკრივს, რომლე-ბიც უზარმაზარ V-ს გამოსახავდნენ. ერთხანს ასე იფრენდნენ, მე-რე ერთი ცულლუტი ჩიტი მნკრივს აურ-დაურევდა... ბოლოს კი ისევ დაწყობოდნენ. სექტემბერს იდუმალ მთვარესთან ერთად გა-დამფრენი ჩიტებიც მოჰყავდა ჩიმთან სტამბოლში. დივანის უკანა კედელზე ხომ ჩემი ბავშვობის სექტემბერი გამოვსახე. ახლა მოდი და ეს ცულლაფერი ამ ჩიტს უამბე!

"სარა ხანუმს შენთან საუბარი სურს. დიდი გზა გამოიარა."

აპა, ჩიტი ალაპარაკდა. ესე იგი, სიზმარს ვხედავ. ძალიან გრძელ სიზმარს, რომელიც მთელი ღამე გრძელდება.

"სარა სამოგზაუროდ არ ნასულა, მისი სახლი ორ ნაბიჯზე."

"იმ სარაზე არ გეუბნები, შენთან საუბარი შენს ძმისშვილ სარას კი არა, დიდ მამიდას სურს."

"მაგრამ ის ხომ დიდი ხნის ნინ გარდაიცვალა?"

ხუთი წლის ვიყავი, როცა დიდი მამიდა მოკვდა. ვახშამზე მთელ-მა ოჯახმა სუფრასთან მოიყარა თავი. "სარა მამიდას სული უფალ-მა მიიბარა, ამიერიდან ჩვენი ოჯახის უფროსი თქვენ იქნებით, დე-და," - უთხრა ალიერ ბებიაჩემს. "ოჯახის უფროსი შენი დის ქმარია," - მიუგო ბებიამ ქალიშვილს, - იგი მამაჩემს გულისხმობდა. მეტად მკაცრი ხმა ჰქონდა. ასე შევიტყვე მამიდას გარდაცვალების ამბავი.

"ძმის დარდს გადაპყვა სანყალი მამიდა," - თქვა დეიდა აიშემ.

ვეცადე, ალმედგინა მამიდაჩემის - იმ მხცოვანი შავგვრემანი ქა-ლის სახე, რომელთანაც ზოგჯერ სტუმრად დავდიოდით.

"დედა, ნეტავ სად მიდის ადამიანი სიკვდილის შემდეგ?"

ალიერ დედმიჩემის პასუხს არ დალოდებია: "ცისკენ, ცაში ადის და ვარსკვლავად გადაიკცევა".

ალიერ დედად ჭეკუთვნოდა, მაგრამ მხოლოდ ექვსი წლით იყო ჩიტზე უფროსი, ამიტომ მთელი ცხოვრება მას უფროს დად მივიჩ-ნევდი, უფრო სწორად - ოც წლამდე, შემდეგ კი ისე ვექცეოდი,

თითქოს ჩემზე ბევრად უმცროსი, პატარა, ქარაფშუტა დაიკო იყო. მაგრამ ბავშვობაში მისი ყველა სიტყვის მჯეროდა. ბალში გავედია დაიკო და იმ იმედით, რომ სარა მამიდას დავინახავდი, ვარსკვლავებს მია-იწოდება. სარა მამიდა ოდნავ მბჟუტავი, მქრქალი ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო. დიდხანს ვაკეირდებოდი ცას. მის სახესაც კი ვერ კიხსენებდი. ძებნას თავი დავანებე და სახლში შევბრუნდი. მამიდა არ მახსოვს, მხოლოდ ის საუბარი შემორჩია მეხსიერებას. და კიდევ ესეც მაგონდება: ქორნილში ვიყავით, ის იყო, პატარძლის თავზე გადმოყრილი ოქროს მონეტების შესაგროვებლად სხვა ბავშვებთან ერთად რომ დავიხარე, ვიღაცამ ჰაერში ამიტაცა. შეშინებულმა მოკიხედე და მამიდას გამეხებული სახე შემრჩა: "ჯევათ ფამას ოჯახის წევრები ძირს დაყრილ ფულს არ იღებენ!" - მითხრა და შემდეგ დასძინა: "ეს ბავშვებსაც ეკრძალებათ!"

"ნეტავ რა უნდა სარა მამიდას ჩემგან?" - მიუბრუნდი ჩიტს.

"ეს შენ თვითონ ჰყითხე", - მომიგო მან და მბზინავი ფრთები შეარხია. ოჭ, ახლა წავა, გაფრინდება და ეს თვალთვალიც დამთავრდება-მეთქი, - გავიფიქრე. მაგრამ ჩიტი არ განძრეულა. ნაცრისფერი, ოდნავ მოთეთრო ფრთები ასეთივე ფერის სამოსად გადაიქცა და ჩიტი ჭალარათმიანი ქალის სილუეტმა შეცვალა. გრძელი ქვე-დაბოლო და თეთრი მაქმანებიანი ბლუზი ჩაუცვამს, ლილები ბოლომდე შეუკრავს. ახლა ფანჯარაზე მოხუცი შავგვრემანი ქალი დგას. მას იმ ჩიტიგით პატარა თვალები და ნისკარტისებური ცხვირი აქვს. სეპიის ძველი გაყვითლებული ფოტოსურათიდან გადმოსულს წააგავს. ეს სურათი საიდანდაც მეცნობა. გამახსენდა: კარგად მახსოვს, ჩვენი საოჯახო ალბომის თვალიერებისას უამრავ ფოტოსურათს შორის ისიც მინახავს. მის სახელს მონინებით წარმოეთქვამ:

"სარა მამიდა!"

"დიახ, ფურეია, ეს მე ვარ."

"მანდ რას აეთებთ? ასე რად მიყურებთ? ან გარეთ რატომ დგახართ, შეგნით ხომ არ შემოხვალთ?"

"დრო მოვა და შემოვალ."

"რომელი დრო?"

"ნასვლის დრო, ჩემო გოგონა - შენ წასაყვანად მოვედი."

"ნასვლას არ ვაპირებ, მამიდა. აი, წამოვდგები და საქმეებს მი-  
ვუბრუნდები. გამოფენა მაქვს. თქვენ ვერ წამოგყვებით ჩემი მიზანი გადა-  
უდინდები." სამოგყვებელი მე ვარ."

"ჩემი მშობლები სად არიან? გამცილებელი თუ მჭირდება, რა-  
ტომ მათ არ მომაკითხეს?"

"მე მოვედი, რადგანაც ჩენ ერთმანეთს ძალიან ვგავართ."

"არა, არა, სულაც არა."

როგორ შეიძლება, მას ვგავდე? მე ლამაზი, მაღალი და ეშხიანი  
ვიყავი. დარბაზში შესვლისას ვიცოდი, რომ ყველა ჩემკენ მობრუნ-  
დებოდა, ყველას მზერა ჩემკენ იქნებოდა მომართული.

თითქოს, ჩემი ფიქრები წაიკითხაო: "გარეგნულ მსგავსებას არ  
ვგულისხმობ. შენ, რა თქმა უნდა, ეშხიანი და ლამაზი იყავი, მე კი  
დაბალი, შავგვრემანი და შეუხედავი. ჩემი ძმებივით ლამაზ და წარ-  
მოსადევ მამას კი არა, სირიელ დედას ვგავდი. ამიტომაც მიმათხო-  
ვეს ასაკოვან და ჩასუქებულ კაცს. მსგავსება, მე რომ გეუბნები,  
ჩევენს გარეგნობას არ ეხება, ჩევენ მსგავსი ბედი და მსგავსი ხასიათი  
გვაქვს. ულიმდამო, მაგრამ კეთილდღეობის მომტან ქორწინებას  
ორივემ დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრება ვარჩიეთ. არც  
შვილები გვყოლია. მთელი ცხოვრება სხვისი შეიღების აღზრდას  
შევალიეთ. მე ჩემი ძმები ვიშვილე, შენ კი - შენი ძმისშვილი. შენი  
ცხოვრება ჩემი ცხოვრების ერთგვარი გაგრძელება იყო. ორივემ ამ  
ბავშვებს მიუჟდევნით სიცოცხლე და სანაცვლოდ რა მივიღეთ?!"

"სულაც არ ვნანობ, სარა რომ ვიშვილე, სულაც არ ვნანობ!"

"ფურეია, არც მე ვნანობ, ჩემი ცხოვრება ძმებს რომ შევალიე.  
არც იმას ვდარდობ, ცამეტი წლისა "პატარა დედა" რომ გავხდი.  
მაგრამ ყველაფერი სხვაგვარადაც შეიძლება ყოფილიყო იმ ბავშ-  
ვებისთვისაც, ვისი დედობაც ჩენ ვიტვირთეთ და ჩევნთვისაც.  
უფრო მშვიდად, უფრო ბედნიერად ვიცხოვრებდით, ასე არ არის?  
იმედი გაგვიცრუვდა..."

ნეტავ საიდან იცის, სარასთან დაკავშირებული იმედი რომ გა-  
მიცრუვდა? მე ხომ ამაზე არცერთ სულიერთან არ დამიჩივლია.  
მუდამ იმაზე ვიცნებობდი, ჩემი გოგონა ცნობილი ხელოვანი ან  
მწერალი გამხდარიყო - ისეთი, როგორიც ჩევენს ოჯახს შეეფერე-  
ბოდა. როგორ შეუძლია ჩემი გულისნადების ნაკითხვა ზმანებად-

მოსულ გარდაცვლილ ქალს? ამ აზრმა ამაფორიაქა და საუბრის თემა რომ შემცვევალა, ვკითხე:

"მამიდა, არ ვიცოდი, უძედური თუ იყავით. მე თქვენ მხოლოდ ფოტოებიდან გიცნობთ. თქვენს სახესაც კი ვერ ვიხსენებ. ძალზედ პატარა ვიყავი, როცა გარდაიცვალეთ. თქვენი სიკვდილის ამბავსაც კი ბუნდოვნად..."

"ჩემი სიკვდილი რა მოსატანია, ფურეია," - სიტყვა მომიჭრა მამიდამ, "შაქირ ფაშას ტრაგიული დალუპვის შემდეგ ჩემს სიკვდილსაც და სიცოცხლესაც ერთი ფასი აქვს. ამ ქვეყნიდან ისე წავედი, დამტირებელიც არ დამრჩა. წუთისოფელს მეც სწორედ შენსავით იმიტომ მოვევლინე, საზოგადოებაში საპატიო ადგილი რომ დამემკვიდრებინა და მარტოობის ეკლიანი გვირგვინი მეტარებინა."

გული მეწურება, მამიდას რომ ვუსმენ. სულში სინანულმა დაისადგურა. ბაბუაჩემის გარდაცვალებიდან მრავალი ნლის შემდეგ ალიგსთან ერთად მის პირად არქივს ვათვალიერებდი. იმ საბუთებს შორის, რომელთან მიკარებასაც ვერავინ ბედავდა, პატარა ბავშვის აცახცახებული ხელით დანერილი ნერილის შავი პირი აღმოვაჩინეთ. და, თუმცა ღრმად პატივცემული არიფზადე ჰუსამედინ ბეიეფენდისადმი მიწერილ ბარათში ბავშვისთვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული შეცდომები ჭარბობდა, მიზანი ნათელი იყო.

"მამაჩევენის გარდაცვალებიდან ერთი კვირის თავზე დედაც დავკარგეთ. მიუსაფარნი დავრჩით. ბატონო ჩემო, როგორც მამაჩევენის უერთგულეს მეგობარს, წყალობას გთხოვთ. სტამბოლში ჩამოსვლის ნებას თუ დაგვრთავთ, მთელი ცხოვრება თქვენი მადლიერი ვიქნებით."

გამახსენდა, რომ ეს ბარათი მამიდამ ცამეტი ნლისამ დაწერა და ცრემლი მომერია. სასონარკვეთილმა პატარა გოგონამ უმცროს ძმებზე - თერთმეტი და რვა ნლის ბავშვებზე პასუხისმგებლობა იტვირთა და იმ კარს დაუწყო ძებნა, რომელსაც მას სიყვარულით გაულებდნენ. ყველგან მივიდა მამიდა, ყველა კარზე დააკაკუნა. ბოლოს გაუმართლა. მამის მეგობარმა ჰუსამედინ ეფენდიმ იბლები შეიფარა - ჯევათი და შაქირი სამხედრო სასწავლებელში მიაბარა. მისი უფროსი დები სარას სამი ნელი მფარველობდნენ, შემდეგ კი ორმოცდაათს გადაცილებულ, ჩასუქებულ, ასაკოვან, მაგრამ

ძალზე მდიდარ მამაკაცს მიათხოვეს. სარას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ძმებისათვის ნარმატებული მომავლის უზრუნველსაყოფად ფული სჭირდებოდა. ბოლოს ასაკოვანი ქმარიც მოუკვდა და მთელი ავლადიდება ჯევათსა და შაქირს მოახმარა.

ხელი გაუუნოდე, მომინდა შევხებოდი, სიყვარულით გადავხვეოდი და პატიება მეთხოვა იმისთვის, რომ მისი საფლავი ერთხელაც არ მომინახულებია, მინდოდა მის მხარზე მიყრდნობილს მეტირა.

"გულს ნუ გაიტებ, ფურეია," - მითხრა მამიდამ, თითქოს კვლავ ჩემს აზრებს კითხულობს: "არავის ძალებს თავისი ბედის განსაზღვრა, განვებას უნდა დავემორჩილოთ."

"მამიდა... სარა მამიდა... ნეტავ, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გულის სწორი მოგექებნათ და მას გაპყოლოდით!"

"ფურეია, იცი, დედაჩემი როგორ გარდაიცვალა? მამაჩემის ღალატმა მოუსწრაფა სიცოცხლე. მაშინ საკმაოდ მოზრდილი ვიყავი და ყველაფერი მესმოდა. ჩემს ძმებს კი სიმართლე დავუმაღე. არ მინდოდა მამისადმი პატივისცემა დაეკარგათ. ამის შემდეგ მამაკაცებისგან თავი შორს მეჭირა, ჩემთვის მხოლოდ ჩემი ძმები არსებობდნენ, მათ შეცდომებზე თვალს ვხუჭავდი, რადგან ისინი უკვე ჩემი შვილები იყვნენ - ბავშვები, რომლებიც დედამ ჩამაბარა. გათხოვებაც არ მინდოდა, მაგრამ ჩემი ძმების მომავალზე ვფიქრობდი, ძალაუფლება მჭირდებოდა. ძალაუფლება ფულია, ეს შენც კარგად იცი. ფული და ძალაუფლება სწორედ ქორნინებამ მომანიჭა. მართალია, ახალგაზრდა დავქვრივდი, მაგრამ არც ისე ლამაზი ვიყავი. სხვა ქმარი არ მდომებია. ვინ იცის, რამდენჯერ მატკინეს გული, რა გადავიტანე, ყველა ცდილობდა, ქმრის დანატოვარი ქონება ნაერთმია, ძმების მფარველობას მიშლიდნენ, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი გული მხოლოდ ჯევათსა და შაქირს ეკუთვნოდა, სიკვდილამდე მხოლოდ ისინი უნდა მყვარებოდა."

მამიდას სილუეტი თანდათან გაფერმკრთალდა, გაიცრიცა და ფანჯრის მინას შეერწყა. მინდოდა დამეძახა - "მამიდა, რა იქნება, ჯერ არ ნახვიდე," მისი შეჩერება მსურდა. ეჲ, ალიე! ცოცხალი რომ ყოფილიყავი, ხომ გაგიზიარებდი ამ ზმანებას!

მე და ალიემ სარა ხანუმის ბარათის შავი ხელნაწერი ნავიკითხეთ და ოჯახის წევრებს კითხვები დავაყარეთ: როგორი იყო სარა მამიდა? რატომ მიათხოვეს ძალიან ბებერ და მსუქან კაცს? რად არ გათხოვდა მეორედ? მამამისი - ასიმ ბერ და მისი სირიელი ცოლი როგორი ადამიანები იყვნენ? რა იყო მათი გარდაცვალების მიზეზი?

"ასიმ ბერ და მისი ცოლი რამ გაგახსენათ?" - გვეითხა ბებიამ, "ისინი ხომ დიდი ხანია აღარ არიან, მათთან რა გესაქმებათ?"

ზედმეტი შეკითხვებით ბებიას შეწუხება არც კი გვიფიქრია. თავისი გასაჭირი ეყოფოდა. გარდაცვლილ ქმარს და ოჯახისაგან მოშორებულ ვაჟიშვილს გლოვობდა. მე მხოლოდ ათი წლის ვიყავი და არ ვიცოდი, რომ ბიძაჩემი სადღაც შორს კი არა, ციხეში იჯდა. წუთუ ალიემაც არ იცოდა? რომ სცოდნოდა, უსათუოდ მეტყოდა. მას შემდეგ, რაც ბიძაჩემის ამბავი გაცხადდა, თითქოს პირი შეკრესო, ის შორს არის, ჯერ არ დაბრუნდებაო, - გვეუბნებოდნენ. ამის გარდა ვერაფერი დავაცდენინეთ. ასიმ ბერის ამბავი კი ასე გასაიდუმლოებული არ ყოფილა. ჩვენს გამდელს ალიე სიგიურმდე უყვარდა, ერთხელ ნათევამს აღარ გაამეორებინებდა. სწორედ ალიესგან შევიტყვე გამდელის ნამბობი. მრავალი წლის შემდეგ, როცა ამ-ბავს ვიხსენებდი, ვფიქრობდი, რომ ალიემ ის თავისი ფანტაზიითაც გაამდიდრა, რადგანაც წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, გამდელს თვრამეტი წლის ქალბატონისთვის მოეთხრო, თუ როგორ უკაცნიდა დიდი ბატონი მოახლეს მკერდს. მაგრამ ალიესათვის ჩემი ეჭვი არასდროს გამიმხელია. ალბათ იმიტომ, რომ ეს ისტორია იმდენად რომანტიული და, ამავე დროს, იმდენად დაუჯერებელი იყო, ვშიშობდი, ხიბლი არ დაევარგა. თითქოს ჩემი თვალით ვხედავ, უკანა ბალის ფანტატურში როგორ ეჩურჩულება გამდელი ალიე...

"დიდმა ქალბატონმა რომ გაგვიგოს, ძალიან ენყინება. ეს ოჯახის საიდუმლოა."

"წუთუ მე იჯახს არ ვეკუთვნი, ლალა?!"

"ჰოდა, მეც ამიტომ გიყვები..."

ალიე გამდელს მოეხვია: "ყველაფერი მიამბე, ლალა. გთხოვ, არაფერი დამიმალო".

"მამათქვენის დედა დამასკოში ნარჩინებული ჰათათზადეს ოჯახიდან იყო, ასიმ ბერ დამასკოში რომ გაანანილეს, ახალგაზრდა

და მოხდენილი ოფიცერი გახლდათ, მაჭანქლის მეშვეობით და-  
ქორნინდა. სარა მამიდა და ძირი ჯევათი დამასკოში დაითადნენ, მა-  
მათქვენი შაქირ ფაშა კი ბურსაში გაჩნდა. ბოლო მშობიარობის შემ-  
დეგ ბებიათქვენს ჰლექი შეეყარა. ექიმებმა, წამლებმა და დასვენე-  
ბამ ვერ უშველა. სენმა მეტად დარია ხელი. ექიმებმა ქალბატონს  
ქმართან სიახლოვე აუკრძალეს. ამან ფილტვებთან ერთად გულიც  
დაუავადა. ბავშვების მომვლელად ქალი აიყვანეს. ბებიათქვენს ის  
ქალი დიდად არ მოეწონა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ერთ საღა-  
მოს დაუძლურებული ქალბატონი აივანზე გავიდა. ფანჩატურში  
ქმარი შენიშნა. ასიმ ბეი საკინძეშესნილ ძიძას მკერდს უკოცნიდა.  
ბებიათქვენი იქვე, აივნის ცხაურთან ჩაიკეცა და შეეცადა, ხელა  
შეეკავებინა. ასიმ ბეიმ მისი ხმა გაიგონა, თავი ასწია და მეუღლის  
თვალებს შეეფეთა, მაშინვე ზევით აირბინა... ხელში აიყვანა და სა-  
წოლში ჩაანვინა... ქალბატონმა სული მოითქვა: "ასიმ ბეი, მე არა-  
ფერი დამინახავს", - ესლა უთხრა და გონება დაუკარგა. შუბლზე ლი-  
მონის სუნამოთი გაუღენთილი ცხვირსახოცი დააფინეს, პიტნის  
ესენცია ასუნთქეს, მაგრამ ვერც გონს მოიყვანეს, ვერც სიცხე და-  
უგდეს... ასიმ ბეი თავლისკენ გაიცეა, ცხენი შეკაზმა, შეახტა, დეზი  
ჰერა და ბურსის ველისკენ გააჭენა. სინდისის ქრისტიანისა თუ სინა-  
ნულისგან გარიურაჟამდე მიაგელვებდა ცხენს. როცა ინათა, ცხენ-  
მა მშეიდი ნაბიჯით შინ მოიყვანა გონდაკარგული მხედარი. ასიმ  
ბეი ცხენიდან ჩამოსვეს და დაანვინეს. ექიმიც მოუყვანეს. ავადმ-  
ყოფს ბრმა ნანლავი ჰქონდა გახეთქილი, რასაც პერიტონიტი გა-  
მოეწვია; იმავე საღამოს დალია სული.

"ბებიათქვენს მეუღლის გარდაცვალება არ გაუგია". "ჩემი ქმა-  
რი სად არის? სად არის ასიმ ბეი? რატომ არ მოდის ჩემთან?" - გა-  
ნუწყვეტილი ექიმთხებოდა ირგვლივ მყოფთ.

"მისთვის ეს ამბავი არ შეუტყობინებიათ. სამი დღის შემდეგ კი  
სარას უხმო, ვაჟიშვილები ჩააბარა და სული განუტევა".

ხელს ვუწდი ფანჯარასთან მდგომ მამიდას, მაგრამ იგი თანდა-  
თან მშორდება. მის ადგილზე კი ისევ ის თეთრი ჩიტია... ლმერთო,  
ნეტავ დასრულდეს ეს ზმანება, ეს ტანჯვა! რატომ მაიძულებენ  
სულ ძილს? ნეტავ, წამომაყენონ. დამღალა ნოლამ. მომბეზრდა  
უსასრულოდ ფანჯარაში ცქერა. რა ხანია, ამ საწოლს ვარ მიჯაჭ-

ვული. ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე, ერთი სიცოცხლე? აშეა-  
რად დავკარგე დროის შეგრძნება. ალბათ, კარგა ხანია აქ ვარ თითქოს ამ სანოლის განუყოფელ ნაწილად ვიქეცი. ჩემს სხეულში განუყვეტლივ რაღაც წამლები შეჰყავთ და ამის გამო ცხედარი-  
ვით გაუნძრევლად ვნევარ, თვალები ერთ წერტილს მაქვს მიშტე-  
რებული. მაგრამ ჯერ არ მოვმედარვარ, ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ  
ცოცხლებში ვითვლები, რადგან ფანჯრიდან დროდადრო ღრუბ-  
ლებსა და მოფრთხიალე ჩიტს ვეხდავ. ზოგჯერ კი ჩემ ირგვლივ მო-  
ფუსფუს ადამიანების ფეხის ხმაც მესმის, იშვიათად - მათი საუბა-  
რიც, რომელიც დროდადრო ყრუ გუგუნივით აღნევს ჩემამდე. სის-  
ხლის ასაღებად მოსული ექთნის ხავერდოვანი ნაზი ხმა, მუშერე-  
ფის და სარას ნაცნობი ხმები, ექიმების საუბარი... "მითხარით, ექი-  
მო, მდგომარეობა მართლაც სავალალოა? ნუთუ იმედი არ არის?" -  
ხშირად კითხულობს სარა. კითხვა მესმის, მაგრამ პასუხს ვეღარ  
ვარჩევ. რა სამწეხაროა! არ მესმის, მაგრამ ყველაფერს ვხვდები.  
იმედი აღარ აქვთ. ისინი ასე თვლიან. ჩემი გული კი რატომლაც იმე-  
დითაა სავსე. თითქოს საოცრად ამაღელვებელი, ბედნიერი მოგზა-  
ურობისთვის ვემზადები... თითქოს, სანამ აქ გაუნძრევლად ვნე-  
ვარ, ვიღაც ჩემოდანში ჩემს საყვარელ ნივთებს ალაგებს - ტანისა-  
მოსს, ფეხსაცმელს, სამკაულს, აბრეშუმის ღვინისფერ მოსასხამს...  
მასში თიხას, ქანდაკებებს და ლუმელსაც კი ატევს. განა ლუმელი  
ჩემოდანში ჩატევა? და აი, მოთავსდა... ის ჯადოსნური ხელი ჩემს  
ყველა ნივთს მჭიდროდ ტენის ჩემოდანში, რომ არაფერი დამრჩეს.  
მოვა დრო და ჩემს უკანასკნელ შოშიასთან ერთად ცაში ავფრინდე-  
ბი. დიახ, ფანჯრიდან მომზირალი უზარმაშარი ჩიტის ან მამიდაჩე-  
მის თანხლებით კი არა, იმ შოშიასთან ერთად გავფრინდები, ლოგი-  
ნად ჩავარდნამდე რამდენიმე დღით ადრე რომ გამოვძერნე. დიახ,  
ცაში ავფრინდები... ფირუ ზისფერი უსასრულობისკენ...

ყოველთვის მიტაცებდა მოგზაურობა. მხიბლავდა სხვა პორი-  
ზონტები, სულ სხვა სამყარო. თავისუფალი და ძლიერი ჩიტივით  
ცისკენ ვისწრაფოდი. მოგზაურობაზე ფიქრმა ხასიათი გამომიკე-  
თა. ჩემეულებრივ, ყოველი მოგზაურობის წინ საოცრად ვღელავ  
ხოლმე, მაგრამ ჯერ ნაადრევია. ჩემი გამგზავრების დრო არ დამდ-  
გარა. ერთხანს ისევ აქ ვიქნები... რამდენი რამ დამრჩა გასაკეთებე-

ლი, რამდენი რამ უნდა გავიხსენო, ვთქვა - ეს ყველაფერი ნინ  
მაქვს. მათ კი ეს არ იციან, ჩემს სასოფტმალთან ტრიიალებენ, მაგრამ  
არაფერი იციან. რა შეუგნებლობაა, ღმერთო! მათი არ მესმის. ჰელ-  
ნიათ, რომ მალე მოვკვდები და თავს დამტრიალებენ. დროდადრო  
ჩემთან საუბარს ცდილობენ.

"მამიდა, მამიდა, გესმით ჩემი? თუ გესმით, გთხოვთ, ხელი მო-  
მიჭიროთ, რამე მანიშნოთ!" - სარა თითებზე ძლიერად მიჭირს  
ხელს და ჩემგანაც იმავეს ელის.

"სარა, იქნებ მშვიდად ყოფნა ურჩევნია," - ეუბნება მუშერეფი.  
ჩემი ერთგული მუშერეფი, ჩემი გულითადი მეგობარი, მას ყოველ-  
თვის ესმოდა ჩემი. სარა კი არ ცხრება - "მამიდა, გთხოვ, თუ გეს-  
მის, თვალები გაახილე, ხელი მომიჭირე, მანიშნე რამე".

სარა, აშეარად მესმის შენი. რამდენი შენიშვნა, რამდენი რჩევა  
მომიცია შენთვის. მაგრამ სხვისთვის ვის დაუგდია ყური, რომ შენ  
მომისმინო? აი, ახლაც, ხელსაც გიჭერ, თვალებსაც ვახამხამებ,  
მაგრამ შენ ხომ ამას ვერ ხედავ. ვერც მე გხედავ. ჩემს სასოფტმალ-  
თან კი ზიხარ, მაგრამ რა ხანია, მხოლოდ თეთრად შეღებილ ფან-  
ჯარას ვუმზერ და ერთადერთი, რისი დანახვაც შემიძლია, ნაცრის-  
ფერი ცა და ეს ჩიტია. შესაძლოა, ცა კი არა, კინოერანია, რომელ-  
ზეც მთელი ჩემი ცხოვრება ჩანს... თეთრი ფარდა... თუმცა, არა,  
თეთრი კი არა, ნაცრისფერი ფარდაა. ფარდის მარჯვენა ქვედა  
კუთხეში თეთრი ჩიტი დასკუპებულა. ბუმბულზე ფოლადისფერი  
გადაპერავს. ჩემკენ მომართული ნერილი ნითელი თვალები დაუი-  
ნებით მომჩერებია, ჩემს გულში შეღწევას ლამობს.. ჰეი, ჩიტო, გუ-  
ლის კარი არავისთვის გამიღია და გვონია, ახლა შენ გადაგიშლი?  
ზუსტად ოთხმოცდაორი ნელია, რაც ჩემს გრძნობებს საიდუმლოდ  
ვინახავ. არა, ვტყუი, ჩიტო. . თავიდან ასე დაფარული არ მქონია.  
სიყვარულმა და ოცნებებმა შადრევანივით ამოხეთქა გულიდან..  
ჩემი გული მხოლოდ მაშინ დაიხშო, როდესაც პირველად ჩავხედე  
სიკედილს თვალებში... ხის მაგიდაზე ჩემს შვილთან ერთად გარდა-  
ვიცვალე, შემდეგ კვლავ გავცოცხლდი და ამ ქვეყანას უკვე უბავშ-  
ვოდ დავუბრუნდი .. ოცი ნლის ვიყავი, როდესაც სიყვარულის, იმე-  
დების და ჩვილის დაკარგვით გამონვეულმა სიმწარემ გულში მოუ-  
შუშებელი იარა დამიტოვა... არა, ჩემთვის მნარე მოგონებების  
დრო ჯერ არ დამდგარა... მათი დროც მოვა და მოვკვები. ახლა მხო-

ლოდ ჩემი ცხოვრების ის სურათები მინდა ვიხილო, რომლებიც სი-  
ცოცხლის ხალისით ავსებდნენ ჩემს გულს... ყველაზე ძველი სურა-  
თები... ზმანებაში მამიდას ნახვამ მონატრების გრძნობა გამიმძაფ-  
რა. ახლა სიხარულით დავპრუნდებოდი შორეულ ნარსულში... გა-  
ვემგზავრებოდი კუნძულზე, სადაც ბალის კუთხეში მდგარ ჩვენს  
პატარა სახლში ჩიტის უღურტული და უასმინის სურნელი გამალვი-  
ძებდა, ბაბუაჩემის საზაფხულო სასახლისკენ გავიქცეოდი და მას  
საბუდრიდან ახალამოლებულ თბილ კვერცხს გამოვართმევდი. ახ-  
ლაც ვგრძნობ ფასმინის სურნელით გაჟღენთილი თმის სურნელს.

"ბავშვებო, ეს ბალი სამოთხის ერთ-ერთი კუთხეა", - გვეუბნე-  
ბოდა ბებია.

"სამოთხე რა არის, ბებო?"

"ადგილი, სადაც სიკვდილის შემდეგ მიდიან კარგი ადამიანები,  
ჩემო პატარავ".

"მაგრამ ჩვენ ხომ ცოცხლები ვართ?"

"მერედა, ეს თუ სამოთხეა, ესე იგი არასდროს მოვკვდებით. თა-  
ნაც ჩვენს მინაზე ვართ," - ამბობდა ალი.

სხვათა შორის, ალი არ მომკვდარა. თავის სიცოცხლეში მან სა-  
მოთხეც გამოიარა და ჯოვოხეთიც. საკუთარი გრავიურებით, გი-  
ური, ჭრელი, გამომწვევი სამოსით, დიდრონი ცისფერი თვალები-  
თა და სიყვარულით სავსე გულით ისევ ცოცხლობს მისი ნაცნობე-  
ბის მეხსიერებაში.

რას გიყვებოდით? ჰო, სამოთხე. ბუიუქადაზე შაქირ ფაშას სა-  
ზაფხულო აგარაკის ბალში გაზრდილმა ბავშვებმა კარგად ვიცო-  
დით, თუ რა იყო სამოთხე.

სამოთხე - ეს იყო მეჩეთსა და ეკლესიას შორის მდებარე სამ-  
სართულიანი ოსმალური ხის სასახლე. ბალში, რომელიც უკიდევა-  
ნოდ მიგვაჩინდა, უასმინი, ალთე, იაპონური ვარდი, ჰორტენზია და  
მიმოზა ყვაოდა. ნაშუადლევს მონაბერი ნიავი ბებიაჩემის სამშობ-  
ლოდან - კრეტიდან სპეციალურად ჩამოტანილი დაფნის, რეპანისა  
და აკაციის არომატს ერთმანეთში აზავებდა და ბალში ისეთ სურ-  
ნელს დაატრიალებდა, თავი პარფიუმერის დუქანში გეგონებოდა,  
სადაც მიყოლებით ჩამნკრივებულიყო ეთერზეთებიანი შუშის ქი-

ლები. სახლის ჭიშკრიდან მიმავალ გზას თუ გაუყვებოდით, მეჩეთთან მიგიყვანდათ, უკანა ჭიშკრიდან კი, გახვიდოდით თუ არა, ეკლესიას მიადგებოდით. იქ მცხოვრები ადამიანები მეტად დაბნეულიყვნენ - ამ ორ ტაძარს შორის არჩევანი ვერ გაეეთებინათ: ისინი ხელს ეკლესიის სიმბოლოსკენ - დასავლეთისკენ იშვერდნენ და გონებითაც იქით მიისწრაფოდნენ; მათი გულები კი აქ დარჩენილიყო - იმ საზოგადებაში, რომელიც მეჩეთს ეკუთვნოდა. თავს არასდროს მივიჩნევდი აღმოსავლეთის მკვიდრად, მაგრამ ერთხელაც, როდესაც შევიცარიის კლინიკაში ვინექი და სიცოცხლესთან დამაკავშირებელ ძაფებს ვებღაუჭებოდი, აღმოვაჩინე, რომ მას შემდეგ, რაც კერამიკით დავინტერესდი და მთელი ჩემი არსებით ჩავიძირე ამ სამყაროში, ჩემ მიერ შექმნილი ყველა სიმბოლო, ჩემდა გასაოცრად, დასავლეთის საზოგადოების გემოვნებას, ფილოსოფიას და ფორმას კი არა, ჩემი მშობლიური მინა-წყლის ფერებსა და სიმბოლოებს ასახავდა. მე, ოსმალეთის ტიტების, მიხაკებისა და ტირიფების, ანატოლიის სიმწვანის, კრამიტისფერი წითლის და, განსაკუთრებით კი, ხმელთაშუა ზღვის ფირუზისფერის ტუსალი ვყოფილვარ... თხემით ტერფამდე ბიზანტიელი, სტამბოლელი და ანატოლიელი ვყოფილვარ თურმე. კეთილი, გაინტერესებთ, როდის და როგორ დავასრულე ეს მოგზაურობა საკუთარ სულში? მოგითხობთ... ყველაფერს გიამბობთ, მაგრამ თანმიმდევრობით.

დავიწყოთ თავიდან, როგორც წესი და რიგია. ჩემთვის ყველაფრის საწყისი წერტილი, როგორც უკვე აღვნიშნე, კუნძულზე მდებარე სასახლეა. მხოლოდ ჩემთვის კი არა, იქ დაბადებული სხვა ბავშვებისთვისაც - ფაპრუნისასა და ალიესთვისაც ამ სასახლეს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. თითქოს ჩვენ - შაქირ ფაშას შთამომავლები - მშობლებს კი არა, ამ ოსმალურ ხის სასახლეს ვეკუთვნოდით, სასახლეს, რომელმაც, ცხრა თვის ნაცვლად თითქოს ნლობით გვატარა თავის წიაღში, გენებში ჩაგვებეჭდა, ძვალსა და რბილში გაგვიჯდა და დედის რძის მაგივრობა გაგვიწია. მას შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში შეძენილი გამოცდილება, თავს გადახდენილი წარმატება თუ ნარუმატებლობა ყოველგვარი სიხარული თუ სიმწარე - ყველაფერი წვრილმანი იყო იმ ამაგთან შედარებით, რაც მან ჩვენი ჩამოყალიბებისთვის გასწია. დედაჩემი, დეიდა აიშე და ბიძები - ვე-

ვათი და სუათი - ამ სახლში არ დაბადებულან და, ცხადი იყო, რომ ისინი მხოლოდ ჩვეულებრივი ბინადარნი იყვნენ. ნებისმიერი ჩვენ- განისაზღვის კი, რომლებიც ამ თეთრადშელებილ იდუმალ სახლში დაკიბადეთ, გავიზარდეთ ან უბრალოდ ვცხოვრობდით, ცხოვრება, როგორც წელთაღრიცხვა, ორ ნანილად - "კუნძულზე" და "კუნძუ- ლის შემდგომ" პერიოდებად იყოფოდა.

კუნძულზე დასახლებამდე ჯევათ და შაქირ ფაშების ოჯახების ცხოვრებაში იყო ილდიზის და ნიშანთაშის სასახლეები და დევნი- ლობა. იმ დღეების შესახებ ჩვენ - ბავშვებმა არაფერი ვიცოდით. მაგრამ ნიშანთაშის სასახლიდან წამოღებული ნივთების ნახვისას დარწმუნდებოდით, რომ კუნძულამდე ცხოვრება ბევრად უფრო დიდებული ჰქონდათ. მაგალითად, გადია გვიყვებოდა, რომ ედ- მონდ დე როტშილდის ნაჩუქარი ობუსონის ხალიჩა, რომელიც იმ- ხელა იყო, რომ სალონში ძლივს ეტეოდა, ძველ სასახლეში არაფ- რად მიაჩნდათ; იაპონიის იმპერატორის საჩუქარი - ფარავანი, ჩი- ნეთის იმპერატორის მიერ გამოგზავნილი მინგის ლარნაკები, პა- რიზში ოსმალური სასახლისაზღვის დამზადებული მოოქრული სა- ვარძლები - ეს ყველაფერი ნიშანთაშიდან წამოუდიათ. და თუ კუნ- ძულზე თხუთმეტიოდე მოსამსახურე ჰყავდათ, ნიშანთაშის სასახ- ლეში ერთი ოცდახუთი - წინა ოთახებს, მეორე ოცდახუთი კი უკა- ნა ოთახებს ემსახურებოდა. გადიას ჩვენი თხოვნა არც კი სჭირდე- ბოდა, ისე გვიამბობდა ყველაფერს.

ნივთი, რომელიც ჩემზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენ- და კუნძულის სასახლეში, იყო ილდიზიდან ჩამოტანილი სამშეტ- რიანი მოოქრული სარკე, რომელიც მთელ კედელს ფარავდა. მის ნინ ვდგებოდი და უზარმაზარ სარკეში ცეროდენა ვჩანდი. ჩემ უკან მოჩანდა განიერი ჰოლი და ყვითელ და ვარდისფერ სალო- ნებში შესასვლელი. ეს დარბაზები სავსე იყო საქსისა და სერვერების ანტიკვარული ლარნაკებითა და სამშევნისებით, რომლებთან მი- კარებასაც ბავშვებს გვიერდალავდნენ. ამპირის ავეჯით გაწყობი- ლი სალონის სილრმეში შაქირ ფაშამ ჭერზე სარქმელი ამოაჭრევი- ნა, რათა გოგონებს როიალის დაკვრის დროს წოტები კარგად გა- ერჩიათ. ზემოდან გადმოურქვეული შუქი ეტაუერებზე შემოდგ- მულ მცენარებს ეცემოდა.

ძია ჯევათის ქალიშვილი - მუთარა, ძია სუათის გერი - ჯერალ-

დინი და მე ხვეული კიბის მოაჯირზე ვსხდებოდით, ქვევით მოვს-  
რიალებდით და ერთმანეთს ვეჯახებოდით.

ალექ ჩვენზე უფროსი იყო, მაგრამ ჩვენთან ერთად თამაშობდა  
და ამის გამო მუდმივად საყვედურს იღებდა. ზედა სართულზეც,  
ქვედა სართულის მსგავსად, პოლი და ორი სალონი იყო. ერთ-ერთ  
მათგანში დიდი, მოხერხებული სავარძლები იდგა. იქ საღამოობით  
ჩაის ვსვამდით. ბალში გამავალი მეორე ოთახი კი ბაბუაჩემის - შა-  
ქირ ფაშას კაბინეტი იყო. ჩვენ გვეკრძალებოდა ამ საიდუმლოებით  
მოცულ ოთახში შესვლა, სადაც ჭერამდე აზიდული წიგნის თარიე-  
ბი და მუდმივად არეული, საბუთებითა და წიგნებით სავსე სანერი  
მაგიდა იდგა. ზოგჯერ შიგნით გასაღების ჭუჭრუტანიდან ვიჭყი-  
ტებოდით, როგორც ალიერ გვასწავლა.

ბაბუაჩემის ძმამ - ჯევათ ფაშამ - სამხედრო აკადემია წარჩინე-  
ბით დაამთავრა. საქმაოდ ახალგაზრდამ თურქეთ-რუსეთის ომში  
თავი გამოიჩინა. სამხედრო ნიჭის, ისტორიისა და ენის ცოდნის  
წყალობით ბერლინის ხელშექრულების დადებაშიც მნიშვნელოვა-  
ნი წვლილი მიუძღვოდა. საგანგებო უფლებებით აღჭურვილი კრე-  
ტის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს. მიღწეული წარმატებე-  
ბის გამო ჯერ მარშალის ჩინი უბოძეს, შემდეგ კი სადრაზამი - დი-  
დი ვეზირი გახდა. ბაბუაჩემი - შაქირ ფაშა - მისი ადიუტანტი იყო.

სტამბოლში ყოფნისას ჯევათ ფაშა და შაქირ ფაშა ილდიზის  
სახლში ცხოვრობდნენ, რომელსაც მათი უფროსი და სარა ხანუმი  
უძღვებოდა.

ძია ჯევათი, დედაჩემი და დეიდა აიშე ილდიზის სასახლეში დაი-  
ბადნენ. მას შემდეგ, რაც ჯევათ ფაშა სადრაზამი გახდა, ნიშანთა-  
შის დიდებულ სასახლეში გადავიდნენ, სადაც ამჟამად იშიქის ლი-  
ცეუმია განთავსებული. ძია სუათი ამ მშვენიერ სასახლეში მოვ-  
ლინა ქვეყანას, მაგრამ ოჯახის ბედნიერი დღეები დიდხანს არ გაგ-  
რძელებულა.

სადრაზამად ყოფნისას ჯევათ ფაშა ცდილობდა, დაუძლურებუ-  
ლი ოსმალთა სახელმწიფოსათვის ომი აერიდებინა. ამიტომაც გა-  
დანყვიტა სულთნისადმი ნერილის გაგზავნა. იგი იუნყებოდა, რომ  
ქვეყნის სხვადასხვა რევიონში ქაოსი სუფევდა და სულთანს  
სთხოვდა, სასახლის ჩინოვნიკებს მთავრობასა და სახელმწიფო პო-  
ლიტიკაზე გავლენა შეემცირებინათ. მაგრამ სულთანმა არ მიიღო

ერთგული სადრაზამის გაფრთხილება და მეტიც, იგი სასახლის ავ-  
ტორიტეტის შელახვაში დაადანაშაულა. 1895 წელს ჯერ კრეტიზე,  
შემდეგ კი დამასკოში გაამწესა. დამასკოში მე-5 არმიის სარდალი  
ჯევათ ფაშა ჭლექით დაავადდა, მაგრამ კარგა ხანს სტამბოლში  
დაბრუნების ნებართვაც კი ვერ მოიპოვა.

"ჩემო ბატონო", - იტყოდა გადია და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხე-  
დავდა - "მისი უდიდებულესობა - ჯევათ ფაშა იმდენად ნიჭიერი და  
სამშობლოსათვის თავდადებული იყო, რომ მეტად გაუჭირდა იმ  
აროის ფადიშაპთან ცხოვრება. მმართველებს არ სტირდებათ  
გვერდით ისეთი ქვეშევრდომები, რომლებიც მათზე მეტ შუქს ას-  
ხივებენ".

ფადიშაპი, რომლის სახელის ნარმოთქმასაც გაურბოდა გადია,  
სულთანი აბდულჰამიდი გახლდათ. თუმცა აბდულჰამიდი დიდი  
ხნის გარდაცვლილი იყო, გადია რატომლაც ეჭვობდა, რომ სულთ-  
ანის მსტოვრები იქვე იყვნენ. ეს ეჭვი, ალბათ, იმ დროიდან გაუჩნდა,  
როდესაც შეთქმულების პარანოიით შეპყრობილმა სულთანმა ჯე-  
ვათ ფაშა სამსახურიდან დაითხოვა და სასიკედილოდ სწეული და-  
მასკოში გადაასახლა.

მამიდა სარა კი, რომელმაც ყველაფერი კარგად უწყოდა, დიდ  
სულთანს ეახლა, რათა ძმისთვის შენყალება და სტამბოლში დაბ-  
რუნების ნებართვა გამოეთხოვა. ნარბიც არ შეუხრია, ასე უთქ-  
ვამს, დიდი ხელმწიფე საბრალო მარტოხელა ქალს რას დამაკლებს,  
ხომ არ მომელავს, თუ გამომაგდებს, მეც ნამოვალო. მამიდათქვე-  
ნის გარდა ასეთ რამეს ვერავინ გაბედავდა გადია.

სასიკედილო სარეცელს მიჯაჭული ჯევათ ფაშა სულთნის სი-  
ჯიუტის გამო იმ ნესტიან ქვეყანაში რჩებოდა. მაგრამ სარა ხანუ-  
მის ხევწნა-მუდარის შემდეგ, უკვე მომაკედავმა, სტამბოლში დაბ-  
რუნების ნებართვა მიიღო; საკმაოდ მძიმე გზა გამოიარა და სტამ-  
ბოლში ჩამოსვლიდან ორ დღეში სული განუტევა. მას შემდეგ, რაც  
უფროსი ძმა ახალგაზრდა ასაკში გარდაეცვალა, ბაბუაჩემმა - შა-  
ქირ ფაშამ სასახლის მიმართ ნდობა დაკარგა. თუმცა, შესაძლებე-  
ლი იყო, უფროსი ძმის მსგავსად ისიც სადრაზამად დაეწინაურები-  
ნათ - როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიისა და ენის კარგი

მცოდნე. სასახლის კარზე გავლენიან პირთა შორის სულ თითზე ჩამოსათვლელი იყო იმ ჩინოვნიკთა რიცხვი, რომლებიც მხედრული ნიჭით, განათლებით და რამდენიმე ენის ცოდნით გამოირჩეოდნენ. ბაბუამ უყოფმანოდ დათმო ეს კეთილდღეობა და ამ ყველა-ფერს გაერიდა, ბუნების წიაღში ცხოვრება ამჯობინა, სადაც სა-სახლის ქორებსა და ჩინოვნიკებს მოშორებული იქნებოდა. მან ბუ-იუქადაზე გადასვლა არჩია, სადაც ძირითადად სასახლეზე გა-ნაწყენებული სახელმწიფო მოღვანეები და ფაშები იყვნენ გადახ-ვენილი. კუნძულზე მან მეჩეთსა და ეკლესიას შორის მდებარე სა-სახლე იყიდა. სწორედ ამ სასახლეში დაიწყო ოსმალეთის ისტორი-ის ხუთტომეულის წერა. აქ დაიბადნენ დეიდა ფაშრუნისა, დეიდა ალიე და აქ დავიბადე მეც.

## კუნძულზე

"ზაფხულის თვეები კუთილსურნელოვანი ვაშის მტკვნებსა და  
 ბროლის სასმისში ჩამოსხმულ ყინულივით ცივ  
 ბროჭულის შარბათს ჰგავდა"

"ფურეია, ნუ მოძრაობ, თორემ გეტკინება", - თქვა ჰაკიემ, რო-  
 მელიც სპილოს ძვლის სავარცხლით ქალიშვილის ხშირი შავი თმის  
 დავარცხნას ცდილობდა.

"მეც ალიესავით ვარდისფერი ლენტი გამიკეთეთ."

"ალიე ყმანვილი ქალია, შენ ჯერ პატარა ხარ, შვილო".

"გთხოვ, დედიკო, მეც მინდა ლამაზი ვიყო".

"შენც ლამაზი იქნები, როცა გაიზრდები".

"არ ვიქნები, მე ცისფერი თვალები არა მაქვს."

"იმისათვის, რომ ლამაზი იყო, ცისფერი თვალები აუცილებელი  
 არ არის".

"აუცილებელია! დედიკო, რატომ არ მაქვს ცისფერი თვალები?"

"იმიტომ, რომ დედაშენს და მამაშენს შავი თვალები აქვთ, შვი-  
 ლო."

"მაგრამ ალიეს ცისფერი აქვს."

"ალიე დედაშენი კი არა, დედაშენია, ფურეია."

"ნეტავ ალიე იყოს ჩემი დედა! მეც ცისფერი თვალები მექნებო-  
 და!"

ჰაკიემ სავარცხელი დაუზოგავად დაუსვა შვილს თმაზე. "ვაი!" -  
 შეჰყვირა ბავშვმა.

სილამაზის ხსენებაზე ჰაკიემ გაეპასდა. მასზე ორი წლით უმც-  
 როს დას - აიშესაც ქერა თმა და დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა  
 და პატარაობისას ალიეს მსგავსად ისიც ანგელოზს ჰგავდა. გრძე-  
 ლი, თლილი თითებით როიალს უკრავდა და ირგვლივ მყოფთ აჯა-  
 დოებდა. რამდენჯერ დაუნახავს ჰაკიეს, როგორი აღტაცებით უმ-

ზერდა მამა აიშეს. ზურმუხტისფერი თვალებითა და ხშირი წაბლისფერი თმით დამშვენებული ფაპრუნისა ხომ ნამდვილი მზეთუნახავი იყო. ნეტავ რაღა მხოლოდ პაკივ დაემსგავსა შავგვრემან ბებიას? თითქოს ჭკვიანი რომ იყო, ეს ღვთის წყალობას ნიშნავდა. "ჩემო ჭკვიანო გოგო," - ასე ეფერებოდა მამა ბავშვობაში. ოჯახში ჭკუა მას ერგო, სილამაზე კი - მის დებს. აი, მაგალითად, ალიე ნამდვილი სულელი იყო, მაგრამ ამით არც არაფერი დაჰკლებია. დედის ნებიერას სურვილი ყველასთვის კანონი იყო. როცა უფროსი დები როიალის დაკვრას სწავლობდნენ, ალიემ ვიოლინო დაიჩირა, რაც დაუყოვნებლივ შეუსრულეს. როგორც კი რამეს მიაღწევდა, ხალისა კარგავდა და ახალ გატაცებას ეძლეოდა. ხან ხატვა აინტერესებდა, ხან - მწერლობა. მისი მარად ცვალებადი სულიერი მდგომარეობა არავის აღელვებდა. ნეტავ რატომ? ძალიან ლამაზი იყო და იმიტომ. თვით პაკიეს ქალიშვილს, ფურეიასაც კი, ალიეს დიდი ცისფერი თვალებითა და ქერა კულულებით მოხიბლულს, უნდოდა მისი შეილი ყოფილიყო. ერთი ამას დამიხედეთ! რაკი სილამაზე აელდა, ჭკუა და მოხერხება კი საქმარისად პქონდა, ყველა საქმეს მას ავალებდნენ. ვაჟიშვილის მოვლას დედა სხვა ქალიშვილებს კი არა, სწორედ მას სთხოვდა.

"პაკიე, შეილო, შეამონმე, ყველაფერი იყიდეს?" ... "მზარეულს აუხსენი, რა უნდა მოამზადოს!" ... "ჯევათი უკანა ბალის ვარდებზე გიუდება, რამდენიმე ტოტი მოჭერი, ლარნაკში ჩადე და ოთახში შეუტანე, ჩემო გოგონა!"

"დედიკო, ძალიან მეტკინა..."

"შენც სწორად დადეტი. თუ ასე გააგრძელებ, ბიძაშენის გემს ვეღარ მიუსაწრებ. შინ დაგტოვებ და წავალ".

ფურეია საოცრად აღელვებული იყო. მთელი ოჯახი ძია ჯევათის დასახვედრად ემზადებოდა. სარე ისმეთ ხანუმიც მოუთმენლად ელოდა საყვარელ ვაჟიშვილს, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად ბრუნდებოდა. მხოლოდ შაქირ ფაშა ინარჩუნებდა სიმშეიდეს. მას უძნელდებოდა იმ შეილის დასახვედრად წასვლა, რომელიც განათლების მისაღებად ხანგრძლივად მოწყვეტილდა ოჯახს და შინ კი უდიდლომოდ ბრუნდებოდა. შაქირ ფაშას დღითიდლე ელეოდა ექვსი შეილის, სიძეებისა და შეილიშვილების სარჩენი ფული. პაკიეს

ქმარი ზედსიძედ შემოიყვანა. ახალგაზრდა სიძემ მრავალჯერ შეს-  
თავაზა მას საკუვების ხარჯების საკუთარ თავზე აღება, მაგრამ  
სადრაზამის ადიუტანტი - ოსმალო ფაშა სიძისგან დახმარების მი-  
ლებას, რა თქმა უნდა, არ იკადრებდა. თანაც ჰაკიე ქმართან ერთად  
პატარა სახლში ცხოვრობდა, რომელიც ბალის გარეთ იდგა. შექირ  
ფაშამ ეკლესის მხარეს მდგარი ხის პატარა სახლი შეაკეთებინა და  
უფროს ქალიშვილს საქორნილო საჩუქრად უბოძა. უნდოდა, რომ  
ჰაკიეს ევროპულ ყაიდაზე - ცალკე ეცხოვრა, მაგრამ ისე, რომ დიდ  
ოჯახთანაც არ გაეწყვიტა კავშირი. თავად როცა იქორნინა, და-  
ძმასთან ერთად ცხოვრობდა და ცოლსა და უფროს დას შორის  
უთანხმოება მეტად ანუხებდა. ახლანდელ დროში ყველა ოჯახი სა-  
კუთარ სახლში უნდა ცხოვრობდესო, ფიქრობდა; ამიტომაც უფ-  
როს ქალიშვილს ცალკე სახლი მიუჩინა, მაგრამ ძველ ჩეულება-  
საც ერთი ხელის მოსმით ვერ ელეოდა. ოჯახი საუზმეზე, სადილად  
და ვახშმად ერთად იკრიბებოდა. სუფრასთან შვილების თავშეყრა  
მასაც და სარე ისმეთ ხანუმსაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. მით  
უმტეს, რომ სიძე სამხედრო იყო და უმტესწილად მარტოდ დარ-  
ჩენილი ქალიშვილი ოჯახთან ახლოს იქნებოდა.

ძვირი დაუჯდა შექირ ფაშას სულთნის განაწყენება. თავდაპირ-  
ველად კუნძულზე თურქი ბავშვებისთვის დაწყებითი სკოლა ააშე-  
ნა და მაპმადიანური სასაფლაო გააკეთა, შემდევ კი, ყველასთვის  
მოულოდნელად, სახლში ჩაიკეტა და ისტორიის გარდა აღარაფერი  
აინტერესებდა. მისი ერთადერთი გასართობი აბდულპაშიდზე გა-  
ნაწყენებულ ფაშებსა და ჩინოვნიკებთან შეხვედრა იყო, რომლე-  
ბიც 1900-იანი წლების დასაწყისში რეპრესიებში მოყვნენ.


ძველი თანამებრძოლები კვირაში რამდენჯერმე იკრიბებოდნენ,  
ნარგილეს ენერგენ და ბასობდნენ. მათ გულში ჯერ კიდევ ცოცხ-  
ლობდა ძველი წყენა და შიშნარევი ფიქრი იმაზე, რომ ოსმალთა სა-  
ხელმწიფოს დაისი ახლოვდებოდა. დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს  
დევრადირებული წყობა დიდხანს ვერ გასტანდა. ღმერთს მადლობას  
სწირავდნენ, სასახლისა და ენვერ ფაშასგან შორს რომ იყვნენ. ერთო-  
ბისა და პროგრესის პარტიამ, რომელსაც ხელთ ეპურა მეჯლისი,  
სწრაფად დაინყო დაძლა და თავისუფლების მოტრფიალე მებრძოლე-  
ბი, რომლებიც აბდულპაშიდის ტირანიას გადაურჩინენ, დესპოტებად

იქცნენ. სახელმწიფო მეურმის გარეშე დარჩენილი ურემივით თავ-დაღმა მიექანებოდა. ცოტაც და, შეჯახება გარდაუვალი იქნებოდა.

ამ უიმედო საუბრების შემდეგ შაქირ ფაშა შინ გალიზიანებული, დაღვრემილი და შუბლშექმუნილი ბრუნდებოდა. ზედა სართულ-ზე, ბაღში გამავალ ოთახში შეიკეტებოდა - თითქოს უდროოდ და-კარგულ ძმას გლოვობსო - ფარდებს ჩამოაფარებდა და რამდენიმე საათი გარინდებული იჯდა. რას აღარ ფიქრობდა ამ ნახევრად ბნელ ოთახში. ნეტავ, ოსმალეთის დასასრულთან ერთად მისი და-სასრულიც ხომ არ ახლოვდებოდა?

უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ ცოლის ძმამ - მითპათ ბეიმ ურჩია, ძმის დანატოვარი მემკეიდრეობა სალონიკიში სას-ტუმროს მშენებლობაში დაებანდებინა. ცივილიზებული მსოფლიო სულ უფრო მეტად ინტერესდეოდა ტურიზმით, მაგრამ ეს სიტყვა ჯერ არ დამკეიდრებულიყო. ევროპელები გაზაფხულსა და ზაფხულს მზიან ქვეყნებში ატარებდნენ. სალონიკიში აშენებული სასტუმრო მარჯვე მმართველის ხელში მართლაც რომ ზღაპრულ შემოსავალს უქადდა. აქამდე ოსმალო არისტოკრატებისთვის კო-მერცია უცხო ხილი იყო. კეთილშობილი ოჯახის შვილები ან ჯარში ენერებოდნენ ან - სახელმწიფო სამსახურში. ჯარსა და სახელმწიფო სამსახურის ყველა საფეხურს ჩამოშორებულ შაქირ ფაშას ამ დეგრადირებული და გახრინილი სისტემისათვის ზურგი უნდა ექ-ცია და არამაპმადიანი ოსმალოების მსგავსად კომერცია შეესწავ-ლა. სწორედ ამ ფიქრებმა და მითპათ ბეის რჩევამ გადააწყვეტინა სალონიკიში თევზის საბითუმო საწყობის შეძენა და სასტუმროს აშენება. სიზმრადაც რომ ენახა, შაქირ ფაშა მაინც ვერ დაიჯერებ-და, რომ ცოტა ხანში სალონიკი ოსმალთა ქალაქი აღარ იქნებოდა, ფანატიკოსი ბერძენი სასტუმროს ნანგრევებად აქცევდა და თევ-ზის საწყობიც ხელიდან გამოეცლებოდა. და საერთოდ, ვაჭრობას-თან მისი ყოველი შეხება ნარუმატებლად მთავრდებოდა. ჯერ ნია-ღისეულის მოპოვების ნებართვა დაკარგა, შემდეგ კი სირიასა და დამასკოში უძრავი ქონებით ვაჭრობისას დიდი ზარალი ნახა.

მაშინ, როცა ოსმალეთის ისტორია დიდი გულმოდგინებით იწე-რებოდა და ფურცელი ფურცელს ემატებოდა, დიდი ოჯახის ხაზი-ნა თანდათან ცარიელდებოდა.



შაქირ ფაშამ დროულად მოასწრო აფიონის მახლობლად მინის ნაკვეთის ყიდვა. მოსავლის დიდი ნილი სწორედ ამ ნაკვეთზე მოდიოდა, მაგრამ ეჭვობდა, რომ შემოსავლის ნაწილით მმართველი ის-ქელებდა ჯიბეს. ნელინადში მხოლოდ ორჯერ ახერხებდა მამულის შესამონმებლად ჩასვლას. შემოსავალს მხოლოდ ეს ნაკვეთი და 1909 წელს პარბიეს რაიონში შეძენილი სახლი აძლევდა. ფულის უდიდესი ნაწილი ვაჟიშვილის - ჯევათის განათლებაზე დაეხარჯა. ზაფხულში კი შუათანა ქალიშვილის - აიშეს ქორწილი იყო კარს მომდგარი. უფროს ქალიშვილს - პაკიეს სასახლის ბაღში დიდებული ქორწილი გადაუხადა. ახლა აიშეს ჯერი დადგა. მაგრამ ჯევათის განათლებაზე დახარჯულმა თანხამ ოჯახის ბიუჯეტი თავდაყირა დააყენა. ოქსფორდში ჯევათმა რამდენიმე ფაქულტეტი მოიარა, სწავლა შუა გზაზე მიატოვა და ხელოვნების ისტორიის დასაუფლებლად იტალიაში გაემგზავრა. იქ ერთი იტალიელი გოგო შეუყვარდა, რომელიც შემდეგ ცოლადაც მოიყვანა. სამშობლოშიც სწორედ მასთან ერთად ბრუნდებოდა და ახლაც სიღუხტირეში მყოფ მამას ფულს სთხოვდა. და, რა სამწუხარო იყო, რომ ეს სურვილი აიშეს ქორწილს ემთხვეოდა.

მას შემდეგ, რაც უფროსი ძმა დაკარგა, შაქირ ფაშას ცხოვრება-ში უმძიმესი პერიოდი დადგა. ცხოვრების ყველაზე დიდ გამოცდად სიკვდილს მიიჩინევდა. მაგრამ სულ უფრო და უფრო მნირი ბიუჯეტით მრავალრიცხვანი ოჯახის რჩენა და ოჯახის წევრთა ჩივეული მოთხოვნების დაქმაყოფილება შეუძლებელი ხდებოდა. და, რაც მთავარია, ეს მდგომარეობა არც ოჯახის წევრებს და არც მის ნაცნობ-მეგობრებს არ უნდა შეემჩნიათ. შაქირ ფაშა იმ დასკვნამდე მიეიდა, რომ სიკვდილი ყოველივე განცდილთან შედარებით არა-ფერი ყოფილა.

სარე ისმერთ ხანუმმა იმ სალამოს ჯევათის საყვარელი კერძები მოამზადებინა, სუფრა თავისი ხელით გაშალა, პაკიეს ყვავილები დააკრეფინა და სასაფილო მაგიდის შუაგულში ოვალურ სარკეზე მოათავსა. სასახლეში არასოდეს მიუსხდებოდნენ სუფრას, განსაკუთრებით კი ვახშმად, მაგიდა ყვავილებითა და სანთლებით რომ არ ყოფილიყო მორთული.

ოჯახურ შეკრებაზე სარა მამიდა ერთი დღით ადრე ჩამოვიდა. მას შემდეგ, რაც ნიშანთაშის სახლი დაიცალა, სარა ხანუმი ბოს-

ფორზე მარტო ცხოვრობდა. ჯევათ ფაშას სიცოცხლეში სარა ხანუმი დიდი ოჯახის უფროსად ითვლებოდა. მაგრამ ძმის გარდაცვალების შემდეგ სარამ შაქირის სახლში რძალთან ერთად ცხოვრება არ მოისურვა, ვინაიდან ამ ოჯახში სარე ისმეთის სიტყვას მეტი წონა ჰქონდა. სასწრაფოდ სახლი შეიძინა და იქ გადაბარგდა. კუნძულს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში - ნეულებებსა და დღესასწაულებზე სტუმრობდა, ისიც სამ დღეზე მეტხანს არ ჩერდებოდა, რადგან შაქირ ფაშას სასახლის დიდი ქალბატონი - სარე ისმეთ ხანუმი გულზე არ ეხატებოდა.

მის ძმას - შაქირს სარე ისმეთი კრეტაზე მსახურობის დროს გაუცვნია და მაშინვე გულში ჩავარდნია. მათ შორის ასაკობრივი სხვაობის მიუხედევად, სარე ისმეთის ოჯახს წინააღმდეგობა არ გაუწევია და ქერა, თაფლისფერთვალება ქალიშვილი ახალგაზრდა სიმპათიურ ადიუტანტს მიათხოვა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ სიძის ძმა კუნძულ კრეტის სამხედრო სადრაზამი იყო. სარე ისმეთ ხანუმმა ვერც სილამაზით მოიგო სარა მამიდას გული, რადგან ჯევათ ფაშას მეუღლე პირადად სარა ხანუმს უნდა შეერჩია, სწორედ ისე, როგორც ჯევათს შერთო ცოლი. პიჯაზში მოგზაურობისას ერთი მზეთუნახავი ჩერქეზი ქალი იყიდა, როიალის დაკვრა და ფრანგული ენა შეასწავლა და, როცა დარწმუნდა, რომ იგი ფაშას ცოლობას შეძლებდა, ძმას - ჯევათს მიათხოვა. სარა ხანუმის გულში სულ სხვა ადგილი ეჭირა ნიმეთს. ჩერქეზ ქალს იგი დედასავით უყვარდა, პატივს სცემდა და მის სიტყვას არასდროს გადაუხვევდა.

ფურეიას თმაში ვარდისფერი ლენტი ჩაებნია, მამიდის ნაჩუქარ ტაფტის კაბაში გამოწყობილიყო და ნამდვილ თოჯინას ჰგავდა. ბაბუასთან მიირბინა:

"ბაბუ, ბიძაჩემს ეს კაბა მოეწონება?"

მოხუცმა ალმაცერად გადახედა შვილიშვილს:

"სულაც არ მაინტერესებს, რა მოეწონება ბიძაშენს".

"ფაშა, გთხოვთ, ასე ნუ ამბობთ. იქნებ, დღე მშვიდად დავიწყოთ. მოდით, ნავსადგურში თქვენც ნამობრძანდით. თან სუფთა პაერზეც გაისეირნებდით..." - ჩერქელი მუდარით მიმართა სარე ისმეთ ხანუმმა.

"ჰერი ჩემს ბალშიც მყოფნის", - სიტყვა მოუქრა მეუღლეს შაქირ ფაშამ.

"რაც იყო, ნულარ მოიშლით ნერვებს," - მიმართა ძმას სარა ხანუმა, - "ჯევათი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა გეუბნებოდით - ძალიან ანებივრებთ, მოგვიანებით ინანებთ-მეთქი".

"მეც რამდენჯერ გავაფრთხილე ჩემი ცოლი - ბავშვი ძალიან უნებისყოფა-მეთქი".

"განა არ ვიცი? თუ გახსოვთ, ძლიერი ლოდოსი ქროდა და კუნძულზე გემები არ დაცურავდა. დედამისმა ქვეყნის ფული გადაიხადა, ნავი იქირავა და ჯერ ბოსტანჯიზე, შემდეგ კი ბოსფორზე გადაეიდა, რომ ჯევათი სკოლიდან ნამოეყვანა. თითქოს, კვირის ბოლოს სახლში რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა დაიქცეოდა".

სარა ხანუმის მეხსიერებაში ერთი სურათი ამოტივტივდა: მისი ძმა - შაქირ ფაშა ათენში ელჩიად იყო ნარგზავნილი. სარამ თვალი მოპერა, აკროპოლის მარმარილოს კიბეებზე როგორ ეალერსებოდა შიფრნის ქვედა ბოლოში გამოწყობილი ქერათმიანი, მშვენიერი ისმეთი თავის ვაჟიშეილს. სარე ისმეთი იმ დროს ცხრამეტი ნლის იყო, ჯევათი კი - ოთხის. სიფრიფანა მზეთუნახავს გულში უსაყვარლესი ვაჟიშვილი ჩაეკრა. მსუბუქმა ეჭვიანობამ შეიცყრო სარა ხანუმი. მან ხომ არ იცოდა რა იყო სილამაზე, ახალგაზრდობა, დედობა. მისი გამოზრდილი ძმები დავაუკაციდნენ და მათ ცხოვრებაში უცხო ქალები გაჩნდნენ.

სარე ისმეთ ხანუმი ფანჯრისკენ მიბრუნდა და გარეთ გაიხედა.

"ნელს ჩვენი ვარდები განსაკუთრებულად ყვავის", - საუბარი გადაიტანა სხვა თემაზე.

სარა ხანუმმაც მხარი აუბა:

"კაბა ძალიან გშვენის, ჩემო გოგონა, ძია ჯევათს ძალიან მოენონები. მოდი, ბალში გავიდეთ. აბა, ერთი დედაშენის ვარდები მიჩვენე!" - მიმართა ძმისშვილს.

ფურეია ხელიდან დაუსხლტა მამიდას და ტაფტის კაბის შრიალით პირდაპირ ალიეს ოთახში შევარდა. იმ დროისთვის ეს უსაყვარლესი ადამიანი, დეიდა ალიე, მისთვის საუკეთესო მეგობარიც იყო და უფროსი დაც.

"აჰ, ფურეია, ნამდვილი ანგელოზი ხარ!" - აღტაცებით შესძახა ალიემ, ფურეია ხელში აიყვანა და თავისკენ შემოაბრუნა. "გასაო-ცარია, მაგრამ ამჯერად მამიდას ნამდვილად ულამაზესი კაბა შე-ურჩევია." შემდეგ ფურეიას საყელოს უკანა მხარეს დახედა და გა-ოცებულმა დასძინა: "თან, ლიონის მაღაზიაში შეუძენია!"

ალიესაც დისტვილივით ვარდისფერი სამოსი ეცვა, მაგრამ მა-ინც უქმაყოფილო იყო. უჯრები გადაქექა, ფირუზისფერი შიფონი ამოილო და ყელზე მოიხვია.

"ოჲ, ღმერთო, ახლავე მოიხსენი ეგ ყელიდან", - თავი შემოჰყო კარებში ჰაჟიემ.

"რატომ? ასე უფრო ლამაზი არ არის?"

"ძალიან ჭრელა-ჭრულად და უგემოვნოდ გამოიყურები, ალიე. მაგ შარფს თუ მოიხვევ, ჩვენთან ერთად ნავსადგურში ვერ წამოხ-ვალ".

რადგან ჰაჟიე ყველაზე უფროსი იყო, დიდი ავტორიტეტით სარ-გებლობდა და-ძმებს შორის. ბუნებით მეტად სერიოზული და ჭევი-ანი, მუდამ მოითხოვდა, რომ მისი ყოველი სიტყვისთვის ანგარიში გაენიათ. გათხოვების შემდეგ კი სულ დაბრძენდა.

"დაიკო, ტანისამოსს თვითონ შევარჩევ".

"ვერ შეარჩევ! ვერ ჰატარა ხარ!"

"უკვე ქალიშვილი რომ გავხდი?"

"რას მეუბნები, არც კი გრცხვენია?""

"ნამდვილად გავხდი და. ."

"შესაძლოა, მაგრამ მაინც ბავშვი ხარ. სამწუხაროა, მაგრამ ტვინი სხეულივით განვითარებული არა გაქვს. ეგ ჭრელა-ჭრულა შიფონი კისრიდან მოიხსენი და ქვევით ჩაბრძანდი!"

მართლაც, ალიე ჯერ თერთმეტი წლის იყო, მაგრამ უკვე ქალიშ-ვილის მომხიბელელობა ჰქონდა. მან ჯიუტად მოიხსნა შარფი, ლო-გინზე დააგდო და სრიალით დაეშვა კიბის მოაჯირზე. შექირ ფაშას კაბინეტთან მისულს დედის ხვენნა-მუდარა შემოესმა. მიჩვეული იყო, რომ დედა მუდამ რაღაცას სთხოვდა მამას. საბრალო სარე ის-მეთ ხანუმი ჯერ ვაჟიშვილის - ჯევათის სწავლის ხარჯებს სთხოვ-და მეუღლეს. ის ხომ ინგლისის ყველაზე წარჩინებულ უნივერსი-ტეტში სწავლობდა და სამეცო ოჯახის ბავშვებთან ერთად იზრდე-ბოდა. რა თქმა უნდა, ამ მაღალ საზოგადოებაში ადგილის დასამკ-

ვიდრებლად მეტისმეტად დიდი თანხები იყო საჭირო. ახალგაზრდა, რომელსაც ინგლისელ უფლისწულებთან ჰქონდა ურთიერთობა, საზოგადოებაში ნებისმიერ დუქანში შეძენილი ტანისამოსით ვერ გამოჩინდებოდა!

მომდევნო წლებშიც, როცა ჯევათი იმ იტალიელ გოგოს გადაეყარა, დედამ ძლივს დაყოლია შაქირ ფაშა, ვაჟიშვილისთვის ქორნინების ნება დაერთო. შაქირ ფაშაზე მეუღლის მუდარამ გაჭრა. თანაც ის გოგო ფეხმძიმედ იყო და ვაჟიშვილი ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ლირსეულ ვაჟეაცს ეკადრებოდა. მართალია, ფაშამ სასახლის მანსარდზე ახალდაქორნინებულებს ოთახი მოუმზადა, მაგრამ მაინც წარბმეული იყო. ნეტავ ახლა რაღა ჰქონდათ საკამათო? ალიემ ჯერ, ჩვეულებისამებრ, ჭუჭრუტანიდან თვალთვალი დაპირა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. ათი დღე, რაც ქალიშვილი გახდა. დედა და პაკიე დიდხანს არიგებდნენ, ბავშვივით ნუ იქცევი, გონს მოეგეო, ის კი სულაც უერ გრძნობდა, რომ უკვე ახალგაზრდა ქალი იყო. სულ ცოტა ხნის წინ ფურრეისთან ერთად საქანელაზე დასასკუპებლად ან ბალის ერთ შორეულ კუთხეში უსარგებლოდ მიგდებულ ლანდოზე ასაძრომად სულსაც არ დაიშურებდა. მაგრამ ახლა შეიძლებოდა მოულოდნელად კიბეზე პაკიე ჩამოსულიყო და თუ თვალთვალზე ნაასწრებდა, საყვედური არ ასცდებოდა. ნეტავ ეს პაკიეც რატომ არ დაეტევა თავის პატარა სახლში?

"ის ჩვენი შვილია, შაქირ ბეი," - ევედრებოდა დედა მამას, "მოვკნონს თუ არა, ის ჩვენი ვაჟიშვილია".

ალიე უერაფრით მიმხვდარიყო, რატომ უბრაზდებოდნენ მის უსაყვარლეს უფროს ძმას, რად ექცეოდნენ ასე მკაცრად. უცნაური კაცია მამა - მთელი დღეები ოთახში ჩაიკეტება და გამუდმებით რაღაცას წერს, იშვიათად თუ გაიღიმებს. მუდამ მოღუშული, ნაღელიანი მოხუცია.

იმ დღეს შაქირ ფაშასა და სარე ხანუმის გარდა სასახლის ყველა ბინადარი ჯევათის დასახვედრად ნაესადგურისკენ გაეშურა. ჯევათი შინ ხელდამშვენებული დაბრუნდა: დედას, დებსა და პატარა დისშვილს საჩუქრები ჩამოუტანა, მამას იტალიური ხელნანერები მიართვა, სასახლის მზარეულით დაწყებული და მებაღით დამთავრებული, არავინ დავიწყებია. თუმცა, ისიც მართალია, რომ ეს ძვი-

რადლირებული საჩუქრები შაქირ ფაშას ფულით იყო შეძენილი. მა-  
მა მასზე ნაწყენი იყო, მაგრამ ჯევათს მთელი ოჯახი აღმერობდა.

საღამოს საგანგებოდ გაშლილ სუფრასთან ყველა ჩვეულ ად-  
გილს მიუჯდა. სუფრის თავში შაქირ ფაშა იჯდა, მას მარჯვნივ უფ-  
როსი და - სარა ხანუმი, მარცხნივ კი მეუღლე - სარე ისმეთ ხანუმი  
უმშენებდა გვერდს. მამიდის გვერდით უფროსი ქალიშვილის - ჰა-  
კიეს ადგილი იყო, სარე ისმეთ ხანუმის გვერდით კი ჰაკიეს მეუღლე  
- ემინ ბეი იჯდა. ჰაკიეს გვერდით ჯევათი და დანარჩენი ბავშვები  
ჩამწერივებულიყვნენ ასაკის მიხედვით, სუფრის ბოლოს ისხდნენ  
ბავშვების ფრანგი და გერმანელი აღმზრდელები და ფურრეია, რო-  
მელსაც იმ დღეს საგანგებოდ დართეს გვიან დაძინების ნება.

ჰაკიე, ემინ ბეი და აიშე, დედის თხოვნით, მამა-შვილ შორის  
მოსალოდნელი შელაპარაკების თავიდან აცილებას ცდილობდნენ.  
ამიტომაც საერთოდ სიტყვაძუნნ ჰაკიესა და აიშეს ენა არ გაუჩე-  
რებიათ, ემინ ბეი კი დაუსრულებლად იხსენებდა სამხედრო სამსა-  
ხურის პერიოდს. სარა ხანუმი მიჩვეული არ იყო, ახალგაზრდები  
უფროსების თანდასწრებით ამდენს რომ ლაყბობდნენ, ამიტომ  
შებლშეჭმული იჯდა. მოპყვნენ ამ მთისა და იმ ბარისას და, რო-  
ცა აიშეს მოსალოდნელ ქორწილზე ჩამოვარდა სიტყვა, სარა ხანუ-  
მის ჯერიც დადგა:

"ახლა ძეველებური ქორწილების გადახდის დრო აღარ არის. რო-  
ცა ქვეყანა სისხლის ჭრემლებს ღვრის, ზურნა-დუდუკით ქორწი-  
ლის გადახდა არ გვეკადრება."

"რაც ჰაკიესთვის გავაკეთეთ, აიშეც იმასვე მიიღებს, შვილებს  
ვერ განვასხვავებთ," - სიტყვა მოუჭრა სარე ისმეთ ხანუმმა.

"საქმე ეს არ არის. ჰაკიე რომ დაქორწინდა, ბალკანეთის ომი  
დანყებული არ იყო. საღლონიკის ქონებაც ჯერ კიდევ ჩვენ გვეკა-  
ვნოდა," - მიუღო სარა ხანუმმა.

სარე ისმეთ ხანუმმა ტუჩი მოიკვნიტა. მისი მული კვლავ ცხვირს  
ჰყოფდა ოჯახის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეში. ქორწილი ხომ  
მათი გადასახდელი იყო, ფულიც თავადვე უნდა გაელოთ და სუ-  
ლაც, მათი ქალიშვილი ქორწინდებოდა. რა ესაქმებოდა სარა ხა-  
ნუმს?

"ქორწილი ზაფხულის ბოლოსთვის გადავდე, რადგანაც აფიო-  
ნის მამულის მოსავალი მაქვს გასასაღებელი. მოსავალს რომ ავი-

ლებ, -სექტემბრისთვის ქორნილსაც გადაუუხდი ჩემს პატარა ქა-  
ლიშვილს, ალაპის ნებით!" - დასძინა შაქირ ფაშამ.

აიშეს ლოყები აუწითლდა და თავი დახარა.

"ბაბუ, მეც გადამიხდი ბალში ქორნილს?" - იკითხა ფურუეიამ.

"ჯერ დეიდები ჩავაბაროთ პატრონს, მერე კი ვნახოთ, შენი  
ქორნილისთვის ცოცხალი თუ ვიქნები. მე მოხუცი ვარ, შეილო, შენ  
რომ გათხოვდები, მე უკვე ნასული ვიქნები," - უპასუხა ბაბუამ.

"სად, ბაბუ?"

"ბაბუაჩემი რომ მოხუცდა, სამოხუცემი ნავიდა," - თქვა მუთა-  
რამ.

"ეგ რა სიტყვაა?" - იკითხა სარე ისმეთ ხანუმმა.

"სამოთხეში," - მიუგო სარა ხანუმმა.

"ჩვენი სამოთხე ხომ აქ არის! ჩვენი ბალი სამოთხე არ არის?" - არ  
ცხრებოდა ფურუეია.

"მართალია, დედაჩემის წყალობით; მის ხელებს ვენაცვალე," -  
დასძინა ჯევათმა.

სარა ხანუმს თითქოს არაფერი გაუგია.

"ბაბუ, თქვენ ოთახიდან საერთოდ არ გამოდიხართ, ამიტომაც  
არ დაბერდებით, ნუ გეშინიათ," - დაამშვიდა ფურუეიამ.

"ხეტიალი რომ კაცს აბერებდეს, მაშინ ბიძაშენი ჯევათი კარგა  
ხნის დაბერებული უნდა იყოს, ჩემო ფურუეია," - თქვა შაქირ ფაშამ.  
ყველამ გაიცინა, მხოლოდ ფურუეიამ ვერ გაიგო ვერაფერი.

"უკე სისულელებს ლაპარაკობ, მგონი, შენი ძილის დროც  
დადგა," - თქვა პაკიემ და სკამიდან პანანინა ქალიშვილის აყენება  
სცადა, რომ დასაძინებლად ნაეყვანა. ფურუეიამ ალიეს გადახედა,  
თან თვალებით დახმარებას სთხოვდა. ალიემ დისშვილს თვალი ჩა-  
უკრა, რაც იმას ნიშნავდა "შენ ნადი, მეც მალე მოვალო". პატარამ  
მინიშნება გაიგო თუ არა, ზედმეტი ჭირვეულობის გარეშე ადგა და  
დედას ხელი ჩაპერიდა. შემდვევ ყველას ღამე მშვიდობისა უსურვა და  
მოჩჩილად გაჰყევა პაკიეს.

"ეს ბავშვი რომ გაიზრდება, მისგან დიდი ადამიანი დადგება.  
ბავშვს თავიდანვე ეტყობა, რომ მისგან ნამდვილი ადამიანი დად-  
გება," - ფურუეიას ნასვლის შემდეგ თქვა სარა ხანუმმა.

სარე ისმეთ ხანუმს მულის ავტორიტეტული ტონით ნათქვამი  
გაახსენდა, ერთხელ, სუფრის თავში მჯდომმა რომ გამოაცხადა და



ხასიათი წაუხდა. ეს იყო მაშინ, როდესაც ალიე სულ პანანინა - ფურეკის ასაკისა თუ იქნებოდა და სუფრასთან ცელქობდა, "ეს ბავშვი ნამდვილად გადარეულია, ერთ წამსაც ვერ გააჩერებ. თუ გინდათ, რომ ადამიანად ჩამოყალიბდეს, მეტაც დისციპლინაა საჭირო, თორემ ეგ გიჩვენებთ სეირს" - უთქვამს მულს.

დაახლოებით ერთი თვე იქნებოდა გასული იმ საზეიმო ვახშმიდან, რომელიც ჯევათის იტალიიდან დაბრუნებასთან დაკავშირებით გაიმართა. სახლის ბინადართ ნელ-ნელა აიშეს მოახლოებული ქორნილის მღელვარება ისყრობდა. სარე ისმერთ ხანუმი უფროს ქალიშვილებთან ერთად ყოველდღე უურნალებს ათვალიერებდა, აიშესთვის საპატარძლო კაბას არჩევდა. ბალკანეთის ომის გამო ჰაკიეს ქორნილივით ხალხმრავალი და დიდებული ქორნილი არ იქნებოდა. აი, მაგალითად, საზანდარები ვერ მოვიდოდნენ, ჩირალდნებიანი მსელელობაც არ გაიმართებოდა. მაგრამ სტუმრების რაოდენობა ას კაცშე წაკლები ვერაფრით იქნებოდა. შაქირ ფაშას სასახლის ქალბატონებს შორის სიმშვიდეს მხოლოდ დანიშნული აიშეინარჩუნებდა.

"რა გემართება, დაიკო. თითქოს შენ არ თხოვდები. ცხვირ-პირი რად ჩამოგტირის?" ჰეითხა ფაჭრუნისამ.

"ეეკლუცობს", - მიუგო ჰაკიემ.

"განა არ გინდა, აპმეთ ბეის გაჲყვე ცოლად? ასეც რომ იყოს, მგონი, გულახდილად უნდა გვითხრა".

"რა ლაპარაკია, ნისა! რა სჭირს აპმეთ ბეის დასაწუნი? ლომივით კაცია".

"ალბათ, გული არ მისდის. ალბათ, ვერ შეიყვარა."

"ეს რა სიტყვებია. ჩვენ აზრადაც კი არ მოგვივა, რომ ჩვენი მშობლების არჩევანის ნინაალმდეგ წავიდეთ", - გაცხარდა ჰაკიემ.

"მაგრამ დრო იცვლება, დაიკო. ევროპაში ახალგაზრდა გოგონები ქმრებს თავადვე ირჩევენ".

"რა სამწეხაროა, რომ მთელი დღე ახალ-ახალ ალმოჩენებში ხართ".

ჰაკიე უფროსი დასავით კი არა, დედასავით საუბრობდა.

"ეს ევროპა არ არის, ჩემო ნისა, აქ მეუღლეებს ჩვენი ოვახები გვირჩევენ და ძალიანაც კარგს აკეთებენ".

"მგონი, აიშეს საქმრო მარტო მამამ შეარჩია".

"შესაძლოა".

"მამას სამხედრო სიძეები მოსწონს".

"მერე და რა?"

"სარა მამიდამ თქვა, მამათქვენს შეეძლო თქვენთვის ქმრად შეძლებული და ნარჩინებული ოჯახის შვილები მოეძებნა".

"ფაპრუნისა, რას მიედ-მოედები? ვერ ხვდები, რომ აჭარბებ?"

"ღმერთმა ქნას, მამამ ქმრად სამხედრო არ შემირჩიოს".

"მომხედე, ნისა, მამაჩვენი ძალიან გამოცდილი და ბრძენი კაცია და სწორადაც იქცევა, თავისი ქალიშვილებისათვის ნარჩინებულ ოსმალო ოჯახებში აღზრდილ იმ სწობსა და თავნება ფაშაზადეებს რომ არ ირჩევს. შენ არ იყავი, რომ ამბობდი, ქვეყანა იცვლება? ჩემი და აიშეს ქმრები პატივსაცემი და ღირსეული ახალგაზრდა მა-მაკაცები არიან. ჩემი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. აიშეც მალე შეიყვარებს თავის ქმარს. ქორნინება წმიდათანმიდაა."

ჰაკიე თვალებდახრილი საუბრობდა და საკუთარი ქორნილის ღამე აგონდებოდა. თავადაც ქმარი ქორნილამდე მხოლოდ ერ-თხელ ჰყავდა ნანახი. მისთვის სრულიად უცნობმა ახალგაზრდა შავგვრემანმა კაცმა, რომელიც მასავით აღელვებული და დაბნეუ-ლი გამოიყურებოდა, ოთახში შეიყვანა, პივავე გაიხადა და სარ-ტყელი შეიხსნა. ჰაკიეს ყურებმა გუგუნი დაუწყო. ლოგინის კიდეზე იჯდა და ელოდა. მისი ქმარი კი ნამაზის სამლოცველო ხალიჩაზე გართხმულიყო. ნამაზის დასრულების შემდეგ სეჯადედან რომ ად-გა, ჰაკიემ შენიშნა, ქმარს შუბლზე ხალიჩის ბენე მისწებებოდა.. ქალმა ხარხარი ატეხა, რამაც ქმარი საოცრად დააბნია. "ემინ ბეიე-ფენდი, შუბლზე ბენვი გაქვთ მინებებული..." უთხრა და შავი ნარ-ბებიდან ბენვი ფრთხილად მოაშორა. ნერვიულობისგან დაცლილმა ჰაკიემ თავი ვეღარ შეიკავა და კარგა ხანს იცინა. ემინ ბეისაც სი-ცილი აუტყდა. პირველად სწორედ მაშინ გაიცნო ჰაკიემ ქმარი.

"მაგრამ აპმედ ბეი არც როიალს უკრავს, არც ვიოლინოს, ენე-ბიც არ იცის..." ფაპრუნისამ სიტყვა აღარ დაასრულა და დუმილი არჩია, რადგანაც უფროსი დის სახეზე გაბრაზება შენიშნა. აშკარა იყო, ლაზლანდარობდა. მიუხედავად კარგი აღზრდისა, ჰაკიეს ქმა-რი - ემინ ბეიც და აიშეს საქმრო - აპმედ ბეიც შაეირ ფაშას ოჯახის განათლებისა და მსოფლმხედველობისთვის საქმაოდ უცხონი - სა-

შუალო ფენიდან გამოსული ჯარისკაცები იყვნენ. ახალგათხოვილ-მა პაკიემ თავიდან ქმრის ოჯახში ცხოვრება სცადა, მაგრამ უერაფერით მიეჩიდა. იქ არც წიგნებს კითხულობდნენ და არც მუსიკას უსმენდნენ. მისთვის გაურკვეველი იყო, ქალები და მამაკაცები ერთად რატომ არ უნდა მსხდარიყვნენ. ჩარშაფში გახვეულს გარეთ გასვლაც კი ეკრძალებოდა. პაკიემ ასეთი ცხოვრება მხოლოდ ცხრა თვე აიტანა, შემდეგ კი თავის ოჯახში გადმობარგდა. ახლა კი, როდესაც პატარა დაიკოს უჯავრდებოდა, ჩანდა, რომ თავს გადახდენილი დავიწყებოდა.

ამ საუბარში იყვნენ, ოთახში დედა რომ შემოვიდა.

"თქვენი პატარა ქალიშვილები სულ გატუტუცებულან, დედიკო. პატარა ქალბატონებს სულელური ფიქრები უტრიალებთ თავში", - მიმართა პაკიემ დედას. სარე ისმეთ ხანუმი მიჩვეული იყო ქალიშვილებს შორის უთანხმოებას, ამიტომაც პასუხი არ გაუცია.

"მამათქვენი ერთ კვირაში აფიონში მიემგზავრება. თუ იმ დროისათვის ემინ ბეი მორიგე არ იქნა, ჯევათთან და სუათთან ერთად ისიც წავიდეს, მამას მარტო ნუ გაუშვებენ", - მიმართა პაკიეს დედამ.

"ლალას შევატყობინოთ", - თქვა პაკიემ

"აუცილებლად, ლალას გარეშე განა იქნება?! თანაც მოსალოდნელ ხარჯებს ყველაზე კარგად ის გაართმევს თავს; ჩვენც უკვე გვმართებს საქორნილო კაბის შერჩევა. აიღე ეგ უურნალები და ფანჩატურში წავიდეთ. აიშე კარგა ხანია იქ გველოდება," - დასძინა სარე ისმეთ ხანუმმა.

"შეც მოვდივარ", - წამოხტა წისა.

"წამოდი, მაგრამ ბევრს ნუ იტლიკინებ, შენი აზრები შენთვის შეინახე, ჩემო წისა," - გააფრთხილა პაკიემ.

"რატომ?"

"იმიტომ, რომ შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, თანაც სამეცადინო გაქვს, ჩემო პატარა. ორშაბათს სკოლაში მიდიხარ, შენს ადგილას რომ ვიყო, ფრანგულს ვიმეცადინებდი", - უთხრე პაკიემ. ფაპრუნისა დედასთან ერთად ბალისკენ გაემართა და უფროს დას ენა გამოუყო.

ბალში შოპენის Fantasie Impromptu - ს ჰანგები ჩანჩქერივით იღვრებოდა და ადამიანს სულის სილრმემდე სწვდებოდა. ფურეიამ

ქოშინით მიირბინა იმ ფანჯარასთან, რომლის მიღმაც დეიდა აიშე  
როიალს უკრავდა. იგი სულგანაბული უსმენდა; ბავშვისთვის თით-  
ქოს დრო ჩერდებოდა, როცა დეიდა როიალთან იჯდა.

"იქ ჭიანჭველებია, ნუ მოკლავ, აქ მოდი", - შეეხმიანა დედა. "ნისას და ალიეს გემი მალე ჩამოვა, გინდა მათ დასახვედრათ წა-  
მოხვიდე?"

"აა, კვირის ბოლოა?" ბავშვი იმ ასაკში ნამდვილად არ იყო, რომ  
კვირის დღეები სცოდნოდა, მაგრამ ევონა, რომ კვირის ბოლომდე  
რამდენიმე ღამე დარჩენილიყო. მას შემდეგ, რაც ალიე სკოლაში  
ნავიდა, ღამეებს სულ თითებზე ითვლიდა, კვირის ბოლოდ წოდე-  
ბულ დღეებში, როდესაც ალიე და ნისა სკოლიდან ბრუნდებოდნენ,  
მათთან ერთად ერთობოდა კუნძულზე. ნისას ჩამოსვლას იმდენად  
არა, მაგრამ ალიეს ჩამოსვლას კი სულმოუთქმელად ელოდა ფუ-  
რება. ალიესთან ერთად ანცობდა, ვირით სეირნობდა, ბაღში ხეებ-  
ზე დაძვრებოდა...

"კვირის ბოლო ჯერ არ დამდგარა. ბაბუაშენი სამოგზაუროდ  
მიდის. ჰოდა, მამასთან გამოსამშვიდობებლად სკოლიდან ნებართ-  
ვა აიღეს," - უპასუხა ქალიშვილის საზრიანობით გაოცებულმა ჰა-  
კიემ.

ფურეიამ ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელო-  
ვანი ის იყო, რომ ალიე ჩამოდიოდა. "დიახ, დიახ, მეც მოვდივარ და-  
სახვედრად," - შესძახა და ხტუნვა-ხტუნვით დედას უკან დაედევნა.

"გარდასული ეპოქის ბრწყინვალე ქალბატონებისთვის სიკედილი  
ზაფხულის ბაღებში შემოჭრილ უსიამოვნო ქარს ჰგავდა."

შაქირ ფაშამ ჩათვალა, რომ აფიონში მოგზაურობა ხანგრძლივი  
იქნებოდა და ქალიშვილებს, რძალსა და მეუღლეს სამახსოვრო სა-  
ჩუქრები შეუძინა. სარე ისმეთ ხანუმი კი სპეციალურად წავიდა  
სტამბოლში და ბეიოღლლუს საშაქარლამოში მეუღლესა და ვაჟიშვი-  
ლებს საგზალი მოუმზადა. იმ სალამოს ფაშა ქალიშვილებთან ერ-  
თად წინა სალონში იჯდა. გოგონები სკოლიდან დასამშვიდობებ-  
ლად ჩამოსულიყვნენ, ამშე როიალს უკრავდა და იქაურობას სასი-  
ამოვნო მელოდია ეფინებოდა. მეორე დილით, ნასაუზმევს, მთელი  
ოჯახი ერთად გაუყვა ნავსადგურისკენ მიმავალ გზას. მათ უკან  
მიდიოდნენ ლალა და მტკირთავი. გემზე ასვლამდე შაქირ ფაშამ  
ჩალის ქუდი მოიხადა და რიგრიგობით გადაეკოცნა მეუღლე, ქა-  
ლიშვილები და შვილიშვილები, ოჯახი სიძეს - ემინ ბეის ჩააბარა;  
ბოლო დარიგება მისცა მეუღლეს, რომელსაც ვაჟიშვილებთან დამ-  
შვიდობება მეტად გაუგრძელდა, და გემს შეახტა. უკანასკნელ წამს  
სარე ისმეთ ხანუმი ლალას შეევედრა, ყურადღება არ მოეკლო უკ-  
ვე ზრდასრული მამაკაცებისთვის.

ფურეია ქანცის განყვეტამდე აფრიალებდა ტილოს ცხვირსა-  
ხოცს, რომელიც დედამ მიაჩინა ხელში. გემი ქაფის თეთრ ზოლს  
ტოვებდა. გემბანიდანაც ჯევათი და სუათი ემშვიდობებოდნენ ხე-  
ლის ქნევით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გემი გაუჩინარდა, ფურეია  
ალიეს აედევნა და კუნტრუშ-კუნტრუშით გაიქცა სახლისკენ.

"დედიკო, რა იქნება, მათთან ერთად წავიდე! მეც მინდა პლაჟ-  
ზე!", - შეევედრა ფურეია.

"არ შეიძლება, ჩემო პატარავ! უჩემოდ ზღვაში არ შეხვალ!"

"ალიე მომივლის!"


"სწორედაც რომ! ალიეს საკუთარი თავისთვის ვერ მოუვლია."

"მაშინ დეიდა ნისა მომხედავს. გურვე... გურვე..."

"გურვერნანტი."

"პო, აი ეგ მომხედავს".

"არა-მეთქი, ფურეია. ხომ იცი, ასეთი ჭირვეულობა ძალიან მაბ-  
რაზებს, კმარა, თორემ სასტიკად დაისჯები!"



ფურეიამ ტირილი მორთო.

"ახლავე შენს ოთახში შებრძანდი! ერთი საათი ბალში არ ჩამოხდება ვალ!" - დაუყვირა ჰაკიემ.

შემდეგ ეი დებს მოუბრუნდა, რომლებსაც დაწნული ჩანთები აეღოთ ხელში და პლაქზე წასასვლელად ემზადებოდნენ. "ისევ იგივე მეორდება! ნუთუ სახლიდან ისე ვერ უნდა გაეტიოთ, რომ ფურეიამ არ გაიგოს", - გაუბრაზდა ფაჭრუნისას და ალიეს. ალიეს პლაჟის ჩანთა გუვერნანტს ეჭირა ხელში.

"ფროილაინ, გეთაყვა, დაუბრუნეთ ჩანთა ალიეს, თავისი ჩანთა თვითონვე ატაროს!" - მიმართა გერმანელ აღმზრდელს.

"შიგ ჩემი პირსახოციც რომ დევს..."

"თქვენ რა, პლაჟის ჩანთა არ გაქვთ, ფროილაინ?"

"არა, ჩემო ქალბატონო".

"მერე და რატომ? ქალბატონს სთხოვეთ ერთი ჩანთა მოგცეთ. საკუთარი თეთრული ცველამ თავისი ჩანთით უნდა ატაროს!"

გერმანელი ქალი განითლდა.

"ალიე, რა გიკეთია მაგ ქუდზე?"

"ლენტი"

"განა მაგ ქუდს თავის ლენტი არა აქვს?"

"მერე რა, მე კიდევ ერთი მივამაგრე," - უპასუხა ალიემ.

"ახლავე მოიხსენი! სულაც არ უხდება."

"მე ასე მომწონს!"

"მოიხსენი-მეთქი! უფლებას არ მოგცემ, თავი შეირცხვინო. ფროილაინ, განა თქვენც ვერ შენიშნეთ?"

"დიახ, ქალბატონო".

"მერედა, რატომ არაფერს ეტყვით?"

"ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი ნება გამოავლინოს".

"ალიე ჯერ იმ ასაკის არ არის, რომ ტანისამოსი თავად შეარჩიოს".

"ჭრელაჭრულა ლენტები, შარფები ძალიან უყვარს. მათი ტარებით ვის რას უშავებს?"

ჰაკიემ შენიშნა, რომ გერმანელ ქალთან უსასრულო კამათი იწყებოდა. მიუხედავად ჯიუტი ხასიათისა, კარგად იცოდა როდის გაჩერებულიყო.

"ამ ასაკში უნდა ისწავლოს გემოვნებით ჩაცმა და ფერთა შეხა-

მება. გთხოვთ, შემდეგში მეტი ყურადღება გამოიჩინოთ", - თქვა ჰაკიემ და სალონისკენ გაემართა.

ივნისი უჩვეულოდ ცხელი გამოდგა. არანორმალურ სიცხვებს თან დაერთო მინისძვრა სტამბოლში... ჰაკიეს მთელი საღამო უცნაური ნინათგრძნობა აეკვიდატა. დილიდან ქალიშვილსა და დაძმებსაც უსაფუძვლოდ აუხირდა. აიშეც არ უკრავდა როიალს. მაშინვე მასთან მიირდენდა ხოლმე დარდის გასაქარვებლად, ვინაიდან ამქვეყნად მისი ყველაზე კარგად სწორედ აიშეს ესმოდა... კიდევ კარგი, რომ აიშეს მომავალი ქმარიც ზედსიძედ შემოდიოდა მათ ოჯახში. ამგვარად, მუდამ ერთად იქნებოდნენ. მთელი ოჯახი ერთად, ბედნიერი და ... თვალი არ ეცესო, ფიქრი აღარ გააგრძელა. ომი დანყებული იყო... ან მისი ქმარი არ გაეწვიათ ფრონტზე, ან მათი ბედნიერება არ დასრულებულიყო... მოაჯირზე თითების კაუნით იმ სალონის კიბეს აუყვა, სადაც აიშე როიალს უკრავდა ხოლმე. მათი ოჯახის სიმყუდროვეს მხოლოდ ჯევათისა და მამამისის გაუთავებელი კამათი თუ არღვევდა. და ალაპის წყალობით, ეს კამათიც, სარე ისმეთ ხანუმისა და ქალიშვილების ჩარევით, ყოველთვის ტკბილად მთავრდებოდა....

ვინაიდან ოჯახის მამაკაცები შორს გამგზავრებულიყვნენ, ის ღამე ჰაკიემ და მისმა ქმარმა თავიანთი ჰატარა სახლის ნაცვლად სასახლეში გაატარეს. ფურეიას სარე ისმეთ ხანუმთან ეძინა. ვოგონებიც, ჩვეულებისამებრ, თავიანთ ოთახებში ადრინანდ გაამწესეს. ჰაკიემ ვერა და ვერ დაიძინა. როგორც კი ჩათვლემდა, მაშინვე კრთომით ეღვიძებოდა. ემინ ბეის მის გვერდით მშვიდად და ლრმად ეძინა. რადგანაც მოუსვენრობას შეეპყრო, ჰაკიემ პირველმა გაიგონა აჩქარებული ფეხის ხმა ბაღს მიღმა. ვინ უმსგავსო დაჭის ამ შუა ღამისას ასეთი ხმაურით ქუჩაში? გაიფიქრა თუ არა, კარზე ზარის ხმა შემოესმა. ალბათ, ვიღაც მთერალია, მისამართი შეეშალა. ცოტა ხანში კარზე ბრახუნი გაისმა. ჰაკიე ლოგინიდან ნამოხტა. ემინ ბეიმაც გაიღვიძა. ჰაკიემ ხალათის ძებნა დაიწყო, მაგრამ ამაოდ, ვერსად ნახა და ღამის პერანგით გაექანა კარისკენ. ემინ ბეი გაიზმორა და ლამპა აანთო.

"ასე ნახევრად შიშველი სად მიბრძანდებით, ქალბატონო?", ჰეკითხა.

"განა არ გესმით, კარები ჩამოილეს?"

"მერედა, კარის გალება თქვენ გევალებათ? ახლავე დაბრუნდით ლოგინში! მე გავალ". ემინ ბერ ბუზღუნით ნამოდგა და თავთან მდგარ საათს შეხედა. "ამ შუალამისას ვინ უნდა იყოს?" - თქვა და ოთახიდან გავარდა. ჰაკიე ერთხანს კიბეზე ჩამავალი მეუღლის ფეხის ხმას უგდებდა ყურს, შემდეგ ლოგინის გადასაფარებელი ორად მოკეცა, მხრებზე მოიგდო, ნაჩეარევი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე და მიაყურადა. ამასობაში მებალესაც გაელვიძა და ის იყო კარის გალებას და გარეთ მყოფთა შიგნით შემოყვანას აპირებდა, რომ ახლა უკვე სახლის მახლობლად ფეხის ხმა გაისმა. ჰაკიემ რამდენიმე საფეხურიც ჩაირბინა და მოაჯირდან გადაიხედა. შემოსასვლელში წყვილი ჩექმა გაარჩია. ნუთუ ისევ ომია? მისი ქმრის ნასაყვანად თუ მოვიდნენ? ახლა უკვე კიბის ბოლომდე დაეშვა, ორი ფორმიანი კაცი იდგა . . პოლიციელები... მებალეს ნავთის ლამპა ეკავა ხელში და მაღლა აეწია, რომ ემინ ბერის საბუთის ნაკითხვა შესძლებოდა. მართალია, ცუდი განათება იყო, მაგრამ ჰაკიემ მაინც შენიშნა ქმრის გაფითრებული სახე. ემინ ბერ ნაბორძიკდა, შემდეგ სოფას-თან მდგარ მაგიდას დაეყრდნო. პოლიციელები უხმოდ იდგნენ და უმზერდნენ. ჰაკიე, რომელსაც დავინუებოდა, რომ პერანგის ამარა იყო, მაგიდისკენ გაექანა და ქმარს ნინ დაუდგა. ემინ ბერ ცახცახებდა. დეპეშა ცოლს გაუწოდა, მაგრამ მაშინვე უკან გამოართვა.

"რა მოხდა?" - იკითხა ჰაკიემ.

"აქ ჩამოვექით, გეთაყვა", - სკამზე ანიშნა ემინ ბერიმ.

"მომეცით ეგ დეპეშა!"

ემინ ბერ არ განძრეულა.

"ჰაკიე, გთხოვთ, დაწყნარდით!"

ჰაკიე დაჯდომას არ აპირებდა. სახე სულ გაფითრებოდა. ემინ ბერ მეუღლეს გაყინულ ხელებზე შეეხო და ჩურჩულით უთხრა:

"უბედური შემთხვევა მოხდა. საზარელი შემთხვევა. ჯევათს დამბარით შაქირ ფაშა მოუკლავს, მამამისი მოუკლავს".

ღრმა ბავშვურ ძილში მყოფმა ფურეიამ ბუნდოვნად მოჰკრა ყური სახლში ატეხილ დავიდარაბას. დილით რომ გაიღვიძა, ბებია მის გვერდით არ ინვა. ლოგინიდან ადგა, გარეთ გავიდა და თითის ნვერებზე დაეშვა კიბეზე. ყველა საძინებელი ოთახის კარი გაეღოთ, საწოლები ცარიელი და აულაგებელი იყო. ჰატარა გოგონა ასეთ

სურათს პირველად ხედავდა. ერთი სართული ჩაიარა, სალონის ლი-ად დარჩენილ კარებში შეიხედა და რას ხედავს! ბებია ძირს დამხო-ბილა და აქეთ-იქით ეხეთქება... ღმერთო მიშველე... ალაპ, შემინყა-ლე. ალაპ, დამიფარე..." ის იყო, ბავშვმა ოთახში შესვლა დააპირა, რომ ნისასა და ალიეს გერმანელმა გუვერნანტმა ფოლადივით ძლიერი ხელები მხრებზე მოპხევია და ოთახიდან გაიყვანა.

"თქვენ აიღეთ საბანაო კოსტიუმი, ფურეია. ჩვენ ნასვლა პლა-უი," - თურქულად, მაგრამ გერმანული აქცენტით მიმართა ბავშვს.

"დედაჩემი არ მაძლევს უფლებას, მის გარეშე შევიდე ზღვაში, ჩემი ბატონი"

"ჩვენ heute ნასვლა პლაუი. აბა, მალე ნასვლა."

"კი, მაგრამ, დედა რომ გაბრაზდება..."

ქალმა ფურეიას ხელი სტაცა და ძალით ჩამოიყვანა კიბეზე. ქვე-ვით სოფაზე ალიე და ნისა ისხდნენ, ხელში პლაუის ჩანთები ეჭი-რათ და გაოგნებულები იყურებოდნენ. ფურეიას არც კი უსაუზმია. შიოდა. უცბად სამზარეულოსეკნ მიმავალი დეიდა აიშე შენიშნა, რომელსაც კალთით რაღაც მიჰქონდა, და მყისვე მასთან მიირბინა.

"დეიდა, ამ აღმზრდელს პლაუზე ძალით მივყავარ. დედამ რომ გაიგოს, ძალიან გაბრაზდება. თანაც ჯერ კვერცხი არ მიჰამია ბა-ბუსთან ერთად".

დეიდა აიშეს ლამაზი ცისფერი თვალები ჩასწილებოდა, კალ-თა ძველი ფოტოსურათებით ჰქონდა სავსე და დისტვილს რომ არ დაენახა, კიდევ უფრო ზევით ასწია.

"ბაბუა ხომ აქ არის. განა სამოგზაუროდ არ ნავიდნენ ბაბუა და ბიძაშენი?" - უთხრა.

"მაშინ მამასთან ერთად ვისაუზმებ"

"არც მამაა შინ."

"სად არის მამაჩემი?"

"აფიონში გაემგზავრა. რასაც გეტივიან, ის გააკეთე, ფურეია! ფეხებში ნუ მებლანდები. ამ დილით კვერცხი და სხვა რამ არ იქნე-ბა. მშიერი თუ ხარ, ფროილაინი პლაუზე სიმითს გიყიდის", - უთხ-რა და აჩქარებული ნაბიჯით სამზარეულოსეკნ გაემართა.

შაქირ ფაშას სასახლის ბავშვებს ვერაფრით გაეგოთ, ამ დილაუ-თენია პლაუზე ფართხა-ფურთხით რატომ მიერეკებოდნენ და მა-ინც, ზღვაში შესვლის სურვილით შეპყრობილნი, გერმანელ აღმზ-

რდელს კუდში მორჩილად მიჰყვებოდნენ. დროდადრო ნისა და  
ალიე ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, მაგრამ ფურეასა და მუთარან  
არაფერს უზიარებდნენ. საღამომდე პლატზე იყვნენ, შემდეგ კი  
სახლში არ მიბრუნებულან. რამდენიმე დღით უფროსები სარა მა-  
მიდას სახლში გაგზავნეს, ფურეია და მუთარა კი - ჯემალ ბეის  
კუნძულის სასახლეში. მეორე დღეს ლალამ საცელები მოუტანა.  
სახლში რაღაც პრობლემა ჰქონიათ, შაქირ ბეი ავად გამხდარა და  
ბავშვების ხმაურის მოსმენა არ შეეძლო. მის გამოჯვანმრთელებამ-  
დე ამ სახლებში უნდა დარჩენილიყვნენ.

რამდენიმე დღეში შინ დაბრუნებულ ფურეიას ძია სუათი დახვ-  
და. ბაბუა და ძია ჯევათი კი ვერსად ნახა. მათ უკვე ამ სახლში ვე-  
რასდროს ნახავდა და კუნძულზე გატარებული ხანაც უნინდელი-  
ვით უდარდელი ველარასდროს იქნებოდა.

## პრიზისის ნლები

შაქირ ფაშას ოჯახს და მთელ ქვეყანას განსაცდელი ერთდროულად დაატყვდა თავს და ამ უცნაურ დამთხვევაში თითქოს განგების ხელიც ერია. 1914 წლის მინურულს მთელ სახელმწიფოში, ისევე როგორც შაქირ ფაშას ოჯახში, უიმედობასა და კაეშანს დაესადგურებინა.

ოსმალები ნაწილ-ნაწილ კარგავდნენ ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ რუმელია, ბოსნია-ჰერცოგოვინა და კრეტა გამოეცა-ლათ ხელიდან, შემდეგ ტრიპოლი-ბენგაზი გადაეცათ იტალიელებს. თითქოს ეს არ კმაროდა, ევროპის მიწები მთლიანად დაათმობინეს. ოსმალეთმა მხოლოდ აღმოსავლეთ თრაკიის შენარჩუნება შეძლო. 1912-1913 წლების ბალკანეთის ომის დასრულებამდე ოსმალთა არმია უმეთაურო ბრძოდ გადაიქცა.

სახელმწიფო იშლებოდა. ხალხი სისხლის ცრემლებით ტიროდა. ერთობის პარტიას ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად დიდი ძალისხმევა არც კი დასჭირდებია. სანამ ითთიპათელი ფაშები თავნებობდნენ და თავიანთი ამპარტავნებით მთელ მსოფლიოს გამონვევას უთვლიდნენ, შავი ღრუბლებით დაფარული ცა ქვეყნის თავზე სულ უფრო და უფრო იქუფრებოდა. არც ეს აკმარა ბედის-ნერამ ოსმალეთსა და ოსმალობებს. ბალკანეთის ოში დამარცხებულ ქვეყანას წინ კიდევ დიდი განსაცდელი ელოდა: 1914 წელს ოსმალთა იმპერიას ევროპის სახელმწიფოთა მიერ დაწყებული პირველი მსოფლიო ომის მორევი ჩაითრევდა და ამ მორევში იგი უთუოდ დაიღუპებოდა.

1918 წლის 13 ნოემბერს - პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ოთხი წლის შემდეგ - მტრის ესკადრამ სტამბოლის მისადგომებთან ღუზა ჩაუშვა და ხმელეთზე ჯარი გადმოსხა.

იმ დღეებში სტამბოლი თითქოს ერთმანეთში ჩასმული რგოლე-

ბისგან შედგებოდა. ყველაზე შიდა რგოლს მაპმადიანი სტამბოლე-ლები წარმოადგენდნენ - ომში წასული და ომიდან დაბრუნებული, მშერი, დაბნეული, უმუშევარი და გულგატეხილი ადამიანები, რო-მელთა თვალინი ერთმანეთის მიყოლებით უფასურდებოდა აქამდე მათთვის მისაღები ლირებულებები და რომელთაც ხელის მოსაჭი-დებელი ხავსიც კი აღარ დარჩენდათ. ნაადრევად დაბერებულ ქა-ლებსა და ხეიბრად დარჩენილ მამაკაცებს შიმშილისგან თავის და-სახსნელად ყველაფერი გაეყიდათ, სამზითვო სკივრები დაეცარიე-ლებინათ, ქორწილში მორთმეული საჩუქრები ლუკმაპურზე გადა-ეცვალათ. მაპმადიანი მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებს იმედგაცრუების, სევდისა და გაჭირვების გარდა კიდევ ერთი რამ უკლავდა გულს - ეს იყო დამარცხებით გამოწვეული სირცხვილის გრძნობა.

მეორე რგოლს შეადგენდნენ ომის ნყალობით გამდიდრებულე-ბი, ავანტიკიურისტები, იშვიათად - ვაჭრები, მღვრიე ნყალში თევზის ჭერის მსურველი გაიძვერები, მედროვეები, რომლებიც ყველა-ფერს იკადრებდნენ გაღატაკებულ სასახლეებსა და ვილებში უნინ-დელი ფუფუნების შესანარჩუნებლად. ამავე რგოლს წარმოადგენ-დნენ იმპერიის მოტრუიალენი. ისინი ძირითადად კოსმოპოლიტურ უბნებში - ფერასა და შიმლიში ცხოვრობდნენ.

ბოლო რგოლი სასახლე იყო - ძალაგამოცლილი, გაცამტვერე-ბული და გავერანებული. სასახლე, რომელიც მზად იყო, იმპერიის სადაცების შესანარჩუნებლად ყველაფერზე წასულიყო.

ასე და ამგვარად, თანდათან რგოლებად იშლებოდა და იქსაქსე-ბოდა სტამბოლი.

უკვე ცხრამეტი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც შაქირ ფაშას ოჯახმა სასახლესთან კავშირი განყვიტა. ფაშამ, თითქოს მომა-ვალს ჭერეტდაო, ქალიშვილები უმაღლესი წრის ფაშაზადეებს კი არა, საშუალო შეძლების სახელოვან სამხედროებს მიათხოვა. ამ მამაცმა ახალგაზრდებმა მომავალში მნიშვნელოვანი წვლილი შეი-ტანეს ახალი ქეყენის დაბადებაში.

ომის დაწყებისთანავე ემინ ბეი და აპმეთ ბეი ფრონტზე გაინვი-ეს. თუ არ ჩავთვლიდით სუათს, რომელიც ლიცეუმში სწავლობდა, უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახს მეტად მძიმე დრო დაუდგა. ჰარბი-

ეს სახლი ინგლისელ ოკუპანტებს დაეკავებინათ, ამიტომ ზამთარ-საც კუნძულზე ატარებდნენ.

ჰაეკესა და აიშეს მამის მკელელი ძმის მიმართ დაუფარავი ზიზღი უფრო და უფრო უმძაფრდებოდათ. აიშემ, რომელსაც საქ-ვეყნოდ შერცხვენილი ოჯახის წევრად მიაჩინდა თავი, ნიშნობის ჩაშლაც კი სცადა, მაგრამ საქმროსაგან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ჯევათს თოთხმეტი წელი ჰქონდა მისჯილი და კვლავ საპყრობილები ჩრდოდა. ამ ტრაგედიის უშუალო მონმე - სუათი ხშირად ეარგავდა გონებას, იოლად ერეოდა სენი. ჩვეული ცხოვრების წესის შესანარჩუნებელი სახსრები უფრო და უფრო იღეოდა. მართალია, უჭირდათ, მაგრამ სარე ისმეთ ხანუმმა პატიმარი შეი-ლის მეუღლე და ქალიშვილი მაინც შეიფარა. ფაპრუნისა ნატიფი ხელოვნების სკოლაში სწავლოდა, ფურეია კი - ბაბუას მიერ კუნ-ძულზე დაარსებულ დანყებით სკოლაში. ემინ ბერ აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდა და შემშილობის ზღვარზე მყოფი ოჯახისთვის მცირეოდენი სანოვაგის გამოგზავნასაც ახერხებდა. ერთხელ, ანა-ტოლიდან სტამბოლში თუნუქის ყუთით თავუქეგიოსუ გამოაგზავ-ნა. თუმცა ქვეყნის დასალიერიდან გამოგზავნილი ჩაროზი თავუქ-ეგიოსუს გარდა ყველაფერს ჰგავდა, ემინ ბერის მზრუნველობით გუ-ლაჩუყებულმა ოჯახმა მაინც სიამოვნებით მიიღო ძღვენი.

1919 წლის აპრილში სომხებმა ყარსი და არდაპანი დაიცყრეს. აპ-რილ-მაისში ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების ოკუპა-ცია დაიწყო. 29 აპრილს იტალიელები ანტალიაში შევიდნენ, 11 მა-ისს ბერძნებმა ფეთქიე დაიკავეს, ორ დღეში იტალიელთა ხელში ქუ-შადასი გადავიდა, 15 მაისს კი ბერძნებმა იზმირს მიაღწიეს. ეს ბო-ლო წვეთი იყო, რომელმაც ოსმალების მოთმინების ფიალა აავსო.

მაგრამ იშვიათად ისეც ხდებოდა, რომ შავი ღრუბლებიდან მზის სხივი გამოკრთებოდა და დარდით, სილატაკითა და სასონარკვე-თილებით მოცულ ქვეყანას მოეფინებოდა. ოსმალეთში ჯერ კიდევ დარჩენილიყვნენ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამი-ანები, რომელთა სულში არ ჩამქრალიყო იმედის ნაპერწკალი.

“ისტორიას არავინ ქმნის,  
ის საკუთარ მაქმანს თავად ქსოვს.” ვიქტორ  
შ. ს. აიდემირი

1918 წლის 13 ოქტომბერს სტაბის ოფიცერი მუსტაფა ქემალი ადანიდან სტამბოლში ჩავიდა და მატარებლიდან პირდაპირ ჰაიდარფაშას ნავმისადგომისკენ გასწია. სტამბოლის ოკუპაციამდე ზუსტად ერთ თვე იყო დარჩენილი. მთელი სტამბოლი გუგუნებდა. არემარეს აყრუებდა ახალგაზრდა ბერძნების მხიარული შეძახილები, რომლებიც ოკუპანტებს ელოდნენ. ოფიცერი მუსტაფა ქემალი ფრიად დამწუხებული ჩანდა, მაგრამ უიმედობას არ მისცემოდა. იგი ფიქრობდა, რომ კარგად განვრთნილი არმიით შესაძლებელი იყო მოსალოდნელი ოკუპაციის თავიდან აცილება და ჯერ კიდევ გადარჩენილი ტერიტორიების შენარჩუნება. სჯეროდა, რომ მთავრობა ამის შესაძლებლობას მისცემდა. იმ დროს ტახტზე სულ-თანი ვაპდეთინი იჯდა, რომელსაც ჯერ კიდევ უფლისნულობის დროს საზღვარგარეთ მოგზაურობისას ახლდა თან. მუსტაფა ქემალს ეგონა, რომ სულთანი მას მოუსმენდა, მაგრამ ყოველი მისი მცდელობა უშდედებოდ სრულდებოდა. ეროვნული მოძრაობის მომხრე ენერგიულ ახალგაზრდებს მაღალი თანამდებობებისაკენ გზა გადაკეტილი ჰქონდათ. სულ მაღა მუსტაფა ქემალი დარწმუნდა, რომ სტამბოლში დარჩენით მნიშვნელოვანი საქმეების კეთება შეუძლებელი იყო.

უცნაური და, ამავე დროს, ბედნიერი შემთხვევითობის ნყალობით მუსტაფა ქემალის სტამბოლში ყოფნისას იქ თავი მოეყარათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე პროგრესულ ნარმომადგენლებს, მათ შორის იყვნენ ისმეთ ბეი, ფევზი ფაშა, ქაზიმ ქარაბექირი, რეფეტ ფაშა, რაუფ ბეი და ადნან ბეი.

მუსტაფა ქემალმა შიშლიში სახლი იქირავა და სანუკეარი ოცნების განხორციელებას შეუდგა - ეს იყო სახალხო ნინააღმდეგობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყება.

მუსტაფა ქემალის სახლში ხშირად იმართებოდა შეკრებები. ამ შეკრებებში მონაწილე მამულიშვილებს ფადიშაპისგან დახმარების იმედი გადაეწურათ და ერთადერთ ხსნად ანატოლიიდან ნინააღმ-

დევობის მოძრაობის დაწყებას მიიჩნევდნენ. შეხვედრებიდან, რომლებიც გათენებამდე გრძელდებოდა, ერთი დასკვნა კეთდებოდა:

პატრიოტებს მიაჩნდათ, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა არ-მიისა და ხალხის ერთ მუშტად შეკვრა და ნინააღმდეგობის მოძრაობის ანატოლიიდან დაწყება იყო. ამ დიად გეგმას სათავეში უნდა ჩასდგომოდა ვაჟყაცობითა და სამხედრო ღვანლით განთქმული მუსტაფა ქემალი. განმათავისუფლებელი ბრძოლის მომავალ გმირებს ამ საკითხზე სრული თანხმობა ჰქონდათ.

ანატოლიის უკვე ოკუპირებულ რეგიონებში ალაგ-ალაგ ნინა-აღმდეგობის რაზმები ყალიბდებოდა. ახლა საჭირო იყო, ამ სპონტანურად შექმნილ რაზმებს პროფესიონალი სამხედროები ჩასდგომოდნენ სათავეში, რათა გარკვეული სისტემით ერთმანეთთან შეთანხმებულად ემოქმედათ და ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია ჰქონდოდათ. მუსტაფა ქემალი და მისი თანამოაზრები სტამბოლში უქმად არ მსხდარან. ისინი ეძებდნენ დემობილიზებულ სამხედროებს, რომლებსაც ანატოლიაში გაგზავნიდნენ. ამასთანავე, ცდოლობდნენ მუსტაფა ქემალის სამხედრო მისით ანატოლიაში გამგზავრებას. მაგრამ ეს უკანასკნელი ძნელი მოსაგვარებელი აღმოჩნდა: სახელმწიფოს სადავეები ითიპათელებს ეპყრათ, მუსტაფა ქემალისა და მათი გზები კი კარგა ხნის გაყრილი იყო. თუმცა მუსტაფა ქემალს ჯერ კიდევ შერჩენოდა ვაპდეთინის იმედი. იგი ფიქრობდა, რომ ვითარების უკიდურესად დაძაბვის შემთხვევაში ფადიშაპი ანატოლიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას დასთანხმდებოდა და მათთან ერთად სამშობლოს გადასარჩენად გაირჩებოდა. მას ძალიან უნდოდა ამის დაჯერება. მუსტაფა ქემალს ახლა ეს რწმენა ძალზე სჭირდებოდა.

შიშლის სახლში გამართულ შეკრებებზე, რომლებიც გათენებიდან დაღამებამდე გრძელდებოდა, პოზიციები უკვე გარკვეული იყო. მისის ერთი ნაწილი დასრულდა. ახლა მთავარი იყო, მუსტაფა ქემალი ანატოლიაში ოფიციალური მისით მიევლინათ, თანაც მისთვის ფართო უფლებამოსილებაც უნდა მიენიჭებინათ.

სწორედ ამ დროს საოკუპაციო ჯარებმა მთავრობას ნოტა გაუგზავნეს.

შავიზღვისპირა რეგიონებში, განსაკუთრებით სამსუნსა და მის

შემოგარენში, არეულობა დაინყო. ინგლისელი და ფრანგი დამპყრობლებისაგან გადიდგულებული ადგილობრივი ბერძნები თურქულ სოფლებს ანიოკებდნენ. ოკუპანტთა აზრით კი, საქმე სხვაგვარად იყო, პირიქით, ეს თურქები ესხმოდნენ თავს სანაპირო ზოლის გასწვრივ და, განსაკუთრებით, სამსუნის მახლობლად მცხოვრებ ბერძნებს. და თუ უმოკლეს ვადაში ეს უმსგავსობა არ აღიკვეთებოდა, მდგომარეობა კონტროლიდან გამოვიდოდა, უცხოელები ამ რეგიონებსაც დაიკავებდნენ.

სადრაზამმა ფერით ფაშამ შინაგან საქმეთა მინისტრს - მეპმეთ ალი ბეის უხმო და აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უბრძანა.

"ეს პრობლემა აქ - სამეფო კარზე ვერ მოგვარდება. უკონტროლო რეგიონის ჭუაზე მოსაყვანად იქ გამოცდილი და ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის გაგზავნაა საჭირო, რომელიც შეძლებს, თავი გაართვას არეულობას. ჩვენს სამხედრო მეთაურებს შორის ასეთ პიროვნებად მუსტაფა ქემალ ფაშა მეგულება", - ასეთი იყო მეპმეთ ალი ბეის პასუხი.

აი, ნამდვილი ბედის საჩქარი! აღმოსავლეთის ჯარების ინსპექტორად დანიშნა და აღმოსავლეთ ანატოლიაში გამგზავრება - ეს ხომ მუსტაფა ქემალის სანუკვარი ოცნება იყო.

ანატოლიაში მივლინების ფარული მიზნები მუსტაფა ქემალმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა. წინააღმდეგობის მოძრაობის დასაწყებად მუსტაფა ქემალის კარდაქარ სიარული საოკუპაციო ჯარებს არ გამოშეპარვით. დამპყრობითათვის მიუღებელ ქმედებას სასახლის მყუდროების დარღვევა შეეძლო. ამიტომ მუსტაფა ქემალის ანატოლიაში გაგზავნას და თავიდან მოშორებას სამხედრო საქმეთა სამინისტროც ემხრობოდა.

მაგრამ ასეთ პოსტზე დასანიშნად შინაგან საქმეთა მინისტრის მეპმეთ ალი ბეისა და სადრაზამ დამათ ფერით ფაშას თანხმობა არ კმაროდა. იმ დროს ყველა გაურბოდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. კითარება იმდენად სერიოზული იყო, ყველა ხვდებოდა, რომ ოსმალეთის იმპერიას უკვე ვეღარაფერი იხსნიდა. სადრაზამმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მუსტაფა ქემალს მოსთხოვეს, რომ ამ თანამდებობაზე დასტური თვით სულთნისაგან მიეღო.

მუსტაფა ქემალი და სულთანი ვაპდეთინი ილდიშ სარაის პარა-  
რა სალონში გვერდიგვერდ ისხდნენ. ფანჯრიდან კარგად ჩანდა  
ბოსფორის სრუტეში პარალელურ რიგებად ჩამწკრიცებული  
მტრის სამხედრო გემები და მათ ბორტებზე განლაგებული ილდიშ  
სარაისაკენ მიმართული ზარბაზნის ლულები.

"ფაშა, ფაშა," მიმართა სულთანმა მუსტაფა ქემალს, - "დღემდე  
მუდამ სახელმწიფოს სამსახურში იყავი, მაგრამ ახლანდელი დავა-  
ლება ადრინდელზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ფაშა, შენ სა-  
ხელმწიფოს ხსნა შეგიძლია".

მუსტაფა ქემალმა შინაგანი სიმხურვალე იგრძნო - აյი ამტკი-  
ცებდა, სულთანი ოკუპაციას არ შეურიცება.

"წინააღმდეგობის არმიის შესაქმნელად..."

"შენი ვალია, დაემორჩილო ოფიციალური სტამბოლის პოლიტი-  
კას," - სიტყვა მოუქრა სულთანმა თანამოსაუბრეს, "უნდა მოაგვა-  
როთ ის პრობლემები, რომლებიც მთავრობას ანუხებს. ფაშა,  
თქვენ ქვეყანა და ხალხი ამ პოლიტიკის სისწორეში უნდა დაარწმუ-  
ნოთ. თქვენ ეს შეგიძლიათ."

მუსტაფა ქემალს იმედის ეს უკანასკნელი ნაპერნებლიც ჩაუქ-  
რა. აუდიონციის დასრულების შემდეგ სულთნის ადიუტანტმა მას  
პატარა კოლოფი გადასცა, როგორც მცირედი სახსოვარი სულთ-  
ნისგან. კოლოფში საათი იდო, რომელზეც ვაპდეთინის ინიციალე-  
ბი იყო ამოტკიფრული.

მუსტაფა ქემალს გზა გაეხსნა ოფიციალური მისით ანატოლი-  
აში გასამზადერებლად. სამსუნში ჩასვლამდე ერთი დღით ადრე შე-  
იტყო, რომ ბერძნები იზმირში ჯარის გადასმისთვის ემზადებოდ-  
ნენ. მთავრობა კვლავ უძლური აღმოჩნდა, მაგრამ ამჯერად ხალხი  
აბობოქრდა. მისთვის ეს მოვლენა სილის გაწვნის ტოლფასი იყო.  
ყველა ჭეშმარიტი მამულიშეილის გულში შინაგანი ხმა ყვიროდა -  
"არა!" "უნდა გამოჩნდეს ვინმე, ვინც ნინ აღუდგება ამ მორჩილე-  
ბას, ვინც ეტყვის - შეჩერდი! ეს შეიძლება მხოლოდ მუსტაფა  
იყოს!" - ამგვარად მოაზროვნეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა.

ემინ ბეიც მათ შორის იყო. ის ზოგჯერ ახერხებდა მონანილეო-  
ბა მიეღო შეიძლის სახლში გამართულ შეკრებებში და, რომ არა შა-  
ქირ ფაშას ანდერძი, ამ მოძრაობაში სულითა და გულით ჩაერთვე-

ბოდა, მაგრამ ვერ ივიწყებდა შაქირ ფაშას სიტყვებს: "შვილო, მე თუ რამე მომიუა, ოჯახის უფროოსი შენ უნდა გახდე. პაკიუს და მის და-ძმასაც შენ გაბარებ. ვიცი, ჯევათისაგან ხეირს არ უნდა უელო-დოთ, სუათიც ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ღრუბლებში დაფრი-ნავს. შენ უნდა გაუძლვე ოჯახს, მაგრამ გახსოვდეს, სასახლეს ერი-დე, ახლოს არ გაეკარო და არც ნინ აღუდგე, თორემ ინანებ!"

ემინ ბეი ცდილობდა, შეესრულებინა საყვარელი და პატივსაცე-მი სიმამრისტვის მიცემული სიტყვა. ერთ-ერთ შეკრებაზე მიხვდა, რომ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, შეიძლება სასახლესთან დაკავში-რებით რაღაც ხათაბალაში გაბმულიყო და ამიტომაც განშე გად-გომა არჩია. მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ პირობის ბოლომდე ვე-ლარ უერთგულებდა.

ოსმალთა ქალაქები ერთმანეთის მიყოლებით დაეცა, სასახლე კი მხოლოდ მაყურებლის როლს სჯერდებოდა.

ერთ-ერთ ბოლო შეკრებაზე მუსტაფა ქემალმა ემინ ბეის მიმარ-თა: "ემინ, ერთ დღეს ანატოლიაში ძალების გადასროლა რომ დამ-ჭირდეს, შეიძლება, შენი იმედი მქონდეს?" ჯარების გადასროლა, რა თქმა უნდა, მატარებლით ან გემით უნდა მომხდარიყო. სარკი-ნიგზო და საზღვაო მაგისტრალები უცხოელებს ეპურათ ხელთ, ემინ ბეის კი, მეუღლისა და მისი სანათესაოს წყალობით, უამრავი უცხოელი მეგობარი ჰყავდა.

ემინ ბეის მარსელის კონსული სეიფედინ ბეი გაახსენდა, რომ-ლის ფრანგი მეგობარიც სარკინიგზო სისტემაში მუშაობდა. ერთ-ერთი საუბრისას სეიფედინ ბეიმ აღნიშნა, რომ ეს ფრანგი აზარტუ-ლი მოთამაშე ყოფილა და ბანქოს გამო ვალებში ჩაფლულიყო. იქ-ნებ ეს კაცი გამოსდევომოდათ.

1919 წლის 15 მაისს იზმირიც დაეცა.

ხალხს მოთმიმების ფიალა აევსო. მუსტაფა ქემალის ჯერი დგე-ბოდა. ახლა უმთავრესი იყო, დრო არ დაეკარგა და დანიშნულების ადგილამდე სწრაფად მიეღწია.



## პატივითო (ოსმანოლუს კლინიკა)

“შათ გულებში და სარეცელზე  
მარტოობა გამეფებულიყო.  
მძიმე იყო ომის წლები  
კუნძულის სასახლის პინადარი  
აზალდაზრდა ქალბატონებისთვის”

ერთი რამ ნამდვილად არ მადარდებს - როცა მოვკვდები, სარა გაუძლება ჩემს დაკრძალვას. ასეთ საქმეებს თავს კარგად ართ-მევს. გამოფენის პრეზენტაციით დაწყებული და დაკრძალვის ცე-რემონიით დამთავრებული - ყველა ღონისძიებაზე უკიდეგანო ფანტაზიას და შეუდარებელ გემოვნებას იჩენს. საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში ასეთ წარმატებას გამოცდილებისა და ნიჭის ნყალობით მიაღწია. მართალია, იგი არც მნერალი, არც მხატვარი და არც მუსიკოსი გამხდარა, როგორც მოველოდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩემი გოგონა ფრიად წარმატებულ პროფე-სიას დაუყოლა. ამაზეც მადლობელი ვარ...

დარწმუნებული ვარ, სარა ჩემი დაკრძალვის ცერემონიაზე მე-ჩეთის ეზოში ყვითელი ან წითელი ქრიზანთემებით მორთულ ჭყა-ტელა გვირგვინებს არ დაადგმევინებს. შეიძლება, მეჩეთის გალავ-ნის გარეთ წამოამნერივოს - ეს უკვე აღარ ვიცი. გვირგვინის ხსე-ნებაზე ყოველთვის ქრიზანთემები და შემოდგომის ყვავილები მა-გონდება. ალბათ, იმიტომ, რომ ათი ნოემბერი შემოდგომას ემთხ-ვევა. ქრიზანთემა ხომ ნოემბრის ყვავილია. მგონი, სარა ჩემს კუ-ბოზე უასმინებისგან დაწილ პატარა და კოტა გვირგვინს დადებს - რა თქმა უნდა, თუ იშოვის. შესაძლოა, უასმინის ნაცვლად იები ან ოსმალური მიხაკები შეარჩიოს. ჩემმა გოგონამ კარგად იცის, რომ ვარდი დაკრძალვისთვის არ გამოდგება. გვირგვინზე სარას და მი-სი შვილების სახელებს ნაანერენ. კუბოს თავთან კი ჩემს უსაყვარ-

ლეს ფირუზისფერმაქმანებიან თეორ მანდილს დააფენენ.

ახლა საავადმყოფოს საწოლზე ვწევარ, სიკედილს კუახლოედების განახლების გამო და ვფიქრობ, თუ არსებობს ვინმე, ვინც არ მიყვარს. ასეთი არა-სამარტინო ვინ მახსენდება. თუმცა გული ბევრჯერ მატკინეს, მაგრამ ყველას ვაპატიე. ნეტავ, აფილემ თუ მაპატია, რაც ვაწყენინე? სარას გამო მთელი ცხოვრება ვკამათობდით. ჩვენ ერთი ბავშვი ვერ გავიყავით. ახლა აქ ვწევარ და ვხვდები, რა უსამართლოდ მოვექეცი სარას მშობელ დედას. მაგრამ ლოგიკა როდის არ ყოფილა სიყვარულის ტყვე? სიყვარულის გამო ხომ ადამიანი ყველაფერზე მიდის. შვილის სიყვარული მაინც სხვაა.

რას ვნანობ? ბევრს არაფერს. მხოლოდ იმაზე მნიშვნება გული, რომ ხელოვნებით გვიან დავინტერესდი. ღმერთს ჩემთვის ცხოვრების თავიდან დაწყების შესაძლებლობა რომ მოეცა, უნივერსიტეტის დამთავრებისას გათხოვების ნაცვლად კერამიკას მოვკიდებდი ხელს.

ნეტავ საბაჟათინს თუ გავყვებოდი ცოლად? ალბათ, გავყვებოდი. როცა პირველად დავინახე, ვიგრძენი, როგორი სისწრაფით დაიძრა ცეცხლოვანი ბურთი მუცლიდან ყელისკენ. შემდეგ ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია. ზოგი ჩემი ახლობელი თვლიდა, რომ უშვილობას განვიცდიდი. "ალბათ, როგორ გსურდა, დედა გამხდარიყავი!" - მითხრა ერთმა ამხანაგმა. "მე ხომ სარა მყავს". "მაგრამ ის შენ არ გაგიჩენია", - მომიგო მან. სულელი ქალი! ჰერონია, რომ შვილის სიყვარული მის გაჩენასთან არის დაკავშირებული. თითქოს იმისთვის, რომ ბავშვი შვილივით გიყვარდეს, აუცილებელია, ფეხებგაჩაჩულმა და ხმის ჩახლეჩამდე აკივ-ლებულმა შვა იგი. ისეთებიც არიან, საკუთარი შვილიც რომ არ უყვართ... ანდა ერთ-ერთი შვილი გაგიუებით უყვართ, დანარჩენები კი განსაზღვრული დოზით - როგორც ბებიაჩემს, დედაჩემის დედას. ჩემი აზრით, ბებიას ძია ჯევათთან აუნერელი და უსაზღვრო სიყვარული აკავშირებდა. შვილმა ქმარი მოუკლა, მაგრამ ამ ტრაგედიამ ვერ გაანელა ის სიყვარული, რომელსაც დედა გრძნობდა შვილის მიმართ. დედამ შვილს აპატია, მის დაცვას ცდილობდა, თავს ევლებოდა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უყვარდა იგი. შველაზე მეტად დედაჩემი და დეიდა აიშე უბრაზდებოდნენ ბებიას. სასამართლოში ბებიაჩემის მიცემულმა ჩვენებამ საქმის მსვლე-

ლობა შეცვალა და დანაშაულიდან უბედურ შემთხვევად აქცია. სიკედილით დასჯას გადარჩენილ შვილს კი ზამთარ-ზაფხულ-საპატიომროში აკითხავდა და, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე ყველამ იცოდა, სულ ამას იმეორებდა: "ჯევათი მამის მკვლელი არ არის, ჩემი შვილი ამას ვერ ჩაიდენდა". დედის ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, დებმა ბიძაჩემს ვერაფრით აპატიეს დანაშაული. წლების მანძილზე მისი დანახვაც კი არ სურდათ. დედაჩემი ერთი თვე არ ელაპარაკებოდა ბებიას, როცა ის საპატიომროში შვილის სანახავად წავიდა. ამის გამო კუნძული დავტოვეთ და მთელი ზაფხული შაქირ ფაშას აპარტამენტში გავატარეთ. ბებია კვლავ დაუინებით აგრძელებდა ციხეში შვილის მონახულებას. დედა იძულებული გახდა, შინ დაბრუნებულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით ფაშრუნისა და ალიკ შემდგომში უფრო მეტ თავშეკავებას იჩენდნენ.

ცხოვრება ადამიანს პატივებასაც ასწავლის, მოთმინებასაც, მაგრამ... სიკედილი! ცივი, აუტანელი, შავად მოსილი სიტყვაა. ადამიანი სიცოცხლის მანძილზე რამდენჯერ ხვდება სიკედილს. ჩემს ასაქში კი სიკედილი მეტად ახლოსაა. იგი ერთგულ ძალს ჰგავს, რომელიც ნაბოჭ-ნაბიჯ ჩრდილივით აედევნება პატრონს - აი, აქ არის, ჩემს თავთან... ახლა უკვე ნაზად, სიყვარულით უშმზერ სიკედილს, რომელიც ახალგაზრდობაში ასე მაფრთხობდა, მაშინებდა... სადაცაა ხელს გავუწდენ და მივეალერსები. მაგრამ ჯერ არა... სულ ცოტა მაცადე, სიკედილ... კიდევ ერთი გამოფენა... უკანასკნელი გამოფენა... ბოლოს კი, როგორც გსურს, ისე იყოს. დანარჩენზე სარამ იზრუნოს. კუნძულის სახლის ჩაბნელებულ სალონში დასვენებული ჩემი ცხედარი... იყოს, როგორც სურს, ისე გააკეთოს, ჩემი დაკრძალვა მას მივანდოთ. როდესაც დაკრძალვას ახსენებენ, რატომლაც თვალწინ ნარმომიდგება კუნძულის სასახლის ქვედა დარბაზში დასვენებული კუბო, რომელზეც ზედა სარკმლიდან ნაზი და თბილი სინათლის ნაკადი ეშვება - ეს იყო ალიეს მეუღლის - ბერგერის კუბო... ალიკ მაგიდის მარჯვენა მხარეს დაჩოქილიყო, თეთრი ნატიფი ხელი კუბოზე ჩამოედო, ხელში სარკე ეჭირა, რომელიც ბერგერის პირთან მიეტანა და ასე გაუნძრევლად იჯდა. როდესაც ხელი დაეღლებოდა, სარკეს ჩემი გერი - ალთემური გამოართმევდა და ახლა, ალიეს ხათრით მას ეჭირა. ყველამ ვი-

ცოდით, რომ სარკე არ დაიორთქლებოდა, მაგრამ იმასაც ვერძნობდით, რომ ალიეს გადარწმუნება შეუძლებელი იყო. ალიეს სარკე კუბოს მოტანამდე ეჭირა. მახსოვეს, ბერგერის დაკრძალვის შემდეგაც ხშირად იჩიქებდა იმ მავიდასთან.

ოთხი წლის ვიყავი, როცა ბაბუაჩემი - შაქირ ფაშა გარდაიცვალა. ბავშვები სხვაგან ნაგვიყვანეს, დაკრძალვის შემდეგ კი შინ დაგვაბრუნეს. ბუნდოვნად მახსოვეს ძლიერ დამწუხრებული, მგლოვიარე სახლი... შავით შემოსილი, მუდამ თვალცრემლიანი ქალები, რომელთაც დანა პირს არ უხსნიდა, სახლში მოფუსფუსე უცნობი ადამიანები, პოლიციელები... პოლიციელები? დიახ, რა თქმა უნდა... ერთ-ერთ მსახურს რაღაც ნამოსცდა. ჩვენ კი, ბავშვებმა, მისი ნათქვამი გავიმეორეთ, ამიტომ ეს მსახური სასწრაფოდ დაითხოვეს.

ასეა თუ ისე, ბაბუაჩემის ცხედარი არ მინახავს, მაგრამ ჩემს ფიქრებში ბაბუას ცხედარსაც სწორედ იმ ადგილას ვხედავ, რადგან დანამდვილებით ვიცი, შაქირ ფაშაც, ისევე, როგორც ბერგერი და ბებიაჩემი, ქვედა დარბაზის სილრმეში მაგიდაზე ესვენა და ზემოდან სინათლე ეფინებოდა. ჩვენს ოჯახში ტრაგედიას განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნობდნენ.

მართალი გითხრათ, მეც ვისურვებდი ასეთ დიდებულ დაკრძალვას, როცა შენი ნაცნობ-მეგობრები ჯერ იისფერი ცისვაზით შორთულ ბალს, შემდეგ კი ამპირის ავეჯით განყობილ ჩაბნელებულ დარბაზს ჩუმი და მოკრძალებული ნაბიჯით გაივლიან, თითქოს ტაძარში შედიანო, რათა ატლასის სუდარის ქვეშ კუბოში მწოლიარეს უკანასკნელად დაგემშვიდობონ. სად ასეთი დაკრძალვა და სად ახლანდელი: როცა მეჩეთის ეზოში თავმოყრილ დამწუხრებულ ადამიანებს მათხოვერები ხელებზე ექაჩებიან, ყველა ერთხმად ყაყანებს და არის ერთი განევ-გამონევა. მაგრამ უკვე კუნძულიც აღარ არის ის, რაც იყო, აღარც ის დარბაზიანი სახლი არსებობს, რომლის გამოც ეს მწუხარე რიტუალი განსაკუთრებით მშვენიერი გეჩვენებოდა. აღბათ, ამ პალატიდან პირდაპირ მორგში გამაგზავნიან. როგორც კი საშუალება მომეცემა, სარას ვეტყვი, მორგში არ ნამიყვანონ. ვერ ვიტან ცივ ადგილებს. არც გაცივება მიყვარს. კუნძულზე გატარებული ზამთრის შემდეგ სიცივეების ძალიან მეშინია.

როგორ ვეციოდა იმ ზამთარს. სკოლაშიც და სახლშიც ვიყინე-

ბოდით. ნავმისადგომიდან გემზე ჩასვლისას დედა სვიტრის ქვეშ გაზეთს შემომახვევდა ხოლმე, რომ არ გაუცივებულიყავა. თანცარ-ში ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი რომ დაუბერავდა, სიცივე ძვლე-ბამდე ატანდა. ალბათ, იკითხავთ, იანვარში კუნძულზე რა გესაქმე-ბოდათო და მართალიც იქნებით. იმ ზამთარს კუნძულზე ჩვენთან ერთად ორიოდე ოჯახი თუ იყო დარჩენილი. ბალკანეთის ომის დასრულებიდან ერთი ნლის შემდეგ მსოფლიო ომი დაიწყო. იმდე-ნად გვიჭირდა, რომ შაქირ ფაშას სახლში ყველა ოთახი გავაქირა-ვეთ. ბებიაჩემის სართული ერთმა ინგლისელმა სამხედრომ დაიკა-ვა. სხვა სართულებიც კი, ანუ დეიდა აიშესი და ჩვენი, გაქირავებუ-ლი გვერდი და ეს იყო ჩვენი ერთადერთი შემოსავალი. მართალია, უფროსები ცდილობდნენ, ეს მდგომარეობა ბავშვებისთვის დაემა-ლათ, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვხვდებოდით. ცვლილებები მუტად თვალში საცემი იყო. საწვავი რომ დაეზოგა, ბებიამ ჩვენი საძინებე-ლი ოთახებისა და ერთი სალონის გარდა ყველა ოთახი ჩააკეტინა. ძირითადად ჩვენს ბოსტანში მოყვანილ ბოსტნეულს ვჭამდით. აჟ-მეთ ბეი, რომელიც ბალკანეთის ომიდან უფროსი უანდარმის ჩინით დაბრუნდა, დეიდაჩემზე დაქორწინდა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კი ბალდადში მეცამეტე არმიის უფროსად დანიშ-ნეს. მამაჩემიც აღმოსავლეთში, რუსეთის ფრონტზე იბრძოდა. ძია ჯევათიც "ძაალიან შორს", ანუ საპყრობილეში იყო. ძია სუათს, რომელიც იმ საზარელი ტრაგედიის უშუალო მონმე იყო, გულყრა დასჩემდა, უეცრად ცახცახი აიტანდა და გონდაკარგული ძირს და-ვარდებოდა ხოლმე. ძია სუათი ბებიაჩემის დაჟინებით ევლავ გა-ლათასარაის ლიცეუმში აგრძელებდა სწავლას. ფაპრუნისასა და ალიეს ფრანგული სკოლა დაიხსურა და გოგონები ერთი უცხოელი ქალბატონის პანსიონში გაამწესეს, სადაც ფრანგულსაც ასწავ-ლიდნენ. შემდგომში ფაპრუნისამ სულთან რეშათის თაოსნობით დაარსებული ნატიფი ხელოვნების სკოლა დაამთავრა. მიუხედავად სილარიბისა, შაქირ ფაშას ოჯახში ფრანგულის არცოდნას ისევე განიცდიდნენ, როგორც სიმუნჯეს. ფრანგული ენა და ინსტრუმენ-ტზე დაკვრა ამ ოჯახში დაბადებული ყოველი ბავშვისთვის აუცი-ლებელი იყო. თუმცა სილატაკე მაინც ხშრად იჩენდა თავს. უზრუნ-ველი ცხოვრების დროს შეძენილი ტაფტა და ხავერდი ნლის ბო-ლოს გვარიანად შეილახა. უკვე დაკერებული ფეხსაცმელი და ტან-

საცმელი გვეცვა. ჩვენ - ბავშვები - სიღატაკეს ვერ შევეჩივიეთ, უფროსებს კი უფულობაზე მეტად მტრის მიერ დაპყრობილი სამშობლოს ბედი ადარდებდათ. შექირ ფაშას გარდაცვალებიდან ზუსტად ორმოც დღეში, - დედაჩემი ამას ხაზგასმით აღნიშნავდა, რადგანაც იმ დღეს მამამისის მევლუდი გადაიხადეს, - ოსმალეთის იმპერატორმა საფრანგეთს ომი გამოუცხადა. პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც ჩვენს მსგავსად ათიათასობით ოჯახი დაანგრია, ჩვენს იმპერიასაც განადგურებას უქადდა.

მამაკაცები ფრონტზე იყვნენ, ძია სუათი ლიცეუმიდან შინ კვირის ბოლოს ბრუნდებოდა ხოლმე. სახლში მხოლოდ ქალები დარჩენილიყვნენ - უფულობას, გაჭირვებასა და შრომას მიუჩეველი ნაზი ქალები, რომელთაც როიალისა და ვიოლინოს დაკვრის, უცხოენებისა და ხატვის გარდა არაფერი შეეძლოთ. მაგრამ ჩვენი ოჯახის ქალბატონებმა - ბებიამ, დედამ და დეიდა აიშემ ამ გაჭირვებას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს, თავი ამაყად ეჭირათ და სიღატაკეს არათუ ნაცნობ-მეგობრებთან, ბავშვებთანაც კი არ იმჩნევდნენ.

იმ ნლებში ფაპრუნისა და ალიე უკვე ახალგაზრდა ქალები გახდნენ, მე კი ძმა შემეძინა, რომელსაც ბაბუას სახელი დაარქევეს. ფაპრუნისა ყოველდღე გემით დადიოდა სკოლაში, რაც მეტად დამლელი იყო. ჩემსა და ალიეს შორის ასაკობრივი სხვაობა უფრო თვალში საცემი გახდა. უკვე ძეველებურად აღარ ვთამაშობდით დაჭერობანასა და დამალობანას, თუმცა ხუთი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ უახლოესი მეგობრები გავხდით. და მაინც, ბავშვობის იმ ნლებშიც ჩვენს შორის გაუმხელელი საიდუმლო თითქმის არ არსებობდა. ალიეს ყველა სურვილს უყოფმანოდ ვასრულებდი. სახლიდან დედაჩემის ნებართვის გარეშე ფერადი შიფრინის შარფები მიმქონდა, მოკვდიო, რომ ეთქვა, უთუოდ მოვკვდებოდი. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ალიეს ცხოვრებაში ყველაზე დიდი, ყველაზე დამატყვევებული ტრფობის მიზეზი გავხდებოდი... ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცოდი. ერთხელ შემთხვევით შევიტყე, თუ რატომ ვატარებდით მთელ ზამთარს კუნძულის სასახლეში, იმასაც მოვკარი ზური, რომ ჩვენს სახლში საოკუპაციო ჯარების ერთ-ერთი მეთაური ცხოვრობდა. ერთხელ დედაჩემი მდგმურებისაგან ქირის მისაღებად ტაქსიმში ნავიდა, შინ დაბრუნებული კი დედასა და ძმას



აღელვებული უყვებოდა:

"დედა, შეგიძლია, ნარმოიდგინო - ინგლისელ მეთაურს ტერასაზე გაფენილი საცვლებიდან ცალი წინდა დაუკარგაუს, კაცი ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა: წინდა მომპარეთ, ფულს გადაგახდევინებთო".

"ალბათ, ქარმა წაილო," - თქვა დეიდა აიშემ.

"მოდი და აუხსენი! რადგანაც ქვეყანას უჭირს, ფიქრობს, რომ თეთრეულსაც კი ვიპარავთ".

"ეს აღარ განმეორდება, შვილო", - თქვა ბებიამ, "როგორც კი ინგლისელები ჩვენს სახლს დატოვებენ, იქ გადავალთ. მდგმურების თავი აღარ მაქვს... მირჩევნია მშიერი ვიჯდე, ვიდრე უცხოელს გავუნოდო ხელი".

ძია სუათი ხალიჩაზე გაგორდა. კვლავ გულყრა დაემართა-მეთქი, გავიფიქრე, ის კი თურმე ხარხარებდა. "შაქირ ფაშას ქალიშვილს, ქალბატონ ჰაკიეს, ინგლისელი მეთაურის წინდა მოუპარავს... ჰა... ჰა... ჰა... ინგლისელის უშველებელი წინდები ემინ ბეის თუ მოერგება!.."

მე მხოლოდ სასტუმრო ოთახის წინ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლისას თუ მოვერავდი ყურს რამეს. ერთ დღეს დეიდამ დედაჩემს უთხრა: "ჰაკიე, ჰოსპიტალში მოხალისედ მუშაობ, ბარემ, ფულიც მოგეთხოვა, იქნებ მოგცენ? მათაც სჭირდებათ დამხმარენი". ფარმუნისა და-ძმას შორის ყველაზე პრაქტიკული ჭურით გამოირჩეოდა, მაგრამ დედამისის მკაცრ მზერას რომ აწყდებოდა, მაშინვე ჩუმდებოდა.

"ჩემი ქალიშვილი ავადმყოფის მომვლელი უნდა იყოს?! ამ საქმეს, როგორც მოხალისე, ისე აკეთებს."

საღამოობით ჩვენს ოთახში რომ შევიდოდით, დედას ვეკითხებოდი: "დედა, იმ წინდას რა უქნეს?" "დედიკო, რას წიშნავს მოხალისე?"

"ყველაზე უარყოფითი გავლენა, რაც ომმა ჩვენს ოჯახზე მოახდინა, ის არის, რომ შენ ზედმეტად ცნობისმოყვარე გახდი და საჭიროზე მეტი იცი."

იმის გამო, რომ ქალების გარემოცვაში ვიზრდებოდი, შესაძლოა, დროზე ადრე გავიზარდე და ზედმეტად განებივრებული ვიყავი. დეიდები, ძია სუათი და ბებიაჩემი დიდ ყურადღებას მაქცევ-

დნენ, როგორც ყველაზე უმცროსს. ყველა ცდილობდა, რაღაც ეს-ნაკლებინა ჩემთვის. ამიტომ, ჩემდა უნებლიერ, მართლაც ბევრი რამ ვიცოდი. მაგრამ მხოლოდ იმ განსაკუთრებულ და საიდუმლო-ებით მოცულ დღეს ვიგრძენი პირველად, რომ გავიზარდე და ახალ-გაზრდა ქალი გავხდი. ეს იყო მაშინ, როდესაც დედაჩემი ღვიძლის სამეურნალოდ კარლსბადში იმყოფებოდა და მე მამასთან ერთად შაქირ ფაშას აპარტამენტში დავრჩი... მგონი, სწორედ იმ დღეს გავიგე, რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული... ეს იყო დღე, როდესაც ის სტუმრად გვეწვია!

## ათებული თვალი

ეს ნატიფი ქალბატონები  
 თმის თითო მოჭრილ კულულს  
 აბრეჭუმის მაქმანებში ახვევდნენ  
 და საგანგებოდ გახამებული ცხვირსახოცებით  
 სევდას, იმედსა და მონატრებას  
 აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფ  
 ოფიცირებს უგზავნიდნენ...

ემინ ბეი შინ ადრიანად დაბრუნდა. ხელში პაკეტები ეჭირა. სამ-  
 ზარეულოში შევიდა, სადაც ფისულა ვახშამს ამზადებდა და  
 ჰკითხა - დღეს ვახშმად რა გვეენებაო.

"გუსინდელი ღვეზელის ნარჩენი, ჩემო ფასა, თქვენს პატარა  
 ქალბატონს კი ხორცს სევუნვავ", - უპასუხა ბერძენმა გოგომ.

"ახლა ხორცი შეწვი და სახლში ნადი, ჩემო გოგო. შენი შვილის-  
 თვის კი საჭმელს აქედან გავატან".

"როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო. ქალბატონს სევპირდი,  
 რომ არ ნავალ, ვიდრე თქვენ არ მოგემსახურებით."

"ნადი, ფისულა, ნადი, დღეს თავისუფალი ხარ."

"პატარა ქალბატონი რალას სენამს?"

"მაგაზე მე ვიზრუნებ. ნადი, შვილო."

"სუფრას მაინც გავსლი."

"არ არის საჭირო, ფისულა. დაბინდებამდე დაბრუნდი შინ".

ფურუია თბვის ოთახში ვიოლინოს უკრავდა. მას შემდეგ, რაც  
 მოსამსახურე დაითხოვა, ემინ ბეი ერთხანს ფანჯრიდან უმზერდა.  
 ფისულამ კიბე ჩაიარა, ქუჩაში გავიდა და ტაქსიმისკენ გასწია.

ქალიშვილის ოთახიდან ვიოლინოს აუწყობელი აკორდების ხმა  
 ისმოდა. ნელინადზე მეტი იყო გასული, რაც უნგრელი ვირტუოზი -  
 ჩარლზ ბერგერი - კვირაში ორჯერ ფურეიის ვიოლინოს გაკვეთი-

ლებს უტარებდა. როიალის დაკვრაში ჰაკიესა და აიშესავით ნიჭიერი ვერ იყო ფურეია, მაგრამ ამ საქმეს მაინც ხალისით ეკიდებოდა.

ემინ ბეი ქალიშვილის ოთახისკენ გაემართა და კარზე დააკაკუნა.

"შემოდი, ფისულა", - დაიძახა ფურეიამ, მაგრამ კარებში ბერძენი მოახლის ნაცვლად მამა რომ დაინახა, ცოტა გაუკეირდა.

"მამიკო, როდის მოხვედი? ვერც კი გავიგე."

"ცოტა ხნის წინ, ჩემო საყვარელო."

"ფისულამ ჩაი უკვე მოგართვა?"

"არა".

"დედიკომ რომ გააფრთხილა..."

"ფისულა დავითხოვე..."

"მერედა, დედა რომ გაბრაზდება..."

"ფურეია, ცოტა ხნით ხომ ვერ შეეშვები მაგ ვიოლინოს?"

"ხვალ გაკვეთილი მაქვს, უნდა ვიმეცადინო.".

"ერთი ნუთით გადადე ვიოლინო და მომისმინე".

ფურეიამ ვიოლინო ლოგინზე დადო, ხემი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. "დედას ხომ არ დაემართა რამე?!" - იკითხა აღელვებულმა.

"არა, შვილო. ამ დილით მისი ნერილი მიეკიდე. დედა ძალიან კარგად არის. ტკივილმა უკლო, მადაზეც მოსულა. მოკითხვას გითვლის და ბევრს გეოცნის".

ემინ ბეი კიდევ რაღაცის თქმას პირებდა, მაგრამ საჭირო სიტყვებს თავი ვერ მოუყარა და ერთხანს დუმილი არჩია. ფურეიამ ხემიც ვიოლინოს გვერდით დადო და გაოცებით შეხედა მამას, რომელსაც ძალიან სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

"ფურეია, ახლა რასაც გეტყვი, ძალზე სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ არის და მხოლოდ ჩვენ ორს შორის უნდა დარჩიეს. მინდა, ერთი საიდუმლო გაგანდო".

ფურეიას სუნთქვა შეეკრა, ლოყები აუნითლდა. ალბათ, მამამ შეიტყო, რომ ალიე შეევარებულია. ცხრა წლის ბავშვისთვის საიდუმლო მხოლოდ სიყვარულთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული. საკმარისი იყო, ფურეია ბერგერის გაკვეთილზე წასულიყო, მოულოდნელად ალიეც იქვე გაჩინდებოდა, ერთ კუთხეში დაჯდებოდა და დაუინებით უმზირდა ბერგერს ან ბიბლიოთეკაში ნიგნებს ათვალიერებდა. ერთხელაც ფურეიამ ვეღარ მოითმინა და დეიდას უთხრა: "თუ ვიოლინო ასე გაინტერესებს, შენც იარე გაკვეთილებ-

ზე". ამის შემდეგ ალიემ ბერგერთან სიარული დაიწყო, მაგრამ ფურეიას გაკვეთილებს მაინც არ აცდენდა. მან მეტრად გააფრთხილა პატარა დისტანციით, რომ ამ ვიზიტების თაობაზე კრინტიც არავისთან დაეძრა. ოჯახში არაფერი უნდა სცოდნოდათ.

"კი, მაგრამ, რატომ?" - არ ცხრებოდა ფურეია.

"შენ ჯერ ბავშვი ხარ, ვერ გაიგებ" - ეუბნებოდა ალი.

"გავიგებ. გთხოვ, მითხარი".

"ვერ გაიგებ-მეთქი!"

"მაშინ დედას ვეტყვი, ჩემს გაკვეთილებს რომ ესწრები..."

გამნარებულმა ალიემ თმები მოქაჩა დისტანციის. მერე უცებ ხელი გაუშვა და ლოყები დაუკოცნა. "გაიზრდები და ყველაფერს მიხვდები, ჩემო კარგო. შეყვარებული ვარ".

"ის ხომ ძალიან დიდია, თითქმის ბებერი."

"ეჭ, ფურეია, ბერგერი კი არა, სხვა მიყვარს, მაგრამ ერთი რამ იცოდე - სიყვარულმა ასაკი არ იცის".

"რა?!"

"დიახ, ასეა."

"მაინც, ვინ გიყვარს?"

"გთხოვ, ნუ მეკითხები იმას, რასაც ვერ აგიხსნი. ბერგერი თავისთავად ძალიან მომწონს. მერძნობიარე, ღრმა, მცოდნე, მელანქოლიური, საინტერესო ადამიანია."

"მაგრამ ბებერია, მუდამ ცხვირჩამოშვებული, საერთოდ არ იღიმება".

"ნუ იღიმება," - თქვა ალიემ და მხრები აიჩეჩა. "მაინც საინტერესო კაცია! იცოდე, ეს ჩენი საიდუმლოა, ფურეია. ჩემი საიდუმლო გაგიმხილე, მხოლოდ შენ - ერთადერთს. ახლა უკვე მეტად მნიშვნელოვანი რამ იცი".

"კი მაგრამ, ალიე, რომ არ გითქვამს შეყვარებული ვისზე ხარ?"

"მაგის ცოდნა კი საჭირო აღარ არის. რაც მთავარია, იცი, რომ შეყვარებული ვარ. ჰოდა, ეგეც საკმარისია შენთვის".

ფურეია ჯერ ზუსტად ვერ ხვდებოდა, რა იყო სიყვარული, მაგრამ, იმის გამო, რომ ოჯახში განუწყვეტილივ საუბრობდნენ სიყვარულზე - ძია სუათის სიყვარული, ფაპრუნისას სიყვარული... - უკვე საკუთარი აზრი ჰქონდა ამაზე. ქალისა და მამაკაცის სიყვა-

რული ნამდვილად რაღაც ამაღელვებელი და უცნაური რამ უნდა ყოფილიყო.

ჩანს, მამამ როგორლაც გაიგო მისი საიდუმლო. ფურეიამ გაოფარის ლიანებული ხელისგულები კალთაზე შეინმინდა.

"შეილო, ამ საღამოს რამდენიმე სტუმარი გვეწევევა. ძალიან მნიშვნელოვანი საუბარი გვექნება. არ მინდა, ჩემ და შენ გარდა სახლში ვინმე იყოს და ის საუბარი გაიგოს. ამიტომაც დავითხოვე ფისულა. შენ უნდა გაგვიმასპინძლდე."

ფურეიამ შეებით ამოისუნთქა.

"ბებიაშენმა რომ შეიტყოს, აუცილებლად მოსამსახურეს გამოგვიგზავნის. ასე რომ, არავის არაფერს ვეტყვით. ეს საღამო შენ-თვის ერთგვარი გამოცდა იქნება, ჩემო გოგო. პაჟეტები სამზარეულოში შეიტანე, გახსენი და სუფრა ისე გააწყვე, როგორც დედამ გასწავლა. სუფრას რომ გაგვიშლი, მერე შენს ოთახში ნადი და უი-ოლინოს დაჟვრა გააგრძელე. შევთანხმდით?"

"მამა, ვინ უნდა გვესტუმროს?"

"რამდენიმე სამხედრო, ჩემი მეგობრები."

"რამდენი კაცი მოვა?"

"სამი ან ოთხი. პასაუში შევიარე და პროდუქტი ვიყიდე. წადი, ერთი, ნახე, სახლში რაქი თუ გვაქვს?"

ფურეია ჩიტივით შეფრინდა სამზარეულოში და უკან ბოთლით ხელში დაბრუნდა.

"მამა, ეს რაქია?"

"კი, შეილო", - მიუგო მამამ.

"დედა ამ სასმელს პატარა გრაფინში ასხამს ხოლმე. ჩავასხა?"

"საჭირო არ არის. ჯერ სუფრა გააწყვე."

ფურეიამ სამზარეულოში შეირბინა, ყველი და მნილი თეფშებზე დადო. მაგიდაზე მისი უსაყვარლესი ხელით ნაქარგი ტილოს სუფრა გადააფარა, თეფშები და ჭიქები დააწყო და მამას აჩვენა.

"აფერუმ! ამაღამ ჩემი სახლის დიასახლისი შენ იქნები".

"მამა..."

"გისმენ, ჩემო გოგო".

"მეც ვიქნები სუფრასთან?"

"არა."

"თუნდაც, მაგიდის კუთხეში..."



"არა, ჩემო კარგო."

"აბა, ამალამ დიასახლისი იქნებიო ?.."

"ამ საღამოს დედაშენიც კი შინ რომ ყოფილიყო, ჩვენთან ერთად ვერ ივახშეძებდა. ძალიან მნიშვნელოვანი საუბარი გვექნება".

"სიყვარულს შეეხება?"

ემინ ბეიმ გაოცებულმა შეხედა ქალიშვილს, რომელიც ჭარხა-ლივით ანითლებულიყო და ტუჩებს იკვენეტდა. ეს სიტყვა უნებუ-რად ნამოსცდა ფურეიას და იმნამსვე სიკვდილი ინატრა, ერჩივნა მიწა გასკდომოდა. მამის თანდასწრებით ასეთი სისულელე რამ ათ-ქმევინა!

"ვაი, ვაი, ვაი... ერთი დამიხედვეთ, თურმე რაზე ფიქრობს ჩემი პატარა ქალიშვილი?" - შეიცხადა ემინ ბეიმ.

"მაპატიუ, მამიკო, მაპატიი!"

"ფურეია, ამ საღამოს სიყვარულზე ბევრად უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ვისაუბრებთ. ახლა ნადი და ტანსაცმელი გამოიცვალე".

ფურეიას ძალიან გაუკეირდა, რომ მუდამ სერიოზული მამა მის ასეთ ლაყბობაზე არ გაძრაზდა. პატარა ქალბატონი თავის ოთახში შევიდა, კარადიდან ნინა ბაირამზე შეძენილი კაბა გამოიღო და ჩა-იცვა. კაბა დაპატარავებოდა, მუხლებს ძლივს უფარავდა. მაშინვე გაიხადა და სკოლის ქვედა ბოლო და თეთრი ბლუზი გადაიცვა, თმა დაივარცხნა, კისერზე ალიეს შიფონის შარფი მოიხვია, რომელიც დეიდას იქ დარჩენდა, და სალონისკენ გასწია.

"მოიხსენი ევ შარფი, ფურეია. შენი ასაკის ბავშვებს არ უხდებათ", - უთხრა მამამ.

"ეს დეიდა ალიეს შარფია".

"არც მას უხდება".

ფურეიამ შარფი ოთახში შეიტანა, სკამზე დააგდო, ზედ შედგა და ფანჯარაში გაიხედა. სკამიაოდ შებინდებულიყო. ქუჩაში არავინ ჩანდა. სალონიდან მამის ნერვიული ნაბიჯების ხმა ისმოდა. ის იყო, სკამიდან ჩამოსვლას აპირებდა, რომ ცხენის ფლოქვების ხმა შემოესმა. სკამზე გასწორდა და ერთხანს შეყოვნდა. პარბიედან მომავალი ერთცხენიანი დახურული ფაეტონი პირდაპირ მათ სახლთან გაჩერდა. ფურეიამ სიბნელეში ორი მოსასხამიანი კაცი გაარჩია. სკა-

შიდან ჩამოხტა და სალონისკენ გაიქცა.

“მოვიდნენ, მამიკო, მოვიდნენ!”

“კეთილი. სამზარეულოში ნადი, როცა საჭირო იქნება, დაგიძახებ. მერე კი შენს ოთახში დაბრუნდი და ვიოლინოს დაკვრა განაგრძე.”

მამას ეტყობოდა, რომ ღელავდა. გაისმა ორი წყვეტილი ზარი. ემინ ბეი მძიმე, სამხედრო ნაბიჯებით კარისკენ გაემართა. ბავშვმა გაიგონა, როგორ გაუღო მამამ კარი სტუმრებს და სახლში შემოიპარიჲა: “მობრძანდით, მობრძანდით, ბატონებო”. ფურეია თითის წვერებზე აინია და ჭაჭრუტანიდან გაიხედა. სამნი იყვნენ. ერთი, მოსასხამიანი კაცი, ზურგით იდგა, ლამპის მკრთალ შუქზე ქერა თმა უბზინავდა. მეორე სტუმარს უფრო კარგად ხედავდა - მას თხელი ქერა ულვაში ჰქონდა და ახალვაზრდა ჩანდა. მესამე - ღიაპიანი, თითქოს ეცნო, მაგრამ კარგად ვერ ხედავდა.

“სახლში მარტო ხართ, ემინ ბეი?” - იკითხა ღიაპიანმა ნაცნობმა.

“მხოლოდ ფურეია”, - მიუგო მამამ.

“ფურეია?” - იკითხა ზურგით მდგარმა მოსასხამიანმა.

“ჩემი ქალიშვილი, ცხრა ნლისაა. სახლიდან მისი გაშვება ყურადღებას მიიპყრობდა”.

მამამ სტუმრები სალონში შეიპატიჲა. ფურეია ფეხაკრეფით შებრუნდა სამზარეულოში და ნინასნარ გამზადებული თეფშები ვერცხლის ლანგარზე დააწყო. ხელები უკანკალებდა. ამ საღამოს დიდი მისია ჰქონდა დაკისრებული - მამისთვის უნდა დაემტებული ბინა, რომ უკვე გაიზარდა, დაქალდა და მისი ნდობა შესაძლებელი იყო. არაფერი უნდა შეშლოდა, ბევრი არ უნდა ელაპარაკა.

უისულას მომზადებული ღვეზელი ჰატარ-ჰატარა ნაჭრებად დაჭრა და თევზშე დააწყო ისე, როგორც დედამ ასწავლა. იქნებ ხორციც უნდა შეეწვა? უნდოდა, რომ მამას ეამაყა მისით.

ღუმელიდან დიდი ტაფა გამოილო, რომელიც ისეთი მძიმე იყო, ცოტაც და, ხელიდან გაუვარდებოდა. მაშინვე გადაიჭირა ხორცის შენვა. სამზარეულოს ტაბურეტზე ჩამოვდა და ლოდინი დაიწყო. დრო თითქოს არ გადიოდა. მოინყინა. უზურგო ტაბურეტზე ჭდომისგან ზურგიც ასტეივდა. უკვე აღარც დიასახლისობა სურდა, აღარც ახალვაზრდა ქალიშვილობა და საერთოდ აღარაფერი.

თავის ოთახში წიგნების თვალიერება, ხატვა და თამაში მოუნდა, უკვე იმაზეც თანახმა იყო, რომ ძმასთან ერთად ისიც ბებიასთან გაეგზავნათ. ატირებას არაფერი უკლდა, როცა მამის ხმა შემოესმა:

"ფურეია, მოდი სტუმრებთან..."

გოგონა მაშინვე წამოხტა ტაბურეტიდან და ოთახში შეირბინა.

"აი, ჩემი პატარა ქალიშვილი - ფურეია," - სიამაყით თქვა მამამ. ბავშვი თავდაპირველად თხელულვაშიან კაცთან მივიდა და რევერანსით მიესალმა.

"კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონებო!"

"Bon soir, mademoiselle", - მიუგო კაცმა.

"ეს ბატონი ფრანგია, მას ფრანგულად ესაუბრე", - მიმართა მამამ.

"Soyez le bienvenu", - მიესალმა ფურეია. შემდეგ ღიპიანი კაცისკენ მიბრუნდა.

"ომ, როგორ გაზრდილხარ მას აქეთ, რაც ბოლოს გნახე. მალე შენი გათხოვების დროც დადგება", - თქვა ნაცნობმა სასიამოვნო ხმით. ფურეიას ლოყებზე სიმზურვალემ დაუარა, განითლდა და ნერვიულობისგან ენა დაება.

"ნუთუ, ბიძაშენი სეიფეთინი არ გახსოვს, ჩემო გოგო?"

"აი, ყოჩალ! ფურეია, ცხენზე ალარ შეგსვამ, მაგრამ..."

ბავშვს გაახსნდა ეს ბატონი, რომელიც ზამთარს ტაქსიმზე ატარებდა. რამდენჯერმე ძია სუათთან ერთად სწვევია სტუმრად.

"კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" - მასაც რევერანსით მიესალმა და, როგორც იქნა, მესამე სტუმარს მიუბრუნდა, რომლის სახეც მანამდე ვერ გაერჩია. ღმერთო, მიშველე! ეს როგორი თვალებია?! ცისფერზე ცისფერმა, მანათობელმა მზერამ თითქოს ფურეიას გულში შეალნია.. დღემდე ასეთი ლამაზი კაცი არ ენახა. სხვები - ის ქერა ფრანგი და ღიპიანი - იმ წამს თითქოს სადლაც გამჭრალიყვნენ. ოთახში მხოლოდ ის დარჩენილიყო. ის და ფურეია. ალიე, ალიე, ალიე... ნეტავ, აქ ყოფილიყავი!... ეს თვალები, ეს სახე შენც უნდა გენახა... .

"ესე იგი, თქვენ ფრანგული იცით, პატარა ქალბატონო?"

"დიახ, ჩემო ბატონო."

"რამდენი ხანია, რაც სნავლობთ?"

"დედა სულ ფრანგულად ელაპარაკებოდა. ფაქტისურად, თურ-  
ქულთან ერთად ისწავლა, ამიტომაც მშობლიურივით იცის," - მიუ-  
გო მამამ.

"დედამისი ფრანგია?"

"არა, თურქია".

"სხვა გატაცებებიც გაქვთ, პატარა ქალბატონი?"

"დიახ, ვიოლინო".

"ვიოლინოს უკრავთ?"

"დიახ, ბატონი".

"რამდენი წლის ხართ?"

"თერამეტის, ცხრამეტის, ოცის", - უნდოდა ეთქვა ფურეიას.

"ცხრის", - მიუგო.

"სკოლაში დადიხართ?"

"დიახ."

"აფერუმ! ნეტავ, ყველა თურქმა გოგონამ თქვენსავით იცოდეს  
ენძი და მუსიკა! ვინ იცის, იქნებ, დადგეს დღე და...", - დასძინა  
ცისფერთვალება მამაკაცმა.

"ვხატავ კიდევაც", - აღმოხდა ფურეიას.

"ჩემი კარგო, მოდი ვახშამი მოგვართვი." ფურეია კვლავ იმ მომაჯადობელი გამოხედვით იყო მონუსხუ-  
ლი და მუხლების კანკალით დაბრუნდა სამზარეულოში. სულ ტყუ-  
ილად ცდილობდა მძიმე ლანგრის აღებას. ამიტომ სუფრასთან  
თეფშები ცალ-ცალკე გაიტანა. სამზარეულოში მამა შემოვიდა და  
რაქის ბოთლი და გრაფინი აიღო.

"შეგიძლია შენს ოთახში ახვიდე, ფურეია".

"სამზარეულოში დავიცდი მამა, იქნებ, რამე დაგჭირდეთ."

მამა თმაზე მიეალერსა: "ნუ დელავ, არაფერი დაგვჭირდება. წა-  
დი და დანექი".

ფურეია თავისი ოთახისაკენ ნავიდა, მაგრამ ფეხები უკან რჩე-  
ბოდა. შემდეგ სუფრასთან მსხდომი სტუმრებისკენ მიბრუნდა და  
საღამო მშვიდობისა უსურვა. უცბად გაახსენდა, რომ ერთ-ერთი  
მათგანი ფრანგი იყო და დაამატა: "Bonnie nuit, messieurs".

"Bonnie nuit, ფურეია"- დაემშვიდობნენ სტუმრები.

ფურეია დერეფანს გაუყვა, მაგრამ მისი მზერა ცისფერთვალე-  
ბა კაცისკენ იყო მიმართული. ოთახში შევიდა. ერთი სული ჰქონდა,

ალიესთვის ეთქვა რამე ამ კაცზე, მაგრამ მამისთვის სიტყვა პქნ-და მიცემული. ვერაფერს იტყოდა.

ვერ მოითმინა და კვლავ ფეხაკრეფით სალონისკენ გაემართა, სხდებოდა, რომ მისი საქციელი სამარცხვინო იყო, მაგრამ კიდევ ერთხელ სურდა, ენახა ის ცისფერთვალება კაცი. მამას სალონის კარი ჩაეეტა. ფურეიამ გაღება ვერ გაბედა. ერთხანს კარს უკან შეყოვნდა. გაიგონა, მამამ ფრანგი სტუმარი როგორ გააცილა, კარი დაკეტა და სალონში დაბრუნდა. ბავშვმა საუბრის მოსმენა სცადა, მაგრამ მათი სიტყვებიდან ბევრი ვერაფერი გაიგო. "ეროვნული ბრძოლის დაწყება" ... "ანატოლიაში იარალის გადაგზავნა..." "რა მიმართულებები ავირჩიოთ?" .. აი, ასეთ გაუგებარ ფრაზებს მოჰკრა ყური. ფურეია ოთახში შებრუნდა, მაგრამ ვერც ვიოლინოს დაკერა შეძლო და ვერც ხატვა. წამონვა. გამუდმებით იმ ცისფერთვალება კაცზე ფიქრობდა. როცა გათხოვდება, ასეთი ქმარი უნდა ჰყავდეს - ცისფერთვალება, მოსასხამიანი... ჩათვლიმა. უცბად შეკრთა, გაეღვიძა და საუბრის ხმა მოესმა. მამა სტუმრებს ემშვიდობებოდა.

"ღმერთმა ქნას, გემი მალე იყოს მზად. არ უნდა დავიგვიანოთ. მეტად სასწრაფო საქმეა," - ეს ცისფერთვალება სტუმრის ნათქვამს ჰგავდა.

შემდეგ სეიფეთინის ხმა შემოესმა: "ხომ ვთქვით, რომ გამოსავალიც მოიძებნება".

"როგორც ხალხისთვის იქნება უმჯობესი, ისე იყოს", - ეს კი მამის ხმა იყო.

ფურეიას მოუნდა, კიდევ ერთხელ შეეხედა იმ ცისფერთვალება კაცისთვის, მაგრამ გაიგონა, როგორ დაიკეტა სახლის კარი. გაიქცა და ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე აძვრა. ამჯერად ფანჯარა გააღო და ისე გადაიხედა. დაინახა, როგორ გამოვიდა მოსასხამიანი სტუმარი, შემდეგ კი სეიფეთინ ბეი, მაგრამ ფაეტონი, რომლითაც ისინი მოვიდნენ, არსად ჩანდა. ორივემ აქეთ-იქით მიმოიხედა და სხვადასხვა მიმართულებით გასწია. ისინი ღამის წყვდიადში გაუჩინარდნენ.

ცოტა ხანში მამამ შემოიხედა: "ყოჩალ, შვილო, ამ სალამოს ვერც კი ვიგრძენი, რომ დედაშენი შინ არ იყო".

ფურეიამ ფანჯარა დახურა და ფარდა ჩამოაფარა.

"მამიკო, ვინ იყვნენ ეს კაცები?"

"სეიფეთინ ბეი ვერ იცანი?"

"ვიცანი. მეორე? ფრანგი კი არა, ის, ცისფერთვალება კაცი?"

"ის ჩემი ამხანაგია ჰარბიედან. მას მუსტაფა ქემალი ჰქვია."

## პილიჩ ალი

ემინ ბეი სალონში სეიფეთთინ ბეის ესაუბრებოდა. ფურეიას მთელი ყურადღება ვერცხლის ლანგარზე ჰქონდა გადატანილი, რომელზეც ყავით სავსე ფინჯნები ენყო. ამიტომ მათი საუბრიდან არაფერი გაუვია. უცებ, ნაცნობი სახელი შემოესმა და მაშინვე დაცევითა ყურები.

"მუსტაფა ქემალის მოგზაურობა მეტად რთული გამოდგა," - ამბობდა მამა. "ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, სამსუნში იმიტომ ნასულა, რომ უხუცესები და მონინავე საზოგადოება გადმოებირებინა. მათ გულწრფელად სჯერათ, რომ სამშობლოს შეველა სჭირდება... აპ, რა პქენი ჩემო გოგო, ყავა დალვარე. ახლავე უკან ნაიღე და თეფშები გამოაცვლევინე".

"როგორც გავიგე, სტამბოლში მყოფი საოკუპაციო ძალები მეტად შეშფოთებულან. სამხედრო საქმეთა მინისტრისთვის დეპეშა გაუგზავნიათ და მუსტაფა ქემალის უკან გამოწვევა უბრძანებიათ", - თქვა სეიფედინ ბეიმ.

"ძალიან ცუდი. ფურეია, რას გაშეშებულხარ? ხომ გითხარი, ფინჯნები უკან ნაიღე. ალბათ, ყავაც გაცივდა. ფისულას უთხარი, ხელახლა მოადუღოს."

ფურეიამ სამზარეულოსკენ მოკურცხლა.

"როგორც მითხრეს, დიდგვაროვანთა ნაწილი უცხოელების მომხრეა. განა ეს საქმეა? ყველას უცხოური კაპიტალი აინტერესებს," - ამბობდა სეიფეთთინ ბეი. ფურეიას გული დასწყდა, რომ საუბრის ბოლო ნაწილს ყური ველარ მოჰკრა - ვაითუ, იმ ცისფერ-თვალება კაცზე თქვეს რამე?

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მამა ძილის ნინ დასამშვიდობებლად შევიდა მის ოთახში, მთელი სიმამაცე მოიკრიბა და პეითხა:

"გამიქო, იმ სალამოს ჩვენთან რომ იყო, ის ცისფერთვალება კაცი... სად არის ახლა?"

"ისევ სივასში გადასულა."

"მანამდე სად იყო?"

"ერზრუმში იყო, ჩემო გოგო. იქ შეხვედრები ჰქონდა, რომ ჩეე-ნი ქვეყანა ოკუპანტებისგან დაიხსნას. სივასშიც ჩაუტარებია ყრილობა".

"ის ფაშა?.."

მამამ სიტყვა მოუჭრა: "მუსტაფა ქემალი უკვე ფაშა აღარ არის".

"ააა, რატომ?"

"ჯარი დატოვა და იმიტომ".

"კი, მაგრამ რატომ, მამა? მას ხომ სამხედრო ფორმა ძალიან უხდებოდა?"

ემინ ბეის გაეცინა: "რომ არ წამოსულიყო, სასახლე მაინც გადა-აყენებდა. მუსტაფა ქემალი ძალიან მარჯვედ მოიქცა."

"მამა, სამსუნი შორსაა?"

"თან ძალიან შორს, თანაც ძალიან ახლოს, ჩემო პატარა", - მიუ-გო ჩაფიქრებულმა ემინ ბეიმ.

"ნეტავ, ახლა რას აკეთებს?"

"ვინ?"

"მუსტაფა ქემალი."

"დარწმუნებული ვარ, ძალ-ლონეს არ იშურებს, რათა რამდენი-მე სამხედრო მაინც გადმოიბიროს . . რამდენ კითხვას სვამ, ფუ-რეია?"

ფურეიამ თითქოს ვერ გაიგოო, გაიმეორა: "ნეტავ, ახლა რას აკეთებს?"

სივასში კარგა ხნის შებინდებული იყო. რიგში მდგომთა გამო-კითხვა და რეგისტრაცია თითქმის დასრულდა, სულ რამდენიმე კა-ცილა დარჩენილიყო.

"რომელ ფრონტებზე იბრძოდი, ჯარისკაცო?" - დალლილი ხმით ჰკითხა ფერმერთალმა მუსტაფა ქემალმა. თირქმელში საშინელ ტეივილს გრძნობდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა.

"ჩანაქეკალესა და კავკასიის ფრონტებზე, ჩემო ფაშა", - მიუგო ასაფ უმრულლაპმა. მუსტაფა ქემალი შეკრთა. მას შემდეგ, რაც იძულებული გახდა, გადადგომის შესახებ ერზრუმის ფოსტიდან

სტამბოლში შეტყობინება გაეგზავნა, "ჩემო ფაშა", "ჩემო მეთაურო" და მსგავსი მიმართვები ყურს ჭრიდა.

"აზერბაიჯანში ნური ფაშას მთავარ ადიუტანტად კმისახურობდა. სტამბოლიდან ჩვენი დემობილიზაციისა და იარაღის ჩაბარების ბრძანება მოვიდა. ჩვენმა მეთაურმა - ნური ფაშამ, ყოველი შემთხვევისათვის, ოფიცირებს იარაღი არ ჩამოგვართვა და ორგანიზებული არმიის შენარჩუნება სცადა", - განაგრძო ასაფ ემრულაპმა. "ჩვენ ვერ შევეგუეთ დამარცხებას, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით - თუ იარაღს არ ჩავაბარებდით და არ დავიმლებოდით, სტამბოლის მთავრობა მეამბოხეებად გამოგვაცხადებდა და სასტიკად დაგვეჯიდა. სხვა გზა არ გვქონდა. ბათუმიდან უკან დავბრუნდი".

"ეს იგი ჩანაქალეშიც იბრძოდი", - თქვა მუსტაფა ქემალმა. იგი ყურადღებით აკვირდებოდა მის პირისპირ მდგარ ტანად ჯარისკაცს. მართალია, ახალგაზრდა იყო, მაგრამ თმა უკვე გასცევნოდა. დაწყობილი სახის ნაკვთები და სანდომიანი გამოხედვა ჰქონდა. ვიღაც ნაცნობსა აგონებდა, მაგრამ ზუსტად ვერ იხსენებდა ვის.

"დიახ, ვიბრძოდი. იარაც დამრჩა იმ ბრძოლის სახსოვრად. თქვენ ჩანაქალიდან მახსოვხართ, ჩემი ფაშა. სწორედ ამიტომაც ვარ ახლა თქვენთან."

"ვინ გამომგზავნაო, რა თქვი?"

"ჩემმა ბიძაშვილმა - მუზაფერ იუზბაშიმ".

მუსტაფა ქემალი ერთხანს ჩუმად იყო. თუ მუზაფერს ჰევავს, ერთგული და მამაცი ჯარისკაცი იქნება. ნეტავ, ანატოლიის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჯარების შეკრებას თუ შეძლებდა? აშეარა იყო, რომ ასაფი ჯარიდან ნამოსვლის შემდეგ ნაპირზე გამორიყული თვეზივით იყო. ოსმალეთი იმდენ ხანს იბრძოდა, რომ ადამიანებს ომის გარდა აღარაფერი შეეძლოთ. სწორი გადაწყვეტილება უნდა მიეღო - ვინ იყო ეს კაცი? ნამდვილი მებრძოლი თუ უმუშევარი, რომელიც ლუქმაპურსა და თავშესაფარს დაეძებდა?

"სტამბოლში სად ცხოვრობდი, შვილო?"

"ბეშიქთაშჩე, დედაჩემის სახლში".

"ცოლ-შვილი გყავს?"

"დიახ, ჩემი ბატონო".

"ცუდია. მისია, რომელიც შენ უნდა იტვირთო, საკმაოდ სახიფათოა. ამ გზიდან უკან ვერ ბრუნდებიან, მარტოხელა კაცია საჭირო."

“არ მინდა, ჩემი შვილები მტრის ხელში გაიზარდონ. მზად ვარ,  
 ნებისმიერი დავალება შევასრულო.”

“რომ გითხრა მოკვდიო, მოკვდები?”

“მოკვდები, ჩემო ფაშა. არ მეშინია. სიკვდილი ბევრჯერ მინა-  
 ხავს. სიკვდილს ეშინოდეს ჩემი!”

“რადგან ასეთი გმირი ხარ, აბა, ეგ ლამპის შუშა აიღე!”

მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდაზე ლამპა ბურტავდა. ახალ-  
 გაზრდამ ხელი გაიშვირა და ნარბშეუხრელად აიღო ლამპის შუშა,  
 შემდეგ კი მუსტაფა ქემალს გაუსწორა თვალი და მის ცისფერ თვა-  
 ლებში გაოცება ამოიკითხა..

“საქმარისია! საჭირო ინფორმაციას ჩემი ადიუტანტი მოგანვ-  
 დის”, - უთხრა მუსტაფა ქემალმა. “შეტყობინებას დაელოდე. სავა-  
 რაუდოდ ორ დღეში გაცნობებთ, თუ სად შევიკრიბებით. შენთვის  
 რამე კოდური სახელი შეარჩიე და სიაში ჩაენერე. სანამ ნახვალ,  
 აუცილებლად მნახე!”

“კოდური სახელი?”

“დიახ.”

“ეგ როგორ?”

“სადაური ვარო, რა თქვი?”

“ბეშიქთაშელი. ქილიჩ ალის უბნელი”

“ჰოდა, ამიერიდან შენი სახელი ქილიჩ ალი იქნება”, - მიუგო  
 მუსტაფა ქემალმა.

ასაფ ემრულაპმა მძიმედ, ხმაურით ჩაიარა ხის ქიბე. ჰოლში იქ-  
 ვე მჯდარ სამხედროსთან შეჩერდა, რომელიც ლამპის შუქზე რვე-  
 ულში ჩანაწერებს აკეთებდა.

“ფაშას ვესაუბრე. სიაში მეც ჩამნერეთ, თუ არ შენუხდებით”.

“რა გქვია?”

“ასაფ ემრულაპი”, - თქვა, ერთხანს შეყოვნდა და “ქილიჩ ალი”-  
 ო სიამაყით დასძინა. “ამიერიდან მე ქილიჩ ალი მქვია”.

## ახალგაზრდა ქალბათონის აღზრდა

1922 წლის 9 სექტემბერი, ქრაშვერ პალასი

ჩემო უსაყვარლესო და ულამაზესო ფურეია!

თუმცა ძალიან დაღლილი ვარ, მაინც ვასრულებ პირობას - ინა-  
 თა თუ არა, ავდექი და წერილის წერას შევუდექი. უკვე ათი სექ-  
 ტემბერია, რამდენიმე საათის წინ ახალი დღე დადგა. მავრამ ჩვენ  
 ჯერ კიდევ გუშინდელი დღით ვცხოვრობთ. ნეტავ, ცოტა ხნით კი-  
 დევ გაგრძელდებოდეს ცხრა სექტემბერი, რადგანაც სწორედ  
 ცხრა სექტემბერია ჩვენი გამარვევების დღე, ჩვენი სახელოვანი  
 არმიის იზმირში შესვლის დღე. ჯერ კიდევ ამ ღირსშესანიშნავი  
 მოვლენის შთაბეჭიდილების ქვეშ ვარ და გული სიხარულით მევსე-  
 ბა. მინდა, რომ ეს დღე შენც სამუდამოდ დაგამახსოვრდეს, ამიტო-  
 მაც გწერ - დღეს ცხრა სექტემბერია-მეთქი.

ოსმალო ვარისკაცი იმში რომ მიღიოდა, მზად იყო სიცოცხლე  
 შეეწირა. იცოდა, რომ შესაძლოა ველარასდროს ეხილა საკუთარი  
 ოჯახი. მას ერთადერთი იმედი დარჩენოდა, ეს იმედი შინ გამარვ-  
 ებით დაბრუნება იყო. გუშინდელი დღიდან დამეუფლა ეს ამაღ-  
 ლებული განწყობა და განვიცდი იმ უსაზღვრო ბედნიერებას, რო-  
 მელიც იშვიათად თუ შეიძლება ვინმეს ხვდეს წილად.

გუშინ იზმირი განკითხვის დღეს მოვალეობდა. დაბნეული და გა-  
 ვნებული ხალხი ქუჩებს, შენობებსა და სანაპიროს აწყდებოდა. ანა-  
 ტოლიელი ბერძნები ნავსადგურისკენ გარბოდნენ, იქ მდგარ ინგლი-  
 სურ, ფრანგულ და იტალიურ სამხედრო ხომალდებს აფარებდნენ  
 თავს, ზოგი პირდაპირ ზღვში ხტებოდა. მომხდეურმა ჩვენ წინააღმ-  
 დევ აამხედრა ის ადამიანები, რომლებთან ერთადაც საუკუნეების  
 მანძილზე გვიცხოვრია, და ახლა, როდესაც ეს საბრალოები თოკებშე  
 ცოცვით ცდილობდნენ გემზე ასელას, მათ ხიშტებით იგერიებდნენ.  
 შემდეგ ხანძარი დაიწყო ცეცხლის აღში ვაქევია...

ჩემო გოვო, მოგეხსენება, ქრისტიანების საუკუნეების მანძილზე მაშმადიანებთან ერთად მშვიდად ცხოვრობდნენ, ხელი ეპყრათ ეგვიპტის მთელი ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და ცხოვრებას ფუფუნებაში ატარებდნენ. ახლა კი ეს ხალხი ცეცხლის ალიდან პირდაპირ ზღვაში ეშვებოდა, ოლონდ უკან არ დაბრუნებულიყო. ძალინ, ძალიან დამწუხებული ვარ. გული სევდით ამევსო, მაგრამ, როდესაც დავინახე, როგორ აღმართა თურქეთის ფროშა კადიფუალეზე გაქუცულ, ძველ ფორმაში ჩაცმულმა მეპმედჩიქმა, სევდა სიამაყემ შეცვალა და ახლა, რომც მოვკედე, აღარ ვინაღვლებ.... .

როგორც კი ხანძრისგან გაპარტახებულ ქალაქს გაწმენდენ, მაშინვე შესაფერის სახლს მოვდებნი და ყველას იშმირში ჩამოგიყვანთ.

კარგად ისწავლე, ნუ გააბრაზებ დედას, რომელიც მედგრად იტანს ცხოვრებისულ სირთულეებს.

გული ბევრს  
მამაშენი

ფურეამ წერილი დაკეცა და იმ მოვერცხლილ ყუთში მოათავსა, სადაც ძვირფას ნივთებს ინახავდა.

"რაო, რას გნერს მამა? მეც ნამიკითხე", - სთხოვა ძმამ.

"შენც ხომ მოგნერა, ჰოდა, შენი წერილი ნაიკითხე".

"მე შენი წერილის ნაკითხვა მინდა."

"განა მე გთხოვ შენის ნაკითხვას?"

"აბა, დედამ რომ თავისი წერილი ნამიკითხა".

"მე არ ნაგიკითხავ!"

"დედას ვეტყვი, თავისი წერილი არ მოგცეს."

"უთხარი. სხვისი წერილები სულაც არ მაინტერესებს."

"რატომ მიბრაზდები? ტატიანას ხომ ყველაფერს უზიარებ." "

"ტატიანა ჩემი საუკეთესო მეგობარია. რასაც მინდა, იმას ვეტყვი".

"მეც მითხარი".

"შაქირ, წადი, მომწყდი თავიდან", - უთხრა ფურეიამ, "ვერ ხედავ, ქვეყანაში რა მნიშვნელოვანი ამბები ხდება, შენ კი დამდგარხარ და სისულელებზე მელაპარაკები".

"შენ ის რუსი ჩემზე მეტად გიყვარს! მან კი თურქულიც არ იცის წესიერად".

ფურეიამ ტანსაცმლის საკიდი მოუქნია ძმას და უყვირა:

"ახლავე მიპრძანდი ჩემი ოთახიდან, თავი მომაბეზრე!"

პატარა ქალბატონმა ვერ აიტანა საუკეთესო მეგობარშე აუგის თქმა. როცა 1921 წელს ყირიმში წითელი არმია შევიდა, ტატიანას ოჯახმა რუსეთი დატოვა და გემით სტამბოლისკენ გამოემგზავრა. ტატიანას მამა ინჟინერი იყო და სამუშაოს შოვნა არ გასჭირვებია - ახლა ლულებურგასში მუშაობდა. მისი პატარა ქალიშვილი ქალთა პანსიონში სწავლობდა, კვირის ბოლოს კი ხშირად რჩებოდა ფურეიასთან. გოგონებს ერთად ჰქონდათ გამოვლილი სკოლის ცხოვრება - მკაფრი დისციპლინა და გაკვეთილები, სიციკისაგან გაყინული საძინებელი ოთახები. ყოველივე ამან ბავშვები ერთმანეთს დაახლოვა. ახლა კი, როგორც მამის ნერილიდან ჩანდა, ფურეიას მალე მოუნევდა მეგობართან დაშორება. მართალია, არ უნდოდა ტატიანას, ბებიასა და დეიდებს, განსაკუთრებით კი ალიეს დამშვიდობებოდა, მაგრამ ახალი ქალაქის ნახვაც ძალიან აინტერესებდა და გაურკვეველ მღელვარებას შეეპყრო.

საბეჭინიეროდ, ტატიანასთან განშორება საჭირო აღარ გახდა. ჰაკიე ხანუმი შეპირდა, რომ იზმირში მხოლოდ არდადეგებზე ნავიდოდნენ. ზამთარში პანსიონში ივლიდა, კვირის ბოლო დღეებს კი ბებიასთან გაატარებდა. ამგვარად, ფურეიას ვიოლინოს გაკვეთილებიც გაგრძელდებოდა.

ემინ ბეიმ ათათურქთან ერთად განმათავისუფლებელ ბრძოლაში მიიღო მონანილეობა და გამარჯვების შემდეგ იზმირში არმიის სარდლად დაინიშნა. ის უკვე რესპუბლიკის არმიის ფაშად იწოდებოდა.

ჰაკიე ხანუმი, ფურეია და პატარა შაქირი იზმირის განთავისუფლებიდან მცირე ხანში ქარშიიაქაზე გადავიდნენ, სადაც ემინ ფაშას ნაქირავები ჰქონდა სახლი თავისი მშვენიერი ბალით.

იზმირში ჰაკიე ხანუმი თავს უცხოდ არ გრძნობდა. აქაც, ისევე როგორც სტამბოლში, მრავლად იყვნენ განათლებული, სასიამოვნო ადამიანები. მართალია, ნელინადზე მეტი იყო გასული, რაც "გი-აური იზმირი" აღარ არსებობდა, მაგრამ ამ ქალაქს პროვინციული ქალაქის დონემდეც ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. იზმირი საუკუნეების მანძილზე უამრავი უცხოელის თავშესაფარი იყო. აქ ფრანგულად

და ბერძნულად საუბარი ყველას შეეძლო. ჰაკიე ხანუმმა ორივე ენა მშვენივრად იცოდა, ამიტომ ქალაქში დარჩენილ უცხოელებს დაუმეგობრდა. იზმირში ჰაკიეს ბავშვობის მეგობრებიც ცხოვრობდნენ - უშაქიზადების ქალიშვილები და ათათურქის მეუღლე - ლატიფა ხანუმი, რომელზეც მუსტაფა ქემალმა სწორედ ჰაკიეს იზმირში გადმოსვლის შემდეგ იქორნინა.

ათათურქის ქორნილში წასვლა ფურეიას ოცნება იყო, მაგრამ გიოზთეფეს სასახლეში მაინც ვერ მოხვდა. მიუხედავად გაუთავებელი ხვენნა-მუდარისა, დედისგან უარი მიიღო:: "ეს მხოლოდ ოჯახური წვეულებაა. სტუმრების რაოდენობაც შეზღუდულია. შენ რომ წაგიყვანო, შაქირსაც მოუნდება წამოსვლა, მთელი ოჯახი ხომ ვერ წავალთ?"

"შაქირი ჯერ ჰატარაა, მე კი უკვე დიდი ვარ", - მიუგო ფურეიამ.

"დიდი რომ იყო, ასეთ უაზრო ხვენნა-მუდარას შეეშვებოდი. ესე იგი ჯერ კიდევ ბავშვი ხარ".

როდესაც ემინ ფაშა და ჰაკიე ხანუმი ქორნილში წასასვლელად გამოეწყვნენ და სახლიდან გადიოდნენ, ფურეიამ ცრემლები ძლივს შეიკავა, რომ არ ეტირა.

"სიტყვას გაძლევ, შინ რომ დავბრუნდებით, ყველაფერს წვრილად მოგიყვები", - შეპეირდა დედა.

ფურეიამ მშობლების დაბრუნებამდე ვერ დაიძინა. ჰაკიე ხანუმ-სა და ემინ ფაშას ფურეია ფანჯარასთან დახვდათ.

"აბა, მიამბეთ, გთხოვთ. ლატიფე ხანუმის საქორნილო კაბა როგორი იყო?" - იკითხა ფურეიამ.

"საქორნილო სულაც არ ყოფილა, კრემისფერი კაბა ეცვა. თმაზე ფატა ჰქონდა დამაგრებული, ხელში კი ერთი ვარდი ეჭირა. მეტად სადა ჰატარძალი იყო."

"დედიკო, თავზე ფული და ოქროები არ გადმოაყარეს, ისევე, როგორც თქვენს ქორნილში?"

"არა, შვილო. ქორნილი არ გაუმართავთ. ძალზე სადა წვეულება იყო".

"ის... ის როგორი იყო? სიმპათიურად გამოიყურებოდა? მოსასხამი ესხა?"

ჰაკიე ხანუმმა იცოდა, რომ მის ქალიშვილს მუსტაფა ქემალი შეყვარდა, ამიტომ გაეღიმა.

"ძალიან სიმპათიური იყო, მოსახვამი კი ნამდვილად არ ესხა. ლურჯი ორბორტიანი კოსტიუმი ეცვა." 300 გერი

"დედა, ყველაფერი მომიყევით, თქვენ ხომ სიტყვა მოშეცით!"

"კარგი, ფურეია, ეს მოვლენა მოსაყოლად ნამდვილად ღირს. ის, რაც გიოზთეფეში ვნახეთ, სრულიად ახალი რამ იყო ჩვენთვის. სიძე და პატარძალი ყადის პირისპირ ნარდგნენ."

"განა თქვენც ასე არ იქორწინეთ, დედიკო?"

"რას ამბობ! ჩვენს დროში ნეფე-პატარძალი საქორნინო რიტუ-ალს ცალ-ცალკე ასრულებდა, ან ვექილებს ნიშნავდა. ჩვენს შემთხ-ვევაში ასე არ მომხდარა, მაგრამ ვიცოდით, რომ ამ ვექილების გა-მო ხშირად უსიამოვნო ამბები ხდებოდა".

"ეს როგორ?"

"როგორ და, მექორნინებს ჯერ ქალს ან ვაჟს დაანახებდნენ, შემდეგ კი მათი ვექილები სულ სხვა პირებზე აქორნინებდნენ და ამის გამო უამრავ ადამიანს აუბედურებდნენ. გვაინტერესებდა, ვინ იქნებოდნენ ვექილები. ზუსტად ხუთ საათზე ფაშა და ლატიცე ხანუმი თავიანთ ხელისმომკიდეებთან ერთად მობრძანდნენ და ყა-დის პირისპირ ნარდგნენ."

"ხელისმომკიდეები ვინ იყვნენ?"

"ლატიცეს ხელისმომკიდე იზმირის ვალი - აბდულჭალიქ ბეი იყო, ფაშასი კი - მთავარი ადიუტანტი სალიპ ბეი. გაზი ფაშამ ყადის მიმართა: "ჩემო ბატონო, მე და ლატიცე ხანუმმა დაქორნინება გა-დავნებულიერ. გოთხოვთ, შეასრულოთ საჭირო პროცედურა".

"ეჰ..." აღმოხდა ფურეიას, "ნეტავ ათი ნლით უფროსი ვიყო და იმას ცოლად მე მივყვებოდე!"

"ნუ სულელობ ფურეია. მომხედე, შენთვის სიურპრიზი მაქვს. ხეალ სალამოსთვის ფაშა და პატარძალი ვახშმად მოვიწვიე. მას კვლავ იხილავ", - უთხრა დედამ.

ფურეია სიხარულით ცას ეწია. მოუთმენლად ელოდა მეორე დღეს. სტუმრების მოსვლის დრო რომ მოახლოვდა, ჯერ ერთი კაბა ჩაიცვა, მერე - მეორე...

სტუმრები ქარშიიაქას სახლს კატერით მოუახლოვდნენ. გაზის არ უნდოდა, რომ ამ სტუმრობის ამბავი ვინჩეს სცოდნოდა. მაგრამ იგი მაინც იცნეს და სახლის ნინ უამრავი ხალხი მოგროვდა. ახალ-დაქორნინებულებს ძლიერი ოვაციები მოუწყვეს.

იმ საღამოს ფურეია ძალიან დელავდა - წეტავ, იცნობდა თუარა სამართლებრივი განკუთხის მუსტაფა ქემალი?

ხელის ჩამოსართმევად რომ მიუახლოვდა, ფაშამ თქვა: "ემინ ფაშა, ეს ის გოგონა არ არის, ამ რამდენიმე წლის წინ პარბიშეში, თქვენს სახლში რომ შევხვდი? როგორ გაზრდილა. ნამდვილი ქალბატონია".

ფურეია ყურებამდე განითლდა. მთელი საღამო მუსტაფა ქემალს თვალი ვერ მოსწყვიტა. როდესაც ერთი წუთით სამზარეულოში გავიდა, დედაც გაჰყვა და უთხრა: "ფურეია, თავი ახალგაზრდა ქალბატონი გოგონა, პოდა, ახალგაზრდა ქალები მამაკაცებს ასე სულელივით თვალებგამტერებული არ უმზერენ."

ვახშმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ბავშვების ნიჭის გამოვლენის დროც დადგა. პაკიე ხანუმმა ფურეიას ვიოლინოს ჩამოტანა სთხოვა. ფურეია ჯერ გაიპრანჭა, მაგრამ მუსტაფა ქემალის თხოვნის შემდეგ ზევით ავიდა და ვიოლინო ჩამოიტანა. სანამ ჩამოვიდოდა, სარკესთან მიირბინა, თმა გაისწორა, თითები ენით დაისველა და ნარბებზე გადაისვა.

"რა დავუკრა?" - ჰკითხა სტუმრებს.

"თქვენ რა, ჩვენი სურვილისამებრ შეგიძლიათ დაკვრა?"

"შევეცდები".

"შეგიძლიათ, ბახი შეასრულოთ?"

"რომელი კონცერტი?"

"ეს ბავშვი გამაგიუბებს! ლატიფ, - მუსტაფა ქემალი გვერდით მჯდარ მეუღლეს მიუბრუნდა: რა დაუკრას?"

"თუ შეგიძლიათ, ნაწყვეტი კონცერტიდან ორი ვიოლინოსთვის."

"შევეცდები, ჩემო ბატონი".

ფურეიამ ვიოლინო ყელზე მიიბჯინა და სიფრიფანა თითებით დაკვრა დაიწყო. თვალები დახუჭული ჰქონდა. სახეზე ისეთი განცდა აღბეჭდვოდა, თითქოს ოჯახურ შეკრებაზე კი არ უკრავდა, არა-მედ საყვარელ ადამიანს სერენადას უძლენიდა.

ნაწყვეტი რომ დაასრულა და აპლოდისმენტები და ბევრი საქებარი სიტყვაც მოისმინა, თავის ოთახში აირბინა. მოვერცხლილი

ყუთიდან დღიური ამოილო და კიბეზე დაეშვა. უცებ შეჭოვნდა - უარი რომ მითხრას?... მაგრამ გამბედაობა მოიკრიფა და ...

"დღიურში რამეს სამახსოვროდ ხომ არ ჩამინერთ, ბატონო", - სთხოვა.

მუსტაფა ქემალმა ფურეიას დღიური და კალამი გამოართვა, მუხლებზე დაიდო და ის სტიქონები ჩანერა, წლების მანძილზე დიდ გაელენას რომ მოახდენდა მასზე:

"ფურეია ხანუმ", - ასე იწყებოდა წერილი, "ვხედავ, ბევითი ქალბატონი ბრძანდებით. ხალხი თქვენგან ბევრს ელის. ბევრი უნდა იშრომოთ და ქვეყანას სარგებელი მოუტანოთ."

ფურეიამ დღიური გულში ჩაიხუტა და თავის ოთახში ავიდა. თავს მართლაც რომ დავალებულად გრძნობდა ერის ნინაშე. უნდოდა, მალე გაზრდილიყო და ისეთი სოლისტი გამხდარიყო, რომელიც თავის ქვეყანას მთელ მსოფლიოში გაუთქვამდა სახელს. თუმცა, არა... საკუთარ თავს თურქ ბავშვებს მიუძღვნიდა, მათ ვიოლინის დაკვრასა და ფრანგულად საუბარს ასწავლიდა.

მას შემდეგ, რაც მუსტაფა ქემალი და ლატიფე ხანუმი ანკარაში გაემგზავრნენ, ფურეიაც სწავლის გასაგრძელებლად სტამბოლში დაბრუნდა. იქ ბებიასთან, ალიესა და ძია სუათთან ერთად ცხოვრობდა. იმ პერიოდში დეიდა ფაშრუნისა ცოლად გაპყვა მეტად სიმპათიურ, სასიამოვნო პიროვნებას - იზეთ მელიპს, რომლისგანაც მალე ვაჟი შეეძინა. გარდა იმისა, რომ იზეთ მელიპი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თამბაქოს ფირმაში - "Regie Ottoman"-ში მუშაობდა, იმ დროის ცნობილი ლიტერატორიც იყო. ამიტომაც ალიე, რომელსაც ბავშვობიდან მნერლობა სურდა, დიდი ინტერესს იჩინდა მის მიმართ. ალიე და ფურეია ბავშვის სანახავად თითქმის ყოველდღე სტუმრობდნენ ფაშრუნისას შიშლის სახლში. ცოტა ხნის შემდეგ ფურეიას ეჭვი გაუჩინდა, რომ მათ სიხარულით აღარ ხვდებოდნენ. მათ დანახვაზე დეიდა ფაშრუნისას რატომლაც სახე ელუშებოდა.

"მგონი, დეიდას თავი მოვაბეზრეთ, ალბათ, ბავშვის სანახავად ძალიან ხშირად მივდივართ," - უთხრა ალიეს.

"არა, ჩემო კარგო, გეჩვენება. აბა, გაინძერი, ფარუკის ჭამის დრო არ გამოგვეპაროს. სადაცა ტრამვაი მოვა", - დასძინა ალიემ. კიბე ჩაირბინეს.

“ასე რატომ გამოწყობილხარ? ის ხომ ბავშვია, მაინც ვერ მიხვდება, რა გაცევია”, - ჰეკითხა ფურუეიამ.

“ხომ იცი, კარგად ჩაცმა როგორ მიყვარს. ჰოდა, გაპრანტვეჭყო-ველთვის მსიამოვნებს,” - მიუგო ალიემ.

“თუ კარგად ჩაცმა გიყვარს, სახლში მანანნალასავით რატომ დაეხეტები?”

“იცი, ფურუეია, ზუსტად დედაშენს დაემსგავსე - ნამდვილი ჭუ-ის კოლოფი გახდი”.

“მე თუ ჭუ-ის კოლოფი ვარ, შენ ერთი უგემოვნო ვინმე ხარ”, - მიუგო ფურუეიამ. მთელი გზა ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. ორივეს მობეზრდა ბუტიაობა, მაგრამ იმდენად ჯიუტები იყვნენ, რომ დუმილი არც ერთს დაურღვევია. ასე მიუახლოვდნენ სებუჰი-ანის პარტამენტს. კარი ფარუქის ფრანგმა ძიძამ გააღო.

“ბავშვმა ფაფა უკვე ჭამა?” - ჰეკითხა ფურუეიამ.

“ახლახან მოვამზადე, სწორედ ახლა უნდა მიმეცა”, - უპასუხა ძიძამ.

“აჲ, თქვენი ნებართვით, შეიძლება მე ვაჭამო?”

“რა თქმა უნდა, ფურუეია, ოღონდ ჯერ ხელი დაიბანე.”

ფურუეია ხელის დასაბანად აბაზანისენ გაემართა. საძინებელ ოთახს რომ ჩაუარა, ლოგინზე ნამონოლილი ძია იზეთი დაინახა.

“ძია, რატომ ნევხართ, ავად ხომ არ ხართ?” - შეეკითხა ფურუეია.

“ცოტა თავი მტკიცა, ფურუეია, ამიტომ შინ ადრე დავპრუნდი”, - უპასუხა იზეთ მელიშმა.

“დეიდაჩემი შინ არ არის?”

“არ არის, აკადემიის მეგობრებმა ჩაიზე დაპატიჟეს.”

ფურუეიამ ხელი დაიბანა და ბავშვის ოთახში შებრუნდა. ალიე იქ არ დახვდა.

“ალიეე! ბავშვი ფაფას ჭამს, მოდი!”, - დაიძახა ფურუეიამ. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. გოგონამ დისმვილის ყელში ჩარგო ცხვირი და დიდხანს ყნოსავდა, კოცნიდა, შემდევ კი საწოვრიანი ბოთლი მია-ნოდა. ალიე ჯერ კიდევ არსად ჩანდა. ძიძასთან ერთად ბავშვს სა-ფენი მოაშორა, ოთახში შემოტანილ პატარა აბაზანაში აბანავა და საცვლები გამოუცვალა. სუფთა ტანსაცმელი ჩააცვა. შემდევ ფა-რუქი ხელში აიყვანა, დაარნია, იავნანა უმღერა და დააძინა. ბავშ-ვის მოვლაში ვერც კი შენიშნა, შუადღე როგორ მოახლოვდა. არც

ალიესთვის მოუკრავს თვალი. რატომდაც, მხოლოდ ნასყლის დროს გაახსენდა ალიე. სალონში შეირბინა, შემდევ ა სამზარეულოში. კაპინეტშიც შეიხედა. შინაგანმა მღელვარებამ შეიპყრო. არაცნობიერად გრძნობდა, რომ ძიძისთვის არაფერი უნდა ეკითხა. ფაპრუნისას საძინებელი ოთახისკენ გაემართა, ჩაკეტილ კარებზე მორიდებით დააკაჯუნა. ცოტა ხანში ბიძა შეეხმიანა:

"რა გნებავთ?"

"ძია, ალიე მანდ ხომ არ არის?"

"რა მოხდა?" - შემოესმა ალიეს მოგუდული ხმა.

კარი გაიღო და ოთახიდან ლოყებანითლებული ალიე გამოვიდა.

"ბიძაშენს ეძინა, შენ კი გააღვიძე", - უთხრა დისმვლს.

"თუ ეძინა, შენ იქ რა გინდოდა?"

"მე წიგნს უუკითხავდი... თავი სტკიოდა... ძლივს ჩაეძინა. მისი გალვიძება არ მინდოდა, ამიტომ გარეთ არ გამოვედი, იქ ვიჯექი".

"კი, მაგრამ, ალიე, შენ აქ ბავშვის გამო არ მოხვედი? ისეთი ტკბილი იყო, ისეთი საყვარელი... შენ კი ვერ ხახე".

"ხვალ ისევ მოვალ, ჰოდა, მაშინ ვნახავ". პალტოები აიღეს და გარეთ გავიდნენ.

"ტრამვაის ნუ დაველოდებით, ცოტა გავიაროთ, გული გადავაყოლოთ", - თქვა ალიემ.

"შენც გეძინა?"

"ჰო, ცოტა ჩავთვლიმე".

სწრაფი ნაბიჯით მიდიოდნენ. ალიე თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა, სახლს რომ მიუახლოვდნენ, უცბად გაჩერდა და ფურეიას მიუბრუნდა:

"ფაპრუნისასთან რომ მივდიოდით, გზაში ჭკუის კოლოფი ვინოდე. მაპატიე, ფურეია, ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს. სინამდვილეში შენ ძალიან საყვარელი ხარ."

ფურეიამ დეიდას ხელი მოუჭირა.

"შენ კი სულაც არა ხარ უგემოვნო. სიმართლე თუ გინდა, ძალიან, ძალიან ლამაზი ხარ. ნეტავ, მეც შენსავით ქერა თმა და ცისფერი თვალები მქონდეს!"

"რაში გჭირდება ასეთი სილამაზე, რა ხეირია მისგან?", - მიუგო ალიემ და დასძინა: "მომზედე, ფურეია, იცოდე, დედაჩემთან არ წა-მოგცდეს, რომ მე და ძია იზეთს მის ოთახში ერთად გვეძინა".

"რატომ?"

"იმიტომ. არაფერი უთხრა, გესმის? ბიძაშენი თუ ავადაა, მეც გადამედება, ჰოდა, დედაც ინერვიულებს. ამიტომ, ნურაფერს ეტყვი." ვი.

"კარგი, არაფერს ვეტყვი", - შეპირდა ფურეია.

სახლში დაბრუნებულებს სარე ისმეთ ხანუმი შეეგებათ: "ფურეია, შენთვის სასიხარულო ამბავი მაქვს. თქვენ რომ ნახვედით, ფოსტალიონმა დედაშენის ნერილი მოიტანა. არ გავხსენი, თქვენ გელოდებით. აბა, ერთი ნაიკითხე, რას გვნერენ იზმირიდან."

"ხმამაღლა ნაიკითხე, მეც რომ გავიგონო", - უთხრა ალიემ. ფურეიამ კითხვა დაიწყო:

დეკემბერი/1923

ჩემო ძვირფასო და პატივცემულო დედა!

თქვენთვის წერილის გამოვზავნა ოდნავ დამიგვიანდა. მაპატივთ, უკანასკნელ დღეებში მეტად აღელვებულები და აფორიაქებულები ვართ. ამ ბოლო დროს მუსტაფა ქემალი და ლატიფე ხანუმი იზმირში იმყოფებიან. მათი აქ ყოფნის მიშებს აქვე მოგწერთ, მაგრამ, გევედრებით, არავისთან წამოგცდეთ. 1923 წლის ნოემბერში მუსტაფა ქემალ ფაშამ რამდენჯერმე გადაიტანა გულის სპაზში და ექიმებმა დასვენება ურჩიეს. ამ რჩევას არაფრად ჩათვლიდა, მაგრამ იმავე დროს ლატიფე ხანუმიც ფილტვების ანთებით გახდა ავად. ავადმყოფობას რომ გამკლავებოდა, ლატიფეს კლიმატის შეცვლა ესაჭიროებოდა. ამიტომ დეკემბერში იზმირში ჩამოვიდნენ და გიოზთეფეს სასახლეში დაბინავდნენ. მე თითქმის ყოველდღე დავდივარ მათთან სტუმრად. რომ არ მივიღე, ლატიფე გამინაწყენდება. ეს გასაგებიცაა - საბრალო ქალი სრულიად მარტოა ანკარაში. აქ კი, ძველ მეგობრებთან და საკუთარ ოჯახთან ერთად, მარტონბას ივიწყებს და ძალიან ბედნიერია. გაში ფაშა სალამობით, სამუშაო დროის დასრულების შემდეგ ემინ ფაშათან ერთად პოკერს თამაშობს. გამიგეთ, მართლაც მეტად დაკავებული ვარ..

გუშინ საღამოს ფაშა და ლატიფე ჩვენთან იყვნენ სტუმრად. თქვენ რომ მასწავლეთ, ის ბადრივნიანი ბატქნის ტოლმა მოვამზა-

დე. ბლომად კამით შევქმაშე და ძალიან გემრიელი გამომივიდა. მაგრამ, სიმართლე თუ გინდათ, ფაშამ ვახშმამდე მოხალული ლაბ-ლაბო, ყველი და ვაძლი მიირთვა, რითაც საქმაოდ დანაყრდა. კერძი ძი ძლივს გავასინჯვე. არ უნდოდათ, ვინმეს სცოდნოდა, რომ ჩვენთან იქნებოდნენ სტუმრად, ამიტომაც არავისთვის გვითქვამს. მაგრამ ხალხმა ჩვენს კარებთან დაცვის პოლიცია და მანქანები რომ დაინახა, მიხვდა, ვინც გვესტუმრა. სახლის წინ შეკრებილებმა ოვაციები მოუწყვეს. ფაშაც ფანჯარასთან მივიდა და ხალხს მიესალმა. ახლა რასაც მოგწერ, ცოტა ჭორაობას ჰგავს, მაგრამ დედას თუ გული არ გადავუშალე, სხვას ვის უნდა ვენდო? სანამ სტუმრები მოვიდოდნენ, ერთი ბოთლი "Dom Perignon" გასაცივებლად ყინულში ჩავდე. გაში ფაშა ხალხთან მისასალმებლად რომ გავიდა, ხელში შამპანურით სავსე ჭიქა ეჭირა. მოულოდნელად ლატიფე ხანუმმა მეუღლეს დაუყვირა: "ქემააალ, ახლავე დადგი ეგ სასმისი. ხალხს ჭიქით ხელში ვერ მიესალმები!" წარმოგიდგენიათ?! ყველა ადგილზე გავიყინეთ - მეც, ემინ ფაშაც და ვეჯიპიც. განა შეიძლება ქმარს, თანაც რესპუბლიკის მეთაურს, ასე უყვირო? ფაშამ ფერი დაკარგა. სასმისი მაშინვე მაგიდაშე დადგა, მაგრამ ხასიათიც წაუხდა. სტუმრები რომ წავიდნენ, ემინ ფაშას კუთხარი, ვეჭვობ, რომ ამ ქორწინებას დიდი დღე ეწეროს-მეთქი. მან კი მიპასუხა: "ხომ იცი, ჩვენ ხშირად ვკიწევს ერთად ყოფნა. არასდროს შემიმჩნევია, მათ შორის უთანხმოება ყოფილოყო. ასეთი რამ საიდან მოიტანეთ, ჩემო საყვარელო?" მამაკაცები ზოგიერთ პრობლემას საერთოდ ვერ ამჩნევენ. ინშალაპ, ვცდებოდე, მაგრამ ლატიფე ქმარს ისე ექცევა, თითქოს ის ვიღაც უმნიშვნელო იყოს. თუმცა, ყველაფერი პირიქითაა ..."

"ფურეია, მომეცი ერთი ეგ ნერილი," - შეანყვეტინა სარე ისმეთ ხანუმმა.

"კი, მაგრამ, ბებია, რომ არ დამისრულებია?"

"მართალი ხარ, შვილო, მაგრამ აქ ისეთი რამ ნერია, რაც დედა-შვილს შორის უნდა დარჩეს".

"მე და დედაც ხომ დედა-შვილი ვართ!"

"გეყოფა, ფურეია. ხვალ-ზეგ შენც მოგწერს, პოდა, ნაიკითხავ. აქ კი საქმე უფროსებს ეხება. მომეცი ნერილი!"

“თუ ასეა, არც მე ნაგავითხებთ ჩემს ნერილებს”, - ტუჩები აუკანვალდა ფურეიას.

“მომზედე, შვილო. ჯერ მე ნავიკითხავ. თქვენთვის საინტერესო რამ თუ ნერია, გეტყვით. ეს პირადი ნერილია. ალიე, გეურება, შენც არსად გაიმეორო, რაც ახლა მოისმინე, გასაგებია?” - უთხრა სარე ისმერთ ხანუმმა. ალიემ მხრები აიჩინა.

“ეს ქუჩური მანერები საიდან მოიტანე? მეორედ არ დავინახო მხრებს ასე იჩეჩავდე”.

“ეს სახლი პანსიონზე უარესია. რას იძლვირები? ყველაზე საინტერესო ადგილი უკვე ნაიკითხა. ამის შემდეგ ხომ ვახშმის აღწერა და მოკითხვებია”, - თქვა ალიემ და ფურეიას კვალდაკვალ თავისი ოთახისკენ გაემართა.

“ფაშას გულის შეტევა ჰქონია, გაიგე, ალიე?” - უთხრა ფურეიამ, “ხომ არ მოკვდება? რომ მოკვდეს, რა მეშველება?”

“ის რომ მოკვდეს, ყველანი დავიღუპებით. მართლაც, რა გვეშველება?” - თქვა ალიემ.

მუსტაფა ქემალი გულის სპაზმს არ მოუკლავს, მაგრამ იმ ნელს ფაპერუნისას პატარა ვაჟი გარდაიცვალა. ფარუქს ქუნთრუშა შეეყარა პატარა დისგან, რომელიც მამამისს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა. გოგონა სკოლის ასაკის იყო. ფარუქის პანანინა სხეულმა ვერ გაუძლო მაღალ სიცხეს. იმ დროს ანტიბიოტიკი იშვიათობა იყო, პენიცილინი არ იშოვებოდა. ფურეიას მწუხარებასაც საზღვარი არ ჰქონდა. იზეთ მელისმა ფაპერუნისა ხანგრძლივ მოგზაურობაში ნაიყვანა, მეუღლისთვის ტეივილი რომ შეემსუბუქებინა. ამ ყველაფერმა ალიეზეც იმოქმედა - ღრმა დეპრესიამ მოიცვა, თავს არ უვლიდა, თმასაც კი აღარ ივარცხნიდა, შესლილივით დაეხეტებოდა. მნერლობაც გადაიფიქრა. თუმცა ერთხანს ბალერინობასაც აპირებდა, მაგრამ ფარუქის გარდაცვალების შემდეგ კელავ ვიოლინოს მიუბრუნდა და ერთადერთი, რაც სიხარულს ჰგვრიდა, ვიოლინოს გაკვეთილები იყო. ფურეიას მეცადინეობებსაც ისევ არ აცდენდა.

ერთ დღეს ფურეია ვიოლინოს უკრავდა, ალიე კი კუთხეში აჩიდილივით მიმჯდარიყო. ამ გაუთავებელი ვიზიტებით გაბეზრებუ-

ლი ფურეია დეიდას მიუბრუნდა და უთხრა: "მე ხომ არ დავდგარ შენს გაკვეთილებზე? ჰოდა, შენც ნუ შემანუხებ!"

ამ საუბარს ძია სუათმა მოპერა ყური: "შეეშვი, ფურეია, იაროს. ეს სანამ შენ უკრავ, ის იჯდეს და ბერგერი ათვალიეროს."

"კი, მაგრამ, რატომ, ძია? რატომ უნდა იაროს?" - გაცხარდა ფურეია.

"მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა!" - თქვა სუათმა. ამ სახლში მშობლების გარდა არავის ესმოდა ფურეიასი, ყველას უცნაური ახირებულობა ახასიათებდა. ვერაფერს გაიგებდი, ვინ რას ამბობდა, რას აკეთებდა, რატომ აკეთებდა... ნამდვილად შეძლილებით იყო სავსე შაქირ ფაშას აპარტამენტი!

აი, მაგალითად, ერთ დღეს, ფურეია აივანზე იდგა და ქუჩას გასცემოდა. მოულოდნელად მათ სახლთან ტაქსი გაჩერდა. იმ ნლებში ტაქსი იშვიათობა იყო. გაოცებული ფურეია მოავირზე გადაეყუდა და ტაქსიში მჯდარი ბავშვი დაინახა. ცოტა ხანში კარი გაიღო და იქიდან მაღალი ქალი გადმოვიდა, რომელსაც გვერდით ფურეიას ძმის - შაქირის ასაკის ქერათმიანი გოგონა გადმოჰყვა. მანქანის მძლოლმა საბარგულიდან იმდენი ჩემოდანი ამოიღო, ფურეიას ეგონა, რომ ეს არასდროს დასრულდებოდა. ფურეიამ ოთახში ყვირილით შეირბინა.

"ჩვენთან სტუმარია! ჩვენთან სტუმარია!"

ძია სუათი სალონში წიგნს კითხულობდა. ბავშვის ყვირილზე ნამოდგა და აივანზე გავიდა, მაგრამ ქვევით რომ გადაიხედა, ელდანაცემივით შემობრუნდა, აივნის კარი დახურა და ფარდა ჩამოაფარა.

"ფურეია, ქვევით ჩადი და იმ ქალს უთხარი, რომ მე აქ არ ვცხოვრობ და დეიდა ფაპრუნისას სახლში გაგზავნე, გასაგებია?" - ენა ებმოდა სუათს.


"მაგრამ რატომ, ძია, განა ეს თქვენი სახლი არ არის?"

"მორჩი ყბედობას და, რასაც გეუბნები, ის გააკეთე".

"კი, მაგრამ, ძია..."

"მაგრამ არ ვიცი! მე სახლში არ ვარ, ამ სახლში არ ვცხოვრობ. ისინი დეიდაშენთან გაგზავნე, ახლავე!"

ფურეიას შეკითხვების დრო აღარ დარჩა, რადგან კარზე დარე-



კეს. ფურეიამ მოსამსახურესთან ერთად მიირბინა, კარი გამოაღო და ზღურბლზე მდგარი, კარგად ჩაცმული ქალი და ქერა ბავშვი ყურადღებით შეათვალიერა.

"სუათ შაქირი ამ სახლში ცხოვრობს?" - ინგლისურად იკითხა უცხოელმა ქალბატონმა.

"ეს დედამისის სახლია. თვითონ კი უფროს დასთან ცხოვრობს"; - მიუგო ფურეიამ ფრანგულად.

"შეიძლება, აქ დაველოდო?"

"სუათი აქ არ მოვა", - უპასუხა ფურეიამ და განითლდა, "ის სახლი შორს არ არის, დაგეხმარებით, ტაქსიში ჩასხედით და მიპრჩანდით". ყველა ერთად ქვევით ჩავიდა. ფურეია შინ რომ დაბრუნდა, ძია სუათი უკვე ტელეფონით აძლევდა მითითებებს ნისას. ცოტა ხანში სუათიც გავიდა და სტუმრებთან შესახვედრად ნისასკენ გასწია. ფურეიამ ყველაფერი უამბო ბაზრიდან დაბრუნებულ აღიერა და ბებიას.

"შეხედე ამ სწობს! ეს სახლი არ მოსწონს! ნისას სახლით თავის მონონება უნდა." - ნამოიძახა ალიემ.

"რა სჭირს ჩვენს სახლს?! კუნძულის სახლზე ოდნავ უფრო პატარაა, ეს არის და ეს," - თქვა სარე ისმეთ ხანუმმა.

იმ ზამთარს ძია სუათმა ამერიკიდან ჩამოსულ საიდაზე იქორნინა, რომელმაც მისი გულისთვის "შაქრის მეფედ" ნოდებული ქმარი მიატოვა. თავდაპირველად თითქოს დიდი სიყვარული აკავშირებდათ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში საიდამ ველარ აიტანა სუათის გაუთავებელი სასიყვარულო თავგადასავლები და ქალიშვილთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა.

## მღელვარება

ფურეიას მშობლები და ძმა - შაქირი - იზმირში ცხოვრობდნენ, თვითონ კი ბებიასთან დარჩა სტამბოლში. ვაჟიშვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა და მისი დაპატიმრება ისედაც მძიმე დარტყმა იყო ხნიერი ქალისთვის და ახლა შვილიშვილიც თუ მიატოვებდა, სახლი დაუსრულებელი გლოვის საუფლოდ გადაექცეოდა. ფურეია ხშირად სტუმრობდა დეიდა აიშეს, რომელიც იმავე სახლში, ზედა სართულზე ცხოვრობდა. დეიდაშვილებთან თამაში მისი ერთადერთი ნუგეში იყო. სკოლიდან დაბრუნებისთანავე მეცადინეობდა და სახლში გამეფებული სევდისგან თავის დასალნევად ზევით არბოდა. იქ პატარებთან ერთობოდა და, როგორც ბავშვობაში სჩვეოდა, მოჯადოებული უსმენდა დეიდა აიშეს, უმზერდა კლავიშებზე მოსრიალე მის თითებს და თითქოს გონება ებინდებოდა. ნება რომ დაერთოთ, მთელ დღეს ასე გაუნძრევლად გაატარებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯადოსნური საათები ილეოდა და კულავ ჩაფიქრებული ბრუნდებოდა ქვევით ბებიასთან.

მუდამ მხიარულ ალიესაც თითქოს რაღაც დაემართა. ალარციცინოდა, ალარც ფურეიას აქცევდა ძველებურად ყურადღებას.

"რამდენიმე წელი უნდა მოიცავო, ფურეია, - ეუბნებოდა ბებია, - თქვენს ასაკში სხვაობა მეტად თვალში საცემია, მალე ასეთი საგრძნობი აღარ იქნება. ალი უკვე ახალგაზრდა ქალია, შენ ჯერ კი დევ ბავშვი ხარ. თუ ამხანაგი გჭირდება, ის რუსი გოგონა მოიწვიე, ... რა ჰქვია?"

"ტატიანა."

"რაც უნდა იყოს, კარგად აღზრდილი ბავშვია, თანაც შენი ტოლია. დაპატიუე, უქმე დღეებში ჩვენთან დარჩეს. ალიეს კი თავი დაანებე, თავისი დარდიც ეყოფა."

მართლაც, ტატიანან რამდენიმე შაბათ-კვირა ფურეიასთან ერთად შექირ ფაშას აპარტამენტში გაატარა.

ერთხელ, ტატიანას მორიგი სტუმრობის დროს, გოგონები სა-ბავშვო ოთახში თამაშობდნენ. ფურეია წყლის მოსატანად სამზა-რეულოში გავიდა და უეცრად საუბარი შემოესმა. დეიდა და ბებია მეტად აღელვებული ჩანდნენ.

"ეს რა დაუფიქრებლობაა, " - ამბობდა დეიდა აიშე.

"ეს ქვეყანა რეაქციონერებმა დაღუპეს. უზარმაზარი იმპერია სწორედ მათ დააქციეს. მამათქვენს ამ ხალხისგან შორს ყოფნა სურდა, ამიტომაც გადასახლდა კუნძულზე," - თქვა ბებიამ.

"ჰავიესთვის დეპეშა ხომ არ გაგვეგზავნა, იქნებ, რამე გაგვაგებინოს. ემინ ფაშას ყველაზე უკეთ ეცოდინება, რაც ხდება."

"რას ამბობ, შვილო, ასეთი რამ დეპეშაში როგორ ჩავნეროთ? გინდა, რომ ემინ ბეი შარში გავხვიოთ? ნეტავ, აპმედ ბეი მაინც იყოს სტამბოლში, ყველაფერს მისგან გავიგებდით."

"რაშია საქმე, რა მოხდა?" იყითხა ფურეიამ. ქალები შეცბნენ.

"არაფერი მომხდარა, საყვარელო."

"როგორ არა, ყველაფერი გავიგონე. დედას ან მამას ხომ არაფერი შეემთხვათ?"

"არა, ფურეია, მათ არაფერი უჭირთ. ქვეყანაში არეულობაა... შენ ჯერ ბავშვი ხარ, ვერ გაიგებ."

ეს სიტყვები ყველაზე მეტად აღიზიანებდა ფურეიას. იგი აღელვებული გაემართა სალონისკენ. ის გაზეთი აიღო, რომელსაც ბებია დილაობით კითხულობდა და თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა. გაზეთში უამრავი რამ ენერა, მაგრამ ისეთი ვერაფერი ნახა, რის გამოც შეიძლებოდა ასე შენუხებულიყვნენ უფროსები. ერთხელ კიდევ გადაიკითხა. აი, მაგალითად, "ამბოხის მცდელობა ეგილის ნაპიეს სოფელ ფირანში", - ეს სტატია ნამდვილად ვერ ააღელვებდა ბებიას. ნეტავ, გვემით მგზავრობის საფასურის მოსალოდნელი გაძვირების ამბავი ხომ არ ნაუკითხავს? ყველაზე უსიამოვნო ის არის, რომ აღი ჩეთინჯაიამ მეჯლისში არდაპანის დეპუტატი ჰალით ფაშა მოკლა, მაგრამ ეს სიახლედ არ ჩაითვლება - რამდენი დღეა გაზეთები ამ ამბავს იმეორებენ.

ფურეიას რომ სცოდნიდა ქვეყანაში რა მოხდებოდა, სოფელ ფირანში დაწყებულ ამბოხს ასე უმნიშვნელო მოვლენად არ მიიჩნევდა.

ელაზილელი შეიხი საიდი ნაქშიბენდის ორდენის ნევრი იყო. უთვალავი ცხვარი ჟყავდა. გაუნათლებელი ხალხის რელიგიური შეხედულებებზე ზემოქმედებით დიდ ქონებას დაეპატრონა. ცხვრის ფარას სოფლის საძოვრებზე ვეღარ ატევდა, ამიტომ ერზურუმში, ჰინისის ილჩეში გადასახლდა, ცხვრებით ვაჭრობას მიჰყო ხელი და ამ საბაბით მთელი სამხრეთის ვილაიეთები მოიარა, უამრავი ადამიანი გაიცნო და თითქმის ალეპომდე მიაღწია. შემდევ სტამბოლში დაარსებულ იატაკევეშა კომიტეტში განევრიანდა, რომლის მიზანიც ქურთების დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო.

შეიხი საიდი მომხრეებთან ერთად ერგანისაკენ გაემართა, რეგიონებში მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილ ძალებს რომ დაკავშირებოდა და რესპუბლიკის სანინაალმდევო პროპაგანდა დაწყო. სოფელ ფირანში უანდარმებმა მის ჯგუფს მიკედლებული ორი ძებნილის დაკავება სცადეს, მაგრამ შეიხის ბრძანებით მათ ერთი უანდარმი დაჭრეს, მეორეს კი იარაღი აპყარეს. ესეც არ იკმარეს - ჰანის, ფალოს ციხეებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს თავს დაესხნენ და უანდარმები მძევლად აიყვანეს.

ამგვარად, ავანყება, რომელიც ძალიან დიდხანს მზადდებოდა, დროზე ადრე დაიწყო.

ზამთრის ერთ საღამოს ათათურქმა ჩანქაიას სასახლეში მეგობრები ბრიჯის სათამაშოდ მიინვია. მართალია, თოვა გაძლიერდა, მაგრამ არც ერთი სტუმარი წვეულებას არ დაპელებია. საღონში ბრიჯის სათამაშოდ რამდენიმე მაგიდა გაეშალათ. ფალიჰ რიფქი და იაქუბ ქადრი ათათურქის მაგიდასთან ისხდნენ, პრემიერ-მინისტრი ფეთმი ბეი და ისმერ ფაშა სხვადასხვა მაგიდასთან თამაშობდნენ.

ისმერ ფაშა სიცილით იხსენებდა ერთი წლის ნინ ზუსტად ასეთივე თოვლიან საღამოს ელჩებისათვის გამართულ წვეულებას. წვეულება რომ დასრულდა, ძლიერი თოვის გამო ელჩთა მანქანები ადგილიდან ვერ დაძრეს. სტუმრები იძულებული გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ. ინგლისის ელჩს - ჯორჯ კლარკს უთქვამს: "ახლა მგლების ხროვა რომ დაგვესხას თავს, თოვლზე დაგლევილი ადამიანების ნაცვლად ფრაკებსა და ცილინდრებს იშოვიანო." მაგიდასთან მსხდომი მოთამაშეები სიგარეტის კვამლში გულიანად ხარხარებდნენ.

რესპუბლიკის დამაარსებლებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ამჯერად სულ სხვა მგელი ემზადებოდა თავდასასხმელად.

დედაქალაქად ანკარის გამოცხადების პირველ წელს არც თურქები და არც უცხოელები იქ დასახლებას არ ჩქარობდნენ. ორი წლის შემდეგ ვითარება თანდათან შეიცვალა. სახლჩოებმა ანკარაში სახლების დაქირავება დაიწყეს. პირველები რუსები იყვნენ, შემდეგ ამერიკელებმა იქირავეს ევკაფის პატარა სახლი, ფრანგებმა კალეს ფერდობზე მდებარე ოსმალური ბანკის საცავი მისაღებ დარბაზზე გადააკეთეს, იატაკზე ხალიჩები დააგვეს და პირველი წეველებაც გამართეს.

მეჯლისები და საღამოები ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა. ყველაზე დიდი გასართობი ბრიჯის ღამეები იყო.

უკვე შუალამეს გადაცილებული იყო. ადიუტანტმა ათათურქს შიფროგრამა გადასცა. ათათურქმა შეტყობინება წაიკითხა და სახეზე შემფოთება დაეტყო. "ეს ფეთჰი ბეის გადაეცი," - მიმართა ადიუტანტს.

ადიუტანტი მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან - ფეთჰი ბეისთან მივიდა და მცირე ხნით შეყოვნდა. "რა მოხდა?" ჰკითხა მას პრემიერმა, რომელსაც აშკარად არ უნდოდა თამაშის კველაზე მნიშვნელოვან დროს შენცვეტა. ადიუტანტს შეტყობინება მაინც გამოართვა, თვალი გადაავლო და "მერე ვნახავო," - ამ სიტყვებით უკან გაუწოდა.

ათათურქმა ადიუტანტს მოუხმო და უბრძანა, შეტყობინება ამ-ჯერად ისმეთ ბეისათვის მიეტანა.

იმ დროს ისმეთ ბეის არანაირი თანამდებობა არ ეჭირა მთავრობაში. მან შეტყობინებას გადახედა, თამაში შენცვიტა, სკამი უკან დაწია, სიგარეტს მოუკიდა და ყურადღებით წაიკითხა. შემდეგ რამდენიმე წაფაზი დაარტყა, კვლავ გადაიკითხა, შეფიქრიანებულმა შიფროგრამა დაკეცა და ადიუტანტს დაუბრუნა.

ათათურქი ყურადღებით აკვირდებოდა ორივე მეგობრის ქცევას. შემდეგ კი, სანამ კვლავ თამაშში ჩაერთვებოდა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა: "ი, რით განსხვავდება ისმეთი." ეს სიტყვები გაიგონა ქილიჩ ალიმ, რომელიც ათათურქის ზურგს უკან იდგა.

ფეთპი ოქიარის მთავრობამ შეიხ საიდის ამბოხი მეტად უბრალო მოვლენად მიიჩნია. ეგონათ, რომ ამბოხს ადგილობრივი მოლოდიცაც ჩაახშობდა. მაგრამ ეს არ იყო ერთეული შემთხვევადა და ადგილობრივი პოლიცია ვერაფერს გახდებოდა. ეს იყო იმ დიდი მოძრაობის დასაწყისი, რომელსაც უკვე ორი წელია სხვადასხვა ძალები ამზადდებდნენ და, გეგმის თანახმად, მთელი ქვეყანა უნდა მოეცვა. ამ საქმეში უცხოელთა ხელი ერია, განსაკუთრებით კი ინგლისელები აქტიურობდნენ. ამ მოძრაობის მიზანი იყო - რელიგიური პროპაგანდის მეშვეობით ხალხის აჯანყება, აღმოსავლეთ და სამხრეთ ვილაიეთებში ქურთების დამოუკიდებელი მთავრობის შექმნა, ქვეყნის სხვა რეგიონებში კი - რესპუბლიკის დამხობა და უცხოელთა დახმარებით ფადიშაპის დაბრუნება.

ოციან ნლებში შეიხულისლამი მუსტაფა საბრი ეფენდის, ფერიქ ქირაზ ჰამდი ფაშას, შინაგან საქმეთა მინისტრის - მეჰმედ ალი ბეის, განათლების მინისტრის - რიზა თევფიქ ბეისა და სხვა ნარჩინებულთა ძალისხმევით სასახლის ავტორიტეტის განსამტკიცებლად და ხალიფატის იდეით ერის გასაერთიანებლად დაარსებულ კავშირში მრავალი სახელმწიფო მოღვაწე განევრიანდა, რომელთაც შემდგომში "ასორმოცდაათის" სახელით მოიხსენიებდნენ. ახლა ამ კავშირის საზღვარგარეთ გაქცეული ან გაძევებული წევრები ქურთებთან თანამშრომლობდნენ და მათ ავტონომიას პეირდებოდნენ. ინგლისელთა მეშვეობით ცდილობდნენ, აჯანყება მთელ ქვეყანაში გაევრცელებინათ, რესპუბლიკა დაემხოთ და ხალიფატი აღედგინათ. ოსმალეთის უკანასკნელი ფადიშაპი ვაპიდედინი კი მათ ხელში მხოლოდ ბრმა იარაღი იყო.

ამბოხებულ რეგიონებში - აღმოსავლეთ და სამხრეთ ვილაიეთებში გავრცელებულ მოწოდებებში რესპუბლიკის, ათათურქის, არმიის, სახელმწიფო მოხელეთა ლანძღვა და ბრალდებები გაისმოდა. ამასთანავე, ხალხზე უფრო ძლიერი ზემოქმედებისთვის, ამ მოწოდებებში ჩევნოთვის კარგად ნაცნობი მინიშნებაც იყო: "რწმენა ილახება, მაპმადიანობა ფეხქვეშ ითელება, ალაპმა რწმენის დასაცავად და გასაძლიერებლად შეიხი საითი გამოვიგზავნა".

ფურეია კვლავ ყურადღებით ათვალიერებდა გაზეთებს, უფროსების აღელვების მიზეზი რომ გაეგო, მაგრამ 1925 წლის 21 თე-

ბერვლის ნომერში ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მაინც გამორჩა - სტამბოლში დასასვენებლად ნასულ ისმეთ ფაშას ანკარაში დაბრუნებისას სადგურში ათათურქი დახვდა. თუმცა ეს ამბავი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამთავრობო ცელილებებთან და ამბობების ჩახმობაში ყველაზე ეფექტური კანონის "თაქრირი სუქუნის" მიღებასთან.

რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი მიიჩნევდნენ, რომ რეჟიმის დამხობის ერთადერთი საშუალება ათათურქის მოკვლა იყო. ამიტომაც ანკარაში, ბურსასა და სხვა ქალაქებში ზედიზედ რამდენჯერმე სცადეს ტერაქტის მოწყობა.

ერთ-ერთი თავდასხმა იზმირში დაიგეგმა.

ორგანიზატორებმა მკველელობისთვის ქემერალთიში ერთი ადგილი შეარჩიეს, სადაც მუსტაფა ქემალის მანქანა აუცილებლად შეანელებდა სკოლას. ბრძოში ჩასაფრებული მკვლელი ათათურქს ესროდა და კვლავ ხალხში გაეროდა, მაგრამ მუსტაფა ქემალის მატარებელმა იზმირში საგრძნობლად დაიგვიანა. ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დაგვიანების მიზეზად დანაშაულის გამოაშვარავება მიიჩნია და იზმირის გუბერნატორს თავდასხმის ამბავი შეატყობინა - ეგონა, ამ დასმენით შეწყალებას მიღებდა. ბრალდებულები და ეჭვმიტანილები სასწრაფოდ დააპატიმრეს.

დაპატიმრებულთა შორის განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებიც აღმოჩნდნენ. მათ შორის იყო ქაზიმ ქარაბექირ ფაშა. ქურთების აჯანყებამ, რეაქციონერთა მუქარამ და მუსტაფა ქემალის ნინააღმდევ ზედიზედ მოწყობილმა ტერაქტებმა მთავრობა პანიკაში ჩააგდო. ახლა უკვე ეჭვით უფრუებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებსაც, რომელთაც ტერაქტებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ.

ქარაბექირ ფაშამ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა მოითხოვა. როგორც კი ისმეთ ინენიუმ ძველი ნაცნობისა და თანამებრძოლის დაპატიმრების ამბავი გაიგო, მაშინვე მისი გათავისუფლება ბრძანა.

იუსტიციის მინისტრი - მაპმუდ ესათ ბეი - ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა - ინენიუს ბრძანებით გათავისუფლებული ქაზიმ ქარაბექირი რევოლუციური სასამართლოს ერთ-ერთი თავმჯდომარის - ქი-

ლიჩ ალის ბრძანებით კვლავ დაპატიმრეს. ამ ფაქტის გამო ქოლიჩ ალის და ინენიუს მთელი ცხოვრება სძულდათ ერთმანეთი.

ქილიჩ ალისთვის რეჟიმისა და ათათურქის დასაცავად ყველა ხერხი, ყველა გზა მისაღები იყო. ინენიუ კი მას საზოგადოებისთვის მოუშუშებელი ჭრილობის მიყენებაში ადანაშაულებდა.

ფურეია და ტატიანა შესვენებაზე სკოლის უკანა ეზოში გავიდნენ და კედელს მიყრდნობილები საუბრობდნენ.

"სიტყვა მომეცი, რომ ამას არავის ეტყვი, ყურანზე დაიფიცე".

ტატიანას სიცილი აუტყდა.

"მაპატიე, სულ მავინყდება, რომ შენ სხვა სარწმუნოება გაქვს. სახარებაზე დაიფიცე..."

"სულინმიდასა და ღვთისმშობელს ვფიცავ, საკმარისია?"

"კარგია. ის ციხიდან გამოვიდა, უსქედარში ცხოვრობდა, ახლა კი ისევ დაუჭერიათ."

"ვინ?"

"აი ის, ძია ჯევათი. საყოველთაო ამნისტიით გაათავისუფლეს".

"უსქედარში რა უნდოდა? შინ რატომ არ დაბრუნდა?"

"შინ დაბრუნება აკრძალული პქონია. თურმე უსქედარში დედა-ჩემის ბიძასთან ცხოვრობდა, მისი ქალიშვილი შეურთავს, ვაუიც შესძინიათ - სინა".

"შენ საიდან იცი?"

"დედა ალიემ მითხრა. დედასთან და დეიდა აიშესთან ბიძაჩე-მის სახელის ხსენება აკრძალული მაქვს, მაგრამ ალიე ამბობს, რომ ბებია მის სანახავად ხშირად დადის".

"მას შემდეგ, რაც ბაბუაშენი მოკლა, არ გინახავს?"

ფურეიას უნდოდა ეთქვა ვნახეო, მაგრამ სიმართლემ სძლია:

"არ მინახავს. ეს აფიონში მოხდა, უბედური შემთხვევა იყო".

"ცხადია, აბა, მამას როგორ მოკლავდა?"

"რა თქმა უნდა, ასეა", - მიუგო ფურეიამ, რომელსაც ძალიან გაუხარდა, რომ მეგობარი ბიძამისს უდანაშაულოდ თვლიდა. თუმცა ბიძა ბუნდოვნად ახსოვდა, ოჯახის ნევრის დაცვა მაინც საჭიროდ მიაჩნდა.

"ტატიანა, ბიძაჩემის საქმე ცუდად არის. ბებია მთელი კვირაა ტირის. რამდენი დღეა, ოთახიდან არ გამოსულა. ვეითხე, რა გატი-

რებს-მეთქი, მაგრამ მითხრა, რომ არაფერი აწუხებს და არც ავად გამზდარა".

"დეიდა ალიეს ჰყითხე, ის გეტყვის".

"მითხრა კიდევაც. მე მეგონა, ჩემს მშობლებს ან შაქირს შეემ-თხვათ რაღაც და ძალიან ვინერვიულე, ამიტომაც ყველაფერი მითხრა".

"რა გითხრა?"

"ნუ დელავ, შენებს არაფერი სჭირო, ძია ჯევათია ცუდ დღეში - ისევ დააპატიმრესო.".

"ისევ ვინმე მოკლა?"

"არა, ამჯერად რაღაც დაუწერია."

"ფურეია, განა შეიძლება კაცი რაღაცის დაწერის გამო დაპატიმრონ? ნუ სულელობ," - ტატიანას ნაკლებად სჯეროდა მისთვის სრულიად უცწობი ძია ჯევათის მიერ ჩადგნილი მკვლელობისა და დაპატიმრების ისტორია. ნეტავ, ფურეია რატომ იგონებს ასეთ რამეს? ტატიანას მამამისის სიტყვები გაახსენდა, "მოზარდებს უყვართ ასეთი ამბების შეთხვა, გამოგონება. ესეც ასაკის მატების ერთ-ერთი ნიშანია. ამიტომ, რასაც გაიგონებ, ყველაფერს ნუ დაიკურებ." მამა ნამდვილად არ ცდებოდა.

ერთხელაც, როცა ბებია ისევ თავის ოთახში შეკეტილი ტირო-და, მათ ძია ნედიმი ეწვიათ. იგი ბებიას ოთახში შევიდა, კარი შეგნიდან ჩარაზეს და დიდხანს ჩურჩულებდნენ. ფურეიასაც უნდოდა მათთან შესვლა, მაგრამ ალიემ დაუშალა:

ნუ შეაწუხებ, საყვარელო, თავი დაანძე, ისაუბრონო, უთხრა.

ფურეიამ ძია ნედიმის სტუმრობის მიზეზიც ალიესგან გაიგო. ამ ოჯახში მხოლოდ ალიე თვლიდა მას ადამიანად.


"რევოლუციური სასამართლოს ერთ-ერთი თავმჯდომარე ბიძაჩემის თანამებრძოლი ყოფილა. ახლა ძია ნედიმი ანკარაში მის სანახავად მიდის, ჯევათი რომ დაიხსნას".

"ალიე, ეგ რევოლუციური სასამართლო რაღაა?"

"საშინელი რამ არის, საყვარელო, კაცს გაუსამართლებლად ჩამოხრიობას უსჯიან".

"როგორ?"

"მაგრამ მხოლოდ სამშობლოს მოღალატეებს".



"ძია ჯევათი ხომ სამშობლოს მოღალატე არ არის?"

"ცხადია, არ არის, მხოლოდ გიუია", - თქვა ალიემ.

ქილიჩ ალი ნედიმ ბეის კარგად შეხვდა. ერთმანეთი მოკითხეს, ნედიმ ბეიმ სიტყვა აღარ გააგრძელა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

"ასაფ, ისა... ქილიჩ... ძმაო, ვერაფრით შევეჩვიო შენს ახალ სახელს".

"მე კი შევეჩვიე, მეგობარო, მე მგონი, სახელიც მიხდება. აბა, რას იტყვი?"

"რა თქმა უნდა, გიხდება, მშვიდობაში მოიხმარე. მე ჩემი დისპვილის გამო განუხებ, მას რევოლუციურ სასამართლოში ასამართლებენ".

"ალაპ, ალაპ", - შესძახა ქილიჩ ალიმ, "არ ვიცოდი, ტერაქტებში შენი ნათესავი თუ იყო გარეული".

"ტერაქტან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენმა ჯევათ შაქირმა... გაზეთ "Tan"-ში რაღაც სისულელე დაწერა".

"აა, ეგ საკითხი... ძვირფასო, ეგ მე არ მეხება. ასეთ რამეებს ჩვენი ქელ ალი განიხილავს. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ერთობ უშმური ვინმეა".

"ასაფ... ქილიჩ, ჩემი და ასაკოვანია, ავადმყოფია, ყველანი მან აღგვზარდა, მისი დიდი ხათრი გვაქვს... რამდენი წელია, ამ ბიჭის გამო თვალზე ცრემლი არ შეშრობია. ჯევათმა ერთ დეზერტირზე რაღაც გულისამაჩუქებელი სტატია დაწერა. ამ სტატიას არც სახელმწიფო საქმეებთან და არც ამბოხთან კავშირი არა აქვს".

"აბა, რა გაშინებს, ამ დანაშაულის გამო სიკვდილით არ დასჯიან".

"ოჯახში ყველას სუსტი ფილტვები აქვს, ტუბერკულოზი ემართებათ. ჯევათმაც ფილტვების ანთება გადაიტანა და, თუ ციხეში ჩასვამენ, შეიძლება ჭლექით დაავადდეს. ბიძამისიც სატუსალოში ჭლექით გარდაიცვალა. ამიტომაც ნერვიულობს ასე დედამისი. საქმის განხილვა ჭიანურდება. თავმჯდომარეს ეს ფაქტი სისხლის სამართლის საქმედ მიუწინევია და ჯევათის სიკვდილით დასჯას მოითხოვს".

"ნედიმ, თუ ვერაფერი შევძელი, აუცილებლად შეგატყობინებ".

"მეგობარო, მე მხოლოდ ამ საქმისთვის მოვედი, მხოლოდ უბე-დური, მოხუცი დედის თხოვნა უნდა გადმომეცა. პასუხს როდის გა-მაგებინებ?"

"ნაშუადლევს შემოიარე", - უთხრა ქილიჩ ალიშ.

ნაშუადლევს ნედიმ ბეი ისევ მივიდა ქილიჩ ალისთან.

"ჩვენი ქელ ალი აფიონელია, შენი დისშვილი უკვე დიდი ხანია სტულს. ჯევათს სტატიის გამო კი არა, მამის მკვლელობის ბრალ-დებით ასამართლებს".

"ის საქმე განიხილეს, გაასამართლეს და საყოველთაო ამნისტი-ამდე სასჯელს იხდიდა".

"ვიცი, გავიგე".

"ახლა რა ეძველება?"

"ნედიმ, შენი დიდი ხათრი მაქვს, მხარდამხარ ვიბრძოდით... რაც შემიძლია, ყველაფერს ვიღონებ. ახლა ქელ ალისთან ბრძოლის დრო არ არის, მაგრამ მაინც ვცდი. ნუ იდარდებ.".

ქილიჩ ალის სულაც არ ეხალისებოდა ინენიუს მეგობრებზე ზრუნვა, მაგრამ ძველი თანამებრძოლის - ნედიმ ბეის დისშვილი ქელ ალის რისხვისგან მაინც დაიცვა. ჯევათ შაქირი ბოდრუმში სა-მი ნლით გადაასახლეს. ამ გადაწყვეტილებამ როგორც ჯევათ შა-ქირის, ასევე ეგეოსის ერთი კასაბას - დასავლეთ ანატოლიაში ალა-ჰისგან მივიწყებული ბოდრუმის ბედიც შეცვალა.

## შესვებრიგი

ფურეიამ შინიდან ნამოლებული წიგნები გადაიკითხა. გერმანული უურნალებიდან ბევრი ვერაფერი გაიგო. საშინელი ამინდი იყო. იმდენად მოინყინა, უკვე ნანობდა, ვენაში რომ ნამოვიდა, თუმცა, თავადვე სოხოვდა დედას, მამას მე მოვუვლი. ახლა საკუთარი გამოცდილებით ხვდებოდა, რომ ავადმყოფის მოვლა, თუნდაც საყვარელი მამა იყოს, იოლი ნამდვილად არ ყოფილა.

ფურეია ფანჯარასთან მივიდა და ცას ახედა. რაც ჩამოვიდა, სულ მოღრუბლული და მოღუშული ამინდი იყო. მალე კოკისპირულად ინვიმებდა. სულ ცოტა ხნითაც რომ გასულიყო სახეირნოდ, თავიდან ფეხებამდე გაილუმპებოდა. მაგიდას მიუჯდა და ნერილის წერა დაიწყო. ხომ ეუბნებოდა ალიე, შენ ავადმყოფს დედაშენივით ვერ მოუვლი, თანაც იმ ნალევიან ქალაქში სევდა გაგაგიუებსო, მან ალიეს კი არა, ფაპრუნისას დაუჯერა: "ფურეია, ამ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებ", -უთხრა ფაპრუნისამ, "ვენა მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრია. სასახლეს ნახავ. ერთორ კონცერტს, ოპერას დაესწრები. თანაც, ჰაკი ცოტა დაისვენებს, ხომ იცი, რა დღეში აქვს ნერვები".

ცხადია, ფურეიას სურდა, დედას დახმარებოდა, მაგრამ ვენის ნახვისა და ოპერაში ნასვლის შესაძლებლობით უფრო მოიხიბლა. აპ, ნეტავ, ხელი მოსტებოდა და ის ნერილი არ დაენერა.

**"საყვარელო დედა,"**

ბოლო დროს ძალზე დაღლილი და შეწუხებული ჩანხართ.

ნება მომეცით, თვის ბოლოს, სწავლას რომ დავასრულებ, და-გეხმაროთ. თქვენ მწერდით, რომ მამა უკეთ არის, ამიტომ ახლა შეგიძლიათ კუნძულზე წაბრძანდეთ, დაისვენოთ, მე კი მკურნალობის დასრულებამდე მამასთან დავრჩები".

რათქმა უნდა, ნერილში არც ოპერა, არც ზაფხულისა და ზამთრის სასახლეები და არც მდიდრული საკონდიტორები და კაფეები უხსენებია, სადაც შოკოლადიან ნამცხვარს მიირთმევდა. ამაზე მხოლოდ ფარუნისასთან საუბრობდა. ალიეს კი, თითქოს მისი ვენაში წასვლა კი არა, უფროსი დის სტამბოლში დაბრუნება არ სურდა:

"შენ ფიქრობ, ავადმყოფის მოვლა იოლია? წასვლა თუ გინდა, წადი, მაგრამ ჰაյიც იქ დარჩეს", - სულ ამას უმეორებდა.

ახლა ალიეს ასეთ ნერილს სწერდა: "მართალი ყოფილხარ, ალიე, ნეტავ, დედაჩემიც აქ დარჩენილიყო. მამას ერთ საათზე მეტი ხნით ვერ ვტოვებ. ერთ საათში იპერაში კი არა, მუზეუმშიც შეუძლებელია წასვლა. საბრალო მამაჩემს ძვლები სტკივა. დაუხმარებლად ვერ დგება, სათვალის აღებაც კი ტანჯვას აყენებს. ოცდაოთხი საათით ექთანს ვერ ვქირაობთ, ამიტომ მხოლოდ მე ვუვლი. დილაობით თუ ვახერხებ გასეირნებას. რაც ჩამოვედი, სულ საშინელი ამინდია. მზე ერთხელაც არ მინახავს. ნეტავ შენთვის დამეჯერებინა..."

ემინ ფაშა ორი წელი იტანჯებოდა. ესქიშეპირში ქორპუსის მეთაურად ყოფნისას ვიღაცამ ცილი დასწამა და ცხოვრება ჯოჯოხეთად უკცია. მას გადადგომა მოსთხოვეს. ემინ ფაშა ლირსეული მებრძოლი იყო - ეროვნული ბრძოლის დაწყებისთანავე დატოვა ოსმალთა არმია და ამ წმინდა მოძრაობას შეუერთდა; როცა დასმენის ამბავი გაიგო, გადადგომას სამხედრო ტრიბუნალზე გასამართლება არჩია. იგი გაამართლეს.

ეს უსიამოვნო შემთხვევა ესქიშეპირში მოხდა. ამ დროს ფურეია სტამბოლში სწავლობდა და შაქირ ფაშას აპარტამენტში ბებიასთან, ალიესა და ძია სუათთან ერთად ცხოვრობდა. ზედა სართული დეიდა აიშესა და მის ოჯახს ეკავა, ქვედა სართული - შაქირ ფაშას შვილს პირველი ქორნინებიდან - ძია ასიმს და მის მეუღლეს. ფურეიას მშობლები და ძმა ესქიშეპირში ცხოვრობდნენ. მათი ბინა ცარიელი იყო, მაგრამ არ გაუქირავებიათ. ფურეია დიდ ოჯახთან ერთად მარტოობას არ გრძნობდა. რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ყველაფერი თავის კალაბორგში ჩადგა, რა თქმა უნდა, მატერიალური გაჭირვების გარდა. საყოველთაო ამნისტიის წყალობით ჯევათი ციხიდან გამოვიდა, უსქუდარში ბიძის ოჯახში დასახლდა და საკუ-

თარი ბიძაშვილი - პამდიე შეირთო ცოლად. სარე ისმეთ ხანუმი თავს არ ზოგავდა და, თუ რამ გააჩნდა, ცდილობდა უჩუმრიად გაეგზავნა შვილისთვის... სწორედ ამ დროს შეიტყვეს, რომ ფურცელის მამა ავად გახდა. ემინ ფაშას მეტად მტანჯველი ნერვული დაავადება შეეყარა - ძვლების ანთება ჰქონდა. ფურცელის გაცდენა არ შეეძლო და ამიტომ მამის მოსანახულებლად ვერ ნავიდა. თანაც, დედას არ სურდა, რომ შვილს ემინ ფაშა ასეთ დღეში ენახა. კარგა ხნის შემდეგ მამამ არმია დატოვა და სამკურნალოდ ვენაში გაემგზავრა. ფურცელის იცოდა, რომ დედამ ვენაში ნასასვლელად ოჯახის ძვირფასეულობა გაყიდა... "პაკიე, - უთხრა დედა აიშემ დედას, - ეგ სამკაულები ფურცელის აჩვენე. ნახოს, რას ნიშნავს დახვეწილი გემოვნება, იქნებ, ასეთი სამკაულები ვეღარც იხილოს..."


"ფურცელის სამკაულების კი არა, ჯანმრთელობის ფასი უნდა ისნავლოს," - მიუგო დედამ.

ახლა ეს ხანგრძლივი მკურნალობა დასასრულს უახლოვდებოდა.

ფურცელი კაკუნის ხმამ გამოაფხიზლა. ექიმმა დილის შემოვლა დაიწყო. მამა თვლემდა. ექიმმა ემინ ფაშას დასუსტებულ მაჯაზე მოჰკიდა ხელი.

"აი, ხედავთ, ჰერ ემინ, ხელი ავნიერ, მაგრამ აღარ გტკივათ. ეს კარგის ნიშანია. დარწმუნებული ვარ, თვის ბოლოს სიარულს შეძლებთ".

მამას გაეღიმა. იგი თავს ძალას ატანდა, რომ ტკივილი არავის შეემჩნია. "ფრონილაინ, რაღაც უნდა გითხრათ", - მიუბრუნდა ექიმი ფურცელის, "მამათქვენის მკურნალობას ვასრულებთ, მაგრამ ზოგ ნამალს არ შევწყვეტთ. ალბათ, თქვენ იცით, რომ ამ მძიმე დაავადების მიზეზი სულიერი ტრავმაა. ტკივილგამაყუჩებელ ნამლებს შევამცირებ, მაგრამ სხვა აბებს მივცემ. ეს ვარდისფერი აბები თითქმის ერთი ნელი უნდა სვას. მამათქვენის გამოჯანმრთელება მის სულიერ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. შეეცადეთ, მოარიდოთ სტრესულ სიტუაციას. არ უნდა გალიზიანდეს, ნინაალმდეგ შემთხვევაში ტკივილი განახლდება. ჩემს ნათქვამს მამას ნუ გადაუთარებნით, მაგრამ თქვენ იცოდეთ და ყურადღებით იყავით".



ფურეია გაოგნებული უსმენდა. ნეტავ რას გულისხმობს ექიმი? რა იყო ისეთი, რაც მან არ იცოდა?

"მამაჩემმა. . სულიერი... გინდათ, თქვათ, რომ სულიერი კრიზი-სი გადაიტანა?"

"როგორც ნესი, ეს ანთება, უმეტესად, ძლიერი სულიერი მღელ-ვარებისა და ნერვიულობის შედევია. მამათქვენი არ უარყოფს, რომ მძიმე სტრესი გადაიტანა... ეცადეთ, გულისხმიერად მოექცეთ და უსიამოვნებას მოარიდოთ. სიყვარული და სიმშვიდე ყველაფრის მკურნალია".

ექიმების ნასვლის შემდეგ ფურეიამ ალიესათვის გასაგზავნი ნერილი დაჭმუჭნა და სანაცვეში მოისროლა, საწილთან მდგარ სა-ვარძელში მოკალათდა და მამას შეხედა. ყურადღებით დააკვირდა კარგად ნაცნობ სახეს. ემინ ფაშა თვალდახუჭული მშვიდად ინვა. ავადმყოფის სახეზე სევდა ამოიკითხა, რომელსაც სულ ცოტა ხნის ნინ ვერც კი ამჩნევდა. ტუჩებთან და ნარბებს ზევით ღრმა ნაოჭები შენიშნა... რა სულელი, რა უტვინო გოგო ყოფილა! ოჯახში ყველაზე ჭყუამხიარული და თავქარიანი ალიე ეგონათ. სინამდვილეში კი თავქარიანი თვითონ ყოფილა. იმდენად იყო გართული საკუთარი პრობლემებით, ვერც კი მიხვდა, რა გადაიტანა მამამ. ნიკაპზე ცრემლის ერთი წევთი ჩამოუცურდა. მამამ თვალი გაახილა და ქალიშვილს შეხედა.

"ტირი, ფურეია? ალბათ, ძალიან მოიწყინე, შვილო. რა სისულე-ლე იყო შენი აქ ჩამოსვლა! ამ ასაკში ავადმყოფის მოვლა არ უნდა გეტივითა. აქ მოწყენილი ხარ, შეილო. აბა, დამეხმარე, ადგომა მინდა, შემდეგ კი სუფთა ჰერზე გაისეირნე, რამდენიმე საათი ნუ დაბრუნდები. თუ რამე დამჭირდა, ღილაკს ხელს დავაჭერ და ექ-თანს გამოვიდახებ".

ფურეია აქვითინდა.

"მამიკო, რას მიმალავთ? უკვე ვიცი, რომ დიდი უსიამოვნება შე-გვემთხვათ. რა იქნება, მეც მიამბოთ".

"რას ამბობ, ფურეია, რა უსიამოვნება? საიდან მოიტანე?"

"რატომ დატოვეთ არმია?"

"ავადმყოფის გამო. ვერ ხედავ, რა დღეში ვარ?"

"რამ ჩაგადდოთ ამ დღეში? მინდა ყველაფრი ვიცოდე.".

"ეს უკვე ჩავლილი ამბავია, შვილო".

"მამა, მეც მაქვს უფლება, ვიცოდე, რა ხდება ოჯახში, დაიკვერეთ, რომ უკვე დიდი ვარ. ხედავთ, ლიცეუმი და უნივერსიტეტი დავამთავრე. ცხოვრებისთვის მზად ვარ. განა თქვენ არ მეუბნებოდით, რომ ძლიერი, მტკიცე ადამიანი ვარ?! თუ ასეა, რატომ არ გსურთ, დარდი გამიზიაროთ? რატომ არ მოვლით ადამიანად?"

"რას ამბობ, შვილო!"

"გთხოვთ, მამა, გთხოვთ... სხვაგვარად ცხოვრებას ვერ ვისწავლი." "

"გარევეული პირადი პრობლემები მქონდა."

"სამხედრო სამსახური პირადი მიზეზების გამო არ დაგიტოვებიათ."

"ფურეია, არის ისეთი რამ, რასაც, უმჯობესია, არ შეეხო."

"მამა, თუ ყველაფერს არ მიამბობთ, ძალზე მანყენინებთ. მინდა, დარდი გამიზიაროთ. უნივერსიტეტი უკვე დავამთავრე. რაც გსურდათ, ყველაფერი გავაკეთე. ახლა ჩემი თხოვნაც შეასრულეთ. მამა, გთხოვთ! თუ თქვენი სადარდებელი მეცოდინება, დახმარებასაც შევძლებ." ფურეიას კიდევ ერთი ცრემლი ჩამოუგორდა სახეზე.

"ზურგს უკან ბალიმი გამისწორე, წამოდგომა მინდა." მამას ძალზე უმძიმდა შვილის ცრემლების დანახვა, თანაც შესაძლოა, ფურეია მართლაც დახმარებოდა.

ფურეია მამას ისე უსმენდა, თითქოს ზლაპარს უამბობენო.

"გახსოვს, დედაშენი და შაქირი ესქიშეპირში რომ ჩამოვიდნენ?" - ჰეკითხა მამამ.

"განა შეიძლება არ მახსოვდეს? დედაჩემი დღესასწაულზე თქვენთან წამოვიდა, სურდა, ეს სიურპრიზი ყოფილიყო. შაქირი ძალზე დელაფდა. მეც მინდოდა წამოსვლა, მაგრამ გამოცდებისთვის ეკმზადებოდი. ლალა, შაქირის გამდელი - ყველანი თქვენს სანახავად წამოვიდნენ, მაგრამ თქვენ იქ არ დახვდით."

"იქ ვიყავი," - ჩურჩულით თქვა ემინ ფაშამ. "მისმინე, ფურეია, დიდი ვარო, ამბობ და მართალი ხარ. შენ რვა წლისაც ჭკვიანი და აზრიანი ბავშვი იყავი. ამიტომ მეც ყველაფერს გაგიმხელ." მამა გა-ჩუმდა. დიდხანს დუმდა, საბანზე დაწყობილი დაძარღვული ხელები უცაბცახებდა. გოგონას თვალს არიდებდა. თხრობა განაგრძო, ახლა ხმა უკანკალებდა.

"ჯარისკაცისთვის უმძიმესი განსაცდელია მარტოობა. მარტოობას უსასტიკეს სისხლიან ბრძოლას ვამჯობინებდი. მეომარი, განსაკუთრებით კი ჩვენი ოსმალო მეომარი, გამუდმებით იბრძეის - ერთი ომიდან მეორეში ერთვება - დღეებს, თვეებსა და წლებს ოჯახის მონატრებაში ატარებს. მე არ მინახავს, როგორ იზრდებოდით შენ და შექირი, როგორ აიდგით ფეხი. მუდამ შორს ვიყავი თქვენგან."

ფურცელის ხმის ამოღების ეშინოდა, მოთმინებით უსმენდა. შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ სწორად არ მოიქცა, როცა მამისგან სიმართლის გამხელა მოითხოვა.

"მსურს, თავი ვიმართლო. დიახ, შენდობა მჭირდება. დედაშენმა არ მაპატია, იქნებ შენ შეძლო მისი დარწმუნება."

"მამა!"

ემინ ფაშას თვალზე ცრემლი მოადგა.

"სადგურზე მათ ჩემი ადიუტანტი დასვდა. თურმე მათი ჩამოსულის ამბავი სცოდნია, მე კი არაფერი მითხრა. სახლში რომ შემოვიდნენ, შექირმა ზევით ამოირბინა. მე საძინებელში ვიყავი, მაგრამ მარტო არ ვყოფილვარ - ჩემთან ქალი იყო."

"მამა!" აღმოხდა ფურცელის.

"ხომ მეუბნებოდი, გავიზარდეო! ჩემო გოგონა, მამაკაცი ასეთ რამეს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. გაუსაძლისია მარტოობა, ზამთრის ცივი და გრძელი ღამეები... ამ დროს ვინმე გჭირდება, რომ ეს ყველაფერი გადაიტანო. დედაშენმა ვერ გამიგო. მაგრამ შენ, შენ ჩემი ჟყვიანი ქალიშვილი ხარ..."

ფურცელის მჭიდროდ შეერული მუშტები მიებჯინა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ კრინტსაც ვერ ძრავდა. მამა თხრობას განაგრძობდა, მას კი არაფერი ესმოდა.

"როცა შექირი დავინახე, ელდანაცემივით ნამოვხტი. ენით აუნერელი ტკივილი ვიგრძენი... იმ წუთას, ზუსტად მაშინ, თითქოს ჩემში რაღაც ჩაწყდა. ნელში ორად მოხრილი ქვევით დავვეშვი. დედაშენი უკან ბრუნდებოდა. ვერ შევაჩერე. ერთი კვირის შემდეგ სტამბოლში საკაცით ნამიყვანეს. შინ დაბრუნებისას დედაშენმა ჩვენი ოთახები განაცალკევა. შენი და შექირის ხათრით და სკანდალის თავიდან ასაცილებლად განქორნინება გადაიფიქრა. ამ თემას აღარ შეხებია. ჩვენი ცოლქმრული ცხოვრება მაშინ დასრულდა.

სხვების თანდასწრებით არაფერს იმჩნევს, მაგრამ, როცა მარტო ვრჩებით, ხმას არ მცემს. ვერ ავუხსენი, რომ იმ ღამეს ისეთი არა-ფერი მომზდარა, რისთვისაც ასეთი ამბის ატეხვა ღირდა; რომ ეს მხოლოდ მარტო დარჩენილი მამაյაცის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყო. არ მომისმინა. ალბათ, არც ჩემი წერილები ნაუკითხავს. თითქოს ის სამარცხვინო სასამართლო პროცესი არ კმაროდა, დედაშენსაც გული ვატეინე. ფურეია... შვილო... ფურეია... მიპასუხე, შვილო!!!"

ავადყოფი გაჭირვებით ნამოიმართა და ღილაკს ხელი დააჭირა. ექთანმა მოირბინა.

"ჩემი გოგონა შოკშია, გემუდარებით, უშველეთ! მეტად სამწუხარო ამბავი გაიგო, შოკშია!"

ექთანი გაიქცა. მცირე ხნის შემდეგ დაბრუნდა. ხელში შპრიცი ეჭირა.

"არ მინდა," - თქვა ფურეიამ ყინულივით ცივი ხმით.

"ცოტა დაგანყნარებთ."

"არ მინდა, მშვიდად ვარ."

"მაგრამ გაფითრებული ხართ და ხელებიც გიკანკალებთ."

"მშვიდად ვარ!"

"მაშინ, ცოტა წყალი დალიეთ." ექთანმა ემინ ფაშას თავთან დადგმული ჭიქა წყლით აავსო და ფურეიას მიანოდა, შემდეგ საფეთქლები ოდეკოლონით დაუზილა, ფეხები ჰუფზე დააწყობინა და ქვეშ ბალიშები ამოუწყო. ფურეიას ნინაალმდევობა არ გაუნევია. ძალა გამოსცლოდა, გახევებულიყო.

"მამა არ უნდა ააღელვოთ, ფროლაინ, თავი შეიკავეთ," - თქვა ექთანმა და ოთახიდან გავიდა. მამა-შვილი კარგა ხანს დუმდა. სიჩუმე ფურეიამ დაარღვია, ამჯერად მასაც უთოთოდა ხმა.

"როდესაც ავად გახდით, დედა გივლიდათ."

"დიახ. ძალიან ცუდად ვიყავი. გაუსაძლის ტკივილს ვგრძნობდი. თეთრეული ტანზე რომ არ შემხებოდა, დედაშენი საბანს ორ მაღალ სკამზე გადაფენდა ხოლმე. საცულებსაც ვერ ვიცვამდი. ასეთ მდგომარეობაში მყოფს დედაშენი არ მეკამათებოდა, უსიტყვიდ მივლიდა. საჭმელს მაჭმევდა, ნამალს მასმევდა... ეს მდგომარეობა მანადგურებდა. შემდეგ კი, აუტანელი ტკივილის მიუხედავად, უნიფორმა ჩავიცვი და ხელჯოხზე დაყრდნობილი ანკარაში ნავე-

დღი, სამხედრო ტრიბუნალის წინაშე თავი რომ დამეცვა... მაგრამ, მერნმუნე, სულიერი ტკივილის ატანა უფრო მიმძიმდა."

სამხედრო ტრიბუნალმა მამა გაამართლა, მაგრამ მისი სხეულიც და სულიც უკურნებელმა სენმა შეიპყრო. გაგონილმა ფურეიაზე გამანადგურებლად იმოქმედა. ლოყებზე ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. აი, ასეთი იყო ცხოვრება - სიამოვნებით, ნეტარებითა და მოულოდნელობებით. აღსავსე ცხოვრება, რომლისკენაც ასე გამალებით მიიღტვოდა.

უძილოდ გატარებული ორი ლამის შემდეგ ფურეიამ მამას უთხრა: "მამა, მაღლობას გიხდით, რომ თქვენი დარღი გამიზიარეთ. ახლა ნამდვილად ვიცი, რომ გავიზიარდე." ა

უკვე აღარც ოპერა იზიდავდა, არც კონცერტი და მუზეუმი. იშვიათად, სუფთა ჰაერზე სეირნობისას, გულგრილად თუ შეავლებდა თვალს ვიტრინებს. მით უმეტეს, რომ ამ ვიტრინებში გამოფენილი ნივთებიდან ყველაზე იაფის ყიდვაც კი არ შეეძლო.

მამა-შვილი ახლა უფრო შეტაც დაახლოვდა. ფურეიამ მამას ვერ აპატია, თუმცა მისი გაგება შეძლო. ირნმუნა, რომ მამა ნანობდა, ძალზე იტანჯებოდა.

საავადმყოფოდან გამოწერამდე ერთი კვირა რჩებოდა. ის დილა მეტად ხალისიანად დაინყო. ემინ ფაშამ პირველი დამე გაატარა ტკივილის გარეშე. საუზმეზე ფურეიას მიერ სტამბოლიდან ჩამოტანილი ცხვრის ყველის გასინჯვა მოუნდა. როგორც კი ექთანი გავიდა, ფურეიამ ფარჯარა გამოაღო, ქალალდის პარკებში შეფუთული ყველი შემოიტანა, თხელი ნაჭერი კარაქიან პურზე დადო და მამას გაუნოდა. ჯერ კიდევ საუზმობდნენ, როცა მოსამსახურემ ჰაკიეს მიერ სტამბოლიდან გამოგზავნილი ნერილი შემოიტანა. დედა ოჯახისა და შაქირის ამბებს იტყობინებოდა. ფურეია გაოცებული და ამავე დროს აღტაცებული იყო დედამისის თამაშით. ნერილში ცოლ-ქმრის უთანხმოებაზე სულ მცირე მინიშნებასაც ვერ აღმოაჩენდი. ფურეიამ კითხვა შეწყვიტა.

"რა მოხდა?" - ჰერითხა მამამ, - "ცუდი ამბავია?"

"... ძალზე სამწუხარო რამ მოხდა. ალიემ დანაშაული ჩაიდინა, ორი დღის ნინ ბერგერის საყვარელს - მარის ესროლა. მადლობა აღაშს, უანდარმერიაში მისულს ძია აპმედი გაახსენდა. აპმედ ბეი სტამბოლის პოლიციის უფროსია, ამიტომაც საქმის მიჩქმალვა მო-

ახერხა. "ყველანი გაოგნებული ვართ. თითქოს თავიდან განვიტა-  
დეთ მრავალი წლის წინ გადატანილი ტრაგედია... ალაპ, ნუთუ-  
ჩენს ოჯახს სიმშვიდე არ უნერია?"

მამა-შვილი ერთხანს უხმოდ შესცექეროდა ერთმანეთს. "ასეთი  
დასასრული თავიდანვე ცხადი იყო, - ძლიერ გაარჩია ემინ ფაშას  
სიტყვები ფურეიამ. მამას სახეზე შემფორთება აღბეჭდვოდა.

"მამა, ეს რას ნიშნავს?" - ჩურჩულით იკითხა.

"სირცხვილი, შვილო, კიდევ ერთი სირცხვილი!"

ფურეიას თვალები გაუფართოვდა, გაფითრდა, ხელები აუკან-  
კალდა.

"ამიხსენით, მამა."

"რა უნდა აგიხსნა? ნერილი ხომ წაიკითხე. გადარეულმა დეიდა-  
შენმა კიდევ ერთი სიგიურ ჩაიდინა. ინშალაპ, ეს უკანასკნელი  
იყოს!"

"ალიემ ბერგერის საყვარელს რატომ ესროლა?"

"არ ვიცი."

"რა თქმა უნდა, იცით. გთხოვთ, სულელად ნუ მთვლით."

"ბერგერთან ურთიერთობა ჰქონდა. სხვა არაფერი ვიცი."

"მისი მონაფე იყო, ასე არ არის? სხვა რა ურთიერთობა უნდა  
ჰქონდა?"

"ალიეს იგი შეუყვარდა."

"ბერგერი?!"

"დიახ".

ფურეიას თვალინი წარმოუდგა ბერგერი, მისი გვერდზე გადა-  
ყოფილი სწორი თმა, ფერმეტალი სახე და ნაკვერჩხალივით მოელ-  
ვარე თვალები. ადრე ეგონა, რომ ვიოლინოს მასნავლებელი ათასი  
წლის მოჩვენება იყო. მაგრამ ამ შუახნის მამაკაცმა, რომელსაც  
ახალგაზრდობის წლები დიდი ხანია უკან მოეტოვებინა, ალიეს შე-  
აყვარა თავი! ალიე ხომ მას შვილად ერგებოდა. ეს მექალთანე უნგ-  
რელი! თავის დროზე იგი უნგრეთის მეფის წინააღმდეგ შეთქმუ-  
ლებაში აღმოჩნდა გარეული. ამიტომ სამშობლო დატოვა და სტამ-  
ბოლს შეაფარა თავი. აქ კარჩაკეტილ ცხოვრებას ენეოდა და ცხოვ-  
რებისათვის ზურგი შეექცია. აჩრდილივით იჯდა ფარდებჩამოშვე-  
ბულ სახლში, ჩაბნელებულ ოთახში გაკვეთილებს ატარებდა და გა-

ნუწყვეტილივ კითხულობდა. მისი ოთახის ოთხივე კედელს დამტკერილი წიგნებით სავსე კარადები ფარავდა. ნეტავ, ყველა წიგნი წარმოადგენჯერ," - მიუგო ბერგერმა. ალბათ, ამის გამო იყო, რომ ყველა-ფერი იცოდა - წოტები, კომპიუტორთა ცხოვრება და მათი ყველა ნაწარმოები... ყველაფერში ერკვეოდა. მხატვრობაზე, ისტორიასა და ლიტერატურაზე თავისუფლად საუბრობდა. ბერგერის დამსახურება იყო, რომ ფურეიამ უნივერსიტეტში ფილოსოფიის შესწავლა გადაწყვიტა. "გამოდის, რომ იგი შექირ ფაშას ოჯახის ქალიშვილებს სიყვარულსაც ასწავლიდა," - გაიფიქრა ფურეიამ. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. საყვარელმა ალიემ, მისმა ყველაზე დიდმა მესაიდუმლემ, საკუთარი სიყვარული დაუმალა, არაფრად ჩააგდო. ნეტავ, რატომ?

ფურეიასთვის ეს ამბავი ბევრად უფრო მძიმედ გადასატანი აღმოჩნდა. მამამ მას სინამდვილე გაუმხილა, უკვე აღარაფერს უმაღლავდა. ფურეიაც ამზევებდა მას, რაც თავადაც ძალას მატებდა. მაგრამ გრძნობდა, რომ მეორე იმედგაცრუებას უკვე ველარ გადაიტანდა! გარდა ამისა, ოჯახში დატრიიალებულმა ტრაგედიამ შექირ ფაშას გარდაცვალების საიდუმლოსაც ახადა ფარდა. გაჭხადდა ის დაფარული, რაზეც აქამდე არავინ საუბრობდა, თუმცა ბავშვები რაღაცას ხვდებოდნენ და თავიანთ ეჭვებს ერთმანეთს ჩურჩულით უზიარებდნენ. ოჯახის წევრებმა ფურეიას თვალში მთელი სიდიადე და ხიბლი დაკარგეს. აქამდე ფურეიასთვის შექირ ფაშას შთამომავლობა - ეს იყო ოჯახი, სადაც ყველაზე კარგად ფლობდნენ ფრანგულს, ყველაზე კარგად უკრავდნენ, ყველაზე მდიდრულ წვეულებებს მართავდნენ, სადაც ფასდაუდებელი ანტიკეარული ნივთები ჰქონდათ და ყველაზე უკეთ იცოდნენ "savoir vivre". ახლა კი ფიქრობდა, რომ ეს დიდებული ოჯახი კი არა, ერთმანეთზე გადამტერებული სწობების, მკელელებისა და გიუგის თავშესაფარი იყო.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ფურეია მამასთან ერთად ერთი კვირით ვენაში დარჩენას აპირებდა, მაგრამ ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო სასწრაფოდ სტამბოლისკენ გაეშურნენ. ემინ ფაშას, უპირველეს ყოვლისა, მეუღლე ადარდებდა, მისთვის დარდის შემსუბუქება სურდა. ფურეიამ დაბრუნებისთანავე ალიესთან შეხვედრა მოინდომა. ალიე ქალთა პანსიონის მონას-

ტერში ჩაკეტილიყო, მტელ დროს მონაზონთა გარემოცვაში ატარებდა და არავის დანახვა არ სურდა.

ფურეია რამდენჯერმე მივიდა მონასტერში, მონაზონებს ევედრებოდა დეიდასთან შეევედრებინათ. ბოლოს თავის განცდებზე ალიეს მისწერა და პასუხს დაელოდა. ამჯერად იღუმენიამ ეკლესის უკანა აივანზე მოცდა უბრძანა. გააფრთხილა, რომ ალიეს შენუხებას მორიდებოდა და გრძელი კაბის ფრიალით მის დასაძახებლად გაეშურა. კარებში კოჭებამდე შავი კაბით შემოსილი ალიე გამოჩნდა. შუქი ზურგიდან ეცემოდა. განენილი ქერა თმა მის სახეს უფრო ფერმერთალს აჩენდა. გამხდარიყო, თვალები ჩასცვენოდა. მოჩვენებასავით მიუახლოვდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ.

"რატომ არ გინდოდა ჩემთან შეხვედრა, ალიე?" - ჰკითხა ფურეიამ.

ალიემ არ უპასუხა.

"გრცხვენია?"

ალიემ თავი დახარა.

"რისი გრცხვენია - იმისი, რომ მე, შენთვის ყველაზე ახლობელ ადამიანს, შენი ტრფობის ამბავი დამიმალე თუ იმისი - ბერგერი რომ შეგიყვარდა?"

"სულაც არ მრცხვენია, ბერგერი რომ შემიყვარდა. იგი ჯერ კი-დევ მიყვარს".

"ალიე, რატომ არ მითხარი?"

"არავისთვის მითქვამს."

"რატომ?"

"არ მომიწონებდნენ."

"ვინ?"

"დედაჩემი, უფროსი დები, სიძეები - არც ერთი თქვენგანი".

"და ამ საიდუმლოს მრავალი წელია გულით ატარებ? ნუთუ, არავინ გყავდა, ვისაც საკუთარ გრძნობებს გაუზიარებდი?"

"ფაპრუნისამ იცოდა."


ფურეია ეჭვიანობამ მოიცვა.

"როცა ნისასთან ლამით რჩებოდი, ბერგერთან დადიოდი?"

"დიახ."

"ის რატომ ხუჭავდა თვალს?"

"უნდოდა თავისი ქმარი დაეცვა."



"ვერაფერი გავიგე," - თქვა ფურეიამ.

"ფურეია, იზეთ მელიპთან მქონდა ურთიერთობა. ნისამ ეს იცოდადა, მაგრამ არ იმჩნევდა, სიამაყე და თავმოყვარეობა არ აძლევდა უფლებას. ამიტომაც ბერგერისადმი ტრაფობაში ხელს არ მიშლიდა."

ფურეიას გულისრევის შეგრძნება დაეუფლა. საშინელი რამ არის სიყვარული! ეს გრძნობა ნამდვილად არანაირ ლოგიკას არ ემორჩილება.

"ნისამ ასეთი რამ როგორ დაუშვა? ვერ ვიჯერებ. ქმარი მაშინვე უნდა გაეგდო სახლიდან!"

"ბაბუასაც ჰყავდა ბელგიელი საყვარელი, მაგრამ ბებიას იგი არ გაუგდია. უბრალოდ, არ იმჩნევდა. გაიგე, რომ ქალებს უქმროდ ცხოვრება არ შეუძლიათ!"

"კარგი, მაგრამ დევთის გულისათვის, ის მაინც გამაგებინე, იმ ქალს რატომ ესროლე?"

"ეჭვიანობის გამო. ერთ სომებს პიანისტთან - მარისთან ჰქონია ურთიერთობა, ვითომ დუეტში უკრავდნენ, სინამდვილეში კი საყვარლები იყვნენ."

"შენ კი იმის ნაცვლად, რომ მიგეტოვებინა, მოკვლა არჩიე?"

"მისი კი არა, ქალის მოკვლა მინდოდა".

"ალაპ! ალიე, ეს როგორ გაბედე?!"

"ნისას სახლში იზეთ მელიპის დამბაჩა ავიღე და ბერგერის სახლისკენ გავემართე. ეჭვი მქონდა, რომ იმ ღამეს შეხვდებოდნენ. სურიკ პასაუის კართან დავიმატე და უუთვალთვალებდი. მარი სახლიდან გამოვიდა, ტრამვაით ბეშიქთაშისკენ გაემართა, გემით უსტუდარზე გადავიდა, შემდეგ კი ისევ ტრამვაიში ჩაჯდა და ქარაჯა აპმედთან ჩამოვიდა. მეც უკან ავედევნე. დავინახე, როგორ მივიდა სახლთან და როგორ დარეკა ზარი. შიგნით შევიდა. მე სახლის მოპირდაპირე კედელთან ჩამოვჯექი და დაველოდე. მალე დაბნელდა და შუქი აანთეს. ფარდის უკან კარგად გავარჩიო - ის როიალთან იდგა და ვიოლინოს უკრავდა. ქალიც ალბათ იქვე ივედა. ველოდი... ველოდი... შემდეგ მოძრაობა შევნიშნე. ქალი ადგა. ბერგერმა მას ხელი მოჰშეია და აკოცა. ენით აუნერელი ტკივილი ვიგრძენი. უნდა მოვმევდარიყავი! მაშინვე უნდა მოვმევდარიყავი. გული ისე მტკიოდა, ველარ ვითმენდი. შემდეგ კი გაუაზრებლად ვმოქმედებდი -

ნამოვხტი, კიბე ავირბინე და ზარი დაურევე. კარი მარიმ გამიღო, დამბაჩა დავუმიზნე და ჩამახს გამოვკარი. ზუსტად გულში დავუმიზნე, მაგრამ ხელი ამიკანკალდა და ავაცდინე. ქალი დაეცა, მე ბერგერის დაბნეული სახე დავინახე და გამოვიქეცი. ქარავა აპმე-დის სასაფლაოზე საფლავის ქვებს შორის დავეხეტებოდი. თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ ვერ ვძედავდი... ბოლოს უსქედარის უან-დარმერიაში წავედი და ჩავბარდი. ძია აპმედი ვახსენე. პოლიციის უფროსის ნათესავი ვარ-მეთქი, ვუთხარი. შემდეგ გონება დავკარ-გე. მეტი აღარაფერი მახსოვს. ბერგერს ჩემი დანახვა აღარ უნდა. რა სულელი ვარ! მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ. გესმის, ვერ ვი-ცოცხლებ!"

ფურეია გასაცოდავებულ, დაბნეულ, უმნეო ახალგაზრდა ქალს უმზერდა. ნუთუ, ეს საბრალო არსება იყო მისი საყვარელი დეიდა? ქალი, რომელსაც ბაძავდა, უნდოდა, რომ მასავით ლამაზი ყოფი-ლიყო და ყველაზე ჭკვიანი, ნიჭიერი და მხიარული ეგონა? ხელი გა-უნდა და ალიე თავისეენ მიიზიდა. გული კვლავ სიყვარულით ჰქონდა სავსე, მაგრამ ამჯერად დეიდის მიმართ აღტაცების წაცვ-ლად სიბრალულს გრძნობდა.

ფურეიას ცხოვრებაში ყველაზე მძიმე ზამთარი დადგა. ბებიამ თავს დატეხილი მეორე უბედურების შემდეგ ერთ თექეს მიაშურა, სადაც ან მიუსაფარ ხალხს ეხმარებოდა, ან ლოცულობდა. ალიე შინ დაბრუნდა, მაგრამ ხალხში ვერ ჩნდებოდა. ბერგერმა მას ყვე-ლაფერი აპატია. კვლავ განაგრძეს საიდუმლო შეხვედრები. ემინ ფაშა ისევ ავად იყო. დედა სნეულ ქმარს უვლიდა და მუდამ იმაზე ზრუნავდა, როგორმე დაეფარა შაქირის სნავლის ხარჯები, რო-მელსაც განათლების მიღება ფრიად გაუჭიანურდა. ფურეია აღტა-ცებული იყო დედის მოხერხებულობით. საღამოობით, როცა ყვე-ლაფერი მიწყნარდებოდა, დედა საქსოვ-საქარგავს აიღებდა და თავის ოთახს მიაშურებდა. ქმართან პირისპირ დარჩენას კვლავინ-დებურად თავს არიდებდა.

"დედა, რატომ გძინავთ შენ და მამას ცალ-ცალკე ოთახში?" - ვერ მოითმინა ერთხელ ფურეიამ.

"ჩემ გოგონა, როცა მამაშეს ტკივილი შემოუტევს, ვერც თვი-თონ იძინებს და არც სხვას აძინებს. ხშირად, ძილი რომ გაუტყდე-



ბა, ნიგნს კითხულობს. მე რომ არ შევეწუხებინე, ოთახების გან-  
ცალკევება მოითხოვა".

დედის ხმა იმდენად ბუნებრივად უდერდა, ფურცელი ვერ გაუბე-  
და ეთქვა, რომ სიმართლე იცოდა. იგი მიხვდა, ეს მეტისმეტად ამა-  
ყი ქალი მისთვის ყოველთვის მიუწვდომელი იქნებოდა და მშობლე-  
ბის შერიგებასაც ვერასდროს მოახერხებდა. ერთ დღეს შაქირის  
გამოტეხა სცადა.

"შაქირ, რატომ არ მიამბე, რაც ესქიშეპირში მოხდა?"

"ესქიშეპირში რა მოხდა?"

"ზუ თვალთმაქცობ, ყველაფერი ვიცი!"

"თუ იცი, რაღას მეკითხები?"

"მხოლოდ ის მაინტერესებს, რატომ დამიმალე?"

"რა დაგიმალე?"

"სულელი გვონივარ?"

"ეს შენ მთელი სულელად."

"როდის ჩამითვლიხარ სულელად?"

"ყოველთვის და ყოველ ნამს. შენ ჭკვიანი ხარ, მე კი - ბრიყვი.  
შენ უნივერსიტეტი დაამთავრე, მე კლასიდან კლასში ვერ გადავ-  
დივარ, გამოცდაზე რომ არ ჩავიჭრა. შენ ვიოლინოს უკრავ, მე  
სტევნაც არ შემიძლია. შენ ნყალივით იცი ფრანგული, მე კი "je  
m'appelle Sakir" - ძლივს გამოვთქვი, მაგრამ ესქიშეპირში რაც  
მოხდა, მხოლოდ მე ვიცი, შენ კი არა! ჰოდა, გასკდი გულზე!"

ფურცელი გაოვნდა. არ იცოდა, რა ეთქვა. ძმას მის სიყვარულში  
ეჭვი ეპარებოდა. ცხადია, ეჭვიანობდა, რადგანაც თავს დასთან შე-  
დარებით უიღბლოდ თვლიდა. მაგრამ ყველაზე მეტად ფურცელის ის  
უქლავდა გულს, რომ ადამიანები, რომელებსაც დღემდე ასე ენდო-  
ბოდა და ქვეყანაზე საუკეთესოდ მიაჩნდა, საკუთარი სისუსტეების  
მსხვერპლი აღმოჩნდნენ. მათ თავდაყირა დააყენეს ფურცელის შეხე-  
დულებები. მამის ნაამბობი, ფაჭრუნისასა და ალიეს საქციელით  
გამოწვეული იმედგაცრუება და, რაც მთავარია, წლების მანძილზე  
უსაყვარლესი მასწავლებლის - ბერგერის მიმართ არსებული  
გრძნობების გაფერმკრთალება, პატივისცემის დაკარგვა - ეს უკვე  
მეტისმეტი იყო! ფურცელის სული ეხუთებოდა. გადატანილი ტრაგე-  
დიის შემდეგ სურდა გასცლოდა ამ ოჯახს, რომელსაც განუწყვეტ-  
ლივ თან სდევდა გლოვა და დანაშაული. სადღაც შორს გადახვენა

უნდოდა, შორს, ანატოლიაში გადაიკარგებოდა... იქ კი ანატოლიელ ბავშვებს შეასწავლიდა ვიოლინოს დაკვრას და ფრანგულ ენას, გეოგრაფიას და ისტორიას... მათ განათლებას, ცოდნასა და სითბოს უნილადებდა... ”თქვენს ქვეყანას სარგებელი მოუტანეთ!“ ეს სიტყვები დღიურში ათათურქმა ჩაუწერა. ის ხომ რესპუბლიკის შვილი იყო. ამ ქვეყნისთვის სამსახური უნდა გაეწია. ფურეიას ეს მთელი არსებით სწამდა.

ფურეიას სწორედ ასეთი განწყობა ჰქონდა, როდესაც საბაჟა-თინის გაცნობა შესთავაზეს. ძია აპმედის ბურსელმა მეგობარმა - იბრაჟიმ ბეიმ აიშე ხანუმს შეატყობინა, რომ ერთ შეძლებულ და სიმპათიურ ახალგაზრდას ფურეია უნახავს და ძალზე მოხიბლულა. ნეტავ, ფურეია თუ დასთანხმდებოდა ამ ახალგაზრდა მამაკაცის გაცნობას? უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ამდენი რომ არ გადაეტანა, ფურეია ალბათ, გაჯიუტდებოდა, ჩემს საბედოს თვითონ ვიპოვიო - დაიჩინებდა, მაგრამ ახლა დათანხმდა, რითაც მშობლები და დეიდები ძალზე გააოცა. ახალგაზრდები ერთმანეთს ერთი ნაცნობის სახლში გამართულ წევულებაზე შეხვდნენ.

საბაჟათინი ახოვანი და მეტად მომხიბვლელი კაცი იყო, ლიანაბლისფერი თმა ჰქონდა. ფურეიას არც ერთ ნაცნობ მამაკაცს არ ჰქვდა. არც მამამისისა და ძია აპმედივით ნარმოსადევე და ამაყი სამხედრო იყო, არც იზეთ მელიპისა და სუათის მსგავსი ელიტარული ინტელექტუალის გარევნობა ჰქონდა. იგი არ ჰქვდა მის საყვარელ მასწავლებელს - ბერგერს, რომლის აჩრდილივით თეთრ სახეზე მოგიზგიზე უძირო თვალები და მელანქოლიური იერი ქალებს გონებას აკარგვინებდა. პირიქით, მზით გარუჯული კანი და მხიარული მზერა ჰქონდა. ამბობდა, რომ პარიზიდან ცოტა წინის წინ დაბრუნდა, რომ სასმელი და ცეკვა უყვარდა, მაგრამ, ამავე დროს, საბაჟათინი ჭეშმარიტი მემამულე იყო. ბურსის უკიდევანო ველებზე ცხენს დააგელვებდა, კამეჩების ჯოგს მწყემსავდა და პური მოჰყავდა. ფურეია ხვდებოდა, რომ მასთან საუბრისას მისი ხმა, მისი აზრები კი არა, მისი სხეულის ენა იპყრობდა. სურდა, ამ ახალგაზრდა, მომხიბვლელი მამაკაცის მელავებში ჩამალულიყო, მოჰვერებოდა, ჰყვარებოდა... საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, დედას მოკლედ მოუჭრა, - მომენონაო.

“ხომ არ გეჩვენება, რომ ცოტა გაუთლელია?”

“არა, მგონი, ძალზე ბუნებრივია”.

“შენ სოფლის ცხოვრებას შეუჩვეველი ხარ, შვილო, კარგად და-ზიქრდი”.

“როგორ არა, დედა, ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები კუნძულზე გავატარე.”

“ბურსის მამული კუნძული არ გეგონოს, ფურეია. იქ მეგობრები არ გეყოლება”.

“მეგობარი არც დამტირდება. ჩემი სამყარო მექნება, ბავშვებს ვასნავლი...”

“რას ამბობ, ფურეია?”

“ვასაოცარი არაფერია, დედა. ბაბუაჩემმა შაქირ ფაშამ კუნძულზე თურქი ბავშვებისთვის სკოლა ხომ დაარსა? თანაც იმ ეპოქაში. ახლა რესპუბლიკაა, ქვეყანაში ისეთი ცვლილებებია, ჩემი მცდელობა ამაოდ არ ჩაივლის”.

ჰაკიე ხანუმს სასიძო არ მოსწონდა. ათი წლის იყო საბაჟათინი, როდესაც მამა გარდაეცვალა და მთელი ქონების მემკვიდრედ დარჩა. უზარმაზარ მამულს მარტო უძღვებოდა. გათხოვილი და ჰყავდა. და და სიძე სასიამოვნო ადამიანები ჩანდნენ, მაგრამ დედამისი ერთი უვიცი, ბნელი ქალი უნდა ყოფილიყო. ერთადერთი ვაჟი მეტისმეტად გაენებივრებინა. ნეტავ, ეს ახალგაზრდა ფურეიას ღირსი თუ იქნებოდა? ნეტავ, მისი ქალიშვილი ბედნიერებას თუ პოვებდა ბურსის მახლობელ მამულში?

საბაჟათინმა ჰაკიე ხანუმს ყოყმანი შეატყო და სიტყვა მისცა, რომ სტამბოლში კეთილმოწყობილ სახლს იყიდდა. როცა ფურეიას სოფელში ცხოვრება მოსწინდებოდა, სტამბოლში ჩამოვიდოდნენ. თანაც არც საბაჟათინის მუდმივად სოფელში ყოფნა იყო საჭირო, იქ ნასველა მოსავლის აღების დროსაც საკმარისი იქნებოდა.

ფურეია კმაყოფილი იყო იმით, რომ მალე მოშორდებოდა ამ ნაღვ-ლიან სახლსა და ოჯახს, რომელმაც მას ასეთი იმედგაცრუება მოუტანა. გარდა ამისა, საბაჟათინიც იზიდავდა, მისი ჯანსაღი სხეულიდან ენერგია იფრქვეოდა და ეს ახალგაზრდა ქალს საოცრად აღელვებდა.

ზაფხულში ჰაკიემ კუნძულის სახლის ყველა ოთახი გააღო და დაალაგებინა. ბაღში იაპონური ფარნები დაკიდეს, ზუსტად ისეთი,

მრავალი წლის ნინ, ჰაკიეს ქორნილში რომ ეყიდა. ჯევათ ფაშას ნა-  
ქონი თითქმის უხმარი სერვიზები განმინდეს და კუნძულზე გადაი-  
ტანეს. თითქოს ოჯახზე მოვლენილი წყევლის ნაშლა და მოშორება  
უნდოდათ. ჰაკიემ შესანიშნავი ქორნილი გამართა. სტამბოლის  
ძველი ოჯახები, ფაშები და ფაშადეები, დიპლომატები, იზეთ მე-  
ლიპის მეგობარი მწერლები, პოეტები და ინტელექტუალები კუნ-  
ძულის სასახლის ბაღში გამართულ ქორნილში გემით ჩამოიყვანა  
და სტუმრებს საუცხოოდ გაუმასპინძლდა.

ფაპრუნისას ოთხი წლის ქალიშვილს - შირინს - ხელში ყვავილე-  
ბის კალათა ეჭირა და გედივით ლამაზ ჰატარძალს გვერდიდან არ  
შორდებოდა. "შირინი უზდა დააძინონ, ძალიან დაიღალა, სასმელიც  
კი გასინჯვა", - შესჩივლა ფურეიამ დას.

ფურეიას მთელი მზითევი, საღამოს კაბები, საძინებელი გარნი-  
ტური პარიზიდან ჩამოუტანეს. მდიდრულ საპატარძლო კაბაში გა-  
მოწყობილი ბედნიერებისაგან დაფარფატებდა. ქორნილის ღამეს  
სიძე ბატონის დათრობას ჰაკიე ხანუმისა და ემინ ფაშას გარდა  
არავინ შეუშფოთებია. როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, სა-  
ბაპათინი უკანა ბაღში მაგნოლიის ხესთან მიიმწყვდევდა ჰატარ-  
ძალს და ტუჩებს უკოცნიდა. ფურეიას შამპანური მოჰკიდებოდა და  
მღელვარებისგან ლოყები შევარდისფრებოდა.

მაგრამ, როდესაც ქორნილის შემდეგ ნიშანთაშის სახლში დაბ-  
რუნდნენ, სიძეს თითქოს მგზნებარე ცეცხლი ჩაუქრა, საბაპათინმა  
საწოლამდე ძლივს მიაღწია, დანვა და სასმელისგან გაბრუებულს  
მკვდარივით ჩაეძინა.

## პურსაში გატარებული ხანა

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სტამბოლში გატარებული თაფლობის თვის დასრულებისთანავე ბურსაში, საკუთარ მამულში დაბრუნდა. იალოვაში მოურავი დახვდათ, ბოლო მოდელის კადილაკში ჩასხდნენ და შინისაკენ გაემართნენ. გზაში ფურეია ვარდისფერ ოცნებებს მიეცა. საბაჟათინს მაჟქემეს უბანში თვალუნვდენელ ბაღში ჩაფლული ულამაზესი სახლი ჰქონდა. მაგრამ ფურეიას დედამთილთან ერთად ცხოვრება არ სურდა, განსაკუთრებით კი ქორწინების პირველ დღეებში. ამიტომაც მამულში ცხოვრება ამჯობინა, სადაც ქმართან ერთად განმარტოების საშუალება მიეცემოდა. ნარმოიდგინა, როგორ რომანტიკულად გაატარებდნენ დღეებს ბუნების წიაღში. მაგრამ მანქანა გაპარტახებულ ორსართულიან სახლთან რომ გაჩერდა, მაშინვე გამოფხიზლდა და ტკბილი სიზმარიც დასრულდა. მისი ოცნება და ეს რეალობა ისევე შორს იყო ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამინა. ფურეიას ოცნებაში საბაჟათინის სახლი ვენის გარეუბანში ნანახ ვილებს ჰგავდა - ორსართულიანი, წითელი კრამიტის სახურავით, ფანჯრებზე ფერად-ფერადი ყვავილებით... ცხადში კი თავლაზე დაშენებულ ქოხს ხედავდა.

ქმარი სახლში შეუძლვა და უთხრა..

"საძინებელი ოთახები ზევითაა."

"ეს რა არის?"

"მისაღები."

ოთახში ძირს დაფენილი ორი ლეიბისა და ერთი-ორი ხის სკამის გარდა სხვა არაფერი იდგა. ფურეიას სუნთქვა შეეკრა და უშმოდ გაემართა სამზარეულოსკენ. იქ კი ჩაშავებული, გაჭვარტლული კედლები, მრუდედ მიჭედებული თაროები, უზარმაზარი მაყალი და ნახშირის კერია დახვდა. ქურა არსად ჩანდა.

"ტუალეტი სად არის?" - იკითხა ფურეიამ.

"გარეთ".

“უკაცრავად?”

“გარეთ-მეთქი, გარეთ, ეზოში”.

“როგორ, საძინებელ ოთახთან ტუალეტი არ არის? მერედა, ღა-  
მე რომ... რას აკეთებთ?”

“გარეთ გავდივართ. თურქები იქ არასდროს მოისაქმებენ, სა-  
დაც სძინავთ”.

ფურეია შეცბა, თითქოს სილა გააწნესო. თავიდან იფიქრა, ხომ  
არ მომესმაო. . შემდეგ - ალბათ, ქმარი ხუმრობსო. მაგრამ ცოტა  
უხეშ ხუმრობას ჰგავდა.. .

“ხელის დაბანა მსურს.”

“ემინე წყალს დაგისხამს”, - მიუგო ქმარმა.

პატარა გოგო ადგილიდან წამოხტა და ფურეიას მიმართა: “მო-  
იცადეთ, სურას ავიღებ და მოვალ”.

“აქ რა, ონჯანიდან წყალი არ მოდის?”

“ქალბატონო, აქაურობა შაქირ ფაშას აპარტამენტი ხომ არ  
გვიჩინა? წყალს ჭიდან ვიღებთ.”

“კარგი, ასე იყოს, საბაპათინ ბეი. დამამარცხე, ამას ვალიარებ.  
სტამბოლელ განებივრებულ ქალიშვილს ჭკუაზე მოვიყვანო, ფიქ-  
რობდი, არა? თუ გვიჩინა, რომ ეს ყველაფერი მაღელვებს, ძალიან  
ცდები. ვიოლინოს დაკვრა თუ არ გამიჭირდა, თეთრეულსაც გა-  
რეცხავ და ჭიდან წყლის ამოღებასაც შევძლებ. აბა, ვნახოთ, ვინ  
ვის მოიყვანს ჭკუაზე”, გაიფიქრა ფურეიამ, ხმამაღლა კი ქმარს  
უთხრა:

“ჩემი საძინებლის ნახვა მსურს.”

“ემინე, ქალბატონი ზეცით აიყვანე”, - უპრძანა საბაპათინმა.

პატარა გოგო წინ გაუძირა და ფურეია მოჭრიალე ხის კიბით ზე-  
ვით აიყვანა. ოთახში უცნაური სუნი იდგა.

“ეს რისი სუნია?” - იკითხა ფურეიამ.

“ტორფის”, - უპასუხა გოგომ.


უეცრად ფურეიამ გულისრევა იგრძნო, მაგრამ როგორლაც თა-  
ვი შეიკავა.

“მოურავს უთხარი, ჩანთები ამოიტანოს”, - მიმართა ემინეს.

“მე ამოვიტან,” - უთხრა გოგომ.

“ძალიან მძიმეა, ვერ მოერევი, შვილო”.

ბავშვი ქვევით ჩავიდა და ჩემოდნის კიბეზე ამოტანა სცადა. ფუ-



რეიიამ ფანჯარა გამოაღო და მოურავს გადასძახა, რომელიც მანქანის ნიდან ჩემოდნების ამოლაგებით იყო გართული:

"რიზა ეფუნდი, გეთაყვა, ახლავე ამობრძანდით".

კაცმა, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა ახედა ქალბატონს. ფურეი-ამ კი მკაცრი ხმით კვლავ გაუმეორა:

"ახლავე!"

მოურავი კიბეზე გამოჩნდა.

"ემინეს ჩემოდანი გამოართვით და ოთახში ამოიტანეთ! დანარ-ჩენებსაც თქვენ ამოიტანთ! განა შეიძლება ამ ასაკის ბავშვმა სიმ-ძიმე ზიდოს? ამიერიდან ემინეს ასეთი რამ ეკრძალება!"

რიზა ეფუნდიმ ჩემოდნები ამოიტანა და ხმაურით დაყარა შუა ოთახში.

"გმადლობთ", - მიუგო ფურეიამ. ერთობ უცნაური სანახავი იყო ეს ოთახი, სადაც ჩემოდნებიდან და ქუდის ყუთებიდან ამოლებული შიფონის კაბები, აბრეშუმის ლამის პერანგები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და ბერვიანი ქუდები იყო მიმოფანტული, ხოლო იატაკზე, ფიცრებს შორის ჭუჭრუტანიდან კი ბოსელი მოჩანდა. ცოტა ხანში კიბეზე ფეხის ხმა შემოესმა. ქმარი კარს მიყრდნობოდა და და გამომცდელად უმზერდა.

"მოგეწონა ახალი სახლი?" - ჰეკითხა ირონიანარევი ხმით.

"რაღაც-რაღაცებს შევცვლიდი..."

"მაგალითად, რას?"

"მაგალითად, ფარდებს. ამ ფანჯრებზე ფარდა თუ არ დავკი-დეთ, მოურავი დამინახავს, ტანისამოსს როგორ ვიცვლი".

"შენ თუ სახლში იქნები, მოურავს აქ რაღა ესაქმება?", - მიუგო საბაპათინმა. ფურეიას სიფრიფანა სხეული ცალი ხელით აიტაცა და სანოლზე გადააწვინა, მეორე ხელით ლოგინზე მიმობნეული ტანსაცმელი და ქუდები ძირს მოისროლა და მთელი სხეულით მო-ეხვია ცოლს. ფურეიამ ქმარს პერანგის ლილები შეუხსნა, მზად იყო სიამოვნების მორევში ჩაძირულიყო და მისთვის უკვე სხვა აღარ-ფერს მნიშვნელობა არ ჰქონდა - არც იმას, რომ ოთახში ტორფის სუნი იდგა, არც იმას, რომ ონკანიდან ნყალი არ მოდიოდა... ისიც საკმარისი იყო, თუ ეს ძლიერი მელავები მას ყოველდღე, ყოველ ღამე, ყოველ ნამს მოეხვეოდა, ეს მზით გარუჯული ხელები მის ახალგაზრდა სხეულს შეეხებოდა, ეს ჩალისფერი ულვაშები მის სა-

ხეს, ყელს, მკერდს მიუაღერსებდა. ფურეია შმაგი სურვილით ჩაეხუტია ქმარს...

სინამდევილეში ქარადოლანების მამულში ცხოვრება ერთფეროვანი სულაც არ იყო. ფურეიამ ბუნებას ახალი კანონზომიერება აღმოუჩინა, თუმცა, ჯერ კიდევ კუნძულზე ცხოვრების დროიდან ეს გარემო კარგად ნაცნობი იყო მისთვის. იასამნების, ოლეანდრებისა და იაპონური ვარდების დამათრობელი სურნელის გარდა ბუნება სარჩოსაც სთავაზობდა ადამიანს. ახალგაზრდა პატარძალი პამიდვრის კვლებს შორის დასეირნობდა, პიტნას, ოხრახუშსა და კამას კრეფდა, თუთას ბერტყყავდა. მინასთან სიახლოვე დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ბუნების წიაღში ყოფნა ბედნიერებას ანიჭებდა. თუმცა, უსიამოვნებები ამ სახლში შემოსვლისთანავე დაიწყო - წყალი არ იყო... საჭმლის მოსამზადებლად ნახშირის გახურებას უნდა დალოდებოდა... მაგრამ ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მის ოცნებას ასრულება არ ეწერა.

"აქ ახლომახლო სოფლის სკოლა ხომ არ არის? იქნებ მუშაობა დამერწყო," - ჰკითხა ერთ სალამოს ქმარს.

"რა თქვი?"

"ახლომახლო სკოლა თუ არის-მეთქი".

"დავუშვათ, არის, მერედა რა?"

"ეს პირველად ხომ არ გესმის, საბაპათინ? თუ გახსოვს, ცოლობა რომ მთხოვე, მაშინ სიტყვა მომეცი. მშენივრად იცოდი, რომ მასნავლებლობა მინდოდა."

"შვილები რომ გეყოლება, იმათ ასწავლი!"

"მაშინ უარი არ გითქვამს. ის კი არადა, ხელის შეწყობასაც შემ-პირდი".

"გადავითიქიქე".

"აბა, რას ელოდი, სოფელში რა უნდა მეკეთებინა? ლამისაა ჭკუ-იდან შევიშალო.".

"უამრავი წიგნი და გრამფირფიტა მოვატანინე. მამულში რომ გრამოფონი ჰქონდეს, ისეთი ქალი თუ გეგულება სადმე? პოდა, შენც მუსიკას მოუსმინე, წიგნები იყითხე. მეც მოგიალერსებ სალამობით, შინ რომ დავბრუნდები.".

"მომხედვე, საბაპიათინ, ცოლად რომ გამოგყევი..."

"მოკეტე!", - დაიღრიალა ქმარმა. ფურეიამ მის ხელში ნახევრად მისა დაცლილი რაქის ბოთლი შენიშნა და მიხვდა, რომ ქმრის საქციელი სახიფათო ხდებოდა. გაინაბა. იქნებ ეს საკითხი მაშინ ნამოეჭრა, როცა საბაპიათინი ფხიზელი იქნებოდა? აი, თუნდაც დილას, საუზ-მისას. ვახშამი ისე დასრულდა, ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ. ემინემ უხმოდ აალაგა თეფშები და სამზარეულოში გაიტანა. ფურეია ნამოდგა და კიბეს აუყვა. უეცრად ზურგს უკან ქმრის ხმა შემოესმა:

"სუფრიდან ისე აბრძანდი, ჩემგან ნებართვა არ აგილია!"

"რა სისულელეს როშავ," - უთხრა ფურეიამ და იმავე ნამს იგრძნო, როგორ გააწნეს სილა... თავიდან ვერც კი მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს... ცუდ სიზმარს ხმო არ ხედავდა?

"ეს რმისთვის, რომ შემენინააღმდეგე, ეს კი... მასწავლებლობის-თვის!" და კიდევ ერთი სილა მიიღო. ფურეიამ ნონასწორობა დაკარგა და კიბეზე დაგორდა. გონს რომ მოეგო, უკვე მოქვითინე ქმრის მკლავებში იწვა. მაშინვე ვერც კი გაიხსენა, რა მოხდა.

"ჩემო საყვარელო, ჩემო ერთადერთო, - უბნებოდა ქმარი, - შენ რომ რამე დაგემართოს, თავს მოვიკლავ. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, ფურეია... მაპატიე. მაპატიე. მაპატიე."

ფურეიას ნელ-ნელა ყველაფერი გაახსენდა. თვალებიდან უნც-ვეტბდ სდიოდა ცრემლები. მაგრამ ქმრის განწულ სილას მისი თავ-მოყვარეობა და ღირსება რომ არ შეელახა, ისე უნდა მოქცეულიყო, თითქოს არაფერი ახსოვდა.

"რა მომივიდა?"

"დაეცი, საყვარელო. დაეცი, ჩემო სიყვარულო. მე ნამდვილი ცხოველი ვარ. მაპატიე." საბაპიათინმა ცოლი ხელში აიტაცა და კიბეზე აიყვანა. ტანსაცმელი გახადა. ტიროდა, თან ეხვეოდა. ძალა-გამოცლილები, გამოფიტულები მოეხვიენ ერთმანეთს და კვლავ სიყვარულს მიეცნენ...

ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღე გავიდა. ერთ დილას, საუზმე-ზე ფურეიამ ქმარს უთხრა: "ჩემი ოჯახი მომენატრა, სტატიბოლში ხმო არ ნავიდეთ?".

"როდის?"

"როგორც კი დალურჯებული ადგილები მომიშუშდება, ალბათ, ერთ კვირაში. არ მინდა, დედაჩემმა ასეთ მდგომარეობაში მნახოს." -

"კეთილი, ნავიდეთ", უპასუხა საბაპათინმა, "იქაც გვაქვს სახლი. ცოტას გავერთობით კიდეც სტამბოლში".

ფურეიამ ყურებს არ დაუჯერა. რა მოუვიდა საბაპათინს, ასე რამ შეცვალა? ალბათ, ის ღამე აღარასოდეს განმეორდებოდა. ალბათ, ამიერიდან ბედნიერები იქნებოდნენ. იმ შემთხვევის შემდეგ საბაპათინი მეუღლის მიმართ ნარმოუდგენელ გულისხმიერებას იჩენდა. ფურეია არ იმჩნევდა, რომ სიმართლე ახსოვდა. ქმართან განმორებისთვის მზად არ იყო, რადგან ჯერ კიდევ უსაზღვროდ უყვარდა იგი. მათი ყოველგვარი უთანხმოება ლოგინში გვარდებოდა და, თითქოს, ცეცხლზე ნავთს ასხამენო, ისე აღვივებდა მათ ვნებებს. შემდეგ კი კვლავ დაუსრულებელი სიყვარულის ღამეები იწყებოდა...

ერთი კვირის თავზე ახალდაქორნინებულები სტამბოლში გაემგზავრნენ. ჰაյე ხანუმი ქალიშვილის დანახვაზე სიხარულით ცას ეწია. დედა, დეიდა აიშე, ფარუნისა, ბებია და ალიე რიგ-რიგობით ეპატიუებოდნენ ახალგაზრდა წყვილს. ყოველ საღამოს ჯერ რომელიმე მათგანთან ვახშმობდნენ, იქიდან კი თეატრში ან საცეკვაო კლუბში მიდიოდნენ. ცოლის შერთვამდე საბაპათინი სშირად სტუმრობდა Garden Bar-ს, სადაც არგენტინული ტანგოს საღამოები ეწყობოდა. მაგრამ ეს ისეთი ადგილი იყო, სადაც ფურეიას წასულა არ ეკადრებოდა. რამდენჯერმე, ნათესავებთან ვახშმობის შემდეგ, ფურეიამ ქმარს Garden Bar-ში მარტო ნასვლის ნება დართო. საბაპათინმა ეს ჩვეულებად აქცია და შინ დილის შვიდ საათზე ბრუნდებოდა. ფურეიას ეშინოდა, უგონოდ მთვრალი საბაპათინი მის მეგობრებს ან ნაცნობებს არ დაენახათ.

ერთხელაც საბაპათინს თავისი ნუხილი გაანდო.

"შენ მხოლოდ ის გაღელვებს, გარშემო ხალხი რას იტყვის, მე კი ფეხებზე გკიდივარ, ასე არ არის?" - დაუყვირა საბაპათინმა.

"როგორ შეიძლება სულერთი იყო ცოლისთვის, რომელიც სახლში გელოდება," - მიუგო ფურეიამ. ხმამალლა საუბარს ერიდებოდა, რადგანაც მამულში კი არა, აპარტამენტში იყვნენ.

"ასე რატომ ჩურჩულებ? რა მოგივიდა - ხმა ჩაგინყდა?" - ჰკითხა ქმარმა.

ფურეიამ იფიქრა, რომ კოშმარი თავიდან იწყებოდა და, თუ ერთმანეთი უნდა დაეხოცათ, უმჯობესი იქნებოდა მამულში დაბრუნებულიყვნენ. მეორე დილით ფურეამ ხელსაყრელი დრო შეარჩია და ქმარს უთხრა: " საბაჟათინ, სახლი მომენატრა, ბურსაში ხომ არ დაგბრუნდეთ?"

ამ სიტყვებს ქმარი აღტაცებით შეხვდა. თურმე, მასაც მობეზრებია ამ გადაგვარებულ ქალაქში, ამ იდიოტ ადამიანებს შორის ყოფნა.

" ვის გულისხმობ იდიოტებში? ეგეთები ალბათ, Garden Bar-ში თუ შეგხვდნენ", - ჰეკითხა ფურეიამ.

" შენი იჯახის თითოეულ წევრს", - მიუგო ქმარმა. " შენი დეიდები - თვითკამაყოფილი ნისა, საკუთარი თავი რომ მოსწონს, ჭრელაჭრულა ალიე, " ჟურით გატენილი" დედაშენი, მუდმივად მითითებებს რომ იძლევა და კუდიანი დედაბერივით ძველმანებს აგროვებს, დეიდაშენი აიშე - თავი პიანისტად რომ მოაქვს, თავნება ბიძაშენი... მათ შორის ერთადერთი, ვინც პატივისცემას იმსახურებს, მამაშენია - ალაპმა სიკეთე მისცეს."

ფურეია გაშრა. თითოეულმა მათგანმა ხომ საკუთარი შვილივით მიიღო ეს გაუთლელი, ხეპრე. ზედმეტად თბილად და გულისხმიერად ექცეოდნენ... საბრალო დედამისიც კი უკმაყოფილებას არ იმჩნევდა და იმაზე მეტს უკეთებდა, ვიდრე შეეძლო. ქმრის ავადმყოფობასა და სხვა პრობლემებს საბოლოოდ რომ არ დაეთროვუნა, ჰაკიე ხანუმმა მძივების შეგროვება დაიწყო. თავის შესაქცევად საქმე მოძებნა - მძივებით, შუშებითა და სარკის ნამსხვრევებით საღამოს ჩანთებსა და კალათებს აკეთებდა. მერე კი თავის ნახელავს ახლობლებსა და მეგობრებს ჩუქნიდა... დაუნახავი, რეგვენი! უცბად ფურეიას ნერვული ხარხარი აუტყდა. საკუთარი იჯახის წევრებს მეუღლის თვალით შეხედა და თვალინინ მართლაც კარიკატურები ნარმოუდგა. მამამისისა და ფურეიას გარდა, ნორმალურს მართლაც არავინ ჰგავდა, ყველა ისეთი უცნაურობით გამოირჩეოდა. ეს ყველაფერი იმდენად შორს იყო იმ მამულის მკვიდრისთვის, სადაც დასაბამიდან არაფერი შეცვლილა. საბაჟათინისთვის მთელი სამყარო ხომ მხოლოდ პირუტყვით, ნათესებითა და არგენტინელი მოცეკვაუებით შემოფარგლულიყო. საბრალო, საბრალო მისი ქმარი... სწორედ იქ იყო მისი ადგილი...

մամուլშու րոմ դաձրսնգեն, զուրյուամ ցածանցվուիւ թոցոյրտո սայուտո տապագայ մոյցարյեծոնա. չըր ըմոնես սնացլա-ցանատլեթա միթեցագա դա, ու բամ ցամոյցուուցա, մաժոն մամուլշու մոմիսաթուրյ և տա ծազմացուու բացուուցա, ըմոնես բացուու դա կալմեծո շիցեն. մարտածուու, ծազմաց դուռ ხալուու ար ցամոյմալացնեծուու, մացրամ արու յալծագուունու ցանանցնեծու ոնդուցա.

"մուգու, չըր նորացու ցեմուցու, րոմ սնացլա դանցու. առ, կոտեցա րոմ օնացլու, պայլաս սոյորպրութու մուցունցու".

"Ես բաս նոթնացու?" - ոկոտես ծազմաց.

"Ես ոցու, պայլաս ցազառուցու - գեգածեն, մամացեն, սածաթատուն ծյութ".

ըմոնես ցանատլեթա պայլացա գուցուուցա տուտո սատու ցտմունցու. ամ սայմունածու օյուրյուամ օմֆենաց ցածալուսա, րոմ սկրամծուուցան համութիանուու օյուրյուաց-օյուրյուաց հուտեցուսցան մուսալեցու ոտածուտցու ցարդեցու դա լուցունու ցածասացարյեցուուց յու ծեյյերա. ծուրսամու ցրտ գուրցալս որու սազարժելու դա նոցնեցու տարու ցազայտեցունա. սածաթատուն ցուլու ամցարու սայմունածուու յմապուցուու հանգա, գեցամտունու ցուլու յու ցերացրու մուցու օյուրյուամ. ցարդեցու մուսալեց ոտածու ածնելեցեսու, - գանիցմա յալմա. ցերու սազարժելեց ծեյյեցա դա րծլու չինաչյ մանց մուր օյեթմուրտեմուլու չեցեծուցա. ալաթու նցալունու, յալու մատան ხանցրժելուցա ար հիշեծուցա, սմէթիւ գրու ծուրսամու, սայուտար սածլու արտարյեծուցա. մացրամ եմուրաց ծրսնցեծուցա, րատա մեյմոնմեցունա, րոցոր սմծացեցեց ախելու րծալու մուս ցայսիցուլս սափմելս դա քյոնցա ու արա սածլու նցըրուցու.. արա, օյուրյուա մաստան սայրտու ցերասգրու ցամոնածացա!

ցրտ սալամու, սյոյրունուցան րոմ ամալնեն, օյուրյուաս յմարմա նա- եցրաց հիպուու րայուս ծուուլու ելու ամու դա մոնցերշյ դաշդա. ծալունու յեցե ըմոնես բացուու ունուցա.

"Ես բա արուս?" - գանուրուալա սածաթատունմա.

"Բաչյ մեյուտեցու?"

յագմա տալնուն բացուու այուրուալա.

"Աչ, յա? յա ըմոնես բացուու." "

"Ես բացու ցազուու?"

"ըմոնես նցրա-յուտեցա ցասնացլու".

"հիմցան մալուլաց?"



"ამას შენთან რა კავშირი აქვს?"

"როგორ, ვინ ვარ მე ამ სახლში? არ უნდა ვიცოდე, აյ რა ხდება?!"

"მოსამსახურეს რომ კითხვა ვასწავლო, მაგაზეც ნებართვა მჭირდება?" - ჰერთხა ფურეიამ, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რომ ქმარი ნასვამი იყო და ჩხუბის საბაბს ეძებდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა.

"ამ სახლში ყველაფერზე ჩემგან უნდა აიღო ნებართვა! ჩემი ნებართვის გარეშე მაგასაც ვერ აანრიპინებ! გასაგებია?" - და საბაპათინმა ვიოლინზე მიუთითა.

"რას ამბობ?" - შეეპასუხა ფურეია და დაინახა, როგორ მოფრინავდა მისკენ ლარნაკი, რომელიც ერთი ნამის ნინ მავიდაზე იდგა. თავი სწრაფად რომ არ გაეწია, ალბათ, ვერც გადაარჩებოდა. თუმცა, ლარნაკმა სახესთან მაინც ახლოს ჩაუფრინა და ლოყა გაუკანრა. ხელი თავზე მოისვა. თითები დაუსისხლინდა. ჩაიკეცა და აქვთინდა. ქმარი მაშინვე მასთან გაჩნდა, ხელში აიტაცა, გულში ჩაიკრა. "ჩემო პატარა, ჩემო სიყვარულო... ეს რა ვქენი? მაპატიე, მაპატიე", - უბნებოდა აღელვებული. ფურეიამ თვალები დახუჭა, მისი სახე რომ არ დაენახა. ამჯერად უკვე მშვენივრად იცოდა, რაც მოხდებოდა - ხელში აყვანილს საწოლზე დაანენდა, ჯერ ატირებული პატიებას სთხოვდა, შემდეგ მიუალერსებდა და ფურეიაც თავს ვერ მოერეოდა, წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა, ისევ ვწება სძლევდა... რამდენიმე დღე სიამტკბილობაში ჩაივლიდა და ერთ საღამოსაც, როდესაც კიდევ ერთი ბოთლი რაქი ჩაიცლებოდა, ეს ყველაფერი განმეორდებოდა. ფურეია თანდათან ხედებოდა, რომ განტკევების ვაცად იქცა. სირცხვილით თვალს ვეღარავის უსწორებდა, განსაკუთრებით პატარა ემინესი რცხვენოდა. არა, ამას ბოლო უნდა მოლებოდა!

მამულში ფურეიას ერთადერთი მეგობარი საბაპათინის და დასიძე იყვნენ. ნეტავ თუ შეიძლებოდა მათი ნდობა, მათგან დახმარების მიღება? ფურეიას ხომ შინ დაბრუნება სურდა. ერთ დილას მთელი გამბედაობა მოიკრიბა და მულის სახლისაკენ გაემართა. ზოგჯერ ფინჯან ყავაზე შეუვლიდა ხოლმე. ღმერთმა ქნას, დედამთილი იქ არ დახვდეს, მაშინ მათ დახმარებასაც სთხოვდა.

თვალცრემლიანი მიღიოდა და ვერაფერი ანუგეშებდა - ვერც

ლავანდის სურნელი და ვერც ახლადგაღვიძებული ბუნების შევენიერება. როგორი იმედით ჩამოვიდა აქ! როგორ ეგონა, რომ შევეარ რებულ ქმართან ერთად ბედნიერი იქნებოდა! ის ხომ ახალგაზრდა ქალბატონი იყო, რომელზეც რესპუბლიკა დიდ იმედებს ამყარებდა! ფურეია სულ თოთხმეტი წლის იყო, ათათურქმა დღიურში შემდეგი სიტყვები რომ ჩაუნერა: "ფურეია ხანუმ... თქვენ უნდა იშრომოთ და ბევრი სარგებელი მოუტანოთ ქვეყანას..." შემდეგ თმაზე მიუალერსა და განაგრძო: "სწორედ თქვენნაირებმა უნდა ააშენონ ჩვენი სამშობლო". მას კი აქ, ამ ქოხში, ოთხ კედელში გამოკეტილს, ბურსაში ნასვლის ნებაც არ ჰქონდა, ტყვეთა ბაზარზე ნაყიდ მონას ჰგავდა, რომელსაც ქმარი ნამდაუნუმ სცემდა. ასე უნდა შეეტანა ნელილი რესპუბლიკის აშენებაში?

"ო, ალაპ, რა ჩავიდინე? ამისთანა რა შევცოდე, ასე რომ მსჯი?"  
- ასე ფიქრობდა ფურეია, მულის სახლს რომ მიუახლოვდა. უეცრად თავი შეუძლოდ იგრძნო. ალბათ, მზეზე სიარულით დავიღალეო, - გაიფიქრა და, ის იყო, კიბის საფეხურზე შედგა ფეხი, რომ გული ნაუვიდა.

გონს რომ მოვიდა, უკვე მულის საწოლზე ინვა.

"რა დამემართა?" - იკითხა შეშფოთებულმა.

"გრძნობა დაკარგე. ახლა როგორ ხარ?"

"ნეტავ რატომ?"

"სიცხის გამო," - მიუგო მულმა. ახალგაზრდა ქალის ზურგს უკან ფურეიამ დედამთილს მოჰკრა თვალი, რომელსაც სახეზე თანაგრძნობის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა:

"ფეხმძმედ ხომ არ ხარ?"

"ღმერთო!" - აღმოხდა ფურეიას. ეს ხომ აზრადაც არ მოსვლია.

"ბურსაში კარგი გინეკოლოგი თუ არის?" - იკითხა.

"ეგ ვინდაა?" - გაიოცა დედამთილმა.

"ქალების ექიმი, დედა", - მიუგო ქალიშვილმა.

"ბებიაქალია, ბებიაქალი. ნეტავ ჰალიმ ხანუმი თუა ცოცხალი?"

"კი, მაგრამ, ბებიაქალი რა შუაშია?" - იკითხა ფურეიამ.

"შუაშია, შუაში! ეს სტამბოლი არ არის. თანაც, ჯერ არ იცი, ფეხმძმედ ხარ თუ არა. გადაგიცდა? ბოლოს როდის გქონდა?"

ფურეია საშინლად განითლდა. ზიზღით შეხედა დედამთილს, რომელიც მის პირად ცხოვრებაში უცერემონიოდ იჭრებოდა, და

ნასუხი არ გასცა.

ნაშუადლევს ქმარი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ. ქანი-გორგა-ხარულო ამბავი უკვე გაეგო. ფურეია ხელში აიტაცა და ხვევნა-კოცნა დაუწყო.

“ახლავე გაემზადე, ბურსაში მივდივართ.”

“კი, მაგრამ ასეთ დროს, შეუთანხმებლად ექიმთან ნახვლა გა-გონილა?”

“მერედა, ექიმთან ვინ მიდის? საჩუქარი მინდა გიყიდო. ოქრომ-ჭედელი იაკუბი გავაფრთხილე, ექვს საათამდე დუქანს არ დაკე-ტავს. ყველაფერი უნდა გიყიდო, რაც შენს გულს გაუხარდება,” - უთხრა ქმარმა.

ფურეია გაოგნებული იდგა. თითქოს მახეში გაბმულიყო. მას ხომ სურდა ქმარი თავად გაეხარებინა! დედამთილმა კი ამჯერა-დაც ცხვირი ჩაყო. თანაც მისი ორსულობა ჯერ საეჭვო იყო.

“ხვალ მაინც ნაყიდეთ ექიმთან,” - უთხრა ქმარს.

“ექიმი რაში გჭირდება? მშობიარობის დრო რომ მოვა, ექიმს მა-შინ დავუძახებთ.”

“როგორ, ექიმთან არ ნამიყვან, საბაჟათინ?”

“ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ”, - მოუჭრა ქმარმა. ისეთი ბედნიერი და მხიარული ჩანდა, რომ ფურეიამ შეკამათება გადაი-ფიქრა. ბურსაში გაემგზავრნენ და ქმრის სურვილისამებრ იქროს სამაჯური შეიძინეს. შინ რომ დაბრუნდნენ, ფურეიამ ექიმის თემა კვლავ ნამოქრა.

“ბურსაში არ შეიძლება. აქ სხვა ტრადიციებია. თუ მაინცდამა-ინც ექიმი გინდა, მაშინ სტამბოლში ნავიდეთ”, - უპასუხა საბაჟა-თინმა.

ფურეიამ შვებით ამოისუნთქა. დილით მიღებული გადაწყვეტი-ლება შეცვალა. თუ მართლაც ორსულად იყო, საბაჟათინს ალარ გა-შორდებოდა, ბავშვს გააჩინდა და მთელ სიყვარულს მასში ჩააქ-სოვდა. ბავშვებით სავსე საქლასო ოთახში მასნავლებლობას თუ ვერ ახერხებდა, საკუთარ შვილს ხომ მაინც აღზრდიდა, ისეთ გა-ნათლებას მისცემდა, როგორიც თავად სურდა. ცივილიზებულ, კულტურულ, განათლებულ ბავშვს გაზრდიდა. იქნებ, ბავშვის ხათ-რით საბაჟათინს სმაც მიეტოვებინა, გონს მოსულიყო. თანაც, ქმა-რი სტამბოლში ნაყვანას უპირებდა, რაც უკვე კარგის მანიშნებელი

იყო. ყველაფრის მიუხედავად, ფურეიას ქმარი მაინც ძალიან უყვარდა. მთელი რიგი უთანხმოების შემდეგ მის მწველ მკლავებში რომ აღმოჩნდებოდა, განა ყველაფერი არ დაავიწყდებოდა? განა ყველაფერს არ პატივებდა?

ფურეიას ორსულობის ამბავს სტამბოლში ისეთი აღტაცება არ გამოუწევია, როგორც ბურსაში. ემინ ფაშა ტკივილისგან სიხარულს ვეღარ გამოხატავდა, დედა კი მღელვარებამ შეისყრო: უკვე გვიან იყო - ვეღარ დააღწევდა თავს ამ ქორწინებას, რომელიც, ჰაკიეს ვარაუდით, დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. ექიმმა ორსულობა დაადასტურა. ჰაკიე ვეღარაფერს გახდებოდა. ფურეიას უნდოდა ეს ბავშვი. ამ ბავშვში ხედავდა ის ქორწინების ხსნას, უფრო სწორად, საბაპათინის ხსნას სასმელისგან. საბაპათინი თავის-თავად შხიარული, სასიამოვნო მოსაუბრე და დადებითი ადამიანი იყო. მაგრამ რაქის ბოთლს ნახევრად რომ ჩაცლიდა, შეურაცხადი ხდებოდა.

სტამბოლის პატარა სახლში მათი ცხოვრება თავდაპირველად უშფოთველად მიედინებოდა. საღამოებს ოჯახთან ერთად ატარებდნენ, კინოში ან თეატრში დადიოდნენ. ემინ ფაშას გვერდით საბაპათინი სასმელსაც ერიდებოდა. დღისით ფურეია დედასთან ერთად ბავშვისთვის საჭირო ნივთებს ყიდულობდა. ალბათ, ეს იყო მათი ქორწინების უბედისერები ხანა. საბაპათინის ამჯერად ცოლისგან თავი შორს ეჭირა, რადგანაც ის ორსულად იყო და არ უნდოდა ბავშვისთვის ზიანი მიეყენებინა.

ოც დღეში საბაპათინს უსაქმურობა მობეზრდა და მამულში ნასვლა მოისურვა.

"შენ აქ დარჩი, ის ნავიდეს!", - უთხრა ფურეიას დედამ.

"დედა, მშობიარობამდე ორი-სამი თვით ადრე ჩამოვალ და სტამბოლში გავაჩერ ბავშვს. ასე აჯობებს." - მიუგო ფურეიამ.

ჰაკიე ხანუმი ნამყოფი იყო ბურსაშიც და მამულის სახლიც ნანახი ჰქონდა. მან კარგად იცოდა, რა პირობებში ცხოვრობდა მისი ქალიშვილი. თუმცა ამაზე ემინ ფაშასთვის არაფერი უთქვამს. ახლა კი ღელავდა, როგორ იცხოვრებდა მისი ორსული ქალიშვილი იმ გაპარტახებულ ქოხში. ამიტომაც შესთავაზა ფურეიას მამულიდან დროებით ბურსაში გადასვლა.

"დედამთილთან ერთ ჭერქვეშ ვერ ვიცხოვრებ, დედა! თუ საჭი-

რო გახდება, ბურსაში ცალკე სახლს ვიქირავებთ", - მიუგო ფურეა რენა გაიმართა ის მიზანით, რატომაც არა? საბაპათინი ხომ დიდი ქონების პატრონი იყო. სინამდვილეში, რას არ გაიღებდა ფურეია, რომ სტამბოლში დარჩენილიყო, მაგრამ ახლა, როდესაც თითქოს ყველაფერი აეწყო, ქმრის განაწყენება არ უნდოდა. ამიტომაც მასთან ერთად მამულში დაბრუნდა.

მამულში ცხოვრება ისე მშვიდი აღარ იყო, როგორც სტამბოლში. როგორც კი თავის სამფლობელოში შედგა ფეხი, საბაპათინის სულში თითქოს ეშმაკი ჩასახლდა. ჩვეულებისამებრ, რაქის ბოთლს სუფრაზე დადგამდა და ჩხუბიც იწყებოდა. თუმცა, ამჯერად თავს იკავებდა და ცოლზე ხელის აღმართვას ერიდებოდა.

"საბაპათინ, გთხოვ, სახლში ნუღარ დალევ", - სთხოვა ერთხელ ფურეიამ. მშვენივრად იცოდა, რომ მისი ქმარი ისევ სვამდა, კვირაში სამ ან ოთხ ლამეს სახლში არ ათევდა. გამთენისას ბრუნდებოდა, ფურეიას აღვიძებდა, ხვევნითა და ტირილით ეფიცებოდა სიყვარულს... ფურეია აცნობიერებდა, რომ ამ უაზრო საქციელით იგი ცოდვების მონანიებას ცდილობდა. მაგრამ ქალისთვის ქმრის საქციელი აღარ იყო მნიშვნელოვანი. მისი ერთადერთი სურვილი ბავშვის დაცვა იყო, რომელიც სადაცაა დაიბადებოდა. ფურეია დარწმუნებული იყო, რომ ბოლოსდაბოლოს ქმარი ბარის ქალებს მიატოვებდა და მას დაუბრუნდებოდა, რადგან მათ შორის განსაკუთრებული მიზიდულობა არსებობდა.

ერთ სალამოს საბაპათინმა მაგიდაზე დამბაჩები დააწყო გასანმენდად, თან ემინეს დაუყვირა:

"რაქი და ცივი საუზმე გამიმზადე!"

"საბაპათინ, იქნებ, ვერ იარაღი განმინდო და შემდეგ დალიო", - სთხოვა ფურეიამ. მისი ორსულობა ვერჯერობით მშვიდად მიმდინარეობდა, ორ თვეში უნდა ემშობიარა.

"არავინ გეკითხება, როდის რას გავაკეთებ".

"საბაპათინ, სასმელი მხოლოდ ბოთლში ჩანს მშვიდი."

"დავიღალე შენი გაუთავებელი შენიშვნებით, მომბეზრდა, ყველაფერში ცხვირს რომ ყოფ.".

"შეც ბევრი რამით დავიღალე", უთხრა ფურეიამ. "მშობიარო-

ბაშდე ლრი თვით ადრე დედაჩემთან უნდა წავიდე. უკვე ამ კვირაში  
მინდა გამგზავრება, თან შენც ცოტას დაისვენებ".

"შენი წასვლა ჯერ ადრეა".

"შეცხრე თვეში ძალიან დავმძიმდები, საბაჟათინ, მგზავრობა  
გამიჭირდება."

"უნდა დაელოდოთ, პატარა ქალბატონო, უნდა დაელოდოთ".

"რას?"

"ჩემს ხასიათს!"

"უზრდელი," - ჩაილაპარაკა ფურეიამ.

"რა თქვი? რა მიწოდე?!" და საბაჟათინმა ცოლს დამბაჩა დაუ-  
მიზნა. ფურეია პანიკამ მოიცავა, შეშინებული წამოხტა და კარისკენ  
გაქცევა სცადა, მაგრამ ხალიჩის ფოჩებს წამოედო და ჯერ ჩაიმუხ-  
ლა, შემდეგ კი მთელი ძალით იატაკზე დაენარცხა... .

"ფურეია... საყვარელო... ხომ კარგად ხარ?"

ფურეიამ ქმარს ხელი ჰერა.

"ასე რამ შეგაშინა? დამბაჩა ცარიელი იყო. აბა, დატენილს ხომ  
არ მოგიშვერდი? კარგად ხარ? რამე ხომ არ იტკინე?"

"არ მომეკარო! არაფერიც არ მტკიცა. კარგად ვარ. არ მომეკა-  
რო!"

"ბებიაქალს მოვიყვან".

"არ მინდა!"

"ჩემო საყვარელო, მაპატიე, ასე რომ შეგაშინე. მე ხომ გეხუმრე-  
ბოდი. შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ." გოგომ ნყა-

ლი მოურბენინა, სახე გაფითრებოდა.

"ნუ გეშინია, ემინე, კარგად ვარ," - უთხრა ფურეიამ. საბაჟათი-  
ნი გარეთ გავარდა. ცოტა ხანში დასთან, დედასთან და ბებიაქალ-  
თან ერთად დაბრუნდა.

"ჰალიმხანუმი გიმკურნალებს", - უთხრა ცოლს.

"არ მინდა, კარგად ვარ".

"ასე არ შეიძლება. უნდა ვნახოთ, ბავშვი ხომ არ დაზიანდა. ორ-  
სული ქალი ყურადღებით უნდა იყოს. მუცელი უკვე ცხვირთან  
გაქვს, შენთვის დაცემა საშიშია," - უთხრა დედამთილმა.

"დედა, ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს", - თქვა მულ-  
მა, "თავი დაანებეთ, ხომ ხედავდთ, უკეთ არის".



ფურეიამ მადლიერების ნიშნად მულს გაუღიმა.

"ჩემო კარგო, თუ გინდა, პალიმხანუმი მოისმენს, ბავშვის გული გადასაცილებელი როგორ ძეგრა." -

პალიმხანუმმა ძაბრის მსგავსი ინსტრუმენტი ფურეიას მუცელზე დაადო და მოუსმინა.

"აბა, ეს უკანასკნელი ყოფილიყოს. მაშალაპ, ვაჟი ჯანმრთელია", - მიუტრიალდა ოთახში მსხდომთ.

"ნეტავ, რა იცის, რომ ვაჟია?", გაიფიქრა ფურეიამ. მას შემდეგ, რაც ორსულადაა, მთელი ოჯახი დარწმუნებულია, რომ ვაჟი უნდა გაჩინდეს. მისი ქმარიც კი უკვე იმაზე ფიქრობს, რომელი იარაღი აჩუქოს თავის ბიჭს, ან რა ასაკიდან ასწავლოს თოფის სროლა.

მარტონი რომ დარჩინენ, ფურეიამ ქმარს უთხრა:

"მე ქვევით ტახტზე დავიძინებ. კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა მიჭირს".

"მაშინ მეც შენთან ერთად დავწევები".

"ტახტი ვინროა - ერთი კაცისთვისაა".

"იყოს!"

"მეც კი ძლივს ვეტევი"...

"მაშინ ზევით ადი - შენს ოთახში. ჩამოსვლა თუ მოვინდება, მე ჩამოვიყვან".

ასეთ ცხოვრებას ბოლო არ უჩანდა. საბაპათინს ერთხანს სინდისის ქენენა შეაწუხებდა და რამდენიმე დღე ერთგული მონასავით მოემსახურებოდა. ფურეია ოხვრა-კვნესით ავიდა ზევით და სანოლზე დაეშვა.

ფურეია ყოველდღე ცდილობდა სტამბოლში გამგზავრების თარიღი დაეზუსტებინა. იმ საღამოს შემდეგ საბაპათინი უკმეხად პასუხობდა და უფულობას იმიზეზებდა. რამდენიმე დღე შინ გაათია, მაგრამ შემდეგ კვლავ აიშვა. შინ უკვე აღარ სვამდა, რადგან ახალ უთანხმოებას ერიდებოდა.

"თუ კაცი სახლში არ ჩერდება, ეს ცოლის ბრალია," - ჩასჩიჩინებდა დედამთილი. "ყველა კაცი სვამს. ამაზე თვალი უნდა დახუჭო. სოფელში სხვანაირად თავს რით შეიქცევ? შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და ბევრი რამ არ იცი. თუნდაც ის, რომ ცოლმა ქმარს საყვარლობაც უნდა გაუნიოს. საბაპათინით უკმაყოფილო ხარ, მაგ-

რამ ღმერთმა გაშოროს ისეთი ქმარი, როგორიც ჩემი სელაპი იყო. აი, მაშინ გნახავდი... ”.

“ნეტავ რატომ ვძულვარ ამ ქალს,” - ფიქრობდა ფურეია. “რძალ-დედამთილი კატა-ძალლივით არიან, დაუძინებელი მტრები. ძალი-ანაც რომ მოისურვონ, ერთმანეთს ვერ შეიყვარებენ,” - უთხრა ერ-თხელ ფაპრუნისამ. მის ნათქვამში აშკარად იყო სიმართლის მარც-ვალი, რადგან მასაც სძულდა საკუთარი დედამთილი. და აი, ახლა ბედმა ისე ინება, რომ დილიდან საღამომდე ფურეია ტახტს იყო მი-ჯაჭვული და ამ საძაგელ არსებას უყურებდა. საბაპათინის დავა-ლებით დედამთილი უკვე ერთი ნუთითაც აღარ ტოვებდა.

ფურეიასთვის ერთადერთი ნუგეში მულთან ხშირი სტუმრობა იყო. რადგანაც ორსული ქალისთვის სიარული სასარგებლო იყო, ამ საბაბით თითქმის ყოველდღე მიდიოდა მულთან, რომლის სახ-ლიც ორიოდე კილომეტრით იყო მოშორებული. ბოლოს და ბოლოს დღეს ახალგაზრდებთან ერთად მაინც გაატარებდა.

ერთ საღამოსაც, მულთან სტუმრობისას სიძემ უთხრა:

“ფურეია, ძალიან ფერმერთალი ხარ, ხომ კარგად გრძნობ თავს?”

“ცოტა არ იყოს, გული ამიჩქარდა, ძლივს მოვედი.”

ფურეია შინ შეიყვანეს. ცოტა ხნით ნამონვა, მოსულიერდა. ერ-თი-ორი ხელი ბეზიქი ითამაშეს. შინ დაბრუნება რომ მოისურვა, ვახშამზე დარჩენა სთხოვეს, მის საყვარელ ხორცის ღვეზელს ამ-ზადებდნენ.

“დავრჩები”, - თქვა ფურეიამ. მისი ქმარი საღამოებს სახლში მა-ინც არ ატარებდა. დედამთილის გაუთავებელი შეგონების მოსმე-ნას კი აქ ხორციანი ღვეზელის მირთმევა ერჩივნა, თანაც იქნებ ერ-თი ხელი ბეზიქის თამაშიც მოესწოროთ.

ვახშამზე ათასგვარ სისულელეზე ისაუბრეს. შემდეგ ბავშვისთ-ვის სახელის შერჩევას შეუდგნენ. ვახშმის დასასრულს ფურეიამ თქვა:

“ნელი მტკიცა, ნელში ტკიცილი მივლის.”

“ალბათ, იოგურტის ბრალია... იოგურტმა იცის,” - მიუგო მულმა.

ფურეიას სხეულში თითქოს მტაცებელი ცხოველი დაბუდებუ-ლიყო და რკინის კლანჭებით შიგნიდან რაღაცას ფლეთდა. კივილი აღმოხდა... თვალთ დაუბნელდა... სკამს ჩაეჭიდა... სადღლაც შორი-

დან გაურკვეველი შეძახილები ესმოდა, ვიღაცები დარბოდნენ... იჩქარე... მშობიარობს... სისხლია, სისხლი. . მანქანა გაამზადე... საპატიო ბაჟათინთან გაგზავნე... სად ჯანდაბაშია ეს კაცი... მოურავი გაგზავნე, საბაჟათინი მოძებნოს... ჰეი, ექიმი... ჩქარა, ექიმი... ხმები თანდათან ქრებოდა... შემდეგ ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა... წყვდიადი!

ჰაკიე ხანუმი ქალიშვილის წინ გახევებული იდგა. ფურეია სამზარეულოს ხის დახეთქილ მაგიდაზე დაეწვინათ. სახე გაფითრებოდა, სხეული ყინულივით ცივი ჰქონდა. ჰაკიემ დალაპარაკება სცადა, დაუყვირა კიდეც, მაგრამ ფურეიას კრინტიც არ დაუძრავს. მარმარილოს ქანდაკებას ჰგავდა, საოცრად ლამაზი და მშვიდი ჩანდა. გაუზნძრევლად იწვა.

"წავიდა ჩემი შეილი, წავიდა... ", - ჩაილაპარაკა ჰაკიემ. წარბიც არ შეუხრია. იმ წამს თითქოს ჰაკიეც მოკედა. ამ ქვეყნიდან გაქცევა და იქ წასულა უნდოდა, სადაც მისი ქალიშვილი იყო. ერთადერთი სურვილი ჰქონდა - იმ ადგილამდე მიეღწია, სადაც ფურეია იყო. შეილთან ყოფნა სურდა. . სახეზე მწუხარება არ ეტყობოდა. ამ ადამიანებთან, ვინც შვილი მოუკლა... ამ. . ამ ადამიანებთან გრძნობების გამომუღაენება არ სურდა. თავის დროზე ვერ უშველეს ფურეიას... ექიმი დროულად არ მოუყვანეს... მულმა კი მოიყვანა ექიმი, მაგრამ იმ ბრელმა დედაქაცმა უფლება არ მისცა ფურეიასთვის მიეხედათ, სანამ მისი ვაჟი არ მოპრძანდა.

"ბავშვი სასწრაფოდ უნდა ამოვიყვანო. ბავშვი მოკვდა", - თქვა ექიმმა.

"ჩემს ვაჟიშვილს დაელოდეთ."

"დედასაც დავკარგავთ".

"ჩემს ვაჟიშვილს დაელოდეთ!"

ფურეია აგონიაში იყო, მის სასთუმალთან კი მული და დედამთილი მის ბედს წყვეტდნენ. ბოლოს მულმა გაიმარჯვა, სამზარეულოს ხის მაგიდა ზევით აატანინა და ექიმს უბრძანა: "გააკეთეთ, რაც საჭიროა! დედაჩემს თუ დაუჯერებთ, მთელ პასუხისმგებლობას თქვენ დაგაკისრებთ!"

მოურავმა, ღმერთიმა იცის, სად მიაგნო საბაჟათინს და, სანამ მოიყვანდა, ექიმს უკვე ყველაფერი დაესრულებინა, რის გაკეთე-

ბაც იმ პირველყოფილ პირობებში იყო შესაძლებელი. ამ ადამიანებმა შეიღი მოუკლეს. ორსული ქალი დათრგუნეს. მხოლოდ ბებჭა-  
აქალის ამარა დატოვეს... სტამბოლში დროულად არ ჩაიყვანის. სისხლისგან და-  
ცალა... ალბათ, ამის გამო იყო ეს მარმარილოსებრი სითეთრე.

ჰაკიეს ფურეიას ქორნილის ღამე გაახსენდა, საქორნილო კაბა-  
ში გედივით რომ დაფარფატებდა. გიშრისფერ თვალებში სიყვარუ-  
ლი და იმედი უკრთოდა.

"ბავშვის ნახვა ხომ არ გინდათ?" - იკითხა ვიღაცამ.

"არა!"

"გოგონა იყო..."

ჰაკიემ პასუხი არ გასცა.

"მობრძანდით, ცოტა ხანს მოისვენეთ. მთელი საათია ფეხზე  
დგახართ. ვერაფერს შეცვლით. გონს თუ მოვა, შეგვატყობინებენ".

"თავი დამანებეთ! აქ ვიდგები - ჩემს შეილთან".

დადგა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, კიდევ რამდენ ხანს იდგებოდა.  
ფურეიას ფერმერთალ სახეს უმზერდა. იოტისოდენა სიცოცხლის  
ნიშან-წყალი მაინც რომ შეენიშნა, შეეხმიანებოდა. ნამნამებიც კი  
არ შეურჩევია. შუბლზე ხელს ადებდა - ყინულივით იყო... მაჯას  
უსინჯავდა - პულსი არ ჰქონდა. სიკვდილი უცხო არ იყო ჰაკიესთ-  
ვის - პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მოხალისედ მუშაობდა.  
რა სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი მეტად ნაცნობი იყო მისთვის.  
ქალიშვილს ზენარი ფრთხილად გადაუნია. მძიმე ნაბიჯებით გავი-  
და სამზარეულოდან. თვალებჩასისხლიანებულმა კაცმა უხეშად  
შეაჩერა იგი, ხელში დამბაჩა ეჭირა.

"რა მოხდა, მითხარით, რა მოხდა, მოკვდა?"

ჰაკიემ ხელი ჰქრა.

"მითხარით-მეთეი! ის რომ მოკვდეს, თავს მოვიკლავ! მის გარე-  
შე სიცოცხლე არ მინდა! მის გარეშე ვერ ვიცოცხებებ!"

"მაშინ, რატომ მოკალი?" - ჰაკიეს ცივი ხმით.

კიბეზე ჩავიდა და ქვედა სართულზე იმ ოთახში შევიდა, სადაც  
სტამბოლიდან მასთან ერთად ჩამოსული ექიმი თევზიქ სალიმ ფა-  
შა და ემინ ბეი დამსხდარიყვნენ. ემინ ფაშამ ცოლს გადახედა და  
შეშფოთებულმა ჰაკიეს: "რა მოხდა? რა მოხდა? ფურეია დავკარ-  
გეთ?"



უცხად ჰაერის თავშეეავებამ უღალატა და არაადამიანური ხმით გადასახილება  
დაიყვირა: "არაა... არაა... არრაა..."

უკან მდგარ საბაპათინს ხელი ჰერა, კიბე ელვის სისწრაფით  
აირბინა და ოთახში შევარდა. ექიმი და მეუღლეც უკან მიპყვნენ....  
ფურეიას ზენარი გადააძრო და ძირს მოისროლა. ქალიშვილს ხე-  
ლები, ფეხები, მელავები დაუზილა. "სასწრაფოდ ცხელი წყალი მო-  
იტანეთ, ჩქარა!"

ცხელი წყლით სავსე ჭურჭელი ფურეიას გარშემო შემოუწყვეს.  
ჰაერი მთელი ტანი დაუზილა. ექიმიც ეხმარებოდა. ოდნავ მოშო-  
რებით საბაპათინი ბოლთას სცემდა. ფურეიამ ნამნამები მსუბუ-  
ქად შეარხია. თევფიქ სალიმ ფაშამ ჰაერი გარეთ გაიყვანა.

"მომისმინეთ, ჰაერი ხანუმ... ფურეია აუცილებლად სტამბოლში  
უნდა წავიყვანოთ. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ამ პირობებში ვერ  
გადავარჩენ. სისხლი მოენამლება."

საბაპათინი ოთახში მარტო რომ დარჩა, საწოლს მიუახლოვდა:  
"ფურეია, თვალი გაახილე, ფურეია, ჩემო საყვარელო, გაახილე  
თვალი".

ფურეიამ თვალი გაახილა და დაღლილი მზერა ესროლა ქმარს.

"შენი მშობლები აქ არიან. ექიმი ჩამოგიყვანეს. მე მადანაშაუ-  
ლებენ".

ფურეიამ თვალები კვლავ დახუჭა.

ექიმი და ჰაერი ხანუმი ოთახში დაბრუნდნენ.

"იძულებული ვართ, ფურეია სტამბოლში გადავიყვანოთ", -  
თვალი ექიმმა.

"ამ მდგომარეობაში ვერსადაც ვერ წავა. მას რომ რამე მოუვი-  
დეს, თავს მოვიკლავ".

"საბაპათინ ბეი", - მიმართა გამეხებულმა ჰაერი ხანუმმა, "ფუ-  
რეია აქ რომ მოკედეს, გეფიცებით, მაგ დამბაჩით მოგქლავთ, ხელ-  
ში რომ გიჭირავთ. ახლავე გაეცით ბრძანება, გასამგზავრებლად  
მოემზადონ!"

ფურეია კარგა ხანს იწვა უგონოდ ოსმანოლუს კლინიკაში. სა-  
ბაპათინი კლინიკის დერეფნებში დაეხეტებოდა და ხან თავს იკ-

ლავდა, ხან კი იმ ექიმებს ერჩოდა, ფურეიას რომ ვერ შველიდნენ. ემინ ბეიმ და ჰაკიე ხანუმმა გადაწყვიტეს, რომ, როგორც კი ქალიშვილი ამ ქვეყნისაკენ მოპრუნდებოდა, როგორმე ამ იარაღიანი კაცისგან დაეხსნათ. რამდენიმე კეირაში ფურეია გონს მოვიდა. არა-ფერი ახსოვდა.

"მუკრნალობის ყველაზე რთული პერიოდი ახლა იწყება", - თქვეს ექიმებმა. მათი ვარაუდით, როგორც კი ფურეია შვილის და-კარგვას შეიტყობდა და ყოველივეს გაიხსენებდა, შესაძლოა შოკში ჩავარდნილიყო. მართლაც, მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ფურეია ჯერ არ იჯერებდა ბავშვის დაკარგვას. სხვა გზა რომ ალარ დარჩა და მნარე სიმართლეს უნდა შეგუებოდა, ლრმა დეპრესიაში ჩავარდა. ნარსული თითქოს ნაშლილიყო. არაფერი ახსენდებოდა, რაც ბურსას უკავშირდებოდა. თითქოს ბურუსს მოეცვა. ექიმები ამბობდნენ, რომ გონება ხანგრძლივად დაეძაბა. ასეთი მდგომარეობის გამო ჰაკიე ხანუმმა გადაიციქრა ქალიშვილზე ზენოლა - იქ-ნებ, საბოლოოდ რომ გამოვარინებულდებოდა, მისი დაუინების გარეშეც თავად მიეტოვებინა საბაპათინი.

როგორც კი შესაძლებელი გახდა, საბაპათინმა ფურეია ნიშან-თაშის სახლში გადაიყვანა. ცხოვრება ისევ ძველებურად მიედი-ნებოდა. ფურეია მეტად დაუძლურებული იყო, საჭმელს დედა უმზადებდა და ნიშანთაშის სახლში მოჰქონდა. თავიდან საბაპა-თინი მთელ დღეებს ცოლთან ატარებდა, ნაზად ექცეოდა. ცოტა ხანში ძველებურად კლუბებში, კინოში, თეატრში სიარული და-ინყეს. რა თქმა უნდა, დამის კლუბებსა და Garden Bar-შიც. ფუ-რეია მალე იღლებოდა. საბაპათინის ბარებიდან ნამოყვანა თან-დათან უძნელდებოდა. ბოლოს ფურეია სახლში რჩებოდა, საბა-პათინი კი კლუბებში დადიოდა. შინ გამთენისას ბრუნდებოდა, ამიტომ შუადღემდე ეძინა. ფურეიამ არ იცოდა, რა ეღონა. ამა-სობაში აღმოაჩინა, რომ კვლავ ორსულადა. ამჯერად კი მშობი-არობამდე ნამდილად არ დაბრუნდებოდა მამულში. საბაპათინს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა შეგუებოდა ამ მდგომარეობას. გადა-ტანილი ტრაგედიის შემდეგ უარის თქმა ველარ გაბედა. თავად კი ბურსაში უნდა დაბრუნდებულიყო და მამულისთვის მიეხედა. ფუ-რეიამ გადაწყვიტა, რომ ასე უკეთესი იქნებოდა - მშვიდად გაა-ტარებდა ორსულობის დღეებს, ბავშვს გააჩენდა და მამულში



შვილთან ერთად დაბრუნდებოდა. მოსაწყენადაც დრო აღარ  
დარჩებოდა.

ერთ დღეს დედას ესტუმრა. ცოტა ხანში საშინელი ტკივილი იგ-  
რძნო. ექიმი მოუყვანეს. ფურეიას ბრძა ნაწლავის მძიმე შეტევა  
დასწყებოდა. სასწრაფო გამოიძახეს და მაშინვე საავადმყოფოში  
ნაიყვანეს. გონს რომ მოეგო, უკვე ყველაფერი დამთავრებული  
იყო. ღმერთი თითქოს ყველა სიმწარეს უორმაგებდა ამ ოჯახს. ფუ-  
რეია კელავ უგონოდ ინვა, პერიტონიტს გადაურჩა, მაგრამ ბავშვი  
კვლავ დაკარგდა. ახლა კი ყველაფერი ახსოვდა ფურეიას. ყველაფე-  
რი, რაც დავინუებული ჰქონდა მაშინ, პირველად რომ დაამარცხა  
სიკეთილი - ყოველი წვრილმანის ჩათვლით.

საბაპათინმა რამდენჯერმე ნაკითხა ცოლის წერილი.

"თუ ძველებურად გიყვარვარ, იმედი მაქვს, გამიგებ. მამულში  
დაბრუნება ჩემთვის სიკეთილის ტოლფასია. შეგიძლია, ტყვიაც კი  
მესროლო. ბურსაში თუ დავბრუნდები, სიკეთილის გარდა აღარა-  
ფერი დამრჩება. ალბათ, თავს მოვიკლავ, " - წერდა ფურეია.

საბაპათინი თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ, ყველაზე  
სწრაფ ამერიკულ სპორტულ მანქანაში ჩაჯდა და სტამბოლისკენ  
გააქროლა. ნიშანთაშის სახლში ფურეიას ნივთები ვერსად ნახა. უჯრები,  
კარადები გამოაღო, ყველაფერი დაცარიელებულიყო. მის  
ცოლს პირადი ნივთები ნაეღო.

ფურეია დედამისის ოთახში სავარძელში იჯდა და ნიგნს კითხუ-  
ლობდა. ამ დროს საბაპათინის ლრიალი შემოესმა:

"ბავშვი თქვენ მოაშორეთ, შვილი მომიკალით! ყველას დაგხო-  
ცავთ!"

"ასეთი რამ როგორ იფიქრე, შვილო, ქალს ბრძა ნაწლავის შეტე-  
ვა ჰქონდა. პერიტონიტი ენყებოდა", - აკანკალებული ხმით ამბობ-  
და მამა. ფურეია სავარძლიდან მშვიდად ნამოდგა, სალონში გავი-  
და და მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა ქმარს. თვალებში ჩახდა:

"გეყრები, საბაპათინ! თუ გინდა, ეგ დამბაჩა ამოიღე, სულ თან  
რომ დაგაქვს, და აქვე მესროლე. მაგრამ, იცოდე, მე უკან არ დავი-  
ხევ. არ მინდიხარ. შენთან აღარასდროს დავბრუნდები. ახლა კი  
მიბრძანდი ჩეენი სახლიდან!"

საბაპათინი დაცარიელებულ სახლში დაბრუნდა. საძინებელ  
ოთახში რომ შელასლასდა, ცოლის საწოლთან მაგიდაზე ვერცხ-

ლის ჩარჩოში ჩასმული ჰაკიე ხანუმის სურათი დაინახა, ”ცოლო შენ  
ნამართვი, არამზადავ!” დაიღრიალა და დამბარის ტყვეობი ზედი-  
ზედ დაახალა. მხოლოდ მას შემდეგ შეძლო დამშვიდება, როცა სუ-  
რათი ნაკუნებად აქცია...



## პატიმანითო

(ოსმანლუს კლინიკა)

საავადმყოფოში ყოფნას შეჩერებული ვარ. ბევრჯერ დავცინე ბე-  
დისნერას. სიკვდილსაც რამდენჯერ ჩავხედე თვალებში, მაგრამ  
ყოველთვის ვიმარჯვებდი. ხელახლა ვიძადებოდი. რატომლაც სა-  
სიკვდილო სარცელი ჩემთვის ბედნიერების მომტანია.

როცა პირველად დამანვინეს საავადმყოფოში, თითქმის ერთი  
თვე უგონოდ ვიყავი. თითქოს ჩემი სხეული მიცავდა იმ სინამდვი-  
ლისგან, რომლის გაგებაც არ მსურდა. ადამიანის სხეული გონიე-  
რია - კარგად იცის, როდის როგორ მოიქცეს. თითქმის ერთი თვე  
მეძინა. გამოვიდვიძე თუ არა, მაძინვე მუცელზე ვიტაცე ხელი. ის  
უშველებელი მუცელი აღარ მქონდა. გამოდის, რომ ბავშვი გამიჩე-  
ნია. ნეტავ ბიჭია თუ გოგო? ღმერთო, თუ გოგოა, ადვილად დავი-  
ცავ საბაპათინისგან, თუ ბიჭია, ბავშვობიდანვე იარაღს მისცემს-  
მეთქი, ვფიქრობდი.

თვალი შევალე ირგვლივ შემოკრებილ ახლობლებს - მეტისმე-  
ტი სიგამხდრისგან დედაჩემი მოჩვენებას დამსგავსებოდა, ალიეს  
თვალზე ცრემლი უბრნყინავდა. უკან მორცხვად თავდახრილი მა-  
მა შევნიშნე. "ოჟ, ეს ოსმალო მამაკაცები! ლოგინად მყოფი ქალის  
დანახვის რცხვენია, თუნდაც იგი მისი ქალიშვილი იყოს", - გავი-  
ფიქრე ჩემთვის. ხმას არავინ იღებდა.

"მითხარით, თქვენ გეუბნებით, ბავშვი გოგოა თუ ბიჭი?".

თეთრებში ჩაცმულმა კაცმა ჩემი ნათესავები გასწი-გამოსწია  
და საწოლს მოუახლოვდა.

"მითხარით, გთხოვთ, რა მოხდა?"

"ფურეია ხანუმ, გამაგრდი, შვილო, ბავშვი ნაადრევად გაჩნდა,  
დროზე ორი კვირით ადრე დაიბადა..."

"ინკუბატორშია?"

"არა."

სანოლზე დავემხე... არა, ჩემი შვილი ვერ მოკვდებოდა. ჩემი შვილი, ჩემი იმედი, სისხლითა და სულით ნასაზრდოები... არა, ეს არ მოხდება! ეს უსამართლობაა, ბოროტი ხუმრობა, ბინძური, ბოროტი და ამაზრზენი ხუმრობა. "ჩემი ქმარი სად არის? სად არის საბაპათინი? დაუძახეთ!"

დავინახე, როგორ გავიდა ალიე და ცოტა ხანში საბაპათინთან ერთად შემობრუნდა. საბაპათინიც დედაჩემივით გამხდარი და ლოყებჩაცვენილი იყო. შიშით მომიჯხლოვდა. სანოლთან დაიჩრეა და ხელი მომკიდა. დედაჩემმა ზიზლით შეხედა და ზურგი შეაქცია.

"ჩვენს შვილს რა მოუვიდა, საბაპათინ? ბავშვი სად არის?"

"ის ... ის... სხვა ბავშვებს გავაჩენთ, ფურეია. უამრავი ბავშვი გვეყოლება, თანაც ეს გოგონა იყო. ჩვენ ვაჟი გვეყოლება..."

"მომიყვანეთ ბავშვი! ჩემი შვილი მინდაააა!..." ნეტავ, მე ვყვირი ასე ხმის ჩახლეჩამდე? ვიღაც ნემსს მიკეთებს. კვლავ სიბნელე კვლავ წყვდიადი... უსასრულო წყვდიადი... სულ სიბნელეში მსურს ყოფნა... მგონი, გონება დავკარგე. გონებასთან ერთად სიცოცხლის სიყვარული, იმედები, მეხსიერება - ყველაფერი დავკარგე.

"რა უნდა ვქნა?" - ვეკითხებოდი ექიმს, "ვერაფერს ვიხსენებ".

"მეხსიერება დაძაბეთ".

ვძაბავ.

ნიშანთაშის უბანში პატარა სახლი მქონდა. დიახ, ეს მახსოვდა. ცხადია, ჩემი ქმარიც მახსოვდა. ორსულად ვიყავი... შემდეგ კი არა ფერი მახსოვეს, სულ არაფერი!

ყველაფერი დედაჩემის სახლში დასრულდა. დილით სალონში ვისხედით და ყავას მივირთმევდით. მუცელში ტკივილი ვიგრძენი. თითქოს წვეტიანი დანით მარჯვენა გვერდი გამიჭრეს... მაშინვე ჩვენი ოჯახის ექიმი - აზიზ ბეი გამოიძახეს.

თითქოს იმავე სცენაზე თავიდან ვთამაშობ როლს. სასწრაფო დახმარება მოვიდა, საავადმყოფოში ნამიყვანეს, დამაძინეს. როცა გავიღვიძე, ბავშვი აღარ მყავდა. ბრმა ნანლავთან ერთად ბავშვიც მომაცილეს. ჩემს ქმარს არაფერი გაუგია.

"ფურეია, შვილო, ჩემთან დარჩი, მე მოგივლი", - მითხრა დედამ საავადმყოფოდან გამოსვლისას. დედაჩემის მბრძანებლური ხმა ბავშვობიდან მაშინებდა.

"კარგი, დედა".

**"საბაჟათინს შევატყობინოთ, რომ ჩემთან დარჩები".**

ჩემს ქმარს! ჩემს ქმარს, რომელიც მცემს და რომელსაც უუწყობდა ვარვარ!... ოპერაციის შემდეგ ყველაფერი გამახსენდა. ჩემს შეს-სიერებაზე ჩამოფარებული ფარდა გაიხსნა. უკვე ყველაფერი მახ-სოფდა, ყველაფერმა თვალწინ ჩამიარა, უმცირესი დეტალიც კი მახსოვდა... შეურაცხყოფისა და სიყვარულის ღამეები... მარტოობა, ჩემი გათელილი ოცნებები... იმ ღამეების კოშმარი, როცა ის სვამდა, ბარიდან მთვრალი ბრუნდებოდა...

საბაჟათინს ნერილი მივნერე. გული ნაფლეთებად მექცა, მაგ-რამ ვიცოდი, რომ ასე იყო საჭირო. ახლა მის გარეშე უნდა მეცხოვ-რა. მისი ალერსისა და სიყვარულის გარეშე ცხოვრებას უნდა შევ-გულდოდი... იძულებული ვიყავი, ეს ნაბიჯი საკუთარი ღირსების გა-დასარჩენად გადამედგა.

საბაჟათინმა ნერილი მიიღო. იმავე საღამოს ჩამოვიდა... გამძ-ვინვარებული ხარივით ბრდლვინავდა. ნერილში რაც ეწერა, გავუ-მეორე.

**"არასდროს!"**, - თქვა მან.

"შეგიძლია, მესროლო. მე აქ ვრჩები". თვითონვე მეუცხოვებო-და ჩემი მტკიცე და უხეში ხმა... სულის სიღრმეში კი კვლავ მწყუ-როდა მის მელავებში მოხვედრა, კოცნა, სიყვარული...

საბაჟათინი ღრიალებდა, ამ გადაწყვეტილებას დედაჩემს და მა-მაჩემს აბრალებდა. ბოლოს წავიდა. გული მტკიოდა, იმდენად მტკიოდა, რომ ამ ტკივილს მარტო ვერ გადავიტანდი.

"დედა, თუ მამაჩემის პატივება არ შეგეძლოთ, თქვენც ასე უნდა მოქცეულიყავით. ნეტაც, გაშორებოდით, მიგეტივებინათ. ახლა ყვე-ლას გვრთგუნავს თქვენი დაუსრულებელი სასჯელის სიმძიმე." დე-დას წაცრისფერი დაედო, არც რამ უთქვამს და არც უკითხავს, მხო-ლოდ დიდხანს მაკვირდებოდა. მის თვალებში ტკივილი ამოვიკითხე-ან, უკვე ყველაფერი ითქვა! ჩემს ოთახში შევედი, დავნექი და თავზე საბანი წავიხურე. თვალები დავხუჭე, თითქოს გახელას აღარც ვაპი-რებდი. როგორც სწეული ცხოველი შეიმაღება ხოლმე საფლაც სო-როში, მეც ჩემს ძილში ჩავიმალე. მეძინა, მეძინა, მეძინა...

შემდეგ, ერთ დღესაც, საწოლიდან წამოვდექი და სიცოცხლე ზუსტად იმ ნერტილიდან გავაგრძელე, სადაც შევწყვიტე. ჩემი მეხ-

სიერებიდან ჩემი ქორწინება ამოვშალე - უზარმაზარი საშლელით უნდა წამეშალა საბაპათინი, ბურსა, მამული... კვალიც არ უნდა და... მეტოვებინა, თითქოს არც ვიცნობდი, თითქოს იქ არც მიცხოვრია...).

"ჩემო ლამაზო, კიდევ გათხოვდები, შვილები გეყოლება... მსოფლიოში ყველაზე ლამაზი შვილები," - მიმეორებდა დედა.

დედაჩემის ბიძამ - ნედიმ ბერიმ - 1912 წელს ბალკანეთის ომიდან პანანინა გოგო ჩამოიყვანა. ფატმა ჩემთან ერთად იზრდებოდა. ხუ-თი-ექვსი წლის ვიქენებოდით, როცა ჩვენი ოჯახის ერთმა მეგობარ-მა თოვინა მაჩუქა. თოვინა თვალებს ხუჭავდა და ტიროდა. მუდამ გულში მყავდა ჩაერული. მე და ფატმა კუნძულის წყალსაცავთან ვთამაშობდით. იმ დღეს ცოტა ხნით ფატმას დავაჭერინე. მან კი გა-მომართვა და ძირს დაახეთქა. თოვინა გატყდა. გავშრი. გაოგნები-საგან ტირილიც ვერ შევძელი. ის ლამე თეთრად გავათენე. მეორე დღეს დედა ახალი თოვინის საყიდლად ბეიოლლუში მიდიოდა.

"არ მიყიდო, დედა, არ მინდა-მეთქი," - ვუთხარი. არ დამიჯერა. ნაშუადლევს შინ უზარმაზარი თოვინით დაბრუნდა. ხელიც არ და-მიკარებია. არც იმისთვის და არც სხვა თოვინისთვის. ჩემთვის თოვინით თამაში იმ დღეს დამთავრდა.

ახლა უკვე ვიცოდი - ბავშვსაც ალარასოდეს გავაჩენდი.

დეიდა ფატრუნისა მეორედ თხოვდებოდა. მეუღლესთან - ემირ ზეიდთან ერთად ათენში მიდიოდა და ჩემი წაყვანაც უნდოდა. დარ-ნმუნებული იყო, რომ გარემოს შეცვლა მომიხდებოდა. სული ნაფ-ლეთებად მქონდა ქცეული. ვერ ვიჯერებდი, რომ ცხოვრების გაგ-რძელებას ისევ შევძლებდი. თითქოს ორ წელიწადში ოცნლიანი გზა გამევლოს. დავბერდი, დავსწეულდი, ორი შვილი დავკარგე და სასიკვდილო სარეცლიდან კვლავ უკან მოვბრუნდი, საყვარელ ქმარს სიამაყის გამო გავშორდი და, ამასთან, ჯერ მხოლოდ ოცდა-ორი წლის ვიყავი. ბევრი არ ვახვენინე. როგორც კი სამზადისს მოვრჩი, დეიდას ათენში გავყევი და იქ ფენიქსივით საკუთარი ფერფლიდან კვლავ აღვსდექი.

## ॥ ୨୧୯୩୦ ॥

### ୧୯୧୯୦ ଅଧିକାରୀ ପରିଷଦ

ଓଲିଙ୍ଗାପ ପ୍ରକାଶକାଳୀନ ପରିଷଦ  
ମାତ୍ର ଏବଂ ପରିଷଦକୁ ପରିଷଦକାରୀ ପରିଷଦ  
ପରିଷଦକାରୀ ପରିଷଦ

## შემთხვევითობა

"ფურეია, შვილო, ხედავ, ის მაგიდა თავისუფალია. იქ დავსხა-  
დეთ, ჩრდილში", - უთხრა პაკიქ ხანუმშა.

ფურეია დედას გაჰყვა. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც კარგი  
აღნაგობა, სწორი ნაკვთები და ხშირი, შავი თმა ჰქონდა, ბერძენ  
ქალლერთს ჰგავდა. ერთი წლის წინ გადატანილი ტრავმის კვალი  
თითქოს გამქრალიყო. ათენში მოგზაურობამ სრულიად დაავინწყა  
თავს გადახდენილი.

ექვსი თვე ფაპრუნისასთან ერთად გაატარა. კარგა ხანი პარიზ-  
ში დაყვეს, შემდეგ ეგვიპტეში იმოგზაურეს. ფაპრუნისასაც იგივე  
გზა ჰქონდა განვლილი - ბავშვის დაკარგვა, მექალთანე ქმართან  
განშორება. ეს სიმწარე კარგად იყო ნაცნობი მისთვის და სხვებზე  
უკეთ უგებდა დისშვილს. მშვენიერად იცოდა, თუ რას ნიშნავს საყ-  
ვარელ ადამიანზე უარის თქმა. სწორედ ამიტომ ფურეიას დიდი  
სითბოთი და ალერსით ეკიდებოდა, ანებიერებდა, ასეირნებდა. უკ-  
ვე ძალიან მდიდარი ქალი იყო, ამიტომ ქისას პირი მოუხსნა და უამ-  
რავი ძვირფასი ნივთი უყიდა დისწულს. ფურეია თავს უხერხულად  
გრძნობდა, რაზეც ფაპრუნისას მხოლოდ ეცინებოდა: "ნუ სულე-  
ლობ, რაც გჭირდება, ყველაფერი იყიდე. სტამბოლში რომ დაბრუნ-  
დები, ისევ უფლოდ იქნები და თვალები ვიტრინებზე დაგრჩება".

ფურეია გაოცებული იყო, იმდენ ფულს ხარჯავდა დეიდა ათენ-  
ში. შაქირ ფაშას გარდაცვალების შემდეგ, ოჯახში გამეფებული სი-  
დუხჭირის მიუხედავად, ყველა მედგრად იტანდა სიძნელეებს.  
ცდილობდნენ, ირგვლივ არავის შეენიშნა მათი გაჭირვება. მამამ  
და ძია აპმედმა მხოლოდ რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ მი-  
აღწიეს მატერიალურ კეთილდღეობას. ფაპრუნისას კი არც პირვე-  
ლი ქორწინების დროს უგრძვინა უფლობა. ფურეიას რცხვენდა  
საკუთარი შენაძენის, რადგანაც ახსენდებოდა საბრალო ბებია,

რომელსაც ადრე ყოველმხრივ უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა, ახლა კი ალიესა და, განსაკუთრებით, ძირი სუათისაგან სიცოცხლე გამნარებოდა. ახალ სიძეს, ემირ ზეიდს კი სრულიად არ ანაღვლებდა მათ მიერ დახარჯული ფული.

ათენში გატარებულმა დღეებმა ფურეიას თითქოს ფულის ყადრი გააგებინა. ახალგაზრდა ქალს ენით აუნერელ სიამოვნებას პევრიდა მოხდენილი კაბების, აქსესუარების, ძვირფასეულობის შეძენა, საუკეთესო სალონებში თმის დავარცხნა და იმ წრეში ტრიალი, სადაც ყველაფერ ამას გამოამზეურებდა.

აი, ახლაც მშვენივრად გრძნობდა თავს - ათენში შეძენილი ცისფერი ტილოს მდიდრული კოსტიუმი ეცვა, ყელზე შიფონის შარფი ჰქონდა მოხვეული. დედა-შვილი იალოვას განთქმულ "ჩინარალთი ჩაის" ბალის ჩრდილში მდგარ მავიდას მიუჯდა.

"ღმერთო, კიდევ დიდხანს არ მოვა გარსონი? არ მინდა, მამა დიდი ხნით დარჩეს მარტო," - თქვა ფურეიამ.

"ნუ ნუხარ, შვილო, როცა მარტოა, ნიგნ კითხულობს და მშვენივრად გრძნობს თავს," - მიუგო დედამ. ფურეიამ მდიდრული ჩანთიდან გრძელი ცისფერი მუნდშტუკი ამოიღო და სიგარეტი ჩადო.

"ასანთი თქვენს ჩანთაშია?" - ჰქითხა დედას. ჰაკი ხანუმმა არაფერი თქვა. თავისი მზერით არ ამართლებდა ქალიშვილის საქციელს, მაგრამ იმდენი უბედურება გადაიტანეს, რომ... ქალიშვილი, რომელიც მკვდარი ეგონა, სიცოცხლეს მოუბრუნდა. სწორედ მაშინ საკუთარ თავს სიტყვა მისცა, არასდროს ჩარეულიყო შვილის პირად ცხოვრებაში, არასდროს გაეკიცხა იგი. ასანთი ამოიღო და გაუწიდა.

ჩაი შეუკვეთეს. ფურეიამ თამბაქოს ღრმა ნაფაზი შეისუნთქა და, ის იყო, გააბოლა, რომ ბალში ჩოჩქოლი ატყდა. დედამ ჭიშკრის-კენ მიიხედა:

"აპ, ფურეია! ალაპ! ათათურქი მოდის!"

ფურეიას მუხლები აუკანკალდა. ათათურქი, რომელიც ბავშვობაში ერთი ნახევით შეუყვარდა, იზმირის განთავისუფლების შემდეგ აღარ ენახა. მიუხედავად იმ ტკივილისა და ნუენისა, რაც ემინ ფაშას მიაყენეს, მაინც ღრმა სიყვარულით იყო გამსჭვალული ამ საოცარი კაცისადმი. აფორიაქდა. არ იცოდა, რა ექნა.

“იქით ნუ მიბრუნდები, არ მიიხედო. იქნებ, ვერც შეგვნიშნონ. ჩაი დაელიოთ და გავიპაროთ”, - თქვა ჰაკიე ხანუმმა და შეეცადა, შვილს ამოფარებოდა. “დედა, ის სასამართლო პროცესი ჯერაც არ დაგვიწყებიათ? მას შემდეგ ხომ მრავალი ნელი გავიდა?” - ჰელითა ფურეიამ. ამასობაში ისინი ათათურქმა შენიშნა და თანმხლებ პირებთან ერთად მათი მაგიდისკენ გამოეშურა. ჰაკიე და ფურეია წამოდგნენ.

“როგორ გიყითხოთ, ქალბატონებო?” - ხელი გაუნოდა ათათურქმა.

“კარგად გახლავართ, ბატონო”, - ცივი ხმით მიუგო ჰანუმმა.

“ეს ახალგაზრდა ქალბატონი თქვენი ქალიშვილია?”

ფურეია განითლდა. რა სამწუხაროა, რომ ათათურქი წლების ნინ ნანახი ის ახოვანი, ქერა ღმერთკაცი ალარ იყო. თუმცა, მისი ელვარე თვალები კვლავ იშყრობდა ადამიანის გულს.

“ფურეია ვერ იცანით, ჩემო ფაშა?”

“ოჱ, ღმერთი! ის პატარა ბავშვი ასე როდის გაიზარდა? ისევ უკრავთ ვიოლინოს, პატარა ქალბატონო?” - ფურეიას ხელი საკუთარ ხელებში მოიქცია.

“როცა დრო მაქვს. სამწუხაროა, მაგრამ მევიოლინე ვერ გავხდი, ჩემო ბატონო,” - მიუგო ფურეიამ. ათათურქი თანმხლებთ მიუბრუნდა:

“ეს ქალბატონები ემინ ფაშას ცოლი და ქალიშვილი გახლავთ”.

შუქრუ ქაია და ქილიჩ ალი ქალებს მიესალმნენ. ჰაკიესა და ფურეიასათვის ეს სახელები ნაცნობი იყო გაზეთებიდან.

“ჩვენს მაგიდასთან ხომ არ დაბრძანდებით?” - ჰელითა ათათურქმა.

“თქვენი შენუხება არ გვინდა, ბატონო”, - მიუგო ჰანუმმა.

“რას ბრძანებთ”, - ათათურქი გარსონებს მიუბრუნდა: “მაგიდა გააფართოეთ, ქალბატონებიც შემოგვირთდებიან”.

ჰაკიე მიხედა, რომ თავს ვერ დაიძვრენდა და ეს გულს უღრღნიდა. რას ეტყოდა ქმარს, როდესაც სასტუმროში დაბრუნდებოდნენ? ნეტავ, გაბრაზდებოდა თუ გაუგებდა, მუსტაფა ქემალთან ერთად რომ ისაუზმეს? ემინ ფაშა ხომ ჯერაც განაწყენებული იყო რესპუბლიკის მეთაურზე.

ფურეია კი მღელვარებისა და სიხარულისგან სადაცაა გაფრინდებოდა. მას წილად ხედა ბედნიერება, მეთაურის სუფრასთან ყოფილიყო მინვეული, იმ მეთაურის, რომლის მიმართაც საოცარ ალფროვანებას განიცდიდა, როგორც თურქეთში მცხოვრები ნების-მიერი ახალგაზრდა. დედის მკაცრ გამოხედვას ყურადღება არ მიაქცია, მაშინვე ნამოხტა და მათენ გაემართა. ცალ ხელში თეთრი ჩანთა ეჭირა, მეორეში - გრძელი, ცისფერი მუნდშტუკი.

მუსტაფა ქემალ ფაშამ ქალბატონებს ადგილებზე მიუთითა. შუქრუ ქაია და ქილიჩ ალი ქალბატონებისა და მუსტაფა ქემალის დასხდომას ელოდნენ. ფურეია მუსტაფა ქემალისა და შუქრუ ქაიას საუბარს შეუერთდა, ქილიჩ ალი კი ჰაკიე ხანუმისკენ დაიხარა, რომელიც ჩუმად იყო და აშკარად გაღიზიანებული ჩანდა.

"მისი უდიდებულესობა ემინ ფაშა როგორ ბრძანდება, ხომ კარგად არის?" - ჰკიოთხა ხმადაბლა.

"როგორ უნდა იყოს? მორალურად განადგურებულია. ჯანმრთელობაც შერყეული აქვს. განუწყვეტლივ ტკივილი აწესებს. სწორედ მისი ავადმყოფობის გამო ჩამოვართ იალოვაში".

"აა, ემინ ფაშაც აქ არის?"

"სასტუმროშია, ისვენებს", - მიუგო ჰაკიე ხანუმმა.

"აუცილებლად ვინახულებ", - უპასუხა ქილიჩ ალიმ.

"ნუ შეწებდებით," - თქვა ჰაკიემ და მაშინვე ინანა. მის ქმარს მართლაც უსამართლოდ მოექცნენ და ამაში მუსტაფა ქემალის გარემოცვას ადანაშაულებდა, მაგრამ აშკარა იყო, ზედმეტი მოუვიდა. ცოტა ხანში თავად დაიხარა ქილიჩ ალისკენ:

"პირადად მე ვალში ვარ თქვენთან."

"რას ბრძანებთ, ქალბატონო?"

"დიახ. თქვენ დედაჩემის მიმართ გულისხმიერება გამოიჩინეთ, როდესაც ბიძაჩემმა - ნედიმ ბეიმ მისი თხოვნა გადმოგცათ, დახმარების ხელი გაუწოდეთ, კეთილშობილებისა და დიდსულოვნების მაგალითი უჩვენეთ."

ჰაკიე დედის სახელით მადლობას უხდიდა ქილიჩ ალის ისე, რომ ჯევათ შაქირის სახელი არც კი უხსენებია. იცოდა, ქილიჩ ალის წყალობით მისი ძმა ციხეში გარდაუვალ სიკედლს გადაურჩა.

"თქვენს ოჯახს მნიშვნელოვანი ნელილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და განა

შემეძლო, უგულებელმეყო ასეთი ოჯახის თხოვნა? მამათქვენის მიმართ უსაზღვრო პატივისცემას ვგრძნობ, ის ხომ ფასდაუდებელი ისტორიული წიგნების ავტორია," - მიუგო ქილიჩ ალიმ.

ჰაკიე ხანუმი თითქოს დამშვიდდა. ამის მიზეზი ქილიჩ ალის გულისხმიერი საქციელი იყო. სასტუმროში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ რესპუბლიკის მეთაურის სუფრიდან ადგომა განა მართებული იქნებოდა? ქალშვილს გადახედა. ფურეია კმაყოფილი ჩანდა. მღელვარება უკვე გადაელახა და ქილიჩ ალის აღტაცებით უზიარებდა ათენის შთაბჭეჭდილებებს.

ჰაკიე ხანუმის შეშფოთება მუსტაფა ქემალ ფაშას არ გამოჰპარვია:

"სასტუმროში თუ გაგვიანდებათ, ჩვენ არ დაგაყოვნებთ, ქალბატონებო."

ჰაკიე ხანუმმა მადლობა გადაუხადა და წამოდგა. მუსტაფა ქემალი და მისი მეგობრებიც წამოიმართნენ. ფურეიამ სიგარეტი ჩააქრი, მუნდშტუკი ჩანთაში ჩადო და ბატონებს დაემშვიდობა.

მუსტაფა ქემალს ემინ ფაშას შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ჰაკიე ხანუმი და ფურეია ბალის ჭიშკრამდე ქილიჩ ალიმ მიაცილა, დამშვიდობებისას ორივეს ხელზე ემთხვია და უთხრა:

"ემინ ფაშას ჩემგან მოკითხვა გადაეცით."

ბალიდან რომ გავიღნენ, ჰაკიე ხანუმმა თქვა:

"უვიცი და უტაქტო კაცი! განა, შეიძლება, ახალგაზრდა ქალს ხელზე ემთხვიო?"

"დედა, მე რომ ქალიშვილი აღარ ვარ? ერთხელ გათხოვილიც ვიყავი", - მიუგო ფურეიამ.

ქალბატონები რომ გააცილა, ქილიჩ ალი მაგიდასთან დაბრუნდა.

"ქილიჩ, შეხედეთ ემინ ფაშას ქალიშვილს? მე სულ ერთი ბეწო მახსოვს ეგ საძაგელი. გაზრდილა, დაქალებულა... ჩემ ნინ იჯდა და სიგარეტს აბოლებდა", - უთხრა მუსტაფა ქემალმა.

ფურეია მშობლებთან ერთად "თერმალ ოტელში" ისვენებდა. როგორც იქნა, ქილიჩ ალიმ ემინ ფაშასთან შეხვედრა მოახერხა. მეორე დღესაც მოინახულა. ეს შეხვედრები მეტად სასარგებლო გა-

მოდგა ემინ ფაშასთვის, რომელიც უკვე დიდი ხანია არავისთან შედიოდა კონტაქტში.

საღამოობით მშობლები თავიანთ ოთახებში შედიოდნენ, ფურეია კი სალონში ჩადიოდა და ჰიქმეთ ბაიურთან, შუქრუ ქაიასთან და ქილიჩ ალისთან ერთად ბეზიქს თამაშობდა. ბატონები ფურეიაზე ბევრად უფროსები იყვნენ, მაგრამ მას ისე ექცეოდნენ, როგორც ახალგაზრდა ქალბატონს - ჯეროვან ზრდილობას იჩენდნენ და დისტანციასაც იცავდნენ. ფურეია დროდადრო მათ აღფრთოვანებით სავსე მზერას იჭერდა, ყველაზე ხშირად კი ქილიჩ ალისას.

იალოვაში თხუთმეტი დღე დარჩინენ. სტამბოლში დაბრუნებიდან ერთ თვეში სტუმარი ეწვიათ. სტუმარმა წინასწარ დარეკა და ემინ ფაშასთან შეხვედრა საგანგებოდ ითხოვა. ემინ ფაშამ უხალისოდ მიიღო განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა - ჯონქ ბაირის ბრძოლის გმირი ნური ჯონქერი. იალოვაში შეხვედრის შემდეგ ნამდვილად არ უნდოდა, რომ მისთვის რამე ვალდებულება დაეკისრებინათ. ჯანმრთელობა არ აძლევდა საშუალებას, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო თანამდებობას დასთანხმებოდა. ტრიბუნალმა ეს ძველი სამხედრო საბოლოოდ გაანადგურა.

თუმცა, ნური ჯონქერი მასთან სრულიად მოულოდნელი თხოვნით მისული აღმოჩნდა - ქილიჩ ალის დავალებით ემინ ფაშასთან ქალიშვილის, ფურეიას ხელის სათხოვნელად მოსულიყო.

ემინ ფაშამ ყურებს არ დაუჯერა - ასე იყო თუ ისე, ქილიჩ ალი ფურეიას მამად ერგებოდა. "ასეთი რამ შეუძლებელიაო," - მხოლოდ ესლა თქვა.

"იქნებ, ფურეია ხანუმის აზრი მაინც გაგევოთ," - უთხრა დამშვიდობებისას ნური ჯონქერმა:

საღამო ხანს შინ დაბრუნებულ ფურეიას დედამ ხუმრობით უამბო დილანდელი ამბავი. "ასე რამ გაგაოცათ, დედა? განა შექირ ფაშასა და ბებიაჩემს შორის ასაკში სხვაობა ოც ნელზე მეტი არ იყო?" - ალშფოთდა ფურეია.

"დრო იცვლება", - მიუგო ჰაკიე ხანუმმა. "ასაკში სხვაობა ძველად იყო მისაღები, ახლა კი ადამიანები თანატოლებზე ქორწინდებიან".



"მერედა, მეც ხომ სწორედ ასე დავქორნინდი და რა მოვიგე? ესე თუ მა იგი, ძველად უკეთესად იცოდნენ, რა არის სწორი. ხნიერმა ქმრებ-მა ცოლის ფასი კარგად იციან", - მიუგო ფურეიამ.

"ესე იგი, თანახმა ხარ?! ქილიჩ ალიზე გათხოვება გინდა?" - ჰეკითხა ჰაკიე ხანუმმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ქალიშ-ვილი ხუმრობდა.

"არ ვიცი, დედა, მაგრამ სერიოზულად დავფიქრდები," - უთხრა ფურეიამ.

საღამოს, ფურეია თავის ოთახში რომ შევიდა, ჰაკიე ხანუმმა ქმარს უთხრა: "ჩვენი ქალიშვილი ჭკუაზე არ უნდა იყოს. თურმე, უნდა დაფიქრდეს! ლირს კი ამაზე დაფიქრება? ჭკუის დამრიგებ-ლად, ალბათ, აღარ გამოვდგები, მაგრამ კაცს ოთხი უმაქნისი ვაჟი ჰყავს. ყველაზე უფროსი ფურეიას ტოლი უნდა იყოს. ალბათ, ცო-ლიც ჰყავს".

"ცოლი რომ ჰყავდეს, ჩემი ქალიშვილის თხოვნას ვერ გაბედავ-და," - თქვა ემინ ფაშამ.

"აბა, ეს ამოდენა ვაჟები ვინ გააჩინა? მარიამ ღვთისმშობელმა?"

"იქნებ, ცოლი გარდაცვლილი ჰყავს?"

"თუ არა?"

"მაშინ, ალბათ, გაშორებულია".

"ფურეიას გამო თუ გაშორდა, ცოდვა ჩემი ქალიშვილის კისერ-ზე იქნება. არ მინდა."

"არც მე მინდა, მაგრამ ჩვენ ვინ გვეკითხება? შეხედეთ დღევან-დელ ახალგაზრდებს, მაგალითად, ალიეს საქციელს..."

"ალაპმა დაგვიფაროს! უარესზე უარესს რა დალევს," - თქვა ჰა-კიე ხანუმმა. მართლაც, უარესზე უარესს რა დალევდა! მაგრამ მისი ქალიშვილი ჭკვიანი იყო, განონასწორებული. ამ ღამემაც ჩაია-როს, ხვალ გონს მოეგება და ქილიჩ ალის უარით გაისტუმრებს.

ფურეია ქორნინებაზე მთელი ღამე ფიქრობდა. ქილიჩ ალი კარ-გი გარეგნობის, ახოვანი მამაკაცი იყო. მართალია, სიმელოტე შეჰ-ჰერვოდა, მაგრამ სწორი, სასიამოვნო ნაკვთები ჰქონდა. ქალები-სადმი უზომოდ ტაქტიანი ქცევით გამოირჩეოდა. ასაკი არ ეტყო-ბოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ბრძოლის ველზე გაატა-



რა, მის ქცევაში სალონური მანერები ჭარბობდა. ათენში ჟოუტინსას ფურეიამ სიმდიდრის ფასი გაიკო - თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ფულმა ქალის ცხოვრება და აავსოს იგი ბრწყინვალებით. ყოველივე ეს საკუთარი თვალით იხილა - დეიდა ფარერუნისა ისეთი ბედნიერი და ლამაზი იყო, როგორც არასდროს. მის სულში ანთებული შუქი თითქოს სახეზე, სხეულზეც ირეელებოდა. ეჭვგარეშეა, მისი ქმარი ამქვეყნად ყველაზე გულკეთილი, შეგნებული ადამიანი იყო. ტანმორჩილი, მსუქანი, მელოტი ემირ ზეიდი ათენში გამოჩენილი ხელგაშლილობის შემდეგ ფურეიასაც კი სიმპათიურად ეჩვენებოდა. ფულს მაგიური ძალა ჰქონდა - რასაც ეხებოდა, ყველა-ფერს ცვლიდა.

ფურეიას აღარ სურდა მშობლებთან ერთ ჭერქვეშ ეცხოვრა. ჰა-კიე ხანუმის მძიმე ხასიათს ვერ ეგუებოდა; არც ხანგრძლივი ავადმყოფობით დატანჯულ მამასთან უადვილდებოდა ურთიერთობა. თანაც, არ უნდოდა მისი ხარჯებიც დასწოლოდა მწირი ბიუჯეტის მქონე ოჯახს, რომელიც ისედაც იძულებული იყო მისი ძმის, შაქირის განათლების თანხები ეხადა. თუ გათხოვდებოდა, მამას ტვირთს შეუმსუბუქებდა. ფურეია ამჯერად ნამდვილად აღარ იქნებოდა შეყვარებული და ისეთ ვინმეს აირჩევდა, ვინც ტანჯვას არ მიაყენებდა. სიყვარულმა მას ერთხელ უკვე მეტისმეტად ატკინა გული.

მაგრამ ის, რის გამოც ქილიზ ალის ნინადადება ყველაზე მეტად იზიდავდა, ათათურქთან სიახლოვე იყო. ჯერ ხომ კიდევ ცხრა ნლის იყო, როდესაც ამ მამაკაცმა ერთი ნახვით დაატყვევა და აღაფრთოვანა, და ეს გრძნობა დღითიდლე ღრმავდებოდა. ფურეიას უნდოდა, ახლოს ყოფილიყო იმ საოცარ ადამიანთან, რომლის ნათელი არემარეს შუქს ჰქონდა, რომელმაც ციებ-ცხელების, სიღატაებისა და შიმშილისგან განადგურებული, შეუმოსავი და უიარაღო ხალხისგან სამშობლოს სიყვარულით გულანთებული არმია შექმნა და ერის ბედის ჩარხი წალმა დაატრიალა, რომელმაც ფურეია, სხვა თანამემამულების მსგავსად, ამაყი, ღირსეული, თავისუფალი ადამიანი გახადა.

ფურეია არასდროს ყოფილა დაჩაგრული, დაბეჩავებული ქალი. ახლა უკვე გათავისუფლდა პირველი ქორნინებისგან, რომელმაც იგი დაქანცა და გამოფიტა... მაგრამ ამ ქვეყანაში ყველა მასავით იღბლიანი როდი იყო.



ათათურქის კანონები იცავდა უმწეო თურქ ქალებს, რომელთაც არ გვიშავდა საკუთარი თავის დაცვა არ შეძლოთ. ათათურქის ნყალობით ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვა მხოლოდ რვაპროცენტმა თუ იცოდა, უმრკლეს დროში - სამ თვეში - ყველა ასაკის ადამიანმა შეისნავლა ანბანი.

ათათურქის ნყალობით ხალხი ღმერთს უკვე მშობლიურ ენაზე მიმართავდა. მუსტაფა ქემალმა ქალების მშვენიერი სახეები - მზისკენ, ადამიანების შეგნება კი - სინათლისკენ მიმართა, თურქული ფაბრიკა-ქარხნები აამუშავა. მართალია, მამამისი, ისევე როგორც სხვა მრავალი ადამიანი, გულგატებილი იყო, მაინც, ათათურქმა შექმნა ქვეყანა. დიახ, ქვეყანა შექმნა! და ყოველივე ეს ფურეიას მონინავე, შემტევ ხასიათს ძალიან შეესაბამებოდა.

ფურეიას გაახსენდა, როგორ ჩაიარა სტამბოლის ქუჩებში ცხენზე ამხედრებულმა გამარჯვებულმა მეთაურმა - რეფერ ფაშამ. ის ნარმოუდგენელი გრძნობა, ის სიხარული თითქოს ხელახლა განიცადა. ხალხს მინაზე ხალიჩები დაეფინა და გამარჯვებულ ჯარისკაცებს ყვავილების ნეიმით ეგებებოდა. სიხარულმა თითქოს ყველა ჭუიდან შეშალა, ბედნიერებისგან ყველა ტიროდა.

და ახლა, ამ ქორნინების ნყალობით, ფურეია ყოველდღე შეძლებდა მის ნახვას, მისი ახლოს გაცნობის საშუალება ექნებოდა, მისგან სულიერ სიმშეიდეს მიიღებდა. ამასთანავე, აისრულებდა იმ ოცნებებს, რაც ბურსაში ვერ შეძლო - რესპუბლიკის განმანათლებელთა არმიას ანკარაში შეუერთდებოდა. იქნებ, ბედის ბორბალმა მისი გზა ბურსიდან ანკარისკენ განვეძ მოატრიალა, რომ მისი ენერგია სწორ კალაპოტში მოექცია.

გარიურაუზე ეზანი შემოესმა. თითქოს მხოლოდ მას ეხმიანებოდა... თითქოს იდუმალი გზავნილი იგრძნობოდა მუეძინის ხმაში და, რაც ყველაზე საოცარი იყო, - მიუხედავად იმისა, რომ თვალიც არ მოუსუჭავს, დაღლილობას სულაც არ გრძნობდა. იმედიანი, აღელვებული და მტკიცე იყო.

სანოლიდან ნამოდგა, დედამისის ოთახისკენ გასწია და კარზე დაკაკუნა.

"ღმერთო, შაქირ, შენ ხარ, შვილო?" - დაუძახა დედამ.

"მე ვარ, დედა, გეძინათ?"

"ეჰ, გავიღეიძე უკვე. რა ხდება?"

"რაღაც მინდა გითხრათ".



"ასეთ დროს? შემოდი, ფურეია."

ფურეია ოთახში შევიდა. დედა იწვა და სასთუმალთან დადგმული ლამპის ანთებას ცდილობდა.

"რა ხდება, ჩემო საყვარელო?" - დედა საწოლზე ნამოკდა. ფურეია ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადანია. იქაურობა დილის იმედიანი შუქით გაივსო.

"გადავწყვიტე, ქილიჩ ალის წინადადება მივიღო," - უთხრა დედას.

ნური ჯონქერი წინა სტუმრობისას დაბნეული და აღელვებული იყო, ცდილობდა ცოტა ელაპარაკა. ახლა ჰავა ხანუმის მორთმეულ ყავას სვამდა და ცალი თვალით სახლს ათვალიერებდა. ნივთები, სურათები, სამშენებები, ნიგნები - ყველა საგანი ამ ოჯახზე მოუთხრობდა. ეს სახლი სრულიად განსხვავდებოდა ანკარაში და სტამბოლში ნანახი სხვა მდიდრული სახლებისგან - თითქოს ფურეიას არისტოკრატული წარმომავლობის სარკე იყო. ჯონქერი ცდილობდა მორიდებული შუახნის ქილიჩ ალი, რომელსაც სიცოცხლის დიდი ნანილი ბრძოლის ველზე გაეტარებინა, ამ ძალიან ახალგაზრდა, ძალიან ლამაზ და არისტოკრატ ქალთან დაეკავშირებინა.

"შეყვარებული ვარ, ნური. ჩემს ასაკში გავმიჯნურდი", - გაანდო ქილიჩ ალიმ მეგობარს.

"როგორც გავიგე, ისიც შეყვარებული ყოფილა, ქილიჩ. ჯერ კი-დევ უყვარს ყოფილი ქმარი."

"მაგრამ ის მიატოვა, ასე არ არის?"

"ლოთი და მექალთანე კაცი ყოფილა".

"ესე იგი, თანაგრძნობა და ზრუნვა სჭირდება, რის მიცემაც მე შემიძლია".

"ლოგიკური ქორწინებისთვის ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, შენთვის კი სიყვარულით ქორწინება უკვე გვიანია".

"ცხოვრება ომებში გავატარე. სულ რამდენიმე წელია, აღარ ვიბრძვი. მგონიუკვე მოვიპოვე უფლება, რომ ცხოვრებით დავტებე და ბედნიერი ვიყო. თანაც, ეს ჩემთვის მხოლოდ სიყვარულით ქორწინება კი არა, ლოგიკური ქორწინებაც იქნება. გვერდით მეყოლება კულტურული, ენების მცოდნე, თანამედროვე ქალი, ზუსტად ისეთი, როგორსაც გაზი მოინონებს. ცოლი, რომელიც მაგალითი იქნება თურქი ქალებისათვის, თანაც ახალგაზრდა და ლამაზი."

იქნებ ქილიჩი მართალიაო, გაიფიქრა ნური ჯონქერმა. ათათურ-  
ქის ახლო გარეშოცვის ქალებს შორის ფურეია ვარსკვლაშოტი და იცი-  
მიციმებდა. რესპუბლიკის დამარსებლების ქალიშვილები უკო-  
ლებში და უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, უცხო ენებს ეუფლე-  
ბოდნენ, მაგრამ მეუღლეები, რა ნელილიც არ უნდა შეეტანათ რეს-  
პუბლიკის განვითარებაში, მაინც სულ სხვა ეპოქაში რჩებოდნენ.  
თანამედროვე კაბებშიც კი თითქოს ძალიან ხელოვნურად და ყალ-  
ბად გამოიყურებოდნენ, მორცხვები და შეშინებულები ჩანდნენ.

ემინ ფაშა ფიქრებიდან გამოიტანა და აღელვებული ხმით  
მიმართა ნური ჯონქერს:

"რას იტყვით, ნური ბეი, ქილიჩი კარგი ქმარი იქნება? თქვენ მას  
კარგად იცნობთ".

"კარგი ქმარი იქნება," - უპასუხა ნური ჯონქერმა.

"ვიცი, რომ თქვენც გყავთ ქალიშვილი, რომელზედაც ჭუას  
კარგავთ და ზედ დაჰკანვალებთ. ქიმეთ ხანუმის ხელი რომ ეთხო-  
ვა თქვენთვის, მიათხოვებდით?"

ნური ჯონქერი შეცდა. როგორ მიათხოვებდა ქალიშვილს ოთხშ-  
ვილიან, ორმოცს გადაცილებულ კაცს?

"ემინ ფაშა, ქილიჩი ალი ზრდილობიანი, კეთილშობილი კაცია.  
არასდროს მინახავს იგი უგონოდ მთვრალი და სულელურად მო-  
ლაყბე. შეილებს კარგ მამობას უნევს, ჯანმრთელია, თავისუფალ  
დროს შინ ატარებს, ცხოვრებით კაცყოფილია. მატერიალური  
თვალსაზრისით ფურეია ხანუმს პრობლემები არ ექნება. დარწმუ-  
ნებული ვარ, ხელისგულზე ატარებს. ჩემს ქალიშვილს თუ მი-  
ვათხოვებდი? გათხოვებას არ დავაძალებდი, მაგრამ, თუკი თავისი  
ნებით გაჟყვებოდა, არც ნინაალმდევი ნავიდოდი," - მიუგო ნური  
ჯონქერმა, რომელიც ემინ ფაშას თვალს ვერ უსწორებდა.

ემინ ფაშა სკამს მიეყრდნო. "ჩემო კარგო, ჩემთვის აზრი რომ  
ეკითხათ, არას ვეტყოდი. მაგრამ ჩემი შვილი თანახმაა, თავისი ნე-  
ბით მიჰყვება. თან გამოუცდელიც არ არის, ერთი უილბლო ქორნი-  
ნება უკვე გამოიარა. არ დაქორნინდე-მეთქი, ვერ ვაიძულებ, შემ-  
დეგ ბედმა რომ არ გაუღიმოს, მე დამბრალდება. მე რა მეთქმის?"

"ალაპმა სიკეთე მისცეს, ღმერთმა ქნას, მისი იღბალი სწორედ  
ქილიჩი ალი იყოს", - თქვა ნური ჯონქერმა.

## აცხარაში (1935-1938)

ფურეია და ქილიჩ ალი იენიშეპირში, ბაინდირის ქუჩაზე, ბაღით გარშემორტყმულ ვილაში დასახლდნენ. ქილიჩ ალის შეილები - ფა-პირი, გუნდუზი და ქესქინი, რომლებიც ამ ქორნინებას სასტიკად ენინაალმდეგებოდნენ, მათთან არ ცხოვრობდნენ.

უმცროსი ვაჟი, თორმეტი წლის ალთემური, ხან მამასთან რჩე-ბოდა, ხან - დედასთან. მას ფურეიასთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

ალთემური დემირიოლუს სახლში დაიბადა. სახლის ზედა სარ-თულზე ისმეთ ფაშა ცხოვრობდა. ალთემური მის შეილებთან მე-გობრობდა.

თავდაპირველად ფურეია შიშობდა, რომ გერები მათ მყუდროე-ბას დაურღვევდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 1917 წელს დაბადებულ ფაპირს უკვე კარგა ხანია ცხოვრება აწყობილი ჰქონ-და. ქილიჩ ალი ახერხებდა, ახალგაზრდა მეუღლე გუნდუზისა და ქესქინის პრეტინზიებისგან დაეცვა. ფურეიამ მხოლოდ ის იცოდა, რომ გერებს იგი არ უყვარდათ და არც მასთან ყოფნა სურდათ. რაც შეეხება ალთემურს, უფროსი ძმების ზეგავლენით ისიც ცდილობ-და, ცუდად მოეცემდა უცხო ქალს, რომელმაც მათი დედის ადგი-ლი დაიკავა, მაგრამ ამას ვერაფრით ახერხებდა, რადგან დედინაც-ვალი მისთვის მეტად მომხიბვლელი და საინტერესო ქალი იყო. ფურეია ბავშვის თვალსაწიერის გაფართოებას ცდილობდა, მისთ-ვის აქამდე უცნობ მუსიკას ასმენინებდა, ნიგნებს ურჩივდა. თანაც მეტად მზიარული და ხალისიანი ჩანდა. ალთემური ბოროტ დედი-ნაცვალს ელოდა, სინამდვილეში კი მეგობარი შეიძინა, რომელიც სულაც არ ცდილობდა, დედად მოეჩვენებინა თავი. ამავე დროს, იგი ვერც ფურეიას შეყვარებას ბედავდა. რაც უნდა იყოს, ფურეია

ნამდვილი დედა არ იყო. იმ დღეებში, როცა ფურეიისთან განსაკუთრებულ სიახლოეს გრძნობდა, ალთემურს ძილის წინ მშობელი დედა ახსენდებოდა და სინდისი ქენჯნიდა.

ქილიჩ ალი ფურეიიზე ზრუნავდა, ანებივრებდა, ყველა სურვილს უსრულებდა. ახლა ფურეიას სახარჯო ფული შეუზღუდავად ჰქონდა, მსახურები ჰყავდა... სასახლის სომებ ოსტატს ახალი სავარძლები შეუკვეთა, მთელი ავეჯი შეაცვლევინა. ჩუბუქლუში, ერთ ოსმალურ სასახლეში გამართულ აუქციონზე დედას ტახტები და ანტიკვარული ნივთები შეაძენინა და ანკარაში მატარებლით გამოაგზავნინა. სტამბოლიდან მხოლოდ ავეჯი კი არა, რუსი მეტრდოტელი ლუკა და მზარეულიც ჩამოიყვანა.

ანკარაში ჩასულ ფურეიას იმედგაცრუება ელოდა. ფრანგ განმანათლებლებზე ნაკითხული წიგნების ზეგავლენით ეგონა, რომ ანკარაშიც ისეთივე ინტელექტუალთა გარემოცვაში მოხვდებოდა, რომლებმაც საფრანგეთის რევოლუცია მოახდინეს. რა თქმა უნდა, პარიზის მსგავსად, ანკარაშიც იყვნენ ათათურქის გვერდით რევოლუციის გმირები - გენიოსები, ფილოსოფოსები, მოაზროვნები, მაგრამ, რა სამწუხაროა, რომ მუსტაფა ქემალის უახლოესი გარემოცვა ფუტურო ადამიანებითაც იყო სავსე. არც ერთ მათგანში არ იგრძნობოდა კულტურა, მისწრაფება, ხელოვნებისადმი სიყვარული. ამ ადამიანებს გაგონილიც არ ჰქონდათ ის წიგნები, ფურეიას თხუთმეტი წლისას რომ ნაეკითხა. მათ არ აინტერესებდათ კლასიკური მუსიკა, რომელსაც მთელი დღეები რადიოთი გადმოსცემდნენ, მხოლოდ გვიან ღამით უსმენდნენ კაბარეს სიმღერებსა და საცეკვაო მელოდიებს. ფურეიას თვალში ათათურქი ერთიათად გაიზარდა. დიახ, უეჭველია, მან ომი ამ თანამებრძოლებთან ერთად მოიგო, მაგრამ რესპუბლიკის გამოცხადების შემდგომ გაჩაღებულ ბრძოლაში იგი მარტო იყო. მხოლოდ მისი მანათობელი შუქი ეფუნებოდა არემარეს, ეს სინათლე ხალხს ანათებდა და ათბობდა. ამავე დროს, მისი უახლოესი გარემოცვა კვლავაც წყვდიადში რჩებოდა, თითქოს ეს სინათლე მათ არ სწვდებოდა. ერთადერთი, რისი უნარიც შესწევდათ, გენიოსთან სიახლოეს და მისი გეგმების მხარდაჭერა იყო.

გარდა ამისა, ფურეიას შეშფოთებას სახლში თავმოყრილი იარაღიც იწვევდა. თუმცა ქილიჩ ალი ჩხუბისთავი არ იყო, ოთხ-

ხუთ დამბაჩას მუდამ თან ატარებდა. ერთი დამბაჩა სახლის შესასა-  
ვლელში იდო, ერთი - საძინებელში, სასოფურალთან, ზოგიც უკანა-  
ჯიბელში, წინა ჯიბელში... ყველგან იარაღს წააწყდებოდი. პირველი და  
ახალ სახლში გადმოსვლისთანავე ფურცეიამ დეიდა აიშე ანკარა-  
ში მიიჩვია.

დეიდას პოკერი უყვარდა, ამიტომ ოთხეულის შესადგენად კარ-  
გი მოთამაშები - ნური ჯონქერი და სალიპ ბოზოქიც დაპატიჟა.  
აიშე ხანუმი ქილიჩ ალისა და სტუმრების პირისპირ მაგიდას მიუჯ-  
და და ბანქოს დასტა აურია. უეცრად მაგიდის სამივე მხრიდან ბრა-  
ხუნი ატყდა, "ბახ", გაისმა ნური ჯონქერის მხარეს, "ბახ, ბახ" - სა-  
ლიპ ბოზოქის მხრიდან, "ბახ, ბახ, ბახ" - ეს ქილიჩ ალის სამი დამბა-  
ჩა იყო, მამაკაცები ჯიბიდან ამოლებულ იარაღს მაგიდაზე აწყობდ-  
ნენ. აიშე ხანუმს ისედაც დიდი, ცისფერი თვალები უფრო მეტად  
გაუფართოვდა და გაოცებულმა იკითხა: "რა ხდება, ძვირფასო,  
ისევ ამბოხება?"

ქილიჩ ალის არ სურდა გაენანყენებინა ახალგაზრდა მეუღლე,  
რომელსაც ბავშვობიდან ეშინოდა იარაღის, ამიტომ დამბაჩების  
რაოდენობა შეამცირა - ერთიღა დაიტოვა. ეს ათათურქის მახვილ  
მზერას არ გამოჰპარვია. "აბა, ქილიჩ, შენი დამბაჩები მიჩვენე,"  
უთხრა ერთხელ და, როდესაც ქილიჩ ალის თან მხოლოდ ერთი  
დამბაჩა აღმოაჩნდა, ვხედავ, ქალბატონს შენთვის ჭკუა უსწავლე-  
ბიაო, - ეხუმრა მეგობარს.

ანკარაში ფურცეიას პაკიე ხანუმი და პატარა შირინიც სტუმრობ-  
დნენ. ბავშვის დედა ბერლინში იმყოფებოდა. დისნულს მარტოობა  
რომ არ ეგრძნო, დეიდამ თან წამოიყვანა. ეს შირინის პირველი  
მოგზაურობა იყო.

შირინი მღელვარებისაგან ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ტავ-  
რის ექსპრესით ჩამოსულმა სადგურზე მისკენ მომავალი, ძვირფას  
ქუდსა და კოსტიუმში გამოწყობილი ფურცეია რომ დაინახა, გაოცე-  
ბისაგან ყვირილი მორთო. ანკარაში ათი დღე დარჩინენ. დოლზე და-  
დიოდნენ, პარკში სეირნობდნენ, ანკარა პალასში სადილობდნენ,  
შირინი ვილის ბაღში მეზობელ ბაეშვებთან თამაშობდა. სტამბოლ-  
ში დაბრუნებისას, როცა ეკითხებოდნენ, ანკარაში ყველაზე მეტად

რა მოგენონაო, ფურეიაო, ამბობდა, "ჩვენს დასახვედრად რომ მო-  
დიოდა, იმდენად ლამაზი იყო, კინოვარს ჟევლავი მეგონა. ლმერთო,  
როცა გავიზრდები, ნეტავ მეც ასეთი ვიყო."

\*

ქილიჩ ალიზე გათხოვების შემდეგ ფურეია ათათურქს პირვე-  
ლად დოლმაბაშჩეს სასახლეში გამართულ წვეულებაზე შეხვდა.

სტამბოლში ჩასვლისას ცოლ-ქმარი შექირ ფაშას აპარტამენტში  
ჩერდებოდა. შუადღე იყო, როცა შვეიცარმა ფურეიას წერილი გა-  
დასცა. საღამოს დოლმაბაშჩეს სასახლეში ვახშამზე ინვევდნენ.  
ფურეიამ იცოდა, რომ იმ დილით ათათურქმა არქეოლოგიური მუ-  
ზეუმი მოინახულა. იფიქრა, ალბათ მუზეუმში ჯევათ ფაშას ბიბლი-  
ოთევა ნახა და ამიტომ მეპატიურებაო. ანკარიდან ნამოლებული სა-  
ღამოს კაბა შეარჩია და გასასწორებლად საწოლზე გადაფინა, თვი-  
თონ კი დალაქთან გაიქცა.

"შვილო, გაზისთან წვეულებაზე სასმელსა და სიგარეტს არ გა-  
ეკარო, ასეთებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალებად მიიჩნევს," - დაა-  
რიგა დედამ. ათათურქმა ერთხელ უკვე ნახა, როგორ ეწეოდა ფუ-  
რეია სიგარეტს და ქილიჩ ალის ცოლის საქციელი არ მოუწონა. ფუ-  
რეიამ ეს იცოდა, ამიტომ მონევას ან დალევას არ აპირებდა.

დოლმაბაშჩეს სასახლეში სუფრა ოცდაათ-ორმოც კაცზე გაე-  
შალათ. ათათურქი შუაძი დაჯდა. მარჯვნივ აფეთ ინანი დაისვა,  
მარცხნივ კი ფურეია მოინვია. ფურეიას ფეხები უკანკალებდა.  
სუფრას რომ მიუჯდა, გალიფ ბეი, ისმეთ ფაშა და შუქრუ ქაია დაი-  
ნახა.

აფეთ ინანი შვეიცარიის უნივერსიტეტში დისერტაციას იცავდა.  
ერთხანს დისერტაციაზე მსჯელობდნენ. შემდეგ ათათურქი ფურე-  
იას მიუბრუნდა:

"თქვენ ჩვენზე უკეთ ფლობთ ფრანგულს, ახლა აფეთ ხანუმი  
დისერტაციას ნაგვიკითხავს, თუ შეცდომას აღმოაჩინთ, გთხოვთ,  
გაუსწოროთ."

აფეთ ინანი წამოდგა, ხელში ჩანაწერები ეჭირა, კითხვა და-  
იწყო. ათათურქი მას ანკვეტინებდა და ფურეიას აზრის გამოთქ-  
მას სთხოვდა. სუფრასთან მსხდომთაგან ფრანგული სხვებსაც  
ესმოდათ. ათათურქი მათ კითხვებს უსვამდა. აფეთ ხანუმმა

კითხვა დაასრულა. ახლა განათლებაზე საუბრობდნენ, ფურეიას პირისპირ ჯევათ აბასის ახალშერთული ცოლი იჯდა, ეს ქალბატონი სკოლაში მასნავლებლად მუშაობას აპირებდა. ეშხიანი ქალი იყო. ათათურქმა მას აზრის გამოთქმა სთხოვა. ქალი განითლდა, ენა დაება...

"ამ საკითხზე სასაუბროდ მზად არ ვარ, ბატონო," - ნარმოთქვა დაბნეულმა. ათათურქს გალიზიანება შეეტყო. ფურეიას ხელები გაუოფლიანდა. ფიქრობდა, ნეტავ ჩემი ჯერი როდის დადგებაო. ცოტა ხნის შემდეგ ათათურქი მას მიუბრუნდა და სთხოვა, აფეთ ინანის დისერტაცია იმ მეინახეთათვის განემარტა, ვისაც ფრანგული არ ესმოდა.

"მე არაფერი ჩამინიშნავს, ბატონო, არ მინდა, რამე შემეშალოს," - მიუგო ფურეიამ, შემდეგ ქმარს გადახედა. გაფითრებული ქილიჩ ალი ჯევათ აბასის ცოლის გვერდით იჯდა..


"მაგრამ, რაც დამამახსოვრდა, შემიძლია გადმოგცეთ," - დასძინა ფურეიამ, ნამოდგა და დისერტაციის შესახებ დაიწყო საუბარი. თავიდან ციებაშეყრილივით ცახცახებდა, შემდეგ დამშვიდდა და მტკიცე ხმით განავრძო ახსნა. დროდადრო აფეთ ინანს გადახედავდა, - თუ ვცდები, შემისწორეთო, -ეუბნებოდა.

თხრობა დაასრულა და დაჯდომისას გაიგონა, როგორ უთხრა ათათურქმა გალიც ბეის: "ხომ გეუბნებოდი, კარგად იცის, ყველაზე უკეთ ფურეია გაიგებს-მეთქი."

თავი რომ ანია, ქილიჩ ალის მზერას ნააწყდა. ქმრის თვალებში გაოცება და ალტაცება ამოიკითხა.

ათათურქის წვეულებები სკოლას ჰეგვდა. იგი არჩევდა თემებს, რომელთა განხილვასაც საჭიროდ მიიჩინევდა, შემდეგ კი სუფრას-თან ინკვევდა მათ, ვისაც ამ საკითხებზე მსჯელობა შეეძლოთ და კამათს ინცებდა. სუფრასთან ისეთებიც ხვდებოდნენ, ვინც განსახილველ თემებთან დაკავშირებით ვერაფერს ამბობდა, მაგრამ მას ყველას აზრი აინტერესებდა. ეს წვეულებები ძალიან ჰეგვდა იმ შეკრებებს, რომლებსაც თანამედროვე მსოფლიოში "აზროვნების შტორმად" მოიხსენიებდა, თუმცა მაშინ მას ასე არ ერქვა.

ანკარაში დაბრუნებიდან მოკელე ხანში ფურეიასა და ქილიჩ ალის სახლის ნინ ავტომობილი გაჩერდა. იმ დროს ანკარაში კერძო



მანქანა ჯერ კიდევ იშვიათობა იყო. ფურეიამ ძრავის ხმა რომ გაიზარდებოდა გონია, ფანჯარასთან მიირბინა და გარეთ გაიხედა. ეს პოთურქის მანქანა იყო.

"ალაპ, ალაპ! რით გაუმასპინძლდე ასე მოუმზადებლად, ქილი-ჩიც შინ არ არის," - აღელდა ფურეია.

მანქანიდან აფეთ ინანი და გაზი გადმოვიდნენ. ფურეიამ თმაში სარტყი დაიმაგრა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა ქვევით.

"გვსურდა, თქვენი ანკარაში დაბრუნება აღვენიშნა," თქვა გაზიმ და პალტო გაიხადა. ფურეიამ პალტო გამოართვა და ლუკას გადასცა, მსახურს აღელვებისაგან ფერი დაეკარგა.

"ქილიჩ ალი შინ არ გახლავთ, მეჯლისშია, ახლავე ვაცნობებ," - თქვა ფურეიამ. რატომდაც სურდა, ლუკა იქაურობისთვის მოეშორებინა. ის კი ადგილზე გაქვავებულიყო. სალონში სავარძლებზე დასხდნენ. "შვილო, ლაბადის ჯიბეში დამბაჩა დამრჩა, ამოიღე და მომიტანე," - უთხრა ათათურქმა ლუკას. ლუკამ დამბაჩა მოურბენინა და კვლავ გაოგნებული მიაშტერდა. ათათურქმა ტკბილი ყავა მოითხოვა. "ფაშა, ყავას მე მოგიდუღებთ," - შესთავაზა ფურეიამ და სამზარეულოსკენ მიმავალ ლუკას დაედევნა. სინამდვილეში კი უნდოდა, ლუკასთვის ეთქვა, აქედან აორთქლდიო. რატომდაც სურდა, ათათურქისთვის დაემალა, რუსი მსახური რომ ჰყავდა. ალბათ, შიშობდა, ათათურქს იგი სწობად არ მიეჩნია ან, შესაძლოა, უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ უცხოელი მსახური უნდა ნარედგინა ლიდერისათვის, რომელიც ცდილობდა საუკუნეების მანძილზე ჩაგრული თურქი ერისთვის საკუთარი ძალების რწმენა კვლავ ჩაენერგა.

"არა, თქვენ დაბრძანდით, ვისაუბროთ," - უთხრა ათათურქმა. ფურეია მობრუნდა და დაჯდა. ქილიჩ ალი შინ რომ დაბრუნდა, ცოტა დამშვიდდა. მაგრამ ის დღე მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვდა. თითქოს მის სახლს ღმერთი ეწვია და მისმა ნათელმა დააბრმავა.

ანკარაში ცხოვრება ჩქეფდა - ყოველი კვირის ბოლოს დოლზე დადიოდნენ. დიპლომატთა და მაღალი თანამდებობის პირთა ცოლები იპოდრომზე მდიდრულ სამოსში გამოწყობილი მიდიოდნენ. კვირა დღეს გამართული წვეულებები უმეტესნილად მამულში

გრძელდებოდა. ყველა ერთმანეთს იცნობდა. ანკარა ერთ დღიდ ოჯახს ჰქავდა. იენიშეპირიდან ჩანქაიასკენ მიმავალ გამზირშე ცაცხვები დაერგოთ. ანკარელები ამ გამზირზე სასეირნოდ გამო-დიოდნენ. იენიშეპირში საყასბოს, საბაყლოსა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის გარდა ერთადერთი მანუფაქტურა და ოზენის სა-კონდიტრო იყო. ქალბატონები საყიდლებისთვის ულუსში დადი-ოდნენ, სადაც ფართლეული, ფეხსაცმელი და სხვა საოჯახო საქო-ნელი იყიდებოდა. ანკარას შეეძლო, ახალი საუკუნის ქალაქი გამხ-დარიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შანსი ხელიდან გაუშვა.

ათათურქმა დამწერლობისა და ჩატმულობის შეცვლა და სა-სულთნოს გაუქმება კი შეძლო, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა პრო-ფესორ იანსენისეული ქალაქის გეგმის განხორციელებას, რომელ-მაც ეს უფლება საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვა.

"თქვენ შეგნევთ ძალა, რომ ეს გეგმა განახორციელოთ?" - ჰეკითხა ერთხელ პროფესორმა იანსენმა ათათურქს.

"ნეტავ როგორ ბედავს, მკითხოს, მაქვს თუ არა ძალა ერთი ქა-ლაქის ასაშენებლად მე, რომელმაც სამშობლო შვიდი ქვეყნის ხე-ლიდან დავიხსენი, შეა საუკუნეების სასულთნო დავამხე და მის ნაცვლად ახალი ეპოქის სახელმწიფო დავაარსე," - გაიფიქრა ათა-თურქმა.

"ცხადია, შემიძლია," - მიუგო პროფესორს.

"თუ ასეა, ახლა ქალაქითმშენებლობის საუკეთესო ნიშუშებს გიჩვენებთ. მსოფლიოში სამაგალითო ქალაქი გექნებათ. ათათურ-ქის ბულვარს საავტომობილო გზა ორად გაყოფს, გადამკვეთო გზე-ბი ერთმანეთისაგან ნახევარი კილომეტრით იქნება დაშორებული, შენობებს პროსპექტზე გამოსასვლელი კარი არ ექნებათ, მანქანები ასი კილომეტრი სიჩქარით იმოძრავებენ. თითოეული გადამკვეთი გზა პროსპექტს თითო ბლოკთან დააკავშირებს. როგორც სამანქა-ნო გზა, ასევე საცხოვრებელი სახლების უკან მდებარე ტროტუა-რები მწვანეში იქნება ჩაფლული. საგზაო პოლიცია აღარ დაგჭირ-დებათ."

ათათურქი სიხარულს ვერ ფარავდა.

ანკარის სანიმუშო ქალაქად ქცევის იდეა მშენებლობის სამი-

ნისტროს გონებაშეზღუდული ჩინოვნიების, ჯიუტი და უვიცი მე-  
რების, უძრავი ქონების ინვესტორების თავნებობას ენირეპტარება  
მაშინდელმა მშენებლობის მინისტრმა უმაღლესი საინჟინრო სკო-ტექნიკა-  
ლის კურსდამთავრებულებს ვაგზლის შენობა იაფად და სწრაფად  
ააშენებინა. ქალაქის მერმა - ნევზათ ბეიმ კი დაიჩინა მაღალათიას  
მთაზე გზა გამიყვანია და ახლა ეს იანსენი მასნავლის ქალაქში  
გზის მშენებლობასო? ყველაფრის მიუხედავად, ანკარა სუფთა,  
მნვანეში ჩაფლული და მეტნაკლებად დაგევმარებული ქალაქი  
იყო. გაზაფხულზე იასამნისა და უასმინის სურნელი იფრქვეოდა,  
შემოდგომაზე კი ცაცხვი ყვაოდა.

ანკარის ნალები საზოგადოება საღამოობით ანკარა პალასში იყ-  
რიდა თავს. ჯერ მაგიდას მიუსხდებოდნენ. შემდეგ, როცა ათა-  
თურქი თანმხლებ პირებთან ერთად პალასს ეწვეოდა, მაგიდას  
აფართოებდნენ და სუფრას ზოგჯერ ორმოცამდე კაცი უჯდა. რო-  
გორც წესი, სუფრასთან იმ დღის პოლიტიკურ საკითხებს იხილავ-  
დნენ. ასეთი წვეულებების მთავარი თემა ყველაზე ხშირად ენის სა-  
ზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებიც იყო. ათათურქი დიდად იყო  
დაინტერესებული თურქული ენითა და თურქეთის ისტორიით. ამი-  
ტომაც სტუმრები ამ თემებზე სასაუბროდ წინასწარ ემზადებოდ-  
ნენ. ამგვარი შეკრებები ღამის ორ საათამდე მაინც გრძელდებოდა.  
ბოლოს ათათურქი ფურრეიას მიმართავდა: "ალბათ, დაიღალეთ,  
ქალბატონო." ფურრეია მაშინვე ხვდებოდა, რომ საღამო უნდა დას-  
რულებულიყო.

"დიახ, ფაშა," - უპასუხებდა და ფეხზე დგებოდა. ადიუტანტი  
მას მანქანამდე მიაცილებდა. ფურრეია შინ ირუნდებოდა. ქალბატო-  
ნების ნასვლის შემდევ მარმარას სასახლეში ან ბარში გადაინაცვ-  
ლებდნენ და დროსტარება დილამდე გრძელდებოდა. ათათურქის  
უახლოესი გარემოცვიდან ასეთ თავყრილობებს სალიპ ბოზოქი,  
ჯევათ აბასი, პიქმეთ ბაიური, შუქრუ ქაია, ნური ჯონქერი, პასან  
რიზა სოიაქი, ქალებიდან კი ფალიპ რიფეის მეუღლე ესწრებოდა.  
ქილიჩ ალი შინ გათენებისას ბრუნდებოდა, მაგრამ, პირველი ქორ-  
ნინებისაგან განსხვავებით, ფურრეიას ეს აღარ აღელვებდა.

ზოგჯერ ნაშუადლევს, ოთხ-ხუთ საათზე, მთავარი ადიუტან-  
ტი ურეკავდა და ატყობინებდა, რომ ათათურქი მათ სტუმრობას  
აპირებდა. მართალია, ფურრეია მსგავს ვიზიტებს მიჩვეული იყო,

მაგრამ მღელვარებისგან ხელ-ფეხი მაინც უშეშდებოდა. ლუკა  
და მზარეულიც ხომ ასეთი შემთხვევისთვის საგანგებოდ ჩამოიყ-  
ვანეს სტამბოლიდან.

ათათურქის ვიზიტი სტუმრების გარდა თითქმის ოცი კაცის გა-  
მასპინძლებასაც ნიშნავდა -ერთ სუფრას ადიუტანტებისთვის  
შლიდნენ. მძღოლები და დაცვის პოლიციელები ცალკე სუფრასთან  
ისხდნენ. ფურეია ნაირ-ნაირ ცივ საუზმეს ამზადებდა, რადგანაც  
რეის ნახევარზე მოსული ათათურქი ათ საათამდე საჭმელს პირს  
არ აკარებდა, მხოლოდ სასმელს ნიუპავდა. ფურეიას შეეძლო,  
კერძები ანკარა პალასში ან კარპიჩის სასადილოში შეეკვეთა, მაგ-  
რამ საკუთარ მენიუს ამჯობინებდა, თანაც იმ დროს ანკარაში დი-  
დი არჩევანი არც იყო. მრავალფეროვანი კერძების, საგანგებოდ  
მორთული სუფრებისა და თეთრხელთათმანიანი გარსონების წყა-  
ლობით ფურეიას წვეულებებმა მთელ ანკარაში გაითქვა სახელი.  
ანკარელი ქალბატონები ფურეიას ბაძავდნენ.

ფურეია ქმარს ძალას ატანდა, რომ ალთემური, რომელმაც  
დაწყებითი სკოლა დაამთავრა, რობერტ კოლეჯში გაეგზავნა. ფუ-  
რეიას სნამდა - რობერტ კოლეჯში განათლების მიღება ბავშვს  
ძალზე ნაადგებოდა. ჯევათ შაქირმაც ეს სკოლა დაამთავრა. ალ-  
თემურს ბავშვური უმეცრების გამო ანკარაში მამასთან სურდა  
დარჩენა. იგი ამაყობდა გავლენიანი მამით, რომელსაც მძღოლი ემ-  
სახურებოდა და მცველები ეხვია გარს. დაწყებით სკოლაშიც კი  
ამის გამო უპირატესობას გრძნობდა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გა-  
მოც ფურეიას ალთემურის პანიკონში გაგზავნა უნდოდა, ესეც  
იყო. მას სურდა, ბავშვს განათლება თანატოლებთან მიეღო და  
შორს ყოფილიყო მლიქვნელთა გარემოსაგან, სადაც ადამიანები  
ქილიჩ ალის შვილს მეტისმეტად ანებივრებდნენ. მაგრამ პატარა  
ბიჭი მეტად ჭირვეულობდა, დედინაცვლის ამ ძალისხმევის მთავარ  
მიზეზს ვერ ხვდებოდა და ეგონა, ფურეიას მისი თავიდან მოშორე-  
ბა სურდა. ქილიჩ ალისთვის ცოლის სიტყვა კანონი იყო. ალთემურს  
საჭირო სამოსი და ნივთები შეუძინა და რობერტ კოლეჯში გაამგ-  
ზავრა. ბულენთ ეჯევითი, აპმედ ისვანი, თუნჩი იალმანი და ნეზიპ  
ნეიზიც აქ იყვნენ. უცნაური დამთხვევის წყალობით, უზენაესი სა-  
სამართლოს მიერ სიკვდილით დასჯილი ფინანსთა მინისტრის -

ჭავით ბეის ვაჟი შაირი და უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი თავმჯდომარის - ქილიჩ ალის შეილი ერთ პანსიონში ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან მტრობის ნაცვლად მეგობრობდნენ. ცხადია, ესეც სკოლის დამსახურება იყო, სადაც აღსაზრდელებს უკიდევა-ნო ცოდნის გარდა მოვლენების ფართო ხედვას ასწავლიდნენ. ერ-თი ნლის შემდეგ ალთემურმა დედინაცვლის მიმართ დამოკიდებუ-ლება შეცვალა და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ემადლიე-რებოდა ფურეიას.

ფურეიას კი კველავ არ შეეძლო იმ მიზნების განხორციელება, რომლისკენაც სულითა და გულით მიისნრაფოდა. არათუ ბავშვე-ბისა და ახალგაზრდების აღზრდა, ხელოვნებაც მოუწვდომელი იყო მისთვის. მაგრამ ამჯერად მიზეზი არა მეუღლის მეურვეობა, არა-მედ დროის უქონლობა იყო. ყოველდღე ჩანქაიადან შეტყობინების მოლოდინი მისთვის ცხოვრების ნესად იქცა. ქილიჩ ალი მუდამ ათათურქთან იყო. ფურეია დღე-ღამის ნებისმიერ დროს ნვეულე-ბაზე ნასასვლელად მზად უნდა ყოფილიყო. არავინ იცოდა, სასახ-ლიდან მოსული ბრძანების თანახმად, როდის და სად იქნებოდა ნა-სასვლელი. ხან სადილად იწვევდნენ, ხან - ვახშმად.

\*

ფურეიასა და ქილიჩ ალის ცხოვრება მხოლოდ ანკარით არ შე-მოიფარგლებოდა. ხშირად უწევდათ სტამბოლში, ბურსასა და ეს-ქიშეპირში გამგზავრება. ათათურქს ყველგან ახლდნენ.

ფურეიას არც ეს ხშირი მოგზაურობა ანუხებდა. სინათლისაკენ მოყარფატე ფარვანასავით, ათათურქის გვერდით ხლება სიამოვ-ნებდა. მაგრამ ყველაზე მეტად სტამბოლში ყოფნა ახალისებდა. სტამბოლში პირველი ზაფხული ფლორიაში, ათათურქისთვის აშე-ნებული სირიქის სასახლის მახლობლად, იავერ კოშკის ზედა სართულზე, აპარტამენტში გაატარეს. იმ ზაფხულის მინურულს ქილიჩ ალიმ იავერ კოშკის მოპირდაპირე მხარეს ხის სახლი შეიძი-ნა. ყოველ დღეს ათათურქთან ერთად ატარებდნენ. ერთხელ, სი-რიქლის სასახლის რემონტის გაჭიანურების გამო, ათათურქი რამ-დენიმე დღით მათთან დარჩა. როცა სტუმრებს, განსაკუთრებით კი უცხოელებს ელოდა, მუსტაფა ქემალი სუფრის გაშლასა და მენოუს განსაზღვრას ფურეიას ანდობდა.

იმისათვის, რომ სტამბოლში ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გაეხადა, ქილიჩ ალიმ იახტა იყიდა.

"მოდი, ჩვენს იახტას სახელი დავარქვათ," - თქვა ფურეიაშ.

"შეიძლება, სახელი მე შემოგთავაზოთ?" - იქითხა ალთემურმა. "აბა, გვითხარი." "

"ესენი."

"არაჩვეულებრივი სახელია, ალთემურ! იახტას "ესენი" ერქვას. მაგრამ გამოტყდი, ეს შენი შეყვარებულის სახელი ხომ არ არის?"


"რას ბრძანებთ, ფურეია, ეს როგორ იფიქრეთ?" ალთემური განითლდა, თუმცა დედინა ცვალთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ფურეია არ ცდილობდა, დედის როლი ეთამაშა, იგი უფროსი დასავით ექცეოდა. ჯევათ აბასის ვაჟიშვილთან და ბიძაშვილთან ერთად ათათურქისგან ალიყური რომ მიიღო, ბიჭს მაშინაც ფურეია ამშვიდებდა.

ზაფხულის ერთ დღეს ათათურქი სასახლის ტერასაზე იდგა და არემარეს დურბინდით ათვალიერებდა, უეცრად ზღვაში ბავშვებს მოკრა თვალი, ბიჭები გოგონებს ეთამაშებოდნენ. როცა შენიშნა, რომ მათი თამაში ხუმრობის ფარგლებს გასცდა, სალიჳ ბოზოქი გაგზავნა. ბოზოქმა ბიჭებს ყურში ხელი სტაცა და ისე მოათრია ათათურქთან. "მე თავხედობას ვერ ავიტან, მეორედ არ გნახოთ, ასე უმსგავსოდ მოიქცეთ," - უთხრა ათათურქმა და ბავშვებს სილა გააწნა.

მუსტაფა ქემალი, რომელმაც ქალებსა და მამაკაცებს ერთად ცხოვრება ასწავლა, რომელიც ცდილობდა ჩადრისაგან გათავისუფლებული ქალისთვის საზოგადოებაში ადგილი დაემკვიდრებინა, უხამსობასა და თავაშვებულობას ვერ იტანდა. მეჯლისებზეც კი მეტისმეტად დეკოლტირებული კაბებისა და მკვეთრი მაკიაჟის გამო უკმაყოფილებას არ ფარავდა.

დროთა განმავლობაში ფურეიას ათათურქის მიმართ შიში გაუქრა, მაგრამ აღტაცება არ განელებია. მისი სხარტი გონება, პრაქტიკულობა, კველა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის სურვილი და ფილოსოფიური მიდგომა, ზომიერება და ირონია ფურეიას აღფრთოვანებას სულ უფრო აძლიერებდა. ბოლო ხანებში ავადმყოფობის გამო გაზი ხშირად კარგავდა წონასწორობას, მაგრამ, მიუ-

ხედავად ამისა, იგი კვლავინდებურად მგრძნობიარე ადამიანი იყო, რომელსაც არ სურდა ვინმესთვის ტკივილი მიეყენებინა.



ერთ საღამოს ფლორიას სასახლეში ენის რეფორმასთან დაკავშირებით კამათი უნდა გამართულიყო. ვახშმად ამ სფეროში აეტორიტეტული პირები მოინვიეს. ათათურქმა იცოდა, რომ იაპია ქემალი ენის რეფორმის წინააღმდეგი იყო და ისიც მოინვია. პოეტს შვიდი საათის შემდეგ ყველა შესაძლო ადგილზე ეძებდნენ, მაგრამ ვერსად მიაგნეს. შესრულდა რვა, ცხრა, ათი საათი... იაპია ქემალი კვლავ არსად ჩანდა. ათათურქმა და პიქმეთ ბაიურმა ენის კანონის განხილვა დაინყეს. მუსტაფა ქემალი მოსაუბრის დარწმუნებას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხდა. თერთმეტი, თორმეტი საათი გახდა, - არც იაპია ქემალი გამოჩენილა, არც პიქმეთ ბაიური იხვედა უკან. "ფაშა," ვერ მოითმინა ფურეიამ, "რატომ ცდილობთ პიქმეთ ბეის დარწმუნებას? ჩვენ ყველანი თქვენს აზრს ვიზიარებთ, განა რა დაშავდება, თუ ერთი ადამიანი იქნება წინააღმდეგი?"

"ეს ძალზე მნიშვნელოვანია," მიუგო ათათურქმა, "თუ მას დავითანხმებ, მაშინ ჩემი აზრი ყველასათვის მისაღები იქნება."

ენის კანონები, რომელთა შემოღებასაც მუსტაფა ქემალი ასე დაუწენებით ცდილობდა, მეტად რაციონალური ჩანდა. ჩვენი ენა სავსე იყო უცხო სიტყვებით, რომელთაც საუბრისას არავინ იყენებდა და მხოლოდ ლიტერატურთა ან მეცნიერთა ნაწერებში თუ ნაანყდებოდით. ორთოგრაფიული შეცდომები მეტად ჩვეულებრივი რამ იყო. იმდენად, რომ ვისაც ოსმალურად გამართულად წერა შეეძლო, ლამის მეცნიერად ითვლებოდა. სახელოვან მწერლებს შორისაც მრავლად იყვნენ ისეთები, ვისაც არაბული და სპარსული სიტყვების ამოკითხვა უჭირდა. ამის გამო ენის გამარტივება და არაბული სიტყვების განდევნა ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იყო. არაბული ასოები თურქულ ენას არ შეესაბამებოდა. საჭირო გახდა ახალი ანბანის შემოღება, თუმცა ყოველივე ამას სხვა ღრმა მიზეზიც ჰქონდა. ოსმალეთის ნარჩენებისაგან, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომშიც არაბულმა სამყარომ ზურგში ლაცვარი ჩასცა, ახალი თურქი ერი იშვა. ათათურქი უროვნული ანბანის შექმნით მიზნად ისახავდა, გაეთავისუფლებინა

თურქი ერი არაბული ენისა და კულტურის უღლისაგან, რომელიც  
მას საუკუნეების მანძილზე მძიმე ტვირთად ანგა და ხალხისთვის,  
ახალი სული შთავებერა. ამიტომაც ცდილობდა ასე ძალიან მეგობ-  
რის დარწმუნებას.

იაპია ქემალი კვლავ არ ჩანდა. ათათურქმა გუბერნატორ მუჭი-  
თინ ბეის უხმო: "რამდენი საათია მეგობარს დავეძებ. რა გუბერნა-  
ტორი ხარ, ერთი პოეტი ვერ გიპოვია!"

იაპია ქემალს მხოლოდ ხუთ საათზე მიაგნეს ჰარბიეს აბანოში,  
თურმე გაუგია, ათათურქი მეძებსო და შეშინებული იქ დამალულა.  
ფურეიას ძალზე აინტერესებდა, რა მოხდებოდა და ჩვეულების სა-  
ნინააღმდეგოდ დილამდე სტუმრებს შორის დარჩა. თუმცა, არაფე-  
რიც არ მომხდარა. "პროფესორო, ძალზე საინტერესო განხილვა  
გამოტოვეთ", - უთხრა მუსტაფა ქემალმა იაპიას და დასაძინებლად  
წავიდა.

ფლორიაში ყოფნისას ათათურქი, როგორც წესი, დილის ხუთ,  
ექვს, ზოგჯერ კი შეიდ საათზეც იძინებდა. შუადღის სამ-ოთხ საა-  
თამდე ეძინა, შხაპს მიიღებდა და ქილიჩ ალის, ჰასან რიზას, ჯევათ  
აბაზასა და სალიკ ბოზოეს უხმობდა.

"ბიჭები, წუხელ ცუდად ხომ არ მოვქცეულვარ?" - ეკითხებოდა  
მორცხვად. ამ პერიოდში მას უკვე მეტად დარია ხელი სენმა. ფუ-  
რეია ხედებოდა, რომ მისი მზე მალე ჩაესვენებოდა.

1937 წელი იდგა. ათათურქს ხშირად უნევდა სიცხე. დღითი დღე  
სუსტდებოდა, ცხვირიდან სისხლი სდიოდა. წვეულებებმა ძველი  
ხიბლი დაკარგა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთხელ ათა-  
თურქს ძლიერი ხელის გამო სუნთქვა შეეკრა. ექიმებმა ჯერ არ  
იცოდნენ, რომ მას ღვიძლის ციროზი სჭირდა. ქილიჩ ალი მეტად  
დამწუხრებული იყო ათას დაუძლეურებით. ეს უკვე თანდათან შე-  
სამჩნევი ხდებოდა. აღარც სახლში ჩანდა ძველი მხიარულების კვა-  
ლი. არც წვეულებები იმართებოდა. უსაქმოდ დარჩენილი მზარეუ-  
ლი სამზარეულოში ოხრავდა, ლუკა კი ბალში სიგარეტს ეწეოდა.

1938 წელს ათათურქს ღვიძლის ციროზის დიაგნოზი დაუსვეს.  
ამ დროს იგი ჰათაის მოვლენებზე იყო კონცენტრიტებული. რამდე-  
ნიმე თვით ადრე ჰათაიმი თურქეთისა და საფრანგეთის გარანტით  
დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ ხელმოწერილ

ხელშეკრულებაში დაშვებულმა უზუსტობებმა იჩინა თავი. ათა-  
თურქი თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ, ექიმების გაფრთხილების  
მიუხედავად, მუშაობას დიდ დროს უთმობდა.

1938 წლის გაზაფხულზე მერსინსა და ადანაში მოგზაურობის  
შემდეგ სტამბოლში დაბრუნდნენ. ამ მოგზაურობით ათათურქს  
სურდა გაეფანტა მითქმა-მოთქმა მისი ავადმყოფობის შესახებ.  
მოგზაურობის დროს ათათურქს დიდხანს უწევდა ფეხზე დგომა.  
სილიფქეს გზაზე ნანგრევებში სეირნობისას მეტისმეტი სიცხისა-  
გან ცუდად გახდა. სტამბოლში საკმაოდ დაღლილი დაბრუნდა.  
პირველი ღამე დოლმაბაჰჩეში გაატარა. ფურეია და ქილიჩ ალი შა-  
ქირ ფაშას პარტამენტში დარჩნენ.

მეორე დილით მანქანებით ფლორიას სასახლისკენ წავიდნენ.  
ათათურქი ცუდად გამხდარიყო. ქილიჩ ალიმ მანქანა გზის პირას  
მიაყენა და ფურეიას ავტომობილისკენ გაიქცა. "ფურეია, გაზის  
გულის შეტევა აქვს". ქილიჩ ალის ხელები უკანკალებდა.

ფურეია ათათურქის მანქანისაკენ გაიქცა. ათა გაოფლიანებუ-  
ლი და გაფიტრებული იყო. ფურეიამ ცხვირსახოცით ცივი ოფლი  
მონმინდა და პერანგის ლილები შეუხსნა. შემდეგ ჩანთიდან ამოღე-  
ბული სუნამო საფეთქლებზე წაუსვა.

"გმადლობ, შვილო. მძღოლს უთხარით, გზა განაგრძოს, უკეთ  
ვარ", - უთხრა ათათურქმა.

ყველა ფიქრობდა, რომ დოლმაბაჰჩეში დაბრუნება ჯობდა, მაგ-  
რამ ათასთვის ამის თქმას ერიდებოდნენ. "ფაშა, თუ ნებას დამრ-  
თავთ, სასახლეში დაებრუნდეთ, ცოტა დაისვენეთ. თავს თუ უკეთ  
იგრძნობთ, ფლორიაში ნაშუადლევს ნავალთ". ქილიჩ ალიმ ეს კი  
უთხრა, მაგრამ თანხმობას ალარ დაელოდა. ჩანდა, რომ ათათურქი  
მეტისმეტად ცუდად იყო, რადგან წინააღმდეგობა არ გაუნდევია.

დოლმაბაჰჩეში მისვლისთანავე პროფესორი ნეშეთ ომერ ირდელ-  
ფი გამოიძახეს. ექიმმა ათა გასინჯა და უთხრა, რომ ამ შეტევას გულ-  
თან საერთო არაფერი ჰქონდა, მას დვიძლის შეტევა გადაეტანა.

იმ საღამოს, დასაძინებლად რომ მიღიოდნენ, თვალცრუმიანმა  
ქილიჩ ალიმ ფურეიას უთხრა: "ჭიშობ, მისი დღეები დათვლილია,"  
- თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა.

1938 წლის 1 ივნისს "სავარონამ" დოლმაბაშჩეს სასახლის ნინღუზა ჩაუშვა. ათათურქმა მაშინვე მოინახულა ამერიკელებისაგან შეძენილი ეს იახტა. ბავშვივით ხარობდა. ნეტავ, ეს გეში რამდენიმე ნლის ნინ გვექონდათ, - ნატრობდა. რამდენიმე დღეში ათათურქი დოლმაბაშჩედან აქ გადმოსახლდა და მუშაობა განაახლა. ანკარას ყოველდღე უკავშირდებოდა. მთავრობისა და გენერალური შტაბისაგან ინფორმაციას იღებდა და ელჩებისთვის მიღებებს აწყობდა. იგი ცდილობდა, თავისი ქვეყნისთვის ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიოში, რომელიც ახალი ომისაენ მიექანებოდა.

ფურეია გემს ხშირად სტუმრობდა. რუმინეთის მეფე კაროლი სტამბოლში საკუთარი იახტით ჩამობრძანდა. როდესაც მისთვის მიღება გამართეს, ათათურქმა ფურეიას დახმარება სთხოვა და დახვეწილი გვემოვნებით გაშლილი სუფრა რომ იხილა, უთხრა: "ქალბატონი ფურეია, მუდამ განვიცდი თქვენნაირი თანაშემწის ნაკლებობას".

ივნისში მეგობრებთან და სტუმრებთან ერთად დიდ სალონში ვახშმობდნენ. ფურეია და ქილიჩ ალი ამ ნვეულებების მუდმივი სტუმრები იყვნენ. ივლისის შუა რიცხვებში ეს ნვეულებებიც შენყდა. ათათურქი უკვე გემის დიდ დარბაზში ან გემბაზზე გაშლილ შეზღუდვების მიზნით იწვა და ისვენებდა, ნიგნს კითხულობდა, გრამოფონს უსმენდა. ფურეიას ყოველ ჯერზე ახალი ნიგნები და ფირფიტები მიჰქონდა მასთან. ზოგჯერ ათა სტუმრებთან საუბარშიც ერთვებოდა. ყველაზე მეტად ენისა და ისტორიის საზოგადოებასთან დაკავშირებული საკითხები და პათაის პრობლემა აინტერესებდა.

ფურეია ათათურქს უკანასკნელ კრუიზშიც ახლდა თან. გემით დოლმაბაშჩედან ფლორიიაში ნავიდნენ, მთელი ბოსფორი შემოირჩეს. გემბანის მოაჯირს დაყრდნობილი ათათურქი მისდამი სიყვარულით აღსავსე სტამბოლელებს სალამს უძღვნიდა. ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა ხალხთან, რომელსაც მთელი სიცოცხლე შესწირა. კრუიზის შემდეგ დაღლილი, ღონემიხდილი კვლავ სავარდელში ჩაეშვა.

ერთ საღამოს დოლმაბაშჩეს ნინ ღუზაჩაშვებული "სავანორას" გემბაზზე დაწნულ სავარდელში იჯდა და მზის ჩასვლას უმზერდა. მინარეთების უკან პორიზონტი განითლებულიყო, თითქოს სტამ-

ბოლი თავისი შეჩერებით ცეცხლოვან კედელს მიძღვნოდა. ფურცელი იამ ათათურქს ნიგნი მოუტანა და იქვე ახლოს ჩამოჯდა.

"გთხოვთ, უთხარით, მუნირი დაუკრან", - სთხოვა ათამ.

ადუიტონტმა გრამოფონზე ფირფიტა დადო. ცოტა ხანში ერთ-ერთი მინარეთიდან მუეძინის ხმა გაისმა. ეზანი იწყებოდა. გრამოფონი გამორთეს. ყველა მონინებით უსმენდა ეზანს. მუსტაფა ქემალს თავი მეჩეთისკენ მიეპრუნებინა. ფურცეიამ მის თვალზე ცრემლი შენიშნა. ერთი წვეთი ლოყაზე ჩამოსრიალდა. თავი რომ მოაბრუნა, უკვე ეზანიც დასრულებულიყო და თავი ხელში აეყვანა.

"რა სამწეხაროა, რომ არ შევიძლია ეზანი გავამეორებინოთ, ფურცეია ხანუმ", - თქვა ხმადაბლა.

"დილის ეზანს დაველოდოთ, ერთად მოვუსმინოთ, ფაშა"

"თქვენ იმ დროს შუა ძილში იქნებით, მე კი მარტოობა ... " - თქვა და გაჩუმდა. თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ, მიუხედავად ხალხმრავლობისა, უამრავი მეგობრისა, თავს კელავ მარტოსულად გრძნობდა, მაგრამ სიტყვა აღარ დაასრულა.

რამდენიმე დღეში ათათურქს ისევ აუნია სიცხემ. ფურცეია დედასთან რჩებოდა. მან კარგად იცოდა, რომ შუალამისას ტელეფონის ზარი კარგს არაფერს მოასწავებდა. ქილიჩ ალი რეკავდა. მეტად აღელვებული იყო. ათათურქს სიცხე ვერაფრით დაუგდეს. პაკიი ხანუმმა ვარდის ძმარში დასველებული საფენები მოამზადა. ფურცეიამ ეს საფენები და ვარდის ძმარი ისე ჩაიკრა გულში, თითქოს სიცოცხლის ელექტრი ყოფილიყო და იახტისკენ გაეშურა. საბიპა გოქჩენი, ჰასან რიზა სიოაქი და ქილიჩ ალი ამ საფენებს ათათურქს შუბლზე, მელავებსა და ფეხებზე აფენდნენ და დილამდე სიცხის დაწევას ცდილობდნენ.

"ფურცეია, შენი იახტაზე სტუმრობა უკვე აღარ შეიძლება. გთხოვ, ეს ვიზიტები შეწყვიტო", - უთხრა მეორე დილით ქილიჩ ალიმ ცოლს.

"რატომ?" - ჰკითხა აღელვებულმა ფურცეიამ.

"მე გაზის კარგად ვიცნობ. არ მოუნდება ამ მდგომარეობაში ვინმებ ნახოს. მასთან მხოლოდ უახლოესი ადამიანები ვრჩებით, ჩვენ ყველაფერი ვიცით".

"ეს თავად გთხოვა?"

"ის მსგავსს არასდროს არაფერს იტყვის", - თქვა ქილიჩ ალიმ.



23 იელის ათათურქის გემი უკანასკნელად დაიძრა. იახტის კა-იუტებში უკვე აუტანელი სიცხე იდგა და ათათურქი დაარნშენეს, დოლმაბაშჩეს სასახლეში გადასულიყო. ჰასან რიზამ და ქილიჩ ალიმ ათას გადასაყვანად საკაცე მოამზადეს, მაგრამ იგი ამის სასატიკი წინააღმდეგი იყო. ამჯერად სხვა გამოსავალი მოძებნეს. ქილიჩ ალიმ, ისმაილ ჰაჯი თექჩემ და ერთმა პოლიციელმა ათათურქი მონაცემი სავარძლით კატერზე გადაიყვანეს, შემდეგ სასახლის ქვედა სართულზე ლიფტიამდე მიიყვანეს.

ათათურქი ლიფტიდან ოთახამდე თავისი ფეხით მივიდა. შუალა-მე იყო.

იმ დღის შემდეგ ფურეია ქილიჩ ალის მეტად იშვიათად ნახულობდა. ქმარი დოლმაბაშჩეს სასახლეში ათათურქის სასთუმალ-თან მორიგეობდა. იშვიათად ტაქსიმის სახლში შეივლიდა, შხაპს მიიღებდა, გამოიცვლიდა და კვლავ უკან ბრუნდებოდა.

10 ნოემბერს, როცა თვალებჩანითლებული ქილიჩი შინ დაბრუნდა, ფურეიას ეს სამნუხარო ამბავი უკვე რადიოდან შეეტყო. ქილიჩ ალი ფურეიას გადაეხვია.

"ფურეია, ბოლოს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთი ნამით ადრე, უეცრად თვალები გაახილა და თავი მკვეთრი მოძრაობით მარჯვნივ მოაბრუნა. მე და ჰასან რიზა ვფიქრობთ, რომ მას სურდა, სამხედრო სალამი მიეცა უახლოესი მეგობრებისა და თავისი სათაყვანებელი ერისთვის, რომელთანაც ის ლრმა ფესვებით იყო დაკავშირებული და რომლისაც სწამდა", - უთხრა ცოლს. ქილიჩი აქვეთინდა. ფურეია საძინებლიდან გამოვიდა.

იგი თითქოს გაოგნებული იყო იმ ადამიანის დაქარგვის გამო, რომლის მიმართაც ცხრა წლის ასაკიდან აუნერელ ალტაცებასა და, ალბათ, ქვეცნობიერად სიყვარულს გრძნობდა. ფურეია დაობლებულ ბავშვს ჰეგვდა, მაგრამ მასთან ერთად ყველა პატრიოტი თურქი დასტიროდა ათას, რომელმაც მათ თანამედროვე ქვეყანა აჩუქა და რომლის ადგილსაც უკვე ვეღარავინ დაიკავებდა.

ანჯარაში ფურეიას გაგზავნილი წერილი კვლავ ამ სიტყვებით იწყებოდა: "საყვარელო დედა და მამა", და აღნერდა 21 ნოემბერს,

როცა ლაფეტზე დასვენებული ათათურქის ცხედარი ეთნოგრაფიკულ მუზეუმში გადაასვენეს. ძველი მეომარი - ემინ ფაშა წერილის ამ ნაწყვეტს კვლავ და კვლავ კითხულობდა...

“... ინგლისელი სამხედროები, ფრანგი სამხედროები და კიდევ უამრავი უცხოელი სამხედრო, თქვენ ჩვენი მინიდან საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად რომ განდევნეთ, სადღესასწაულო სამოსში გამოწყობილები, დაშვებული იარაღითა და დროშებით, თავდახრილები წელ-წელა ნინ მიინევდნენ... მუზეუმთან შექრებილ ელჩებსა და უცხოელ გენერლებს შორის ჩემი ყურადღება ერთმა ხანში შესულმა მამაკაცმა მიიქცია. მან ათათურქის ცხედართან მარშლის კვერთხი მაღლა ანია და სამხედრო სალაში მისცა. თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ქილიჩს ვკითხე - ვინ არის ეს ასაკოვანი მებრძოლი-მეთქი? იგი ინგლისის მარშალი ბერდვუდი ყოფილა, რომელიც ჩანაქალეში ათათურქის წინააღმდეგ იბრძოდა, დამარცხდა და ცალი ფეხი ამ ომში დაკარგა...”

## სტამბოლის ნლები

(1939 - 1946)

ათათურქის გარდაცვალების შემდეგ ფურეიამ და ქილიჩ ალიმ ანკარის სახლი დაკეტეს და სტამბოლს დაუბრუნდნენ. თეშვიქიში, პუსრევ გერედეს გამზირზე, გიოზემის სახლში ერთი სართული იქირავეს. რამდენიმე კვირა ბინის კეთილმოწყობას მოანდომეს, შემდეგ კი ფურეიას მეტად მძიმე დღეები დაუდგა. ქილიჩ ალი ლრმა დეპრესიის ზღვარზე აღმოჩნდა. არავის ნახვა, არსად ნასვლა აღარ სურდა.

ათათურქის გარდაცვალებასთან ერთად თითქოს ამ ბუმბერაზი ადამიანის არსებობაც დასრულდა. ქილიჩ ალი, რომელიც თხუთმეტ წელზე მეტხანს ანკარაში ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობებზე მსახურობდა, ათათურქის უახლოესი მეგობარი იყო. ახლა კი აღარაფერს ნარმოადგენდა. რესპუბლიკის მეთაურს - ისმეტ ფაშას - ათათურქი არასდროს ჰყვარებია, ამიტომაც დაითხოვა მისი გარემოცვა.

ფურეიამ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ქმარი კრიზისიდან გამოეყვანა. რამდენიმე ბანქსა და დაწესებულებაში გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა, ნებისმიერი მათგანი სიამოვნებით მოუქებნიდა სამსახურს ისეთ გამოცდილ პიროვნებას, რომელმაც შესანიშნავად იცოდა სამხედრო დისციპლინა, გამოვლილი ჰქონდა მეჯლისის წევრობა და კარგად იცნობდა სახელმწიფო წყობას. მისთვის მმართველობითი საბჭოს წევრის ან მრჩევლის ადგილიც ადვილად გამოინახებოდა, მაგრამ ქილიჩ ალის ამგვარი შეთავაზებების გაგონებაც კი არ სურდა - სამუშაოს არავის სთხოვდა. ფულიც საემაოდ ჰქონდა. ძვლებური ბრწყინვალებით თუ არ იცხოვრებდნენ, არც არავის სარჩენი იქნებოდნენ.

"იქნებ შენს დეპრესიას მოგზაურობამ უშველოს," - ურჩია ფურეიამ. ქილიჩ ალი დათანხმდა. ნებისმიერ ადგილზე უკეთ იგრძ-



ნობდა თავს, ოლონდ არა სტამბოლსა და ანკარაში. ჯერ პრაღაში გაემგზავრნენ, იქიდან კი პარიზში განავრდეს მოგზაურობა. მთებით ლი ამ ხნის განმავლობაში ორივე მეტად სევდიანი იყო, მაგრამ ახალი ადგილების დათვალიერებამ და უცხო გარემომ ისე იმოქმედა, რომ ვერც კი გაიგეს, როგორ გავიდა დღეები.

მთავარი პრობლემა ფურეიას მხოლოდ სტამბოლში დაბრუნების შემდეგ გაუჩნდა.

"ხუთშაბათს დიდ კლუბში ვახშამზე ვართ მიწვეული", - თქვა ფურეიამ.

"მე არ ნამოვალ. მარტო ნადი".

"რატომ არ ნამოხვალ?"

"ჩემო ფურეია, ერთ დროს კარისკაცები რევერანსით მხვდებოდნენ. ახლა, ალბათ, ზედაც არ შემომხედავენ, ".

"ქილიჩი, იყო დრო, როდესაც იმ ხალხს კარგ ფეხის ქირას აძლევდი. ჰოდა, ახლაც მისცემ, თუ საჭიროა. აი, შემდეგ ვნახოთ, მოიხრიან თუ არა ქედს."

"არ მინდა. იქ სხვებიც იქნებიან, არ მომესალმებიან".

"ეგ საიდან მოიტანე? შენ რა დაუშავე?

"ჩემთან მევობრობას მოერიდებიან, ვაითუ დღევანდელ ხელისუფალთა ყურამდე მიაღწიოსო".

"ესე იგი, ინენიუს სიკვდილამდე სახლიდან აღარ უნდა გახვიდე?"

"სიკვდილამდე კი არა, ხელისუფლების დამხობამდე".

"დიდხანს მოგინევს ლოდინი, ქილიჩი", - მიუგო ფურეიამ, - "ვერაფერი გავიგე. თქვენ შორის ასეთი საშინელი მტრობა როდიდან დაიწყო?"

"ათათურქის უკანასკნელ დღეებში ჰასან რიზამ ინენიუსთან კავშირი გაწყვიტა. მისი ბოლო ვიზიტისას კი საერთოდ ოთახშიც აღარ შემოუშვა."\*

"სისულელე ჩაუდენია."

"არ გახსოვს, როგორი გაუბედურებული იყო?"

"მგონი, მას უფრო სხვა მიზიზები ჰქონდა, ვიდრე ათათურქის ავადმყოფობა. ის არ უყვარდა და არ შემოუშვა... მერედა შენ რა? შენ ხომ არ ხარ ჰასან რიზა?"

"მისთვის ყველა ერთი ვიყავით, არცერთი არ უუყვარდით. მას ახლაც ჰეონია, რომ ჩვენ თუ მოვინდომებდით, შეგვეძლო წინ ბლუ-დგომოდით ათათურქის სასმელისადმი ლტოლვას."

"ქილიჩ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ჩვენ თვალნინ ახალი ჰორიზონტი და ახალი ცხოვრება იშლება. პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არა გაქვს. რა მნიშვნელობა აქვს, ინენიუს უყვარხარ თუ არ უყვარხარ? მოეშვი ამ ეჭვებს, თავი დაანებე. ცხოვრება გრძელდება."

"უკვე აღარაფერი მინდა, ჩემო ლამაზო. არც ჭამა, არც სმა, არც არავისთან საუბარი. მომასევნე, ფურეია! შენ წადი, გაისეირნე. ჩემს მოგონებებთან მარტო დამტოვე."

ქილიჩ ალი სახლის უკანა აივაზზე გავიდა, საიდანაც ზღვის ხედი იშლებოდა. მუზეინ სენარის გრამფილფიტას უსმენდა და რაქის სვამდა. ასე ატარებდა დღეებს. თითქოს ზამთრის ძილს მისცემოდა.

ფურეია გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, რა ეღონა, საკუთარი ნაჭუჭიდან რომ გამოეყვანა ქმარი. იფიქრა, რომ გიოზემის სახლის სევდიანი ატმოსფეროდან ბალიან სახლში გადასვლა არგებდა. იქნებ ყვავილების მოვლით შეექცია თავი. ერენქოში ერთ კოხტა სახლში გადავიდნენ, რომელსაც მშვენიერი ბალი ჰქონდა. ქილიჩ ალის სულიერ მდგომარეობას არანაირი ცვლილება არ დასტყობია - კვლავ თავის ოთახში გამოეტილიყო. ფურეია კი, ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე, დიდხანს ვერ შეძლებდა ამ ღრმა და ბნელი ორმოს ფსკერზე ყოფნას. ანკარაში გატარებული სამი ნლის შემდეგ ფურეიას გული მადლიერებითა და სინაზით იყო სავსე და ახლა კაციმოყვარეობა არ მისცემდა იმის უფლებას, რომ ქილიჩ ალი ამ უძირო ორმოში მარტო დაეტოვებინა.



## პატივიათო

(ოსმანოლუს კლინიკა)

რა უფრო საშინელია ადამიანისთვის - როცა მისი სხეული სა-  
ნოლს არის მიჯაჭვული, თუ როცა სულია ოთხ კედელს შეა გამო-  
კეტილი? ორივე განცდილი მაქვს და, მერწმუნეთ, მეორე უფრო  
ტანჯვის მომგვრელია როგორც თავად ადამიანისთვის, ასევე მის  
გარშემო მყოფთათვისაც. აი, ახლა ვწევარ აქ და იოტისოდენა სინ-  
დისის ქენჯნასაც არ ვგრძნობ. ჩემი ახლობლები ჩემს ოთახში შე-  
მოდიან და რნმუნდებიან, რომ ყველაფერი ისე მიკეთდება, რო-  
გორც საჭიროა; შემდეგ მიდიან, თავიანთ სამყაროს, თავიანთ  
ცხოვრებას უბრუნდებიან - მე გამირბიან.

ჭლექი რომ შექნდა, რამდენჯერ ვყოფილვარ სარეცელს მიჯაჭ-  
ვული. საავადმყოფოს პალატიდან დიდხანს ვუმზერდი დათოვლილ  
მთას, ზუსტად ისე, როგორც ახლა, ფანჯარას მივჩერებოდი - ვუც-  
ქერდი ფარდას, რომელზეც კინოეკრანივით აისახებოდა ჩემი  
ცხოვრება. შემდეგ კვლავ მნახველები მოდიოდნენ. ვიზიტის დრო  
რომ ამოინურებოდა, ჩემს ფიქრებთან პირისპირ მტოვებდნენ და  
ქრებოდნენ. როცა ჩემს ცხოვრებას ჩავუდრმავდი, მხოლოდ მარ-  
ტობა, უმნეობა და ავადმყოფობა შემრჩა ხელში.

მას შემდეგ, რაც ქმრის მიზიზით სულის ტყვეობა განვიცადე,  
მივხვდი, რომ ეს ყველაზე მძიმე ყოფილა. სიცოცხლეზე განაწყენე-  
ბა სიკვდილს ჰგავს. მაგრამ ცოცხალ ადამიანს ყოველთვის აქვს  
ახალი ცხოვრების დაწყების იმედი. სიცოცხლეზე უარის თქმა  
იოლი როდია.


10 ნოემბრის შემდეგ ქილიჩ ალის ნარმოსადეგ სხეულში თით-  
ქოს უმნეო ჩვილი ბავშვი ჩასახლებულიყო. იგი გულში მყავდა ჩა-  
რული, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ გამომეკვება, ცხოვრებისკენ  
როგორ მომებრუნებინა. გული შემტკიოდა ქმარზე, რომელიც

არასდროს მყვარებია. მისი დახმარება მსურდა, იმ ღრმა ორმოდან ამოყვანა, მაგრამ ვერაფერს ვხდებოდი. ორივე ერთად კიდევ უფრო ღრმად და სწრაფად ვეშვებოდით ფსკერისკენ.

დიახ, მართლაც! ტუსალი სული უმნეო სხეულზე უფრო საშინელი ყოფილა.

ქილიჩ ალი იმ მარშალს ჰეგავდა, რომელსაც ჩინ-მედლები ერთი ხელის მოსმით ჩამოერთვა, ქედი მოეხარა და თავი ჩაექინდრა. მის-თვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ მნუ-ხარებას ნუგეშს ვერ უძებნიდა. ახლა უკვე თავად გამხდარიყო იმ ბრძანებების მსხვერპლი, რომელთაც სულ ცოტა ხნის ნინ თვალის დაუხამხამებლად გასცემდა. უკვე ხედავდა, რომ არც ერთი რეუიმი ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი არ ყოფილა. ვფიქრობ, ადამია-ნის სიცოცხლის ფასი ათათურქის სიკვდილის შემდეგ გაიგო. სიკვ-დილის სარეცელთან მყოფისთვის სიკვდილის ანგელოზს რომ გვერდით ჩაევლო და ეთქვა, ეი, ქილიჩ, ჩემს სურვილს თუ შეასრუ-ლებ, მზად ვარ, სანოლში მყოფ შენს მეგობარს სიცოცხლე შევუ-ნარჩუნო, და მუსტაფა ქემალის სიცოცხლის საფასურად რეს-პუბლიკა მოეთხოვა, დარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარი ფაშას გადა-სარჩენად არსებულ რეუიმს უყოყმანოდ გასწირავდა. იმ რეუიმს, რომლის დაცვაც თავად იტვირთა.

მაგრამ მუსტაფა ქემალი გარდაიცვალა და სიცოცხლისადმი ქილიჩ ალის სიხარულიც თან გაიყოლა. მე მხოლოდ უსიცოცხლო ნამსხვრევილა შემრჩა ხელში. დარწმუნებული ვარ, ის გაოგნებუ-ლი იყო ჩემი ქცევით - სამი ნლის ცოლ-ქმრული თანაცხოვრების შემდეგ, დედობრივი სინაზით და მზრუნველობით ვექცეოდი. მის სულს სიკვდილის უფლებას არ ვაძლევდი. რა ნაბიჯიც გადაუდ-გამს - ჭეშმარიტი თუ მცდარი - მანც სამშობლოსთვის, სამშობ-ლოს სიყვარულის გამო. მას ხელისუფლებაში 10 ნოემბრის შემდეგ მოსულები კი არა, ისტორია გაასამართლებდა. "თავი ანიე, ქილიჩ ალი, - ვეუბნებოდი, - შენს თვალებს მნუხარება ნუ დაეტყობა. თუ-გინდ ნუ მოგვესალმებიან, თუ გინდა კარსაც ნუ გაგვიღებენ, ფარ-ვანასავით ნუ დაგვტრიალებენ თავს, ნუ მიგვინვევენ, ნუ დაგვი-რევავენ... ახალ მეგობრებს შევიძენთ.". ჩემი არსება მხოლოდ ერთი საქმით იყო დაკავებული - როგორმე ქმარი დეპრესიიდან გა-მომეუვანა.



"მაჩქამდე ცოტა გავისეირნოთ, რას იტყვი? "თაშლიქის ყავახა-  
ნაში" ჩაი დავლიოთ და უკან დავბრუნდეთ".

თავისი მიზანი

"დალლილი ვარ, საყვარელო. შენ ნადი, თუ გინდა".

"ამბობენ, იტალიიდან თეატრის დასი ჩამოვიდაო..."

"შენ ნადი, მე ადრე დავწვები".

"ბოსფორზე თევზის საჭმელად ხომ არ ნაესულიყავით?"

"სრულებით არ მშია. თანაც თევზის გუნებაზეც არ ვარ".

"ქილიჩი, ახალი ნიგნი გამოვიდა. ."

"კითხვა არ მინდა, ფურეია. ყურადღებას ვერ ვიკრებ. არ გაბე-  
დო, ნიგნი არ მომიტანო!"

"იცი, რას ვიზამდი შენს ადგილას? მოგონებებს დავწერდი. განა  
რამდენი კაცი იყო ასე ახლოს ათათურქთან? სულ თითზე ჩამო-  
სათვლელი. ვინ იცის, რამდენია მოსაყოლი? ასეთი ნიგნი ძალიან  
საინტერესო იქნებოდა. ვფიქრობ, სწორედ შენ უნდა იყო პირველი,  
ვინც ამას გააკეთებს. მე კი დაგეხმარები".

ცარიელი თვალებით სადღაც შორს ზღვას გასცეროდა.

"მუზეინი ჩამირთე. ერთი ჭიქა რაქიც დამისხი, ჩემო ლამაზო."\*

მუზეინ სენარიის ერთ ფირფიტას შევარჩევდი და გრამოფონზე  
უდებდი. ცოტაოდენ ცივ საუზმესაც ვუმზადებდი რაქისთან ერ-  
თად. კიდევ ერთი დღე ჩაივლიდა. ღმერთმა იცის, მერამდენე დღე  
გადიოდა ასე - ჰორიზონტის ცქერაში.

"მომხედე, შენი ქმრის გამო ასე როდემდე უნდა იტანჯო? მალე  
შენ თვითონ ჩავარდები დეპრესიაში და მერე ვინ მოგხედავს?" - მე-  
უბნებოდა ალიკ.

"შენ მომხედავ".

"ეპ, დეპრესიულ ადამიანს მე ვერ მოუული. ერთადერთი კაცის  
დარდი შემიძლია გავიზიარო და ეს ჩემთვის საკმარისიც არის და  
საკმარისშე მეტიც".

"ვინ არის ის კაცი, ბერგერი?"

"ფიახ, ჩემი კარგო, ბერგერი. მთელ ქვეყანაზე მსხვერპლის გა-  
ლება მხოლოდ მისთვის შემიძლია. ფურეია, იცი, მის გარეშე ვერ  
ვიცოცხლებ".

"იცოცხლებ, ალიკ. ყველა სწავლობს, როგორ გაუმჯობეს ტკივილს.  
ბებიაჩემმა ქმრის სიკედილს გაუძლო, ნისამ - ბავშვის დაკარგვას..."

"სიყვარული სულ სხვაა".

"საკუთარი თავი ვინ გვონია, ალი? თითქოს, ქვეყანაზე შენიდა  
შენი სიყვარულის გარდა მნიშვნელოვანი აღარაფერი იყოს!"

"განა ყველა ასე არ ვართ? ნისა რა, განსხვავდება ჩემგან? სუა-  
თი? ჯევათი? დედაშენი?"

"ააა, მოიცა, მოიცა! დედაჩემს და დეიდა აიშეს ნუ ედრები. ისი-  
ნი განსხვავდებიან. მათ ბევრი რამ გადაიტანეს".

"არც ერთმა არ იცის, რა არის სიყვარული. ისინი იმ ადამიანებ-  
ზე დაქორნინდნენ, ვინც სხვებმა შეურჩის და იძულებული იყვნენ,  
ჰყვარებოდათ თავიანთი ქმრები. სიყვარულს არ იცნობენ საბრა-  
ლოები!"

ალიესთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გრძნობა სიყვარული იყო,  
სიყვარული კი - ბერგერი. ამ კაცის გარდა სიყვარულის ღირსად  
არავის თვლიდა. როცა ჩემი ოჯახის წევრებზე ვფიქრობ, მეჩვენე-  
ბა, რომ ყველანი ეგოზმითა და ექსცენტრიულობით გამოიჩინდ-  
ნენ. მე ვის უნდა უუმადლოდე, რომ მათგან განსხვავებით ბუნებრი-  
ვი და რეალისტი ვიყავი? მამაჩემს? ალბათ, მამაჩემს - მეჩეთის  
იმამის ვაჟიშვილს, რომელსაც, უკვე შვიდი წლისას, ყურანი თავი-  
დან ბოლომდე ჰქონდა ნაკითხული. თუმცა იგი შაქირ ფაშას ოჯა-  
ხის მორევმა ჩაითრია, სიცოცხლის ბოლომდე ხალხის წიალიდან  
გამოსულ, შეგნებულ და განონასწორებულ ადამიანად დარჩა. მარ-  
თალია, ხელოვნებას და ლიტერატურას ვერ ეზიარა, მაგრამ ტაქ-  
ტიანი და პატიოსანი იყო. იგი არ ჰქავდა შაქირ ფაშას ოჯახის და-  
ნარჩენ ნევრებს. არც ენამახვილობითა და ბრწყინვალებით გამო-  
ირჩეოდა. მამაჩემის გენმა ჩემში გაანონასწორა უკიდურესობა და  
პრივილეგიურობის განცდა, რაც ასე ახასიათებდა დედაჩემის  
ოჯახს. ერთგულების გრძნობა კი ჩემში როგორც დედისგან, ასევე  
მამისგანაც უნდა ყოფილიყო გადმოცემული. დედაჩემს ლოგინად  
ჩავარდნილი ქმარი არ მიუტოვებია. მეც გადავწყვიტე, მფარველო-  
ბა გამენია თავმოყვარეობაშელაბული, ხალხის თვალში გაუფასუ-  
რებული და გულგატებილი ქმრისთვის. მაგრამ, მართალი გითხ-  
რათ, მისი სიცოცხლისკენ მობრუნება ერთობ ძნელი აღმოჩნდა.

## სიცოცხლისკან მოგრძელება

ქილიჩ ალის სულიერი ტანჯვიდან დასახსნელად ფურეიამ ბან-ქოს მოთამაშეთა ჯგუფები შექმნა. ისინი კვირაში ხუთჯერ, ღამ-ღამიბით, ბეზიქს, პოკერს, ბრიჯეს თამაშობდნენ. თავდაპირველად ქილიჩ ალი სახლში სათამაშოდ შეერებილ სტუმრებთან არც კი გა-მოდიოდა. მერე და მერე სტუმრებს უკვე გაპარსული და გამოწყო-ბილი ხვდებოდა. თანდათან სალონშიც გავიდა, მოთამაშეებს ზურგს უკან იდგა და უცქერდა. ფურეიამ საგანგებოდ გააფრთხი-ლა მეგობრები, რომ ქმრისთვის თამაში არ დაეძალებინათ. ქილიჩ ალი ერთხანს ფეხზე მდგომი უცქერდა მოთამაშეებს, შემდეგ რჩე-ვებს აძლევდა და ბოლოს თამაშშიც ჩაერთო.

ფურეიამ ქმარი კლუბებშიც გააწევრიანა. კარგა ხანს, იმის შიშით, რომ ადამიანები მას არაფრად ჩააგდებდნენ, ქილიჩ ალი ასეთ ადგილებში არ დადიოდა. ცოტა ხანში კი კლუბებში სია-რულიც დაიწყო და დარწმუნდა, რომ მისი შიში უსაფუძვლო იყო. თუ ანჯარაში პოლიტიკური მიზეზებით ზედმეტ პირფერო-ბას ან, სრულიად საპირისპიროდ, ზედმეტად ცუდად მოპყრო-ბას შეიძლება გადაყროდი, სტამბოლელებისთვის პოლიტიკური იღბალი თუ წარუმატებლობა სულერთი იყო; ეს მათ არ აინტე-რესებდათ.

ფურეია ქმართან ერთად უკვე კვირის ყოველ დღეს თამაშში ატარებდა. შემდეგ ბოსფორის სამიკიტნოებში ვახშმობდნენ. პოკე-რის საღამოები კი ზოგჯერ დილამდეც გრძელდებოდა.

ქილიჩ ალის დეპრესია და გლოვა, როგორც იქნა, თითქოს დას-რულდა. მაგრამ ამჯერად დეპრესიამ ფურეიას შეუტია. როცა წარ-მოიდგენდა, ცხოვრების დარჩენილი ნანილი სათამაშო მაგიდებ-თან უნდა გაეტარებინა, ცუდ გუნებაზე დგებოდა.

მანკიერი ნერ შეიკრა - საღამოდან დილამდე გაგრძელებული სათამაშო მაგიდები, გვიან ადგომა და კვლავ ბრიჯის, პოკერის, ბე-

ზიქის სამზადისი... კვირის ბოლოს ცეკვა და ვახშამი... ასეთ ცხოვ-  
რებასთან შეგუება ფურეიას უკვე უჭირდა.

საქონლები  
საბუღალო

ძალზე შორს დარჩა მისი ქალიშვილობის დროინდელი მისნრა-  
ფებები. ამლა ფურეია ისეთი დიასახლისი დადგა, როგორ მეუღლე-  
ზეც ნებისმიერი კაცი თუ იოცნებებდა - ქალბატონი, რომელიც  
კარგად იცვამდა, მშვენიერ სუფრას შლიდა. ამ როლს სრულები-  
თაც არ უჩიოდა. მაგრამ მხოლოდ ეს როდი კმაროდა. ქილიჩ ალი  
ცხოვრებას დაუბრუნა, მაგრამ თვითონ უფსერულისკენ მიექანე-  
ბოდა და მის დასასრულსაც ვერ ხედავდა. ფიქრობდა, რომ მის სი-  
ცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა. ბოლოს, ამ სიცარიელის შესავსებად  
ერთი გამოსავალი მოძებნა: ფრანგული ლიტერატურის თარგმნა  
დაიწყო. ერთხელაც, ახლო მეგობარმა გაზეთ "ვათანში" მუსიკის  
კრიტიკოსობა შესთავაზა, რადგანაც იცოდა, ფურეია ბავშვობიდან  
იყო მუსიკით გატაცებული, ვიოლინოსაც მშვენიერად უკრავდა და  
ყველა კონცერტს ესწრებოდა.

ფურეიამ თავიდან დაიმორცხვა, მაგრამ მისმა ერთი-ორმა  
სტატიამ იმდენად დადებითი გამოძახილი პოვა, რომ შემდგომი  
ოთხი წელი გაზეთ "ვათანში" მუსიკის რეცენზენტიად მუშაობას  
მიუძლვნა.

იმ წლებში დეიდა ფაპრუნისამ მაჩქაში რალის პარტამენტში  
უზარმაზარი ბინა იქირავა. ამასთან, ბეშიქთაშისკენ მიმავალ ერთ-  
ერთ ქუჩაზე სამხატვრო სახელოსნო გახსნა. ფაპრუნისა ღრმა  
დეპრესიისგან ხატვამ იხსნა.

ეს იყო წლები, როდესაც ასპარეზზე გამოვიდნენ ეგრეთ წოდე-  
ბული "დ - ჯგუფის მხატვრები". ფაპრუნისაც მათთან ერთად მო-  
ნაწილეობდა გამოფენებში და საკმარისად მოქმედებიც ჰქონდა. ხატ-  
ვა მასზე ძალიან კარგად მოქმედებდა და დისწულსაც იმავეს ურ-  
ჩევდა. ოჯახში თითქმის ყველას ჰქონდა ხატვის ნიჭი. ჯევათ ფაშა  
და შაქირ ფაშა, გარდა იმისა, რომ კარგად ხატავდნენ, მოყვარული  
ფოტოგრაფებიც გახდნენ. მათმა ფოტოებმა საფრანგეთში ჯილ-  
დოებიც მოიპოვა. რატომდაც ფურეიასთვის, ოჯახის სხვა წევრე-  
ბისაგან განსხვავებით, ხატვა გამოსავალი არ აღმოჩნდა და დეიდა-  
მისის ეს წინადადება არ მიიღო.

ამ პერიოდში დეიდას სახლში მხატვრები, მწერლები, ინტელექტუალები იკრიბებოდნენ. არც ფურეია აკლდებოდა ამგვარ შეკრებებს. საღამოობით იძულებული იყო კონცერტებს დასწრებოდა, შუადღის შემდეგ მისთვის სასურველ ხელოვანთა შეკრებებში მონაილეობდა, დილაობით რამდენიმე საათს სტატიების წერას უთმობდა... ქილიჩ ალი და ფურეია კვლავ ერთად იყვნენ.

ფურეიამ კარგა ხნის ნინ შენიშნა, რომ დედამისის ერთ-ერთი ახლო მეგობრის ქმარი მისდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩინდა. რადგანაც მამაკაცი მასზე ბევრად უფროსი და თანაც ცოლიანი იყო, ერთხანს საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ ცდებოდა. მაგრამ ამ ელეგანტური კაცის ინტერესი დღითი დღე მატულობდა. შევქიბების ფურეიასთვის საფრანგეთიდან ახალი წიგნები და გრამფიორ-ფიტები ჩამოჰქონდა, დეიდამისისთვის - გამოფენათა კატალოგები. მამაკაცი ხანგრძლივად და ხატოვნად საუბრობდა საინტერესო თემებზე. ფურეია კმაყოფილი იყო მისდამი ასეთი დამოკიდებულებით. საოცარ სიამოვნებას ჰევრიდა, მასზე ასე უფროს, უაღრესად ჭკვიან, განათლებულ და სასიამოვნო კაცს რომ მოსწონდა.

"შევქი ბეის გრძნობებზე რას ფიქრობ?" - ჰკითხა ალიებ.

"გრძნობებს ვერ დავარქემვდი, ეს უფრო ინტერესია".

"ღმერთმანი, ფურეია, შენ რა, სიყვარულს და ინტერესს ერთმანეთისგან ვერ არჩევ?"

"ნამდვილად. გრძნობა, ანუ სიყვარული სულ სხვა რამ არის. შევქი ბეი მხოლოდ ინტერესდება ჩემით."

"ამდენ ქალში რაღა მხოლოდ შენით ინტერესდება?"

"რა ვიცი, ალბათ, ახალგაზრდა რომ ვარ, იმიტომ.". .

"რეზანიც ახალგაზრდაა, ნანაკაც. მეც კი ახალგაზრდად ვითვლები." .

"შენ პატრონი გყავს".

"შენ რა, არ გყავს?"

ფურეია შეცდა. მართლაც დიდი სისულელე ნამოსცდა. თანაც დაოჯახებული ალიე კი არა, თვითონ იყო.

"შენ შეყვარებული ხარ. როცა ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარული გამხელილია, დროის დაკარგვა დაუშვებელია. თანაც, შევქი ბეიც დაოჯახებულია."

"მაგრამ მისი ქორნინება... მხოლოდ ფორმალობად იქცა".

"ვისთვის არ ქცეულა ფორმალობად?", - თქვა ფურუიამ. ხშირი ძლივს შესამჩნევი სევდა ერია. გაურკვეველი იყო, ვის გულისხმობდა -- საკუთარს, თავისი მშობლების თუ ბებიასა და ბაბუას ქორნინებას.

"ფურუია, შევქი ბეი მოგნონს?"

"დიახ, მომნონს. მიმარინია, რომ ის ჭევიანი, ენამოსწრებული და საოცრად კულტურული მამაკაცია. მეტად დახვენილი ქცევები აქვს. მაგრამ ჩვენ შორის ვერაფერი იქნება. ორივეს ჩვენ-ჩვენი ოჯახი გვაქვს და, თანაც, მისი ცოლი ჩემთვის მეტად პატივსაცემი პიროვნებაა."

"და შენზე ოცდაათი წლით უფროსი".

"ასაკს მნიშვნელობა არა აქვა."

"აჟა, ესე იგი არა აქვს. სწორედ ამის გაგება მსურდა, ჩემო ფურუია. თუ შევქი ბეის ასაკი არ განუხებს, ესე იგი სხვა სირთულეებს არაფრად ჩათვლი. შენც ამ მახეში გაბმულხარ, ჩემო ლამაზო".

"იცი რა, ალიე, ბერგერმა ფსიქოანალიზში ცოტა კი გაგარკვია, მაგრამ თავი ფსიქოლოგი ნუ გვიჩინია".

"ფურუია, მე შენი სხეულის ენას ვხედავ".

"ეგეც ბერგერისგან ისწავლე?"

"დიახ. დავაკეირდი, მუდამ იმ დივანზე ჯდები, სადაც ის ზის. როცა სალონში შემოდის, თვალები გიბრნყინავს. ოთახში თუ არ არის, თვალები სულ კარისკენ გაგირბის".

"იმიტომ, რომ", - გააწყვეტინა სიტყვა ალიეს, "მხოლოდ მასთანაა საუბარი სასიამოვნო, ისიც კითხულობს იმ ნიგნებს, მე რომ ვკითხულობ; მასაც უყვარს ის მუსიკა, მე რომ მიყვარს..."

"და ულამაზეს ვარდებს გიგზავნის".

ფურუია განითლდა და ლარნაკში ჩანყობილ გრძელ ვარდებს შეხედა.

"ეს ვახშმის გამო მადლობა რომ გადაეხადა, იმიტომ გამოგზავნა".

"შენ ის გიყვარს. ჩემთანაც რამდენჯერ მოსულა სავახშმოდ, მაგრამ ვარდის მსგავსი არაფერი მინახავს", - უთხრა ალიემ.

ცხოვრება სტამბოლისთვის დამახასიათებელი სწრაფი ტემპით

მიედინებოდა. გამოფენები, კონცერტები, თეატრები, ვახშმები, ცეკვები და, რა თქმა უნდა, ბანქოს ღამეები... შევქი ბეიც თითქმის ყოველდღე მასთან იყო. ფურეია იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ შევქი ბეის სიყვარულს ამჩნევდა. ამ ფაქტით ძალიან კმაყოფილი იყო, მაგრამ თან სინდისიც ქენჯნიდა. მან იცოდა, რომ შევქი ბეის ქორწინება დასრულებული იყო, მაგრამ მის ცოლს მაინც პატივს სცემდა.

"გთხოვ, ამის გამო ხელს ნუ მერავ, ფურეია", - უთხრა შევქი ბეიმ. "ეს ქორწინება ჭეშმარიტი გაგებით მრავალი წლის ნინ დასრულდა. ჩვენ უკვე დიდი ხანია მეგობრები ვართ. თუ შეიძლება, უფლება მომეცი, შენს სიახლოვეს ვიყო. ჩემი ასაკოვანი სულისთვის შენ ელექსირივით ხარ. შენი არსებობა სიცოცხლის ხალისს მჩატებს."

ფურეას არ შესწევდა ძალა, ნინააღმდევობა გაეწია. ამ სიახლოებით თითქოს თავადაც სულიერ საზრდოს იღებდა. დარწმუნებული იყო, რომ, თუ შევქი ბეისთან პლატონური ურთიერთობა ექნებოდა, ამით ზიანს არავის მიაყენებდა. ფურეიას ვინმესთან დარდის გაზიარება სწყუროდა, შევქი ბეი კი მის ირგვლივ მოფარფატე ფარვანას ჰგავდა. ეგ იყო და ეგ!

1945 წლის შემოდგომაზე ფაპრუნისამ რალის აპარტამენტში პერსონალური გამოფენის მოწყობა გადაწყვიტა. აღფრთოვანებული ფურეია დასახმარებლად მაშინვე დეიდასთან გაჩნდა. გამოსაყენი ნახატები ცალ-ცალკე დააჯგუფეს, სახელოსნოდან რალის აპარტამენტში გადაზიდეს, ჩარჩოებში ჩასვეს. ეს ფაპრუნისას პირველი პერსონალური გამოფენა იქნებოდა, ამიტომ დიდ მონდომებას იჩინდნენ. სამზადისში ჩართული ფურეია რალის აპარტამენტში რჩებოდა. ფაპრუნისამ მშვენიერი ტილოები შექმნა, რომელთა უმრავლესობა იმპრესიონისტულ და კლასიკურ ხასიათს ატარებდა. სტამბოლის მეჩეთების ინტერიერი, ნავსადგურები, ნავები და მენავეები... ყველა ნახატი საოცრად ფერადი და მეტყველი იყო.

ერთხელ, დილით, რალის აპარტამენტში ფაპრუნისასთან ერთად ნასაუზმევს სიგარეტს ეწეოდა.

"შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი, ფურეია", - უთხრა დეიდამ.

"რაღაც ძალიან სერიოზული უნდა იყოს".

"დიახ, ძალიან სერიოზულია. არ მოგეწონება, მაგრამ მაინც  
გეტყვი".

"ნუ მანერვიულებ, რამე პრობლემა გაქვს?"

"მაქვს. პრობლემა შენ ხარ, ფურეია".

"რის თქმა გინდა, ნისა?"

"ვხედავ, შენს ცხოვრებაში, გარდა მშვენიერი წვეულებებისა,  
დილამდე ბანქოს თამაშისა და მდიდრულ კაბებში სეირნობისა,  
სხვა აღარაფერი დარჩა. ამას კიდევ რამდენ ხანს აიტან? რაღაცის  
კეთების დრო აღარ დადგა?"

"ფაპრუნისა, რას ამბობ? ბანქოს ჩემი ქმარი თამაშობს. მე გა-  
ზეთში ვნერ სტატიებს, "ვათანის" ხელოვნების გვერდის მიმომ-  
ხილველი ვარ."

"ეს მხოლოდ მოყვარულთა საქმეა. ხელოვნებას სერიოზულად  
უნდა მიუდგე".

"თავი მომაბეზრა მთელი ჩვენი ოჯახის ხელოვნებით გატაცე-  
ბამ. განა აუცილებელია, ყველა ხელოვანი გამოვიდეს? ყველა  
აუცილებლად უნდა ხატავდეს, როიალს ან ვიოლინოს უკრავდეს,  
რომანს, მოთხრობებს წერდეს? თუ არა და, ადამიანად არ ჩაითვ-  
ლება?"

"ფურეია, ცხოვრებას კალაპოტი მოუძებნე, ამას შენი კეთილ-  
დღეობისთვის გეუბნები.".

ფურეია წამოდგა და თავისი ოთახისკენ გაემართა. უკან შირინი  
დაედევნა: "ფურეია, რატომ ტირი?" - ჰკითხა.

"არ ვტირი, ჩემო შირინაკი. თვალებში თამბაქოს კვამლი ჩამივი-  
და".

"არაფერიც, განა ეს ცრემლი არ არის?" - თქვა ბავშვმა და ფუ-  
რეიას ლოყაზე ჩამოგორებულ წვეთს თითით შეეხო.

გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ფურეიამ თავი  
შეუძლოდ იგრძნო. ისე გადაიღალა, ფეხზე ძლივსლა იდგა. გამო-  
ფენის დღეს სიცხემ აუნია. მაგრამ დალაქთან წავიდა, მაკიაჟი გაი-  
კეთა და ფაპრუნისასთან ერთად სტუმრების მიღებას შეუდგა.

როდესაც ქილიჩ ალი ერენქოიდან მოვიდა, გამოფენაზე უკვე  
ხალხმრავლობა იყო. ბოლო კვირა ფურეიამ რალის აპარტამენტში  
გაატარა, ქმარს მხოლოდ ტელეფონით ესაუბრებოდა. ქილიჩ ალიმ

ცოლს დაუწყო ძებნა. ფურეია ფანჯარასთან ვიღაცას ესაუბრებოდა. იქით გაემართა.

"ფურეია, რა მოგივიდა! თვალები გიპრიალებს. სიცხე ხომ არ გაქვს?"

"ჴო, ალბათ, გრიპი მაქვს", - მსუბუქად უბიძგა ქმარს, რომელ-საც მისი ჩახუტება უნდოდა. "არ მაკოცო, ქილიჩ, შენც გადაგედება".

"რამდენი ხანია, რაც ასე ავად ხარ?"

"ერთი ორი დღეა შეუძლოდ ვარ. ამ დილით სიცხემაც ამინია".

"შიგნით შედი და დაწერი. სახლში ნასვლისას შემოგივლი და ტაქსით ნავიდეთ, თორემ გემზე უარესად გაციცდები".

"ნუ დელავ. არც ისე ცუდად ვარ, როგორც გამოვიყურები. ეს უფრო დალლილობაა. იქნებ, ერთ ჭიქა რაქი მომიტანო".

"ხელები გიხურს. ცოტა ხანში სახლში ნავიდეთ", - უთხრა ქილიჩ ალიმ.

"რამდენიმე კვირაა დღევანდელი დღისთვის ვემზადებოდით. სანამ უკანასკნელი სტუმარი არ დატოვებს აქაურობას, არსადაც არ ნავალ! გამოფენისთვის დიდი ჯაფა გავნიე. თანაც, მაინტერესებს როგორ გაიყიდება", - თქვა ფურეიამ.

გამოფენა მართლაც შთამბეჭდავი იყო. ნახატების უმეტესობა გაიყიდა. პრესამ არნახული ინტერესი გამოიჩინა. გამოფენას სტამბოლის თითქმის ყველა ცნობილი მხატვარი, მნერალი, ურნალისტი, მაღალი საზოგადოების ყველაზე ცნობილი სახეები, ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნები ესწრებოდნენ. მათ შორის იყო ცნობილი მნერალი იაშარ ქემალი.

გამოფენა რომ დასრულდა, ფურეიამ დეიდამისის საძინებელ ოთახში გონება დაკარგა. ის მაშინვე თეშვიქის კლინიკაში გადაიყვანეს.

მეორე დღეს ფურეიას ჭლექის დიაგნოზი დაუსვეს.

## ფლები, ძარცვა და სიკვდილი

ზამთარში ფურეია თევფიქ სამი ფაშას მეთვალყურეობით მკურნალობდა. ექიმმა ურჩია, ზაფხული სუფთა პაერზე გაეტარებინა. ამიტომ ბუიუქადის მნერვალზე, ფიჭვნარში პატარა სახლი იქირავეს. ფურეია მთელი დღეები იწვა, გარეთ გასვლა ერთი-ორი საათით თუ შეეძლო. დედის გამოგზავნილი ნოყიერი სადილის გარდა, ყოველდღე რძეს სვამდა, ახალ კვერცხს, ბევრ ბოსტნეულს, ხილს და ხორცს მიირთმევდა. მისი ერთადერთი გასართობი ფიჭვნარში ნოლა, კლასიკური მუსიკის მოსმენა და ნიგნის კითხვა იყო.

დასვენება საათობით გრძელდებოდა და ამდენად, ფურეიას ფიქრის დროც თავზე საყრელად ჰქონდა. "ხედავ, ფურეია, ხელოვნებით რომ არ დაინტერესდი, ზუსტად გამოფენის გახსნის დღეს გახდი ავად. ეს ღმერთის ნიშანი იყო", - უთხრა დეიდამ. ასე იყო თუ ისე, ფურეიამ დაიჯერა. გულის სილრმეში საოცრად ენატრებოდა ხელოვნებისეუნ მიბრუნება. ზევიდან რაღაც ხმა ხომ დასძახოდა: შენი ცხოვრება სხვანაირად წარმართე, რამე საქმე გამონახეო. იქნებ, შევქი ბეისთან რომანტიკული ურთიერთობისთვის სჯიდა ღმერთი. ამაზე ფიქრისას ტანში ურუანტელი უვლიდა, თუმცა ამ საქმეში უცოდველი იყო. ალბათ, ასაკოვან ქალს, რომელსაც სილამაზე და ახალგაზრდობა უკან მოეტოვებინა, დიდ ტკივილს აყენებდა თავისი ქმრის ახალგაზრდა ქალით გატაცება. თავად ისევ საბაჲათინის ცოლი რომ ყოფილიყო და ერთ დღესაც ემინე ხანუმის ადგილას აღმოჩენილიყო, ფიქრობდა, რომ ძალიან დაიტანჯებოდა. ზუსტად იმ დღეს მის მოსანახულებლად მოსულ აღიერებული სუთხრა:

"იცი რა, ჩემო კარგო, ცოლ-ქმარს შორის ასაკში მართლაც ძალიან დიდი სხვაობა უნდა იყოს. ჩვენი ბებიები სწორად იქცეოდნენ, როდესაც ასაკით უფროს მამაკაცებს მიჰყვებოდნენ ცოლად. როცა მოხუცდებოდნენ, მათ ქმრებსაც უკვე სხვებისკენ გახედვის თავი აღარ ჰქონდათ".

"ეს იმიტომ, რომ, როდესაც ბერდებოდნენ, მათი ქმრები უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყვნენ, " - უპასუხა ალიემ - "შენს უკვე ქმართან ასეთი პრობლემა არ გექნება, ანუ ქილიჩ ალიზე უკვე უერ იეჭვიანებ".

"ალიე, დაგავიწყდა, რომ ჭლექიანი ვარ? რომელი უფრო ადრე ნავალთ ამ ქვეყნიდან, ჯერ კიდევ გაურკეველია".

"აჱ, ფურეია, დედაშენმა ისე გამოგვება, რომ, ასე თუ გააგრძე-ლე, ჭლექი კი არა, ნაწლავების გადახლართვა მოგელავს ან კუჭი გაგისკდება".

ფურეიას სიცილი აუტყდა. რაც უნდა იყოს, ოჯახში ყველაზე მეტად მაინც ეს გიუმაური დეიდა უყვარდა. ყველაზე მძიმე დღეებშიც კი შეეძლო მისი გამხიარულება. საუბრისას ერთი თემიდან მე-ორეზე გადახტებოდა, მოუხედავად ასაკისა, ნათელი სახითა და გა-ოცებული მზერით მაინც ბავშვს ჰგავდა. ჭირვეული, თავქარიანი, მაგრამ მაინც მხიარული ბავშვი იყო.

ალიემ ფურეიას სასთუმალთან მდგარ ვარდებს გადახედა.

"ფურეია, ეს ბალის ყვავილები არ უნდა იყოს. შევქი ბეიმ ხომ არ გამოგიგზავნა?"

"დიახ".

"ყოველდღე ვარდებს გიგზავნის?"

"ალიე, თუ ასე მოგწონს, ბერგერს ვეტყვი, ზოგჯერ შენც მოგი-ტანოს ხოლმე."

"მიპასუხე. ყოველდღე გიგზავნის?"

"ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს".

"მერედა, შენი ქმარი არაფერს ამბობს?"

"ასე თქვა, ამ კაცს ალბათ ვარდების ორანუერეა აქვსო."

"არ ეჭვიანობს?"

"ალიე, რა აქვს საეჭვიანო? ჩემი დაავადებული ფილტვებით გა-ნა ფლირტის თავი მაქვს? მას ჩემზე მეტად უხარია, მე თუ ვინმე მა-სიამოვნებს".

"ხნიერი და ლიპიანი კია, მაგრამ მართლაც კარგი ხასიათის ქმა-რი გყავს. შენი ფასი იცის". - უთხრა ალიემ.

ფურეიამ იცოდა ქმრის ფასი. ათათურქის გარდაცვალების შემ-დეგ ძალიან ბევრს ეგონა, რომ ფურეია და ქილიჩ ალი გაშორდე-ბოდნენ. თუმცა, მათ უამრავი ხალხი განაცვიფრეს და ცხოვრებას

ზომიერ სიყვარულსა და პატივისცემაში განაგრძობდნენ. ახალ-გაზრდა ცოლის ავადმყოფობაში ქილიჩ ალი მეტად დაამწუხრა და მისი მურნალობისთვის ყველაფერი იღონა. ავადმყოფობის პერი-ოდშიც კი ფურეიი სახლში ქმრის მეგობრებს იწვევდა, რადგანაც შიშობდა, შენ ჯდომა ქილიჩ ალის არ მოგეზრებოდა და კვლავ დეპ-რესიაში არ ჩავარდნილიყო.

1946 წელს ახალი პარტიის ჩამოყალიბდა. დემოკრატიული პარ-ტიის დამფუძნებელთა შორის ქილიჩ ალის უამრავი მეგობარი ჰყავდა, რომელთაც პარტიაში განევრიანება და აქტიური თანამ-დებობა შესთავაზეს, მაგრამ ქილიჩმა ყველა ნინადადება უარყო და დემოკრატებთან მხოლოდ მეგობრობას ინარჩუნებდა.


დემოკრატიული პარტიის ლიდერები - ფუათ ქოფრული და რე-ფიქ ქორალთანი - ხშირად მოდიოდნენ და პოეტს თანაშობდნენ. მათ გარდა, ფაპრეთთინ ალთაი და იზეთ ფაშებიც სტუმრობდნენ. ფურეიი ზედა სართულზე, თავის ოთახში ნიგნს კითხულობდა და მუსიკას უსმენდა, ისინი კი ქვევით ბანქოს თამაშობდნენ. პატარა სახლი ხალხმრავლობას ვერ იტევდა და ასეთ შემთხვევებში სანა-პიროზე ფუათ ქოფრულუს ძმის სახლში ჩადიოდნენ. ფურეიის სი-სუსტის მიუხედავად ზაფხული მხიარულად გადიოდა.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ფურეიის და ქილიჩ ალის კუნ-ძული ერთხელაც არ დაუტოვებიათ. სექტემბრის დამდეგს საკონ-ტროლო რენტგენის გადასაღებად სტამბოლში უნდა გამგზავრებულიყვნენ. პრილის შემდეგ ფურეიის პირველად უნდა ჩაეცვა კოსტიუმი. გარდერობიდან ქვედაბოლო გამოიღო, ჩაიცვა და შეჰკივლა. შეკვრა შეუძლებელი იყო. აბრეშუმის კაბის ჩაცმა სცადა. ბოლოს ფარ-ხმალი დაყარა.

"ქილიჩ, მგონი, სტამბოლში ვეღარ წავალთ. ვეღარაფერში ვე-ტევი", - დაუძახა ქმარს.

"რა თქმა უნდა, ვერ ჩაეტევი, სულ ცოტა, ათი კილო მაინც მოი-მატე". - მიუგო ქილიჩ ალი. "ისევ ის ტილოს ქვედაბოლო და ფარ-თო ბლუზი ჩაიცვა. ჩემო ძვირფასო, შენს გარდერობს განვაახ-ლებთ. წავედით".

ფურეიიმ ოხვრა-კვნესით ჩაიცვა. ცოლ-ქმარმა დაღმართი ჩაი-არა და გზაზე გავიდა, სადაც ეტლი ელოდათ. ის იყო, უნდა ჩამსდა-რიყვნენ, რომ:



"აჲ, ფულის ნამოლება დამვიწყნია. შენ ჩაჯექი, მე კი ახლავით და დაეპრუნდები", - უთხრა ქილიჩ ალიმ ცოლს. ქილიჩ ალის შეაგვიან-ზოგი და. ფურეია აღელდა. უეცრად ქილიჩ ალი გამოჩნდა, მორბოდა. სახე ანითლებული ჰქონდა.

"სკივრის გასაღები შენ გაქვს?" - ჰეითხა ცოლს.

"არა. გასაღები მე არ მაქვს".

"კარგად დაფიქრდი, ფურეია".

"ქილიჩ, ის გასაღები მუდამ შენ გქონდა. რატომ უნდა ამელო?"  
ქილიჩ ალის ანითლებული სახე გაფითრებოდა.

გულნასულივით დაენარცხა ტროტუარზე.

"რა მოხდა, ქილიჩ? რა ხდება, ღვთის გულისთვის? სკივრის გასაღები მუდამ განჯინის გასაღებებთან ერთად არის. იქ ნახე?"

"ვიღაცას სკივრიდან ყუთი ამოულია".

"რააა!"

"ყუთი არ არის, ფურეია, აღარ არის!"

ფურეიაც სულ გაფითრდა. "ალბათ, ნერვიულობისგან ვერ დაინახე, ქილიჩ, ახლა მე ნავალ და ვნახავ".

"არა, იჯექი, ჩემო გოგო, სკივრი ზუსტად სამჯერ თავიდან ბოლომდე დავცალე და ისევ ჩავანყვე. ყუთი გამქრალია".

ყუთთან ერთად მთელი ოქრო, ფული, ობლიგაციები და ფურეიას სამკაულებიც გამქრალიყო. ახლა კი ცოლ-ქმარს ჯიბეში მხოლოდ სტამბოლში გასამგზავრებელი ხურდა ფულილა დარჩენოდა. ვერ დაეჯერებინათ თავს დატრიიალებული უბედურება და გაოგნებულები ისხდნენ, ერთი - ტროტუარზე, მეორე კი - ეტლში.

ქილიჩ ალის შუბლზე ცივი იფლი ასხამდა. კრიჭა შეკვროდა. ნაცრისფერი ედო. ცახცახებდა. ფურეიას შეეძინდა, ცუდად არ გამხდარიყო.

"თავი ხელში აიყვანე, ქილიჩ - ქონება დავკარგეთ, სული კი არა. რაღაც გამოსავალს ვიპოვით. აბა, ადექი, გაიყინები. ეტლში ჩაჯექი და პოლიციაში წავიდეთ", - უთხრა ფურეიამ.

"აღარაფერი დაგვრჩა, ფურეია, სულ აღარაფერი. ნულზე დავრჩით. ნულზე... ნული. ნული. ნული. ნული".

ლამის ჭკუდან შეშლილი ქილიჩ ალი და ფურეია, რომელიც ექვსი თვის შემდეგ პირველად გამოვიდა ამხელა გზაზე, პოლიციის განყოფილებაში მივიდნენ. მხოლოდ მაშინდა აღიქვა ფურეიამ ამ

მოვლენის მთელი საშინელება.

ომიანობის წლებში შესაძლო იყო სტამბოლი ოკუპანტთა ხელში დარჩენილიყო. ამის შეშით ქილიჩ ალიმ თავისი იბლიგაციები ოქ-როზე და ფულზე გადაცვალა. რაც არ უნდა მოშხდარიყო, მაინც მის ხელში იქნებოდა - შინ, სკივრში ინახავდა. კუნძულზე სანამ გადმოვიდოდნენ, ფურეია ქმრის დარნმუნებას შეეცადა, თავისი ოქროულობა ბანკში რომ შეენახა. მაგრამ იმ ადამიანებისთვის, ვი-საც ანატოლიისა და სტამბოლის ოკუპაცია ჰქონდა გამოვლილი, ბანკის ნდობა იოლი საქმე არ იყო. ბანკი შესაძლო იყო ერთ ლამეში დაკეტილიყო და ოქროც და ფულიც ერთიანად დაეკარგათ. ამიტო-მაც ქილიჩ ალიმ მთელი ფული და ოქროულობა ფურეიას სამკაუ-ლებთან ერთად სადაფის ყუთში მოათვასა, სკივრში ჩადო და კუნ-ძულზე თან წაიღო.

ალელვებულმა ცოლ-ქმარმა პოლიციას მიმართა.

"ხომ გეუბნებოდი? ხომ გთხოვდი, ასე არ შეიძლება-მეთქი? რა-ლაც ნანილი ბანკში ჩავდოთ-მეთქი. ახლა კი ჩემი ძეირფასეულო-ბაც აღარ დაგვრჩია. ახლა რა ფულით უნდა ვიმკურნალო? შენი სი-ჯიუტის გამო ჩემი სიცოცხლე სასწორზეა," - არ ცხრებოდა ფუ-რეია.

"ნუ გამაგიუე, ფურეია! შენი სამკაულების წამოლება თავადვე ისურვე. განა არ ამბობდი, მთელი ზაფხული კუნძულზე ვიქნებით და თან მქონდესო?"

"შენც დამეთანხმე... იქნებ, კლუბში მოგვიხდეს წასვლა და გაი-კეთებო, - არ ამბობდი?"

"ვიფუირე, რომ კარგად ჩაცმა და მოკაზმვა გაგახარებდა. ამის გამო მადანაშაულებ?"

დროდადრო პოლიციის უფროსი შემოდიოდა: "ბატონებო, რაც მოხდა, მოხდა. ახლა გეყოფათ. ეჭვმიტანილთა სახელები მითხა-რით, რომ ცოტა ხანში საქმე დავიწყო. თქვენს სახლში წამსვლელ-მომსვლელები - მოსამსახურეები, ისტატები, მეგობრები..."

"მეგობრები?" - იკითხა ქილიჩ ალიმ, "ჩვენი მეგობრები ასეთ რამეს არ იკადრებენ."

"ეს გასაარკვევია, ბატონო".

"არ იკადრებენ-მეთქი, შვილო,... ჩემი ვარაუდი შენი საქმე არ არის"

ფურეიამ იგრძნო, რომ საუბარში უნდა ჩარეულიყო: "ბატონო  
პოლიციელო, ჩემი ქმარი შეკვეთია. აპატიეთ. ყველაფერი დავკარვებ  
გეთ... ყველაფერი... ყველა..."

უცბად საშინელი რეალობის პირისპირ აღმოჩნდნენ. ქილიჩი  
მართალი იყო. პოლიციის განყოფილებიდან რომ გამოვიდნენ,  
ნულზე იყვნენ. თვის დასაწყისში ქირის გადასახდელი ფულიც კი  
არ დარჩენდათ. ერთადერთი იმედად ნაქურდალის პოვნალა რჩე-  
ბოდათ.

\*

კუნძულის სახლი ორსართულიანი იყო. ქვევით სასტუმრო ოთა-  
ხი და სამზარეულო იყო, ზედა სართულზე კი - ერთმანეთში გამა-  
ვალი ორი ოთახი. ერთ ოთახში ქილიჩი ალი ინვა. სკივრი კი ფურეი-  
ას აივნიან ოთახში იდგა. ერთ ღამეს სახლში სტუმრები იყვნენ. ქვე-  
ვით ბანქოს თამაშობდნენ. თორმეტი საათისთვის ფურეია თავის  
ოთახში ავიდა და დაწვა. ერთხანს თვალები გახელილი ჰქონდა და  
დაინახა, როგორ შეირხა აივნის ნინ ლელვის ხე. იფიქრა, ქარბუქი  
ამოვარდაო. ადგა და აივანზე გავიდა. საოცარია, მაგრამ ქარი არ  
ქროდა, ფოთლები არც კი იწეოდა. როგორც ჩანს, ქურდი მაშინ  
შემოვიდა, როცა ფურეიას ჩაეძინა და სკივრიდან ყუთიც მაშინ  
ამოილო.

ვის შეიძლება სცოდნოდა სკივრში სადაფის ყუთი რომ იდო?

მოსამსახურე ქალის ქალიშვილსაც ჭლექი სჭირდა. ამიტომ ფუ-  
რეია მასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობდა, მუდამ ეხმა-  
რებოდა. მიუხედავად ამისა, იქნებ მოსამსახურის ვაჟიშვილი იყო  
ოხერი? ან, იქნებ ვინმეს ქილიჩი ალის მოგონებების მოპარვა სურ-  
და, ფურეიას ხვენნა-მუდარით რომ დაწერა ამას ნინათ? უამრავი  
კითხვა უჩინდებოდა, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა.

ფურეია და ქილიჩი ალი იმედებს მხოლოდ მათ ხელში არსებულ  
უძრავ ქონებაზე ამყარებდნენ. პარლამენტარი რომ იყო, ქილიჩი  
ალიმ ერთი სომეხი ვაჭრისგან ზეთსახდელი ფაბრიკა შეისყიდა,  
მაგრამ შეეშინდა, არ ეთქვათ, ათათურქის გარემოცვა თანამდებო-  
ბას ბოროტად იყენებსო, და სიძის სახელზე გააფორმა. ფაბრიკას  
სიძე მართავდა. ანგარიში არასოდეს მოუთხოვია ქილიჩი ალის. ფუ-  
ლი არ სჭირდებოდა. ქილიჩი ალის დედა და დის ოჯახი ამ ფაბრიკის

შემოსავლით ირჩენდა თავს. დროდადრო ზეითუნის ზეთს უგზავნიდნენ პატრონებს.

პირველად ანგარიში რომ მოითხოვა, ქილიჩ ალიმ კიდევ ერთი შოკი გადაიტანა მაშინ. შენ ამ ფაბრიკაზე არანაირი უფლება არ გაქვს. აქაურობა ჩვენზეა რეგისტრირებული. ამ ფაბრიკას ქვეყნის ფული დავახარჯეთო, - უთხრეს.

ქილიჩ ალის ეგონა, გაგიუდებოდა. უსიამოვნებათა ჯაჭვი არ წყდებოდა. ადვოკატებისა და მოლაპარაკების წყალობით, რის ვაი-ვაგლახით შეძლო მორიგება და იმდროინდელი ფულით დისგან ორმოცდაათი ათას ლირამდე მოიპოვა.

ცოლ-ქმარი თავს დატეხილმა უბედურებამ საშინლად დათრგუნა. ქილიჩ ალიმ გადაწყვიტა, პარიზში დასახლებულიყო და კომერციისთვის მოეკიდა ხელი. ფურეიას პარიზი რამდენიმე წელი არ ენახა. სიხარულისგან დაფრინავდა. თვეების მანძილზე სანოლს მიჯაჭვული პარიზში შეძლებდა დარდის გაქარვებას. კონცერტებსა და თეატრებში ადგილები დაჯავშნა. არაჩვეულებრივი გამოფენები იყო. ყველაფრის ნახვა სურდა. ვერც ერთ კაბაში ვეღარ ეტეოდა, ახალ ტანსაცმელს შეიძენდა. ასეთ ფაციფუცში იყო და, ქმარს რომ არ დაეჩემებინა, აქამდე მოგვიღწევია, ბარემ ექიმსაც ეჩვენეო, ყველაფერი მართლაც საუცხოოდ იქნებოდა. ფურეიამ ქილიჩ ალის ხათრი ვეღარ გაუტეხა, ექიმთან მიღებაზე ჩაეწერა და... ცათავზე ჩამოექცა...

ასეთი მეთვალყურეობის, კვებისა და დასვენების მიუხედავად, ფურეია არ განკურნებულიყო. საფრანგეთში გადაღებული რენტგენის სურათი ძალზე ცუდ შედეგს აჩვენებდა. სენი კვლავ ძლიერდებოდა.

ექიმის რჩევით, საფრანგეთის მთიან კურორტზე თხეთმეტი დღით დარჩენ, ავადმყოფ ფილტვებს სუფთა პაერი ესაჭიროებოდა. ქილიჩ ალი ამ ხნის განმავლობაში ცოლს უვლიდა. შემდეგ პარიზში დაბრუნდნენ და ექიმს მიაშურეს.

"ასე არ შეიძლება, მადამ ქილიჩ, სანატორიუმში ხანგრძლივი მკურნალობა გეხაჭირობათ."

"მაგრამ მე ხომ დიდი ხანი გავატარე მთაში, როგორც კუნძულზე, ასევე საფრანგეთში!?"

"ამ საქმისთვის დასვენება არ კმარა," - სიტყვა მოუჭრა ექიმმა, "შეეიცარიაში ჩემ მიერ მითითებულ სანატორიუმში იმკურნალებთ. დიდი დრო დაგჭირდებათ, ერთი ან ორი წელი, მკურნალობასა და დასვენებას ერთმანეთს შეუთავსებთ. განკურნებაზე საუბარს მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ."

"ახლავე უნდა დავწვე? ნუთუ არ შეიძლება, სამშობლოში დავპრუნდე და ოჯახის ნევრები ვნახო?"

"წადით, ოჯახი მოინახულეთ. ეცადეთ, არ გადაიღალოთ და წამლების მიღება არ შეწყვიტოთ. მაგრამ შემდეგ სანატორიუმშიც უნდა წახვიდეთ."

"ზაფხულის ბოლომდე კუნძულზე დარჩენა მინდა."

"თუ ასეა, სექტემბრის ბოლოსთვის თქვენთვის ადგილს დავკავში".

ქილიჩ ალი და ფურეია პარიზიდან სტამბოლში იმედგაცრუებულები დაბრუნდნენ. ქილიჩ ალი იძულებული გახდა, მიემართა მმართველთა საბჭოსათვის, რომელსაც ამ დღემდე ზურგს აქცევდა. მადლობა ლმერთს, მთავრობაში უახლოესი მეგობრები ჰყავდა, ვისაც მისთვის დახმარების განევა შევძლო. ცოლ-ქმარს წინ რთული გზა პერინდა გასავლელი. ეს გზა ნლები გრძელდებოდა. ფურეია არაფრით არ უნდა დანებებოდა ჭლექს.

სტამბოლში დაბრუნებიდან სულ მცირე ხანში ოჯახს კვლავ ახალი ტრაგედია დაატყდა თავს.

ფურეია იმ ღამეს დედასთან რჩებოდა. მეორე დღეს კუნძულზე ბერგერთან უნდა ნასულიყვნენ და ევროპის ტურნესთვის მომზადებული რეპერტუარი მოესმინათ.

ალიე და ბერგერი ოცნლიანი ბობოქარი სიყვარულის შემდეგ ბოლოს და ბოლოს დაქორნინდნენ. მრავალი წლის წინ პოლიტიკური მიზეზებით ქვეყნიდან დევნილმა შარლ ბერგერმა თურქეთს შეაფარა თავი და მას შემდეგ მთელი ცხოვრება სურიე პასაჟის სახლში ვიოლინოს გაკვეთილებს ატარებდა. იმ დღეს ფურეიასთვის გაკვეთილის ჩასატარებლად კუნძულზე ნასულმა ალიე გაიცნო. ერთ-

მანეთი სიგიურემდე შეუყვარდათ და ასევე საშინლად ტანჯავდნენ ერთმანეთს. მაგრამ მაინც კერ შორდებოდნენ. ალიემ ბერგერის საყვარელს ესროლა, საკუთარი თავი და ოჯახი შეარცხვინა. ამასაც არ დასჯერდა, ბერგერი ულუკმაპუროდ დატოვა. სკანდალში გახვეულ კაცთან არავის სურდა ბავშვების, განსაკუთრებით კი გოგონების მიბარება. თუმცა ბერგერი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, ალიეს მაინც პატიია.

ალიემაც მთელი სიცოცხლე მას მიუძღვნა. მიუხედავად ოჯახის, მეგობრების, ნაცნობებისა და მთელი სტამბოლის დამამცირებელი მზერისა და ჭორებისა, წლების განმავლობაში მას მალულად ხვდებოდა. მაგრამ ბერგერი, ალიეს გარდა სხვებთანაც აბამდა სასიყვარულო კავშირებს. ერთად ცხოვრება ახალდანყებული ჰქონდათ, ახალგაზრდა სომეხი ქალისგან ვაჟის მამა რომ გახდა. ალიემ ესეც მოითმინა.

უამრავი რამ გადაიტანეს ერთად, ბოლოს კი დაქორწინდნენ. ქორწინების ცერემონია შაქირ ფაშას პეარტამენტში შედგა. ალიე გაუჩერებლად ტიროდა. ბერგერი ოჯახის ხათრით გამაპმადინდა. კუნძულზე ფიჭვნარში ჩაფლულ პატარა სახლში გადავიდნენ, აქედან მონასტრის ხედი იშლებოდა. იმ პერიოდში უნგრეთის ხელი-სუფლებაში ბერგერის უახლოესი მეგობრები მოვიდნენ. ახლა ცოლ-ქმარი წელებზე ფეხს იდგამდა და ბერგერის ევროპული ტურნესთვის ფულს აგროვებდა. ტურნე უნგრეთიდან უნდა დაწყებულიყო. ბერგერი ოცდახუთი წლის განშორების შემდეგ თავის სამშობლოს კვლავ იხილავდა. უზომოდ ბედნიერები იყვნენ. ალიე ფიჭვნარში ჩამალულ პატარა სახლს ჩიტის ქუდეს ამსგავსებდა. ამ ბუდიდან ჩიტების ჟღურტულთან ერთად მთელი დღეები ბერგერის ვიოლინოს პანგები იღვრებოდა.

"როცა უნგრეთში ნავალთ, შენ ბუდაპეშტის ყველაზე ლამაზი ქალი იქნები. ალიე, უნგრელები შეგიყვარებენ, - უუბნებოდა ბერგერი, - "ყველაზე ლამაზი ქუდები ნამოიდე, ქუდი ძალიან გიხდება".

როცა ალიე მონაფის მოტანილ ფულს ყულაბაში დებდა, მას ეყითხებოდა, შევძლებ კი, გამგზავრებამდე ახალი ქუდის შეძენას?

"თუ ყიდვა გინდა, იჩქარე. ამ თვის ბოლოს მივდივართ. ერთი

კვირის შემდეგ ადგილი უნდა დავვაკვშნო, აღიე. კონცერტი ოქტომბრის ათში იქნება. მაგრამ ჩვენ უფრო ადრე ნავიდეთ. „უამრავი უნდა გაგაცნო, უამრავი რამ უნდა გაჩვენო”, - უუბნებოდა ბერგერი. ოცდახუთი წელია, შორს იყო სამშობლოსგან. ზოგჯერ, ღამ-ღამობით აღელვებისა და სიხარულისაგან ვერ იძინებდა.

“ფურეიას შეატყობინე, ჩემს რეპერტუარს მოუსმინოს. მის გე-მოვნებას ვენდობი”, - უთხრა აღიეს.

“უკვე ვაცნობე, ხვალ ჩამოდის”.

სექტემბრის თბილი საღამო იდგა. სახლში ცაცხვის საამო სურნელი იფრქვეოდა. “საიდან მოდის ეს მშვენიერი სურნელება?” - ჰერთხა ფურეიამ დედას.

“უკან ცაცხვის ხე დგას.”

ტელეფონმა დარეკა.

“ღმერთო, შენ გვიშველე, ამ დროს ვინ რეკავს? ფურეია, ყურმილი აიღე,” - უთხრა ჰაკიე ხანუმმა.

ფურეიამ ყურმილი აიღო.

“ალო, დიახ, ეს არის... რა? მე მისი შეილიშვილი ვარ. რა მოხდა?”

“რა ხდება? რა არის?” - ეკითხებოდნენ მშობლები.

“ერთი წუთით გაჩუმდით, კუნძულის უანდარმერიიდან რეკავენ, არ მესმის. დიახ... დიახ... როდის?” ყურმილი ხელიდან გაუვარდა. მშობლებს გადახედა, გაფითრდა.

“უანდარმერიიდან დარეკეს.”

“რა თქვეს?” - ჰერთხა მამამ.

“შექირ ფაშას სიძე ნავსადგურთან მომკვდარა.”

\*

ფურეია ჩაიმუხლა. მამა ფეხზე წამოდგა, კანკალებდა.

“მამა, ფრთხილად იყავით, გთხოვთ. რას აკეთებთ? ახლა ცუ-დად გახდებით”.

“მე ახლავე მივდივარ, აიშეს გვერდით უნდა ვიყო”. - თქვა დედამ.

ფურეიამ პირველად გაბედა დედასთან უხეშობა.

“არა, დედა, თქვენ აქ დარჩით, მამასთან. კუნძულზე მე და ქილიჩი წავალთ. თქვენ ხვალ ჩამოხვალთ, როცა მამა დამშვიდდება”.

კუნძულზე მცხოვრები უახლოესი მეგობრის რეზან იალმანის  
ნომერი აკრიფა.

"ჩვენთვის ადგილი მოამზადე, რეზან. ძია აპმედი გარდაცვა-  
ლა. თუ სახლში ხალხმრავლობა იქნა, შენთან დავრჩებით".

ყურმილი დაკიდა. თვალებიდან წიაღვარივით მოსდიოდა ცრემ-  
ლები. ოჯახიდან ერთი ჩიტი კიდევ გაფრინდა. კიდევ ერთი რგოლი  
გაეხსნა იმ ჯაჭვს, რომელიც მას ბავშვობასთან, ბავშვობის უდარ-  
დელ, მხიარულ და ონავარ დღეებთან აკავშირებდა. კუნძულის სახ-  
ლის ხვავით, ბარაქითა და სინატიფით ნაქარგი კიდევ ერთი სურა-  
თი გამოაკლდა მის ცხოვრებას. უეცრად შეიგრძნო ეს დანაკლისი  
და შეკრთა.



## პენტიმეტო

(ოსმანოლოუს კლინიკა)

ამ საწლიდან წამოვდგები, ყველას გავაოცებ, ყველას, ვინც უკანასკნელ გზაზე ჩემს გასაცილებლად ემზადებოდა. ადრეც გამიოცებია სხვები, როცა ავად ვიყავი, როცა პარიზში ოპერაციას ვიკეთებდი და ჩემი გადარჩენის შანსი მხოლოდ ათი პროცენტი იყო. შინაგანი ხმა ჩამძახოდა, დაიღუპებიო. აյი, ვამბობდი, ვიღაც იმქვეყნად გასამგზავრებლად ბარგს მიღავებდა... წუხელ ალიე დამესიზმრა. რა გეჩქარება, ბოლოს მაინც აქ მოხვალ. ცოტა ხანს მანდ დარჩი, გაერთეო, - მეუბნებოდა და სათითაოდ იღებდა ჩემოდნიდან ჩემს ნივთებს, რომლებიც იმ იდუმალმა ხელმა ჩაანყო. სულ ბოლოს ღუმელი ამოიღო, შეუა ოთახში დადგა და მითხრა:

"იმუშავე!"

დეიდას ნათქვამი უნდა შევასრულო. ასე იყო, როცა მან ფაპრუნისას დაუჯერა და საიქონდან მობრუნდა. მეც დავუჯერებ ალიეს და სააქაოს დავუბრუნები, ვიმუშავებ.

სიკვდილი! სიკვდილი ჩემთვის უცხო არ არის. ბაბუაჩემი ბუნდოვნად მახსოვს, პატარა ფარუქს დიდხანს დაუტიროდი, ათათურქის გარდაცვალებამ ჩემი ცხოვრება შეცვალა, მაგრამ ყველაზე ცხადად სიკვდილს სწორედ მაშინ ჩავხედე თვალებში, როცა ფილტვები დამიიდავადა. უკვე გითხარით, სიკვდილის ხსენებაზე ბერგერი წარმომიდგება თვალნინ.

ქილიჩის ნავმისადგომზე შევხვდი და საღამოს გემით კუნძულზე ნავედით. სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გავეშურეთ. კარი ლია იყო, ჯერ მე შევედი, ნინა სალონიდან ხმა მომესმა - მოგუდული, ხანგრძლივი, მნარე ქვითინი, დაჭრილი ცხოველის კენესას რომ მაგონებდა და და გულს მიგლევდა. დაუსრულებელი იყო ეს გოდება. დარბაზში შევედი, ვიღაც კუბოზე დახრილიყო. ოთახში ბნელოდა, კარგად ვერ გავარჩიე.

"დეიდა, დეიდა აიშე." მობრუნდა და შემომხედა. თმაგანენილი, თვალებამღვრეული იყო. ეს თვალებს კი არა, სისხლის გუბეებს უფრო ჰგავდა. ხელში ვერცხლისტარიანი სარკე ეჭირა. ალიე!

"გაცოცხლდება, შეხედე ფურცეია, შეხედე სუნთქვავს".

"ღმერთო, ეს ბერგერის ცხედარი ყოფილა, ბერგერი ყოფილა".

ქილიჩ ალი ჩემ უკან იდგა. ხელი შემაშელა, თორემ ნავიქცეოდი. ფეხის ხმა შემომესმა. ოთახში დეიდა აიშე, ძია აპმედი, ერდემი და ნერმიდილი შემოვიდნენ.

"ყოველგვარი ტანჯვა-ნამების გარეშე მოკვდა, არც თვითონ უწვალია, არც სხვები გააწვალა. ყველანი ამ გზის მგზავრები ვართ, ჩემი გოგონა, ალიეს ეს ვერაფრით შევაგნებინე".

"როგორ მოხდა," - იქითხა ქილიჩ ალიმ. რატომდაც ცოცხლებისთვის უალრესად მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, როგორ მოკვდა ადამიანი. ყველა დეტალს გამოიკითხავენ და დაწერილებით იხსენებენ.

"დილით ბუდაპეშტში გასამგზავრებლად ბილეთები უნდა შეეკვეთათ, ეტლი ვერ გააჩერეს და გემისთვის რომ მიესწროთ, მთელი გზა ირბინეს", - დეიდამ ხმას დაუნია და ალიეზე მიმანიშნა, "როგორც ყოველთვის, დროულად ვერ გაემზადნენ, სარაილიპანიმის სანაყინესთან მკერდში ტკივილი იგრძნო, მაშინვე შიგნით შევიდნენ, ბერგერი იატაკზე დაანვინეს. ალიემ საკინძე შეუხსნა, ცდილობდა, ბერგერისათვის სული ჩაედგა, მკლავებს უმოძრავებდა, იქნებ სუნთქვა დაინყოსო, მაგრამ უშედეგოდ."

ალიეს მიუუახლოვდი. ბერგერს თეთრი პერანგი ეცვა. კუბოს სახურავი ახდილი ჰქონდა. ვხედავდი, ბერგერი მშვიდად იყო. ალიეს კვლავ სარკე ეჭირა.

"თერთმეტი საათის შემდეგ ცხედართან დგას. სარკით ხელში ბერგერის გაცოცხლებას ელის", - მითხრა ძია აპმედმა.

"ალბათ, გაგიუდა", - ეს ერდემის ხმა იყო. შევერთი. არა, არ გაგიუებულა, ის ყოველთვის ასეთი იყო - უზომოდ მგრძნობიარე, უზომოდ იმედიანი და უზომოდ მელანქოლიური.

შემდეგ მე და ალიე ერთად ვაკვირდებოდით ბერგერს. ჩემი ცრემლები ძველი მეგობრისა და ბიძის თეთრ პერანგს ეცემოდა.

ბერგერი, ჩემი უსაყვარლესი მოძღვარი... ხელოვნება თვით სრულყოფილებაა და მისგან სანაცვლოს წუ ელიო, ასე მასნავლით და. ხუთი ნლის ვიყავი, როცა პირველად მის ნინ დავდექი და ხელში ხემი ავიღე.

"უნგრეთში მეფის ნინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა. სტამბოლში გამოქცეულა, სასახლეში მეჯით ეფენდის შვილებსა და უფლისნულებს ამეცადინებდა, ნადირ ნაფისა და რემზი ფაშას შვილებსაც ის ასწავლის, თუ გსურთ, ფურეიამ ვიოლინოს დაკვრა ისწავლოს, ბერგერზე უკეთესს ვერ იპოვით", - თქვა ბებიაჩემა.

მის ნინ ვიდექი და მუხლები მიკანკალებდა. ხელი მომჟიდა და ჩემი ხელი ვიოლინოს სრიალა ზედაპირს შეახო, მომაფერებინა. ხე არაჩეულებრივად ნაზი მეჩვენა - გამიკვირდა. კანკალმა გამიარა.

"ფურეია, ლოყა ვიოლინოს მიადე და მოუსმინე, ის მშვენიერ ამბებს მოგითხრობს", - მითხრა ბერგერმა. "შეიყვარე იგი, ფურეია, შეიყვარე, შეიგრძენი, მისი ნაწილი გახდი!"

თავად კი ალიე შეიყვარა, შეიგრძნო და მის ნაწილად იქცა. ბერგერი ამჭვეყნად ყველაზე საოცარი ფილოსოფოსი და ყველაზე საოცარი პედაგოგი იყო.

"ალიე, მოდი, საყვარელო, შიგნით შევიდეთ, წუ მაწყენინებ". მას ჩემი არ ესმის. გათენებამდე სატრფოს თავთან იდგება იმ იმედით, იქნებ გაიღვიძოს.

"ბოლო ხანს ამ კონცერტისთვის ემზადებოდა, ძალზე ღელავდა, ევროპულ ტურნეს უნგრეთიდან იწყებდა", - თქვა ძია აპმედმა.

შუალამე დადგა, ყველა დასაძინებლად ნავიდა.

"ფურეია, შენც უნდა დაწვე, დღეს მეტისმეტად დაიღალე", - მითხრა ქილიჩ ალიმ.


"მას ვერ მივატოვებ. თუ საჭირო გახდა, სალონში დავიძინებ".

"ბავშვივით წუ იქცევი, ფურეია, შენ აუცილებლად უნდა დაწვე, დაიძინო, თორემ ისევ სიცხე აგინევს, სალონში მე დავკვდები".

"თქვენ ნადით, დაიძინეთ, ალიესთან მე დავრჩები", - მითხრა ალთემურმა - ქილიჩ ალის უმცროსმა ვაჟმა.

"ფურეია, გპირდებით, ალიეს არ მივატოვებ".

დარბაზიდან გამოვედით. კვლავ არ წყდებოდა მოგუდული, შემაძრნუნებელი კივილის მსგავსი კვნესა. ისევ მივბრუნდი და დარ-



ბაზში შევიხედე. ალიე სარკით ხელში ცხედართან იჯდა. იგი ფაი-ფურის ნატიფ სამშვენისს წააგავდა.

დაკრძალვის შემდეგ შინ რომ დავპრუნდით, ალიემ ოთახში შე-მიყვანა და კარი ჩაკეტა.

"რაღაც უნდა გაჩვენო, პირობა მომეცი, რომ არავის ეტყვი".

"გპირდები".

ლენტით შეკრული ვარდისფერი ხავერდის კოლოფი მოიტანა. ნელ-ნელა შეხსნა ლენტი, კოლოფში ოქროს მონეტები იდო. ოქრო სასოლზე დაყარა.

"დავთვალე, აქ ზუსტად ორასი ოქროა".

"ძეირფასო, ეს რა არის?"

"ეს მე და ბერგერმა შევაგროვეთ. როცა მონაფეს ფული მოპ-ქონდა, თითო ოქროს ვყიდულობდი. უნგრეთში სამოგზაუროდ და ევროპული ტურნესათვის ვინახავდი".

ალიეს ვუცქერდი.

"ფურეია, ახლა ეს ოქრო ჩარლის უნდა მივცე. მინდა, შენც ჩემ-თან ერთად წამოხვიდე".

"ჩარლი ვინ არის?"

"ბერგერის შვილი".

"კარგად დაფიქრდი, საყვარელო, თუ გსურს, ნახევარი მიეცი, რაღაც წანილი შენც ხომ გეკუთვნის?"

"მთლიანად მივცემ, ის ჩემი საყვარელი მეუღლის შვილია".

"მაგრამ ის ჯერ პატარაა, ამ უსტის ვერ გაიგებს."

"როცა გაიზრდება, გაიგებს", - მითხრა ალიემ. ვიცოდი, აზრს ვერ შევაცვლევინებდი, მანამ არ მოისცვენებდა, სანამ ჩანაფიქრს არ აისრულებდა. ხელში ვარდისფერი კოლოფი დავიჭირე და სახლი-დან გავედით. როცა გვეითხეს, სად მივდიოდით, ეკლესიაში სურს წასვლა, ნუ შეაწუხებთ-მეთქი, - ვუთხარი. ორთაქოიში წავედით. ცუდად შეგვხვდნენ. ალიემ ოქრო გადასცა, უნდოდა, პატარა ბიჭს მოხვეოდა, ის კი ტირილით გარბოდა, უზარმაზარი, ღია ყავისფერი თვალები და მამასავით მგრძნობიარე სახე აქვს. ალიე ტირის, ბავშვს ეძახის. ბავშვი კი გაურბის.

"გთხოვთ, წახვიდეთ", - გვეუბნება დედა.

“ეჭ, ალიე, უფულოდ დარჩი, მთლიანად არ უნდა მიგეცა. მადლობაც არ უთქვამთ, ახლა რაღას იზამ?”

ამას გულში ვამბობ. შინ ვპრუნდებით. ალიე კონიაკის ბოთლს იღებს და თავის ოთახში შედის.

მხოლოდ ბერგერი არ გარდაცვლილა, მასთან ერთად ალიეც მოკვდა. ბერგერი კუნძულზე დაკრძალეს. ალიე კი ცოცხალ ცხედარს დაემსგავსა.

ეი, სიკვდილო, გამშორდი. ხედავ, სიზმარში ჩემოდნიდან ჩემი ნივთები ამოალაგეს და თავ-თავის ადგილზე დააწყვეს. ბორდოს-ფერი შარფი მომახურეთ. აი, ასე გავეშურები 1947 წლის შემოდგომისკენ, როცა კიდევ ერთხელ აღვდექი ფერფლიდან.

## ლეისინი

(1947 - 1949)

ფურეია ლეისინის სანატორიუმში მკურნალობდა. ეს იყო ტიპური შეეცარიული მთის კურორტი. იწვა და უცქერდა მთების მნერვალებს, რომლებზეც ნისლი ჩამონილიყო, უყურებდა ფიჭვებით მორთულ ფერდობებს, რომლებიც მზეზე ბროლივით ბრნყინავდა. ყველაფერი იმდენად სუფთა, ქათქათა და ნმინდა ჩანდა, შეუძლებელი იყო, აქ არ განკურნებულიყავი.

“თუ აქაურობამაც ვერ მიშველა, მაშინ ვერასდროს ვიქნები კარგად”, - გაიფიქრა ფურეიამ. კუნძულზეც, სადაც ხშირად სეირნობდა, ასეთი ფიჭვნარი იყო, მაგრამ იქ მუდამ ესმოდა მჩქეფარე ცხოვრების ხმაური, სუნთქვა. მუდამ მოდიოდნენ მეგობრები, საუბრობდნენ, სიგარეტს ენეოდნენ. ახლა კი, ამ ძღუმარე სითეთრეში, ბუზიც არ დაფრინავდა, იშვიათად, თეთრ სამოსში გამოწყობილ ქეთანს ნამალი მოპქონდა ან თეთრნინსაფრიანი, ლოყანითელი შეეცარიელი გოგონა შემოივლიდა ხოლმე ლანგრით ხელში. მეტი არავინ - თითქოს დრო გაჩერებულიყო.

ნეტავ, როცა წიგნის კითხვა და მუსიკის მოსმენაც მომბეზრდება, ეს თეთრი სამოთხე თეთრ კოშმარად ხომ არ გადამექცევაო, ფიქრობდა ფურეია.

თხუთმეტი დღე ფურეიასთან მნახველებს არ უშვებდნენ. ახალგაზრდა ქალი მდუმარე, თეთრ სამყაროში საკუთარ თავთან მარტო დარჩენილიყო. ყველაფერთან ერთად უსუსურობასაც გრძნობდა. ცხოვრება არარაობად ეჩვენებოდა. სიკვდილი იმდენად სწრაფად ახლოვდებოდა, რომ ადამიანის მთელი ძალისხმევა ფუჭი ჩანდა. მუსტაფა ქემალი გაახსენდა. კაცი, რომელმაც ათი მილიონი თურქი გადაარჩინა, ბედისნერას ეს ვერ გაუმკლავდა, ფურეია ოცი წელი აკვირდებოდა მის ყველა გამარჯვებას, ყველა ამბოხსა და და-

მარცხებას; აკვირდებოდა კაცს, რომელიც ცხრა წლიდან უყვარდა. ექიმებმა იგი ვერ გადაარჩინეს და ახლა ფურეიას შეელას ცდის ლობდნენ. ნეტავ, თუ უშველიდნენ? სიკედილი ფურეიასთან შეტისმეტად ახლოს იყო. რატომ?!

სიკედილმა ბერგერიც სამშობლოში დაბრუნებამდე ათი დღით ადრე წაიყვანა. ამ დაბრუნებას ხომ იგი ოცდახუთი წელი ელოდა. რატომ?!

სიკედილი ალიესაც მიუახლოვდა. ქორნინების დღეს იგი თავს უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა, რამდენიმე წლის შემდეგ კი მომაკვდავს დაემსგავსა. თითქოს, მის თმასაც დაეკარგა სიცოცხლე. მისი ქერა და ფაფუკი თმა ანენილ, გამომშრალ ჩალას წააგავდა, აღარც ცისფერ თვალებში ჩანდა ბავშვური გაოცება და სიხალისე.

დიახ, წუთისოფელი მართლაც არარაობა იყო. დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები და, თუ დღეს ყოფნა მაინც გინერია, ეს არსებობა ხალისიანი, სიცოცხლით სავსე უნდა იყოსო, - ფიქრობდა ფურეია

თავის ცხოვრებას უღრმავდებოდა, ხვდებოდა, რომ მრავალი წელი უზარმაზარ სიცარიელეში გაუტარებია. მას შემდეგ, რაც ბავშვობა დასრულდა, მუდამ შემთხვევითობის დინებას მინდობილი, გაუცნობიერებლად იღებდა გადაწყვეტილებას. მოვლენები ტალღებივით მოდიოდნენ, მასაც აიტაცებდნენ და მიჰყავდათ. ფურეიაც ყველაფერს ეგუებოდა.

თხუთმეტი დღის განმავლობაში ფურეია სრულ სიმარტოვეში იყო, თეთრად შემოსილ ფიჭვნარში სეირნობდა და ფიქრობდა. თუ ამ სენს დაძლევდა, ცხოვრებისთვის რაღაც მიზანი უნდა მოეძებნა. აუცილებლად რაღაცით უნდა დაკავებულიყო. ბავშვის გაჩენა უკავი გვიან იყო. მაგრამ ადამიანის ცხოვრებასთან დამაკავშირებელი სხვა ძაფებიც მოიძებნებოდა. ალიეს სიცოცხლესთან სიყვარული აკავშირებდა, ფაპრუნისა ხელოვნებამ იხსნა, დედამისი, ისევე, როგორც ბებია, შვილებისთვის ცხოვრობდა... მასაც უნდა მოეძებნა რაღაც, თუ იცოცხლებდა. . თუ...

თხუთმეტი დღის შემდეგ ლოყანითელმა გოგომ ოთახში თავი შემოყო:

"მნახველი გყავთ, მადამ, სალონში გელოდებათ. აქ მიიღებთ თუ ქვევით ჩამოხვალთ?"

"ვინ არის?"

"ერთი ბატონია. სახელი ვერ დავიმახსოვრე".

"ქილიჩ ალი არ უნდა იყოს", - გაიფიქრა ფურცელი. "თუ სიურპ-რიზის გაკეთება მოინდომა და აქ ჩამოვიდა, ქმარი ვარო, იტყოდა".

"თხუთმეტი წუთი დამაცადეთ, მოვემზადები, შემდეგ ზევით ამოიყვანეთ".

ფურცელი სააბაზანოში შევიდა, თმა კეფაზე შეიკრა და სახეზე ფერუმარილი ნაისვა. შემდეგ სანატორიუმში ჩასვლის დღეს ნაყი-დი ვარდისფერი ხალათი მოიცვა. სარკეში ჩაიხედა. სულაც არ ჰგავდა ავადმყოფს, ჭლექიანს. სარკეში საკუთარ ანარეკლს გაუ-ღიმა.

ამ დროს სკარზეც დააკაკუნეს.

"მობრძანდით", გასძახა ფურცელი. კარი რომ გაიღო, ჯერ ვარ-დები გამოჩნდა... გრძელი ლეროები და ვარდისფერი კოკრები.

"შევქი ბეი!"

"დიახ, ჩემო მშვენიერო".

"აქ რას აკეთებთ?"

"ერთ ძალიან ლამაზ ქალს ვეძებ".

"მობრძანდით". ფურცელი იღიმებოდა.

"არა, არა... წუ მომეხვევით, გთხოვთ, შევქი ბეი, ეს სწორი არ არის, მიკრობი..."

კაცმა ფურცელის ნატიფ სხეულზე ძლიერი ხელები მოჰსვია.

"ამხელა გზა გამოვიარე. ალბათ, სამი მეტრის დაშორებიდან არ მომესალმებით".

"მე თქვენი ჯანმრთელობისთვის..."

"ჩემი ჯანმრთელობა შენთან ახლოს ყოფნას ნიშნავს".

შევქი ბეიმ ფურცელის ყვავილებთან ერთად ნიგნები, კოლოფით შოკოლადი, რადიო და სუნამო მიართვა.

"არაჩვეულებრივი ხედია", - თქვა შევქი ბეიმ.

"დიახ, მართლაც ასეა. ეულად დარჩენილი ადამიანისთვის ერ-თადერთი ნუგეში ეს ხედია".

"ფურცელი, მარტო არ უნდა იყო."

"სხვა ავადმყოფებთან საუბარი არ მსიამოვნებს. მათთან საერ-თო არაფერი მაქვს".

"ვალდებული არა ხარ, მათ ესაუბრო, მე მესაუბრე, როგორც  
ძველად".

"აქ რამდენ ხანს დარჩებით?" - ჰელი ფურეიამ.

"სანამ აქედან არ გამოხვალ".

"შესაძლებელია, ორი წელი დავრჩე".

"მაშინ, მეც ორი წელი დავრჩები".

"შევქი ბეი!"

"ლეისინში სახლი ვიქირავე".

"ყოველთვის არ მაძლევენ მნახველთა მიღების უფლებას".

"როცა ნებას დაგროთავენ, მაშინ შეგხვდები".

"ეს სიგიურა!"

"სიყვარული ცოტათი სიგიურეს ნააგავს".

ფურეიამ ეს იცოდა. ალიესგან გაევო, რომ სიყვარული მართლაც სიგიურა.

"მე.. მე.."

"შენ მე არ გიყვარვარ. არა უშავს. ჩემი სიყვარული ორივეს გვეყოფა. ერთადერთი, რასაც გთხოვ, ხელს ნუ მკრავ, ნუ მომიშორებ. ცხოვრება მეტად ხანმოკლეა, ფურეია. თუ ადამიანმა იცის, რა სურს, ამისთვის უნდა იცოცხლოს. მე შენ მინდიხარ, მოთმინებით დაველოდები იმ დღეს, როცა შენც მოგინდები".

"შევქი ბეი, ჩვენ დაოჯახებულები ვართ... გარდა ამისა, მე ჭლებიანი ვარ".

"განკურნებამდე აქ დავრჩები. რა არის ამაში ცუდი?"

ფურეიას უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ შევქი ბეიმ ხელი ჩასჭიდა. "ნუ მეტყვი, ხალხი რას იფიქრებსო. მე ასაკოვანი ვარ, შენ - სნეული, შესაძლებელია, არც კი დაგვრჩეს ირგვლივ მყოფთათვის დრო".

ფურეია საღამომდე სავარძელში იჯდა. ხელში ვარდები ეჭირა.

ფანჯრიდან მოჩანდა თეთრით მოცული მიდამო, რომელსაც ნელ-ნელა ცისფერი, შემდეგ კი ნაცრისფერი დაედო. დაინახა მოფარფატე ფიფქები და ფიჭვები, რომლებიც მთვარის შუქს ირეკლავდნენ, მიხვდა, საღამო დამდგარიყო.

ისევ მოვლენების დინებას მიჰყვებოდა. საკუთარი თავისთვის არც კი უკითხავს, რა სურდა და რა არა. თითქოს, ვიღაც მართავდა

მას. კვლავ სიცარიელეში იყო. უცებ რაღაც მოესმა. შორეულ ექოს ჰგავდა. ხმა თანდათან ძლიერდებოდა. ბოლოს გარკვევით გაიგონა: "შესაძლებელია, დრო აღარ დაგვრჩეს".

\*

შევქი ბეი ყოველ დილით ათ საათზე მოდიოდა და სადილამდე რჩებოდა. ყოველ ჯერზე ფურეიიასთვის ახალი ყვავილები, უურნალები, შოკოლადი და ნამცხვარი მოჰქონდა. ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე და მსოფლიოში მომხდარ ამბებზე საუბრობდნენ, ბოლო ხანებში წაეითხულ ნიგნებზე მსჯელობდნენ. შევქი ბეი მიდიოდა და ფურეიია კვლავ მარტოობასა და ფიქრებში იძირებოდა.

ერთხელ, კარზე ფრთხილად დააკაკუნეს. "მობრძანდით, შევქი, აბა, დღეს რომელი ყვავილები მომიტანეთ", - თქვა ფურეიიამ, კარისენ მიბრუნდა და გაშეშდა. კართან დაბნეული იაკუბ კადრი ქარაოსმანოლუ იდგა. იგი ელჩიდ იყო ბერნში.

"მობრძანდით, იაკუბ კადრი ბეი", - თქვა ფურეიიამ კანკალით.

"თქვენს სანახავად მოვედი, ფურეიია ხანუმ, ლემანმა დიდი სიყვარულით მოგიყითხათ". იაკუბ კადრი დარცხვენილი ჩანდა.

"დალიან კარგი. შევქი ბეიც შვეიცარიაში ყოფილა. მითხრა, დღეს შემოგვილიო, ის მეგონეთ". ფურეიია ოდნავ განითლდა.

ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ და საუბარი დაიწყეს. იაკუბ კადრიმ თურქული გაზეთები მოუტანა. ქვეყანაში საქმე რიგზე ვერ იყო. რესპუბლიკის სახალხო პარტიამ ბოლო არჩევნებზე ხალხის ნდობა დაკარგა. ხალხი კატეგორიულად ითხოვდა ცვლილებებს. იაკუბ კადრი, როგორც ელჩი, საკუთარი აზრის გამოთქმას ერიდებოდა, მაგრამ ჩანდა, რომ ცვლილებას ისიც ემხრობოდა.

"ეზოში აღმიანი მანქანა რომ დავინახე, მივხვდი, შენთან იაკუბ კადრი მოსულიყო, ამიტომ უკან გავიბრუნდი", - უთხრა შევქი ბეიმ მეორე დღეს.

"ტყუილად შენუხებულხართ, შევქი, მაინც მოვახერხე ყველაფრის გაფუჭება", - მიუგო ფურეიიამ.

შევქი ბეის წასკლის შემდეგ ფურეიია ჩაფიქრდა, ნეტავ, ვისთვის რის დამალვას ცდილობდა? მათი ურთიერთობა ხომ მხოლოდ ასაკოვანი კაცის მიერ ახალგაზრდა ქალის მიმართ გამოვლენილი აღ-

ტაცება იყო. ეს მეგობრობის საზღვრებს არ სცილდებოდა და ფურეიაც კმაყოფილი ჩანდა: საუბრისას შევქიბები ფურეიას ხელზე ხელს მოუჭრდა ხოლმე, ფურეია კი მას შევქის ეძახდა. ამაზე შორს აღარ ნასულან. მაგრამ ორივე დაოვახებული იყო და ასეთი ურთიერთობაც კი ცოდვად ეთვლებოდათ. თუმცა ურთიერთობის ყველაზე სასიამოვნო მხარე სწორედ ეს ცოდვის განცდა იყო.

ფურეიამ დედის ნერილი ერთი ამოსუნთქვით გადაიკითხა:

"ჩემო გოგონა, შაქირი კვლავ დაქორწინებას აპირებს. არ ვიცი, ამ ბიჭს რა მოვუხერხო. ჩანს, პირველი ქორწინების შემდეგ ჭეუა მაინც ვერ ისნავლა. პირადად მე ამ ქორწინების ნინაალმდეგი ვარ. ახლახან დაშორდა ცოლს. მამაშენი, როგორც ყოველთვის, არ ერევა. ეს კი შაქირსაც ძალას მატებს. კარგად იცი, ლამაზმანები მამაშენის სუსტი ნერტილია. ის გოგოც ურიგო არ არის. ქერა, თეთრი, ფიტქინა ქალიშვილია. მამაშენმა რომ დაინახა, ასე თქვა, იყოსო, დაქორწინდესო, სახლში ახალი სიცოცხლე, ახალი მხიარულება შემოვაო. ემინ ფაშა კაცს სულს ამოხდის. შაქირმა პირობა მომცა, რომ ექვსი თვე მოიცდის, კარგად დაფიქრდება, გოგონას გაიცნობს. ამ თემაზე ექვსი თვის შემდეგ ვისაუბრებთ".

ფურეიამ სტამბოლის ჭორები სწრაფად ჩაიკითხა. დედამ ყველაზე საინტერესო თემა ბოლოსთვის შემოინახა: "ალიეს მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. კონიაკის ჭიქა ხელიდან ვერ გავაგდებინეთ. თითქმის მთელი დღე მთვრალია. დედაჩემი თავიდან ხმას არ იღებდა. ფიქრობდა, უბედურებას ასე მაინც დაიცინებდესო. მაგრამ ახლა მისი ჯანმრთელობა აღელვებს, ძლიერ დავითანხმეთ და ახლა ლონდონში ფაპრუნისასთან მიემგზავრება. როცა ამ ნერილს მიიღებ, ის უკვე ლონდონში იქნება. აუცილებლად გინახულებს. ფურეია, გთხოვ, ესაუბრო. იქნებ ცხოვრება ააწყოს. თუმცა შენი დეიდაა, მაგრამ უმტროსი დასავით გყავს. შენ პატივს გცემს, შენს სიტყვას ანგარიშს გაუწევს, ჩვენ არც კი გვისმენს".

ფურეიამ ნერილი საწოლზე დააგდო. საშინლად შენუხდა. ახლა რომ სტამბოლში, ალიესთან იყოს... ნეტავ, რას გააკეთებდა, რით გაართობდა. ფაპრუნისა ფურეიას ურჩევდა ხატვა დაენყო და ამით შეექცია თავი, ამიტომაც ქაღალდს, კალმებს და აკვარელის საღებავებს უგზავნიდა. ფურეიას კი სულაც არ სურდა ხატვა. იქნებ

ალიემ მოინდომოს, იქნებ, ფაპრუნისას მსგავსად, მისთვისაც გა-  
დარჩენის გზა მხატვრობა აღმოჩნდეს. ნეტავ, ლონდონთან რამდენ  
ხანში დააკავშირებენ?

"დილა მშევიდობისა", - ოთახში შევქი ბეი შემოვიდა, ხელში მოზ-  
რდილი პაკეტი ეჭირა. ფურეია ვერ მიხვდა, რა იყო ამ პაკეტში.

"ამ დილით ყვავილი არ მეკუთვნის?"

"ამ დილით შენთვის სხვა რამ მაქვს".

"რა არის?"

"ჯერ შენ მითხარი, ფურეია, რატომ გაქვს სევდიანი თვალები?"

ფურეია გაოცდა. ეს კაცი მას მშობლებზე, ძმაზე და ქმარზე  
უკეთ იცნობდა.

"შენიდან ნერილი გამომიგზავნეს. ალიე ცუდ დღეში ყოფილა.  
ნეტავ, რა უნდა ქნას?"

"დრო ყველაზე კარგი მკურნალია," - თქვა შევქი ბეიმ. "მოთმი-  
ნებით უნდა ელოდო".

"მეტად ვწუხვარ, შევქი".

"თუ ასეა, რამე გასართობი მოვნახოთ".

შევქი ბეიმ პაკეტი გაუწოდა. ფურეიამ პაკეტზე შემოხვეული ქა-  
ლალდი მკვეთრი მოძრაობით მოხსნა და მუყაოს ყუთს გაოცებით  
დააკვირდა.

"გახსენი".

ფურეიამ შეპკივლა. ყუთში ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ძალი  
იჯდა და ნაღვლიანი თვალებით უმზერდა. ფურეიამ ლეკვი ყუთი-  
დან ამოიყვანა და სანილზე დასვა. ის კი კუდის ქიცინით ევლავ  
ფურეიასთან მივიდა და ხელი აულოება.

"ნახე, რა ჭკვიანია. პატრონი მაშინვე იცნო," - თქვა შევქი ბეიმ.

"მართლაც ასეა. ნამდვილი ეშმაკია. მოდი, სახელიც დავარქ-  
ვათ".

"შენ უკვე დაარქვი - შეითანი.".

"არაჩვეულებრივია", - შესძახა ფურეიამ. "ნეტავ, ნებას თუ დამ-  
რთავენ, ოთახში რომ დავტოვო?"

"ნება რომ არ დაერთოთ, არც მოგიყვანდი. ეს საკითხი გადაწყ-  
ვეტილია".

"თქვენ... თქვენ..."

"ვინ ვარ?" - შეეკითხა შევქი ბეიმ.

“საოცრება ხართ, შევქი. ისე მანებივრებთ... თქვენ რომ არა, ვერც კი წარმომიდგენია, აյ ყოფნას როგორ გადავიტანდი,” თქვენი ფურეიამ მადლიერებით.

რამდენიმე დღის შემდეგ ფაპრუნისამ დარეკა. ნამტირალევი ხმა ჰქონდა.

“ალიეს ვერაფერი მოვუხერხე, მთელი საელჩო სიგარეტის კვამ-ლშია, ყველგან სასმელის ბოთლებია... სახლში აუტანელი სუნი დგას. ალიეს ქრიზისი აქვს, არაფერი ესმის. სხვა გარეთ გაუძახებდა, მაგრამ ემირ ზეიდი იმდენად გულისხმიერია, რომ მას შვილი-ვით ექცევა. დილაობით საუბრობენ კიდეც. ახლა მასზე ვცდი იმას, რაც შენ ვერ გაგაკეთებინე. ვნახოთ, იქნებ გამიმართლოს.”

“ნისა, გინდა, ალიე მხატვარი გახდეს?” - ჰკითხა ფურეიამ.

“ან ქმარს მოვუძებნი, ან მხატვარი გახდება”.

“ლმერთმა ხელი მოგიმართოს”.

ფაპრუნისა უკან არ იხევდა. ჯერ ტილო და სალებავები მოუტანა, მაგრამ ალიე სალებავებით იმდენად ცუდად მუშაობდა, რომ ბოლოს შეეშვა და ამჯერად ფანქარი და ქალალდი მისცა.

“ალიე, ეს ბერგერის გაცოცხლების ერთადერთი გზაა. შენ მის ცხოვრებას აღწერ, დახატავ. ის თუ გიყვარს, მხოლოდ ასე გააცოცხლებ, უკვდავად აქცევ”.

ალიე ლონდონის ერთ-ერთ სახელოსნოში ფერწერისა და გრავიურის გაკეთილებს ესწრებოდა. საოცარი შთაგონებით მუშაობდა. ორ წელიწადში ორმოცდათი გრავიურა შექმნა. მათში ბავშვობას აღწერდა. როცა ასე დაიცალა იმისგან, რაც სულში ედო, დაისვენა. თითქოს თავიდან უბრუნდებოდა სიცოცხლეს.

ცოტა ხანში ალიე ფურეიას ლეისინში ენვია. უკვე გამოჯანმრთელებული ჩანდა. მხოლოდ ბერგერზე საუბრისას თუ მოადგებოდა თვალზე ცრემლი და თემას ცვლიდა, ლამაზი ხედებით ტკბობას დღილობდა.

ფაპრუნისამ ფურეიას ამჯერად სალებავებისა და ქალალდის ნაცვლად რამდენიმე კოლოფი პლასტიკი გამოუგზავნა.

“უკვე იმედი გადაეწურა, რომ მე როდესმე მხატვარი გავხდები,” - თქვა ფურეიამ.

"მართალია. ახლა ჩემზე გადმოერთო; მაგრამ შენთვის თავი არ დაუნებებია. აი, აიღე", - პლასტიკი მაგიდაზე დადო.

"ღვთის გულისტვის, ეს რა არის, ალიე?"

"პლასტიკი, ძვირფასო, ნახე, ხელით მოზელ და ფორმას მის-ცებ". ალიემ პლასტიკი ხელში აიღო და რაღაცის გაეეთება სცადა.

"გაგიუდი? ამ ასაკში ბავშვის სათამაშოთი უნდა გავერთო?"

"რამდენი ნლის ხარ?"

"ოცდაჩვიდმეტის ვედები".

ალიემ ყვავილი გააკეთა და ფურცეიას გაუწოდა.

"ფრთხილად, სანოლი არ დამისვარო, სასტუმროში ნაიღე, სა-ლამოს გაერთობი", - უთხრა ფურცეიამ.

"აქ იყოს. გასართობად მე ვხატავ. თუ არ გინდა, გადაყარე, ლონდონიდან ჩამოგიტანე. სხვა დროს აღარ ჩამოვიტან".

"ხვალ რომელ საათზე მოხვალ?"

"თუ გსურს, დილით ადრე მოვალ და შეითანხ სასეირნოდ გავიყ-ვან. ძალიან ლამაზი ბუნებაა, მინდა, ცოტა გავიარო".

"ადრე მოდი".

ალიე გავიდა. ფურცეიამ შეითანი ხელში აიყვანა და ფანჯრიდან გადაიხედა. ალიე შეარცის ფრიალით მიდიოდა. შევქი ბერ მართალი იყო. - დრო უებარი მკურნალია.

## მინა და ცყალი

ალიეს წასვლის შემდეგ ფურუეიამ ოთახი მიალაგა, ბალიშები გა-  
 ასწორა, ფარდები ჩამოაფარა. ფაპრუნისას გამოგზავნილი პლას-  
 ტიკის გადაგდება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. გადაწყვიტა, რომ  
 ამ სალამოს წიგნის წაკითხვის წაცვლად თავს ძერნვით შეიქცევდა  
 და შემდეგ გადაყრიდა. ერთი კოლოფი აიღო და საწოლზე ჩამოჯ-  
 და, პატარა მაგიდა ახლოს მიიჩინა, პლასტიკური მასა კოლოფი-  
 დან ამოიღო და მოზიდა.

ერთი საათის შემდეგ ლოყანითელმა გოგომ საჭმელი რომ მოუ-  
 ტანა, ის ისევ ძერნავდა.

"რას აკეთებთ, მადამ ქილიჩ?" ჰეითხა გოგომ.

"კოლოფს ვაკეთებ, თუ გსურს, დავასრულებ და მოვცემ"

"აჟ, მადამ, გმადლობთ!" გოგონა საჩუქრებს ჩვეული არ იყო, გა-  
 ხარებულმა ლანგარი მაგიდაზე დადგა და გავიდა. ფურუეიას ქმნი-  
 ლებას მსურველი გამოიჩინდა, ამით ფრთაშესხმული მეტი მონდო-  
 მებით მუშაობდა. ნახევარი საათის შემდეგ ექთანი ლანგრის ასა-  
 ლებად შემოვიდა.

"მადამ ქილიჩ, საჭმელს არ მიკარებიხართ. რატომ? არ მოგეწო-  
 ნათ?"


"მართლაც, გავერთე, მომიტევეთ," - უთხრა ფურუეიამ.

"წვინანი გაცივებულა. შევათბობ და ისევ მოგიტანთ." - ექთანი  
 გაღიზიანებული ჩანდა.

ფურუეია ხელის დასაბანად სააბაზანოში შევიდა. ფრჩხილებში  
 ჩამჯდარი პლასტიკი ჯავრისით მოიშორა. ცოტა ხნის შემდეგ ექ-  
 თანი შემოვიდა.

"გთხოვთ, ახლავე მიირთვათ."

"როგორც მიბრძანებთ, ჩემო მეთაურო!" - მიუგო ფურუეიამ  
 თურქულად. ქალმა გაოცებულმა შეხედა და ოთახიდან გავიდა.  
 ფურუეიამ სწრაფად ისადილა, მაგიდა აალაგა და კვლავ პლასტიკი



გამოიღო. ექთნის შემოსვლა ვერც კი გაიგო.

"ასე რითი ხართ დაკავებული, მადამ ქილიჩ?" ჰეითხა ქალმიზანი და ალბათ, ბავშვობა მომენატრა." თქვა ფურეიამ.

სანამ კოლოფს არ დაამთავრებდა, დანოლას არ აპირებდა. მეტად საინტერესო რამ იყო ეს პლასტიკი - სასურველ ფორმას მის-ცემდა, ცოტა ხნით დადებდა, ის კი შრებოდა, მკვრივდებოდა. ლა-მის თორმეტ საათამდე მუშაობდა, ბოლოს ის უჟმური ექთანი შე-მოვიდა, ახლა უნდა დაიძინოთო, უთხრა. სანამ შუქს ჩაუქრობდა, კოლოფს რთავდა.

მეორე დღეს სიგარის კოლოფები მორთო. ერთი მამას გაუგზავ-ნა, მეორე წითელლოყება გოგოს პატარა დას აჩუქა. პატარა ქანდა-კებებს აკეთებდა. შეითანი უქმიაყოფილო ჩანდა. პატრონს მთელი ყურადღება ძერნვაზე ჰქონდა გადატანილი, მას ძველებურად აღარ ეთამაშებოდა.

ერთ დღესაც ფაცრუნისას გამოგზავნილი ხუთივე კოლოფი და-ცარიელდა. ფურეია მეტად დანალვლიანდა. თითქოს უსიგარეტოდ დარჩენილიყო.

"უნევაში ნავალ და იქ გიყიდი. თუ შვეიცარიაში ვერ მივაგნებ, ლონდონში შევუკვეთავ." უთხრა შევქი ბეიმ.

"იცი, რა მოვიფიქრე, პლასტიკის ნაცვლად თიხა რომ ვცადო?!" თქვა ფურეიამ.

"ნეტავ აქ თიხა თუ იშოვება?"

"განა შეიძლება, არ იყოს? შვეიცარიელებს კერამიკული ნაკე-თობები აქვთ."

"მაშინ ამ საქმეს მე მოვაგვარებ." თქვა შევქი ბეიმ.

მეორე დღეს შევქი ბეი ნიგნებით დატვირთული მოვიდა. "რო-გორ ვიმუშაოთ თიხაზე," "როგორ გამოვძერნოთ თიხიდან ნივთე-ბი" და მსგავსი სათაურიანი უამრავი ნიგნი მოიტანა. ფურეიამ რო-მანები და ისტორიული ნიგნები გვერდზე გადადო და თიხის შესა-ხებ ნიგნების კითხვას შეუდგა.

როცა რამდენიმე დღეში თიხა მოუტანეს, უკვე თითქმის იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ყველაფერი შეისწავლა.

ლანგარზე დახვავებულ თიხას ხელი დაადო., თითებიდან მელა-ვებისაკენ სიგრილე დაიძრა. თითქოს თეთრი სხივი მზიდან თიხას,

თიხიდან ფურეიას ხელებს გადაეცემოდა, ხელებიდან კი გულსა და გონებას სწოდებოდა. იგი დიდხანს იწვა ამ თეთრ ოთახში და თავის ცხოვრებას ულრმავდებოდა, ახლა ეჩევნებოდა, რომ იმ ძიების პასუხს ეს მსუბუქი, სრიალა თიხა აძლევდა, ორივე ხელი გაუჩერებლად მუშაობდა და მასთან შეუთანხმებლად გედს ძერნავდა. ლემანის ტბაზე მრავალჯერ ნანახი გრძელყელიანი, ამაყი და ნატიფი ფრინველი, ფურეიას უნებურად მისი ხელით იქმნებოდა. სულსა და ცხოვრებაში დაბუდებული სიცარიელე თიხით ივსებოდა, ფორმას იღებდა, მნიშვნელობას იძენდა. თავი გააქნია, ნუთუ ხელთ ეპყრა ის პასუხები, ამდენი ხანი რომ ელოდა? ის ხომ გამუდმებით ვიღაცას ან რაღაცას ეძებდა. მაშინაც, როცა კუნძულზე ფიჭვის ქეებ იწვა, როცა საფრანგეთში მთებს გაეყურებდა და აქ თოვლიან ფერდობებს უმზერდა, სწორედ მას ეძებდა. ახლა უკვე მიაგნო - ეს თიხა იყო. თიხა ელოდა, რომ ფურეიას ნიჭს მისთვის სახე, ფორმა და არსი მიეცა, მნიშვნელობა მიენიჭებინა, სწორედ ისე, როგორც ადამიანი ელოდა შემოქმედისაგან ჯერ წყალს, შემდეგ კი სახეს და ცეცხლს.

ფურეია დარწმუნებული იყო, რომ ეს ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირივით უსასრულო და უნივერტი იქნებოდა. ის შექმნიდა, თიხა ქედს მოუხრიდა. და თუ თიხა გაძალიანდებოდა, ისიც კვლავ მოთმინებითა და შეუპოვრად იშრომებდა . . მთელი ცხოვრება, სიკვდილამდე... ფურეიამ თიხა აიღო და სახეზე, ლოყებზე, შუბლზე, მკლავებზე ნაისვა. უკვე მზად იყო, ეს თიხა თავის ნაწილად ექცია, თავდავიწყებით შეეყვარებინა.

"ფურეია, სტამბოლში ჩემი საქმები ცუდად მიდის, უნდა დავბრუნდე. როგორც კი ყველაფერი მონესრიგდება, ისევ ჩამოვალ." - უთხრა ერთხელ შევქი ბეიმ.

ფურეია შვეიცარიაში მარტო რჩებოდა, მას ის ერთადერთი მეგობარი ტოვებდა, რომელთანაც მშობლიურ ენაზე საუბარი შეეძლო, მაგრამ ეს უკვე აღარ აღარდებდა. კარგა ხანია სურდა, მთელი დრო ძერნვისთვის დაეთმო.

"დაბრუნებას ნუ იჩქარებთ, შევქი, ქილიჩმა მომწერა, მომავალ თვეში ჩამოვალო. მარტო დარჩენა არ მანუხებს."

"ვხვდები, ფურეია. თიხით კარგად ერთობი. არ გსურს, ამ საქმეს უფრო სერიოზულად მოექიდო?!"

"რას ფულისხმობ?"

"მასნავლებელთან იარე, ტექნიკას დაეუფლე." -

"კარგი აზრია. მოვძებნი." - უთხრა ფურეიამ.

ექიმმა ფურეიას ერთი ქალი ურჩია, რომელსაც პოლონეთში აკადემია დაემთავრებინა და ახლა შეეიცარიაში გადმოხვეწილიყო, ფული სჭირდებოდა და სიხარულით ასწავლიდა. შეთანხმდნენ. ორიოდე გაკვეთილის შემდეგ ფურეია მიხვდა, რომ ნაკითხული ნიგნების წყალობით ამ ქალზე მეტი იცოდა, შეეძლო იქით ესნავლებინა მისთვის თიხაზე მუშაობა.

"ფერწერას ხომ არ მასნავლით?" - ჰკითხა ქალს. იცოდა, რომ მასნავლებელს უჭირდა. თანაც გაკვეთილების შეწყვეტა არ უნდოდა.

"სიამოვნებით გამეცადინებთ," - უთხრა ქალმა. ფურეია კვირაში ორჯერ ხატავდა. დარჩენილ დროს პატარა ქანდაკებებს ძერნავდა.

"დეიდა, როგორც იქნა, საწადელს მიაღწიეთ. ფერწერის შესნავლა დავიწყე," - მისნერა ფურეიამ ფაპრუნისას. დეიდამაც პასუხი არ დააყოვნა:

"საყვარელო ფურეია, ვიცოდი, ხელოვნებას ვერსად გაექცეოდი. მოხარული ვარ. უკან არ დაიხიო. ალიე გრავიურაზე მუშაობს, გიუივით შრომობს. სასმელისა და სიგარეტისთვის დრო აღარ რჩება. ეს გატაცება მისთვის ხსნა აღმოჩნდა. მადლობა ალაპს!"

რა საოცარია! შაქირ ფაშას შთამომავლებისთვის ავადმყოფობის, სიკედილისა და ტრაგედიების გადატანის შემდეგ ხელოვნება ჯერ სიცოცხლისაკენ მობრუნების გზა, შემდეგ კი ცხოვრების ნესი ხდებოდა.

სანატორიუმიდან გამოსვლისთანავე ფურეია ლოზანაში კერამიკის სახელოსნოში ჩაეწერა. თხუთმეტ დღეში ერთხელ პაერის გამოსაცვლელად სანატორიუმში ადიოდა. მთელ თავისუფალ დროს ძერწვაში ატარებდა. ცხოვრებით კმაყოფილი ჩანდა. სიცოცხლე ძველებურად უმიზნო, მოსაწყენი და ერთფეროვანი აღარ იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ ექიმებმა ითათბირეს და დაადგინეს,

რომ, მიუხედავად ძალისხმევისა, ფურეიას განკურნება ვერ ხერხ-დებოდა.

ექიმ ვებერს ფერმერთალ და სერიოზულ სახეზე შეშფოთება აღბეჭდვილი აღმოდა. ფურეიას სათვალის ზემოდან გადმოხედა, თითქოს არ იცოდა, რით დაწყო.

"მადამ ქილიჩ, ვწუხვარ, მაგრამ ჩანს, რომ მთელი ჩვენი მცდელობა ფუჭია, კავერნა არ შეხორცებულა."

"როგორ მოვიქცე, ექიმო, დანოლა მირჩიეთ და დავწექი, მიბრძანეთ ჭამეო, მეც ვიკვებებოდი. სიგარეტსაც თავი დავანებე. თუ იმდედი აღარ გაქვთ, პირდაპირ მითხარით და დარჩენილ სიცოცხლეს სურვილისამებრ გავატარებ."

"მე ამას არ ვგულისხმობ, მადამ ქილიჩ. თქვენ იმდენად ახალგაზრდა ხართ... სანამ ყველა საშუალებას არ მოვსინჯავ, თავს არ დაგანებებთ. ერთი რამ უნდა გითხრათ..." ექიმი გაჩუმდა. ფურეია მორჩილად ელოდა. ნეტავ რა უნდა იყოს, თქმა რომ უძნელდება?"

"მადამ, ერთი ნამალია, ახლახანს გამოვიდა ბაზარზე. შვეიცარიაში ჯერ არ იცნობენ. გვერდითი მოვლენები აქვს. საფრანგეთში იყენებენ და ზოგ შემთხვევაში დადებითი შედეგი აქვს. ამ ნამალს ხომ არ მოსინჯავდით?"

"რა ნამალია, ექიმ?"

"სტრეპტომიცინი."

"პირველად მესმის."

"თუ ამ ნამლით იმკურნალებთ..."

"განვიკურნები?"

"გადაჭრით ვერ გეტყვით, მადამ ქილიჩ, მაგრამ კლასიკური მკურნალობა არ გშეველით. იქნებ ახალი ნამალი მოგიხდეთ."

"ახლავე დავინყოთ," - თქვა ფურეიამ.

"საქმეც ეს არის. ჩვენს ქვეყანაში ამ ნამლით მკურნალობა ჯერ-ჯერობით აკრძალულია. საფრანგეთში ნასვლას თუ შეძლებთ, პარიზში ჩემს კოლეგასთან გაგიშვებთ."

"სასწრაფოდ დაუკავშირდით თქვენს კოლეგას, ექიმო, დროს ნუ დავკარგავთ, დავინყოთ. ნამლის გერდითი მოვლენები როგორია?"

"შეიძლება თავისუ დაგეხვათ, ყურში ხმაური იგრძნოთ. რა თქმა უნდა, ნამლის მიღებისას ექიმის მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნებით."

"ჩემს მეუღლეს შევატყობინებ, პარიზში წასასვლელად მოემზა-  
დოს. გვერდით მოვლენებს გავითვალისწინებ," - უთხრა ფურცელმა.

პარიზში მკურნალობის დაწყებამდე ფურცეია ოჯახის მოსანახუ-  
ლებლად სტამბოლში ჩავიდა. ექიმის უცნაური გამომეტყველება  
მიანიშნებდა, რომ საქმე ცუდად იყო. გარდა ამისა, სტამბოლი მოე-  
ნატრა. შაქირი დაქორნინდა, მისი ცოლი ფეხმძიმედ იყო. რძალს  
ჯერ არც კი იცნობდა. პარიზში მკურნალობის დაწყებამდე ნათესა-  
ვების მონახულება უნდოდა, ამასთანავე, ამ მკურნალობის შედეგი  
ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო.

სტამბოლში ჩასვლისას გადაწყვიტა, დაედგინა, რის გაკეთებას  
შეძლებდა როგორც კერამიკოსი, თუ ყველაფერი რიგზე იქნებოდა  
და თუ ოდესმე ამ ქალაქში დაბრუნება მოუხდებოდა. აინტერესებ-  
და, იყო თუ არა ქალაქში ღუმელი, სადაც თიხის ნაწარმს გამოწვავ-  
და. ნეუათ ეჯზაჯიბაშის დაურცეა:

"კერამიკაზე ვმუშაობ. სტამბოლში რის გაკეთებას შევძლებ?"

"ღმერთმანი, ვერაფერს გააკეთებ." მიუგო ეჯზაჯიბაშიმ.  
სხვებსაც ჰქითხა, იგივე პასუხი მიიღო. სტამბოლში არავის ჰქონდა  
ღუმელი, რომელზეც ის იმუშავებდა. სადი დირენი ვერ აკადემიის  
სტუდენტი იყო, თავის ნამუშევრებს ქუჩუქსუში ბეჭათ უსტას  
ღუმელში წვავდა. კერამიკის კათედრა ჯერ არ დაარსებულიყო. ან-  
კარაში კერამიკაზე მხოლოდ ვინმე ისმაილ ჰაკი მუშაობდა. ფურც-  
იამ მოიწყინა.

არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორთან - პროფესორ გაბრი-  
ერთან მეგობრობდა. მასაც ჰქითხა რჩევა.

"ნუ დელავ, ფურცეია, გამოსავალი მოიძებნება. შენს საქმეს მი-  
ხედე, უკან არ დაიხიო." - დაარიგა გაბრიერმა.

"პარიზში ყოფნისას სწავლის გაგრძელება მინდა."

"მე ცნობილ პარიზელ კერამიკოსთან დაგაკავშირებ. როცა ჩახ-  
ვალ, დაურცევ. ყველაზე უკეთ ის გასწავლის", - უთხრა პროფესორმა.

სტამბოლში ჩასული ფურცეია ყველა მეგობარმა და ნათესავმა  
მოინახულა. თუმცა, მცირე ხნით რჩებოდა, ფურცეია ძალზე კმაყო-  
ფილი ჩანდა.

ერთ დღეს შაქირის ცოლმა აფიფებ უთხრა, რომ მასთან საუბარი სურდა.

"ფურეია, იცით, რომ ფეხმძიმედ ვარ? ეს ამბავი თქვენ ხომარია განუხებთ?", - ჰეითხა მულს.

"რას ამბობ, აფიფე, რატომ უნდა ვწუხდე? ძალიან მიხარია, პატარა ძმისწული მეყოლება".

"მართლა?"

"რა თქმა უნდა. საიდან მოიტანე?"

"ფეხმძიმედ რომ დავრჩი, ჩემს დედამთილს არ ესიამოვნა, ისიც კი მითხრა, ბავშვის გაჩენას სჯობდა თოვინა გეყიდაო. ძალიან მეწყინა. როცა შაქირს მიზეზი ვკითხე, ასე მიპასუხა, - ფურეიას შვილი არ ჰყავს, დედას მისი წყენინება არ უნდა და ამიტომაც გითხრაო.

"აფიფე, კარგად მომისმინე, როგორც ყველა და-ძმას, ჩვენც მოგვსვლია უთანხმოება, ვეჭვიანობდით. როცა მე დავიბადე, ჩვენ მდიდარი ოჯახი გვქონდა. მისი გაჩენის დროს უკვე ლარიბები ვიყავით. ამიტომაც მუდამ ეგონა, რომ მე უფრო ილბლიანი ვიყავი. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. ჩვენ შორის სხვაობა რვა წელია. შაქირს აღიზიანებდა, როცა დედასავით ვექცეოდი. ცხადია, მართლიც იყო. ადამიანისთვის ერთი დედა საკმარისია. მაგრამ მე ისეთ ოჯახში აღვიზარდე, სადაც ბევრი უფროსი მყავდა. ამიტომ ჭკუის დარიგებას მივეჩვიი. ჩემი ძმა კი ამას ჩვეული არ იყო და მენინაალ-მდევებოდა. იქნებ, დედამ ჩათვალა, რომ თქვენთვის ბავშვის გაჩენა ჯერ ადრეა? იქნებ გულისხმობდა, ჯერ დარწმუნდით, რომ ერთ-მანეთს არ გაშორდებით და ბავშვზეც შემდეგ იფიქრეთ? პირადად მე მიხარია და ძმისშვილის დაბადებას მოუთმენლად ველი", - უთხრა ფურეიამ.

მართლაც, მას სიხარულითა და მღელვარებით ავსებდა იმაზე ფიქრი, რომ მის ოჯახს პატარა ბავშვი შეემატებოდა. თუ ეს ახალი ნამალი უშველიდა, მას უკვე პატარა შვილი ეყოლებოდა, რომელ-საც გულში ჩაიკრავდა, მიეუცერებოდა. ამაზე ფიქრისას ულამაზეს ოცნებებში იძირებოდა.

## პარიზი (1950 - 1951)

ფურეია და ქილიჩ ალი ერთმანეთს პარიზში შეხვდნენ. პლაზა  
ათენში დასახლდნენ და პატარა ბინის ძებნა დაიწყეს. ომის შემდ-  
გომ პერიოდში ბინის დაქირავება მეტად ჭირდა. სახლების უმეტე-  
სობა ამერიკელებს დაეკავებინათ.

"სასტუმროს მოურიგდეთ და ჩვენთვის ოთახი დიდი ხნით და-  
ჯავშნოთ", - უთხრა ქილიჩ ალიმ.

"ძალიან ძვირი ხომ არ იქნება?"

"ჯერ სამ თვეზე შევთანხმდეთ, თუ საჭირო გახდა - გავაგრძე-  
ლოთ. როგორც მუდმივი კლიენტები, ფასდაკლებას მოვითხოვთ".

ქილიჩ ალი სტამბოლის იმბანქასის მმართველთა საბჭოს წევრი  
იყო, ცოლთან ერთად ვერ დარჩებოდა - ხშირად ჩამოაკითხავდა.

მცურნალობის დაწყებამდე, პროფესორ გაბრიელის რჩევით,  
ფურეია ცნობილ კერამიკოსს - სერს დაუკავშირდა. იგი მრავალნ-  
ლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ პენსიაზე გავიდა და  
სევრში ცხოვრობდა. ფურეიამ ჯერ ნერილი მისნერა, შემდეგ მატა-  
რებელში ჩაჯდა და სევრისკენ გაეშურა.

"პარიზში კერამიკის სკოლაში სწავლის დაწყებაში ხომ ვერ და-  
მებარებით?", - ჰეითხა ფურეიამ.

სერმა ფურეია თავის სახელოსნოში ნაიყვანა. ქალმა თიხა აიღო,  
პატარა ჩიტები, ლარნაკები და ფინჯნები გამოძერნა. სერი ყუ-  
რადღებით აკვირდებოდა

"სკოლაში სწავლა არ გჭირდებათ, ჩემო გოგონა, არ არსებობს  
სკოლა, რომელიც თქვენ მოგამზადებთ. დროს ტყუილუბრალოდ  
დაკარგავთ. ახლავე მიდით სახელოსნოში და მუშაობას შეუდევქით".

"თუ სახელოსნოში ჩავენერები, იძულებული გავხდები, მათ  
სტილს მოვერგო. მაგრამ მე არ მსურს, რომელიმე სახელოსნომ  
ჩემზე გავლენა მოახდინოს".

"ერთი სახელოსნო ვიცი, იქ ჩემი ყოფილი მონაფეები მუშაობენ,  
მათ ხელოვნებასთან კავშირი არ აქვთ, მხოლოდ კომერციული ნაკრებები  
თობებს ამზადებენ. ყველაზე უკეთ ტექნიკას იქ დაეუფლებით. აბ-  
ლავე მოგცემთ მისამართს." - უთხრა სერმა.

ფურეია სევრიდან ფრთაშესმული დაბრუნდა, ქილიჩ ალის ახა-  
რა, ახალ სახელოსნოს მივაგენიო. ქმარმა პარიზის რუკა გაშალა,  
ეს სახელოსნო ბურჟეს აეროპორტის გზაზე, ჯანდაბის იქით იყო.

"ფურეია, შენ აქ ძერნვისთვის ჩამოხვედი თუ სამკურნალოდ?"

"ქილიჩ, კერამიკა ჩემი მკურნალობის ნაწილია".

"იქ როგორ ივლი? ყოველდღე ტაქსით მგზავრობა ძვირი და-  
გივლდება".

"ტაქსით არ ნავალ", - უთხრა ფურეიამ, "მეტროთი ვივლი".

"ჩემო გოგონა, შენ ჭკუა ხომ არ დაკარგე? მეტროში გაციცდები,  
ავად გახდები".

"მე უკვე ავად ვარ".

"მით უარესი.".

"ეცადე, გამიგო, თუ ხსნა არ არის, მინდა, სანამ მოვკვდები, ის  
ვაკეთო, რაც მსურს."

"ჯერ ჯანმრთელობაზე იზრუნე და შემდეგ აკეთე ეგ შენი სა-  
სურველი საქმე.".

"ჩემი გადარჩენა ნანილობრივ მას უკავშირდება. შენც იცი, თუ  
ადამიანი ბედნიერი არ არის, მისი განკურნება შეუძლებელია".

"შენი ბედნიერება ერთი მუჭა თიხა გახდა, ასე არ არის, ფუ-  
რეია?" - თქვა ქილიჩ ალიმ. იგი მეტად ღელავდა. "ოჯახში მხოლოდ  
შენ იყავი ჭკუათმყოფელი და ახლა შენი რიგიც დადგა.".:

ქილიჩ ალი საბჭოს სხდომის გამო სტამბოლში დაბრუნდა. ფუ-  
რეია ექიმ ტიბოსთან სტრეპტომიცინით მკურნალობდა და ახალ  
სახელოსნოში მუშაობდა.

ყოველ ცისმარე დღეს, დილის ცხრის ნახევარზე, მიუხდავად  
თოვლისა და წვიმისა, მეტროში ჯდებოდა, ბოლო სადგურზე ჩამო-  
დიოდა, გაჩერებაზე ავტობუსს ელოდა, ერთსაათიანი მგზავრობის  
შემდეგ ათ-თხუთმეტ წუთს სახელოსნომდე ფეხით მისვლას ანდო-  
მებდა. გზაში თავის თავს ეკითხებოდა, განა ყოველივე ეს წვალება  
ამად თუ ღირდა.

სახელოსნოში შესველისთანავე გამომწვარი თიხის სუნს რომ იგრძნობდა, მაშინვე უპასუხებდა: "ლირდა", თიხას წყალს დაუმატებდა, ზელდა, ფორმას აძლევდა, საქმეში მხოლოდ გონება კუარა, სხეულიც ერთვებოდა. ფურეიას ხელები, გონება, სული და გული ერთდროულად, ერთი რიტმით თიხას ერწყმოდა. მის პანოებზე მშობლიური მინების ლაბირინთები, მევლევის დერვიშები, თურქული ორნამენტის მოტივები და ფარდაგების გეომეტრიული ფორმები იწეველებოდა. თითქოს, ყველაფერმა, რაც წლების მანძილზე მის ქვეცნობიერში იყო დაფარული, ერთ მშვენიერ დღეს უნებლიერ ამოხეთთქა.

დიახ, ლირდა... უსასრულო გზებზე ხეტიალი...

თიხისთვის ფერის მიცემას და მის დამუშავებას სწავლობდა.

ლირდა, ლირდა...

ექიმთან მიდიოდა, ნემსს იკეთებდა, ნამალს სვამდა...

შემდეგ კვლავ თავდაუზოგავად მუშაობდა და მუშაობდა. როცა იღლებოდა, თეატრში, კონცერტზე, კინოში მიდიოდა. - რამდენიმე დღე დაისვენებდა, ენერგიას მოიკრებდა და კვლავ გზა, წყალი, თიხა და ეს ნაზავი... ზოგჯერ საღამოს დაღლილობისგან დაძინება უჭირდა. უმეტესნილად მაჯებიდან იდაყვებამდე ტკივილს გრძნობდა.

ერთ დღეს, სახელოსნოში რომ მიდიოდა, მეტროში მის ნინ მჯდომ კაცს გაოცებით შეხედა. საწყალი, ნეტავ, გიჟია? აკვარიუმში მოცურავე თევზივით პირს აღებდა, ხმას არ იღებდა. ალბათ, მეხუმრებაო, იყიქრა და თვალი აარიდა. ცოტა ხნის შემდეგ გვერდით მჯდომ ქალს გადახედა, ისიც უხმოდ ლაპარაკობდა. გაუკეირდა, კვლავ ქალს მიუბრუნდა და რაღაც ჰქითხა. ქალმა უპასუხა, მაგრამ ხმა არ ჰქიონდა. ხმა არ ესმოდა. ეგონა, კოშმარს ხედავდა - ხმადა-კარგულ ადამიანებთან ერთად ვაგონში იჯდა და ქვესკნელისკენ მიექანებოდა. უეცრად გამოფხიზლდა. "ვაიმე, ლმერთო, არ მესმის, არაფერი მესმის".

მეტროს სადგურში ტელეფონთან მიირბინა. ჯიბეში ხურდის ძებნისას მიხვდა, რომ ყრუ იყო. ექიმის პასუხს ვერ გაიგონებდა. მაშინვე ტაქსიში ჩახტადა კლინიკის მისამართი მისცა.

"მადამ ქილამი, არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, ეს ნამალი მოგზაურება და, მაგრამ გვერდითი მოვლენა მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა და", - უთხრა ექიმია.

ფურეია ექიმის ტუჩების მოძრაობით წათქვამის გაგებას ეცადა. ექიმია ქალალდზე დაუნერა:

"დოშას შევამცირებ, ცოტა ხნის შემდეგ სმენა აღდგება. სახლში დაისვერეთ. რამდენიმე დღე სახელოსნოში წუ ივლით. კვირის ბოლოს სმენა აღგიდგებათ. მეტად იღლებით. ჯანმრთელობასა და კერამიკას შორის აჩევანი უნდა გააქეთოთ. შაბათს საღამოს ჩემთან ერთად ივაბშემებთ?"

ფურეია გაოცდა. კაცს შეხედა: ორმოცი წლის იქნებოდა. ხელები, ფრჩხილები და თეთრი პერანგი სუფთაა. საფეთქლები შეჭალა-რავებულია, მაგრამ უხდება, რატომაც არა?

"კარგი, თუ სმენა დამიბრუნდება, ვივახშმოთ."


"ერთ კარგ ტავერნაში წაგიყვანთ, სადაც ბევრი ხალხი არ დადის".

ფურეიას არ გაუგონია, მადლობა გადაუხადა და წამოდგა. სას-ტუმროში წავიდა. საწოლში ჩაწვა და ჩაფიქრდა. დაყრუება სიკვ-დილზე უარესი იყო.

ოთხი დღის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღო - ჯანმრთელობასა და კერამიკას შორის არჩევანი უკანასკნელზე შეაჩერა.

ფურეია და ექიმი ტიბო ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. ჩაბნე-ლებულ დარბაზს მაგიდებზე ანთებული სანთლები ანათებდა. ექიმს ბევრი რამის გაგება სურდა ამ ლამაზი და აღმოსავლური იდუმალებით მოცული ქალის შესახებ: რატომ ექცეოდა ასე გამომ-ნვევად სიკვდილს? ძალზე უბედური იყო? რატომ ჰყავდა ხნიერი ქმარი? ნეტავ, თურქული ფრანგულზე უკეთ იცოდა?

"თქვენ გარევეული ჩარჩოს ტყვეობაში ხართ, მეგობარო," - უთხრა ფურეიამ - "ლამაზი ქალის ქმარი ახალგაზრდა და სიმპათიური უნდა იყოს. სნეულები კუთხეში მობუზულები უნდა ელოდონ სიკვდილს. თურქებმა მხოლოდ თურქული უნდა იცოდნენ... ეს სუ-ლელური ნესები ადამიანებმა შექმნეს და ახლა იძულებულები არიან, ამ ნესებს მოერგონ. მაგრამ ცხოვრება არც ერთ ნესს არ ემორჩილება. იგი ოთხივ მხარეს რაკრაკით მიედინება. ასაკოვანი მამა-



კაცის შეყვარებაც შეიძლება, სწორებისაც შეუძლიათ შავ მუშავა - ვით შრომა, ზოგჯერ აუცილებლობის, ზოგჯერ კი ჩემსაჭირ სურვილის გამო. თურქეთშიც მრავლად არიან ისეთები, რომლებიც ფრანგულ ენას ფრანგზე უკეთ ფლობენ. საფრანგეთი კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების აკვანია. განა მოიძებნება ფრანგი, რომელმაც თურქული კარგად იცის?"

ექიმი ტიბო გაოცებული იყო - მის ნინ ფრიად განსწავლული ადამიანი იდგა, შავგვრემანი მზეთუნახავი, რომელიც მუსიკაზე, კულტურასა და ისტორიაზე საუბრობდა, კულტურული, გამოცდილი და ენაკემიატი ქალი.

"მე, როგორც ექიმს, ყველა ჩემი პაციენტი მაინტერესებს და მიყვარს, მადამ, მაგრამ ვალიარებ, რომ თქვენდამი ჩემი ინტერესი ექიმსა და ავადმყოფს შორის ურთიერთობის ფარგლებს სცილდება. ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა პაციენტი. შეიძლება, სახელით მოგმართოთ?"

"ექიმო ტიბო..."

"გთხოვთ, როჟე დამიძახოთ"

"როჟე, ახლა მეტად რთული პერიოდი მაქვს. შეგიძლიათ სახელით მომმართოთ. მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ნუ შემოიჭრებით, ძალას ნუ დამატანთ. ერთადერთი, რაც ახლა მჭირდება, სიმშვიდეა".

სასტუმროში დაბრუნდა და საწოლზე ნამოწვა ხვალ, რადაც უნდა დამიჯდეს, სახელისნოში ნავალ, უნდა ნავიდე, მთელი ჩემი არსებით თიხას უნდა მივუბრუნდე და სახიფათო ვატაცებებისაგან თავი დავიცვა. ასე ფიქრობდა, რადგანაც, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, დიდი ხანია მარტი იყო, როჟეს კი მეტად მიმზიდველად თელიდა.

სტრეპტომიციინი ნელ-ნელა შეუმცირეს და სმენა აღუდგა. ახლა მხოლოდ თავბრუ ეხვეოდა და კლასიკურ მუსიკალობას აგრძელებდა. ექიმი ტიბო მისი მეგობარი გახდა. ფურეიაზე შეყვარებული მეგობრების რიცხვი თანდათან იზრდებოდა

ნეტავ, ახლა ჭლექი არ მჭირდესო, - ფიქრობდა ზოგჯერ - ახლა, როცა ყველაზე მეტად მწყალობს ღმერთი. კვლავ გიუჟური ტემპით მუშაობდა. საოცარ ნაკეთობებს ქმნიდა. ამავე დროს, საკუთარი შემოქმედებით კმაყოფილი არ იყო. "რაღაც სტილი უნდა გამოვიმუშაო. რაღაცით უნდა დავიწყო. აუცილებლად საიდანმე უნდა დავიწყო, მაგრამ საიდან?" - ეკითხებოდა საკუთარ თავს.

გადაწყვიტა, ძეველი ქსოვილებით დაეწყო. შეეძლო ძეველი რსმუანი ლური ქსოვილის ორნამენტები უფრო სტილიზებურად გადატანა კერამიკაზე. კვლავ გატაცებით შეუდგა მუშაობას. ჩანთაში მუდამ ედო ავტოკალამი და ქაღალდის დასტა. თუ სადმე რამე მოენონებოდა, იხატავდა. "ტუშით ან კალმით ჩანახატის გაკეთება ისნავლე," - უთხრა ფაპრუნისამ. მადლობა ლმერთს, ლეისინში პოლონელი ქალისგან ისნავლა, როგორ უნდა გაეკეთებინა ჩანახატი. ორნამენტები და ხეები კერამიკულ ფილებზე გადაპექონდა.

შემოდგომაზე ფაპრუნისა პარიზში ჩამოვიდა. ფურეია ცნობილ ხელოვანებსა და გალერეის მფლობელებს გააცნო. ერთხელაც ჰკითხა:

"ამდენი რამ შევიქმნია, არ გსურს გამოფენა მოაწყო?"

ამ კითხვამ ფურეია ააფორიაქა. ეს კითხვა გონებაში ჩაეპეჭდა და უსაზღვრო სურვილად ექცა. გამოფენის მოწყობის სურვილს გულში მალავდა. გამხელას ვერ ბედავდა.

ერთხელ ფურეია და ფაპრუნისა პარიზში გამოფენაზე შარლ ესტიენს შეხვდნენ. ფაპრუნისა პარიზში უამრავ შემოქმედსა და ხელოვნებათმცოდნესთან მეგობრობდა. ცნობილ კრიტიკოსს დისნული წარუდგინა. გამოფენის შემდეგ სავახშმოდ წავიდნენ. ვახშამზე გამბედაობის მოსაკრებად ფურეიამ დევინო დალია და ესტიენს ჰკითხა:

"ერთ დღეს ჩემი ქმნილებების დასათვალიერებლად სახელოსნოში ხომ არ შემომივლით?"

"დიდი სიამოვნებით", - მიუგო კაცმა, - "ვნახავ, თქვენც დეიდათქვენივით ნიჭიერი თუ ხართ?"

"მე უმეტესწილად კერამიკაზე ვმუშაობ."

"კარგი, მოვალ და ვნახავ. პრინცესა ზეიდს შევუთანხმდები. მომავალ ოთხშაბათზე რას იტყვით?"

ფურეია ყურებს არ უჯერებდა. შარლ ესტიენი მოვიდოდა და მის ნამუშევარს ნახავდა? სულ დაავინყდა, მომავალ ოთხშაბათს კლინიკაში რომ უნდა ნასულიყო. იმ წამს ფილტვები არც გახსენებია.

"გელით, გელით, აუცილებლად მობრძანდით".

აღელვებისგან ლამის მომკვდარიყო. ნეტავ, მისი კერამიკული ქმნილებების ნახვისას რას იტყოდა?

"თუ არ მოეწონა, არაფერს იტყვის, გაჩუმდება. მისი ხასიათი კარგად ვიცი", - უთხრა ფაცირუნისამ. გაჩუმდებოდა? ხომ არ ეტყორდა, კერამიკას თავი დაანებეთ, ფერნერას მიხედეთო. იმდენად განსხვავებული ნამუშევრები ჰქონდა, ვერაფრით შეარჩია სტილი. სწორედ ამისთვის ელოდა, ესტივი გზას მიჩვენებსო.

როგორც იქნა, ნანატრი ოთხშაბათიც დადგა. ფურეია, პირში მუნდშტუკით, ესტივის გვერდით იდგა და შეფასებას ელოდა. ესტივინმა ფურეიას ნამუშევრები ყურადღებით დაათვალიერა.

"მუნდშტუკში სიგარეტის ჩარჭობა დაგვიწყებიათ."

"არ დამვიწყებია. სიგარეტი ამიკრძალეს."

"მუნდშტუკი რაღად გინდათ?"

"რაც სიგარეტს თავი დავანებე, დღეს პირველად მომინდა."

"ნეტავ რატომ?" - ჰკითხა ესტივინმა და მაშინვე დასძინა: "თქვენ შეგიძლიათ გამოფენა მოაწყოთ."

ფურეიას ენა დაება.

"გამოფენა?" - ჰკითხა შიშით.

"რა თქმა უნდა."

"ყველა ნამუშევარი?"

"დიახ."

"მაგრამ ესენი არ ივარგებს. დასახვენია, ერთი სტილია შესარჩევი, რაღაცის შეცველაა საჭირო.."

"შეგიძლიათ ერთი-ორი მოაკლოთ".

ესტივი ნავიდა. ფურეიამ თავი ხელებს შორის ჩარგო და დიდ-ხას იჯდა ასე. ფიქრი არ შეეძლო. ერთი სიგარეტიც რომ აეღო, მონევას დაინტებდა. სტილი უნდა შეეცვალა. მისი უზარმაზარი პანოები აბსტრაქტული უნდა გამხდარიყო. ამოსავალი კვლავ თავისი სამშობლოს მოტივები და ფერები იქნებოდა. კერამიკის უშეველებელ ფილებზე საღებავის ნაცვლად კვლავ თიხას გამოიყენებდა - მინას და წყალს...

კვლავ გიური ტემპით შეუდგა მუშაობას. საჭმელი, ნამალი, ექიმთან ვიზიტი, ზოგჯერ ძილიც კი აეინყდებოდა.

"თუ ასე გააგრძელებ, ავადმყოფობა კვლავ გაგირთულდება. ცოტა ამოისუნთქე, დაისვენე", - ეუბნებოდა ტიბო.

“ეს ჩემი ნამალია, ეს ჩემი საკვებია, როუე”, - უპასუხებდა ფურნე და და კლინიკიდან გამოსვლისთანავე თიხას უბრუნდებოდა - შეუდარებელი გატაცებით უტევდა.

ერთ დღესაც გაბედა და ესტიქნს დაურეკა.

“მსურს, ახალი სტილი ვცალო, თქვენი რჩევა მჭირდება”.

ესტიქნი ორ დღეში ეწვია. თან ახოვანი, მომხიბელელი მამაკაცი ახლდა.

“მინდა გაგაცნოთ, ეს ბატონი უაკ ლასენია. ფურეია, ალბათ გსმენია მისი სახელი”.

“განა, შეიძლება არ ვიცოდე? რა თქმა უნდა, გამიგია.” მის ნინ პარიზის ერთ-ერთი სახელგანთქმული ხელოვნებათმცოდნე იდგა. ნეტავ რით დავიმსახურე ასეთი პატივიო, - ფიქრობდა. ლასენმა და ესტიქნმა ფურეიას ნაკეთობები დაათვალიერეს. “განაგრძე!”, - უთხრა ესტიქნმა. “ფურეია, მშვენივრად გამოგდის, უკან არ დაიხოთ. ეს საოცარი გამოფენა იქნება!”

მათი ნასვლის შემდეგ ფურეიას ერთხანს მუშაობა არ შეეძლო. ბედნიერებისგან ხმას ვერ იღებდა.

სალამოს, სასტუმროში დაბრუნებისას, ნარმატების აღსანიშნად ნომერში შამპანური შეუკეთა. რამდენიმე მეგობრის მონვევას აპირებდა, როცა ტელეფონმა დარეკა.

“უაკი ვარ”, - გაისმა ბოხი, მამაკაცური ხმა. “ვგრძნობ, რომ თქვენ თქვენი ქმნილებებივით საინტერესო ხართ. ჩემთან ერთად ხომ არ დალევდით?”

“რომელი უაკი?” - ჰკითხა ფურეიამ.

“უაკი, რომელიც ესტიქნთან ერთად დღეს თქვენთან იყო.”

“უაკ ლასენი?!?”

“რატომ გიკვირთ?”

“მიკვირს. დიახ, გაოცებული ვარ, არ გელოდით.”

“მადამ, ეს თურქებისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობაა? საფრანგეთში თქვენსავით მომხიბელელ ქალს როცა ურეკავენ, სულაც არ უკვირთ.”

“სასტუმროში მობრძანდით, მე შამპანური შევუკვეთე. ერთმანეთს ბარში შევხვდებით, ერთად დავლევთ,” - უთხრა ფურეიამ.

“რას აღნიშნავთ?” - ჰკითხა ლასენმა. ფურეიამ ვერ გაბედა, ეთ-

ქვა, დღევანდელ დღესო. მხოლოდ ამის თქმალა მოახერხა - "განსაკუთრებული მიზეზი მაქვს, შეგიძლიათ შემომიერთდეთ."

უაკ ლასენი ფურეიას დასახმარებად ძალისხმევას არ იშურებდა. იგი ქალის შემოქმედებითა და პიროვნებით მოხიბლული ჩანდა. ფურეია თავდაუზოგავად მუშაობდა. ლასენი კი გალერეას დაეძებდა, სადაც ნამუშევრებს გამოფენდნენ. ბოლოს აკადემიისათან მდებარე ერთ გალერეას შეუთანხმდა. აქ აკადემიის სტუდენტები და ლექტორები დადიოდნენ. ფურეიას ნარმოუდგენლად ტკბილი სიზმარი კვლავ გრძელდებოდა.

გამოფენა 1951 წლის ივნისის პირველ კვირას დაგეგმეს. უაკ ლასენმა პარიზის ხელოვნებისა და ბიზნესწრეების ნარმომადგენელთა სია შეადგინა. ფურეიამ სტამბოლიდან უამრავი ნაცნობი დაპატიჟა.

ცონბილი თურქი მხატვარი რასინი პარიზში ერთი კვირით ადრე ჩავიდა, გამოფენის მოწყობაში რომ დახმარებოდა. გამოფენაზე ნარმოდგენილი იყო ფურეიას შიერ პარიზში შექმნილი ნამუშევრები. პანოებზე ფოლკორული მოტივები და მევლევის დერვიშთა კვალი იკვეთებოდა. ცველა ქმნილება ოთხკუთხედი იყო, ფორმა არ ჰქონდა. ფილებზე თიხით აბსტრაქტული სურათები იყო გამოსახული. ამავე გამოფენას ამდიდრებდა ლითოგრაფიაც.

სტუმრების მიღებით გართული ფურეია შავ გედს ჰეგავდა. უეცრად ვარდების თაიგულს მოკრა თვალი. ვარდისფერი კოკრები... არა, შეუძლებელია!

"ფურეია, გეგონა, რომ ასეთ მნიშვნელოვან დღეს მარტო დაგტოვებდი?" უთხრა შევექი ბეიმ.

"უნდა მცოდნოდა, შევქი, უნდა მცოდნოდა, რომ მოხვიდოდით."

"ამ სალამოს "Maxims"-ში მაგიდა შევუკვეთე. ვახშმად..."

ფურეიას ლიმილი შეაშრა. ამ სალამოს "Lipp"-ში აპირებდნენ ნარმატების აღნიშვნას. გამოფენაზე მოსულ ხელოვნების მოღვაწებთან ერთად უნდა ყოფილიყო.

"ჩვენთან ერთად ნამოდით."

"არა, დღეს შენ ნადი და ნარმატება იზეიმე. ჩემთან ხვალ ნამო-

ვალ. ერთად ვისადილებთ. უამრავი რამ უნდა გიამბო."

"ხვალ სასტუმროში შემომიარეთ, - უთხრა ფურეიამ, - შეიძლება მართვა და მომზადება." ბერძნების მიერ მართვა და მომზადება.

ხალხმრავლობასა და ხმაურში ერთმანეთის სიტყვები ძლივს ესმოდათ. ფოტოაპარატები ანათებდნენ, უურნალისტები კითხვებს უსვამდნენ, ზოგიერთებს ფურეიას გაცნობა და მილოცვა სურდა. ერთ სალამოს, ზუსტად ერთ საათში, ფურეია ვარსკვლავად იქცა.

მეორე დილით გაზეთებს გადახედა.

"თურქი ხელოვანის - ფურეიას - გამოფენა აღმოსავლური და დასავლური კულტურის სინთეზია," - წერდა ერთი კრიტიკოსი.

"ამ ქალს ყურადღება მიაქციეთ. ამ ხელოვანს მიმდევრები უნდა გამოუჩინდნენ," - ამბობდა სხვა.

ფურეია ამ გამოფენამ შეცვალა.

ის უკვე კერამიკოსი იყო!

### III ნაწილი

#### მინა, ცყალი და ცეცხლი

“ჩიტებში ფურცელის თავისუფალი სული ირექლება,  
ხეებში - მისი თანამდევი მარტოობა,  
თიხით ნაძერწი სახეები იმ ღირებულებებს ასხივებენ,  
რისიც მას ყოველთვის სწამდა.”  
პანდეირ ვერთანი

## ახალი ცხოვრება

(1951)

"დიდ წარმატებას მიაღწიე, ფურეია", - თქვა შევქი ბეიმ, "საფრანგეთში კრიტიკოსებისგან ასეთი აღიარება ყველა თურქის ხვედრი როდია".

"ისინი უცხო ქვეყნის ხელოვნებამ დააინტერესა", - მიუგო ფურეიამ.

"ირგვლივ უამრავი თაყვანისმცემელი გახვევია. არის შენში რა-დაც ისეთი, რაც იშვიათად აქვთ ადამიანებს, ისეთი განსაკუთრებული, რაღაც... რაღაც... როგორ ვთქვა, თითქოს, ქარიზმა. ირგვლივ ყველა მამაკაცი მოჯადოებულია შენით."

"ისინი ჩემი მეგობრები არიან, შევქი".

"მათ უმეტესობას უყვარხარ."

"ეჭვიანობა?"

"ვდელავ. მეშინია, ჩემზე ბევრად ახალგაზრდა და სიმპათიურმა მამაკაცებმა ჩემი კუთვნილი დრო არ დაიკავონ. აი, მაგალითად, იმ კრიტიკოსმა, რა ჰქვია?"

"უაკი?"

"იმ მაღალ კაცს უაკი ჰქვია? მთელი საღამო შენთვის თვალი არ მოუშორებია, გვერდიდან არ მოგცილებია".

"ის მაღალი კაცი რომ არა, ამ გამოფენას ვერ მოვაწყობდი".

"ვფიქრობ, ჩემი დრო ნავიდა... ასე არ არის?"

"შევქი, ჩემს ცხოვრებაში თქვენს ადგილს ვერავინ დაიჭერს. ლეისინში ჩემი ერთადერთი მეგობარი თქვენ იყავით, არ მიმატოვეთ. ჭლექი მძიმე დაავადებაა, არავინ გეკარება. ირგვლივ უამრავი ადამიანი იყო, მაგრამ მაინც ეული ვიყავი. თითქოს, თვალუნვდენელ ოკეანეში გემით მივცურავდი. იქ ყველა ჩემსავით ავადმყოფი იყო: ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჩემი არ ესმოდა, "ფაშისტური გარეგნობის" მქონე მამაკაცი, რომელთანაც საერთო ვერა-

ფური გამოვნახე; ყმაწვილი, რომელმაც არც კი იცოდა, სად იყო თურქეთი... ეს ადამიანები ჩემთვის მეტად უცხონი იყვნენ და თვეების განმავლობაში ჩემი ერთადერთი მეგობარი მხოლოდ თქვენ იყავით. თქვენ ჩემთვის ის სარკმელი ხართ, რომელიც სამყაროსკენ იჭრება. თქვენს მოსვლას, თქვენთან საუბარს მოუთმენლად ველოდი". ფურეია გაჩუმდა. ყელში ბურთი ჰქონდა გაჩრილი. არ უყვარდა გრძნობების გამოაშკარავება.. წამოინია და შევქი ბეის ხელი ნაზად მოუჭირა.

"დიახ, თქვენზე ახალგაზრდა და სიმპათიური თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თქვენს ადგილს ვერ დაიკავებს. თქვენ ჩემთვის შეუცვლელი მეგობარი ხართ. მართალია, კერამიკაში პირველი ნაბიჯები ფარუნისასა და ალიეს წყალობით გადავდგი, მაგრამ ჩემი წარმატების უკან თქვენი მხარდაჭერა, თქვენი გამოგზავნილი წიგნები და თიხაა. აი, ნახეთ, დღესაც ყველაზე დიდ სიხარულს თქვენ გიზიარებთ - ჩემი პატარა ძმისშვილის დაბადებას ერთად აღვნიშნავთ".

"მართალი ხარ, ფურეია, ვხედავ, სარას დაბადებამ სიხარული გაგიორმაგა", - უპასუხა შევქი ბეიმ.

"იცით, ვერ გეტყვით, რა უფრო გამიხარდა - გამოფენის წარმატება თუ სარას დაბადება. მას ისეთი მღელვარებით ველოდი, რომ... თითქოს ბავშვი მე უნდა გამეჩინა. ცხრა თვეა, რაც უცნაური გრძნობა დამეუფლა. როგორც იქნა, ჩვენს ოჯახში ახალი სიცოცხლე ჟეშოვიდა. ჩემი მშობლების გამოც მიხარია - სიცოცხლე მოძულებული ჰქონდათ, ეს ბავშვი ორივეს ცხოვრებისკენ მოაბრუნებს".

ვახშმისას ფურეია გამუდმებით პატარა ძმისშვილზე საუბრობდა.

"თურმე, მე მგავს. დედაჩემი მწერს, ფურეია, ასე მგონია, თითქოს თავიდან ჩაგიკარი გულშიო. მოგეხსენებათ, მთელი ძვირფასეულობა მომპარეს. კუნძულის სახლში ქურდებს ერთადერთი რუსული გულსაბნევი გადაურჩა, რომელიც გარდერობში პიჯაკის საყელოზე მქონდა მინდეული. მინდა, სარას გაუუგზავნო. მამიდამისის ერთადერთი სამყაული - დიდი ბებიას სახსოვარი - მისი იყოს, იცოდეს, როგორ მიყვარს. თუ შეიტყობთ, რომ სტამბოლში ვინმე მიდის, მაცნობეთ, კარგი?"

მთელი საღამო შევქი ბეი ფურეიას აღტაცებულ ულურტულს  
ისმენდა. ბოლოს ჩატიქრებულმა უთხრა: "ფურეია, რაღაც უნდა  
გითხრა. გახსოვს, სტამბოლში რომ წავედი და ერთხანს იქ დაურ-  
ჩი?"

"დიახ, ოჯაშის მოსანახულებლად გაემგზავრეთ".

"სინამდვილეში მეუღლესთან დალაპარაკება მსურდა."

ფურეია შეცბა.

"საქმე ისე არ წავიდა, როგორც მინდოდა".

"ღმერთო, მოხდა რამე?"

"ემინე ხანუმი განქორნინებაზე ვერ დავითანხმე".

"არ ვიცოდი, განქორნინება თუ გინდოდათ", - ხმა შეეცვალა  
ფურეიას.

"ნამდვილად მინდოდა. მსურდა, ჩვენი ერთად ყოფნისთვის  
ლირსეული ფორმა მიმეცა."

ფურეია გამრა. შევქი ბეისთან ქორნინებაზე არც უფიქრია. მას  
მხოლოდ უახლოეს მეგობრად მიიჩნევდა.

"შევქი ბეი, მეც გათხოვილი ვარ".

"ჩემსა და ჩემს ცოლს შორის ურთიერთობა დასაშვებია, ჩვენ  
ხომ ასაკოვანი ადამიანები ვართ. მაგრამ შენ ახალგაზრდა ხარ,  
ფურეია. შენი ქმარი რატომ არ არის შენ გვერდით?"

"იმიტომ, რომ სტამბოლში საქმეები აქვს. ჩემი მკურნალობის  
ხარჯები ადვილად გასასტუმრებელი როდია. ვერ დავადანაშაუ-  
ლებ, ჩემთან რომ არ არის".

"მე დაგეხმარებოდით."

"როგორ წარმოგიდგენიათ, ქილიჩ ალი მიიღებდა ასეთ დაბმა-  
რებას?"

შევქი ბეი დადუმდა.

"შესაძლებელია, ქილიჩი გულზე არ გეხატებათ. გასაგებია, რომ  
რევოლუციური სასამართლოები ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ჩემი  
ქმრისთვის ლირსება უპირველესია."

"შენი განაწყენება არც მიფიქრია, ფურეია. მხოლოდ შენი დაც-  
ვა და გაბედნიერება მინდა. განქორნინება რომ მიმეღო, მთლიანად  
მე გაგინევდი მფარველობას. სულ ეს არის".

"გმაღლობთ, თქვენი მეგობრობა საკმარისად ბედნიერს მხდის,  
შევქი."

"მართლა ბედნიერი ხარ, ფურეია? ნუთუ, მარტოობას არ გრძნობ? პარიზიდან ნასვლა ხომ არ გინდა? ან - მოგზაურობა, ვთქვათ, ამერიკაში? სტამბოლში დაბრუნება გირჩევნია?"

"არა, აქ კარგად ვარ."

"არც სანუკვარი ოცნება გაქვს? აუცილებლად გექნება. ამქეყანად ყველაზე მეტად რა გსურს? მაგალითად, დაკარგული ძვირფა-სეულობის ნაცვლად არაფერს ინატრებდი?"

"არა, სამკაულებზე არც კი ვფიქრობ."

"კარგი, მაშინ ისურვებდი?"

"მინდა, მქონდეს კერამიკული ღუმელი და სახელოსნო, სადაც ამ ღუმელს დავდგამ" - მიუგო ფურეიამ დაუფიქრებლად.

"მართლა? სულ ეს არის?"

"ეს ჩემი ერთადერთი სურვილია."

ერთ კვირაში შევქი ბეიმ ფურეიას სიურპრიზი მოუწყო. სასტუმროში გაუარა, ტაქსით მარცხენა სანაპიროს გაუყვნენ და ერთ ვინრო ქუჩაზე გაჩერდნენ. შევქი ბეიმ მძლოლს ფული გადაუხადა. გრძელი დერეფანი გაიარეს და ერთი-ორი საფეხურით ქვევით ჩავიდნენ. შევქი ბეიმ ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

"არ მითხრათ, რომ სასტუმროდან ამ ბინაში გადმოყვანას მიპირებთ," - თქვა ფურეიამ. კარი გააღეს და შევიდნენ. ფურეიამ გაოცებული მზერა მოავლო რამდენიმე ნივთით გაწყობილ ორ პატარა ოთახს და სამზარეულოს, სადაც კერამიკის ღუმელი იდგა.

"როგორია? მოგნონს?" - ჰეითხა შევქი ბეიმ.

"ეს რა არის!?"

"ეს არის ორი რამ, რაც ქვეყნად ყველაზე მეტად გსურდა - ბინა და კერამიკული ღუმელი."

"თქვენ ნამდვილად გაგიუდით, შევქი! ასეთ საჩუქარს ვერ მივიღებ!" - უპასუხა ფურეიამ

"ექვსი თვის ქირა ნინასწარ გადავიხადე. ცარიელი ხომ არ იქნება?"

"ეს რატომ გააკეთეთ?"

"მსურდა შენს ბედნიერებაში მცირეოდენი ნვლილი შემეტანა."

"ამ სახლში ვერ გადმოვალ. ეს ნარმოუდგენელია!"

"შენს ხნიერ მეგობარს ძალიან გაანაწყენებ. რის გაკეთებაც

მსურდა, ვერ გაგიკეთე. ვერც განქორნინებას მივაღწიე. ეს საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ თავი ცუდად ვიგრძნო. შენი უარი განწყობას უფრო გამიფუჭებს."

ფურეიამ დაპირა ეთქვა: განქორნინება რომ მიგელო, ცოლად მაინც არ გამოგყვებოდიო. მაგრამ კაცი ისეთი ბედნიერი იყო, მის განაწყენებას მოერიდა.

"ფურეია, უკვე შეგიძლია, ღამით აქ დარჩე და სახლშივე იმუშაო."

ფურეიას სუნთქვა შეეკრა. მოჯადოებული გაემართა ლუმელისკენ, მის სახურავს ხელი შეახო. ცივი რკინიდან თითებზე სითბო გადმოვიდა. თითქოს ლუმელი ახალგაზრდა ქალს ძალას და შთაგონებას მატებდა.

"სახელოსნოში წავიდეთ და მასალა გადმოვიტანოთ", - თქვა აღელვებულმა. მას უკვე ლუმელი ჰქონდა და სურდა, რაც შეიძლება სწრაფად დაეწყო მუშაობა.

როცა სტამბოლში გალერეა გაიხსნა, ფურეია ჯერ ისევ პარიზში იყო. მაიას გალერეას ადალეთ ჯიმჯოზი უძღვებოდა. ევროპის გალერეებისგან განსხვავებით, იგი მაიას სახელმწიფო დაწესებულების კონცეფციით მართავდა. გალერეას საკმაოდ ცნობილი კონსულტანტები ჰყავდა. ადრე თურქ ფერმწერთა გამოფენები სტამბოლში ძირითადად საფრანგეთის საკონსულოს სალონში ენყობოდა. ქვეყანაში ერთადერთი გალერეა ანკარის ჰელიკონი იყო. როდესაც ფურეიას პარიზის გამოფენის შესახებ თურქულ პრესაშიც დაიბეჭდა, ადალეთ ჯიმჯოზმა იგი სტამბოლში მიინვია და შემოდგომაზე გამოფენის მოწყობა შესთავაზა. ალიე და ფაშრუნისაც სთხოვდნენ ფურეიას, რომ მეორე გამოფენა სწორედ ამ სალონში მოეწყო. ფურეიამ მაიას გალერეაში თავისი ნამუშევრების ფოტოები და ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული დადებითი გამოხმაურება გაზიარდა.

"ძალიან მინდა შემოდგომის სეზონი თქვენ გახსნათ," - ევედრებოდა ადალეთ ჯიმჯოზი.

ფურეია ფიქრობდა საგამოფენო კოლექცია ახალი ნამუშევრებით შეევსო. უაკიც ამას ურჩევდა:

"პარიზელები შენი ნამუშევრების მისტიკურმა სულმა, ანატო-

ლიის ფერებმა მოაჯადოვა, მაგრამ თურქებს სხვა რამ უნდა შეს-  
თავაზო." ფურეია კელავ ღუმელთან ათენებდა ღამეებს, დაქმნ-  
ცული სანოლამდე ძლიერ აღნევდა. ახლა სახელგანთქმული იყო,  
ხელოვნებათმცოდნების უმეტესობა მას უკვე იცნობდა. ამიტომ  
ახალი გამოფენები, გალერეები, მუზეუმები უნდა მოენახულები-  
ნა, განსხვავებულ მიდგომებს გაცნობოდა, სიახლეებისთვის  
თვალყური ედევნებინა. ამასთან, მოულილი და კარგად ჩაცმულიც  
უნდა ყოფილიყო.

"ფურეია, მართალია, გამოჯანმრთელდი, მაგრამ, თუ ასე გადა-  
იღლები, ავადმყოფობა შეგიბრუნდება. იარა ნებისმიერ ნამს შეიძ-  
ლება გაიხსნას", - ეუბნებოდა ექიმი. ოთხშაბათობით ექიმ ტიბოს-  
თან ერთად კონცერტზე დადიოდა, შემდეგ კი მსუბუქად ნაიხემ-  
სებდნენ და ერთმანეთს შორდებოდნენ.

უაკ ლასენი ფურეიას სახელოსნოს ხშირად სტუმრობდა, თვალ-  
ყურს ადევნებდა მის მუშაობას, საღამოობით კი ფურეია ახალ გამო-  
ფენებზე მიჰყავდა. დროდადრო პარიზის ქუჩებში სეირნობდნენ და  
შენობებს ათვალიერებდნენ. ამ არქიტექტურულ ანსამბლებში ნა-  
ტიფად იყო შეხამებული კერამიკა და ქანდაკება. ხშირად სტუმრობ-  
დნენ სახელგანთქმული არტიგასისა და მიროს ერთობლივ გამოფე-  
ნებს, სადაც ნარმოდგენილი იყო ყველაფერი, რის გაკეთებაც თიხით  
შეიძლებოდა. ევროპამ აღმოსავლური კერამიკა ასეთი გამოფენე-  
ბით გაიცნო. შემდეგ იგი ხელოვნებათმცოდნებმა შეისწავლეს და  
მოყვარულებმა აითვისეს. კერამიკული ტექნოლოგია სწრაფად ვი-  
თარდებოდა და ფართო გამოხმაურებაც პოვა. მას შემდეგ დიდი  
დრო გავიდა, რაც 1886 წელს ზურგი აქციეს გოგენის თიხის ქანდა-  
კებებს. ახლა კი თანამედროვე ხელოვნებათმცოდნებმა და მოყვა-  
რულებმა გოგენის ქმნილებები სათანადო აღიარეს და დააფასეს.

ამ სფეროში ნამდვილი რევოლუცია მიროს შემდეგ პიკასოს კე-  
რამიკულმა ნამუშევრებმა მოახდინა.

ევროპამ კერამიკა შეიყვარა და ხელოვნების დარგად აღიარეს.

მტაცებელი ცხოველის ველური უინით შეპყრობილი ფურეია  
კერამიკის მიღწევებს სწავლობდა. გზის მაჩვენებელი მისთვის უაკ  
ლასენი იყო, მაგრამ უახლოეს მეგობრად მაინც შევქი ბეის თვლი-

და. როცა შეხვედრას ვერ ახერხებდნენ, ტელეფონით საუბრობდნენ. შევქი იყო ერთადერთი, ვისაც გულის ნადებს უმხელდა, სიხა-რულს, შიშს მხოლოდ მას უზიარებდა. ფურეიას ის მამასავით უყვარდა, პატივს სცემდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რას იფიქ-რებდა ხალხი.

ფურეია სასტუმროდან შევქი ბეის მიერ ნაქირავებ პატარა ბი-ნაში გადავიდა. ამ ბინაში მას ღუმელი ელოდა. უკვე შუალამებდე მუშაობა შეეძლო. აქ გადმოსვლის კიდევ ერთი მიზეზი შეითანიც იყო. ძალლი ბაღში გამავალი აივნიდან გარეთ გადიოდა, სახლს შე-მოურბენდა, კართან მოსვლისას დაიყეფებდა. ფურეია უთენია დგებოდა და შეითანი შემოჰყავდა. სახლის ყოველ კუთხეში პატარა ძმისნულის სურათები გამოფინა. სტამბოლიდან ყოველ კეირას ახალ-ახალ ფოტოებს უგზავნიდნენ. სარა მართლაც რომ დღი-თიდღე ემსგავსებოდა მამიდას. ფურეია ბავშვისთვის საჩუქრებს ყიდულობდა და სტამბოლში წამსვლელებს ეძებდა.

შუალამე იყო. მევლევის დერვიში ღუმელში გამოსაწვავად უნდა შეედგა. უკურად ტელეფონმა დარეკა. საქმის შუა გზაზე მიტოვება არ სურდა, ამიტომ ტელეფონთან არ მივიდა. დამრეკავი კვლავ და-რეკავსო, გაიფიქრა. მაგრამ ზარი არ ნყდებოდა. უპასუხა. თავიდან ვერაფერი გაიგო. ჩაეკითხა.

"რას ამბობთ? ვინ გარდაიცვალა?"

მევლევის დერვიში ხელიდან გაუვარდა. რამდენიმე წაშში თვე-დაც ღონემიხდილი დერვიშის წამსხვრევებთან ჩაიკუთხა.

შევქი ბეის გარდაცვალება სხვა დანაკლისს ვერ შეეფრებოდა - მას უკვე აღარ ჰყავდა ერთგული და უანგარი მეგობარი, შაში, უფ-როსი ძმა, ამხანაგი, სატრუო, რომელსაც იგი უპირობოდ უყვარდა, აღარ ჰყავდა მფარველი, ის ერთადერთი მეგობარი, რომელიც გაა-ნებივრებდა, რომლის მეერდზე მიყრდნობილი იტირებდა; რომელ-საც თვალდახუჭული მიენდობოდა. ფურეია სასტუმროში დას-ვერებული ცხედრის ერთადერთი დამტირებელი იყო.

"ვის გვერდითაც მოკვდა, მან დაიტიროსო," - შემოუთვალა ცოლმა, რომელიც, ვინ იცის, რას ფიქრობდა მათზე.

ფურეიამ ცხედრის სტამბოლში გადასასვენებლად ყველაფერი მოაგვარა, საყვარელი მეგობარი გაამგზავრა და შინ დაბრუნდა. შეითანმა ქალს ნაღვლიანი თვალები მიაპყრო. დიდხანს უცქერდა.

"მოდი ჩემთან," - უთხრა ფურეიამ. ძალი წამოდგა და პატრონისკენ ზანტად გაემართა.

"შეითან, აქ უკვე ველარ ვიცხოვრებთ. მარტონი დავრჩით, შეითან. სულ მარტო. პარიზის მარტო ვერ ვიტვირთავ. ჩვენი წასვლის დროც დადგა. შინ უნდა დავბრუნდეთ. იქ სარა გველოდება." ცხოველი გაოცებული შეცყურებდა. ფურეიამ თავი შეითანის ხვეულ ბენვში ჩარგო და გულამოსკვილი ატირდა.

"თურქეთში დაბრუნებაზე-ფიქრი სისულელეა და სხვა არაფერი, - უუბნებოდა ლასენი, - აქ საოცარი წახტომისთვის ემზადები. პირველივე გამოფენით წარმატებას მიაღწიე. დარჩი და დაწყებული საქმე დაასრულე. ვერ გამიგია, რატომ გინდა დაბრუნდე იმ ქალაქში, სადაც ტექნიკური პრობლემები ხელს შეგიშლის. განა, შენ არ ამბობდი, იქ სამუშაოდ ღუმელიც კი არ მაქვსო? თუ ასეა, მაშ, რატომ მიდიხარ? ჰანდაც, კერამიკა ევროპაში პოპულარობის ზე-ნიტშია. პიკასო, მირო, შაგალი კერამიკის ცეცხლს აქ აჩაღებდნენ... შენ კი მიდიხარ."

"ის ჩემი სამშობლოა, უაკ. ქვეყანა, სადაც აბანოს თაღები, მეჩე-თებისა და სასახლეების კედლები, შადრევნები და აკლდამები ფაი-ფურის ფილებით არის მოპირკეთებული. მინდა, ჩემს სამშობლოში დავბრუნდე და ეს ტრადიცია ავალორძინო. უმნეო ვაზივით ყოფნა მომბეზრდა. მინდა, ჩემს მინას ვეკუთვნოდე. თანაც იქ ახალი სიცოცხლე მელის, ახალი სული, ჩვილი ბავშვი, ჩემი ქალიშვილი, რომელსაც მრავალი ნელი ველოდი." ფურეიას ისეთი მტკიცე ხმა ჰქონდა, რომ უაკმა ღუმილი ამჯობინა.

ცის კამარაზე მოციმციმე ვარსკელავი ახალგაზრდა ქალს გზას უჩვენებდა. ფურეიამ უკვე იცოდა, სად იყო მისი ადგილი. თვითმფრინავში ადგილი დაჯავშნა და ბარგის ჩაღაგებას შეუდგა.

## ცეცხლის ასული

ფურეიამ სტამბოლში დაბრუნება გამოფენის გახსნამდე სამი კვირით ადრე შეძლო.

აეროპორტში ქილიჩ აღი დახვდა.

"ფურეია, შევიძლია შინ მისვლამდე დედაშენთან შევიაროთ. ბავშვის ნახვა ხომ გინდა?" - ჰეითხა ქილიჩ აღიმ.

"აპ, ქილიჩ, განა შეიძლება ბავშვის ნახვა არ მსურდეს? დამი-  
ჯერე, რაც გაჩნდა, აგრე უკვე ხუთი თვეა, სხვა არაფერზე ვფიქ-  
რობ. მაგრამ ნამგზავრი ბავშვს ხელში ვერ ავიყვან. ჯერ შინ მი-  
მიყვანე, შხაპს მივიღებ, გამოვიცვლი, საჩუქრებს ამოვალაგებ და  
ნავიდეთ."

მძღოლის გვერდით, წინა სავარძელზე დასკუპებული შეითანი  
საზურგეს გადაახტა და ფურეიას მიეღლაქუცა.

"აბა, უკან დაბრუნდი!" - გაუწყრა ქილიჩ აღი, "ქალბატონს ტან-  
საცმელი დაეჭმუჭნა".

ძალმა ეშვები გამოაჩინა და დაიღრინა. "არა უშავს", - თქვა  
ფურეიამ. "სანყალი ძალლი მგზავრობამ დაღალა, უხალისოდ არის.  
გავა დრო და შენც შეგეჩვევა". ქილიჩ აღიმ ხელი გაიწვდინა, სურ-  
და, მოფერებოდა, მაგრამ ძალმა კვლავ შეულრინა.

"გაჩუმდი, შეითან, ნუ უზრდელობ!"

"სწორედ შესაფერისი სახელი აქვს, საძაგელი ვინმეა," - თქვა  
ქილიჩ აღიმ.

ფურეიას ხმა არ ამოუღია. ცოლ-ქმარი ელ ირაქის აპარტამენტ-  
ში მივიდა. ფურეიამ ერენქონის სახლიდან ავეჯი გადმოატანინა,  
მაგრამ მკურნალობის გამო ამ სახლში დიდხანს არ უცხოვრია. წვე-  
ულების მოსაწყობად დრო ძლიერს გამონახა. რამდენიმე უახლოესი  
მეგობარი ვახშმად დაპატიჟა. თორმეტ კაცზე გაშლილი სუფრა  
სანთლებითა და ყვავილებით მორთეს. კარგად მოილხინეს.

ეს მშვენიერი სახლი ახლაც საინტერესო მომავალს ჰპირდებო-

და. სასწრაფოდ იბანავა, ჩაიცვა და ბავშვისთვის ნაყიდი საჩუქრები ჩანთაში ჩააწყო.

"ტაქსით ნავიდეთ," - უთხრა ქილიჩის.

ფურეიის სული ყელში ებჯინებოდა. კარი მოსამსახურემ გააღო. პაკი ხანუმი შვილის ხმის გაგონებისთანავე კარებთან გაჩინდა. ფურეიი დედას გადაეხვია.

"მამა სად არის?"

"სალონშია, გელოდება".

ემინ ფაშა გაჭირვებით ნამოდგა.

"ნუ შეწუხდებით, მამა, ბრძანდებოდეთ." ფურეიიამ მასთან მიირბინა და გადაეხვია.

"ის სად არის?" იკითხა ალელვებულმა.

"აფიფე აძინებს. დღეს ცოტა გაჭირვეულდა," - უპასუხა მამამ.

"შენ გვავს, ფურეიი, თითქოს შენი შვილი იყოს."

"დიახ, ის ჩემი შვილია."

შაქირმა შემოიხედა. ფურეიიამ ისიც გადაკოცნა.

"ყოჩალ, შაქირ. რაც მე ვერ შევძელი, შენ მოახერხე. სარო ამ ოჯახის სიხარულია. მამას შეხედე, როგორ უბრნებინავს თვალები. ბავშვი როდის გაიღვიძებს?"

"ახლახანს დაძინა," - თქვა აფიფემ. იგი ჭართაზ რდევა და ელოდა, როდის აკოცებდა ფურეიია.

რა, კარგად შეურჩევია დაძინების დრო, ზუსტად ჩემს მოსვლას დაამთხვიაო, გაიფიქრა ფურეიიამ.

"რამდენ ხანს სძინავს?"

"არ ვიცი, ერთი-ორი საათი".

"ღმერთო, ამდენ ხანს ვერ მოვიცდი".

"მობრძანდით, მძინარეს დახედეთ, ნახეთ," - უთხრა აფიფემ და მულს საძინებლისექნ გაუძღვა.

"ბავშვს თქვენს ოთახში სძინავს?"

"დიახ, ღამ-ღამობით ტირის. არ მინდა, ვინმე გააღვიძოს. მაშინვე ჩემთან გადამყავს".

შაქირ ფაშას ოჯახში ყველა ბავშვს საკუთარ ოთახში ეძინა, უზომოდ განებივრებული ალიეს გარდა. მხოლოდ ალიეს ვერ მოუხერხეს ვერაფერი. ყვირილს იწყებდა და სანამ დედასთან არ დაან-

ვენდნენ, არ ჩუმდებოდა. ალიე იმდენად უცნაურად იქცეოდა, რომ ხუთი წლისა მამამ ექიმთან მიიყვანა - ხომ ყველაფერი ნესრიგში აქვსო. ნიჭიერი ბავშვი იყო, მაგრამ ცოტა თავქარიანი და უზნეო. ახლა სარასაც ალიეს მსგავსად დედასთან უნდა დაეძინა?! ფურეიას არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

სარას პატარა საწოლში ეძინა. ვარდისფერი საბანი ეფარა. ოფლისგან დახვეული თმა შუბლზე მისწერებოდა. ციცქნა მუჭი საბანზე ედო. ფურეიამ ხელი გაინვდინა, უნდოდა, შეხებოდა, მაგრამ შეშინდა. ბავშვის თვალები დახუჭული ჰქონდა. მძინარე ვერავის მიამსგავსა. მისი სურნელი იგრძნო - საპნის, პუდრისა და უმანკოების ნაზავი - მხოლოდ ჩვილი ბავშვისთვის დამახასიათებელი სურნელი... ფურეიამ ღრმად შეისუნთქა.

"ბამბის ქულა. ეს პანანინა ბამბის ქულაა".

საწოლს ფეხის წვერებზე მიუახლოვდა და უკან გაბრუნდა. სანამ ჩაის დალევდა, ბავშვიც გაიღვიძებდა.

მშობლებმა კითხვები დააყარეს. გამოფენის შესახებ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ახლა პირადად მისგან სურდათ მოესმინათ. ნამდვილად გამოჯანმრთელდა? მკურნალობა დასრულდა თუ კვლავ უკან დაბრუნებას აპირებს? რამდენად სწორად მოიქცა, როცა ქილიჩ ალი ერთი წლით მიატოვა? რაც უნდა იყოს, მასაც ხომ სჭირდებოდა მოვლა. მართალია, რომ შევქი ბერ სასტუმროში გულის შეტევით გარდაიცვალა? ნეტავ, თუ ინვალა? რატომ არ მიხედეს ოჯახის წევრებმა და რატომ მოუხდა ფურეიას მისი სამშობლოში გადმოსვენება? მზად იყო სტამბოლში გამოფენის გახსნისთვის?

ფურეიას ბავშვის ტირილი შემოესმა, ნამოხტა. კარში აფილეს შეეჩება. ისიც ბავშვისკენ მირბოდა.

"მომიტევეთ," - თქვა აფილემ და გაიქცა. ფურეია ბავშვის ოთახისკენ წელა გაემართა.

"ჩემო პატარავ, ჩემო ლამაზო, ჩემო ერთადერთო, გაიღვიძე? ნახე, შენს სანახავად მამიდა მოდის", - ფურეიას აფილეს ხმა შემოესმა. კართან შეჩერდა. სხვები უკან მოპყვებოდნენ. ყველას უნდოდა მამიდა-ძმისშვილის შეხვედრა ენახა. ფურეია საწოლისკენ გაეშურა. სარამ თვალი გაახილა. ღმერთო! უზარმაზარი შავი თვალები, ოდნავ ქვევით დაშვებული კიდეები, გადაბმული ნარბები, გა-

მოკვეთილი ცხვირი, თხელი ტუჩები. ბავშვი იმდენად პგავდა ფურეიას, რომ ნამდვილად მისი შეილი იყო, მისი პატარა ქალიშვილი, ოცი ნლის წინ ბურსაში ხის მაგიდაზე მნოლიარეს რომ ამოაცალეს და ისე დამარხეს, არც უჩვენებიათ. ხელები ბავშვისკენ გაიწვდინა. ზუსტად ამ დროს, ალბათ, მღელვარებისგან, ხველა აუტყდა. პირზე ხელი მიიფარა. დედა, მამა, შაქირი და აფიფე თვალს არ აშორებდნენ. კრინტი არავის დაუძრავს. ის ჭლექიანი იყო. ახველებდა. მის უახლოეს ადამიანებს ერთი სურვილი ჰქონდათ, - მისთვის ბავშვი მოცილებინათ

"იქნებ, ბავშვმა ჯერ ფაფა შეჭამოს", - თქვა მამამ. ფურეიას ფეხქვეშ მინა ეცლებოდა, თავბრუ დაეხვა, ყურში ხმაური იგრძნო. აქ რომ წაქცეულიყო, ვერავინ მიხვდებოდა, რატომ გახდა ცუდად. ავადმყოფობას დააბრალებდნენ. "ღმერთო, ძალა მომეცი," - ლოცულობდა გულში.

"ფურეია, ბავშვის ხელში აყვანა გსურთ?"

თავი ასწია. აფიფეს ბავშვი სანოლიდან ამოეყვანა და მას უწვდიდა. სხვებს სახეზე შეშფოთება ეტყობოდათ.

"მერე ავიყვან, აფიფე, მამა მართალია, ჯერ აჭამე", - თქვა და ოთახიდან გავიდა. ყურში კვლავ გუგუნი ესმოდა, უხილავი ცეცხლოვანი ხელი გულზე უჭერდა. საბაბაზანოში შევიდა. კარი ჩაკეტა. სახე კარზე ჩამოედებულ ფაფუკ ხალათში ჩარგო - ბავშვი ვერ აიყვანა! ცრემლი მოერია.

ფურეიას ღუმელმა სტამბოლში გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოაღწია. ვერაფრით აუხსნა მებაჟებს, რისთვის სჭირდებოდა ეს ღუმელი და საბაჟოდან როგორც პურის საცხობი, ისე გამოიტანა.

ღუმელი სამზარეულოში, ქურასთან დადგეს. ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩია.

"ვნახოთ, ამ ღუმელში რას მომიმზადებ", - ეხუმრა ქილიჩ ალი.

"გამოფენისთვის რამდენიმე ნივთის გამონვას ვაპირებ, შემდეგ კი მოვიფიქროთ."

სამი დღე მუხლჩაუხრელად მუშაობდა, არ სძინებია. გათენებისას, ქილიჩ ალი რომ იღვიძებდა, ცოლი უკვე ღუმელთან იდგა, ხელები თიხით ჰქონდა დასვრილი, სახე - ცეცხლისგან განითლებული.

"როგორ იქცევი, ფურეია, ისევ ავად გახდები. ამოისუნთქე, და-ისვენე".

"გამოფენის შემდეგ," - ეს იყო ფურეიას ერთადერთი პასუხი.

გამოფენა ოქტომბრის ბოლოს გაიხსნა. დიდებული პრეზენტაცია მოეწყო. გახსნას სტამბოლის ხელოვანთა წრე, საზოგადო მოღვაწეები და ოჯახის ახლობლები ესწრებოდნენ. პირველივე დღეს ყველა ნამუშევარი გაიყიდა - ზოგმა ფურეიას ხათრით შეიძინა, ზოგმა იმიტომ, რომ მოენონა, საინტერესოდ მიიჩნია. პარიზელი კრიტიკოსებისგან განსხვავებით, სტამბოლელი ხელოვნებათმცოდნები დაინტერესდნენ, რატომ არ იყო ფურეიას ქმნილებები სამგანზომილებიანი და რატომ მუშაობდა მხოლოდ კერამიკულ ფილებზე. ფურეია გაოცდა, არ ელოდა ასეთ შეკითხვებს იმ ხალხისგან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ფაიფურით გარემოცულ სამყაროში ცხოვრობდა. მაგრამ იმ დღეებში საუკთარი შემოქმედების მიმართ თავადაც დაუგროვდა კითხვები: ნეტავ, ეს ტრადიციული, მაგრამ თანამედროვეობას მისადაგებული ფილები მხოლოდ ჰქედელზე უნდა დარჩენილიყო?! თუ მათვის რამე რეალური ფუნქცია უნდა მოეძებნა?

"გამოფენა რომ დასრულდება, კვლავ ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდებით თუ ისევ ღუმელთან გაათენებ, ცეცხლის ასულო?" - ჰკითხა ერთხელ ქილიჩ ალიმ.

"ცეცხლის ასული?"

"მუდამ ცეცხლთან დგახარ".

"ეს ჩემი სამუშაოა".

"ძვირფასო, ეს სამუშაო კი არა, გართობაა".

"ქილიჩ, კერამიკას ჩემს გართობად მიიჩნევ?"

"რატომაც არა? ამას ხომ ფულის საშოვნელად არ აქეთებ? ერთობი, დროს ატარებ".

"გამოფენამ დიდი ფული მომიტანა".

"ნუ გვინია, რომ ყოველთვის ასეთი წარმატება გექნება. შენი კერამიკული ქმნილებები სიახლე იყო, ამიტომაც გაიყიდა. მეგობრებმა შენი ხათრით შეიძინეს. მუდამ ასე არ გაგრძელდება".

"კარგი, რა გინდა, რომ ვაკეთო? გსურს, ამ საქმეს თავი გავანებო?"

"მე მინდა, როგორც ძველად, დიასახლისი გახდე, დრო დამით-

მო. მინდა ერთად ვისეირნოთ, ერთ ოთახში დავიძინოთ. შეგიძლია, კერამიკას თავი არ დაანებო - მხოლოდ გაერთო. ხომ დამპირდა, გამოფენის დახურვისთანავე ამ ღუმელში კერძს მოვამზადებო?"

ფურენიამ ქმარს არ უპასუხა, რადგან ფიქრობდა, რომ ქილიჩ ალის სიტყვებში სიმართლის მარცვალი იყო. მაგრამ ძეველ ცხოვრებას უკვე ვეღარ დაუბრუნდებოდა. სათამაშო მაგიდა, ღამის გართობა, სასმელი, ნვეულებები და უსაგნო საუბრები... არა, ეს არ უნდა დაეშვა!

ორი დღის შემდეგ სამზარეულოში შევიდა. ქმარსა და მის მე-ვობრებს ღუმელში თიხაში გახვეული ჩიქვი შეუწვა, გარშემო მწვანე სალათის ფოთლები შემოუწყო, რაქისთან დასაყოლებელი ნაირნაირი კერძი მოამზადა და, როგორც ძეველად, კარგი დიასახლისის როლი გაითამაშა. სტუმრები გაოცებულები აკვირდებოდნენ, როგორ ამტკრევდა პატარა ჩაქუჩით გამომწვარ თიხას, რომლითაც თევზი იყო დაფარული. ჩიქვის გემოთი აღტაცებული დარჩნენ. ქმარს სახეზე ღიმილი ეფინა, მთელი საღამო მხოლოდ ფურეიას სადლეგრძელოს სვამდნენ - საუკეთესო მზარეულის, ყველაზე ნატიფი, ღამიაზი სუფრების არქიტექტორისა და, ამასთანავე, კერამიკის დედოფლის. ვერავინ ხვდებოდა, რომ ეს გამოსამშვიდობებელი წვეულება იყო. ეს იყო ბოლო წვეულება იმ ელიტარულ წრეში, რომელსაც სტამბოლში სეირნობა, გართობა, ბანქოს თამაში და ცეკვა უყვარდა.

პარიზიდან დაბრუნებულ ფურეიას ქილიჩ ალისთან ერთად აღარ ეძინა. რაც ფურეიას ჭლექის დიაგნოზი დაუსვეს, ოთახები განაცალკევეს. ეს ფურეიას სურვილი იყო: "ცუდად მძინავს, როცა სიცხე მაქვს, ვერ ვიძინებ, ქილიჩ, შენი შეწუხება არ მინდა, სხვა ოთახში დავიძინებ." ახლა კი ამის მიზეზი ძალლი გახდა. შეითანს ფურეიას ოთახში ეძინა. როცა ქილიჩი იქ შესვლას დაპირებდა, ძალლი უღრენდა.

ფურეია მთელ დღეებს თავის ოთახში ატარებდა. უზარმაზარი მაგიდა სახელოსნოში დაადგმევინა და მთელი დღე ძერნავდა. საღამოობით სარას სანახავად დედასთან შეივლიდა ხოლმე, მაგრამ ბავშვი ხელში არ აჰყავდა, შორიდან ესიყვარულებოდა, შემდეგ კი მაიას გალერეაში მიდიოდა. გალერეა ხელოვანთა თავშეყრის ადგილი იყო. ზედა სართულზე, საბაჟათინ ეუბოლლუს ბინაში, თითქმის

ყოველ სალამოს იკრიბებოდნენ მხატვრები და მოგვიანებით სავახ-შმოდ მიდიოდნენ. ფურეია ხშირად ინვევდა მათ თავის სახლშიც.

როცა ქილიჩ ალი შინ ბრუნდებოდა, უამრავი უცნობი ადამიანი ხედებოდა თეფშებით ან სასმისით ხელში, ყველა კუთხეში ვიღაც იჯდა.

"ფურეია, ჩემთვის არ გითქვამს სტუმრებს რომ ელოდი", - ეტყოდა ხოლმე ცოლს.

"ქილიჩ, ეს სტუმრობა დაგეგმილი არ ყოფილა, გალერეიდან ერთად წამოვედით, შენც შემოვეირთდი" - უპასუხებდა ფურეია. ქილიჩ ალის ამ ხალხთან ყოფნა არ სიამოვნებდა, მათთან სასაუბრო თემას ვერ პოულობდა. ისინი სულ სხვა ადამიანები იყვნენ, სულ სხვა სამყაროდან. ის, რაზეც ისინი საუბრობდნენ, ქილიჩს არ აინტერესებდა. ცხვირჩამოშვებული თავის ოთახში შეიკეტებოდა ხოლმე.

ქილიჩი შინ უმეტესად გვიან ბრუნდებოდა. იმ ნლებში, როცა ფურეია პარიზში მუსურნალობდა, მისი ძმისშვილი ბერინ ინსელი უნევდა კომპანიონობას. მართალია, ქილიჩი ბევრად უფროსი იყო მათზე, ვისთან ერთადაც დროს ატარებდა, მაგრამ ახალგაზრდა ქალები მას კარგად ეპყრობოდნენ. იგი ახალგაზრდებას იხსენებდა, ჩანქაიას შესახებ უამბობდა. ახალგაზრდები მის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდნენ. სეირნობა, გართობა, ანედოტები და ცეკვა უყვარდა ქილიჩ ალის. ასეთ ცხოვრებას შეჩვეული იყო. ახლა, ამ ახალგაზრდებთან დილამდე რჩებოდა, თავს იქცევდა. ამიტომაც ბერინთან ყოფნას ამჯობინებდა შინ დაბრუნებას, სადაც მისთვის უსიამოვნო ადამიანებთან გაუგებარ ხელოვნებასა და პოლიტიკაზე უნდა ესაუბრა. ამასთანავე, ფიქრობდა, რომ ფურეიას მობეზრდებოდა ეს უფულო, მოლაყბე, კომუნისტური შეხედულებების მქონე ამხანაგები და მალევე დაუბრუნდებოდა ნორმალურ ცხოვრებას.

ნორმალური ცხოვრება მისთვის თურქულ სიმღერებს ნიშნავდა. თუმცა, ცოლის ხათრით, სიდედრის - პაკიე ხანუმის წვეულებების შემდეგ შოპენისა და ლისტის მოსმენასაც აიტანდა კაცი...

ცოლ-ქმარი ხედებოდა, რომ მას შემდეგ, რაც ფურეიამ ცხოვრების წესი შეცვალა, ამ ქორნინებას დიდი დღე აღარ ეწერა. თუმცა, პირველი ნაბიჯის გადადგმას ორივე ერიდებოდა.

1951 წლის ბოლოს ფურეიამ გადაწყვიტა, თავის სახელოსნოში კერამიკით დაინტერესებული ადამიანები მოეწვია და მათთვის შანსი მიეცა. უამრავ ახალგაზრდას აინტერესებდა ხელოვნების ეს დარგი. ისინი არაჩვეულებრივ ფიგურებს ძერნავდნენ, მაგრამ ლუ-მელი არ ჰქონდათ და გამოწვა არ შეეძლოთ. ანკარაში, გაზი ეითი-მის ინსტიტუტში, ერთმა პედაგოგმა - პაკი იზეთმა - საკუთარი ლუ-მელი გააკეთებინა. მისი სახელოსნოს კარი მოსწავლეებისა და მოყვარულებისთვის მუდამ ლია იყო. ზოგჯერ ამ ლუმელს აბიდინ დინოც იყენებდა. ფურეიამაც სცადა ასეთი სახელოსნო სტამბოლ-შიც მოეწყო.

პარბიეში ელ ირაქის აპარტამენტი ღამით მხატვრებით, დღი-სით კი სტუდენტებითა და მოყვარული კერამიკოსებით იყო სავსე. ქილის ალის შინ აღარ დაედგომებოდა. ღამით, როცა თავისი ოთა-ხიდან-საპირფარეშოსკენ გაეშურებოდა, შეითანი უღრენდა.

ფურეია მაიას გალერეასა და ლუმელს შორის დარბოდა. ერთა-დერთი ადგილი, სადაც ჩერდებოდა, შაქირ ფაშას აპარტამენტი იყო. იქ ყოველდღე მიდიოდა, პატარა სარას ეალერსებოდა; პარი-ზიდან ბავშვის მოვლის შესახებ უამრავი ნიგნი ჩამოიტანა და აფი-ფესგან მოითხოვდა ბავშვი ამ ნიგნებით გაეზარდა.

"მე ფრანგული არ ვიცი, ამ ნიგნებში ვერაფერს გავიგებ," - უთხრა აფიფემ.

"კურსებზე ჩაეწერე, ისწავლე".

"დრო არა მაქვს. ბამბის ქულა მთელ დროს მართმევს."

"დედაჩემს დაუტოვე".

"არ მინდა ბავშვის სხვასთან დატოვება. ნეტავ, რამდენი ადამი-ანი გაზრდილა ნიგნებით. რაც საჭიროა, ყველაფერს ვაკეთებთ".

"გააზრებულად თუ გააკეთებ, ეს უკეთეს შედეგს მოგცემს. გან-საკუთრებით, თუ საქმე ბავშვს ეხება," - არ თმობდა ფურეია.

"რატომ არ ვუყვარვარ ფურეიას? ნეტავ, რა დავუშავე?" - შეს-ჩივლა აფიფემ მამამთილს.

"შენ ის გყავს, ვინც მას ყველაზე მეტად სურდა, მაგრამ ვერაფ-რით მიალნია - შვილი, ჩემო გოგონა! ამიტომ, მის ეჭვიანობას ყუ-რადღებას ნუ მიაქცევ", - უთხრა ემინ ფაშამ. პაკი ხანუმს ქმრის სიტყვები რომ გაეგო, ერთ ამბავს დააწევდა. დედის აზრით, ყველა-ფერი, რასაც ფურეია აკეთებდა, სწორი იყო. იგი ფურეიას უნაკლო

და არაჩვეულებრივ არსებად თვლიდა. ამიტომაც, ვინც ფურეიას არ მოსწონდა, არც ჰაკიე ხანუმს მოსდიოდა თვალში. აფიფეს უყვარდა მამამთილი და გადაწყვიტა, ემინ ფაშასთვის დაეჯერებინა.

სარა უკვე ცალკეულ სიტყვებს ნარმოთქამდა. ერთ დღეს ფურეია შორიდან მიესიყვარულა ძმისშვილს. აფიფეს მამამთილის ნეკნინება არ სურდა, ამიტომ ფურეიას უთხრა:

"თქვენ ბამბის ქულას მეორე დედა ხართ. თუ გსურთ, მამიდას ნაცვლად, დედას დაგიძახებთ".

ფურეია შეკრთა. როგორ არ უნდოდა! ნეტავ, ბავშვი მომავალში მას ნამდვილ დედასავით თუ შეიყვარებდა? ამქვეყნად ყველაზე მეტად ეს სურდა. უნდოდა, სარას დედა გამხდარიყო.

სტამბოლი ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა. ფურეია ისევ შეუძლოდ გახდა.

"ჩემო გოგონა, გაფითრებული ხარ, რა გჭირს?" - პეითხა დედამ.

"მგონი, სიცხე მაქვს, დედა. თერმომეტრი მომანდე".

ჰაკიე ხანუმის მოტანილი თერმომეტრი იღლიაში ჩაიდო, სავარძელში ჩაჯდა, ცოტა ხანში თერმომეტრს დახედა, დეფისტვის არ უჩვენებია, ისე დაფერთხა და გასარეცხად აბაზანაში ნაიღო.

"რამდენი გქონდა?"

"თითქმის ოცდაჩვიდმეტი"

"ასპირინი ხომ არ მოგცე?"

"დედა, უკვე შინ მივდივარ, გზაში ვიყიდი".

"ფურეია, ისე მიდიხართ, ბამბის ქულას არ ნახავთ? მალე გაიღვიძებს." - უთხრა აფიფემ.

"არა უშავს, ხვალ შემოვივლი".

გრილოდა, ფურეია სახლისენ აუჩქარებლად მიდიოდა. სიცხე ირმოც გრადუსამდე ჰქონდა. ავადმყოფობა კვლავ უბრუნდებოდა. უკვე მოძეზრდა ეს სენი. მოძეზრდა, მოსწყინდა. იმაზე დაფიქრდა, რაც მომავალში ელოდა. არც მუშაობა, არც სეირნობა, არც მაიაში ჩასვლა, არც კერამიკა და ყველაზე საშინელი - სარას ნახვასაც აუკრძალავდნენ! თუმცა, ბავშვს არც ახლა იყვანდა ხელში. ცდილობდა, მასთან ერთად ოთახში რაც შეიძლება მცირე ხნით დარჩენილიყო. თითქოს ოჯახსაც პირი შეეკრა, არავინ ეკითხებოდა, რატომ რჩებოდა ბავშვთან ასე ცოტა ხნით, რატომ არ ეფერებოდა. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა ამის მიზეზი. ახლა, ჭლექი თუ

შეუბრუნდებოდა, ბავშვის შორიდან ნახვაც კი შეუძლებელი იქნებოდა. ისევ სანატორიუმში უნდა დაწოლილიყო - დილიდან საღამომდე თაფლი, კარაქი და თოხლო კვერცხი ეჭამა და ნაპატიგბ ლორს დამსგავსებოდა. რისთვის? ნუთუ იმისთვის, რომ რამდენიმე თვე ნორმალურად ეცხოვრა და შემდეგ კვლავ სანატორიუმში ნასულიყო?

ეგონა, ქმარი სახლში დახვდებოდა, მაგრამ ქილიჩ ალი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ალბათ, ბერინთან არისო, იფიქრა. დარეკა, "უალე ხანუმთან ერთად ბეზიქის სათამაშოდ წავიდა, იქიდან სავახშ-მოდ წავლენ", - უთხრა მოსამსახურემ. ფურეიამ ყურმილი დაკიდა. სურდა, ვინმესთვის გული გადაეშალა. მაგრამ ვისთვის? მას უკვე ალარ ჰყავდა საყვარელი მეგობარი, რომელსაც მისი დარდის გაზიარება არ ბეზრდებოდა. საოცრად მოენატრა შევქი ბეი. ალბათ, ფურეია მართალი იყო, როცა შევქისგან მფარველობას ითხოვდა. მარტო იყო, მარტოდმარტო. ზუსტად ისე, როგორც საყვარელი მეგობარი იტყოდა.

როცა ქილიჩ ალის დაბრუნების იმედი გადაეწურა, პარიზში დასარეკად ნომერი შეუკვეთა. მხოლოდ გვიან ღამით დააკავშირეს.

"როგორ ხარ, ფურეია?" - ჰეითხა ექიმმა ტიბომ. "მოგენატრე, თუ რამე პრობლემა გაქვს?"

"ძალიან მომენატრე, თან ერთი პრობლემაც მაქვს - სიცხე მაქვს, თითქმის ორმოც გრადუსამდე", - უთხრა ფურეიამ.

"ხვალვე რენტგენის სურათი გადაიღე და შედეგი მაცნობე. ფურეია, გთხოვ, თავს გაუფრთხილდი, თიხას შეეშვი და დაწერი. საფრანგეთში ერთი ექიმი ამტკიცებს, რომ ჭლექის მორჩენა შეუძლია, ხვალვე დაუკავშირდები".

"განკურნება? ახალი წამალია?"

"არა, ასე ვთქვათ, რადიკალური მკურნალობა - დაავადებული ფილტვის ამოკვეთა".

"ცალი ფილტვით ვიცოცხლებ?"

"თუ ჯანსაღია, იცოცხლებ."

"რატომ აქამდე არ მიმკურნალეთ?"

"სულ ახალი ამბავია, ავადმყოფმა ოპერაციას უნდა გაუძლოს. ჯერ აქ ჩამოდი, გამოვიკვლიოთ, რისკზე დავფიქრდეთ".



"რისკი ავადმყოფობის განმეორებას ნიშნავს?"

"არა, ფურეია, ამ შემთხვევაში განმეორების საფრთხე აღარ იქნება, თუმცა სიკედილის რისკი დიდია".

"თუ ვიცოცხლებ, კერამიკაზე მუშაობას შევძლებ?"

"რა თქმა უნდა."

"პატარა ბავშვის ხელში აყვანა, მოფერება და მასთან ერთად დაძინება შემეძლება?"

"თუ ოპერაციას გადაიტან, ჭლექი აღარ გექნება, ბავშვთან ყოფნას კი არა, ბავშვის გაჩენასაც შეძლებ."

ფურეიამ ყურმილი დაკიდა. რამდენიმე საათი თვალდახუჭული ინვა, ფიქრობდა. ჭლექსა და სიბრძავეს შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა. ორივე შემთხვევაში შეუძლებელია საყვარელი საქმის კეთება და საყვარელი ადამიანების ნახვა, ცხოვრება ჯოჯოხე-თურ ტანჯვად გადაიქცევა. არა, არა და არა! სიბრძავე ჭლექზე ათასჯერ უმჯობესია. უსინათლო რომ ყოფილიყო, ყვავილებს, ჩიტებსა და თევზებს გამოძერნავდა. უსინათლო რომ ყოფილიყო, ბავშვს მექრდზე დაინვენდა, სურნელოვან ყელზე ცხვირს მიადებდა, მის სურნელს შეიგრძნობდა, აკოცებდა, ლოყაზე მიიხუტებდა... თვალი გაახილა. თენდებოდა. ქილიჩ ალი არ დაბრუნებულიყო. სიცხე ჰქონდა, მაღალი სიცხე. ხელები და შუბლი უხურდა. ქმარმაც ხომ ასე უთხრა - ის ცეცხლის ასული იყო და ახლა ჯოჯოხეთის კართან იდგა.

ერთ კვირაში შემდეგ ექიმ სამი ფაშას ფურეია ვედრებით აღსავს ეთერნის ტერმინის უმზერდა.

"არა, ჩემო გოგონა! არა, შვილო! ამ ოპერაციას ცოცხალი ვერავინ გადაურჩება. ეს ჩემთვის მიუღებელია, თანახმა არ ვარ. გთხოვ, ასე ნუ მიყურებ!"

"სხვა გზა აღარ დარჩა, ბატონო".

"რას ნიშნავს, სხვა გზა აღარ დარჩა! რამდენჯერ განიკურნე კლასიკური მეთოდით. შენი მდგომარეობა არ უნდა დაივიწყო. თუ სისულელეს არ ჩაიდენ, არ გადაიღლები, ძილსა და კვებას ყურადღებას მიაქცევ, ჯანმრთელი იქნები. შენი ცხოვრების ნესი ჯანსაღსაც დაავადებს, ფურეია!"

"მცენარესავით ვერ ვიცხოვრებ."

"მცენარესავით ნუ იცხოვრებ, მუსიკას უსმინე, ნიგნები ნაი-  
კითხე, რა ვიცი..."

"ბამბის ქულას ხელში აყვანას ვერიდები. ერთხელაც არ მივუფე-  
რებივარ."

"ხელში აყვანა აუცილებელია? ინგლისელივით მოიქეცი - ისინი  
ბავშვებს თვალებით ეფერებიან."

"ფაძა, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გაესაუბროთ პარიზელ ექიმს".

"უკვე ვისაუბრეთ, ჩემო გოგონა. როგორც შენი ექიმი და რო-  
გორც მამაშენის მევიბარი, ამ სახიფათო ოპერაციაზე უარს გეუბ-  
ნები. მისი ბოლო სიკვდილია. ვერ გავბედავ.

"ყველა ჩვენგანს სიცოცხლის ბოლოს სიკვდილი ელის."

"შენ ჯერ იმ ხნის არა ხარ, სიკვდილზე იფიქრო."

"ავადმყოფობასა და სიკვდილს შორის განსხვავებას ვერ ვხე-  
დავ. ეს ფილტვი მეურნალობას არ ემორჩილება, სიკვდილს თვა-  
ლებში ვუყურებ, ან განვიკურნები, ან მოვკვდები".

"ჩემგან დახმარებას ნუ ელი. ვერ დავთანხმდები ოპერაციას,  
რომელიც შენს სიცოცხლეს საფრთხეში ჩააგდებს. ის შეშლილი  
ფრანგები ჩემსავით ბავშვობიდან არ გიცნობენ. შენ ჩემს ხელში გა-  
იზარდე," - უთხრა სამი ფაშამ. რენტგენის სურათები საწოლიდან  
აიღო და კონვერტში ჩადო. რეცეპტის ნერას შეუდგა.

"გამოდის, რომ ისევ სანატორიუმის გზას გამიყენებთ", - თქვა  
ფურეიამ.

"თუ გსურს, აქვე, ჰეიბელიში გაგიშვებ. მაგრამ აქაური პავა ალ-  
პურისგან განსხვავდება, რაც უნდა იყოს, ნესტიანია. თანაც ზამ-  
თარი ახლოვდება. ნადი, ზამთარი იქ გაატარე, ზაფხულამდე უკეთ  
გახდები და დაბრუნდები, ჩემო გოგონა". სამი ფაშას დიდხანს ეჭი-  
რა ფურეიას ხელი. "შენს ქმარს ვეტყვი, სასწრაფოდ გაემგზავ-  
რეთ."

"ოპერაცია დაივინყე, ფურეია. შენს მშობლებს არც კი ვეტყვი,  
ტყუილად ინერვიულებენ," - თქვა ქილიჩ ალიმ. ალბათ, სამი ფაშამ  
დააშინა. "უნინდელივით იმეურნალებ და დაებრუნდებით. თუ სა-  
ჭირო იქნება, მთაში ნავალო".

"ქილიჩ, ჩემთან ერთად პარიზში ნამოსვლა აუცილებელი არ  
არის. ამჯერად ექიმსაც ვიცნობ, საავადმყოფოსაც. გამომიკვლე-

ვენ, შენ კი ზამთარში პარიზში მარტო დარჩები. თუ გინდა, საავად-  
მყოფოდან გამოწერისას ჩამომაკითხე, სტამბოლში ერთად დავძ-  
რუნდეთ.”

ქილიჩ ალისთვის ფურცელის სიტყვა კანონი იყო.

“როგორც გსურს, საყვარელო, თვის ბოლოს ჩამოგაკითხავ.”

“ჩემი არყოფნისას შეითანას მოუკლი?”

“დედაშენს ნავუყვან.”

“იმ სახლში ჩვილი ბავშვია.”

“ალიე მიხედავს.”

“ალიე ყოველ დილით ვერ გაასეირნებს.”

ქილიჩ ალიმ მოთმინება დაკარგა, “მაშ, კარგი, დაბრუნებისას  
შეითანი ღუმელში შემწვარი თუ დაგხვდება, ნუ გენყინება!”

პარიზის საავადმყოფოში დაწოლამდე ფურცელი საფოსტო ბა-  
რათები იყიდა, სხვადასხვა თარიღი დააწერა, მშობლებს, ძმას, მე-  
უღლეს, ალიესა და ბამბის ქულას ნერილები მისწერა. ყველაფერი  
ნინასნარ გაამზადა. თუ ოპერაციის შემდეგ თავს ცუდად იგრძნობ-  
და და წერას ვერ შეძლებდა, არ უნდოდა, ახლობლებს ენერვიუ-  
ლათ. სტამბოლელ ნათესავებს ეგონათ, რომ იგი პარიზში სამკურ-  
ნალოდ მიდიოდა. არავინ იცოდა, რომ ფურცელი ოპერაციისთვის ემ-  
ზადებოდა. ოპერაციისთვის, რომლის შედეგი გაურკვეველი იყო.  
გადაწყვეტილება თავად მიიღო. წყალწალებული ხავსს ეჭიდებო-  
და. ეს ბოლო იმედი იყო.




## პენტიმენო

(ოსმანოლუს ქლინიკა)

აკი გითხარით, აღსასრულის დრო ჯერ არ დამდგარა-მეთქი. ნაშუადლევს სარა მოვა მუშერეფთან ერთად და შინ წამიყვანენ. დავბრუნდები, ყველაფერი თავიდან რომ დავიწყო. ხვალ დილით კი ფანჯრის ცხაურზე ჩამომჯდარი ჩიტიც და სარა მამიდაც ამაოდ დამელოდებიან. ნეტავ, ჩიტმა მამიდას მოქითხვა გადასცეს და უთხრას: ფურეიას საქმეები ჰქონია დასასრულებელი, შინ დაბრუნდა. კარგად იციან ჩიტუნებმა, რომ მე ადვილად არ დავნებდები, უკან არ დავიხევ, არ დავიზარებ, ყველაფერს თავიდან დავიწყებ, ახალი ძალ-ლონითა და შემართებით. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემმა ჩიტებმა იციან. რამდენჯერ დამიმსხვრევია ღუმელიდან გამოღებული ბუ ან გვრიტი, თუკი შემინიშნავს, რომ ფერი გახუნებია ან ფრთაზე რაღაც ხინჯი აქვს, ვამტვრევდი და თავიდან ვიწყებდი უფრო უკეთესის, უფრო სრულყოფილის შესაქმნელად.

1951 წელს ფილტვის ოპერაციას ვიკეთებდი და იმედი მქონდა, რომ ხელახლა დავიბადებოდი. იქნებ, მოვმედარიყავი კიდეც, სიკვდილს თვალებში უუყურებდი, მაგრამ თუ ვიცოცხლებდი, ვიცოცხლებდი და სნეულიც აღარ ვიქნებოდი. უკვე გათენებიდან დაღამებამდე ახალ მერცხლებს, ახალ თევზებს, ხეებს, ყვავილებსა და დერვიშებს გამოვძერნავდი. კიდევ ოცდაათი წელი ვიმუშავებდი. ზუსტად ოცდაათი წელი. რატომ ავიკვიატე ეს ოცდაათი?! არც ორმოცი, არც ორმოცდაათი ან ოცდახუთი... მხოლოდ ოცდაათი წელი. ვინ იცის, იქნებ ვინმე შემეყვარებინა კიდეც... მაგრამ ყველაზე მთავარი, ყველაზე მიმზიდველი, რის გამოც სიკვდილიც არ მაშინებდა, ბავშვი იყო - ჩემი მსგავსი, ჩემი სისხლი და ხორცი - პატარა გოგონა! მას მივესიყვარულებოდი, აღვზრდიდი, გზაზე დავაყენებდი. ის ჩემი იყო. სარა ჩემი შვილი იყო, რომელიც ბურსაში დავ-

კარგე და მხოლოდ ოცი ნლის შემდეგ დამიპრუნდა. თუ მისი აღზრ-  
და მინდა, აუცილებლად ჯანმრთელი უნდა ვიყო.



"გადარჩენის შანსი რამდენია?" - ვკითხე ტიბოს, რომელიც  
ოთახში ბოლთას სცემდა. იგი ფანჯარას მიუახლოვდა, ზურგი შე-  
მაქცია.

"მცირე."

"შემომხედე!" ტიბო არ განძრეულა.

"მობრუნდი და შემომხედე-მეთქი!" შემობრუნდა. თვალზე  
ცრემლი ჰქონდა, თუ მომერვენა?

"უმცირესი შანსი მაქვს და მაინც მეუბნები, რომ გაეპედო?"

"არა, არ გეუბნები. შენ მათქმევინებ, ფურქია".

"ოპერაციას დავთანხმდე? მიპასუხე!"

"შენ უკვე გადაწყვიტე."

"ჩემს გადაწყვეტილებას ეთანხმები?"

"დიახ, რადგანაც კარგად გიცნობ. სიცოცხლით საესე ხარ,  
ენერგიას ასხივებ. დაავადებული ფილტვის მიუხედავად, დღეში  
რამდენიმე საათიან გზას გადიოდი, მძიმე ტვირთი დაგქონდა. ასე  
ჯანსალს რომ ეცხოვრა, ავად გახდებოდა. შენ ძლიერ გიყვარს სი-  
ცოცხლე. მხოლოდ მაშინ იქნები ბედნიერი, თუ განიკურნები, თუ  
იმუშავებ, შექმნი, შეიყვარებ, მჩქეფარე ცხოვრებით თუ იცხოვ-  
რებ. შენ არ შეგშვენის ისეთი სიცოცხლე, როცა ქარის შეგეშინდე-  
ბა, მზეს დაემალები."

"გმადლობ, ასე რომ გესმის ჩემი."

"ერთი რამ უნდა გკითხო. თუ გადარჩები, ტუჩებს აღარ მომარი-  
დებ იმ საბაბით, რომ ავად ხარ, როგორც აქამდე იქცეოდი. ასე არ  
არის?"

"თავხედო! სხვა საბაბს მოვძებნი."

"რატომ?"

"ტიბო, სამედიცინო ეთიკა ექიმებსა და ავადმყოფებს ასეთ ურ-  
თიერთობას უკრძალავს."

"შენ ჩემი პაციენტი კი ხარ, მაგრამ ოპერაციას სხვა ექიმი გაგი-  
კეთებს."

"ამ ოპერაციით ასიდან ერთი თუ გადარჩება. თუ ის ერთი მე ვიქ-  
ნები, ვიფიქრებ." როგორ ვცრუობდი. სასიკუდილოდ განნირული

იმედს ვაძლევდი ერთადერთ მეგობარს, რომელიც ხელს მიწვდიდა, მსურდა, ჩემთან ყოფილიყო. მარტოობა მეტად საშინელი რამაა!

იმ ასიდან ერთი გადარჩენილი მე უნდა ვყოფილიყო. ცხოვრუბა მელოდა. საქმე მქონდა, ბავშვი მყავდა, რომელსაც ჩემს სიყვარულს გადავცემდი, სიცოცხლე მწყუროდა. ოპერაცია ოთხი საათი და ორმოცდახუთი წუთი გრძელდებოდა. სისხლს მისხამდნენ. ფილტვის ნახევარი ამომაჭრეს. ჭირვეული ფილტვი - ასე რომ ენინააღმდეგებოდა მკურნალობას. ერთ-ნახევარი ფილტვი დამრჩა.

"დარჩენილ ფილტვს თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, მადამ ქილიჩ, თუ ფრთხილად იქნებით, ას ნლამდე იცოცხლებთ," - მითხრა ექიმმა.

თეთრ ოთახში ვწევარ. ყოველ მხარეს ზონდები და ნერილი მილებია. თავთან ნამლისა და სისხლის შუშებს ვხედავ.

"ფურეიია, გადარჩი... გადარჩი..." ეს ტიბო უნდა იყოს. "ოჯახს შევატყრიბინოთ?"

თვალებით ვანიშნებ, არა-მეთქი.

ნეტავ, რამდენი დღეა, რაც ვწევარ? კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიწვე? ცოტა ხანში ზურგს უკან ბალიშებს დამიდებენ და საწოლში ნამოვალდომას შევძლებ.

"ვინმეს ნახვა ხომ არ გინდა?" - მეითხა ტიბომა იგი ჩემ სანახავად ყოველდღე მოდიოდა.

"არა".

"ვიფიქრე, ლასენის ნახვას მოისურვებდი".

"რატომ?"

"რადგანაც..."

"რადგანაც რა?"

"კარგი ინტუიცია მაქვს."

"თუ ასეა, რატომ მეტითხები?"

ლასენი მეორე დღეს მოვიდა. ყვავილები და წიგნები მომიტანა. მე კი ვარდისფერ კოკრებსა და ჩემს ერთგულ მეგობარს ველოდი, მეგობარს, რომლის ხმას ვეღარასოდეს გავიგონებ.

"ფურეიია, შენ ყველაზე ძლიერი ქალი ხარ მათ შორის, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. ძალზე გამიმართლა, შენ რომ გაგიცანი. შენ განსაკუთრებული ხარ", - მითხრა ლასენმა.

ყველაზე ძლიერი ქალი! ჩემს გონიერაში ჩემ მიერ მოფიქრებული როლი იკვეთებოდა. ძლიერი ქალის როლი, დიახაც, რომ მომიხდებოდა! ჩემს შავ თმას, გამჭოლ მზერას, აღნაგობას მოუხდებოდა; ჩემს ხელებს, თიხას რომ ვზელდი და ვძერნავდი, სიგარეტისგან დაბოხებულ ხმასაც კი. თუმცა, ჩვენს ოჯახში თამაში ალიეს საქმე იყო. ალბათ, ფაპრუნისას მსგავსი კი ვიქნებოდი, მაგრამ ალიეს ვერ შევედრებოდი. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა მივხვდი, ჩემი უმცროსი დეიდა სხვა ადამიანს თამაშობდა. თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ალიე ნალვლიანი, თავის თავში ჩაკეტილი, ოდნავ მელანქოლიური ბავშვი იყო. მე არ მიმალავდა, მაგრამ ცდილობდა, სხვებ-თან ხალისიანი, მხიარული ყოფილიყო.

"რატომ ცდილობ სხვებს მოაჩვენო, ვითომ მხიარული ხარ? გან-საკუთრებით ძია სუათთან და მის მეგობრებთან რატომ იქცევი ასე?", - ვკითხე ერთხელ ალიეს.

"მსურს, მათ თავი შევაყვარო."

ერთ რამესაც მივხვდი. უფროს და-ძმებთან სულელი, უმწეო და საწყალი იყო. მათგან დახმარებას ითხოვდა, სურდა, უფროს დებბა და ძია სუათს იგი შეყვარებოდათ, შებრალებოდათ. ამ როლს ისე თამაშობდა, რომ მისი შინაგანი სამყარო არანაირ დათმობაზე არ მიდიოდა. ახლა, როცა "ძლიერ ქალს" ვითამაშებ, როლს, რომელიც ძალიან მიხდება და ძალიან მომწონს, ნეტავ თუ შევძლებ წონასწორობის დაცვას? ალიე ამას მშვენივრად ახერხებდა. განა შეიძლება იყო ძლიერი და არავის უყვარდე?

ძნელიც რომ იყოს, მაინც შევძლებ. მე ოპერაცია გადავიტანე, ასიდან მხოლოდ მე გადავრჩი.

სარა მამიდა, ხომ გითხარით, ფანჯარასთან ზუ დამელოდებით-მეთქი. აი, უკვე მივდივარ - მეორე სარასთან. ესეც შევძელი. ისევ შინ ვპრუნდები.

სახლში ღუმელი ალარ მაქვს, რამდენიმე წლის წინ გაეყიდე, რადგანაც ალარაფერი დამრჩა სათქმელი. ერთსა და იმავეს ვიმეო-რებდი, ახალს ვერ ვქმნიდი, დავცარიელდი, დავიცალე, მაგრამ არ შევმცდარვარ. რაც ღუმელს გამოვეთხოვე, ისღა დამრჩენია, კვლავ თიხით ამოვავსო ის სიცარიელე, რომელიც ჩემს სულში და ჩემ ირ-გვლივ უფრო და უფრო იზრდება. თიხისგან პანანინა კაცუნებს გა-

ვაკეთებ. ვნახოთ, იქნებ, კიდევ დამრჩა სათქმელი? ჯერ არ დავც-ლილვარ. მას შემდეგ, რაც ოთხმოცი ნელი შემისრულდა, ერთ რა-მეს მივხვდი - სანამ ცოცხალი ხარ, სათქმელი არ დაგელევა. მამიდა, ამიტომ არ მსურს თქვენთან ერთად წამოსვლა. ბოლო სიტყვა უნდა ვთქვა... ამას ვგრძნობ... მაშინაც ვგრძნობდი, როცა პარიზში ოპე-რაციას ვიკეთებდი, მაშინაც სათქმელი, გასაკეთებელი ბევრი რამ მქონდა. სიკედილისთვის მზად არ ვიყავი. როგორც კი საპატიო-ფოდან გამოვედი, სტამბოლში დაბრუნება მოვინდომე. "აქ დარჩი, ფურეია", მევედრებოდა ლასენი, "პარიზში ხარ, ეს მსოფლიო ხე-ლოვნების ცენტრია, ნუ ნახვალ! სტამბოლში ვერ გაიზრდები." რო-ცა მიხვდა, გადაწყვეტილებას ვერ შემაცვლევინებდა, ასე მითხრა:

"ნულიდან დაინყებ. ვიცი, ეს ძნელია, აუტანელი რამ არის, მაგ-რამ შენ შეძლებ." 1

"ალბათ ნულიდან, მაგრამ ფარენჰაიტის ნულიდან დავინყებ-მეთქი," - ასე ვუპასუხე.

სტამბოლში საოცარი რამ ხდებოდა. მაიას გალერეა გახსნის დღიდან ხელოვანთა შეკრების ადგილად იქცა. ხელოვნების სხვა-დასხვა დარგი დღევანდელივით განცალკევებული და დაშორებუ-ლი როდი იყო. პირეტი, მნერალი, მხატვარი - ყველა ერთად იდგა, ერთმანეთის ესმოდა, ხალხი ხელოვნებას მოწყურებული იყო. სტამბოლელი კერამიკოსები მელოდნენ, მე კი იმ დღეს ველოდი, სარას რომ ჩავიკრავდი გულში. "სიგარეტის მოწევა შემიძლია?" - უკანასკნელად ვკითხე ექიმს.

"თქვენს ადგილას არ დავინყებდი".

"ჩემს პატარა ძმისშვილს რომ ვაკოცო?"

"კოცნა? თუ გსურთ, თქვენი თეფშიდან აჭამეთ. მადამ ქილიჩ, თქვენ ჯანმრთელი ხართ."

დავბრუნდი. ელ ირაქის აპარტამენტში ცხოვრება განახლდა. კერამიკით დაინტერესებული მხატვრები მთელ დღეებს ჩემს ღუ-მელთან ატარებდნენ. ვიცოდი, რომ ქილიჩ ალის ეს არ მოსწონდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც სიკედილი ღუმელში გამოვიწიე და დავა-მარცხე, ჩემთვის სხვის აზრს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ახლა უნინდელივით არ გავყვები ცხოვრების დინებას და არ მივენდობი შემთხვევითობას, ცხოვრების სადავებას ხელში ავიღებ. სანამ

ცოცხალი ვარ, მხოლოდ იმას გავაკეთებ, რაც მსურს. მე კერამიკა-ზე მუშაობა, მაიაში ჩემს მეგობრებთან ერთად ყოფნა, სიგარეტის მონევა მინდოდა, მაგრამ ყველაზე მეტად სარასთვის დედობის განევა მსურდა.

"დედა?" მკითხა ძია სუათმა.

"დიაბ."

"მაგრამ შენ მამიდა ხარ, ფურეია, ნუ იქნები ბამბის ქულას დედა, მამიდად დარჩი."

"ეს სულ სხვა არის. თქვენ ვერ გაიგებთ."

სარას მხოლოდ სალამობით ვხედავდი. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი და გრძნობით აღსავსე წამები იყო. მაიაში წასულამდე ბავშვთან შევივლიდი, ვაჭმევდი, ვაბანავებდი.

დილიდან მომინანქრებულ თიხაზე ვმუშაობდი. ამ თიხას გაუაზრებლად ვიყენებდი და არც თავს ვატანდი ძალას. იმ ნლებში მინანქარი გერმანიდან ჩამომქონდა. თიხას გოქესუში ჰასან უსტასგან ვყიდულობდი. შემდგომში ჰასან უსტა ჩემთვის თიხის ნარევს აკეთებდა, ფიგურებს ჭრიდა. მეც ვცადე. ოპერაციის შემდეგ ნახვარსაათიანი მუშაობის შემდეგ ოთხი-ხუთი საათი ვიწექი. ჩემი დაუძლურებული სხეული სწრაფად იქანცებოდა. სანამ ერთ სიგარეტს მოვნევდი, ჰასან უსტა ჩემთვის სასურველი ფორმის გამოკვეთას ასწრებდა. მე ვხატავდი, ის აკეთებდა.

ნაშუადლევს ჩემთან კერამიკით დაინტერესებული ადამიანები მოდიოდნენ, მიყურებდნენ, მეხმარებოდნენ, ჩემს ღუმელს იყენებდნენ. მეც მათთან ერთად ვიყავი, არ ვასნავლიდი, მხოლოდ ვეხმარებოდი.

სალამოს ცხრა საათიდან ჩემს სახლში მეგობრები იკრიბებოდნენ - მხატვრები, პოეტები, მწერლები, არქიტექტორები, ერითიკოსები, მოქანდაკეები და კერამიკოსები... დატვირთული დღის შემდეგ დაძინებისას იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამეეტებინა ჭიქური.

ჩემს ცხოვრებაში ქილიჩ ალის ადგილი აღარ რჩებოდა. ამას თავადაც მიხვდა.

"ერთადერთი, რაც ჩვენ დაგვამორებს, ეს ტალახია", - ხშირად იმეორებდა.

ერთხელ გადავწყვიტე, სახლში ჩემი მეგობარი მხატვერის ნარმა-  
ტებული გამოფენა აღვენიშნა. სამოცდაათამდე სტუმარი მოვინ-  
ვიე. სტუმრები რომ დატეულიყვნენ, ავეჯი გადავაადგილე. ქილიჩ  
ალი შინ ადრე დაბრუნდა.

"რა ხდება, შეილო? სად მიგაქვთ ავეჯი?" - ჰკითხა მოსამსახურეს.

"საღამოს ქალბატონს წვეულება აქვს."

მე ამ დროს სამზარეულოში საჭმელს ვამზადებდი.

"ფურეია, გთხოვ, ერთი წუთით ჩემს ოთახში შემოდი."

"ხახვს ვჭრი, ქილიჩ, რა ხდება?"

"ხელი დაიბანე და მოდი." მეტად მტკიცე ხმა ჰქონდა.

ხელი დავიბანე და მის ოთახში შევედი.

"საღამოს ამ სახლში წვეულებას მართავ?"

"დიახ."

"ჩემთვის არაფერი გითქვამს."

"ვერ გავიგე?"

"რატომ არ მითხარი, წვეულებას რომ მართავდი? განა მეითხე,  
ჩემთვის არასასურველ ადამიანებს რომ იწვევდი?"

"არა."

"რატომ?"

"როცა ქირაზლი იაილაში და საზღვარგარეთ ვმკურნალობდი,  
შენც მართავდი წვეულებებს. მაშინ ჩემთვის აზრი არ გიკითხავს.  
როცა ქორალთანებს და მენდერესებს ეპატიუებოდი, მე მეკითხე-  
ბოდი? თანაც სუფრას აფიცე გიმზადებდა."

"შენი არყოფნისას ვინ უნდა გაუმასპინძლდეს სტუმრებს შენი  
ძმის ცოლის გარდა?"

"მთავარი ეს არ არის. შენ იმ ადამიანებს იწვევ, მათთან მეგობ-  
რობ, ვინც მე არ მომწონს და ახლა რატომ მიბრაზდები?"

"ვის გულისხმობ?"

"შენს ელიტარულ მეგობრებს."

"ნუ დაგავიწყდება, ქირაზლი იაილის სანატორიუმის დირექტო-  
რი და ბანკის მმართველთა საბჭოს წევრი რომ გავხდი, მათ უნდა  
ვუმადლოდე. შენ კი ერთხელაც არ გაუმასპინძლდი. ახლა მათ შინ  
აღარ ვიწვევ. რამდენჯერ გთხოვ, ჩემთან ერთად ნამოსულიყავი."

"შენ არავისთან ხარ ვალში, ქილიჩ, შენზე უკეთესი რომ ეპოვათ,  
ამ თანამდებობაზე არ დაგნიშნავდნენ."

"ჩვენი საუბრის თემა ეს არ ყოფილა."

"კეთილი, ჩვენს საუბარს დავუბრუნდეთ. თუ არ გინდა, დღეს სტუმრებთან ნუ გამოხვალ."

"მოდი, შევთანხმდეთ, ფურეია, თუ სახლში ვინმეს მოინვევ, აუცილებლად შემითანხმე. კაცმა არ იცის, აქ ვინ დაეხეტება, საღამოს მაინც დამასვენე."

"ქილიჩ, ეს ჩემი სახლიც არის. პატარა ბავშვივით ყველაფერზე ნებართვას ვერ ავიღებ. ასე ვერ ვიცხოვრებ."

"ეს შენი ბოლო სიტყვაა?"

"დიახ."

"გასაგებია", -მითხრა ქმარმა.

მეორე დღეს ქილიჩ ალიმ პირადი ნივთები ჩაალაგა და სახლიდან წავიდა. უზარმაზარი ბინიდან სხვა არაფერი წაუღია;

როცა ლეისინში ვიყავი და დღეებს ფიქრში ვატარებდი, მსურდა, ეს ქორნინება დასრულებულიყო. ყველა და ყველაფერი მძულდა, რაც ჩემსა და თიხას შორის ჩადგებოდა. ამ განშორებას დიდხანს ველოდი, მაგრამ როცა ქილიჩ ალიმ კარი გაიხურა, ნაღველი შემომანვა, გული მეტყინა. შეითანი მომელაქუცა. "თავიდან მომწდი! ჩქარა! ალარ დამენახო!" - დავუყვირე ძალლს, რადგან ისიც ცუდად ექცეოდა ქილიჩს.

დიდ სალონში ხელები გავშალე და დავდექი. შემდეგ დავტრიალდი, გავხედე იმ სივრცეს, რომელიც მე მეურვნოდა. მხოლოდ ჩემი იყო! მეორე ქორნინებაც დასრულდა.

"გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს თავისუფლებას!"

ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდი, თან ამის დაჯერება მიჭირდა.

ახლა მესამე ქორნინებისთვის მზად ვიყავი და ეს ქორნინება - მიწასთან, წყალთან და ცეცხლთან, ერთი სიტყვით, კერამიკასთან - მთელი ცხოვრება გაგრძელდებოდა.

## მეტამორფოზა

(სახელოსნოს წლები, 1954-1974)

ელ ირაქის აპარტამენტიდან შაქირ ფაშას აპარტამენტში გა-  
 დასვლა ფურეიიასთვის ადგილი არ ყოფილა. ქილიჩ ალი ისე ნავიდა,  
 თან არაფერი ნაულია, ყველაფერი ცოლს დაუტოვა. სამი თვის ქი-  
 რა ნინასნარ იყო გადახდილი. როცა ეს დრო ამოინურებოდა, ბინა  
 უნდა დაეცალა. ფურეიიას შემოსავალი არ გააჩნდა. ერთადერთი  
 ადგილი, სადაც გადასვლა შეეძლო, შაქირ ფაშას აპარტამენტის  
 ქვედა სართულზე ოროთახიანი პანანინა ბინა იყო.

"ჩვენთან იცხოვრე," - შესთავაზა დედამ, "შენ და ბამბის ქულა  
 ერთ ოთახში დაძინებთ." ფურეიიასთვის ნარმოუდგენელი იყო დე-  
 დამისის სახლში შაქირთან და აფიცესთან ერთად ცხოვრება, მაგ-  
 რამ დედის ნინადადება - ბამბის ქულას ოთახში მიპატიუება - აუხ-  
 დენელ ოცნებად ეჩვენებოდა. რამდენიმე წლის წინ ასეთ რამეს  
 არავინ ეტყოდა. გამოდის, რომ ჭლექი მისი ცხოვრებიდან საბო-  
 ლოოდ გაქრა. ის უსინდისო, ურცხვი მიკრობი, რომელიც ექვსი წე-  
 ლი უღრღნიდა ფილტვს, მხოლოდ საკუთარი ნებისყოფით დაამარ-  
 ცხა. მშობლებისა და ქმრისთვის რომ დაეჯერებინა, ახლაც უშედე-  
 გო მკურნალობას გააგრძელებდა და ვერასდროს ელირსებოდა  
 ბამბის ქულასთან ერთად დაძინებას.

მას შემდეგ, რაც ძლიერი ქალის როლის თამაში გადაწყვიტა, მარ-  
 თლაც შეიცვალა. დადგა დრო, როცა თავიდან უნდა აეწყო ცხოვრე-  
 ბა. ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე შეაჯერა და აღმოაჩინა,  
 რომ მის ცხოვრებაში დადებითი გაცილებით მეტი იყო: ჰქონდა პრო-  
 ფესია, რომელიც ძალზე უყვარდა; როგორც იქნა, ელირსა პატარა ქა-  
 ლიშვილს, ხელოვნებას და ჯანმრთელობას - ყველაფერ იმას, რაც  
 ნლობით ენატრებოდა. ერთადერთი, რაც ესაჭიროებოდა, ფული იყო.  
 იმის საშუალებაც კი არ ჰქონდა, რომერთი სახლიდან მეორეში ნივ-  
 თების გადასატანად მტვირთავი გაესტუმრებინა. სიმნივის ინსტი-

ტუტში გამართული ბოლო გამოფენიდან მიღებული თანხა კარგა ხნის წინ დახარჯა. ბამბის ქულასა და ახლობლებს უთვალავი საწირეა - რი უყიდა, სახლში საარაკო წვეულება გამართა და ახლა, როცა ამ უზარმაზარი ბინის დაცლაზე ფიქრობდა, არ იცოდა, სად უნდა დაეტია ამდენი ავევი. ასეთი უფლების დროს შექირ ფაშას პარტამენტის ქვედა სართულზე გადასვლა ერთადერთი გამოსავალი იყო. დედა და ლელავდა, მისი ქალიშვილი პატარა ბინაში ვერ იცხოვრებდა.

"ნუ ღელავ, ჰაეკე ხანუმ, სადილად ჩვენთან ამოვა, უფრო ხშირად ვნახავთ", - უთხრა ემინ ფაშამ, რომელსაც ჩვევად ჰქონდა ყველა მოვლენაში უკეთესი მხარე დაენახა.

"ემინ ფაშა, ფურქია ისედაც ყოველდღე მოდის ბამბის ქულას სანახავად, ჩვენც მას ხშირად ვხედავთ, მაგრამ როგორ იცხოვრებს ჩემი გოგონა ამ სოროში?"

"თუ გადაწყვიტა, ესე იგი იცხოვრებს" - მიუგო მამამ.

ფურქები ხელებზე მიქრული თიხა ჩამოირეცხა, ფრჩხილებში ჩარჩენილი ტალახიც მოიშორა, გამოეწყო, ბენვის ქურქი მოისხა და ფორთაქალთან წავიდა.

მაღაზიაში ისეთი ჩქარი და მტკიცე ნაბიჯით შევიდა, რომ არეთ ფორთაქალმა მაშინვე იყნოსა, რაღაც ხდებაო.

"კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ქალბატონო ფურქია. ხომ კარგად ხართ? აღლელვებული ჩანხართ, თუ ინებებთ, ყავას მოვატანინებ, საუცხოო საქსის ნივთი ჩამივარდა ხელში, სწორედ ისეთი, თქვენს კოლექციას რომ დაამშვენებს".

"არეთ ბეი, მე საყიდლად არ მოვსულვარ, გასაყიდად მოვედი," - მიუგო ფურქიამ.

ფორთაქალი გაოცდა. ცხადია, ამ დიდებულ ქალბატონს, გაჭირვების არაფერი ეტყობოდა, ალბათ, ანტიკვარული ნივთები მობეზრდა და შეცვლა უნდაო, გაიფიქრა.

"ჩემთან შემოიარეთ, თქვენი აზრი მაინტერესებს, სახლში აუქციონის გამართვას ვაპირებ".

"მართლა!"

"დიახ, არეთ ბეი, ქმარს გავშორდი. პატარა ბინაში გადავდივარ. სამწუხაროდ, იქ ჩემი ნივთები არ დაეტევა, გადავწყვიტე, ყველა-ფერი გავყიდო".

"სწორად იქცევით," - მიუკო ფორთაქალმა. თუმცა საქმე სარფიანი ჩანდა, რატომლაც მოიწყინა, დიდი ხანია, რაც ამ ოჯახს იცნობდა. რაკი ფურეია ასეთ ნივთებს თმობს, ესე იგი საქმე რიგზე ვერ უნდა იყოს.

"შევაფასებ. იქნებ ზოგი რამ დაიტოვოთ",

"არა, ყველაფერს გავყიდი. ამიერიდან ჩემს ცხოვრებაში მათი ადგილი აღარ დარჩა."

"თქვენს ცხოვრებაში ყოველთვის მოიძებნება ნატიფი ხელოვნების ნიმუშთა ადგილი," - თქვა არეთ ფორთაქალმა.

"არეთ ბერ, ახლა ჩემს სახლში მხოლოდ თანამედროვე ხელოვნება დაიდებს ბინას. ჩემმა კოლექციამ კლასიკურ ხელოვნებას მაზიარა, ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას საფუძველი ჩაუყარა; მაგრამ ეპოქა იცვლება, ხელოვნების აღქმაც იცვლება, დროს ფეხი უნდა ავუწყოთ".

"ეს ოჯახი ყოველთვის ახერხებდა დროისთვის ფეხის აწყობას,"  
- გაიფიქრა ფორთაქალმა.

სინამდვილეში უკანასკნელი ოსმალოები რესპუბლიკას ძნელად ეგუებოდნენ, მაგრამ შაქირ ფაშას ოჯახის წევრებს რესპუბლიკა უყვარდათ და მის ფასეულობებთან შეგუება არ გასჭირვებიათ. არეთ ფორთაქალს უამრავ ოჯახში მოუწყვია აუქციონი, ომისა და რევოლუციის შემდეგ გაჭირვებაში ჩავარდნილი ძველი ოჯახები ქედმოხრილი და თვალცრუმლიანი ეთხოვებოდნენ ანტიკვარულ ნივთებს, მაგრამ შაქირ ფაშას ოჯახის წევრები იშვიათი ნივთების გაყიდვისას ფურეიასავით სიამაყეს ინარჩუნებდნენ. თითქოს პირი შეკრესო, ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, უფრო კარგი ცხოვრებისთვის რაღაცას უნდა შეელიო, უკეთესი ცხოვრება - ეს არის თანამედროვე ცხოვრების ნესი, ნატიფი ხელოვნება და, რაც მთავარია, ხელოვნების თანამედროვე აღქმაო, ასე ამბობდნენ.

"რა ბედნიერები არიან," - გაიფიქრა ფორთაქალმა, "ისინი დამარცხებას ისე ნარმოაჩენენ, თითქოს გაიმარჯვესო და ამას საოცარი სიამაყით აკეთებენ."

ფურეია ფორთაქალის მაღაზიიდან გამოვიდა და შეითანთან ერთად ტაქსიმისკენ გაემართა. ძალლი დროდადრო ხის ქვეშ ჩერდებოდა და ქალი იძულებული იყო, უფრო ნელა ევლო. ფურეიას კი

ქანცის განყვეტამდე სირბილი ერჩია, რათა გონებაში დაგროვილი ათასობით კითხვისგან თავი დაეღწია.

ნეტავ რამდენ ხანს ეყოფოდა აუქციონიდან შემოსული ფული. საჭირო იყო, სასწრაფოდ დაენყო მუშაობა. თანაც, ახლა ძველებურად ხალისისთვის კი არა, ფულის საშოვნელად იშრომებდა. ფულის შოვნა კედლის პანოების შექმნით შეუძლებელი იყო. ადამიანები ყოველთვის ხომ არ შეიძნენ სახლისთვის კერამიკულ პანოებს? რაღაც უნდა მოეფიქრებინა. რაღაცისთვის უნდა მიეგნო. რა თქმა უნდა, არსებობდა გზა, რომელიც კერამიკას შემოსავლის წყაროდ აქცევდა. მაგრამ სად და როგორ?

"რა ლამაზი ძალლია? რა ჰქვია?"

ფურეია შეკრთა. როგორ ჩაფიქრებულა, ვერც კი შენიშნა, რომ ლურჯ სასკოლო ფორმაში გამოწყობილი გოგონა ხის ძირას მიყუშულ შეითანას ეფურებოდა. გაულიმა.

"შეითანი ჰქვია."

"რა ლამაზი ფერია! ასეთი ლამაზი ძალლი არასდროს მინახავს."

"გმადლობ."

"სად იყიდეთ? სტამბოლში ასეთი ძალლები არ არის?"

გოგონა საუბრის დასრულებას არც კი ფიქრობდა. ფურეიას უცნობ ადამიანებთან მასლაათი არ ხიბლავდა.

"შვეიცარიაში ვიყიდე", - მიუგო გოგონას. "აბა, წავიდეთ, შეითან, პატარა ქალბატონს დავემშვიდობოთ და გზას გაუუდგეთ".

გოგონამ ძალლს ხელი გაუშვა და ნამოდგა. "მაპატიეთ, შეიძლება, რაღაც გეითხოთ?"

"ბრძანეთ", - ფურეიას გალიზიანება დაეტყო.

"თქვენ... ის ხართ?"

"ვინ?"

"ფურეია ხართ?"

"დიახ, ფურეია ვარ."

"აპ, ფურეია ხანუმ. მე თქვენი თაყვანისმცემელი ვარ. სიმნიფის ინსტიტუტში თქვენი გამოფენა დავათვალიერე. ძალიან მომენონა. გილოცავთ."

"გმადლობ, შეილო," - უთხრა ფურეიამ.

"გენარში თქვენი თეფშები ვნახე, მინდოდა, დედაჩემის დაბადე-

ბის დღისთვის მეყიდა, მაგრამ ძალიან ძვირი ლირდა."

"თქვენი სასკოლო ფორმა... ქალთა პანსიონში ხომ არ სწავ-ლობთ?"

"დიახ, ნელს ვამთავრებ." "

"მეც ეგ სკოლა დავამთავრე." "

"ოჟ, რა კარგია! მე აიდა მქვია."

"მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, აიდა. კარგად იყავი, შვილო." ფურეიამ ნასელა დააპირა.

"ერთი წუთით, რაღაც უნდა გკითხოთ... თქვენ სახელოსნო გქონიათ. გენარში ერთმა ბატონმა მითხრა. შეიძლება, იქ ჩავენერო?"

"მე არ ვასწავლი", - უთხრა ფურეიამ, მაგრამ როცა გოგონას მომზიდვლელ თვალებში იმედგაცრუება შენიშნა, დასძინა - "თუ კერამიკა გაინტერესებთ, შეგიძლიათ შემომიაროთ, მიყუროთ, როგორ ვმუშაობ. თავადაც სცადოთ".

"ოჟ, დიდი მადლობა. გმადლობ, ქალბატონო. როდის მოვიდე? შეიძლება, ხვალ გავეთილების შემდეგ შემოვიარო? სკოლა ოთხს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, მაშინ მიმთავრდება."

"აიდა, ცოტა ხანს დამაცადე. ჩემი სახლიდან გადავდივარ. შეხედე, აი იმ სახლს ხედავ, ჭადრის ხესთან?"

"დიახ, დიახ."

"იქ, ქვედა სართულზე ვიცხოვრებ. ორ თვეში თუ ისევ დაგაინტერესებს, შემომიარე", - უთხრა ფურეიამ. შემდეგ აიდა არელი უკან მოიტოვა და გზა განავრძო.

კერამიკა მომავალში მხოლოდ ცხოვრების წესად კი არა, შემოსაველის წყაროდ უნდა ექცია. ამაში დარწმუნებული იყო. ეს პატარა გოგონა თავისი აღფრთოვანებით, აღლელვებით და კერამიკის სიყვარულით იმის ნიშანი იყო, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ეს ნიშანი ფურეიას ძალასა და იმედს მატებდა.

1955 წელს კანში გამართულ კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე ფურეა ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს. ამ გამარჯვებას ფული არ მოუტანია, მაგრამ ექვსი წლის წინ გალერეა მაიაში მოპოვებული საერთაშორისო წარმატების შემდეგ ასეთი აღიარება მისთვის ფულზე მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, ამ გამარჯვების მიღმა იყო შეამით გაუღენთილი ჰაერი, დაკოურილი ხელები, შეუსვენებელი მუშაობა, ნებისყოფა, ინტერესი, იმედი, მღელვარება, თიხა და ცეცხლი...

ფორთაქალის მიერ ორგანიზებული აუქციონის შემდეგ ფურეიას ცხოვრებაში ძვირფასმა ნივთებმა და სამკაულებმა ფასი დაკარგა. ერთადერთი ლირებული მეგობრები და ხელოვნება იყო. ორად გაყოფილ პანაზინა ბინა-სახელოსნოში ფურეია წლების მანძილზე აბრეშუმის ჭიასავით ქსოვდა სიყვარულსა და ხელოვნებას; მეგობრები და ხელოვნება მისთვის მთელი სამყარო იყო.

და ამ სამყაროს ერთმანეთში გამავალი ორი ოთახი შეადგენდა. ერთ ოთახში ტახტი იდგა, ზედ ფარდაგი ეფარა. გვერდით კერამიკული ღუმელი ედგა. კედლებზე თაროები ეკიდა, რომლებზეც მარმარილოს ნატეხები, ქანდაკებები და კერამიკული ფიგურები ჩაემწკრივებინა. შუა ოთახში ფურეიას გაკეთებული კერამიკული მაგიდა და სკამები იდგა, კუთხეებში კი მისივე შექმნილი ლამპები და თეფშები ეკიდა. ნახაზებს მეორე ოთახში დიდ მაგიდაზე აკეთებდა. ჭლექი აღარც კი ახსოვდა. ღუმელიდან გამოფრქვეულ აირს სუნთქვავდა, თიხაზე პირში სიგარეტით მუშაობდა და კელავ სიკვდილს დასცინოდა.

ეს პატარა ბინა-სახელოსნო, რომელსაც არასდროს დაკლებია სტუმარი, სულ მცირე დროში ხელოვანთა კერად იქცა. აქ შექმნილ ნამუშევრებში ანატოლიის, ცისფერი მოგზაურობისა და ამაზონის სუნთქვა იგრძნობოდა. ფურეიას მიერ ნანახი და მეგობრების ნაამბობი პანოებსა და თეფშებზე აბსტრაქტულ ფიგურებად გადაქცეულიყო - ხეთურ მზესა და ხმელთაშუა ზღვის თევზებს ასახავდა.

ფურეიასთან შეკრებილი მეგობრები, ჩვეულებრივ, ახალ წიგნებზე, გამოფენებზე, თეატრსა და მოგზაურობაზე საუბრობდნენ, ზოგჯერ პოლიტიკურ ჭორებსაც გაიგონებდით. ასეთმა შეკრებებმა საფუძველი დაუდო ფურეიას პოლიტიკურ იდეოლოგიას. 1960 წლის 27 მაისს ახალგაზრდებთან ერთად დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა. ეს საოცარი ცვლილება იყო ფურეიასათვის: სწობი, კანონმორჩილი ქალბატონი ნახევრად ბოჭემური, მემარცხენე იდეების მქონე, თავისუფალ შემოქმედად იქცა ისე, რომ მისი პიროვნება იოტისოდენა დათმობაზეც არ ნასულა. ერთადერთი, რაც მასში უცვლელი დარჩია, რესპუბლიკის სიყვარული იყო. ისე კი ფურეია მთელი ცხოვრების მანძილზე ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ ქმედებას, რომელიც თავისუფლებას ზღუდავდა.

ფურეია სტუმრებს ათათურქის ეპოქიდან შემორჩენილი ჩვეუ-

ლებისამებრ უმასპინძლდებოდა. ვერცხლის თასით მუხუდოს, რა-  
ქისა და თავის დაყენებულ ყვითელ არაყს მიართმევდა, შემდეგ თი-  
ხაში შემწვარი თევზი და ლვინოში ჩაბასტურმებული ნანადირევი  
მოჰქონდა. ლვინოს კერამიკული თასებით სვამდნენ. პატარა ოთახ-  
ში მოწყობილი ეს წვეულებები, ჩაის სმის დროს საკმაოდ მკაცრ  
ცერემონიად გადაიქცეოდა. ჩაის ვერცხლის ლამბაქებზე დადგ-  
მულ შუშის დიდ ჭიქებში ასხამდნენ და მარკიზის ან ფივანის სა-  
კონდიტოროების ტკბილეულთან ერთად მიირთმევდნენ.

მეჩეთსა და ეკლესიას შორის დიდებულ ბაღში გატარებული ბავ-  
შეობის სხივი ფურრეიას პატარა სახლის ყველა კუთხეს ეფინებოდა.

და ამ ატმოსფეროში ახალგაზრდა სტუდენტები თავისი კუთვ-  
ნილი სითბოს მიღებას ცდილობდნენ. ფურრეია მეგობრებში კერამი-  
კის სიყვარულს აღვივებდა. შაქირ ფაშას აპარტამენტის ქვედა  
სართულზე ხელისგულისოდენა ბინა-სახელოსნო რამდენიმე ნე-  
ლინადში პროფესიულ და ცხოვრებისეულ სკოლად იქცა, სადაც  
დღითი დღე იზრდებოდა ფურრეიას შეგირდების, თანამემნებისა  
და მეგობრების რიცხვი.

... ფურრეიას ხელოვნება ორმოცდაათიანი წლების დასასრულამ-  
დე პატარა ფილებსა და თევზებზე ასახული სურათებით შემოი-  
ფარგლებოდა. ერთ მშევრიერ დღეს კი მისი ცხოვრება სრულიად  
შეიცვალა. კედლის პანოს პირველი შეკვეთა მიიღო. სასტუმრო  
ჰილტონის შესასვლელში იშბანკასის კედელზე განთავსებულ პა-  
ნოსთან ერთად ქვეყანას თავის პირველ ავტოგრაფს უტოვებდა. ეს  
იყო ტრადიციული კედლის მხატვრობა, მაგრამ ახლებური მიდგო-  
მით. ფურრეიას წყალობით ის კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებ-  
და იმ ქვეყანაში, სადაც კერამიკა XVII საუკუნის ბოლომდე აღმავ-  
ლობის გზით მიდიოდა და სადაც მას რატომდაც ზურგი შეაქციეს.  
ახლა ფურრეია არა მარტო ხელოვანი, არამედ მუშაც იყო, რომელიც  
მინის წიაღიდან საარსებო პურს იღებდა.

მოულოდნელად როკფელერის სტიპენდია მოიპოვა და სამხრეთ  
ამერიკაში გაემგზავრა. 1957 წელი, რომელიც ფურრეიასთვის გარ-  
დატების წლად იქცა, იყო საამო მოგონებებითა და ემოციებით  
დატვირთული წელინადი.



## პენტილიტო

(ოსმანოლუს კლინიკა)

პატარა, კერძო თვითმფრინავში პილოტისა და არქეოლოგს შორის ვიჯექი. არქეოლოგს ფილიპი ერქვა. მას მელავი ჩემს მხარზე ჩამოედო. თავს მეტად უხერხულად ვგრძნობდი. საოცარ ადგილებს გადავუფრინეთ.

ვარდისფერ ღრუბლებში ფრენა თვითმფრინავში ჩავდომამდე დიდი ხნით ადრე დავიწყე. ის, რომ როკფელერის სტიპენდიანტი გავხდი, ნერილით შევიტყვე. "ახლო მომავალში მეტად სასიხარულო ამბავს შეიტყობ, ფურეია," - მითხრა ამერიკის ელჩმა ერთ-ერთ წვეულებაზე. სიხარული შეიძლებოდა ბევრ რამეს მოეტანა. ნიუიორკში კონფერენციის ჩასატარებლად მინვევას და ვიზას ველოდი. შესაძლოა, ჩემი ერთ-ერთი პანო სტამბოლში ვიზიტად მყოფ ამერიკელს შევძინა. ამას გარდა, ახალი გამოფენის მოწყობის წინადადებას ველოდი, მაგრამ მძიმე კერამიკული ნივთების ამერიკაში წალება წარმოუდგენელი იყო. ამერიკის საკონსულო მთხოვდა, ლითოგრაფიული ნაკეთობები წამელო, მე კი კერამიკოსი ვიყავი. გამოფენა რომ მომენტო, აუცილებლად რამდენიმე კერამიკული ნამუშევარი უნდა წარმომედგინა. ლითოგრაფიული გამოფენის გახსნა კი ამ საქმის უბადლო ოსტატს - ალიეს ხვდა წილად. რთული ამოცანის წინაშე ვიდექი.

მაგრამ სასიხარულო ამბავმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: საშუალება მეძლეოდა, ერთი წლის განმავლობაში ამერიკაში მეცხოვრა, სამხრეთ ამერიკის - მაიასა და აცტეკების ცივილიზაცია შემესნავლა... ღმერთო, რით დავიმსახურე ასეთი წყალობა? კარგა ხანია, ვცდილობდი, აღარ მეფიქრა, რომ ცალი ფილტვი მქონდა, მაგრამ დედაჩემი შემთხვევას არ უშვებდა, არ შეეხსენებინა:

"ფურეია, სიგარეტს არ იშორებ. ნუ გავიწყდება, რომ..."

“ღმერთო, ღმერთო! გეყოფათ, დედა, ნუ მეუბნებით. მე არ დამ-  
ვინცებია, მახსოვს”.

“მაშ, საკვამურივით რატომ აბოლებ?”

“იმ ნლების სიმწარის ასანაზღაურებლად, როდესაც არ ვენეო-  
დი. პირობას გაძლევ, როგორც კი იმ ექვსი ნლის სამყოფს მოვნევ,  
თავს დავანებებ”.

შემდეგ, იძულებული გავხდი, ექვსი ნელი კიდევ სამი თვით გა-  
მეგრძელებინა, ვინაიდან ბამბის ქულასგან ყივანახველა შემეყარა.  
ისევ დედა მემუდარებოდა ყველაზე მეტად, რომ ყივანახველიან  
ბავშვს ახლოს არ გავკარებოდი. ჩემს ასაკში ყივანახველა? დედა-  
ჩემის გარდა ამაზე ყველას ეცინებოდა. ყველაზე მეტს კი აფიფე  
იცინოდა: “ამ ასაკში ყივანახველა ნამდვილად არ ემართებათ, ჩემო  
ბატონი,” - უბნებოდა დედაჩემს. ახლა ვფიქრობ, რომ ეს საძაგე-  
ლი ავადმყოფობა ალბათ, განგებ შემეყარა. შევშინდი, ჭლექი არ  
განმეორებულიყო და სასწრაფოდ რენტგენზე გავიქეცი. არა!  
ფილტვი ჯანმრთელი იყო, მაგრამ გათენებამდე თხასავით ვახვე-  
ლებდი. კარისკაცი - ალი ეფენდი - დილის გაზეთს რომ მოიტანდა,  
მეუბნებოდა:

“ნუხელ კვლავ არ გეძინათ, ფურეია?”. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენც  
არ დაგვაძინეო. იძულებული გავხდი, მცირე ხნით სიგარეტისთვის  
თავი დამენებებინა. ველარსად დავდიოდი. ყველას ეგონა, რომ  
კვლავ ჭლექი მჭირდა და მიკრობებს ვაფრქვევდი. სახელოსნოც  
დაგვეტე. დილიდან საღამომდე ვიწექი და მუსიკას უსმენდი ან  
ნიგნს კვითხულობდი. ხელში ჩამივარდა სასიყვარულო რომანი,  
რომელშიც მოქმედება მექსიკაში ვითარდებოდა. მექსიკა და სიყ-  
ვარული... რა შორს იყო ჩემგან ერთიც და მეორეც... ძალიან, ძალი-  
ან შორს.

თურმე როგორ უცდებოდი!

ჩვენ ქვევით ნაირფერი ლურჯით გაზავებული ფერდობები გა-  
დაშლილიყო. ვერ გამერკვია, რა იყო ეს. თვითმფრინავი თითქოს  
აბობოქრებულ ზღვაზე ეშვებოდა.

“ეს რა არის? სად ვეშვებით?” - ვიკითხე გაოცებულმა.

“ორქიდეების ველზე,” - მიპასუხა ფილიპმა, “ჩვენ ორქიდეების  
ველზე ვსხდებით, აეროდრომზე კი არა.” იმ ხელით, რომელიც  
მხარზე ედო, მიმიზიდა და კოცნა დააპირა. განზე გავინიე. მსურდა,

თავი დამეხსნა მისი მკლავებიდან, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე. აღარც ქმარი მყავდა, აღარც სწორული ვიყავი ... ორვერ გათხოვება და განქორნინება მოვასნარი, ორმოც ნელს გადავაბიჯე. მორცხვი ახალგაზრდა ქალიშვილივით მოქცევა არ შემშვენდა. მაგრამ იმ-დენად მიჩვეული ვიყავი, არ შემტელახა იმ მამაკაცის ღირსება, რომლის გვარსაც ვატარებდი, რომ იმ ნუთას არც კი გამხსენებია, რომ ჩვენ კარგა ხანია დავშორდით.

"რა მოგივიდა, ჩემო კარგო? ჩაფიქრებული ჩანხარ.", - მითხრა ფილიპმა.

"ჩაფიქრებული კი არა, აღელვებული ვარ," - ვუპასუხე მე.

მართლაც ასე იყო. მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ქვეყანას, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ცივილიზაციას ვეცნობოდი. ეს ქვეყანა მუსიკით, ხელოვნებითა და სიყვარულით სუნთქვდა. მათი ენაც როიალისა და მანდოლინის ბგერებად იღვრებოდა. ვათვალიერებდი პირამიდებს, სადაც ასტროლოგები და ქურუმები მისტიკურ რიტუალებს ატარებდნენ. თიხის პატარა ქანდაკებებს ხელით ვეხებოდი და ვცდილობდი, ჩაეწერ უძველეს საიდუმლოს. ნარინჯისფერ ფონზე შავი ორნამენტებით მოხატული თიხის დოქების, ჯამების, ლარნაკების სადა სიდიადე თვალს მჭრიდა. ამ ქვეყნის ღვინო ტკბილი იყო - თავბრუს მახვევად; თამბაქო - მაგარი, მისი სურნელი ცხვირს მწვავდა. მზე - კაშაშა, სულს მითბობდა. ყველაფერთან ერთად შეყვარებულიც ვიყავი. ან, რადგანაც სიყვარული ძალიან მომნატრებოდა, ასე მეგონა. ღმერთო, რა კარგი იყო ამ გრძნობის განცდა იმ ქვეყანაში, სადაც არავინ მიცნობდა.

ჟონდურასის მთები მოვიარეთ. აღფრთოვანებული ვუმზერდი აცტიკურ თიხის ჯამს. "შვიდი საუკუნის ნინ იცხოვრო, ასეთი სინატიფითა და ხალასი გემოვნებით ქმნიდე!! ძნელად დასაჯერებელია," - აღმომხდა უეცრად.

"შენ ფიქრობ, რომ ცივილიზაცია აღმავლობის გზით მიდის და მნვერვალებს მხოლოდ დღევანდელ დღეს აღნევს, ასე არ არის?" - მკითხა ფილიპმა.

"უეჭველად!"

"თუმცა, მაიას ტომები, რომლებიც გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ, აცტიკებზე ბევრად უფრო პროგრესულები იყვნენ."

“აბააა!”

“აცტეკები მებრძოლი ტომი იყო. იმ საზოგადოებაში ყველაზე მეტად საუკეთესო მებრძოლი ფასდებოდა. მაიას ტომები კი ასტროლოგები, სწავლულები და ფილოსოფოსები იყვნენ. მათ მიერ შექმნილი კალენდარი იმაზე უფრო სრულყოფილია, დღეს რომ ვიყენებთ, ნარმოგიდგენია? ცივილიზაციისკენ მიმავალი ჭეშმარიტება უსწორმასწოროა, ფურეია, ზიგზაგებს ხაზავს.”

ფილიპმა შენიშნა, რომ მას აღფრთოვანებითა და დიდი ინტერესით ვუსმენდი. ხელი მომკიდა და მითხრა:

“ფურეია, უკან ნუ დაბრუნდები! მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გათხრებზე ვაპირებ გამგზავრებას. შენც ჩემთან ერთად ნამოდი. ნარსული ერთად აღმოვაჩინოთ.” ეს ისეთი წინადადება იყო, რომელზეც უარს ვერ იტყოდი. ჭეშმარიტების დასადგენად უმოკლესი გზა რომ გამოცდილების დაგროვებაა, ამაში კიდევ ერთხელ დავრნმუნდი. მსურდა, ამ თავეგადასავალში უშუალო მონაწილეობა მიმელო, საყვარელ მამაკაცთან, ფილიპთან ერთად კაცობრიობის საიდუმლო აღმომეჩინა!

ერთი კვირა ვფიქრობდი. ნამდვილად შევძლებდი დარჩენას? ფილიპი მართლა მიყვარდა, თუ ის აზრი მხიბლავდა, რომ შეყვარებული ვიყავი? შევძლებდი, მიმეტოვებინა ჩემი სახელოსნო და ბამბის ქულა, მეგობრები და ოჯახი? ჩემი ჩვევები, სიგარეტი, რაქი? ბოსფორის ფერები, ყოველ საათში რომ იცვლება? ერთ დღეს, ჩემს მეხსიერებაში უეცრად ბოსფორის პირას განცდილი ნამი ამოტივტივდა: ცეცხლისფერი მზე ის-ის იყო ჩადიოდა. ამ მენამულმა ბურთმა, რომელიც სულ ერთი ნამით ნაცრისფერი ნყლის ზედაპირზე აირეკლა, ზღვის ფერები აურ-დაურია. ერთი წითელი ლაქა მძიმედ დაეშვა ბოსფორის სილურჯეზე. ეს საოცრება, ალბათ, ძალიან ხანმოკლე იყო, რადგანაც, როცა გამოვიჰინდი, ზღვას უკვე თავისი ფერი დაებრუნებინა. ჩემ ირგვლივ ეს ვერავინ შენიშნა. მე კი მომაჯადოვა. მთელი არსებით შევიგრძენი ის უმოკლესი ნამი, რომელიც ყოფნა-არყოფნას შორის იყო. მხოლოდ ბოსფორზეა შესაძლებელი ამ ნამის ხელახლა განცდა და ამ განცდის გადმოცემა.

ბარგი ჩავალაგე, ფილიპს დავემშვიდობე და ლექციის ნასაკითხად ნიუ-იორქში გავემგზავრე. ნასვლამდე მთელი გრძნობით

შევასრულე გულგატეხილი ქალის როლი, რომლმაც სიყვარულზე უარი თქვა. ერთ დღეს კი გამოფენაზე, როდესაც სიგარეტის კეგამ-ლით სავსე ოთახში ერთ სურათს უკუქერდი, თითქოს ჭეშმარიტება აღმოვაჩინე. კვლავ ერთმა წამმა შეცვალა ჩემი ბედისნერა და სამყარო სრულიად სხვა თვალით დამანახა. ანატოლიის უძველესი მინებიდან მხოლოდ ორსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ახალ სამყაროში აღმოვჩინდი. ამერიკა - თავისი უახლესი ტექნოლოგიებითა და მართლმსაჯულების სისტემით - შესამჩნევად ნინ გვისწრებდა ჩვენ - შვიდი ათასი წლის კულტურისა, ენისა და ისტორიისა, ხელოვნება და სიყვარული მაინც გვაერთიანებდა. სამყარო ერთი უზარმაზარი მთლიანობა იყო. ვფიქრობ, ხელოვნებასთან პირისპირ დარჩენისას თავადაც აღმოვაჩინდი იმ საიდუმლოს, ფილიპთან ერთად რომ აღმოვაჩინე. მალე შინ დავბრუნდი.

მას შედეგ ზუსტად ოცი ნელი გავიდა. მგონი, სამოცდაათიანი წლები იქნებოდა, როდესაც "Nouvel Observateur"-ს ვერტებულობდი. გაზეთში ჭალარა მამაკაცის სურათს წავანყდი. ვიღაცას მაგონებდა. ღმერთო! ფილიპი... კაცი, რომელიც მიყვარდა და რომელ-თანაც ცხოვრების დარჩენილი წანილის გატარებას ვაპირებდი... ისტორიული ძეგლის კონტრაბანდის გამო ადგილობრივ მცხოვრებლებს მოუკავთ. რამდენიმე კვირის შემდეგ ხეობაში მტაცებელი ფრინველების მიერ დაგლეჯილი მისი გვამი აღმოუჩენიათ. მაშინვე მინას დავურევე. მინა ურგანს, რომელიც აგრეთვე "Nouvel Observateur"-ს კითხულობდა და წლების წინანდელი ჩემი სასიყვარულო ისტორიაც მშვენივრად იცოდა.

"მოკლული არქეოლოგის შესახებ თუ წაიკითხე?"

"წავიკითხე. ძალიან ვნუხვარ. წარმოგიდგენია, რა ამბავი ატყდებოდა, თქვენ რომ ერთად ყოფილიყავით? სტამბოლი შეიძრებოდა. ალბათ, რომ არ მიგეტოვებინა, ასეთ ბნელ საქმეებში არ გაეხვეოდა."

ოცი წლის წინ კი მინა მსაყვედურობდა, ფართო პორიზონტის-კენ ფრთას ვერ შლი და მინას ხარ მიჯაჭვულიო.

ჩიტი უკვე აღარ ზის ფანჯარაზე. ნეტავ, ხომ არ გამებუტნენ ჩემი ჩიტუნები, შორს გაფრენის საშუალება რომ არ მივეცი? სინამდ-

ვიღეში, ძალიან მსურდა, ჩიტების აფრენის წამი კერამიკაში გამეცოცხლებინა. ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჩემი ჩიტები უძრავი იყვნენ.

"თქვენ შეუძლებელს ცდილობთ," - მითხვა ერთხელ ფერიდ ედგუმ.

"რატომ შეუძლებელს?"

"რადგანაც თიხაში გაფრენის სიმსუბუქისა და მოძრაობის გამოსახვა შეუძლებელია".

ალბათ, მართალიც იყო. მაგრამ ეს მე კი არა, ჩიტებს გააგებინოს. რაღაც უცნაური შეგრძნება მისყრობს, თითქოს მსჯიან, ცაში რომ ვერ დაფრინავენ.

იმავე ოთახში მომათავსეს. ფურეია ხანუმი თავის ოთახს შეეჩვია. გთხოვთ, სხვა ოთახში ნუ გადაიყვანთ. იქ მწოლი ავადმყოფი დღეს თუ გაეწერება, დავიცდითო, - იხვენებოდა დერეფანში მუშერეფი.

"მუშერეფ, რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიწვები, შვილო."

"იმ ოთახს უკვე მიეჩვიეთ. ფანჯრიდან კარგი ხედია," - მიპასუხა. უცბად მომინდა, ჩიტთან გასაუბრების შესახებ მომეთხრო მის-თვის, მაგრამ გადავიფიქრე. ეგონებოდა, რომ ჟკუიდან შევიშალე ან გამოეჩერჩეტდი.

საბოლოოდ, იმ ოთახში აღმოვჩნდი, სადაც გასულ წელს ვიწერი. მუშერეფს სასამართლო პროცესზე აგვიანდებოდა, ამიტომ მომვ-ლელს ჩამაბარა და წავიდა. გამხადეს და დამანვინეს. უანგბადის აპარატის შემოსატანად რომ გავიდნენ, მაშინვე ფანჯარას გავხედე. არ არის, არ მოსულა. ჩიტი იქ არ ზის - ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩემი ნასვლის დრო ჯერ არ დამდგარა? მიმიხვდით ალბათ, კერქეტი კაკალი რომ ვარ. ასე ადვილად არ ვნებდები. ნაშუადლევს სარა რომ მოვა, დიაგნოზს მეტყვის. ვნახოთ, ამჯერად რამდენი დღე ვიწვები ჩემს პატარა ოთახში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი გუშაგი მაჟლია. აქ უკვე ძველებურად ველარ შევიქცევ თავს - ჩიტი ხომ არა და არ მოდის!

## სახლი, რომელიც ხა იზრდებოდა (1958-1968)

უთარით იზგი უკვე აკადემიის სტუდენტი იყო, როცა გალერეა მაიაში ფურეია გაიცნო. თუმცა პირველად ეს ქალი ჯერ კიდევ გაალათასარაის ლიცეუმში სწავლის დროს ნახა, თანაკულასელის დედა ქალღმერთივით მშვენიერი ეჩვენა.

ფურეიას უნინდელი სილამაზე აღარ შერჩენოდა, მაგრამ უკვე დაღვინებული, საინტერესო და კვლავაც მომხიბელელი ქალი იყო. თხუთმეტწელიანი საუბრის შემდეგ იზგი მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში სიჭაბუკის დროიდან შემორჩენილი პირველი აღტაცებისა და, შესაძლოა, ქვეცნობიერი სიყვარულის ობიექტი ამქვეყნად ყველაზე განსაკუთრებული ადამიანი იყო.

ფურეია მაიას გალერეაში პარიზის გამოფენას იმეორებდა და იზნიქის ფილებით დაფარული კედლის ნინ პატარა ნიშაში დადგმულ პიუპიტრს რთავდა. მის ნამუშევრებში ფერთა შეხამებისა და თემატიკის მხრივ იზნიქის ტრადიციები ჭარბობდა. აკვარელის ცოცხალი ფურებით შესრულებული ღამის ხედები ვარსკვლავებისკენ აწვდენილი კვიპაროსებით საოცარ ეფექტს ახდენდა. უთარით იზგი დასავლური სტილის პირდაპირ გადაღებას ტრადიციულ საფუძველზე აღმოცენებულ მიღობომას ამჯობინებდა და ამიტომაც აღტაცებული ათვალიერებდა ფურეიას ქმნილებებს. ჯერ კიდევ შეგირდად ყოფნის დროიდან ოცნებობდა, ოდესმე ფურეიასთან ერთად ემუშავა.

ეს ოცნება ექვსი ნლის შემდეგ აუხდა.

1958 წლის ბრიუსელის საერთაშორისო ბაზრობაზე აკადემიის მასწავლებელთა შორის თურქეთის პავილიონის გაფორმების პატივი ნილად ხვდა უთარით იზგისა და მის სამ მეგობარს. უთარით იზგიმ, პამდი შენსოიმ, ილჭან თურქებიუნმა და მუჰამედის თურქემნმა გადაწყვიტეს, თავიანთი არქიტექტურული პროექტები თურქ ხე-

ლოვანთა შემოქმედებით გაემდიდრებინათ. შეთანხმდნენ რომელ მხატვრებთან იმუშავებდნენ.

ბედრი რაპმი 250 კვადრატული მეტრის ფართობის კედელზე იმუშავებდა. საბრი ბერქერი მეორე კედელს გააფორმებდა. ილპან ქომანი სკულპტურას შექმნიდა.

"ფურეია ხომ არ მოგვეწვია?" იკითხა უთარითმა.

"ორ კედლის პანოს ისედაც ვაკეთებთ, ფურეიასთვის ადგილი აღარ რჩება." თქვა ილპან თურევიუნმა.

"კედლის პანო აუცილებელი არ არის. იქნებ სხვა სახით შემოგვიერთდეს." უთხრა პამდი შანსოიმ.

"ნებისმიერ შემთხვევაში ფურეიას, როგორც თურქი ხელოვანი ქალის, მონანილეობა შესანიშნავი აზრია." თქვა უთარითმა. სიჭაბუჟის ნლებიდან მონაბერი სიო თვალნინ მშვენიერ სახეს უცოცხლებდა.

ფურეიამ ბრიუსელის ბაზრობაზე ფინჯნები ნარმოადგინა. ბაზრობა სამი დღის გახსნილი იყო, მაგრამ არც ერთი ფინჯანი აღარ დარჩია, ყველა მოიპარეს. სტამბოლში სასწრაფოდ შეუკვეთეს რამდენიმე, მაგრამ არც ერთ მათგანს კვირის ბოლომდე არ მიუღწევია, მათ გამოფენაზე მოსული დამთვალიერებლები იპარავდნენ. უთარით იზგი უცნაურ სიამაყეს გრძნობდა. თითქოს ბრიუსელელები ფურეიას შემოქმედებით გამოწვეულ აღტაცებას მისი ნამუშევრების მოპარვით გამოხატავდნენ.

ბრიუსელის საერთაშორისო ბაზრობამ არქიტექტურისა და კერამიკის დარგში მოღვანე ორი შემოქმედის მეგობრობასა და მრავალწლიან თანამშრომლობას დაუდო სათავე. სტამბოლში დაბრუნების შემდეგ უთარით იზგიმ ფენერიოლუში ასაშენებელი ტყუპი სახლების ინტერიერზე მუშაობა ფურეიას შესთავაზა.

"კედლის პანოები უნდათ?" ჰეითხა ფურეიამ.

"მათ არაფერი უნდათ. ვცდილობ, ისინი დავარწმუნო, რომ კარგი იქნება, თუ ამ შენობებს ხელოვანები თავიანთი ფერებითა და ფორმებით მორთავენ."

"ეს მეტად მძიმე საქმეა, უთარით ბევ."

"არც ისე. ისინი თითქმის დავარწმუნე. ბუხრებს გააკეთებთ?"

ფურეია დაფიქრდა. ეს საქმე ბანკის გარეთა კედლის გაფორმებას არ ჰგავდა. თუ დათანხმდებოდა, მდიდარ მფლობელთა წებას უნდა დაპყოლოდა. მათ თავიანთი გემოვნების შესაბამისად, შეიძლება, ფურეიასთვის მიუღებელი რამ მოეთხოვათ. ისინი აუცილებლად ჭირვეულები იქნებოდნენ. ხომ ცნობილია, ვინც ფულს იხდის, მუსიკის დამკვეთიც ის არის, - აი, ეს კი ფურეიამ კარგად იცოდა.

"პროექტის ნახვა შემიძლია?" - იყოთხა ფურეიამ, მას აშეარად უნდოდა, ამ საქმისთვის თავი აერიდებინა, - "ჯერ ვნახავ, შევძლებ თუ არა ამ გარემოში მუშაობას."

უთარით იზგიმ იგრძნო, რომ ფურეიას თავის ბიუროში იოლად ვერ შეიტყუბდა, ამიტომ ნახაზები შინ გაუგზავნა. ფურეიამ ქალალები დიდ სამუშაო მაგიდაზე გაშალა და თვალი გადაავლო.

"ჰოპლა, ეს რა არის?"

ის ხედავდა ორ, ერთმანეთის მსგავს ვილას, რომელშიც ხე იზრდებოდა. იფიქრა, რაღაც შეცდომა არისო და სარას გასძახა:

"სარა, მოდი, აბა, ამას შეხედე. რას ხედავ?"

ბავშვმა ნახაზს დახედა. "ფიფოშ-დედა, რა უცნაური სახლია. შიგნით ხე იზრდება." ფურეიამ უთარით იზგის დაურეკა.

"უთარით ბეი, იქნებ ცცდები. სახლში ხე იზრდება?"

"დიახ." იზგის მეტად მშვიდი ხმა ჰქონდა.

"რატომ?"

"მოსაჭრელად ვერ გავიმეტე და იმიტომ."

ფურეია უკვე ვეღარ ეტყოდა უარს მეგობარს, რომლისთვისაც ძველი შენობების დაცვასთან ერთად ბუნების დაცვაც მნიშვნელოვანი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მის ირგვლივ მყოფი მასავით ფიქრობდნენ.

"უთარით, დაგირეე, რომ მეთქვა, ამ სახლებისთვის ბუხრებს გავაკეთებ- მეთქი."

"ძალიან კარგი. მინდა კიდევ ერთი ბუხარი შეგიცვეთოთ."

"ვისთვის?"

"ჩემი მეგობრისთვის. ფარუქ თანაის იცნობთ? იგი სამშენებლო მასალების ფაბრიკის მფლობელია."

"არ ვიცნობ, მაგრამ გავიცნობ," - მიუგო ფურეიამ.

სანამ ნედიმ ქარაქურთი და ჰალუქ შამანი ფენერიოლუში ტყუპ

ვიღებზე მუშაობას შეუდგებოდნენ, ფურეიამ ფარუქ თანაის ბუხა-  
რი დაასრულა.

ფარუქ თანაი შევქი ბეის ჰგავდა - ასაკოვანი, ახოვანი, მშვიდი  
და განონასწორებული. ის ხელოვანი არ იყო, მაგრამ ხელოვნებას  
დიდ პატივის სცემდა და, რაც მთავარია, ფურეია უყვარდა. თუმცა  
ფურეიასათვის თაყვანისმცემელთა სიმრავლე უჩვეულო არ იყო,  
მაგრამ მის ცხოვრებაში ასეთი ადამიანის გამოჩენის შემდეგ ქალი  
თავს უფრო დაცულად გრძნობდა. ამ მამაკაცის მონიშება ისეთივე  
სასიმოვნო იყო, როგორც ქარბუქის დროს თბილ ოთახში, მოხერ-  
ხებულ სავარძელში ჩაჯდომა და ნიგნის კითხვა. ეს ურთიერთობა  
მარტობასა და თავისუფლებას ანონასწორებდა, ეს იყო ქალი-  
სათვის დამახასიათებელი მყუდროების შეგრძნება. მას ფარუქ თა-  
ნაისთვის ხელი არ უკრავს. არც ის ანუხებდა, რომ კაცი ცოლიანი  
იყო, რადგან ეს ხელს შეუშლიდა, რომ ფურეია მთლიანად დაესა-  
კუთრებინა და ქალი ამით ქმაყოფილი ჩანდა. უცოლო მამაკაცებ-  
თან ურთიერთობისას ფურეიას, როგორც ნესი, დისტანციის გა-  
კონტროლება უჭირდა. განსაკუთრებით თურქი მამაკაცები გამო-  
ირჩეოდნენ. მათ მუდამ აინტერესებდათ, რით იყო დაკავებული  
ფურეია მთელი დღე, აინტერესებდათ მისი ცხოვრების თითოეული  
ნამი. სინამდვილეში ფურეიას სტირდებოდა მეგობარი, რომელიც  
მის ცხოვრებაში არ შემოიჭრებოდა, მას თავისუფლად სუნთქვის  
საშუალებას მისცემდა და მხოლოდ მაშინ გამოიჩენდა სიყვარულ-  
სა და მზრუნველობას, როცა ამას ფურეია მოისურვებდა.

ერთხელ აფიფემ ფურეიას სადილი ჩაუტანა. კარი ჰაკიე ხანუ-  
მის მიცემული გასაღებით გააღო და, როცა საძინებლიდან გამო-  
სული უცხო მამაკაცი დაინახა, ქურდი ეგონა და კივილი ატეხა.

"გაჩუმდით, მე ქურდი არ ვარ, ფურეიას ამხანაგი ვარ." - უთხრა  
ფარუქ თანაიმ.

"აფიფე, გთხოვ, ჩემს ბინაში ზარის დაურეკავად ნულარ შემოხ-  
ვალ." ფურეიას ყინულივით ცივი ხმა ჰქონდა.

"დედათქვენმა გამომიშვა, თორემ თქვენი გასაღები საიდან მექ-  
ნებოდა."

"თუმცა გასაღები დედაჩემმა მოგცათ, ზარი მაინც დარეკეთ."

“ვიფიქრე, დაკავებული იყავით. თქვენ არ გიყვართ, როცა მუშაობის დროს განუხებენ.”

იმ დღეებში ფურეია შეუსვენებლად მუშაობდა. მექშივიდან შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა. ახალ სამყაროში თანამედროვე ხელოვნებას და განსხვავებულ კულტურას გაეცნო, შეისწავლა, გაითავისა. არა, თავის ქმნილებებში სამხრეთამერიკული კულტურის ჩვენებას არ პირებდა. მას სხვა ოცნება ჰქონდა. ახლახანს გააცნობიერა, რომ კერამიკა მხოლოდ მოტიქული თიხა არ იყო, რომ ხელოვნების ამ დარგს სულ სხვა განზომილებაც ჰქონდა. ახლა ფურეიას ეს მიჯნაც უნდა გადაელახა. თანაც ამ მოგზაურობიდან ისეთი ღუმელი ჩამოიტანა, რომელშიც მომინანქრებულ სამკაულებს გამოწვავდა. კობალტნარევი თიხაც გამოსცადა. ამ მასალით მხოლოდ მცირე ზომის ნივთებზე შეეძლო მუშაობა, სამკაულების კეთება დაიწყო. იგი სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთებს მინანქრით ამეობდა და ერთ დროს ბიზანტიიდან რუსეთის გავლით ევროპაში დამკვიდრებული ტექნიკით ბეჭდებს, ყელსაბამებსა და გულსაბნევებს ქმნიდა.

აფიფე, ფარუქ თანაი და ფურეია აქეთ-იქით მიმოფანტულ სამკაულებს, კერამიკისა და შუშის ნამსხვრევებს შორის იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ. აფიფეს ხარხარი აუტყდა, ფურეიისაც გაეცინა, ფარუქ თანაიმ შვებით ამოისუნთქა და საძინებელში შებრუნდა.

“ფარუქი თითქმის ყოველ პარასკევს ჩემთან რჩება, ეს გაითვალისწინე,” - თქვა ფურეიიმ.

აფიფე ზევით რომ ავიდა, ფურეიის სტუმარზე კრინტი არ დაუძრავს. იგი ფურეიის მესაიდუმლე გახდა და ამ საიდუმლოს შენახვით მათ შორის არსებული ყინულის გალლობას ელოდა. თუმცა ეს ვერაფრით მოახერხა. ამ კედელს მეტად მკვრივი დუღაბი ჰქონდა - ეს იყო სარა, რომელიც მთელი ცხოვრება შავ კატასავით იდგა დედასა და მამიდას შორის.

ფურეიია საკუთარი ნებით შორდებოდა ფუფუნებას, მდიდრულ რესტორნებსა და ბურუუაზიულ ჩვევებს. სანამ ქილიჩ ალის მეუღლე იყო, დიორისა და უივანშის სამოსს იცვამდა. ახლა კი აილა

ერუქსელის შეკერილი, ანატოლიური ორნამენტით შემკული იის-ფერი ან ფრაზისფერი ეროვნული ტანსაცმელი ეცვა, ბრილიანტისა და ზურმუხტის ნაცვლად მინანქრის და შუშის საშეაული ეყეთა, მაგრამ მაინც უნინდელზე მიმზიდველი, ლალი და დიდებული იყო.

ნარსული დროდადრო კვლავ თავს ახსენებდა ფურეიას და უთანხმოება იწყებოდა. ყველაზე ხშირად უახლოეს და საყვარელ მეგობარს - საბაპიათინ ეუბოლლუს ეკამათებოდა.

მეგობრები ბურსაში მოგზაურობდნენ. ჩელიქქალასის სალონში ისხდნენ.

"ასეთი მდიდრული ადგილები მაღიზიანებს. მოდით, რომელიმე ნორმალურ დუქანში წავიდეთ და იქ ვისადილოთ," - თქვა საბაპიათინ ეუბოლლუმ.

"ძეირფასო, აქ სიმდიდრეს სად ხედავ?" ჰეითხა ფურეიამ.

"შესაძლებელია, შენ მდიდრული არ გვინია, მაგრამ მე ხალხის შვილი ვარ და ჩემი საზომით აქაურობა მეტად მდიდრულია."

"საბაპიათინ, შენი აზრით, ვისი შვილი ვარ?"

"ჩემო კარგო, შენ სასახლის შვილი ხარ. ეს არც შენ დაგვინყებია და ამიტომაც აქაური ფუფუნება შენზე არ მოქმედებს."

"არ მოქმედებს, რადგანაც ამ რესტორანს სიმდიდრის კვალიც არ ეტყობა. ერთი უბრალო სასტუმროა."

"სასახლის შვილისთვის ასეა."

ფურეია გალიზიანდა: "რატომლაც, როცა სასახლის შვილს ახსენებ, ამას ისეთი ტონით ამბობ, თითქოს მედავის შვილი ვიყო."

"გაჩუმდით, გაჩერდით, რა სისულელეზე კამათობთ?!" - შაქირ ეჯზავებაშიმ მეგობრების შერიგება სცადა.

"ჩუმად იყავი, ნუ ერევი." - მოუჭრა საბაპიათინმა.

"რატომ? ისიც სასახლის შვილია?" - ჰეითხა ფურეიამ.

"ფურეია, ღვთის გულისათვის, რა მოგივიდა?"

"შაქირ, მე ნუ გამინყრები, ამას უთხარი. საკუთარი თავის გარდა ყველას იმის შვილად გვთველის."

"ვის შვილად?" - საბაპიათინი არ ცხრებოდა.

"შენი აზრით, ქოხმახების მონონება და ჯურდმულებში წანწალი დიდი ლირსებაა?"

"თქვენ რა, გაგიუდით? ბაკვებივით უმნიშვნელო რაღაცაზე კა-  
მათობთ."

"მე კამათი დავასრულე. აქ არ ვისადილებ. მორჩა," - თქვა საბა-  
ჰათინმა.

"მე კი ამ სასტუმროს გარდა სხვაგან არ ვისადილებ," - მიუგო  
ფურეიამ.

შაქირმა ფული გადაიხადა.

"თუ ასეა, შინ დავპრუნდეთ." - არ ცხრებოდა შაქირი.

მანქანაში ცხვირჩამოშვებულები ჩასხდნენ და გემისკენ გაე-  
მართნენ. გემზე რომ ადიოდნენ, სიცილი აუტყდათ.

"ლვთის გულისათვის, მითხარი, რადგანაც სასახლის შეილს მი-  
ნოდებ, ჩემი სახლიც მდიდრული გვინია?" - მიუბრუნდა ფურეია  
საბაჟათინმა.

"არა, ის შენი ბუნაგია."

"ახლა მეუბნები, რომ ცხოველი ვარ."

"ცხოველი კი არა, ლომი ხარ, ფურეია, შენ ლომი ხარ," - უთხრა  
საბაჟათინმა და მეგობრები ისევ შერიგდნენ.

1959 წელს ფურეია პირველად წავიდა ცისფერ მოგზაურობაში. ჯერ შეკვეთა დაასრულა. იმავე წელს მამა გარდაეცვალა. იალოვა-  
ში გადატანილი სისხლის ჩაქცევის შემდეგ ემინ ბეი სასწრაფო დახ-  
მარების მანქანით სტამბოლში გადაიყვანეს. მამა უგონოდ იყო,  
სახლში იწვა, დიდხანს იავადმყოფა. სიკედილი მისთვის ხსნა იყო.  
ფურეიამ მამის დაკარგვა ძალზე განიცადა. ხშირად ესიზმრებოდა.  
ბოლო სიზმარში მამას ფაშას სამოსი ეცვა. "ჩემზე ნუ იდარდებ,  
შეილო, პირიქით, გიხაროდეს, რადგან ჩემი ტანჯვა დასრულდა,  
ახლა მშეიდად ვარ." უთხრა შეილოს. ფურეიას ხშირად ახსენდებოდა  
მამა - ახოვანი, ნარმოსადევი მამაკაცი, ბოლოხანს სენისაგან და-  
პატარავებული, დაძაბუნებული სხეულითა და გატანჯული მზე-  
რით. და ეს მისთვის მეტად მძიმე მოსაგონარი იყო.

ფურეია სულიერ და ფიზიკურ დაღლილობას გრძნობდა, მთელი  
სალამი მეგობრებთან ნუნუნებდა.

"ჩემო კარგო, ხმელთაშუა ზღვის ნყალი მოგიხდება, სხვაგვა-  
რად ვერაფრით გახალისდები," - უთხრა ჯევათ შაქირმა.

"თუ ასეა, ხმელთაშუა ზღვაზე ნამიყვანე." "

"ზეგ ბოდრუმში დავიტრუნდები და იახტას დავიქირავებ." სამოსე

"მეც მინდა ნამოსვლა!"

"მეც მინდა!"

"მეც ნამოვალ!"

ცოტა ხანში სტუმრებს მინაც შემოუერთდათ და აღმოჩნდა, რომ დასასვენებლად ნასვლა ოცდაცამეტ ადამიანს უნდოდა.

"ნოეს კიდობანს დავემსგავსეთ." თქვა ჯევათ შაქირმა.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ალიესა და ფურეიას დაჟინებული თხოვნით ჯევათ შაქირი შაქირ ფაშას აპარტამენტში დადიოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ ჰაკიე და აიშეც უფროს ძმას უფრო ლომბიერად ექცეოდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ძმისშვილი ისმეთი ნახეს. პატარა ისმეთი ბოდრუმში დაიბადა.

მონითალო-ქერა ნანნავებიანი გოგონა ნაზ გვირილას ჰგავდა. როცა ჯევათ შაქირმა დედის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, რვა ნლის ქალიშვილი სტამბოლში ნაიყვანა. სურდა მომაკვდავი დედისთვის ეწვენებინა. ბავშვი მგზავრობისას გაცივდა, სურდო შეეყარა.

"შაქირ, დედა ლოგინად არის ჩავარდნილი, არ მინდა, მასაც გადაედოს. ისმეთი რამდენიმე დღით კუნძულზე დარჩეს. როცა გამოჯანმრთელდება, მოიყვანე," - უთხრა ალიემ და პატარა ისმეთიც სხვა ბავშვებთან ერთად კუნძულის სახლში დატოვეს.

ჯევათ შაქირი დათრგუნული იყო. დედის ცხედარს ძლიეს ააგლივეს. დედა მრავალი წელი ენატრებოდა. მის წერილებს გულის ჯიბით დაატარებდა. ჯევათ შაქირის მწეხარებამ და პატარა გოგონამ და-ძმას შორის ყინული გაალლო და დროთა განმავლობაში ძველი ურთიერთობა აღდგა.

დიდი ხანია, იგი უკვე მხოლოდ ჯევათ შაქირი აღარ იყო. ის იყო ბალიერი, რომლის ცნობილი "გამარჯობა" ირგვლივ მყოფთ სიცოცხლეს უხალისებდა, ერთი ამოსუნთქვით მათ თვალნინ მთელ ბერძნულ მითოლოგიას გადაუშლიდა, ის იყო ჰომეროსი, ოიდიპოსი, პოსეიდონი და შეუძლებელი იყო, ნინ ალდგომოდი კაცს, რომელიც ყველაფერს შუქს, ცოდნასა და სიხარულს ჰფენდა.


1959 წლის მოგზაურობა პირველი იყო მათ შორის, რომელიც ჩვენს ენაში "ცისფერი მოგზაურობის" სახელით დამკვიდრდა. კერვათ შექირი იმ ადგილებში ხშირად დასეირნობდა. უმეტესნილად თან ერთი-ორი ცნობისმოყვარე ტურისტიც ახლდა, ყველა ყურე ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა. ამჯერად ხის იახტაზე საძილე ტომრები, რა-ქი, სიგარეტის კოლოფები, პირსახოცებში შეფუთული საყინულეები, ყინულში ჩანყობილი დაჭრილი საზამთრო და სტამბოლიდან ჩა-მოსული ზუსტად ოცდაცამეტი მოგზაური იყო.

იახტა, სახელად "მაჯერაჯი", მარმარისიდან გამოვიდა, კონცხებს შემოუარა და მგზავრები ბოდრუმში ჩაიყვანა. მოგზაურებს ღამით საძილე ტომრებში ან პლედში გახვეულებს გემბანზე ეძინათ. თხუთმეტი დღის განმავლობაში ზღვა, დელფინები, ისტორია და რაქი მათვეის იმდენად ახლობელი გახდა, რომ ბოდრუმში ჩასვლისას ზოგს თავი ლიკიელი ეგონა, ზოგს - ბერძენი ლმერთი. სისხლისფერი მზე ჰორიზონტზე ამოინვერებოდა და დღე ბალიქჩის ცნობილი მისალმებით იწყებოდა. ეს გამარჯობა ქუხილს ჰგავდა. ბალიქჩის დაჭრილ თევზს ცეცხლზე წვავდნენ, ლეგენდებს უსმენდნენ და ასობით მცენარის, ყვავილის, ბალახისა და ხის სახელს სწავლობდნენ.

ფურეიას და მის მეგობრებს ცისფერი მოგზაურობის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლოთ და ყოველ წელს ამ თავგადასავალს იმეორებდნენ.

1962 წელს პრალის კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე ფურეიამ უმაღლესი ჯილდო - ოქროს მედალი მოიპოვა. 1955 წელს კანში მიღებული ვერცხლის მედლის შემდეგ ეს საერთაშორისო არენაზე დიდი აღიარება იყო.

ფურეია უკვე ოსტატი გახდა და თვალსაწიერის გაფართოების დრო დადგა. ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის მიმართა და მრავალი ცდის შემდეგ საქმაოდ კარგი მასალა მიიღო. ამ მასალით მაღალი გამოწვის ნაზავი გამოსცადა. თიხის შეზავება და სახელოსნოში გადაზიდვა კვლავ ჰასან უსტას საქმე იყო. ფურეია ღუმელთან ათენებდა და გამოწვის სხვადასხვა ტემპერატუ-



რას ცდიდა. ფერადი მინანქარი მაღალ ტემპერატურას ვერ უძილებდა, ფერს კარგავდა. ამიტომ ოქსიდურ საღებავს იყენებდა, ფერებს ფრთხილად ურევდა. ახლა უკვე ქვაქვიშაზეც მუშაობდა.

თუმცა ზამთარში მეტისმეტად დატვირთული იყო, იმ ზაფხულს ცისფერ მოგზაურობაში მაინც არ ნასულა - საქმე ჰქონდა: ბამბის ქულა ქალთა პანსიონში უნდა წაეყვანა, ბავშვისთვის მოსწავლის ფორმა, წიგნები და რვეულები ეყიდა, თან ფრანგულში ამეცადინებდა.

სექტემბრის დასაწყისში ძმისშვილი სკოლაში წაიყვანა. თითონაც ეს სკოლა დაამთავრა. ხუთი წლის წინანდელი ამბავი გაახსენდა, მაშინ სარა პირველად წაიყვანა დაწყებით სკოლაში. მასწავლებელმა ბავშვს სახელი ჰქითხა.

"ბამბის ქულა," - მიუგო სარამ.

"შვილო, სხვა სახელი არა გაქვს?"

"ნეტავ რა ჰქითხა ბავშვს?" - ფურეია ერთი წამით ჩაფიქრდა.

ახლა კი, ქალთა პანსიონის კარგად წაცნობ მისაღებში თავის რიგს ეღოდა.

"ფიფოშ-დედა, გთხოვ, მათთან სარა დამიძახო," - უთხრა ბავშვმა.

"ვისთან?"

"მონაზვენებთან, მოსწავლეებთან... არ მინდა, გაიგონ, რომ მე ბამბის ქულას მეძახით."

"როგორც იტყვი, ბამბის... შვილო." ფურეია ახლაღა მიხვდა, რომ ბავშვი უკვე ბამბის ქულა კი არა, ადამიანი იყო, რომელსაც სახელი ჰქონდა. გოგონა თავის სახელს მოითხოვდა და ეს მოთხოვნა სამართლიანად ეჩვენა.

"ოჯახის წევრებსაც ვეტყვი, რომ ბამბის ქულა აღარ დაგიძახონ," - თქვა ფურეიამ და მაშინვე ძმის ხმა ჩაესმა: "შენ მასწავლი, ჩემს შვილს რა დავუძახო?" მაგრამ ოჯახში უთანხმოების მოთავე შექირი კი არა, აფიფე იყო.

"გავიგე, ბამბის ქულა სკოლაში წაგიყვანია," - უთხრა აფიფემ.

"დიახ."

"შეგეძლოთ ჩემთვის ან მამამისისთვის გეთქვათ."

"აფიფე, განა არ გადავწყვიტეთ, რომ სარას ქალთა პანსიონში შევიყვანდით?!"

"გადავწყვეტილეთ."

"მაშ, რა მოხდა?"

"შეგვეძლო ერთად ნაგვეუვანა."

"რა მნიშვნელობა აქვს, ნავედით, საქმეც მოვაგვარეთ."

"მეურვედ ვინ ჩანერეთ?"

"მეურვე მე ვიქნები."

"მაგრამ დედა მე ვარ."

"ის, რომ მე მეურვე გავხდი, შენ დედობის უფლებას გართმევს?"

"ამ ბავშვს დედ-მამა ჰყავს. მეურვე ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა ყოფილოყო."

"ხვალ ნავალ, შევაცვლევინებ. აქ საკამათო არაფერია."

"აფიფე, თუ მეურვე შენ იქნები, ფრანგულშიც შენ ამეცადინებ."

ჰაკიე ხანუმი მუდამ ქალიშვილს უჭერდა მხარს.

"მამამისი ამეცადინებს," - მიუგო აფიფემ, - "ღვთის გულისათვის, ვინც ქალთა პანსიონში სწავლობს, განა ყველას მშობელმა იცის ფრანგული?"

ფურეიამ რძალს აღარ უპასუხა, ამ კამათით გაოცებულ სარას მიეფერა, კარი ჩუმად გამოალო და ქვევით ჩავიდა. ცოტა ხანში კართან ფეხის ხმა გაისმა. ზარი დარეკეს. წავიდა და კარი გაალო. კართან სარა იდგა და ნალვლიანად უყურებდა.

"როგორ ხარ?"

"ფიფოშ-დედა, თუ დედაჩემი მეურვე იქნება, მაინც მამეცადინებ?"

"ცხადია, ბამ... სარა, აუცილებლად გამეცადინებ."

"მან ფრანგული არ იცის."

"არა უშავს, მამაშენმა, ბებომ, მე - ყველამ ვიცით."

"მე მინდა, თქვენ მამეცადინოთ, რადგან ძალიან მიყვარხართ."

"მშობლებიც უნდა გიყვარდეს," - უნდოდა ეთქვა ფურეიას, მაგრამ სიტყვები ყელში გაეჩირა. მეც ძალიან მიყვარხარო, ესლა უთხრა. კარგად ხვდებოდა, რომ სარას თავის გრძნობებში გარკვევა ჯერ კიდევ უჭირდა.

ფურეიასა და უთარით იზგის შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა სამოციან ნლებში. ისინი ბევრ რამეში ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

ფურეიამ ფენდიქში ქუნთის ვილის ბუხარი გააკეთა და დიდი თეთრი ბეტონის გამყოფი კედელი კერამიკული დეტალებით გააფორმა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შეკვეთა 1966 წელს მიიღო. მას აგრარული ბანკისა და ბაშაქ სიგორთას შენობების შემაცირთებელი კედლების გაფორმება სთხოვეს. ეს სახლები ჰარბიეში შენდებოდა. ოთხმოცი კვადრატული მეტრის ფართობის ცარიელი კედელი შემოქმედს დაუჯერებელ სიზმრად ეჩვენებოდა.

ფურეიას ეგონა, რომ სიზმარში იყო. მას აძლევდნენ უზარმაზარ თავისუფალ სივრცეს, სადაც გამოხატავდა ყველაფერს, რაც ოცნებაში, გონიერასა და გულში ჰქონდა.

## მოლაპარაკე, მოსიყვარულე და მოაზროვნე კადლები

ლაბადაში გახვეული ფურეია პარბიეში წავიდა, მომავალი სა-  
 მუშაოს ნახვა უნდოდა. გვერდიგვერდ მდგარ ორ ერთნაირ შენო-  
 ბას შორის აღმართული სვეტი კედელს ორად ჰყოფდა. ამ კედლებ-  
 ზე ორი სხვადასხვა პანოს გაკეთება შეეძლო, მაგრამ ფურეიას ად-  
 ვილად მისაღწევი გზა არასოდეს ხიბლავდა. იდგა და კედელს შეჰ-  
 ყურებდა. ბინდდებოდა. ქუჩაში ხალხმრავლობა იყო - ბავშვები  
 სკოლიდან გამოდიოდნენ, სტამბოლელები შინ მიიჩქაროდნენ, მან-  
 ქანების გამაყრუებელი გუგუნი ისმოდა. განვიმდა. ფურეია კარგა  
 ხანს აკვირდებოდა სვეტით გაყოფილ კედელს, რომელსაც ვერ  
 შეცვლიდა, ვერც წინ, ვერც უკან დასწევდა. ამ კედლის არც გაზრ-  
 და და არც შემცირება არ შეეძლო. შენობის არქიტექტორმა ფუ-  
 რეია ამ ზედაპირს, ამ ზომებსა და განათებას დაუმორჩილა. იგი  
 უკვე იზგის ქმნილების ტყვე გამხდარიყო. რაღაც გზა უნდა მოე-  
 ძებნა და შემდეგ შეეყვარებინა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მე-  
 ხუთე სიგარეტი ჩააქრო და შინ დაბრუნდა.

დილის რვის ნახევარზე ისევ იქ იყო. შინიდან წამოლებულ დასა-  
 კეც სკამზე ჩამოჯდა. თენდებოდა. გზაზე არავინ ჩანდა. სანამ ორ  
 ლერს მოწევდა, ქუჩა კვლავ გამოცოცხლდა. დილის ავტობუსები  
 კარგა ხანია ნასულიყო, მაგრამ ყველაზე ხმაურიანი, ხალხმრავალი  
 პერიოდი ახლა იწყებოდა. ნახევარი საათის შემდეგ ქუჩა სკოლის-  
 კენ მიმავალი ბავშვების შივილ-ხივილმა და მოსამსახურე ქალების  
 წუნუნმა აახმაურა. ამომავალი მზე ფურეიას კედელს ანათებდა,  
 ასხივოსნებდა. ათის ნახევარზე კედელი ნათელ, მხიარულ ზედაპი-  
 რად იქცა. ფურეია შინ დაბრუნდა.

ორი საათი იწყებოდა, როცა ისევ მივიდა კედელთან. დედასთან  
 წაიხემსა და ისევ აქ, ამ ქუჩაზე იყო. ამჯერად სკამი აღარ წამოუ-  
 ლია. შენობის პირდაპირ წამოქცეულ ხეს მიეყრდნო და კედელს აკ-  
 ვირდებოდა.

"დეიდა, აქ რას ელოდები?" მობრუნდა, მის წინ ვიღაც ყმანვილი იდგა.

"ავტობუსა."

"აქ გაჩერება არ არის."

"ვიცი."

"გამოდის, რომ ავტობუსს არ ელოდები."

"არა."

"თუ ასეა, ვიღაცას ელოდები."

"დიახ." უთხრა ფურეიამ.

"შეიძლება, შენთან ერთად მეც დაველოდო?"

"ვის?"

"ვისაც შენ ელი."

"შენ რაში გჭირდება ის, ვისაც მე ველოდები?"

"როცა გამოჩნდება, მე დაგეხმარები."

"დაგეხმარება არ მჭირდება, შვილო."

"გჭირდება. რაც უნდა იყოს, ქალი ხარ."

"ამით რის თქმა გინდა?"

"ვშიშობ, რამე არ მოხდეს."

"რა უნდა მოხდეს?"

"ეე, დეიდა, ეგ საქმე მეტად რთულია."

"რომელი საქმე, შვილო?"

"აი, ეგ თქვენი საქმეები."

"რა არის ეგ ჩვენი საქმეები?"

"თქვენ ეროვნული უშიშროებიდან არ ხართ?"

ფურეიამ სიცილი ძლივს შეიკავა. "არა, არ ვარ."

"ყველა ასე ამბობს. სამი თვის წინ, აი, იმ ბუფეტს ხომ ხედავთ, ერთი კაცი მოვიდა, ვითომ გამყიდველი იყო. ბუფეტში გაზიან ნყალს ყიდდა. შემდეგ გავიგეთ, კომუნისტი დაუჭერია."

"მე ეროვნული უშიშროებიდან არ ვარ."

"კარგი, მაშ რატომ დგახართ ამდენი ხანი ერთ ადგილას?"

"კედლის გამო."

"რომელი კედლის?"

"ამ ცარიელ კედელს ვუყურებ."

"რატომ?"

"იქნებ რამე მითხრას."

ახლა უკვე ბიჭი გაოცდა.

"არა. ნეტავ კედელმა რა უნდა თქვას?"

"ჯერ არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის სათქმელი მაინც ექნება. აი, ველოდები."

ყმანვილი გვერდით ქუჩაზე ერთ მაღაზიაში შევიდა და მაღავი დაც კაცთან ერთად გამოვიდა, ფურეიაზე მიუთითა, გიურია, ანიშნა. ფურეიამ მათ ხელი დაუქნია, ისინი მაღაზიაში შევარდნენ.

კვირის ბოლოს ფურეიასა და კედელს შორის საგრძნობი კავშირი დამყარდა. მანქანებისა და ადამიანების ხმაურში კედლის სუნთქვის გაგონებას ცდილობდა. თანდათან ერთი იდეა ჩამოყალიბდა, იდეა, რომელიც ორ კედელს კი არ ყოფდა, პირიქით, აერთიანებდა. უკვე ორი ცალკეული პანოს ნაცვლად ორად გაყოფილ ერთ პანზე ფიქრობდა. თვალდახუჭული ცდილობდა ნარმოედგინა ორნანილიანი ერთი პანო, რომელთა ნანილები ერთმანეთს ავსებდნენ, ერთ მთლიანს ქმნიდნენ. უკნიდან ხმა შემოესმა.

"დეიდა, კედელმა რამე გითხრა?"

როცა თვალი გაახილა, ისევ ის ყმანვილი დაინახა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ესაუბრებოდა.

"მითხრა."

"რა გითხრა?"

"სამყაროს შემადგენელ ოთხ ძირითად ელემენტზე მიამბობდა."

"ეს რაღაა?"

"მინა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი."

ბიჭმა თითო საფუთქელთან დაიტრირალა, ექიმთან წადიო, უთხრა და გაიქცა. ფურეიამ ჩანთიდან ქალალდი და კალამი ამოილო, ისევ იმ ხეს მიეყრდნო და ხატვა დაინყო.

პან მარცხნიდან აგრარული ბანკის კედლით იწყებოდა, სეეტით ორად იყოფოდა, გარეთ გამოდიოდა, შემდეგ ისევ შიგ შედიოდა და ბაშაქ სიგორთას კედელზე გრძელდებოდა. ერთ ნახევარში თბილ ტონებში მინა და ცეცხლი, მეორე მხარეს კი - ცივ ფერებში შესრულებული წყალი და ჰაერი იყო გამოსახული. ამგვარად, მთელ პანზე ერთი მთლიანი ნახატი ჩანდა.

ეს იყო სურათი, რომელიც ბუნებას, ცხოვრებას, არსებობასა და მარადიულობას გამოხატავდა, უფრო მეტიც, ეს იყო სურათი, რომელიც შიდა და გარეთა მხარეებს ერთმანეთთან აკავშირებდა და მთლიანობას ქმნიდა.

ფურეიამ ჩანახატი დასრულა, ქაღალდი და კალამი ჩანთაშიჩა-  
იდო. ბიჭს ვიტრინაზე ცხვირი მიებჯინა და მას უყურებდა. როცა ფურეიამ მაღაზიას ჩაუარა, გარეთ გამოვიდა.

"ხვალ კედელთან სასაუბროდ ისევ მოხვალ?" პკითხა ლიმილით.

"არა, საქმე დავამთავრე."

"კომუნისტი დაიჭირე?"

"შვილი შემეძინა, უფრო სწორად - პანო." უთხრა ფურეიამ და ჩქარი ნაბიჯით შინისაკენ გასწია.

სახელოსნოში მას მინა, წყალი და ცეცხლი ელოდა.

ფურეიამ შექმნა პანო, რომელზეც მინა, ცეცხლი, წყალი და ჰა-  
ერი იყო გამოსახული.

მხატვრები უნდაფანის ბაზრის კედლების შესამკობად მიიწვიეს.  
ზოგიერთი კედელი ცენტრალურ პროსპექტზე გამოდიოდა, ზოგი -  
გვერდით ქუჩებზე, ზოგი კი - შიდა ეზოში, მაგრამ მათი რაღაც ნა-  
ნილი ცენტრალური გამზირიდანაც ჩანდა.

ფურეიამ ერთ-ერთი შიდა კედელი ერგო.

ისიც ადგა და თავისი კედლის სანახავად ნავიდა. მაგრამ პირ-  
ველ დღეს არც ბაზარი და არც ერთეული შეუმჩნევია.

ფურეია მხოლოდ სულეიმანიეს მეჩეთს უყურებდა. მეჩეთი იმ-  
დენად შთამბეჭდავი, დიდებული და იდუმალი იყო, რომ ირგვლივ  
ყველაფერს ჩრდილავდა. ფურეია კედელთან იჯდა და ხელოვნების  
შედევრს საათობით მონიშნებით უცქერდა. ნეტავ რის გაკეთება შე-  
იძლებოდა ბაზრის კედელზე, რომელიც ამ დიდებული შენობის  
გვერდით იდგა?!

ფურეიასათვის ისევ დაიწყო მტანჯველი პროცესი. საათობით  
იჯდა და კედელს დღის სხვადასხვა დროს განსხვავებული განათე-  
ბის პირობებში აკვირდებოდა, ყველაზე მეტად მზის ჩასვლის დრო  
უყვარდა.

ერთხანს კედლის ნინ იჯდა. შემდეგ ცენტრალურ გამზირზე  
გადიოდა და სეირნობდა. ბაზრის ნინ, ალბათ, ასჯერ ჩაიარა. ქუ-  
ჩიდან კედელი მხოლოდ შორიდან ჩანდა, ამიტომ საჭირო იყო  
ისეთი ორნამენტი, რომელიც შორიდან კარგად გამოჩნდებოდა.  
ერთი კი არა, ალბათ სამი დიდი ლაქა... სამი ლაქა, რომელსაც შო-

რიდან შეამჩნევდნენ, მაგრამ დეტალებს მხოლოდ მოახლოებისას დაინახავდნენ.

მნიშვნელობა არ ჰქონა, რას გააკეთებდა, მაგრამ სურდა, სურდა, სიუდოს მეჩეთის ჩრდილქვეშ შეყუულ კედელზე სიხარული, ბედნიერება და სიყვარული გამოესახა. კედლის პანოზე აღბეჭდილი უკიდეგანო სიმშვიდე და მარადიული სიყვარული მეჩეთის მისტიკურ განწყობას უნდა შერწყმოდა. ცალკეულ ფიგურებზე არ ფიქრობდა. ამოსავალი მხოლოდ ბედნიერება უნდა ყოფილიყო. ამის მისალნევად მუშაობის დროს ცდილობდა გაეხსენებინა ბუიუქადაზე გატარებული ბავშვობა, ბალში თამაში და ბებიამისის ნაირფერი ყვავილები.

გადაწყვეტილება მიიღო: შუშას გამოიყენებდა, მაგრამ ზედმეტი გალღობის გარეშე, რადგანაც ლუმელში ტემპერატურის გაზრდისას შუშა დნებოდა და თიხას ჭიქურივით ედებოდა. განსაზღვრულ ტემპერატურაზე კი - არ დნებოდა, კერამიკაზე პრიზმის ეფექტის ახდენდა. თუ შუშას არ დაანობდა, მაშინ კერამიკის ფერები შუშის პრიზმაში გაივლიდა. გამვლელები უნქაფანის ბაზრის ნინ ცენტრალური გამზირიდან თავდაპირველად კედელზე მილიცლიცე ფერად სხივებს შეამჩნევდნენ, შემდეგ კი ლაქებს დაინახავდნენ.

ბაზრის პანო, ისევე როგორც ფურეიას დანარჩენი ნახაზები, დიდ სამუშაო მაგიდაზე იყო გაშლილი. ფურეია ფუნჯის ნელი და ფრთხილი მოსმით, როგორც მხატვარი ტილოზე საღებავის წასმისას, მოთმინებით ფარავდა ფილებს მინანქრით. იგი უზარმაზარი პანოების დაგეგმვასა და შექმნაში განაფული იყო და ამიტომ საქმე ჩქარა მიინვედა. ახალმომინანქრებული ფილა ნაცრისფერი იყო. როცა მაგიდაზე უკვე ლუმელში გამომწვარ ფილებს დაანყობდა, მოწაფეები გაოცებული უცქერდნენ ფერთა ციალს. სახელოსნოში მხოლოდ ფუნჯის შრამუნი და მოცარტის ან ბეთჟოვენის კონცერტები ისმოდა.

უნქაფანის ბაზრის კედელზე ფილებს ამონტაჟებდნენ, ეზოში შეერებილი ბავშვები აღტაცებით აკვირდებოდნენ შარვლიან ქალს, რომელიც კიბეზე იდგა და მუშებს ეხმარებოდა. ქალი კიბეზე ქურციკივით დახტოდა, ზორბა, ასაკოვანი მუშები მას მოწინებით ექ-

ცეოდნენ. ბავშვები გაოცებას ვერ მალაუდნენ. დამონტაჟება ჯერ არ დასრულებულყო, მაგრამ სამი ლაქის კონტურები უკვე გამოიყენეთა.

"შეხედეთ, ორი ჩიტი ერთმანეთს კოცნის!" - წამოიყვირა ერთმა ბავშვმა.

ფურეია კიბეზე იდგა. შემობრუნდა და ქვევით ჩაიხედა, საიდანაც ბავშვების ურიამულის ხმა მოდიოდა.

"ეს ვინ თქვა?" - ჩამოსძახა ბავშვებს. გამხდარი ბიჭი წინ გამოვიდა.

"მე ვთქვი."

"აქ ჩიტი დაინახე?"

"დიახ."

ფურეია კიბიდან ჩამოვიდა. ბავშვი თავისთან მოიხმო.

"მაჩვენე, სად დაინახე ჩიტი."

ბავშვმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. ფურეიაც მას მიჰყვა. ბიჭმა ხელით ანიშნა.

"აი, იქ არის. ჩიტებს ერთმანეთისთვის ნისკარტები მიუდიათ და კოცნიან."

ფურეია გაოგნდა. მას ეს არ ჩაუფიქრებია. იქ, სადაც ბავშვი მიუთითებდა, ორი ზღაპრული ჩიტის თავი მართლაც ჩანდა. თითქოს ერთმანეთს კოცნიდნენ. ოდნავ უკან დაიხია, კარგად რომ დაენახა.

"კარგად მოვიქეცი, როცა ჩემი ხელი ბავშვობის მოგონებებს მივანდე, " - გაიფიქრა ფურეიამ. კედელზე შუშის პრიზმაში ბედნიერება, სიყვარული და სინაზე ირეკლებოდა... ზუსტად ისე, როგორც ჩაიფიქრა.



## პათიოლოგი

(ოსმანოლუს კლინიკა)

კვლავ იმავე პალატაში ვწევარ. ამ კლინიკის ხშირი სტუმარი ვარ. აქ მუდამ მელიან და პალატაც მზად აქვთ. მეც თავს ისე ვგრძნობ, როგორც მეორე სახლში. მეორე სახლზე ხშირად მიოცნებია და ჩემს ნარმოსახვაში ის ბოდრუმის ყურეში მდგარი ერთ-ერთი გემია. მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე არც მეორე სახლისთვის და არც გემისთვის საკმარისი თანხა არასდროს მქონია. არა, არ იფიქროთ, თითქოს ვწუნუნებ. ცხოვრებას ისე გავართვი თავი, დამკიდებული არავისზე ვყოფილვარ. მაგრამ ჩემი ხელოვნებიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ ყოველდღიური ხარჯებისთვის თუ მყოფიდა. ეს ხომ თურქეთია; აქ ხელოვანები, მნერლები, მუსიკოსები, ვერასდროს გამდიდრდებიან. ჭეშმარიტი ხელოვანები მუდამ ჯიბეგამოფხეკილი არიან. დაე, იყვნენ! ალბათ, სწორედ სიღატაკე ნარმოშობს ჭეშმარიტ შემოქმედს.

კვლავ ჩიტს ველი. ის კი გაჯიუტდა, არ მოდის. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მშვენივრად იცის, რა ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. რამდენი ჩიტი გამომიძერწნავს! მაგრამ მათ თავისუფლებისა და უსაზღვროების სიმბოლოებად როდი ვქმნიდი. ჩემი ყურადღება ჩიტების ფორმებმა მიიქცია. მათ დიდი ძალისხმევა შევალიე. გვრიტები, მტრედები და ბაიყუშები გამოვძერნე. დიახ, ბაიყუშები! ჩემს ჩიტებს შორის ყველაზე მეტად, რატომძაც, ბაიყუში შევიყვარე, არ ვიცი რატომ, მაგრამ ადამიანები მას მნუხარების სიმბოლოდ მიიჩნევენ. ამ ჩიტს კეთილშობილური, განსხვავებული სილამაზე აქვს. ბაიყუში დამცინავი გამოხედვით და სიბნელეში მომზირალი თვალებით კორტოხიდან დაჟყურებს სულელ ადამიანებს. ტყუილად როდი უწოდეს "ბაიყუში", ანუ "ბატონის ჩიტი"...

მაგრამ ის შოშიები ხომ გახსოვთ, ამას ნინათ რომ ვახსენე...

ვფიქრობ, ჩემს ხელოვნებაში ყველაზე ღირშესიშნავი მოვლენა სწორედ მათი პანოზე გამოსახვა იყო. თეთრ ფონზე შოშიების ნამდვიუმა ბობის გადმოცემა ხომ დავასრულე და მათ გაფრენასაც ხმა წარმატებით გავართვი თავი! ამიტომაც შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ ჩემი ჩიტი მოფრინდებოდა და ფანჯარაზე დასკუპდებოდა. ახლა უკვე მოუთმენლად ველი მას.

1968 წლის მიწურულისთვის საოცარმა სურვილმა შემიძლივ - მხოლოდ შავ-თეთრი ფერებით მემუშავა. იმ დღეებში კედლებით ვიყავი გატაცებული და ისეთ პანოზე ვოცნებობდი, რომელზედაც თავისუფლად მუშაობის საშუალება მომეცემოდა. უამრავ კედელს მთავაზობდნენ, მაგრამ ყველას ფერადი სურდა. ერთხელაც გადავნივიტე მეხმარა მხოლოდ შავი და თეთრი! არანაირი ფერადი! ამას-თანავე, უამრავი ფორმა და ნახატი ტრიალებდა ჩემს ნარმოსახვაში - მაგრამ მხოლოდ შავი და თეთრი!

ერთ საღამოს ჩაიზე მეგობარი მენვია. აბდურაპემან ჰანჯი-ტეტიორი იყო. სწორედ მას გავუზიარე ჩემი ოცნება.

"ფურეია! ახლა იცი რაზე ვმუშაობ?" - მკითხა აღტაცებულმა.  
"რაზე?"

"დივან ოტელის" შიდა ინტერიერზე, სასტუმროს საშაქარლამოში დახლის უკანა კედელს ვერაფერი მოვუხერხე. ვფიქრობ, ამის გაეკთებას შენ შეძლებ."

"შენ ვერ გამიგე. მე მხოლოდ შავისა და თეთრის გამოყენება მსურს."

"ჰოდა, ძალიანაც კარგი", - მითხრა აბდურაპემან ჰანჯიმ. "იქ ისეთი ფერია საჭირო, რომელიც ვიტრინაში გამოფენილ ფერად-ფერად ტებილეულს არ დაჩიდილავს. ამავე დროს, სისუფთავის შეგრძნებასაც მოჰვერის ადამიანს და, განა ეს შესაძლებელია თეთრი ფერის გარეშე?"

"მაგრამ შავზე უარს არ ვიტყვი!"

"ნუ იტყვი!" - მითხრა აბდურაპემანმა.

ყურებს არ ვუჯერებდი. ილბლის არ მჯეროდა. ღმერთმა კიდევ ერთხელ მაჩუქა კედელი, ზუსტად ისეთი, როგორიც მსურდა. მისი რჩეული მონა ვიყავი. დიახ, დიახ, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ზე-ვით მწყალობდნენ. ნეტავ ეს წყალობა ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულის გამო ხომ არ დავიმსახურე?

კედელსაც მივაგენი და ფერსაც, მაგრამ ჯერ არ ვიცოდი, რა გა-  
მეცეთებინა. დღეში რამდენჯერმე მივდიოდი "დივან ოტელში".

მადლობა ღმერთს, ჩემს სახლთან ძალიან ახლოს იყო.

ერთხელაც, სასტუმროს ნინ ხეზე დასუპებული შოშიები შევ-  
ნიშნე. დირდადრო ყველანი ერთად აფრინდებოდნენ და ისევ ხის  
ტოტებზე სხდებოდნენ. საღამო ხანი იყო. ვერავინ შენიშნა, როგორ  
დაფრინავდნენ ცის კამარაზე პანანინა ჩიტები. წამოვდექი და დიდ-  
ხანს, დიდხანს ვაკეირდებოდი. ბავშვობა მაგონდებოდა - კუნძულ-  
ზე დედასთან ერთად რომ ვუმზერდი წეროების გადაფრენას. დიახ,  
ჩემს პანოს ყველა ფრთაფარფატა ჩიტისთვის შევემნიდი. "დივან  
ოტელის" ნინ ხეზე ჩამომსხდარი შავი ჩიტები ტოტებიდან აფრინ-  
დებოდნენ, კამარას შეერავდნენ და კვლავ შიგნით შემოფრინდე-  
ბოდნენ - საშაქარლამოს თეთრ კედელზე დაიდებდნენ სამუდამო  
ბინას. და მუდამ იქ დარჩებოდნენ, ჩემი წასვლის შემდეგაც კი....

ნუთუ ერთი მათგანი მაინც ვერ მოახერხებს თავის დალწევას?  
ნუთუ ერთი მათგანი მაინც არ მოფრინდება ჩემს ფანჯარასთან?

აბა, მოდი, ჩიტო, მოდი, გელი!.....

არაფრით მაპატია აფიფემ. დარწმუნებული იყო, რომ ქალიშვი-  
ლი წავართვი. თუმცა, განა შესაძლებელია, დედას შვილი წაართ-  
ვა?

განა რა დაშავდებოდა იმით, სარა რომ მეშვილა? ჩემი ერთა-  
დერთი მემკვიდრე ის იყო. ყველაფერი მაინც მას დარჩებოდა. სიმ-  
დიდრე და ძვირფასეულობა არ გამაჩინდა. ერთადერთი სამკაული -  
რუსული გულსაბნევი - რომელიც ნლების ნინ ქურდებს გადაურჩა,  
ხომ სარას ვაჩუქრე. მაგრამ ჩემ შემდეგ ჩემს ქმნილებებს თვალს ვე-  
რავინ დაადგამდა, ჩემი სახელოსნოს ბატონ-პატრონი მხოლოდ ის  
გახდებოდა. ამის სანაცვლოდ სარას გვარის გამოცვლაც კი არ  
სჭირდებოდა.

ეს აზრი მეპმედ ალიმ და ადალეთმა მომაწოდეს. არც მათ ჰყავ-  
დათ შვილი და მუშერეფი იშვილეს. მუშერეფი მათთან გავიცანი.  
შექირ ფაშას აპარტამენტის ერთი სართულის სანაცვლოდ ჩვენი  
ოჯახის იურიდიულ საქმეებს აგვარებდა. იგი მეპმედ ალის საად-  
ვოკატო ბიუროში სტაჟორად მუშაობდა. ახალგაზრდა, ლამაზი ქა-

ლიშვილი იყო. მე, ალიე, ფატრუნისა - ყოველგვარ საქმეს ვანდობდით, ჩვენი უფლებების დასაცავად მხოლოდ მას მიემართავდით და დროთა განმავლობაში ძალიან შეგვიყვარდა. შაქირ ფაშას ოჯახის თითოეული ნევრის ყოველგვარ კაპრიზისა და პრობლემას უმაღვე აგვარებდა, თან ყველაფერს საოცარი სიყვარულით აკეთებდა. მის გარეშე უკვე ვეღარაფერს ვედებოდით. თავის წამოტკიცებაზეც კი მუშერეფითან გავრმოდით.

"ნეტავ, ჩვენს ოჯახს რა ეშველებოდა, მუშერეფი რომ არ ყოფილიყო?" - ვუთხარი ერთხელ მეტმედ ალისა და ადალეთს.

"ეს ჩვენც გვეხება," - მიპასუხა მეტმედ ალიმ, "მუშერეფის გარეშე მე და ადალეთიც, არ ვიცი, რას გავხდებოდით. ჩემს ბიუროშიც უკვე მოტლს საქმებს ის უძლევება. თითქოს ეგეც არ კმარა და ჩვენი ჯანმრთელობის პრობლემებითაც დაკავდა. საკუთარი შვილიც რომ გვყოლოდა, ვეჭვობ, ასეთი გულისხმიერება გამოიწინა".

"მართალია, შვილები არ გვყავს, მაგრამ მე სარა მყავს, თქვენ მუშერეფი".

"ასეა თუ ისე, სარა მაინც შენი ძმისშვილია, ფურეია, შენი მემკვიდრეა. ჩვენ კი გაგვიჭირდება მუშერეფისთვის მემკვიდრეობის დატოვება. ადალეთს ვეუბნებოდი, რომ ამისთვის ერთადერთი გზა არსებობს."

"რა გზა?"

"მუშერეფი უნდა ვიშვილოთ".

"მაგრამ მშობლები რომ ჰყავს! განა ეს შესაძლებელია?"

"მშობლების თანხმობით შესაძლებელია. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობაც არის, რაც კანონითაც აუცილებელია..."

"მეტმედ ბეი, ესე იგი, მეც შემიძლია სარას შვილად აყვანა?"

"მერედა, შაქირს და მის ცოლს რა პასუხს გასცემ?" - მკითხა ადალეთმა.

"მხოლოდ სარას თანხმობაა საჭირო. დაიცადე, ვიდრე თვრამეტი წლის გახდება," - მომიგო მეტმედ ალიმ.

ესე იგი, სარას შვილად აყვანა შესაძლებელი იყო. შეიძლებოდა, ჩემი ქალიშვილი გამზდარიყო!

"ის ისედაც უკვე შენი შვილია. რა გაღელვებს? შაქირს და აფიცეს ეს შეიძლება არ ესიამოვნოთ," - მითხრა დედაჩემმა.

სარა მოისურვებს? რამდენი უძილო ღამე გავატარე ამაზე ფიქრში. ეს ამბავი ისე ჩავიდე თავში, რომ გულს ვეღარაფერს უდებდი.

ერთხელ, როგორც იქნა, გავბედე: "სარა, იცი, ჯიმჯოზები მუშერეფის შვილად აყვანას რომ აპირებენ? მეც მინდა, გიშვილო და ყველაფერი, რაც გამარინია, შენ დაგიტოვო".

"ისედაც მე დამრჩება ფილოშ-დედა, მე ხომ ძმა არა მყავს" ..

"ასეა, ჩემო გოგო, მაგრამ, რადგანაც შენი ნამდვილი დედა არა ვარ, ჩემს ქონებაზე მხოლოდ მემკვიდრის უფლება გექნება. შეიძლება სხვა ნათესავები გამოჩინდნენ და თავიანთი წილი მოითხოვონ. ჩემი შვილი თუ გახდები, მემკვიდრის პრეტენზია ვეღარავის ექნება."

"მე ისედაც თქვენს შვილად ვითვლები. გვარიც კი ერთი გვაქვს".

"გვარს თუ გამოიცელი, როგორ მოვიქცეთ მაშინ?"

"მშობლების დაუკითხავად?"

"ისინი თუ ნინააღმდევი იქნებიან, რას ვიზამთ? თუ გინდა, ნუ-რავის ვეტყვით. მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ გაამხილე".

"დედამ და მამამ რომ გაიგონ..."

"ვერ გაიგებენ. გვარს თუ არ გამოიცელი, ეს ჩვენი საიდუმლო იქნება. გპირდები. ჩვენს გარდა სიმართლე მხოლოდ მუშერეფს ეცოდინება. მას ჯიმჯოზები იშვილებენ, იცოდი?"

"დიახ, უკვე მითხარით", - თქვა სარამ.

თვრამეტი წელი სარას მალე შეუსრულდებოდა. არეულ-დარეული წელინადი იყო. ახალგაზრდები ქუჩებში ამერიკის ნინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებს მართავდნენ. ცუდი ნინათვრდნობა მქონდა. ვფიქრობდი, რომ მალე მოკვედებოდი და მის შვილად აყვანას ვერ მოვასწრებდი. ვლელავდი. თითქოს სიკვდილი მიახლოვდებოდა და თითქოს ვიღაცას სარასთვის უფლებების ნართმევა სურდა. როცა სიკვდილის შეგეშინდება, არც ის დაგინდობს, მაშინ ვე მოდის.

დასასრულს, სარას შვილად აყვანის კვალდაკვალ, სიკვდილმა მართლაც მოგვიკაუნა. კარგა ხანია, რაც დედა შეუძლოდ იყო.

ტაქსიმის გალერეაში ჩემს გამოფენამდე ძალიან ავად გახდა. სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი, რადგანაც გამოფენის მზადებით ვიყავი დაკავებული. დილა-სალამოს თუ შევუვლიდი ხოლმე მოსაკითხავად.

"ძალიან კარგად ვარ, წადი, შენს საქმეს მიხედე", - მეუბნებოდა დედა. მეც, იმდენი რამ მქონდა მოსაგვარებელი, რომ მასთან დიდხანს ვერ ვრჩიებოდი.

გამოფენის გახსნის დღეს ვინახულე:

"როგორ ხართ, დედა?"

"ისე ცუდად არ ვარ, რომ ჩემი ქალიშვილის გამოფენა გამოვტოვო", . თავისი და-ძმების მსგავსად, მასაც უყვარდა გამოფენები, ოპერა, თეატრი, კონცერტი, გალა სალამოები... რა ხანია, ამ გამოფენის მღელვარებას მოეცვა.

"ღმერთის წყალობით, გალერეა ძალიან ახლოა ჩვენს სახლთან," - ვუთხარი დედას.

შორს რომ ყოფილიყო, მაინც წამოვიდოდიო, მიპასუხა.

გამოფენაზე ბედნიერი იყო. ხელოვნების მოყვარულები თავის საყვარელ ქმნილებუბთან მიჰყავდა, უურნალისტებს სურათებს ათვალიერებინებდა. გამოფენიდან, ჩვეულებისამებრ, სავახშმოდ მივდიოდით. აბდულაჰ ეფენდის რესტორანში უზარმაზარი მაგიდა შევუკვეთეთ.

მომიახლოვდა და მითხრა: "დავიღალე, ფურეია. სავახშმოდ ვერ წამოვალო".

"იქნებ წამოპრძანდეთ, როცა მოისურვებთ, შინ წაგიყვანი", - შესთავაზა უთარითმა.

"დავიღალე, შევილო. შინ დავბრუნდები".

აღარ დავაძალეთ. შაქირთან და აფიფესთან ერთად შინ წავიდა. სახლში რომ დავბრუნდი, კარებში აფიფე მელოდა, სახე შეშლოდა. გამოფენიდან შინ მისული დედაჩემი მაშინვე დაწოლილა. ცოტა ხანში მის ოთახში აფიფე შესულა და უთქვამს, თუ გძინავთ, შუქს ჩაგიქრობთო. ხმა არ გაუცია. აფიფე მიხვდა, რომ შეუძლოდ იყო. მძიმედ სუნთქვავდა. მაშინვე ექიმი მოუყვანეს.

"კომაშია", - თქვა ექიმმა.

"ცოტა ხნის წინ მშვენივრად იყო." - უთხრა შაქირმა.

დედაჩემი გამოფენის დასრულებამდე ებრძოდა სიკვდილს. უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და ჩემი ბედნიერების გასაზიარებელად მოვიდა, გამოფენის ბოლომდე დარჩა. მის საწლოთან ჩავიმუხლე. ხელი მოვეიდე.

"მე ვარ, დედა, შენ გვერდით ვარ". არ ვიცი, რამდენ ხანს მეტირა მისი ხელი. დრო თითქოს გაჩერდა. დედაჩემი - ოჯახის ბურჯი - იმ-დენად ძლიერი იყო, რომ ვერანაირმა გაჭირვებამ ვერ მოდრიკა, იმ-დენად მტკიცე და ამაყი, რომ ყოველგვარ ტკიცილს უმკლავდებოდა. ერთი ოსმალო ქალბატონი იყო, რომელმაც ფეხი აუწყო რესპუბლიკას და შეიყვარა იგი. ის უკანასკნელი ოსმალო გახლდათ. სკოლაში არ უვლია - განათლება ოჯახში მიიღო, მაგრამ იმდენად ჟკვიანი და თანამედროვე იყო, რომ თავისუფლად შეეძლო ქალაქის სათათბიროს წევრით გამხდარიყო. მისი ხელნაკეთი ჩანთები, კალათები მთელ ოთახში იყო მიმობნეული. მას საკუთარი ხელოვნება სხვა და-ძმების მსგავსად საქვეყნოდ არ გამოიუფენია, სახლში ჩაიკეტა. რა დასანანია! უსაზღვრო სევდითა და სიყვარულით ვუცეკრდი მათ. უეცრად, თითქოს რაღაც ვიგრძენი და უკანასკნელი ამოსუნთქვის მოწმე გავხდი. მისი სხეული უკვე გაყინული იყო. ვერ ვიჯერებდი. დედაჩემი აღარ იყო... დედაჩემი, რომლის ხმაც რამდენიმე საათის წინ მესმოდა, რომლის სითბოსაც ვერძნობდი, რომელიც ერთი წამის წინ იყო და ახლა უკვე... სული დალია. მასენდებოდა წამი ყოფნა-არყოფნას შორის... თითქოს, ცოტა ხნის წინ განცდილი მქონდა... ბოსფორზე ერთ დღეს... ანადოლუ პისარში... ის სასწაული რომ შევიგრძენი მთელი არსებით, ბუნების ის საოცრება... მზე ერთ წამში ჩაესვენა და გაუჩინარდა პორიზონტიდან. ზუსტად ისე, როგორც დედაჩემი - ერთი წამის წინ რომ იყო და შემდეგ - აღარ. დაუჯერებელია. წარმოუდგენელი. შეუგუდებელი. აუტანელი. ცრემლი უწყვეტად მდიოდა. ჩემი ცრემლები დედას ეწვეთებოდა. ნლების შემდეგ კერამიკაში აესახავდი იმ წამს, რომელიც ყოფნა-არყოფნას შორის იყო და რომელსაც მუდამ სულში ვატარებდი. სიცოცხლის საოცრება, ანუ სიკვდილი, ვინ იცის, იქნებ მართლაც... მეშინოდა, სიკვდილს არ წავეყვანე, სანამ სარას ვიშვილებდი. სიკვდილი მაინც მოვიდა და დედა წამართვა.

სარას თვრამეტი წელი შეუსრულდა. მის დაბადების დღეზე მოვიხმე და ვუთხარი:

"სარა, გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა. სიკვდილი შეიძლება ძალიან სწრაფად მეწვიოს. ადამიანი მზად უნდა დახვდე. ამით ტომაც მეშინია. მზად ხარ ჩემი შვილი გახდე?"

"მზად ვარ, ფიფოშ-დედა."

რაკილა გადაწყვეტილება მიღებული იყო, დანარჩენი ყველაფერი ერთ ნაში მოგვარდებოდა. მუშერეფს ჩვენი საბუთები უკვე მზად ჰქონდა. ზეითინბურნუს სასამართლოში შეხვედრა დანიშნა.

ერთ კვირაში სარა უკვე ჩემი შვილი გახდა. მაგრამ უცნაური რამ მოხდა: შვილად აყვანამდე ფიფოშ-დედას მეძახდა, შემდეგ კი - "მამიდას". ჩემი შვილი "მამიდას" მეძახდა.

ამის მიზეზი მრავალი წლის შემდეგ შევიტყვე, როდესაც მის სასთუმალთან ვიჯექი. მან მძიმე მშობიარობით ქვეყანას სერა მოუვლინა. ჩვენი საიდუმლო დედამისისთვის ვერ დაუმალავს. ერთადერთი მხოლოდ აფიფესთვის გაუმხელია და უთხოვია, რომ არავისთვის ეთქვა.

მამიდა ამას ჩემი ინტერესებისთვის აკეთებსო, ასე უთქვამს დედისთვის. აფიფე დასთანხმებია, მხოლოდ ერთი პირობით, რომ სარა მე ფიფოშ-დედას კი არა, მამიდას დამიძახებდა.

ჩიტო, ნეტავ ასე რად ჯიუტობ? რად არ მოფრინავ? აქ რომ იყო, ხომ გკითხავდი - ვინ არის ჩვენ შორის გამარჯვებული - მე თუ აფიფე?

სადა ხარ, ჩიტო?

## ძიება

(სამოცდაათიანი წლები)

ფურეიას მობეზრდა პანოები. ფართო ზედაპირზე და დიდ კე-  
დელზე საკმარისად იმუშავა. მოჭიქვის ხელოვნება თანამედროვე-  
ობას მიუსადაგა და ის კვლავ ცხოვრებაში, ქმნილებებში დაბრუ-  
ნა, მაგრამ უკვე ახლებური გააზრებით.

ახლა სურდა, რომ კერამიკას სახლებშიც შეეღწია, ზუსტად ისე,  
როგორც მექსიკაში ენახა - იგი აღტაცებული იყო კედლის მხატვა-  
რობით, იქ ხელოვნებას ცხოვრების შუაგულში, ადამიანების გვერ-  
დით დაედო ბინა.

პატარა პანოებისა და თეფშების გაკეთება დაიწყო. მათ საყო-  
ფაცხოვრებო დანიშნულებით არ ქმნიდა, ისინი კედელზე უნდა და-  
ეკიდათ. ადამიანები კერამიკულ თეფშს, როგორც სურათს, ისე შე-  
იძენდნენ. მოტივი განსხვავებული იყო: ჩიტები და თევზები, ხეები  
და სახლები. პარიზსა და სტამბოლში გამოიყენა მოაწყო. დარწმუნ-  
და, რომ სწორ გზას ადგა..

შორეული აღმოსავლეთისა და იზნიქის თეფშებს მხოლოდ პირ-  
დაპირი დანიშნულებით იყენებდნენ. მაგრამ დასავლეთში შეძლეს,  
რომ ამ თეფშებში ხელოვნების ნიმუში დაენახათ და ჭურჭელმა  
სამზარეულოს თაროებიდან სალონთა კედლებზე გადაინაცვლა.  
ჩვენში იზნიქის თეფშები ხმარებისგან გაცვდა, დროთა განმავლო-  
ბაში დაიკარგა, დასავლეთში ამ ჭურჭელმა ანტიკვარული ნივთის  
ღირებულება შეიძინა. ასე შეიქმნა მდიდარი კოლექციები.

ფურეია სწორედ ამაზე ოცნებობდა. თეფშებზე მუშაობისას  
ქვიშაქვის ტექნიკას იყენებდა. თეფშების მაღალ ტემპერატურაზე  
გამონვის გამო ფერების რაოდენობა შეზღუდული იყო. მის მოტი-  
ვებში ჩიტები, თევზები და ხეები ჭარბობდა. კედელზე სამი ან ხუ-  
თი თეფშის გვერდიგვერდ დაკიდებით განსხვავებული პანო მიიღე-  
ბოდა.

## სამოცდაათიან ნლებში ფურეიამ შეძლო კერამიკა შენობის ფა- სადიდან სახლებში შეეტანა.

უეცრად თვალწინ თეთრი ზმანება ნარმოუდგა: თეთრ სამოსში გამოწყობილი თოვლით დაფარულ გზაზე მირბოდა, შემდეგ დაღ-ლილი ჩერდებოდა და ქათქათა თეთრი ფინჯნით ჩაის სვამდა. თეთრი ფინჯანი ხელს სწვავდა, გამჭვირვალე, მსუბუქი იყო. მას ფაიფური ერქვა.

მაღალი გამოწვის თიხას 1963 წელს მიაგნო. ახლა კი სურდა, 1200 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა ეცადა, ფაიფურის ხარისხს რომ მიახლოებოდა, იქნებ უკეთესიც გამოსვლოდა. სურდა 900 გრადუსზე გამომწვარი თიხა უმაღლეს ზღვარზე გამოეცადა. ისევ გამოცდა, ისეც ძიება, გამოწვის ახალი ზღვრის დადგენა, მუდმივი განახლება...

ფაიფურის შექმნის იდეამ შეიძყრო. ეს უკე გატაცებად იქცა.

რა განასხვავებდა ფაიფურსა და კერამიკას?

ცხადია, მთავარი განმასხვავებელი თიხა იყო. მას ამ თიხის შოვ-ნა შეეძლო. ბუნებაში არ არსებობდა თიხა, რომელზეც ჰასან უსტა-სა და მის ვაჟს - რიფათს არ მიუწვდებოდათ ხელი. ფაიფურისა და კერამიკის გამოწვის ტემპერატურაც სხვადასხვა იყო. ფურეია თა-ვის ღუმელში ფაიფურს ვერ გამოწვავდა. ნეტავ შესაფერის ღუ-მელს სად იმოვიდა?

სტამბოლის ფაიფურის ფაბრიკის თუზლას სახელოსნოში მივიდა.

"ფაიფურის გაკეთება მსურს. მინდა ისეთი რამ შევემნა, რაც ფაიფურს თავის სითეთრეს შეუნარჩუნებს, სიმსუბუქესა და გამჭ-ვირვალობას გამოაჩინს, " - უთხრა მათ ფურეიამ.

მობრძანდითო, უთხრეს.

ფაიფურის ფაბრიკაში ხელოვანი პირველად შევიდა.

ფურეია კვლავ გატაცებით შეუდგა მუშაობას. ასეთი ტემპით იგი საფრანგეთის ერთ სახელოსნოში შრომობდა. ახლა ალიონზე თუზლაში მიდიოდა, გვიან ღამემდე თავაუღებლად ქმნიდა ჩაისა და ყავის ფინჯნებს, თეფშებს, სურებს, ჩიტებს, შანდლებს, მათლა-ფებს, ლარნაკებსა და ჩაიდნებს. სპილენძის სურები, გვატემალური

თუნუქის ჩიტები და ოსმალური მოტივები აღარ ახსაოვდა. მის  
ნაცვლად თეთრ ფონზე ისევ თეთრ ნახატს ქმნიდა.

ფურეიას ნამუშევრები ანკარასა და სტამბოლში დაიტაცეს, ანა-  
ტოლიის ქალაქებში კი თაროებზე რჩებოდა. მისი ნამუშევრები ისე  
არ იყიდებოდა, რომ ისინი წარმოებაში ჩაეჭვათ. ეს ჭურჭელი გან-  
საკუთრებული იყო, აქ დახვენილი გემოვნება ჩანდა.

ფაბრიკის მფლობელებისათვის ხელოვნებაზე მეტად უმრავლე-  
სობის აზრი იყო მთავარი.

ფურეიას სურდა, ფაბრიკაში ერთგვარი ტრადიციისათვის დაე-  
დო სათავე: მის შემდეგ სხვა შემოქმედი მოსულიყო და ფაიფურზე  
თავისი ოცნება გამოესახა. მავრამ ასე არ მოხდა. ხელოვნებისა და  
ინდუსტრიის თანამშრომლობა არ შედგა. არადა ეს კერამიკული  
ხელოვნებისა და ინდუსტრიის განვითარების თვალსაზრისით, ასე-  
ვე ქვეყნის ღირსებისა და ნარმატებისათვის კარგ შედეგს მოიტან-  
და. ფურეიას მიერ დღემდე შექმნილი საუკეთესო სერვიზები, ხელ-  
ნაკეთი თეთრი ფინჯნები, ლარნაკები და შანდლები დაუფასებელი  
დარჩა, ისინი წარმოებიდან ამოიღეს. ფურეიამ კი ყველა ყალიბი  
გააცამტვერა.

ოდნავ გულგატეხილი იყო. თუმცა დიდად არ უნალვლია. რაც  
უნდა იყოს, კერამიკა უკვე ცხოვრებაში შემოიჭრა, შენობებზე აძვ-  
რა, სუფრებზე დაიდო ბინა. ჰილტონისათვის პატარა კერამიკული  
მაგიდები გააკეთა. ამ მაგიდებთან ჩაისა და ყავას მიირთმევდნენ,  
მისი ფიალებით ღვინოს სვამდნენ.

სამოცდაათიან ნლებში ფურეიას უკვე ცხოვრების გრძელი გზა  
გამოევლო, ცოტა დაღლილი ჩანდა. თვითონ ის ნლებიც მეტისმე-  
ტად დამდლელი იყო. უნივერსიტეტებში გაფიცვები გრძელდებო-  
და. ყოველ ცისმარე დღეს მემარჯვენები და მემარცხენები ერთ-  
მანეთს თავს ესხმოდნენ. დღე არ ჩაივლიდა პოლიტიკური ტერაქ-  
ტისა და არეულობის გარეშე.

1971 წლის 12 მარტს არმიამ მთავრობას საყოველთაოდ ცნობი-  
ლი მემორანდუმი გაუგზავნა. დემირელის მთავრობა გადადგა და  
მის ნაცვლად ნიპათ ერიმის მთავრობა ჩამოყალიბდა. იმ ნლების  
ერთადერთი იმედის მომცემი მოვლენა 1973 წელს კულტურისა და

ხელოვნების საზოგადოების მიერ ორგანიზებული სტაბოლის სა-  
ერთაშორისო ფესტივალი იყო.

ხელოვანთა ნამუშევრებში ქვეყნის ცხოვრება იკითხებოდა. მაგრამ ფურეიას ჩიტები სულაც არ იყვნენ ნაღვლიანი. ტოტებზე შემოსკუპული ბაიყუშების შექმნისას იგი სამშობლოზე კი არა, ალიეზე ფიქრობდა - როგორ დადიოდა ბინძბუნდში საფლავის ქავებს შორის დამფრთხალი, უიმედო და ღონიერიხდილი ალიე, როგორი გაოცებით აკვირდებოდნენ მივარდნილი კუნჭულებისა და სასაფლაოს ჩიტები კვიპაროსებს შორის მოხეტიალე ახალგაზრდა ქალს. ასე უამბობდა ალიე. იქნებ ამიტომაც ამოიკითხავდი ბაიყუშ-  
თა მრგვალ თვალებში სითბოსა და თანაგრძნობას.

სამოცდაათიანი წლების არეულობას კიდევ ერთი მოვლენა და-  
ემთხვა - შაქირ ფაშას აპარტამენტი მენარდეს გადაეცა. ეს ოჯა-  
ხისთვის ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავდა.

ჰაյიე ხანუმის გარდაცვალების შემდეგ მრავალი პატრონის მქონე სახლში წესრიგის დამყარება იყო საჭირო. მეტმედ ალი ჯიმ-  
ჯოზმა ერთი მენარდე გააცნო, რომელიც უზარმაზარ ბიზნეს-  
ცენტრს ააშენებდა, სანაცვლოდ კი შაქირ ფაშას შვილებს ახალ შე-  
ნობაში თითო სართულს მისცემდა. მშენებლობის დაწყებამდე  
მთელი აპარტამენტი უნდა დაეცალათ.

ფურეიამ აღარ იცოდა, რა ექნა. სახლის დაქირავება და იქ სახე-  
ლოსნოს გადატანა საჩქარო საქმე იყო, მაგრამ ფურეიას არ ჰქონ-  
და მუდმივი შემოსავალი, სახლის ქირა რომ გადაეხადა.

"ფურეია ხანუმ, ასე ნუ დაღონდებით, სახლს ვიპოვით," - ამშვი-  
დებდა მუშერეფი. ყველა მეგობარი ისეთ სახლს დაეძებდა, სადაც  
ფურეია იცხოვრებდა და სახელოსნოსაც მოაწყობდა. ალიე ბეიოლ-  
ლუში გადასვლას ურჩიედა, მას კი არ უნდოდა იმ უბნის მიტოვება,  
სადაც მთელი ცხოვრება გაატარა. ბოლოს, როგორც იქნა, ჰარბიეს  
გამზირის უკანა პარალელურ ქუჩაზე არიფ ფაშას აპარტამენტში  
იქირავა ბინა.

"ერთი ფაშადან მეორესთან გადახვედი. ზუსტად შენი სტილია,"  
- ესუმრა ალიე.

ახალი ბინა დიდი, მაგრამ მეტად დანგრეული ჩანდა. ისიც პირ-  
ველ სართულზე იყო. უთარით იზგი ფურეიას ბინის მოსაწყობად  
თავს არ ზოგავდა. კერამიკული ღუმელი ამჯერად სამუშაო მაგი-

დის გვერდით უნდა დაედგათ, ფურეია უნინდელივით რომ აღარ შეწებებულიყო.

როცა ღუმელს დგამდნენ, ფურეია სამზარეულოში ყუთებსა და პაკეტებს ხსნიდა. "ფრთხილად! არ დააჯახოთ! ყურადღებით!" ყვიროდა უთარითი. "ალაპმა დაწყევლოს!" გაისმა უეცრად. ფურეია ოთახში შევარდა. ოფლში გახვითქული უთარითი და მუშები სადგამის ცალ ფეხთან დახრილიყვნენ და გვერდზე გადაქანებულ ღუმელს გაოცებით აკვირდებოდნენ.

"რა მოხდა?" - იკითხა ფურეიამ.

პასუხი არავინ გასცა.

"რა გჭირო?"

"ღუმელის ფეხმა იატაკი გახვრიტა და ქვედა სართულის ჭერში ჩაერჭო."

"ვერ გავიგე."

"რა არის გაუგებარი?! ახლა ქვედა სართულის მობინადრის ჭერში შენი ღუმელის ფეხია გარჭობილი," - უთხრა უთარითმა.

ღუმელის ალებამ, იატაკის გამაგრებამ და ისევ თავის ადგილზე დადგმამ დიდი დრო წილო. სახლში ქაოსი სუსლევდა. ფურეიას მეტად აკლდა აფიფე, რომელიც მუდამ ეხმარებოდა, მაგრამ საკუთარ თავსაც არ უტყიდებოდა.

რაც სარა ქალთა პანსიონში მიაბარეს, რძალ-მულს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. ბავშვი სკოლიდან გამოსვლისთანავე სახელოსნოში გარბოდა, იმ საბაბით, ფურეია გაკვეთილების მომზადებაში მომეხმარებაო. შაქირ ფაშას აპარტამენტის დანგრევის გამო მათ ცალკე უნდა ეცხოვონათ. აფიფე ამით კმაყოფილი ჩანდა. გოგონა მამის სახლში გაიზრდებოდა. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. სარა ბავშვი აღარ იყო და, რაც სურდა, იმას აკეთებდა. იგი მშვენივრად ერთობოდა მამიდამისის სახლში, სადაც ახალგაზრდა და ასაკოვანი ქალი და კაცი იყრიდა თავს. სკოლიდან გაეკვეთილების მოსამზადებლად მამიდასთან ნასული სარა შინ ნავახშმევს ბრუნდებოდა.

"მამას უნდა, რომ სარა შინ ექვს საათზე მაინც დაბრუნდეს," - უთხრა ერთხელ აფიფემ.

"ზოგჯერ მეცადინეობას ვერ ვასწრებთ. ამ დროს ნავიხემსებთ

ხოლმე.”

“არ შეიძლება, ფურეია. გოგონა წესრიგს უნდა შეეჩეიოს.” დაპირისპირება უკვე თვალსაჩინო გახდა. ახლა აფიცე ფურეიას სახელოსნოში აღარ მიდიოდა და აღარც სტუმრებისთვის ამზადებდა კანაპესა და ყვითელ არაყს.

ეს პერიოდი სარას ცხოვრებაში პირველი სიყვარულისა და ახალგაზრდული თავგადასავლების ნლები იყო. იგი მამიდასთან სიახლოვეს გრძნობდა, მამიდა მისი მესაიდუმლე გახდა. ფურეიას არ სურდა სარას ნდობა, სიახლოვე და სიყვარული დაეკარგა, ამიტომაც ითმენდა მის ისეთ საქციელსა და მეგობრებს, რომელიც დედამისს არ მოსწონდა. ეს აფიცეს უფრო მეტად აპრაზებდა.

რძალ-მულს შორის მეტოქეობა 1974 წელს, სარას გათხოვების შემდეგ, ოდნავ შენელდა, მაგრამ არ დასრულებულა.

## მასახა განზომილება

ფურეიას უკანასკნელი ნამუშევარი "შერატონ ოტელის" კედელი იყო, რომელიც 1975 წელს დაასრულა. შემდეგ გიურდალ დუიართან იმუშავა და ქანდაკებების შექმნას მიჰყო ხელი. მისი პირველი საცდელი ქანდაკებები საჩუქრად ქვეყნად ყველაზე საყვარელ სამ ადამიანს უძღვნა: ალიეს, სარას და სარას ვაჟიშვილს - მემოს, რომელთა სახის ნაკვთებსა და მიმიკასაც ძალიან კარგად იცნობდა.

სარა მემოზე რომ იყო ორსულად, ფურეიამ ბურსაში გატარებული საკუთარი ორსულობის მთელი კოშმარი თითქოს ხელახლა განიცადა. ბავშვის დაბადებამდე ერთი დღეც კი არ სძინებია წესიერად.

"ასეთი ნერვიულობა უაზრობაა. ორმოცდაათი წლის წინანდელ ბურსაში კი არა, 1976 წლის სტამბოლში ვართ, ფურეია ხანუმ. არც სარას და არც ბავშვს არაფერი მოუვათ", - ეუბნებოდა მუშერეფი, მაგრამ ფურეია მაინც ვერ ისვენებდა. სარამ ცხრა მარტს იმშობიარა.

"სარამ ერთხელ იმშობიარა, მე კი ცხრა თვეა ყოველდამე ვმშობიარობ, მუშერეფ", - უთხრა ფურეიამ.

ფურეიამ მისთვის საყვარელი სამი ადამიანისთვის შექმნილ ბიუსტებს, შრომასა და დროსთან ერთად, მთელი სიყვარული და გრძნობა ჩააქსოვა. სულ მცირეოდენი ეჭვი თუ გაუჩნდებოდა, ქანდაკებებს მაშინვე ამსხვრევდა და ხელახლა აკეთებდა. მათზე მუშაობა რომ დაასრულა, ჩიტებიან და თევზებიან კერამიკას მიუბრუნდა. მთელი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში არც ერთზე არ იტყოდა უარს. თუმცა მისი ჩიტები არ დაფრინავდნენ, მაგრამ ისინი ფურეიას თავისუფლების განვიდას გვრიდნენ. თევზები კი მას თავიანთი ფორმებით ხიბლავდნენ.

ამიერიდან ფურეია უკვე სამგანზომილებიან ფიგურებს ქმნიდა.

უეცრად ხელოვნებაში ახალი მიმართულება შემოიჭრა: ეს იყო „კარი“ - პირველი ნაბიჯი სახლში შესასვლელად. „კარი“ სხვადასხვანა ადამიანთა ცხოვრებაში შეღებული სარკმელი იყო. ზოგი მათგანი ლია იყო, რათა ადამიანი წყვდიადის მიღმა არსებულ ზმანებაში გადაეცვანა, ზოგი კი სიცოცხლეს გამოხატავდა, როგორც შემოდგომაზე ფოთლებშემოძარცვული ხე, რომელსაც მხიარული ბავშვები შემოხვევიან და ჩიტუნები თავს დასტრიალებენ.

1979 წელი იყო. ერთმა კოლეგამ დაურეკა:

„ფურეია ხანუმ, მომიტევეთ. მე და ჩემი მეგობრები ვფიქრობთ, რომ უკვე დროა, შეიქმნას კერამიკოსთა საზოგადოება. თქვენი თანხმობა ჩვენთვის დიდი პატივი იქნება.“

ფურეია თავის დროზე, სამოციან წლებში ჩამოყალიბებული კერამიკოსთა კავშირის ნევრი იყო.

„სიხარულით შემოგიერთდებით,“ - მიუგო ფურეიამ.

„6 ივლისს ბინაისთან ვიკრიბებით. ორ საათზე შემოგივლით და ნაგიყვანთ.“

„თანახმა ვარ.“

ჯანდეერ ფურთუნმა განათლება ამერიკაში მიიღო. სტამბოლში დაბრუნების შემდეგ, სამოციან წლებში, დიდი ნინაალმდევობის მიუხედავად, სახელოსნოს გახსნა მოახერხა. ფურეიას არც ერთი გამოფენა არ გამოუტოვებია. „იცით, ფურეია ხანუმ, როცა სახელოსნო გავხსენი, უიმედობამ შემიპყრო, არაფერი გამომდიოდა. მაგრამ თქვენ ძალა მომეცით,“ - უთხრა ერთხელ ფურეიას.

„მე? როგორ?“

„როცა მახსენდებოდა, ათი წლის ნინ რა ბრძოლა, რა ნინაალმდევობის გადალახვა დაგჭირდათ სახელოსნოს გახსნისას, ჩემს თავს ვეუბნებოდი: „არ დანებდე, ჯანდეერ, შენ გაიმარჯვებ.“ თქვენ მე გზა გამინათეთ.“

დათქმულ დღეს ფურეია ჯანდეერთან ერთად ბინაი ქაიას ეწვია. მისი ძველი მონაფე ახლა უკვე ცნობილი კერამიკოსი გახდა. ყველა კერამიკოსი მასთან შედარებით მეტად ახალგაზრდა იყო. ასაკოვანი ოსტატის მონანილეობით საქმეში მეტად სერიოზული სახე მიიღო და ერთ წელიწადში, 1980 წლის ზაფხულში, უურნალიც კი დააფუძნეს. ფურეია თავისი ცოდნითა და გამოცდილებით მათ გზას უკვალავდა. ფურეიას ნინაალმდევობის მიუხედავად, იგი მაინც აირჩიეს თავმჯდომარედ.

მეტად მძიმე ზაფხული დაუდგათ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მკლელობა ხდებოდა. აპრილში მნერალი უმით ქაფთან ჯილდულუ მოკლეს, მაისში - მეჯლისის ნევრი - სევინჩ ოზგუნერი, ივლისში - რესპუბლიკელთა დეპუტატი - აბდურაშმან ქოქსალოლლუ, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიჭათ ერიმი და პარტიის ყოფილი გენერალური თავმჯდომარე ქემალ თურქელერი. ყველგან ხანძარი მძვინვარებდა, ქუჩები ტრანსპარანტებით იყო სავსე.

12 სექტემბერს სამხედრო მმართველობა დამყარდა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაიხურა, მათ შორის, კერამიკოსთა საზოგადოებაც.

ფურეიას თავმჯდომარეობაც დასრულდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე შეიძინა მეგობარი, რომლის მიმართაც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას განიცდიდა. ჯანდეერ ფურთუნი ფურეიასთვის სამოცდაათიანი წლების მიწურულს ყველაზე დიდი შენაძენი იყო. რა თქმა უნდა, მემოც ჰყავდა. მემო, რომელმაც ფურეიას შაქირის ბავშვობის დღეები გაახსენა და ხელახლა განაცდევინა შვილიშვილის სიყვარული. თუე ადრე ყოველდღე ნახულობდა პატარა სარას, ახლა უკვე დიდ გულმოდვინებას იჩენდა, მემოს ბანაობა რომ არ გამოეტოვებინა.

"ეს ბავშვები საათობით იზრდებიან, სარა. ყოველ ნუთს იცვლებიან, ღიმილითა და თავინთი გამოხედვით რაღაცების აღქმას იწყებენ. თუ არ გინდა, რომ მათი განვითარება გამოგეპაროს, მემოს თვალი არ უნდა მოსწყვიტო", - უბინებოდა ფურეია სარას. "საიდან იცის მამიდაჩემა, რომელსაც შვილი არასდროს ჰყოლია, ამდენი რამ ბავშვების შესახებ?" - ფიქრობდა სარა.

ფურეიას არასდროს ულიარებია, მაგრამ ფაპრუნისას ვაჟის - ფარუქის - გარდაცვალების შემდეგ ბავშვებისადმი განსაკუთრებული ლტოლვა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მისი შვილიც გოგონა იყო, გოგოებისადმი უსაზღვრო სიყვარულს განიცდიდა. ამიტომაც შირინი შვილივით უყვარდა, ჯევათ შაქირის ქალიშვილებს - ისმეთსა და ალის - უფროს დასავით ექცეოდა. მაშინ, როდესაც ისმეთი არნავუთქოის ქალთა სადლელამის კოლეჯში მიაბარეს, კვირის ბოლოს შაქირ ფაშას აპარტამენტში ეპატიუებოდა, უფრო რომ დაახლოებოდა მას. ახალგაზრდებისადმი, ბავშვებისა და ახალშობილებისადმი მისმა განსა-

კუთრებულმა ლტიოლვამ საბოლოოდ სარასა და მის ბავშვებში  
მოიყარა თავი.

ფურეიას სახელოსნოს სტუმრები დროთა განმავლობაში იცვ-  
ლებოდნენ. სხვა ადგილებში გადასახლებული მეგობრებისა და  
შორს ნასული ამხანაგების ნაცვლად ფურეიას კერიას ახალი წევ-  
რები ემატებოდა. ფურეიას თანდათან სულ უფრო და უფრო ახალ-  
გაზრდები სტუმრობდნენ. გარშემო მყოფი ახალგაზრდებისგან  
თითქოს ენერგიას იღებდა. არა და არ ბერდებოდა, არც მისი სული,  
არც მსოფლმხედველობა, არც ჩატმის სტილი და არც ცხოვრების  
ფილოსოფია.

სამოცდაათიანი ნლების ბოლოს ის სამოცდაათიოდე ნლის, მაგ-  
რამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი იყო.

## სახლები - აღამიანები

ოთხმოციან წლებში ფურეიას შემოქმედებაში სიახლე გაჩინდა. ძველებურად მოჭიქულ თიხაზე აღარ მუშაობდა. ახლა უკვე მისთვის მხოლოდ თიხა გახდა მნიშვნელოვანი - თიხას ფორმას აძლევდა და თავის განცდებს სხვადასხვა ფიგურით გადმოსცემდა.

ოთხმოციანი წლები იყო.

"ფურეია ხანუმ, რამდენი წელია კვირაში სამ დღეს ერთად ვატარებთ. თქვენ ჩემი ყველაზე საყვარელი, ყველაზე პატივსაცემი მეგობარი ხართ. მაგრამ თქვენზე ბევრი არაფერი ვიცი. თქვენს შესახებ მიამბეთ რამე," - სთხოვა ერთხელ ჯანდეერმა ერთად გატარებული დღის შემდეგ.

"რის გაგება გსურს?"

"რა არის ის, რის გამოც ამდენად განსხვავებული ხართ? რატომ ხართ ასეთი კარგი... სხვანაირი... დიდებული," - ჯანდეერი საჭირო სიტყვებს უძებდა.

"მე სულაც არ ვარ ისეთი, რასაც შენ ამბობ, მაგრამ თუ გაინტერესებს, როგორ მოვედი აქამდე, ერთ დღეს დავსხდეთ და ყველაფერს გიამბობ."

ჯანდეერმა დიქტოფონი მოიტანა. ტახტზე გვერდიგვერდ დასხდნენ. ორი საათის მანძილზე სულგანაბული უსმენდა ფურეიას. თავგადასავალი კუნძულის სასახლიდან იწყებოდა. ფურეია მოგონებათა ქარიშხალმა გაიტაცა. იგი ხან ბალში ეგზოტიკურ მცენარეებთან ტრიალებდა, ბურსაში ხის მაგიდაზე სული ამოსდიოდა, ხან ათათურქის სუფრასთან სასმისი ეჭირა, ხან სანატორიუმის ტერასაზე ხველა ახრიობდა, ხან კი მძიმე მასალით ხელში პარიზის ხმაურიან ქუჩებში დარბოდა.

ორი საათის შემდეგ ფურეია და ჯანდეერი სულს ვერ ითქვამდნენ. პირველი -ხანგრძლივი თხრობისგან, მეორე კი - სხვის ცხოვრებაში შეუსვენებლად ხეტიალისგან.

"გმადლობ," - უთხრა ჯანდეერმა. "მადლობას გიხდით. ისეთი შეგრძნება მაქვს, თოთქოს საოცრად უჩვეულო, საინტერესო ფილმი ვნახე." დიქტოფონის ლილაკს ხელი დააჭირა. ხმა არ ისმოდა, ისევ სცადა.

"ვამე, ღმერთო!" გაფითოდა.

"რა მოხდა? რა მოგივიდა, საყვარელო? ჯანდეერ, კარგად ხართ? ფერი დაკარგეთ."

"ფურეია ხანუმ. ფურეია ხანუმ. . ." - დაიჩირჩიულა ჯანდეერმა, "საშინელება მოხდა. ეს საშინელებაა... ჩამნერ ლილაკზე ხელი არ დამიტერია. ყველაფერი წყალში ჩაიყარა. სადაცაა გავგიუდები."

ფურეიას სიცილი აუტყდა.

"განა შეიძლება ასეთი რამისთვის გაგიუდება? განა რა არის აქ საწყენი? მე აქ არა ვარ? თქვენც აქ ხართ. დიქტოფონიც აქ არის. მოდით, ჩაი დავლიოთ, ყველაფერს თავიდან გიამბობთ."

ფურეია ჩაის მოსამზადებლად სამზარეულოსკენ გაეშურა და საკუთარი მოუხერხებლობით გაოცებული ჯანდეერი მარტო დატოვა. თუმცა ჯანდეერმა ნაამბობი ვერ ჩაინერა, მაგრამ უკვე ბევრი რამ იცოდა. ის, რაც ფურეიას ასე განსხვავებულს ხდიდა, თურმე ცოდნა და გამოცდილება იყო.

ალიეს გარდაცვალების შემდეგ ფურეიას სურდა, მისი ბოლო გრავიურების გამოფენა მოეწყო.

"ეს გამოფენა რაბიას გალერეაში გავხსნათ, ეს ჩემი უსაყვარლესი გალერეაა," - უთხრა ფერიდ ედგუმ.

ფერიდთან ერთად მაჩას ხელოვნების გალერეაში წავიდა. რაბია ფურეიამ ალიეს გამოფენისას გაიცნო და დაუმეგობრდა. მართალია, რაბია ჩაფა ასაკით შეილიშეილად ერგებოდა, მაგრამ ფურეია მას იმდენად შეეწყო, ისეთ სიახლოვეს გრძნობდა, რომ ოთხმოციანი წლების ყველა მოგზაურობას მასთან ერთად ატარებდა.

ფაპერუნისას გამოფენაზე ფურეია, რაბია, ჯანდეერი და მელიქა ქურთიჩი პარიზში ერთად გაემგზავრნენ. იქ ალევ ებუზიას სახლში გაჩირდნენ. პატარა გოგონებივით მთელი პარიზი სიცილ-კისკისით მოირბინეს. არც ერთი გალერეა, მუზეუმი და თეატრი არ დაუტოვებიათ. ზოგჯერ რაბია წუხდა, ფურეია ხანუმ, ძალზე ილლებით,

ან თვითონ ქანცგაცლილი შინ დარჩენას მოინდომებდა, აქ დასას-ვენებლად კი არა, სასეირნოდ ჩამოვედით, - უუბნებოდა ფურეია და ძალით მიჰყავდა.

რაბიამ და ჯანდეერმა იცოდნენ, რომ სტამბოლში დილიდან თითქმის შუადღემდე ფურეიას შინ მარტო ყოფნა ერჩივნა. იფიქ-რეს, რომ პარიზშიც ამას მოინდომებდა და გართობის გეგმას მხო-ლოდ საღამოსთვის ადგენდნენ.

"რას ამბობთ, ბავშვებო?!" ვიცი, ჩემი წყენინება არ გინდათ, მაგ-რამ, როგორ შეიძლება პარიზის დილა გავაცდინოთ. გთხოვთ, თუ ჩამეძინება, ცხრის ნახევარზე გამაღვიძოთ," - უთხრა ფურეიამ. შემდეგ კი სათოთაოდ მოატარა ის სასტუმროები, საავადმყოფო, სახლი და სახელოსნო, რომელშიც წლების ნინ დადიოდა.

პარიზში მოგზაურობამ იმდენად მხიარულად და სასიამოვნოდ ჩაიარა, რომ სტამბოლში დაბრუნების შემდეგ ბოზბურუნში გაემგ-ზავრნენ.

მაგრამ ფურეიასა და რაბიასათვის ყველაზე დაუკინყარი მოგ-ზაურობა, ფაპრუნისას მიერ ამანში გამოფენის გახსნის გამო იორ-დანიში გამგზავრება იყო.

ამ გამოფენის სანახავად ფაპრუნისას მეგობრები მთელი მსოფ-ლიოდან ჩამოვიდნენ. შირინი მეუღლესთან ერთად ამერიკიდან ჩა-მოვიდა, სარა და მისი მეუღლე სტამბოლიდან ჩაფრინდა. ფურეია და რაბია გამოფენის გახსნამდე კარგა ხნით ადრე ჩავიდნენ, მათ იორდანის დათვალიერება სურდათ.

ყველა მიჩვეული იყო ფაპრუნისას ხალისიან, ხმაურიან და მრა-ვალფეროვან ხასიათს, ხელგაშლილობას, მაგრამ, როცა ამანის სა-სახლეში ფეხი შედგეს, ნანაბმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საღამოს ბალის ჭიშკარი შეაღეს და დაინახეს, რომ მთელი გზა ჭიშკრიდან სახლამდე ფაპრუნისას ტილოებით იყო მოფენილი. გზის გაყოლებაზე ჩამნერიცებული ჩირალდნების შუქზე ჯერ იფიქ-რეს, რომ ძირს სპარსული ხალიჩა ეფინა. როცა მიხვდნენ, რაც იყო, სურათებზე ფეხი რომ არ დაედგათ, მთელი გზა ხტუნვა-ხტუნვით გაიარეს. სახლის ინტერიერი ბალისგან არ განსხვავდებოდა. იატა-კი, ჭერი, კედლები, ფარდები და ფანჯრები - ყველაფერი ნისას სუ-რათებით იყო დაფარული. განსხვავებული ზომის უთვალავი სან-თელი ყველა კუთხე-კუნჭულს ანათებდა. შაღალი ჭერიდან ჩამოშ-

ვებულ ბროლის ჭაღზე საჩუქრები ეკიდა. უამრავ საჩუქარს მთელი ჭაღი დაეფარა. ფაპრუნისა უზარმაზარ საწოლზე სამკაულებსა და ლენტებს შორის იძინებდა. ფერადი ნაქარგი ტანსაცმელი, ზუსტად ისე, როგორც ალიეს სახლში, კარადაში ვერ ეტეოდა, ჭერზე, საკი-დებზე, კაუჭებზე, კარის სახელურებზე ეკიდა - ოთახი თეატრის გარდერობს ჰგავდა.

სასტუმროს ნომერში რაბიას საწოლზე გადაფენილი ადგილობრივი სამოსი და გირლანდები დახვდა, მაგიდაზე ყვავილებითა და ხილით სავსე კალათები ეწყო. რაბიას ეს არ გაპეკირვებია, რადგანაც ფაპრუნისა მას პარიზშიც ასე გაუმასპინძლდა. თანაც ჩირალდნებით განათებული და სურათებით მოფენილი გზის გავლის შემდეგ რაბიას გაოცება უკვე შეუძლებელი იყო.

ამანში ყველაფერი მეტისმეტად ჭრელი, მოჭარბებული და უხვი ჩანდა. შირინი, როგორც ყოველთვის, მხიარული და ენერგიით სავსე, ფურეია კი საოცრად სადა და ნატიფი იყო. თითქოს სწორედ ეს წმინდა, ჩუმი და ხაზგასმული სინატიფე იყო ის რაღაც, რითაც ფურეია ოჯახის დანარჩენი წევრებისგან გამოირჩეოდა.

ფერიდ ედგუც ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ფურეიას სულსა და გარეგნობაში ასეთი გამორჩეულობა შენიშნა.

ფერიდი ხელოვნების სიმპოზიუმზე მიინვიეს. ბერლინში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ეს რომ ფურეიამ გაიგო, ასე უთხრა: "აჟ, ფერიდ, იცით, 1936 წლის შემდეგ ბერლინში არ ვყოფილვარ."

"თუ ასეა, თქვენც ნამობრძანდით, ფურეია ხანუმ," - მიუგო ფერიდმა.

სწორედ იმ დროს გერმანიაში, ქალაქ აახენში, ფაპრუნისას გამოენა უნდა გახსნილიყო.

"ორივე ლონისძიება ერთდროულად იმართება, რატომაც არა," - იფიქრა ფურეიამ. როცა შეიტყო, გერმანიაში სარა და მისი მეუღლეც მიდიანო, ბავშვივით გაიხარა და ბარგი ჩაალაგა.

ფურეიას სიგიურმდე უყვარდა მოგზაურობა, ახალი ქვეყნების ნახვა, ახალი ხმების გაგონება, ყოველივე ახლით ტკბობა.

ფურეია და ფერიდი ერთმანეთს ბერლინში შეხვდნენ და კარგად დაისვენეს. ფურეიამ ის ადგილები, სასტუმროები და რესტორნები მოიარა, 1936 წელს ფაპრუნისამ რომ აჩვენა. იმ დროს ფაპრუნისას

მუსიკულურ ბერლინში ელჩად იყო. ფურეიას ყველაფერი შეცვლილი ეწევნა. დრო უმოწყალო იყო. ადამიანი საოცარი სისწრაფით მიექა-ნებოდა უბრალოებისა და სიმახინჯისკენ.

"იმ ნლებში ეს ადგილები პრინცესასთან ერთად მოიარეთ, დღეს კი, ჩვეულებრივი ადამიანი ხართ. ყველაფერს ამ თვალით შეხე-დეთ," - უთხრა ფერიდმა.

ფურეიას წინააღმდეგობა არ გაუწევია და ამჯერად სრულიად განსხვავებული რამ აღმოაჩინა - თანამედროვე ხელოვნება არაჩ-ვეულებრივი ტემპით ვითარდებოდა. ახალგაზრდებშიც უცნაური დინამიზმი იგრძნობოდა. თუმცა ბერლინი აღარ იყო ის ძველი ბერ-ლინი, მაგრამ ნეტავ რა დარჩა უცვლელი? იქნებ ახალი იმედებისა და აღტაცების მისაღებად აუცილებელიც იყო ცხოვრების ასეთი განახლება?

ბერლინში მთელი მსოფლიოდან ჩამოსულიყვნენ მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ მათ-თვის ვახშამი გამართეს. ფერიდ ედგუს უნდოდა, ამ ვახშამზე ფუ-რეიაც წაეყვანა.

"ხელოვანები მთელი მსოფლიოდან ჩამოვინენ, იქ იქნებიან ამე-რიკელები და ფრანგები, გერმანელები და ჩეხები, თკვენც აუცი-ლებლად წამოდით. დარწმუნებული ვარ, მოგენონებათ," - უთხრა ფურეიას ფერიდმა.

ერთად წავიდნენ. დარბაზში, სადაც ორმოცი-ორმოცდახუთი ადამიანი ვახშმობდა, მათი შესვლისთანავე სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა ფურეიასკენ მიბრუნდა, ყველას სუნთქვა შეეკრა. თითქოს ეს ადამიანები ზღურბლზე წათებას ხედავდნენ. სტუმრები სინათ-ლისკენ მიბრუნებულიყვნენ - ასე ყვავილები ბრუნდებიან მზისკენ. ოთხმოც წელს მიღწეული ქალბატონის ქარიზმამ ფერიდ ედგუც გააოცა.

## უაცარი შემოდგომა

ჩემი სული გუშინდელ დღეს გაყვა,  
და, თუმცა გუშინდელზე სათქმელი ბევრია,  
ახლა ახალი რამ უნდა ითქვას  
გევლანა

"ლუმელს რატომ ყიდით?" - ჰკითხა ფურეიას ჯანდეერ ფურ-  
თუნმა.

"ახალს ველარაფერს ვქმნი, ჩემი ქმნილებები ძველის განმეო-  
რებაა. მე კი ერთფეროვნება მძულს".

ფურეიამ ფერიდსაც იგივე უთხრა.

ფერიდ ეგონა, რომ უკვე ხანდაზმულ და დაუძლურებულ ფუ-  
რეიას თიხაზე მუშაობა, ფორმის მიცემა, ცეცხლთან ყოფნა მეტად  
ღლიდა.

"ფერნერას დაუბრუნდით, ფურეია ხანუმ. ახლა ძალიან კარგი  
კალმები იყიდება. შავ-თეთრით დაინყეთ. თუ მოგენონებათ, ფე-  
რებსაც გამოიყენებთ," - უთხრა ფურეიას და უფრო მეტად რომ ნა-  
ეხალისებინა, ქალალდი და კალმები მიუტანა.

"ფერნერა იგივე როდია, კერამიკა სულ სხვაა. აქ ხელით შეიგრ-  
ძნობ თიხის სიგრილესა და სითბოს, ლუმელთან დგახარ და მოუთ-  
მენლად ელი, როგორი იქნება გამომნვარი ქმნილება. ეს ისე ამა-  
ლელვებელია... ამ გრძნობას ვერაფერზე გავცვლი. კერამიკა მუდ-  
მივი მოლოდინია, რადგან არასოდეს იცი, როგორი იქნება შენი  
ქმნილება ლუმელიდან გამოღების შემდეგ. ელექტროენერგიის ნა-  
მიერმა შეწყვეტამ, ტემპერატურის ორი გრადუსით ცვლილებამ  
უამრავი რამ შეიძლება შეცვალოს, შეიძლება სასურველი ტონი ან  
ხარისხი დაკარგო. თუ შეიგნით რამე ხინჯია, გამოწვის შემდეგ შე-  
იძლება ლაქად დააჩნდეს."

"თუ ასეა, ლუმელს ნუ გაყიდით."

"არ შეიძლება, სათქმელი აღარ დამრჩია."

ღუმელს ისე შეელია, თითქოს სატრფოს შორდებაო, განიცდი-  
და, მაგრამ სწამდა, რომ სწორად იქცეოდა.

ზუსტად ასე დაშორდა ფურეია საყვარელ ქმარს, რომელთანაც  
დიდი ვნება აკავშირებდა. ასევე თავი დაანება ვიოლინოს დაკერას,  
როდესაც მიხვდა, რომ მევიოლინე ვერ გახდებოდა. როგორი ძლი-  
ერიც უნდა ყოფილიყო ლტოლვა და სიყვარული, ფურეიამ ყოველ-  
თვის დროულად იცოდა ნერტილის დასმა.

ღუმელი გაყიდა, საღებავები და მასალა ახალგაზრდა კერამი-  
კოსებს დაურიგა. ერთხანს ფერიდის მოტანილი ქალალდითა და  
პალმით იქცევდა თავს.

უკვე დაიღლა. ფიქრობდა, რომ მომავალში მას უკვე ბებიის რო-  
ლი მოუხდებოდა, მას ხომ ორი შვილიშვილი ჰყავდა.

როცა სარამ სერა გააჩინა, ფურეია ბალში იჯდა და კვლავ სი-  
ცოცხლეზე ფიქრობდა. კიდევ ერთხელ მოუნდა გაეგო სიცოცხლის  
ფასი. გაზაფხული იდგა, ხეებს ყვავილი აღარ შერჩენდა და ნორ-  
ჩი ფოთლებით შემოსილიყო. ფურეია აკვირდებოდა, როგორ ახლ-  
დებოდა სიცოცხლე ყოველ გაზაფხულზე და ღმერთს ეკითხებოდა:

"ღმერთო, ნეტავ, რატომ არ მოგვეცი ჩევნ - შენს მონებს, ის,  
რაც ხეებს უნყალობე? აი, ეს კვირტი ჩემ თვალნინ გაიშალა, ტო-  
ტის კვნესაც კი არ გამიგია. ამ დროს ჩემი გოგონა უკვე რეა საათია  
იტანჯება, რატომ? რატომ დაუშვი ასეთი ტკივილი? სარას რომ რა-  
მე მოუკიდეს, ამ ტოტებს სათითაოდ დავამტვრევ, ფოთლებს და-  
ვაგლევ."

"ფურეია ხანუმ, ბალში გრილა, გაცივდებით, შიგნით შედით, გე-  
თაყვა, მთავარი ექიმი თავის ოთახში გიხმიობთ", - უთხრა ექთანმა.

"ვერ შევალ, სარას კივილის ატანა არ შემიძლია."

"ყველა მშობიარე ასე კივის, დამიჯვერეთ."

"გოგონა რამდენიმე საათია ყვირის, ძვირფასო, ნუთუ მედიცი-  
ნა უძლურია?"

როცა მემო დაიბადა, ფურეიას მხოლოდ მშობიარობის შემდეგ შე-  
ატყყობინეს. სარამ ყველა გააფრთხილა, მამიდისთვის ამბავი მხო-  
ლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ ეთქვათ, მაგრამ, როცა სარა სამშო-  
ბიაროდ წაიყვანეს, ქმარმა იფიქრა, ბავშვი მალე გაჩნდებაო და ფუ-  
რეიას დაურეკა. სარას მეტად მძიმე მშობიარობა ჰქონდა. მამიდა და  
ძმისშვილი რამდენიმე საათის განმავლობაში ერთად იტანჯებოდნენ.

შემდეგ ახარეს, გოგონა გაჩინდა. ფურეია შუშის ტიხართან იდ-  
გა და პანანინა არსებას უმზერდა. ამ ქვეყანას ბრძოლით მოვლენი-  
ლი ადამიანის ნაშერს, ვინ იცის, კიდევ რამდენი ბრძოლა ელოდა.  
იგი ყოველ გაზაფხულზე ვერ განახლდებოდა იმ პატარა კვირტი-  
ვით, რომლის გაშლაც ფურეიამ სულ მცირე ხნის ნინ იხილა. სამა-  
გიეროდ, გაიზრდებოდა, განვითარდებოდა, ისწავლიდა, გათხოვ-  
დებოდა და გამრავლდებოდა... ფურეიას სურდა, ეს სასწაული თა-  
ვად ეხილა. ახლა მას კერამიკა, თიხაზე მუმაბა და გამოფენის  
გახსნა აღარ აინტერესებდა, სურდა ეხილა როგორ გაიზრდებოდ-  
ნენ სერა და მემო. სურდა მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად  
ქცეულიყო. მოფერებოდა, მათზე გავლენა მოეხდინა, კვალი დაე-  
ტოვებინა. მაგრამ დრო რომ არ დარჩეს, მათ გაზრდას რომ ველარ  
მოესწოროს!?

გასულ ნლებში დედა, ძია სუათი და ძია ჯევათი, ალიე და დეიდა  
აიშე რიგ-რიგობით გამოეცალნენ ხელიდან. სიკვდილი შაქირ ფა-  
შას ოჯახში საპატიო სტუმარივით მოკალათებულიყო. ყოველ  
წელს რომელიმე მათგანი მიჰყავდა. ზოგჯერ ლამ-ლამობით ფუ-  
რეია მის ცხელ სუნთქვასაც კი გრძნობდა. მაგრამ ზოგჯერ სიკვ-  
დილი მისგან ძალზე შორს იყო. განსაკუთრებით მაშინ, როცა მემო-  
სა და სერასთან მიდიოდა. სიყვარული, ნდობა და ენერგია, რომელ-  
საც ეს პანანინა არსებები ასხივებდნენ, ფურეიას ჯავშანივით  
იცავდა ბოროტებისგან. ბავშვებთან ყოფნისას თავს უფრო ახალ-  
გაზრდად გრძნობდა, ბედნიერი იყო.

ფურეია მუშერეფს თავის გრძნობებზე მოუთხრობდა. კვლავ  
ცისფერ მოგზაურობაში წასასვლელად ემზადებოდნენ. უკვე ნარ-  
სულს ჩაბარდა ხის იახტები - ჰურიეთი და მაჯერაჯი. წარსულში  
დარჩია საბაპათინ ეკუბოლლუს მიერ ბორტზე აღმართული ცისფე-  
რი მოგზაურობის ალამი; აღარც ის დრო იყო, როცა გემბანზე ეძი-  
ნათ, როცა ალიონზე ბალიქშის ცნობილი გამარჯობა უამრავ შე-  
მოქმედს ალვიძებდა, მაგრამ ფურეია ისევ მიდიოდა ამ მოგზაურო-  
ბაში, ახლა უკვე ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად.

"მუშერეფ, გეუბნები, ვერ წამოვალ, ამ ზაფხულს სტამბოლიდან  
გასვლა არ მინდა."

"ფურეია ხანუმ, ასე არ შეიძლება. ცისფერ მოგზაურობაში რო-  
გორ წავიდე! ზღვაში ჩავლისას, აპ, მუშერეფ, ოპ, მუშერეფო, გაი-

ძახდით, თუ ამ ხმას ვერ გავიგონებ, როგორ ვისიამოვნებ?"  
"ბავშვების დატოვება არ შემიძლია." სისინი ბავშვები არიან, თამაშში გართულები ვერც კი შენიშნა-ვენ უთქვენობას."

"კარგი, მაგრამ მე როგორ ავიტან მონატრებას? ჩემი არყოფნის დროს რამე რომ მოხდეს?"

"მათ მშობლები ჰყავთ, ბებიაც აქ არის." მუშერეფმა ეს თქვა და განითლდა, განა თავად არ იტვირთა სარას შვილად აყვანა? როგორ დაავიწყდა! სულელი, სულელი ქალი!

"მართალია," - ფურეიას ხმა გაებზარა.

"მინდონდა, მეთქვა..."

"მოდი, დამეხმარე, უჯრებიდან ტანსაცმელი ამოვალაგოთ." სიტყვა მოუჭრა ფურეიამ.

მუშერეფმა პირსახოცები, საცურაო კოსტიუმები, შარვლები და ბლუზები სანოლზე დააწყო, თან ცალი თვალით ფურეიას აკეირდებოდა. რამდენი ხანია ძეელი ენერგია აღარ ჩანდა, რატომდაც ძველებურად არც მოგზაურობა ხიბლავდა. მუშერეფს ძეელი ფურეია მოენატრა.

"გველთევზები გახსოვთ?"

ფურეიას გაეღიმა, "განა შეიძლება, არ მახსოვდეს? მაინც, როგორ შეელიე იმდენ თევზს?"

მუშერეფს რამდენიმე ნლის ნინ ენეზში განხილული საქმე გაახსნდა. გველთევზები ქვირითს მდინარე მარიცის შესართავთან ყრიდნენ და მექსიკის ყურისკენ მიემართებოდნენ. მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა მუშერეფს მთელი ტომარა გველთევზა აჩუქა. შინ დაბრუნებისას არ იცოდა, ამდენი თევზი სად ნაელო და საქვაბეში დააწვევინა. ეს რომ ფურეიამ გაიგო, გაცეცხლდა, დაიჩემა, ჩემთვის რომ მოგეტანა, წვეულებას გავმართავდითო. ფურეიას საყვედურებისგან თაგი რომ დაეხსნა, მუშერეფმა მთელი ტომარა გველთევზა კიდევ მოითხოვა. ფურეიამ ოცნება აიხდინა და შინ წვეულება გამართა - პრასის ფოთოლში გახვეული თევზი კრამიტზე შენვა და სტუმრებს გაუმასპინძლდა. სწორედ ამ წვეულებაზე უთხრა ფურეიამ ბური იემს - "ძვირფასო, რად არიან შენი ქალები მუდამ ნარბშეერული? განა ისინი არასდროს იღიმებიან?"

ფურეიას კარგა ხანია წვეულება აღარ გაუმართავს. ათ დღეში

ერთხელ მუშერეფს ნავმისადგომის სასადილოს ყველაზე განაპირობა მაგიდასთან მზის ჩასვლის ნინ ხვდებოდა, ჯერ მენამულ ჰორიზონტს გაპურებდნენ, შემდეგ თევზს მიირთმევდნენ. ეს ვახშამი უკვე ტრადიციად ექცათ. მუშერეფი ფურეიაზე ადრე მიდიოდა, მაგიდას მიუჯდებოდა და ელოდა, სურდა საყვარელი მაგიდა დაეკავებინა, ვახშამი შეეკვეთა. მუშერეფს მეტად ხიბლავდა იმის დანახვა, როგორ შემოდიოდა გრძელ ისფერ ან ფირუზისფერ სამოსში გამოწყობილი თეთრთმიანი ფურეია და როგორი აღტაცებითა და პატივისცემით უყურებდა მას ყველა. "ნეტავ, რატომ არიან ამ ოჯახის ქალები ასეთი განსხვავებულები", - ეს ფიქრი ხშირად აკავიატებოდა ხოლმე მუშერეფს, რადგანაც ფაპრუნისა და მისი ქალიშვილი შირინიც ზუსტად ასეთები იყვნენ - ეფექტური და მომხიბდვლელები.

ერთხელ ფურეია ისთიქლალის გამზირზე ტაქსიმიდან მიდიოდა. ქუჩაში ხალხმრავლობა იყო. ადამიანები ორივე მხარეს მიდიოდნენ, ყველას სადღაც მიეჩქარებოდა. ყველა უბედური იყო, არავინ იცინოდა. თითქოს ვერაფერს ხედავდნენ, თითქოს ვერც ხეებს, ვერც ჩიტებს და ვერც ქუჩაში ამჩნევდნენ სხვა ადამიანებს. კუთხეში მდგარი მეფუნთუშეც გამოლელებს უაზროდ უყურებდა. გამზირზე მიმავალი აეტობუსებიდანაც სახეგაყინული, მტრულად მომზირალი ადამიანები ჩანდნენ. ფურეია ცდილობდა, თუნდაც ერთი მეგობრული, თბილი გამოხედვა დაეჭირა. მაღაზიებში შეიარა, ბუფეტში ერთი ჭიქა ფორთოხლის ნვენი დალია. ეცადა, ვინმეს გამოლაპარაკებოდა. კაცმა, რომელმაც ფორთოხალი გაუწურა, ჭიქა გაუწოდა და ფული გამოართვა. სახეზე არც შეუხედავს. შეკრთა. თითქოს საშინელებათა ფილმს უყურებდა. განა ეს გაუცხოებული ქუჩა მის სტამბოლს ეკუთვნოდა? შინ დაბრუნდა, ნაცნობ და მეგობარ ნივთებს შეაფარა თავი.

ბეიოლლუში გასეირნებიდან რამდენიმე თვე გავიდა. ფურეია და ფერიდ ედგუ ფურეიას სახლში იყვნენ, სასმელს ნრუპავდნენ.

"მინდა, რაღაც გაჩვენოთ," - თქვა ფურეიამ და კაბინეტისკენ გაემართა, - "ცოტა ხანს დამელოდეთ".

ფერიდი შეყოვნდა, ფურეია სამუშაო მაგიდაზე რაღაცას აწყობდა.

"შემოდით."

ფერიდი შეგნით შევიდა, მაგიდაზე ჩამნერივებულ ფიგურებს დახედა.

"ეს საიდან მოიტანეთ?" - ჰეითხა ფურეიას.

"ქუჩებიდან."

მაგიდაზე ქალისა და მამაკაცის უამრავი ფიგურა იდგა. თვალების ნაცვლად სიცარიელე ჩანდა. ზოგიერთ მათგანს უმეტყველო სახე ჰქონდა, ზოგზე კი ღრმა ტკივილსა და უიმედობას ამოკითხავდით. თითქოს ამ პანანინა კაცუნების სული ჩამკვდარიყო ან სიმნრისგან გამშრალიყო. ფიგურები გამომწვარი არ იყო.

"ესენი ახლავე გამონვით", - თქვა ფერიდმა, "ეს ყველაზე დრა-მატული ქმნილებებია მათ შორის, რაც დღემდე გაგიკეთებიათ."

"სიმართლე მითხარით, თუ მეტყვით, ახლავე დავამტერევ."

"არა, არა, გამონვით."

ფურეიამ პირველად ფერიდის აზრი მოისმინა, შემდეგ კაცუნები უთარით იზგის, ჯანდეერსა და ბინაის, რატომლაც ყველას ცალ-ცალკე აჩვენა და აზრიც ცალ-ცალკე მოისმინა. მხოლოდ უთარით მა ჰქითხა, რატომ გააკეთეთ ესენი? რას გამოხატავენო?

"ეს დღევანდელი ადამიანები არიან, სიცარიელისკენ მიდიან, მათ ვინაობა დაკარგეს, მათი სული მკვდარია. ისინი არაფერს ელიან, ისინი ველარ ცხოვრობენ, თითქოს ბევრი რამ აქვთ და თან არა-ფერი გააჩინიათ."

უთარითი შეკრთა. ნეტავ ეს სიმნრისგან მობუზული და მოლოდინის გარეშე დარჩენილი ფიგურები მისი ძველი, საყვარელი მე-გობრის შინაგან სამყაროს ხომ არ გამოხატავენო. მხოლოდ მას, ვი-საც ნახევარი გზა გამოულია, შეუძლია გაიგოს, რას ნიშნავს უიმე-დობა და რამდენად აუტანელია სიბერე.

რაბია და ფერიდი ფიქრობდნენ, როგორ გამოეფინათ ეს ფიგურები. ერთი გამოფენის შესავსებად არ იქმარებდა, მაგრამ მცირეც არ ეთქმოდა. ეს ქმნილებები იმდენად დრამატული და განსხვავებული აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო მათი ნარმოჩენა. ზუსტად ორ-მოცი ნელი სრულდებოდა მას შემდეგ, რაც ფურეიამ კერამიკას მოკიდა ხელი. იფიქრეს, მეორმოცე ნლის გამოფენა მოეწყოთ. ამ გამოფენაში ფურეიას მიერ გამოზრდილი კერამიკოსები და ქვეყნის სხვა ხელოვანები მიიღებდნენ მონანილეობას. რატომაც არა?

ეს რაბიას იდეა იყო. საოცარი მიგნებაა - ფურეიასთვის საუკე-

თესო საჩუქარი. ორმოცი კერამიკოსი ასაკოვან დიდოსტატის მიე-  
სალმება, თანაც თემა "ჩიტები" იქნება. ეს თემა ფურეიას არასო-  
დეს მოძებზებია...

მონანილეთა რაოდენობა ორმოცს აღემატებოდა. პროფესიო-  
ნალ კერამიკოსებთან ერთად მარაქაში გარევა მოყვარულებმაც  
მოინდომეს. ჩიტების პანოთა ზომა ორმოცი-ორმოცზე იყო. ამ გა-  
მოფენაზე ჩიტები მხოლოდ ფურეიასთვის იფრენდნენ, ფურეია კი  
თავის მეგობრებს უკანასკნელი ქმნილებებით - ტერაკოტის კაცუ-  
ნებით მიესალმებოდა.

გამოფენას მაჩქას ხელოვნების გალერეაში სარქისი მოამზა-  
დებდა. ფურეიას ბოლო ქმნილებებს მისი სახლიდან წამოღებულ  
ეტაჟერზე დააწყობდნენ. გალერეის ის ნანილი ფურეიას ოთახის  
ერთ კუთხედ გადაიქცეოდა...

ჯერ ფურეიასთვის სიურპრიზის მოწყობა გადაწყვიტეს, მაგრამ  
ისე ლელავდნენ, საიდუმლო ვერ დაფარეს. ფურეიამ გაიგო და ყუ-  
რებს არ დაუჯერა. დიდი მღელვარებით ელოდა იმ დღეს, როცა ხე-  
ლოვნების მეორმოცე წლისთავს ორმოცი ხელოვანი მიუღლოცავდა.

გამოფენის გახსნამდე თხუთმეტი დღე ჩიტებოდა. მუშერეფს და-  
ურეკეს. ტელეფონთან რომ მიდიოდა, თითქოს ივრძნო, ცუდ ამ-  
ბავს შეატყობინებდნენ და ყურმილის აღებამდე - ღმერთო, მიშვე-  
ლეო, - თქვა. ფურეიას სახლიდან დამლაგებელი ურეკავდა.

"არ სუნთქავს, არ სუნთქავს", - ყვეიროდა ქალი. მუშერეფმა მან-  
ქანის გასაღებს ხელი დაავლო და ბიუროდან გავარდა. ჯერ კიდევ  
არ იცოდა, რომ ნინ ძალზე გრძელი და ძნელი გზა ელოდა. ამას გა-  
იგებდა, გაიგებდა და შემდეგ ჯერზე ჯერ სასწრაფო დახმარებას  
გამოიძახებდა და მანქანით კი არა, ტაქსით წავიდოდა ფურეიას  
საშველად.



## პენტივანეონ

(ოსმანოლუს კლინიკა)

საწოლზე გაშოტილი ადამიანი, რაც უნდა მაღალი იყოს, ცხელ წყალში გარეცხილი შალის ნაჭერივით შეიძლება დაპატარავდეს. განა ეს შესაძლებელია? ნოლითი მდგომარეობა ჩემთვის კარგად ნაცნობია, რადგანაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი საწოლში გავატარე. ცოტა ხანში ნელისა და ზურგის ტკივილი, თავპრუსხვევა იწყება. ადამიანი ნოლით შეიძლება გაიზარდოს კიდეც - აი, თუნდაც, როგორც შირინი.

თორმეტი-ცამეტი ნლის იქნებოდა, როდესაც ბერლინში ნითელა შეეყარა. სიცხიანი საავადმყოფოში მოათავსეს. მაღალი სიცხის გამო ფაპრუნისამ პირველი შვილი დაკარგა. ამიტომაც ისე ნერვიულობდა, რომ მის სანუგეშებლად მე და დეიდა აიშე დაუყოვნებლად გავემგზავრეთ გერმანიაში. ყოველდღე მივდიოდი შირინის სანახავად. ბავშვი თვალდათვალ იზრდებოდა.

"უნდა გაგზომო", - ვუთხარი ერთხელ. ფეხები გაჭირა და საწოლზე ის ნერტილი მოვნიშნე, სადაც ფეხის თითები ეხებოდა. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ სამ დღეში ორი თითით ისევ გაიზარდა.

მე კი აქ, ლოგინად ჩავარდნილს, პირიქით მომდის. ვხედავ დღითი დღე როგორ ემოქლდები და ვპატარავდები. ამაზე სარას გაეცინა, გეჩვენებათ, მამიდაო. გარკვეულ ასაქს რომ მიაღწევ, ადამიანები სერიოზულად აღარ აღვიქვამენ. ეს ცხოვრებამ მასნავლა.

შირინის გაზრდა საავადმყოფოში ნოლისას დაიწყო და შემდეგაც გაგრძელდა. რამდენიმე ნელინადში თავისი ნაგრძელებული ტანით ყველას ზევიდან დაგვყურებდა. სახელის მსგავსად ("შირინი" - მომხიბვლელი, სასიამოვნო, სიმპათიური, საუცხოო, ტებილი) მართლაც საუცხოო ბავშვი იყო. ჭკუას ვკარგავდი მასზე. მართალია, დეიდაშვილები ვიყავით, მაგრამ ჩვენ შორის ასაკობრივი

სხვაობის გამო დეიდად ვერგებოდი. ფატრუნისა სამოგზაუროდ რომ მიდიოდა, ქალიშვილს მე მიტოვებდა. შირინის მე ცუვლიდი, ჩემ თვალნინ გაიზარდა, მაგრამ ჩემთვის ის ჯერ კიდევ პატარა შირინი იყო. ერთ მშვენიერ დღეს კი ამერიკელს გაჰყვა ცოლად.

"ასე როდის გაიზარდე?", - ვკითხე ერთხელ.

"განა ჩემს სიმაღლეს ყოველდღე თქვენ არ ზომავდით?"

"შირინავი, დაგრძელება გაზრდას ხომ არ ნიშნავს?"

დიახ, დღითი-დღე სიმაღლეში მატება გაზრდა როდია, მაგრამ დღითი-დღე დაპატარავება კი ნამდვილად დაბერების ნიშანია. ამ სანოლზე გატარებული ყოველი დღე ნელ-ნელა მაბერებს. რაღაც უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს ვპატარავდები, ვპატარავდები და ბოლოს გავერები. ერთ დღეს ოთახში შემოვლენ, მე კი აღარ ვარ. საბანს გადამხდიან და შემომხედავენ. ააა, მარტოოდენ ჩემს კვალს იხილავენ! რა საამო იქნებოდა სიკვდილის ნაცვლად გაქრობა რომ არსებობდეს! ოჯახებს არც მიცვალებულის სულის მოხსენიება მოუწევდათ და მეჩეთის ეზოში თავმოყრილ აბეზარ მათხოვრებსაც თავს დაალწევდნენ. მაგრამ ასე როდი იქნება. მეჩეთიდან გზას პომპეზურად გავუდგები. ჩვენს ოჯახს ძალიან უყვარს ბრწყინვალება. გვჯერა, რომ ამის ღირსი ვართ. სრულიად უფულოდ დარჩენილებსაც კი დიდებული ზეიმების გამართვაზე უარი არასდროს გვითქვამს.

რა იყო ეს პომპეზურობა? აი, მაგალითად, ასთაკვები. რადგანაც შირინზე ვსაუბრობ, ერთ შემთხვევას გავიხსენებ: შეჰსუვარ მენემენჯიოლლუზე დაქორნინება გადაწყვიტა. სიგიურდე შეყვარებული იყო. ჩვენთვის მისი გაცნობა სურდა.

"დეიდა, ხვალ ჩემს საქმროს მოვინვევ, შეძლებთ, ოჯახის საკადრისი ღირსეული ვახშამი მოამზადოთ? ვაჩვენოთ, რა არის დიდებულება", - მითხრა შირინმა.

"თურქული სამზარეულო მოვამზადოთ? რაქის სვამს?"

"არა, არა. ფრანგული სამზარეულო მოამზადეთ. აი, მაგალითად, ასთაკვები", - მიპასუხა შირინმა.

დედაჩემი თევზის ბაზარში გაიქცა. იმ დღეს ასთაკვები ვერსად იშოვა. ძალიან შენუხდა. მე ბოსფორზე გავემურე, მაგრამ უშედეგოდ. თითქოს ასთაკვები ზღვის ფსკერზე დაშვებულიყვნენ. მეორე დილას უთენია დედაჩემმა აფიფე ჰალში გაგზავნა ასთაკვები, ჩი-

ნებული სოუსით, უზარმაზარ ვერცხლის ლანგარზე დაფენილ სა-ლათის ფოთლებზე ჩამწკრივებულიყვნენ. მართლაც რომ სამეურ-სუფრა გაშალა დედაჩიმა. შეპსუვარი გაოცებული დარჩა, მირინი ბედნიერი იყო. მაგრამ ამის შემდეგ, ვინ იცის, მათ სახლებში რამ-დენხანს გრძელდებოდა სიდუხჭირე და რამდენ რამეზე ამბობდნენ უარს სრულიად აუღელვებლად. "Noblesse oblige" ჩემი ოჯახის ცხოვრების წესი იყო.

მრავალი ნლის შემდეგ შირინისა და მისი უკანასკნელი ქმრის - რობერტის ნიშნობაც სწორედ ჩემს სახლში აღინიშნა. ნახეთ, როგორი დამთხვევა იყო. იმ ხანებში სტამბოლში მყოფი ფაპრუნისას პატივსაცემად ჩემს სახლში ოჯახური ვახშამი მოვამზადე. შირინი მის ახლანდელ ქმართან - ამერიკელ რობერტ ტრეინერთან ერთად მოვიდა. იმ ღამეს რობერტმა შირინის ხელი სთხოვა დედამისს, თითქოს შირინი ახალგაზრდა ქალიშვილი ყოფილიყო და პირვე-ლად თხოვდებოდა. მართალია, უკვე სამჯერ იყო გათხოვილი, მაგრამ ფაპრუნისას პირველად მოუხდა ასეთი რამის გადატანა. აღელვებისგან კინალამ გული ნაუვიდა. სრულიად დაუგევმავად ის ვახშამი ნიშნობის ცერემონიად გადაიქცა.

"განა შამპანურის გარეშე შეიძლება ამის აღნიშვნა?" - თქვა დე-იდა აიშემ. უკანასკნელ წუთს შამპანურის ძებნას შევუდექით.

ახლა დროდადრო მეც ვანებივრებ საკუთარ თავს. საავადმყო-ფოს საკვები არ მომნონს. არც გემო აქვს, არც - მარილი. მას შემ-დეგ, რაც სუნთქვა აღმიდგა, გემრიელი საჭმელი მომინდა. მუშე-რეფმა სიტყვა მომცა, როგორც კი აქედან გამოხვალ, მაშინვე ბოს-ფორზე ნაგიყვან თევზის საჭმელადო, მაგრამ ვერ მოვითმინე. გა-სალები მივეცი ჯანდეერს, რომელიც მუდამ ჩემს სასთუმალთან იჯდა, და სახლში გავგზავნე, მაცივარში შენახული შებოლილი ორაგული რომ მოეტანა.

"განა ასე შეიძლება, ფურეია ხანუმ? ავადმყოფისთვის ასეთი რამის მიღება შესაძლებელია? უარესად გახდებით, შეგანუხებთ", - სცადა შენინააღმდეგება.

ბოლოს დავითანხმე. ნავიდა და სახლიდან მომიტანა, რაც მსურდა. ყინულივით ცივი რაქი, სიგარეტიც ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერ ვეუბნებოდი. თითქოს ჩემი ფიქრები ამოიკითხაო. "სიგა-რეტს არაფრით მოგანევინებთ, არც კი ეცადოთ. ის კი არადა, ნე-

ტავ, დროდადრო ამდენი არც მოგეწიათ, ახლა ასე სულშეხუთული ხომ არ იქნებოდით.”

“ოპპე, კარგია, რომ ვენეოდი, ძალიანაც კარგი.”

ეროხანს ოთახში ბოლთას სცემდა, შემდეგ კი ჩემს სასთუმალ-თან დაიხარა და მითხრა:

“მართალი ბრძანდებით, ფურეია ხანუმ, ადამიანმა ცხოვრების-გან რაც შეიძლება მეტი სიამოვნება უნდა მიიღოს. კარგია, რომ ენეოდით.”

მართალია. ყველაფერი გავაკეთე, რაც მსიამოვნებდა. ნაკლუ-ლი ფილტვის მიუხედავად, სიგარეტი ტუჩჩებიდან არ მომიშორებია. საჩუქრების ჩუქება მიყვარდა. როდესაც ფული მქონდა, ძვირფას ნივთებს ვჩუქნიდი ნაცნობ-მეგობრებს. შირინს დღესაც ახსოვს, სულ პანანინას სარიინთან სამაჯური რომ ვუყიდე. ვერ იჯერებდა. დედამისი ქმართან ერთად ბერლინში იყო. შირინი მამამისთან პარ-ბიეს სახლში დატოვეს. ვცდილობდი, მისთვის დედის არყოფნა და-მევინყებინა. გარს უამრავი ხალხი ეხვია, მაგრამ მაინც ვატყობდი, რომ შინ: ვან მარტოობას განიცდიდა. იმ დროის ცნობილ ოქრომ-ჭედელს სამაჯური შევუკვეთე, რომლის შესაკრავზეც პატარა გუ-ლი ეკიდა, გულზე ნარნერა პქონდა ამოტვიფრული: “მიყვარხა”. საჩუქრის კოლოფი რომ გახსნა, უნდა გენახათ, ათი ნლის ბაჟშვის სიხარული. საჩუქრარი ხომ მოულოდნელ, ნამიერ ბედნიერებას ჰგვრის ადამიანს.

შემდეგ კი, როცა მარტო ცხოვრება დავინყე, კერამიკისგან თვეზებს, ჩიტებს, ფიალებსა და პანობს ვაკეთებდი და ნაცნობ-მეგობრებს ვუძღვიდი. ყველაზე მეტი ასეთი საჩუქრარი რეზანს ერგო. ერთხელაც, რეზანისთვის პანანინა ზარდახშა გავაკეთე, შიგ ლექსიც ჩავუნერე. ახლა ეს ზარდახშა მის ვაჟიშვილთან - თუნჩითან ინახება.

რაც შეეხება მამაკაცებს, ვიცრუებ, თუ ვიტყვი, რომ არ გავაკე-თე ის, რისი გაკეთებაც მსურდა. ვიღაც მიყვარდა, ვიღაც კი... არ ვიცი. ალბათ, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ნერილებს ნაიკითხავენ და ჩემი სატრაფოების ამბავს შეიტყობენ. ან, იქნებ ყველაფერი სა-იდუმლოდ დარჩეს და ჩემთან ერთად დასამარდეს. ჩემს ცხოვრება-ში განცდილ სიყვარულებზე რომ არ ვსაუბრობდი, ამის მიზეზი ჩე-მი სიტყვაძუნნობაც არის და ისიც, რომ ჩვენი თაობის ყველა მამა-

კაცი ნამდვილი ბეი ეფუნდი იყო. მეტად ზრდილი თაობა ვიყავით. ყოყოშობის გამო არავინ ყბედობდა. რამდენი სიყვარული უნახავს ორმოციანი-ორმოცდაათიანი ნლების სტამბოლს, მაგრამ, ყველა-ფერი საიდუმლოდ რჩებოდა, საიდუმლოდ... იმ დროს ადამიანზე მონადირე კამერები და ყოველ ქუჩაზე ჩასაფრებული უურნალის-ტები არ არსებობდნენ. პირადი ცხოვრება პირადად ადამიანთან რჩებოდა. ჩვენ, სტამბოლელები, ზოგჯერ მდიდრები, ზოგჯერ ლარიბები, მაგრამ ამაყები და ტაქტიანები ვიყავით. ვიცოდით კარგი ცხოვრების გემო. სტამბოლი მდიდრებსაც და ლარიბებსაც ერთნაირად გვთავაზობდა უგემრიელეს თევზებს, ტკაცუნა სიმითებს, უბადლო მთვარის შუქს, ქრიამულით სავსე ივლისის თვეებს, სევ-დიან შემოდგომასა და შემოდგომის ბოლო, თბილ დღეებს. ასეთი სილამაზე კი სტამბოლელთა გულებს ესალბუნებოდა.

ეს მას შემდეგ იყო, რაც ლუმელი გავყიდე. ჩემი საქმე უკვე ქუჩებში ხეტიალი იყო. ყველაზე ხშირად თევზის ბაზარზე მივდიოდი ხოლმე, ის ნაირფერი ხილი და ბოსტნეული რომ დამენახა, იქაურობის თუნდაც ყველაზე უმოძრაო დღეს მშფოთვარე, სიცოცხლით სავსე ჰაერი რომ შემეგრძნო. ერთ დღეს, კვლავ თევზის ბაზარში ხეტიალის შემდეგ სევდის გასაქარვებლად თუნელში მდებარე ნარმანლი ჰანისკენ გავემართე. ჰანის ეზოში აკაციის ხის ძირში ჩამოჯდომა მომინდა. ერთხანს ალიეს ფანჯარას მივაძყარი მზერა. მეგონა, დავინახავდი, როგორ მიქნევდა დეიდაჩემი ხელს. შემდეგ გადავწყვიტე ფერითთან შემევლო ყავაზე. უცბად, გამზირზე მოსიარულე ხალხის სახეები შევნიშნე. ხალხმრავლობამ დამაფრთხო.

ვერც ფერითთან შევლა და ვეღარც აკაციის ძირში ჩამოჯდომა შევძელი. აპ, ალიე, შინ ისე დავბრუნდი, რომ ვერც კი მოგესალმე. ეს ადამიანები... ეს ადამიანები... სულიდან უნდა ამომეგლივა და გადამეგდო ამ ადამიანთა ცარიელი მზერა და უსულო სახის გამომეტყველება, მაგრამ ლუმელი აღარ მქონდა, არც მასალა, აღარც საჭრისი...

ლუმელის გაყიდვით ბევრი ადამიანი მოვიმდურე. აბა რა უნდა მექნა? თავჩაქინდრული ვიდექი ბალში, ჩემს ჰატარა სახელოსნოს ვუცქერდი, რომლის საკვამურიდანაც კვამლი უკვე აღარ ამოდიოდა. ლუმელის ხმა კი კვლავ ჩამესმოდა ჩვეულებისამებრ.

"დამატებენ, აღარც კი მოდიხარ ჩემთან. თუ ვეღარ გამოგადგები, სხვას მაინც აჩუქე ჩემი თავი, მიხსენი ამ სიცარიელისგან", მევედრებოდა ლუმელი. მისი ნივილი რომ არ გამეგო, ყურებზე ხელს ვიფარებდი. ერთხელაც ჩემი დარდი რაბიას გავუზიარე, რომელიც იმ დროს ხშირად მოდიოდა ჩემთან.

"რაბია, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ვხედავ, ლუმელი ასე უქმად ცდება. თქვენს ხელოვან მეგობრებში გაიკითხეთ, იქნებ ვინ-მეს უნდოდეს?" ზუტად ერთ კვირაში ლუმელის გარეშე დაურჩი..

ბოლოს კვლავ მიუბრუნდი თიხას, მაგრამ ამჯერად უმინანქრო ფიგურები გავაკეთე. მეტად საშიშები იყვნენ.

ალიე, ეჭ, ჩემო ძვირფასო ალიე, ჩემსავით ხანგრძლივი სიცოცხლე კარგი როდია! შენ ჩიტივით გაფრინდი და წახვედი ისე, რომ ქუჩაში ხალხის გაუცხოვება არ გიგრძვნია. მე კი აქვე, მინაში ვარ ჩარჭობილი იმ ჩიტებივით, რომლებიც ვერაფრით ავაფრინე.

## ჩიტაბი ფურაიასთვის დაფინანსება

(22 სექტემბერი 1992)

ფურეიას ფრიალა გრძელი თეთრი კაბა ეცვა; გრძელი თეთრი შარფით, ყელზე ჩამწკრივებული მარგალიტის მძივითა და მარგალიტის თეთრი საყურებით ყინულის დედოფალს ჰგავდა. თითქოს სულ მცირე ხანში თეთრ ღრუბლებს შეერეოდა ან სინათლის სხივს დაემსგავსებოდა.

სტუმრების შესახვედრად მაჩქას ხელოვნების გალერეის შესასვლელთან იდგა. უკან პანოზე ორმოცდახუთი კერამიკოსის მიერ მისთვის შექმნილი ჩიტიები ჩანდა.

სარქისმა ტერაკოტის კაცუნები ფურეიას ეტაჟერზე დააწყო და მეორე ოთახში დადგა. ეტაჟერს გვერდით შინიდან მოტანილი სავარძელი მოუდგა.

ახალგაზრდა კერამიკოსები პატივს მიაგებდნენ დიდოსტატს, რომელსაც ხელოვნებაში ორმოცნლიანი გზა გაევლო და მადლობას უძლვნიდნენ მას ახალგაზრდებისათვის გაკვალული გზის გამო.

დიდოსტატი კი მათ ფუტურო კაცუნებით ემშვიდობებოდა. ეს ბოლო ქმნილებები დღის სიმბოლოდ იქცა.

დაუვინყარი დღე იყო. აქ იყვნენ სტამბოლელი მხატვრები, მნერლები, მოქანდაკეები, მსახიობები, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, ანკარიდან ჩამოსული ელჩები და მასნავლებლები, ძველი მეგობრები, პრესის ნარმომადგენლები...

ფურეია ორმოცსანტიმეტრიან პანოებზე ცისკენ გასაფრენად მიმართულ ჩიტებს თითებით ეხებოდა, სათითაოდ ეფერებოდა, ანბანის რიგზე ჩამწკრივებული პანოების ქვეშ ავტორთა სახელებს კითხულობდა.

ცნობილი კერამიკოსები, მისი მონაფები და მეგობრები - აბიდინ დინო, ალევ ებუზია, უალე ილმაბაშირი, ბერილ ანირმეთი და სხვა.

"იცით, არც ერთ ჯილდოს ჩემთვის ასეთი სიხარული და ბედნი-ერება არ მოუნიშებია.", - უთხრა ფურეიამ ერთ უურნალისტს, რო-მელმაც მას ინტერვიუ სთხოვა.

"ჩემთვის ეს დღე ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ჯილდოა. ჩემი მეგობრები თავიანთი ქმნილებებით სალამს მიძღვნიან. განა არსებობს ამაზე უკეთესი რამ?"

სტუმრებს კარგა ხანს არ სურდათ კერამიკოსებთან დამშვიდო-ბება, რომლებიც იმ დღეს მასპინძლებად ითვლებოდნენ. ამის გამო კოქტეილი კარგა ხანს გავრძელდა. სტუმრები ცხრა საათისთვის დაიშალნენ. ფურეიას ევონა, როგორც ყოველი გამოფენის შემდეგ, ამჯერადაც მეგობრებთან ერთად ივახშმებდა, სავარძელში ჩაჯდა და დაელოდა. მენგა ერთეული მიუახლოვდა:

"ფურეია ხანუმ, მინდოდა ეს საღამო თქვენთან ერთად გამეტა-რებინა, მაგრამ წინასწარ შეთანხმებული შეხვედრა მაქვს", - ერ-თელმა ფურეიას ხელზე აკოცა. ფურეია შეკრთა, მაგრამ არ შეიმჩნია. ცოტა ხანში უთარითი მოვიდა. "თავს ცუდად ვგრძნობ, მგონი, გრიძი მჭირს. თქვენი ნებართვით შინ დავბრუნდები, არ მინდა თქვენც გადაგდოთ", - უთხრა უთარითმა მორცხვად.

მეგობრები რიგ-რიგობით მოდიოდნენ, მოიბოდისებდნენ და მი-დიოდნენ. ფურეიამ მოიწყინა. "ჴჴ, ყველამ დღეს მოინდომა ავად გახდომა ან შეხვედრის მონყობა", - თქვა გაბზარული ხმით.

"ფურეია ხანუმ, მე არც შეხვედრა მაქვს და არც სურდო. მო-დით, ერთად ნავიდეთ და ვივახშმოთ", - უთხრა რაბიამ.

"ასეც მოვიქცეთ", - მიუგო ფურეიამ. მის ხმაში სამი საათის წი-ნანდელი აღელვების კვალი აღარ ჩანდა. გალერეა დაცარიელდა. რაბიასთან ერთად გავიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ.

"უთარით ბეის საბუთები უნდა დავუტოვო, წინასწარ გავამზა-დე, მაგრამ ნასვლისას ნაღება დაავიწყდა. თუ ნებას დამრთავთ, შევიაროთ."

"რა თქმა უნდა, მე მანქანაში დაგელოდები".

"არა, მანქანაში ნუ დამელოდებით, უთარითმა შეიძლება რაღაც მკითხოს, დამაგვიანდება. მარტო მოიწყენთ. თქვენც ჩემთან ერ-თად ამოდით."

ფურეია დალონდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. რა უცბად ჩაშ-ხამდა ეს მშვენიერი დღე. მანქანიდან გადმოვიდა და რაბიას უკან

გაჰყვა. ლიფტით ავიდნენ. როცა ზარს რეკავდნენ, ფურეია რაბი-  
ას მიუბრუნდა: "დიდხანს ხომ არ გაგრძელდება, რაბია? შალიან  
მომშივდა".

კარი უთარითმა გაუღო. "მობრძანდითო", - უთხრა. უთარითს  
სულაც არ გაკვირვებია მათი დანახვა.

"არ შემოვალთ", - უთხრა ფურეიამ. "მოდით, მოდით".

რაბია შიგნით შევიდა, ისიც უკან მიჰყვა. სალონში შესვლისას  
ტაშის ხმა შემოესმათ. ოთახში ორმოცამდე ადამიანი შეკრებილი-  
ყო. ფურეიამ მენგუ ერთელი რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა. მე-  
გობრებმა მას სიურპრიზი მოუწყვეს. ყოველი მათგანი რიგორიგო-  
ბით მოდიოდა და იმ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, რის თქმაც გალე-  
რეის ხალხმრავლობაში ვერ შეძლეს. შამპანური გახსნეს. ფურეიას  
ყინულიანი რაქი მიართვეს. აი, მისი საყვარელი ჯანდეერი, ბინგუ-  
ლი, მისი ყველა მონაფე და კოლეგა...

ბუნებრივია, როგორც ყოველი გამოფენის შემდეგ, იმ საღამოს  
რესტორანში წავიდნენ. მუშერეფმა ფურეია შინ მიაცილა.

"ამ საღამოს გედს ჰგავდით, ფურეია ხანუმ, თეთრი სამოსი მო-  
გიხდათ. თქვენ მუდამ თეთრი ტანსაცმელი უნდა გეცვათ."

იმ საღამოს ფურეია მართლაც მომხიბელელი იყო. იავუშ თურ-  
გულმა ფილმში მონანილეობა შესთავაზა. ფურეიამ ჯერ იუარა,  
მაგრამ დაფიქრდა და ეს აზრი მოენონა. ფილმში "ჩრდილთა თამა-  
ში" მასთან ერთად შენერ შენი და შევქეთ ალთული ითამაშებდნენ.  
ფილმი გალათასარაისთან ახლოს, ერთ-ერთ სახლში გადაიღეს.  
ფურეიას არ უნანია. გადაღებები მეტად მხიარული იყო, თანაც მან  
კინოს სამყაროდან მისთვის სრულიად უცნობი მეგობრები შეიძინა.

თუ საავადმყოფოში დაწოლას არ ჩავთვლით, 1992 წელმა კარ-  
გად ჩაიარა.

საიუბილეო გამოფენა და პირველი გადაღება ფილმში მის მეხ-  
სიერებაში ყველაზე ნათელ ამბად დარჩა.

## გების სიკვდილი

მუშერეფმა უკვე მერამდენედ გაგზავნა სასწრაფო დახმარება არით ფაშას აპარტამენტში, ჩანთას ხელი დასტაცა და თვთონაც ფურეიას სახლისკენ გაიქცა. როცა მივიდა, ფურეიას უკვე საკაცეზე აწვენდნენ. სუნთქვა უჭირდა, მაგრამ მაინც უძალიანდებოდა.

"საკაცე... საჭირო... არ არის. დავჯდები... და... ისე... ნამოვალ."

"ქალბატონო, ფილტვებს ჰაერი არ მიენოდება. უანგბადის ნიღაბი უნდა გაიკეთოთ. გთხოვთ..." - ევედრებოდა ექთანი.

"ფურეია ხანუმ, მეც გამოგყვებით. სუნთქვა მოგინესრიგდებათ და ისევ უკან დავბრუნდებით," - უთხრა მუშერეფმა.

ჰარბიეში მეტროს მშენებლობის გამო გზა გადათხრილი იყო. სასწრაფო დახმარების მანქანა ავტობუსებისთვის განკუთვნილ გზაზე სანინააღმდეგო მიმართულებით მთელი სისწრაფით მიქროდა. უეცრად მძლოლმა პირდაპირ მისევე მომავალი ავტობუსი დაინახა და მოუხვია. გზის გასწვრივ ჩამნერივებული ბიდონები გადააყირავა, საპირისპირო მხარეს გადავიდა და დაამუხრუჭა. მანქანა დაბზრიალდა და გადაბრუნდა.

ფურეიას საკაცე მუშერეფს დაეცა, სახიდან უანგბადის ნიღაბი ჩამოუვარდა. ექთანმა რაღაცას თავი მიარტყა.

საკაცის ქვეშ მოქცეული მუშერეფი ძლივს გამოძვრა.

"ფურეია ხანუმ, ვიცი, ძალიან გიყვარვარ, ამიტომ ჩემი დატოვება არ გინდათ და თან მიგყავართ." უთხრა ფურეიას.

ფურეიას სიცილისგან ლაპარაკი არ შეეძლო.

"ნუ მაცინებ... . სუნთქვა ისედაც მიჭირს."

საავადმყოფოში მისვლისთანავე ფურეია რეანიმაციაში გადაიყვანეს. ფილტვები დახშული ჰქონდა. გადალლა არ შეიძლებოდა, ამიტომ საუბარი აუკრძალეს. ერთი ნინადადების თქმაც უჭირდა.

მუშერეფს ფურეიას ჯანმრთელობის გარდა საბანკო ანგარიშებიც ებარა. როცა რეპო შეივსებოდა, ახალი ოპერაციების დაწყე-

ბამდე ფურეიის ანგარიშს აბარებდა. ყველა სახის არჩევანს სთავაზობდა.

"მე ჩამოვთვლი, თქვენ თვალით მანიშნეთ. რასაც მოითხოვთ, იმას გავაკეთებ. დავიწყოთ: დოლარზე გადავცვალოთ?"

მუშერეფი მცირე ხნით შეყოვნდა, შემდეგ განაგრძო: "ბირჟაზე გავათამაშოთ?"

"- რეპო გავაგრძელოთ... თუ აქციებში დავაბანდოთ?"

ფურეიიამ თვალით ანიშნა.

"- რეპო გავაგრძელოთ. ასე არ არის? თუ ასეა, ხელი მომიჭირეთ." ფურეიიამ ხელზე ხელი მოუჭირა.

"გასაგებია."

როცა ფურეიია რეანიმაციიდან პალატაში გადაჰყავდათ, საკაცის გვერდით მომავალ მუშერეფის ხელზე აკოცა.

"ფურეიია ხანუმ, ღვთის გულისათვის, რას აკეთებთ?" უთხრა მუშერეფი.

როცა სანოლზე დააწვინეს, ფურეიიამ მუშერეფი თავისთან იხმო.

"მუშერეფი, თუ მომავალში რეანიმაციაში დაწოლა მოგიხდება, ალაპმა ისეთი მეგობარი მოგივლინოს, რომელიც გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მოგცემს. შენ უმძიმეს ნუთებშიც კი ჩემთვის ეს უფლება არ წაგირთმევია. ალაპმა დაგლოცოს."

მუშერეფი შინ რომ დაბრუნდა, ქალიშვილს, რომელიც ასევე იურისტი იყო, ასე უთხრა: "ჩემი გოგონა, შენ ჩემი ერთადერთი შვილი ხარ. ყველაფერი, რაც მაქვს, შენი იქნება. ოღონდ იცოდე, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემ ნაცვლად გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ. რეანიმაციაშიც რომ ვიყო, ნუ იფიქრებ, რომ გონება დავკარგე, მომეცი უფლება, გადაწყვეტილება თავად მივიღო. დღეს ფურეიიასგან გავიგე, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ადამიანისთვის."

"კარგი, დედა, მაგრამ შენ რად ტირი?" ჰკითხა შვილმა.

ფურეიია საავადმყოფოში დიდხანს დარჩენის გამო მუშრნალობის ხარჯებზე დარდობდა.

"ჩემ გამო ფული არავის გამოართვა, ყველაზე მდიდარ მეგობრებსაც კი."

"ვიცი, ფურეიია ხანუმ, ნუ იდარდებთ. თქვენ საკმარისი ფული გაქვთ. მთავარია გამოვანმრთელდეთ. ამ საქმეს მე მივხედავ."

როცა ფურეია რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანეს, უამრავი მნახველი მოაწყდა. თუმცა ძალზე უხარიდა, რომ იგი კვლავ ახალ სოფათ და უყვარდათ, მაინც იღლებოდა. ხშირად ნახულობდნენ ჯანდეერი, ბინაი და აიდა. ფერის მისთვის ხელოვნების უურნალები მოჰქონდა. სარას მეუღლე ემრე და შეილები - მემო და სერაც ხშირი სტუმრები იყვნენ, მაგრამ თვით სარა არ ჩანდა. მუშერეფი მიხედა, რომ სარას რაღაც შეემთხვა.

"სიმართლის თქმის დრო დადგა, ემრე. რეანიმაციიდან გამოყვანემდე ფურეიას სიმართლე უნდა ვუთხრათ. ახლა არაფერს იმჩნევს, მაგრამ ძალიან წუხს."

ავტოკატასტროფის შედეგად დაშავებული სარა საავადმყოფი ინვა. სანამ ფურეია რეანიმაციაში იყო, სიმართლეს უმაღლავდნენ. როცა პალატაში გადაიყვანეს, მუშერეფი უთხრა, რომ სარა საზღვარგარეთ იყო და მამიდას სანახავად ვერ იცლიდა. ფურეიას მნარედ გაედიმა.

"შენ ეტყვი?"

"არა, ემრე. რასაც მთხოვ, გავაკეთებ, მაგრამ ამას მე ვერ ვეტყვი. იმ დროს პალატაში ყოფნაც კი არ მინდა," - უთხრა მუშერეფი. ვერავინ ბედავდა სიმართლის გამხელას. ბოლოს ისევ სარამ დაურეკა საავადმყოფოდან.

ფურეია მცირე ხანში სახლში გადაიყვანეს. დასუსტებული იყო. ნიგნის კითხვაც კი არ შეეძლო. მრავალი წლის შემდეგ, როგორც იქნა, სიგარეტს თავი დაანება და ოდნავ გაღიზიანებული ჩანდა. მეგობრები მას ერთი წამითაც არ ტოვებდნენ.


2 ივნისს ოთხმოცდა შვიდი წლის ხდებოდა. სიურპრიზის მოწყობა გადაწყვიტეს. საჩქრები, ტორტი და სანთლები იყიდეს და მას ეწვივნენ. მუშერეფი დილაადრიან ეწვია, რადგან იცოდა, ფურეიას სტუმრებთან მოუნესრიგებლად გამოჩენა არ უყვარდა.

"დღესაც მოვლენ სტუმრები. თუ გსურთ, ჩაგაცმევთ."

"მუშერეფ, ეს დღე სხვა დღეებისგან რით განსხვავდება?" - ჰეითხა ფურეიამ, - "ნაშუადღვს უმეტესად ჯანდეერი და რაბია შემოივლიან ხოლმე. სადილის შემდეგ ჩავიცვით."

მუშერეფმა კარაფიდან ტანსაცმელი გამოილო. "ჩემი ხათრით დღეს ეს ჩაიცვით."

"რატომ?"



"რა ვიცი, რატომლაც ასე მომინდა."

საღამოს ყველა მეგობარი ეწვია. როცა ტორტი და სანთლები დაინახა, მიხვდა, რომ მისი დაბადების დღე ახსოვდათ. ის დღე სასიხარულო და ამავე დროს სევდიანი იყო. ავადმყოფობის გამო სარას ისევ არ შეეძლო მასთან მისვლა.

"ინშალაჲ, მომავალ წელს სარაც ჩვენთან იქნება." თქვა მენგუმ.

"მომავალ წელს მე არ ვიქნები." ფურეიამ ეს ისე გადაჭრით თქვა, თითქოს სამოგზაუროდ წასვლას აპირებსო, შემდეგ კი ამოიოხრა და ინშალაჲო, დასძინა.

როცა შირინმა ფურეიას ჯანმრთელობის გაუარესება შეიტყო, ივლისში მის სანახავად სტამბოლში ჩავიდა. შირინი "ჩირალან ოტელში" რჩებოდა. ფურეიას უთვალავი ლამის პერანგი ჩამოუტანა. ყოველდღე ფურეიასთან საათობით იჯდა, ურნალებსა და ნიგნებს უკითხავდა, ახალ ამბებს უყვებოდა. ფურეიას, ავადმყოფობის მიუხედავად, ყველაფრის გაგება სურდა; ახალი ფილმები, ფესტივალში მონაწილე მუსიკალური ანსამბლები, საინტერესო გამოფენები აინტერესებდა, პოლიტიკური სიახლეებიც იზიდავდა. ხშირად ათვალირებდა ლუპით *Nouvel Observateur*-ს. ამ ფურნალს იგი მრავალი წელი კითხულობდა.

შირინმა იცოდა, რომ ფურეიას ძალზე უყვარდა ბოსფორი, ამიტომ ერთ დღეს მისი სასტუმროში წაყვანა გადაწყვიტა. შირინის ოთახის აივანი ზღვას გადაჰყურებდა. ფურეიას აივანზე ყოფნა, მიმავალი გემებისა და ყოველ წუთს ცვალებადი ზღვის ყურება ნამდვილად მოეწონებოდა. ფურეია რომ არ დაღლილიყო, სასტუმროს კართან ბორბლებიანი სავარძელი დაადგმევინა, შემდეგ მის წამოყვანად წავიდა. ფურეიას შირინის ნაჩუქარი ერთ-ერთი ლამის პერანგი ჩაეცვა და დანოლილიყო.

"ჩაცმაში დაგეხმარებით, ფურეია, ტაქსი გარეთ გველოდება."

"შეუძლოდ ვარ, შირინ, ვერ წამოვალ."

შირინი გაოგნდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ფურეია სადმე წასვლაზე უარს აცხადებდა. "აივანზე ყოფნა მოგეწონებათ, იქიდან გემები მოჩანს."

"სხვა დროს იყოს..."

"ინვალიდის სავარძელი დავადგმევინე. არ დაიღლებით..."

"დღეს ადგომია არ მინდა."

შირინს ფარ-ხმალი არ დაუყრია, სარას მეულლეს - ემრეს დაუკარევა.

"სანამ სტამბოლიდან წავალ, მინდა, ფურეია ბოსფორზე სახე-ირნოდ წავიყვანო, დღეს თავს შეუძლოდ გრძნობს. შეგიძლია, რამ-დენიმე საათით მანქანა გამოგვიგზავნო?"

"მე გავასეირნებთ," - უთხრა ემრემ. ნახევარი საათის შემდეგ მიაჟითხა, ფურეია ფრთხილად ჩასვეს მანქანაში. დოლმაბაშიედან სანაპიროზე ჩავიდნენ და სარიერამდე იარეს. ზაფხულის მშვენიერი დღე იყო. ფურეიას ბოსფორის პაერი ესიამოვნა. იმ ნაპირიდან მზის ჩასვლა არ ჩანდა. მოლიცლიცე ზღვას გაჰყურებდა და ხელებოდა, რომ მზე სტამბოლს ვარდისფრად და იისფრად ლებავდა და მინარეთების უკან ჩადიოდა.

"დამთავრდა," - თქვა ფურეიამ უეცრად.

"რა დამთავრდა?" - ჰერითხა ემრემ.

"მზე. ახლა ჩავიდა."

"როგორ გაიგეთ?"

"მივევდი." მიუგო ფურეიამ. "მზის ჩასვლა კარგად ვიცი. მალე ჩემი მზეც ჩაესვენება."

"ფურეია, ასეთი რამის მოსმენა არ მსურს," - უთხრა შირინმა. მაგრამ სამივე ხვდებოდა, რომ ეს გასეირნება უკანასკნელი იყო. ფურეია ფიქრებში ჩაიძირა, ხმას არ იღებდა. მას მრავალი წლის წინ დოლმაბაშიესთან ლუზაჩაშვებულ გემზე ნანახი სხვა მზის ჩასვლა აგონდებოდა.

"რაზე ფიქრობთ?" - ჰერითხა შირინმა.

ფურეიამ ნაზიმ ჰიქმეთის სიტყვებით უპასუხა: "არ არის სირცე-ვილი არც სიკვდილის შიში და არც სიკვდილზე ფიქრი."

ზღვის ნითელ ზედაპირს ნელ-ნელა ნაცრისფერი ენაცელებოდა.



## პენტიმეტო

(ოსმანოლუს კლინიკა - 26 აგვისტო, 1997წ.)

ალიეს ფილტვები რომ გაეთიშა, ტაქსიმის პირველადი დახმარების საავადმყოფოში მოათავსეს. "ფურეია, ფერები მაკლია. იცოდე, უფეროდ ნუ დამტოვებ", - მითხრა, როგორც კი გონის მოვიდა.

მაშინვე მის სახლში გავიქეცი. მთელ ოთახში მიმობნეულიყო ლურჯი, ფირუზისფერი, ცისფერი, მწვანე, ვარდისფერი, ნითელი, ისტყერი ასობით ფერადი შეფონის შარფი, რომლებსაც ფანჯრი-დან მონაბერი სიო ერთმანეთში ათასფურად ურევდა. ხტუნვა-ხტუნვით გავიარე არეულ-დარეული ოთახი, მიმოფანტული ნივთებისთვის ფეხი რომ არ დამტიჯებინა. ღია უჯრები და ფანჯრები დავხურე, სიგარეტის ნამწვით სავსე საფერფლეები დავცალე, რამ-დენიმე შარფს ხელი დავავლე და საავადმყოფოში დავბრუნდი. შარფები სასთუმალთან მივუბნი.

ლამაზი ფერები შეგირჩევია, - მითხრა.

ალიე მოსაკეთებლად დეიდა აიძეს კუნძულის სახლში გადაიყვანეს. მაშინაც ჩანთა ფერად-ფერადი შარფებით გავუვსეთ. და განა შეიძლებოდა ფერების ასეთი მოსიყვარულე ქალის ცხედარზე თხელი, ხელით ნაქარგი თავშალი არ ყოფილიყო დაფენილი? მისი კუბო ვარდსფერში გავახვიეთ. ვარდის კოკორივით ნატიფი და საოცრად ლამაზი ალიე... დეიდაჩემი, რომელიც არავის ჰგავდა... ვარდისფერში ჩაფლული ნავიდა საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალულ თავის საყვარელ ადამიანთან.

მან ფერი მოითხოვა - მივუტანეთ. მაშ, ჩემთვის რად არ მოაქვთ ის, რაც მსურს? მეც ხომ სიკვდილის სარეცელს ვარ მიჯაჭვული.

სარა არ მოდის. არც ჩიტი. არავისი მჯერა. ღმერთო, აფიფეს შვილი რომ ნავართვი, ამისთვის ხომ არ მსჯი? არა, ვერ დამსჯი, რადგან იცი, არ ნამირთმევია, სარა მხოლოდ კეთილი განზრახვით

ვიშვილე. ჩემი ძმისა და მისი ცოლის განაწყენება არც მიფიქრია. მინდოდა, მათი შეილისთვის ყოველივე საუკეთესო მიმეტა. უკა, ალბათ, ჩემი მიზნის სილრმეში ხნიერი ქალის შიშიც იდო, რომ სიმარტოვეში არ ამომხდომოდა სული. ღმერთი თუ არის, მხოლოდ იმისთვის დამსჯის, რომ მათ არაფერი ვუთხარი. დიახ, ალბათ, დამნაშავე ვარ, საქმეები მათგან მაღულად რომ მოვაგვარე, მაგრამ ეს რა მძიმე სასჯელია, ღმერთი! შვილი, თუნდაც შვილობილი იყოს, სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვულ დედასთან არ მოდის! რა მძიმე სასჯელია!

“სარაც საავადმყოფოშია, ტელეფონით ხომ გესაუბრათ”, - მითხრა მუშერეფმა და გაჩუმდა.

“როდის?”, - ვკითხე.

“გუშინ.”

ნუთუ, გამოვჩერჩეტდი?

ნუთუ განგება ასეთ გამოცდას მიწყობს? ჩემი ახალგაზრდობა ჭლექით მოკაზმა, სიბერეში კი ჭუას მართმეცს და ყველას ნინაშე დამცინის?

“ნამლები, რომლებსაც გასმევთ, სმენაზეც მოქმედებს და მებ-სიერებაზეც. ნამლების შენყვეტის შემდეგ ყველაფერი გამოსწორდება”, - მეუბნებოდა ექიმი.

ჩვენს ოჯახში ჩერჩეტი არავინ ყოფილა. ყველანი გულის შეტევით, სიმსივნით, ემფიზემით ან ბრმა ტყვიით წავიდნენ ამ ქვეყნიდან. აი, მაგალითად, ფაპრუნისა, ექვსი წლის წინ გარდაიცვალა. ოთხმოცდაათ წელს სულ ცოტა უკლდა. ისეთი დაკრძალვა მოუწყვეს ამანში, როგორიც ეკადრებოდა - სახელმწიფო ცერემონიალით. ბოლო წუთს მასთან ვაჟიშვილი და რძალი იყვნენ.

სად არის ჩემი შვილი?

ჭირვეული მოხუცივით ვბუზლუნებ, ისე კი ჩივილის უფლება ნამდვილად არ მაქვს. ბედისნერა ცუდად არ მომქცევია. ორმოც წელზე მეტია, რაც თიხას პირველად მოვეიდე ხელი და მას შემდეგ დღემდე ყველა სურვილს ვისრულებდი. ხომ ვთქვი და შევასრულე კიდეც, რომ ფაიფურს ჩვენს ხალხს დაუბრუნებდი და უძველეს ტრადიციას ავალორძინებდი.

მაგრამ, დამიჯვერეთ, დღე და ღამე მქონდა გასწორებული. ჩემს თვალებს ოცდახუთი, ოცდაათი წელია, კერამიკის გარდა არაფერი

უნახავს. ამიტომაც ვამჯობინე სიმარტოვე. თუმცა, იოლი როდი იყო. და მაინც, კერამიკამ ისე გამომჟევება, ისეთი თვითდაჯერებულობა მომანიჭა... გამოფენებმა, ჯილდოებმა, სტატიებმა - სწორედ მათ ვგულისხმობ, დიახ, სწორედ ეს ძასაზრდოებდა, სანამ შემოქმედი ვიყავი. ხელში ვიღებდი ერთ მუჭა თიხას... არც ფერი ჰქონდა, არც ფორმა... და იმ არაფრისგან რაღაცას ვქმნიდი. შემოქმედებით პროცესში ჩემზე ყველაზე დიდ გავლენას ნამი და მოძრაობა ახდენდა. მნუხარების უამს შექმნილი ნამუშევრებიც კი უსაზღვრო ბედნიერებას მანიჭებდა. აი, თუნდაც დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი პანო. არ ჸქონდა მნიშვნელობა, ღუმელიდან ვამოღებული ქმნილება კარგი გამოდიოდა თუ ცუდი, მაგრამ მხოლოდ ის შემოქმედებითი ნამი რად ლირდა, ღუმელის ნინ დაბადების მოლოდინი, მღელვარე მოლოდინი; ჩემთვის ამგვარი ბედნიერება სხვას არაფერს მოუგვრია; კერამიკა შევიყვარე. შევიყვარე, შევიყვარე... მთელი არსებით შევიყვარე და დავუკავშირდი მას.

კერამიკული ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო შემფასებელი ჰერბერტ რედი ამბობს:

"კერამიკა ხელოვნებაში თან ყველაზე მარტივი, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე რთული რამაა. უმარტივესია იმიტომ, რომ ყველაზე ჰირველყოფილია; და ურთულესია იმიტომ, რომ ყველაზე აბსტრაქტულია."

კერამიკას ვერაფერს შევადარებ, ის ხელოვნების ცალკე მდგომი დარგია. კერამიკა წმინდა ხელოვნებაა. აი, ამ წმინდა ხელოვნებას ვეპაექრებოდი ორმოცი ნლის მანძილზე და შევიყვარე. ნეტავ, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ორმოცდათი ნლის ნინ ფაპრუნისას ჩემთვის პლასტიკი რომ არ გამოეგზავნა, ალიეს კი სანატორიუმში არ მოეტანა? როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება? ვინ იცის, იქნებ ჭლექი მომერეოდა და დიდი ხნის წასული ვიქნებოდი იმქვეყნად.

რა ხანია დავშორდი ჩემს თიხას. აღარც ფიზიკური ძალა შემრჩა, აღარც მუშაობის შინაგანი სურვილი. ჩემი ცხოვრება მბუუტავ სანთელს მაგონებს, რომელიც სადაცაა ჩაქრება. სიცოცხლემ აზრი დაკარგა. ამის გამო საშინლად ვდარდოდ და უსაზღვროდ ვიტანჯები. ბოლო ხანებში სახლში უკვე ვეღარ ვჩერდებოდი და ქუჩებში დავეხეტებოდი. თუმცა, აღარც ქუჩებს ვჭირდებოდი.

ზამთრის ერთ სუსტიან დღეს ტაქსის მძლოლის გვერდით ვიჯე-  
ქი და შიშლისეკენ მივემართებოდით. ციდან ფიფქები ცვიოდა. "რა  
კარგია, თოვს-მეთქი."

"ინშალაპ, ფიფქების ნაცვლად ქვები ცვიოდეს," - თქვა წვერო-  
სანმა მძლოლმა.

"ქვები რატომ უნდა ცვიოდეს, შვილო, რა შევცოდეთ ამისთანა-  
მეთქი," - ვკითხე.

"ალაპს ასე რომ დავშორდით, ქვები ჩამოცვივდება და ჯოჯოხე-  
თიც მოვა. ინშალაპ, ეს ქვეყანა ნაილეკოს და აღიგავოს პირისაგან  
მინისა."

ყველაფერს მივხედი. ამას ჩემ გამო ამბობდა. იმიტომ, რომ მიუ-  
ხედავად ჭალარა თმისა, ტუჩები შეღებილი მქონდა და სამკაულე-  
ბიც მეკეთა. რამდენი ასეთი ადამიანი იყო ჩემ ირგვლივ! თითქოს  
ერთ წამში მინიდან ამომძვრალიყვნენ და ქალაქის მთელი ტაქსები  
მიეთვისებინათ. კოჭებამდე სამოსიანი, ჩადრიანი ქალები კი აღმა-  
ცერად მიცეკერდნენ, როდესაც გაიგებდნენ, რომ "მადამი" კი არა,  
მაცმადიანი ვიყავი. მე ხომ ალფროვანებით შევხედი რევოლუცი-  
ებს, საოცარი გზნებით განვიტადე ყოველივე და თავად გავხდი  
მოწმე იმისა, როგორ გავიდა სინათლეზე ჩემი ხალხი, როგორ ეზი-  
არა მეცნიერებასა და ხელოვნებას და, როგორც იქნა, ქალმა თავი-  
სუფლება მოიპოვა... პიროვნებად იქცა! ღმერთო, წამიყვანე უკვე,  
წამიყვანე, წამიყვანე!

ჩემში სიცოცხლის იოტისოდენა სურვილიც აღარ დარჩა.

ოთხმოცდაათიანი ნლების დასაწყისში "ჩანაქალეს კერამიკა-  
ში" ტარდებოდა კონკურსი თემაზე "წყალი". შესარჩევ საბჭოში მი-  
მინვიეს. და განა მე არ ვიყავი, მოსნავლეთა ნამუშევრების წინ გა-  
ოგნებული რომ ვიდექი? განა მე არ ვთქვი, სამი ჯილდო ამ ბავშვე-  
ბისთვის არ ქმარა-მეთქი? განა ჯილდოთა რაოდენობა ექვსამდე მე  
არ გავაზრდევინე? ის სიამაყე და სიხარული მე არ განვიცადე?

რა არის ეს - სამხედრო ორკესტრივით წინ და უკან სიარუ-  
ლი?

მომბეზრდა. თავბრუ დამეხვა.

ახლა კი, როდესაც წასვლა აღარ მინდა, სინანულით ველი ჩემს  
ფანჯარასთან ჩიტს, ასე რომ მომაბეზრა თავი. არ მოდის. არც სა-

რა მამიდა ჩანს, არც ჩემი შვილი. თითქოს ჩემ წინააღმდეგ პირი შეკრესო. კეთილი. კრინტსაც აღარ დავძრავ. ჩუმად ვიქნები! ჩუ-  
მად... უსასრულობამდე!

ასეთი ჯიუტი ბავშვობაში ვიყავი. ერთხელ ყველას გავებუტე-  
რა არ იღონა ძია ჯევათმა იმისთვის, რომ ხმა ამომელო და გამელი-  
მა. მხოლოდ მან შეძლო მორეოდა ჩემს სიჯიუტეს. კუნძულზე გა-  
ტარებულ იმ დღეებს კარგად ვერ ვიგონებ. მაგრამ მახსოვს, ჩემთ-  
ვის ყველაზე მძიმე დღეებშიც კი, ყველაფერს აკეთებდა ჩემს გა-  
სამხიარულებლად.

ძია ჯევათი იზმირში გარდაიცვალა, მაგრამ უნდოდა ბოდრუმში  
დაეკრძალათ. მისი ამაგის დასაფასებლად, გადავწყვიტე, უკანასკ-  
ნელი სურვილი ამესრულებინა. მაგრამ აზრა ერთათთან და მის ქა-  
ლიშვილებთან ერთად ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებს წავანყ-  
დით. იზმირის მუნიციპალიტეტმა, გაურკვეველია რა მოტივით,  
მაგრამ მისთვის სამგლოვიარო მანქანაც კი დაინანა. ბოლოს, რო-  
გორც იქნა, ძია ჯევათის ცხედარი მიკროავტობუსით ბოდრუმის-  
კენ წავასვენეთ. მიკროავტობუსი წინ მიდიოდა; მას ერთმანეთის  
მიყოლებით მისდევდა ოჯახის წევრებითა და მეგობრებით სავსე  
მანქანები. ბიუროკრატიული ომით ქანგვანყვეტილები, გაცეცხ-  
ლებულები და გამნარებულები მიუყვებოდით "ბაფა გოლუსკენ"  
მიმავალ აღმართს.

"მამაჩემმა მთელი თავისი სიცოცხლე და გული ბოდრუმს მი-  
უძღვნა. ნეტავ, ბოდრუმსაც თუ უყვარს იგი?" - იკითხა მისმა ქა-  
ლიშვილმა ისმეობა.

ამ კითხვაზე პასუხი უკვე მიღასშივე მივიღეთ.

აქ ჩემს ესკორტს ყოველი მხრიდან თითო მანქანა, რამდენიმე  
მოტოციკლი და ველოსიპედი შემოუერთდა. მნვერვალიდან ბოდ-  
რუმი მოჩანდა. ქალაქს გრძელი ესკორტით მივუახლოვდით. უეც-  
რად ჩოჩქოლი ატყდა.

"რა ხდება? უბედური შემთხვევა ხომ არ არის?" - იკითხა აზრამ.

მძლოლმა სიჩქარეს უკლო. "რაღაც ხდება..."

"ესლა გვაელდა-მეთქი," - ჩავილაპარაკე.

როცა მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ ბოდრუმელები იმ ადა-  
მიანის ღვანლის დასაფასებლად მოსულიყვნენ, ვინც ბოდრუმი

ბოდრუმად აქცია. ხნიერი ქალები, ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცები, ახალგაზრდა ვაჟები და ქალები, სკოლის მოსწავლეები... ასო ბით ადამიანი, სოფლელი, ადგილობრივი მკვიდრი, კაიმაკაში, მამა-სახლისი, პოლიციელი, მეთევზე თავიანთი მანქანებით, ველოსიპედებით, სატვირთო ავტომანქანებით ან ფეხით ჯევათ შაქირის ბოდრუმის შესასვლელთან ეგებებოდა; საუკუნის ხელით დაკრული მიმოზებით, ნაირფერი ვარდებით, მიხაკებით, ამბრიებით, ბეჭონიებით რთავდნენ იმ მანქანას, რომელზეც ჯევათ შაქირის ცხედარი იყო დასვენებული. კუბოს მწვნე მაუდი კი არა, ზღვის სიმბოლო - ცისფერი ატლასი ეფარა. ყველა დუქანი დაკეტილი იყო. ბოდრუმელი ხალხი ერთმანეთის პირისპირ ჩამნერივებულიყო იმ გამზირზე, რომელსაც დღეს ჯევათ შაქირის სახელი ჰქვია. ბალიქჩის ცხედარი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბალიქჩიმ საკუთარ სახლთან ჩაიარა, რესპუბლიკის გამზირი გაიარა, ბოლოს სასტუმრო "ჰალიკარნასის" სანაპიროსთან გემზე გადაასვენეს. გემს "ჩემი ჰალიკარნასელი" ერქვა. მან მთელი ბოდრუმი ყურე-ყურე შემოიარა. დუდუკების თანხლებით მას კვალდაკვალ გაცყვნენ მეთევზეთა გემები და, მხოლოდ ალაპმა უწყის, რომ ზღვაში ყველა თევზი, წყალმცენარე და ალრუბელი დაკრძალვას ესწრებოდა. შემდეგ კუბონ ნავსადგურში მიიტანეს და კვლავ ვინრო ქუჩებში ჩამნერივებული ხალხის ხელებზე ფრენა-ფრენით მუნიციპალიტეტის ნინ მეჩეთში შეასვენეს. ნამაზი შესრულდა. მეთევზეებმა, მონაფერებმა იგი საუკუნო განსასვენებლად იმ კლდოვან ადგილს, იმ მწვერვალს მიაბარეს, საიდანაც ერთდროულად იშლებოდა ბოდრუმის სამივე საუცხოო ხედი.

მოგვიანებით იქაურობას ბოდრუმელებმა "გონულ თეფესი" უწოდეს.

აი, ასეთი პასუხი მიიღო ისმეოთმა.

ჩემს მეგობრებს შორის ბიძაჩემი ყველაზე ღირსეულად არა ვულერმა ნარმოაჩინა. საუკეთესო ფოტოებიც სწორედ მან გადაიღო - ჯევათ შაქირი ღრუბლებში ეტლით მოსეირნე ბერძენ ღმერთს მიამსგავსა, რომლის გამჭოლი მზერა გულს გაგიპობდა და ადგილზე გაგაშეშებდა.

ყველაფერი რომ მოთავდა და დაღმართზე დავეშვით, განვიმდა. მშვიდი ზღვის შორეული ნაპირიდან ნელ-ნელა გვიახლოვდე-

ბოდა შემოდგომის წვიმა. თითქოს სურდა თავისი მქუჩარე ხმით მთებს მისალმებოდა. ერთ წამში ხალხმრავლობის კვალიც არსად ჩანდა. ბალიქჩისთან გამოსამშეიღობებლად ბოდრუმში წამოსულ სტუმრებს მასპინძლობას სასტუმრო "არტემიდა" უწევდა. აპ, ანატოლიელებო, რა საოცარი ხალხი ხართ! თქვენ ხომ ბიძაჩემის სულის საუკეთესო თვისებები მზის სინათლეზე გამოიტანეთ, თქვენ ხომ ლეგენდად აქციეთ მეამბოხე და თავქარიანი ახალგაზრდა ფაშაზადე!

"ფურეია ხანუმ, შეხედეთ, ვინ მოვიდა!" მითხრა მუშერეფმა.

ნეტავ ვინ უნდა იყოს?! ჯანდერი იქნება ან რაბია. ჩემთან მეგობრები აღარ მოდიან. რა ესაქმებათ ლოგინს მოვაჭვულ ავადმყოფთან, რომელიც არ ლაპარაკობს?

ქვის იატაკზე ფეხის ხმასთან ერთად ხელჯოხის კაუნიც მეს-მის... ტაკ; ტაკ, ტაკ... ჩემი თაობიდან ტატიანას გარდა ნეტავ სხვა ვინ დაივინყა სიკვდილმა? ხელჯოხის ხმა... არა, ის არ იქნება...

"მამიდა, ქუჩაში დღეს პირველად გამოვედი და თქვენთან მოვე-დი."

ეს სარაა! სარას ხმა! სარა მოსულა! მინდა საწოლიდან წამოვხტე და მოვეხვიო. ძალა არ შემნევს.. მინდა, თვალი გავახილო და მი-სი ცქერით გული ვიჯერო, დარდი გაუზიარო, გამოვეთხოვო... მაგრამ ვერ ვინძრევი, გაქვავებული ვარ. ალბათ, ამას ეძახიან კო-მას... დამეხმარეთ, მომეშველეთ... ამაყენეთ... მინდა წამოვჯდე და ზურგით ბალიშს მივეყრდნო.

"ჩემი ესმის?" - ეკითხება სარა მუშერეფს.

"ჩავთვალოთ, რომ ესმის," - ამბობს მუშერეფი. ჩემი მუშერეფი, მან ყველაფერი იცის.

"მამიდა... მე ვარ, სარა ვარ. შენთან ვარ. გესმის ჩემი?"

მესმის, ჩემო გოგონა. გთხოვ, არ წახვიდე, არ გაიქცე. ღმერთო, იმის ძალა მაინც მომეცი, რომ ხელის განძრევა შევძლო.

სარა ჩემკენ იხრება. მისი თმა სახეზე მეხება. რატომდაც საპნი-სა და უმანქო ჩვილის სურნელებას ვერძნობ. ეს სუნი მაშინ ვიგრ-ძენი, როცა სარა პირველად ავიყვანე ხელში და სამუდამოდ დამა-მახსოვრდა. ნუთუ ეს სარას ცრემლია, სახეზე რომ მეცემა? თუ სა-

კუთარი ცრემლი მისველებს ლოფას? ხელზე ხელს მიჭერს. უკანას-  
ქნელ ძალას ვიკრებ.

"აპ, მამიდა, თვალი გაახილეთ. მივხვდები, რომ ჩემი გესმით! მარაზე  
მიდა, მამიდა".

სარა ტირის. ხელის განძრევას ვახერხებ და სარას მკლავზე ვე-  
ფერები. ახალგაზრდა, უნაჯლო სხეულს ვეალერსები. ხელზე  
მკოცნის. საუბარი რომ შემეძლოს... აპ, ნეტავ რამის თქმა შევძ-  
ლო... მაგრამ ერთი სიტყვის ნარმოთქმაც არ ძალმიძს. თითქოს ენა  
არა მაქვს. სარა ხელზე ხელს მადებს. ჩემს გოგონას ხელზე ვეზე-  
რები.

"ნუ გადალლით, გთხოვთ. დღეისთვის საკმარისია. თქვენც შე-  
უძლოდ ხართ." ეს ის საძაგელი ექთანია.

"ისევ მოვალ, მამიდა. საავადმყოფოდან უკვე გამოვედი."

ნამნამები სველი აქვს.

ჩემკენ იხრება და მკოცნის.

"ახლა ხშირად ვივლი." ასევე მოვალი გადასახლდა.

მინდა მის ხელს შევეხო, მაგრამ ძალა აღარ მყოფნის. მკლავი  
საწოლზე ჩამომივარდა.

ფეხის ხმა და ხელჯოხის კაკუნი თანმდებარება...

მშვიდობით, შვილი. ჩემი გოგონა, თავს მიხედვ. შენ და შენს  
შვილებს ჯერ ალაპს, შემდეგ კი ემრეს გაბარებთ. მშვიდობით, ჩე-  
მო შავთვალა გოგონა.

მეგონა სარას ნასვლის შემდეგ ჩამონელდებოდა, მაგრამ უეც-  
რად ოთახი განათდა. ეს თეთრი, ნმინდა და მშვიდი სინათლე მთვა-  
რის შუქით განათებულ თოვლს მაგონებს... ფანჯარასთან რა ხდე-  
ბა?

ჩიტი! სწორედ ის თეთრი ჩიტი, ფრთები ვერცხლისფრად რომ  
უბზინავს. მაგრამ ამჯერად ფანჯარის კიდეზე არ ჯდება. გაშლილი  
ფრთებით მთელ ფანჯარას ფარავს. ერთმანეთს თვალს თვალში  
ვუყრით... ფრთებს ფრთხილად არხევს და მელის. უკვე მზად ვარ.

სალამი, სიკვდილო! კეთილი იყოს შენი მობრძანება!

## ეპილოგი

ფურცელი კორალი 1997 წლის 26 აგვისტოს ოსმანოლუს კლინიკაში გარდაიცვალა.

28 აგვისტოს დოლმაბაჰჩეში სულთან ბეზმი ალემ ვალიდეს მეჩეთში შესრულებული შუადღის ნამაზის შემდეგ მისი ცხედარი დოლმაბაჰჩეს ნავსადგურიდან კატარლით ბუიუქადაზე გადაასვენეს და ბაბუამისის - შაქირ ფაშას დაარსებულ მაჰმადიანთა სასაფლაოზე საგვარეულო სამარხში დაკრძალეს.


ფურცელი განისვენებს იქ, სადაც ამ ქვეყანას მოევლინა. მშვიდად სძინავს რესპუბლიკის ეპოქის პირველ ხელოვან-კერამიკოს ქალს, რომლის ღვაწლი თურქეთის ხელოვნებაში განუზომელია.



შაქირ ფაშას ოჯახი კუნძულის  
სასახლეში: შაქირ ფაშა, სარე ისმეთ  
ხანუმი, ჯევათი, ფაპუნისა, აიშე,  
ასიმი, სუათი და ალიკ. მარცხენა  
ქვედა კუთხეში ჰაკიე.



ადიუტანტი შაქირ ფაშა -  
საღრაზამ ჯევათ ფაშას  
უმცროსი ძმა



პაკიე ხანუმისა და ემინ ბეის  
საძინებელი კუნძულის სასახლეში.  
ოთახი, სადაც ფურეია დაიბადა.



ფურეია 1 ნლის.

ჰეკიე ხანუმი და ემინ ბეი  
კუნძულის სასახლის ბალში.



ფურეიდა დედასთან ერთად (1913 წ.).



მარიამ  
ბერძონიშვილი



ფურეია ძმასთან -  
შაქირთან ერთად.



ფურეია 12 ნლის.




ფურეია და შაქირი  
კუნძულზე; ფაპრუნისას  
მიერ შექმნილი ფურეიას  
პორტრეტი.





ათათურქი და მის მარცხნივ  
ფურეიას მამა - ემინ ფაშა.



ათათურქის ჩანაწერი ფურეიას დღიურში :  
"ფურეია ხანუმ, თქვენი ყველაზე  
მნიშვნელოვანი მოვალეობა ის არის,  
რომელსაც ერის ნინაშე აღასრულებთ".

ფურეიას დეიდა ალიე ბერგერი.



ემინ ფაშა, ფურეიას პირველი მეუღლე, პაკიე ხანუმი, სარე ისმეთ  
ხანუმი, ფურეია და შაქირი. იალოვა (1930 წ.).

ფურეია დისნულთან შირინთან  
ერთად. ფურეიას პირველი  
ქორწინება.





ფურნეიასა და ქილიჩ ალის  
ნიშნობა (1935 წ.).



ენვერ ინსელი, ალი  
ჩეთინქაიას მეუღლე - ნაიმე  
ხანუმი, ბერინ ინსელი,  
დედამისი - ვესირეთი და სხვ.





յոլոնի առողջություն, առատուրքություն, սալոնի ծովույթու գա Ադրբայջան շուլդը.





შაქირი (მარცხნივ), ფურეია  
და ქილიჩ ალი ანჯარაში  
ნური ვონქერთან.




ფურეია და ქილიჩ ალი ნიკაში.



ნეჟათი, შირინ დევრიმი და ემირ  
ზეიდი (ნინა პლანზე); ქილიჩ ალი,  
ფურეია და პაკიე ხანუმი (უკან);  
იახტა "ესენი" (1935 წ.).



ქილიჩ ალი, ფურეია,  
ფარუნისა და ემირ ზეიდი  
კანძი (1935 წ.).



ფურეიასა და ქილიჩ ალის იახტა "ესენი".



ფურეია ფლორიაში, სასახლის  
ტერასაზე (1935 წ.)



ლეისენის სანატორიუმში ალიესთან ერთად.  
ფურეიას პირველი შეხება კერამიკასთან.



ლეისენის სანატორიუმში აივანზე.

ლეისენის სანატორიუმის  
პალატაში შეითანთან ერთად.



1954 წელს სასტუმრო  
"პილტონისთვის" შექმნილ  
კერამიკულ მაგიდასთან.



პირველი ნაბიჯები  
ხელოვნებაში. ფურცელა დეიდა  
ფაპრუნისასთან და  
დეიდაშვილთან რაადთან  
ერთად პარიზში (1952 წ.).



50-იანი წლები, ფურეია  
მუშაობის პროცესში.



შაქირ ფაშას აპარტამენტის  
სახელოსნოში. ფურეიას  
ინტერიერიუ გამოფენის  
შემდეგ.





შაქტირ ფაშას აპარტამენტის სახელოსნოში. ფურცელი  
სამუშაო მაგიდასთან. უკან ჩანს ფაშრუნისა ზეიდის  
მიერ შექმნილი ფურცელის პორტრეტი.



50-იანი წლები. ფურეია  
სახელოსნოში მუშაობის დროს.




ფურეია და 10 წლის  
სარა ულუდალში.

შაქირ ფაშას  
აპარტამენტში: შირინ  
დევრიმი, ფურეია და ალე<sup>ე</sup>  
ბერგერი



1964 წელი. ფიქრეთ  
ურგუფი, ალე ბერგერი,  
საბაპათიონ ეუბოლლუ,  
ფაპრუნისა ზეიდი, ჯევათ  
შაქირ ქაბაალაჩილი,  
ფურეია, შირინ დევრიმი,  
სინა ქაბაალაჩილი.





კედლის პანოზე მუშაობისას (1966 წ.).



სახელოსნოს კუთხე შავგორ  
ფაშას აპარტამენტში.



60-იანი წლები.  
მუშაობის პროცესში.



არიუ ფაშას აპარტამენტში,  
თელავის ქონიე (1973 წ.).




არიფე ფაშიას აპარტამენტში ფურცელა და მისი დეიდები - აიშე ერწერი და  
ფაპრუნისა ზეიდი. უკანა პლანზე სარა (1974 წ.).




შირინ დევრიშისა და რობერტ ტრეინერის ნიშნობა ფურცელას სახლში.  
ალიკ, ფაპრუნისა, ბობი და შირინი, აიშე ერწერი და ფურცელა (1973 წ.).

ორია  
ბიბი

სახელოსნოს ღუმელი  
არიფ ფაშას  
აპარტამენტის ეზოში.



კედლის პანოებზე მუშაობისას.



კედლის პანო.



მისამართი  
ბერძნობრძოვა



ამანი. ფაპრუნისა ზეიდის სახლში.  
შირიმი, ფურცელი და ფაპრუნისას რძალი პრინცესა მაიდა.



იზმირი. ფურცელი და ბიძამისი - ჯევათ შაქირი (1973 წ.).

ფურეია, სარა და ემრე აიქარის სახლში  
გამართულ ნიშნობაზე.



ფურეია არიფ ფაშას  
აპარატმენტში.  
საღრაზამ ჯევათ  
ფაშას სავარძელი და  
სარას პირსტი.



ფაპრუნისა ზეიდის სახლი ამანში.  
ფურეია, პრინცესა მაიდა,  
ფაპრუნისა და რაბია ჩაფა.



ფურეია და სარას ვაჟიშვილი  
მემო (1980).



სარა შვილებთან - მემოსა და  
სერასთან ერთად.



ფილმი "ჩრდილთა თამაში". ბურჯუ აიქარი  
(ემრეს ქალიშვილი), სერა, ფურეია და შენერ შენი.



სარა კორალი აიქარის სახლში, შვილებთან - მემედთან და სერასთან ერთად.  
უკან ფურეიას თეფშები (1997 წ.).



ფურეა შემოქმედების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზემოქმედების  
გამოფენაზე.



უთარით იზგი, მუშერეფ  
ჯიმჯოზი და ფურეა  
შემოქმედების  
40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზემოქმედების





მაჩქას ხელოვნების გალერეაში  
გამართული 40 ხელოვანის  
გამოფენა, რომელიც ფურცელას  
შემოქმედების 40 წლისთავს  
მიეძღვნა.



ფურცელას სახლიდან გამოფენაზე  
ნაღებული სავარძელი და სტელაჟი  
კაცუნებით. მაჩქას ხელოვნების  
გალერეა (1994 წ.).



1258.122

三

ISBN 99940-54-65-1

ISBN 99940-54-65-1



9 789994 054657